

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Georgian Academy of Sciences
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო ძ ი ე ბ ა ნ ი

XVIII

Linguistic P a p e r s



გამომცემლობა „ქართული ენა“
"KARTULI ENA" Publications
თბილისი 2005 Tbilisi

81.2
800
ს 157

„საენათმეცნიერო ძიებანის“

XVIII წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

"Linguistic Papers" volume 18 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეჯია; EDITORIAL BOARD:

მ. ბერიძე, გ. ბურჭულაძე, კ. გაბუნია, M. Beridze, G. Burchuladze, K. Gabunia,
გ. გოგოლაშვილი (მთავარი რედაქტორი), **G. Gogolashvili** (editor-in-chief),
ლ. გოქსაძე (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), **N. Daraselia, Ts. Kvantaliani** (scientific secretary), M. Kikonishvili, M. Kobiashvili,
ც. კვანტალიანი (სწავლული მდივანი), **R. Landia, N. Loladze** (deputy editor-in-chief) Ch. Kiria, R. Kurdadze, M. Kurdiani
მ. კიკონიშვილი, მ. კობიაშვილი, **რ. ლანდია, ნ. ლოლაძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე), **ჭ. ქირია, რ. ქურდაძე, მ. ქურდიანი** ნ. ჭუმბურიძე,
ნ. ჯორბენაძე

ნანა ზოზოლაშვილი

მალედიქტოლოგიური პარადიგმები

მალედიქტოლოგია, როგორც სპეციალური დისციპლინა, ბოლო წლებამდე არ ყოფილა ენათმეცნიერების კვლევის სფერო, თუმცა მასთან დაკავშირებული პრობლემები ყოველთვის არსებობდა, რადგან ისინი ჩართული იყო მსოფლიო ხალხების კულტურულ ფასეულობათა სისტემაში. მიუხედავად ამისა, ამ სფეროს საკუთარი სახელწოდება არ ჰქონია და ტერმინი „მალედიქტოლოგია“ არც ერთ ლექსიკონში არ არის განმარტებული. აღნიშნული ტერმინი ლათინურ-ფრანგული წარმოშობისაა და ენაში არსებული წყევლა-კრულვის, გინებისა და ბილწსიტყვაობის სემანტიკური ფენის შემსწავლელი დისციპლინის აღსანიშნავად შემოიღეს. გერმანელი მეცნიერი რაინჰოლდ ამანი, ალბათ, მსოფლიოში პირველი, და, ჯერჯერობით ერთადერთი მკვლევარია, რომელიც ამ ენობრივ სტრუქტურებს (*der Tagesspiegel* 1983) შეისწავლის. დღეისათვის არსებული 10 000 ენიდან და ძირითადი დიალექტებიდან ამანმა გამოიკვლია 200 ენის ლანძღვა-გინებისა და ბილწსიტყვაობის აღმნიშვნელი გამოთქმები, იდიომები და ანდაზები, მაგრამ მან მალედიქტოლოგიის სფეროში მხოლოდ ამ ენობრივი მოვლენის მიახლოებითი კლასიფიკაცია მოახდინა და არ შეუქმნია რაიმე ღირებული თეორია ან მეთოდი კვლევის ობიექტების სისტემატიზაციის თვალსაზრისით; ამანმა მხოლოდ დაადგინა, რომ ამ მოვლენის სპეციფიკურობა მთლიანად ადამიანის სამეტყველო ქმედებებით განისაზღვრება. მაგ. მან აღმოაჩინა კანონზომიერება, რომლის თანახმადაც კათოლიკური კონფესიის სივრცეში ბლასფემიური ანუ ღვთისმგმობი, მკრეხელური სიტყვები და გამოთქმები სჭარბობენ, პროტესტანტულში კი — უფრო სექსუალურ და ფეკალურ ცნებებთან დაკავშირებულ წყევლას, გინებასა და ბილწსიტყვაობას ამჯობინებენ. კათოლიკურ ქვეყნებში იყენებენ გამოთქმას: **Du Kruzifixker!** პროტესტანტულში კი — **Du Scheißker!** (შე დამპალო, თახსირო ადამიანო!). დანარჩენ მსოფლიოში, რომელსაც ამანი მიაკუთვნებს აზიას,

აფრიკასა და სამხრეთის ქვეყნებს, დომინანტს ქმნის ოჯახთან დაკავშირებული სიტყვები და გამოთქმები, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში სოციალური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე ტაბუდადებული ცნებები ხდება ლანძღვა-გინებისა და ბილწისიტყვაობის ობიექტი. ამანის დაკვირვებით, წინათ ამერიკელი ინდიელები ამ მიზნით ტომობრივ ცნებებთან და მოვლენებთან დაკავშირებულ სიტყვებსა და გამოთქმებს იყენებდნენ, თანამედროვე ინდიელები კი ისე არიან ამერიკანიზებული, რომ დღესდღეობით თეთრი ანგლო-საქსონელი პროტესტანტებით, ე. წ. "WASP"-ებით (WhiTe Anglo-Saxon Protestants) იგინებიან.

გერმანული ლანძღვა-გინების, წყევლისა და ბილწისიტყვაობის ყველზე აქტიურ მომხმარებლად, ამანს გერმანიის საშუალო ფენა მიიჩნია. ფანტაზიისა და სიბილწის ხარისხით გამორჩეული ყოფილა უნგრული და რუმინული ლანძღვა-გინება. ამის მიზეზად სახელდება ამ ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა და მენტალიტეტის თავისებურებები, რომელთა ზღურბლზეც ერთმანეთს შეეჯახება ლათინური კათოლიციზმის ყველაზე მალედიქტოლოგიური სიტყვები და გამოთქმები. ამანი განსაკუთრებით გამოარჩევს აღმოსავლელ ებრაელებს. ეს აიხსნება, ჯერ ერთი, იმით, რომ ისინი ასევე შერეული (გერმანულ-სლავურ-ებრაულ-არამეული) კულტურების წარმომადგენლები არიან, მეორეც, იმით, რომ ამას ხელი შეუწყო უმწეობის განცდამ მუდმივი ფიზიკური თუ ინტელექტუალური ჩაგვრისა და ვერბალური აგრესიის წინაშე.

მალედიქტოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ კაცობრიობის საკომუნიკაციო გლობალიზაციის პირობებში შეიკრა ლანძღვა-გინების, წყევლა-კრულვისა და ურთიერთშეურაცხმყოფელი სიტყვებისა და გამოთქმების საბედისწერო წრე, რომელშიც ამერიკელები ლანძღვენ ევროპელებს, ფრანგები — გერმანელებს, ლარიბები — მდიდრებს, ქალები — მამაკაცებს, სოფლელები — ქალაქელებს და, პირიქით. ამანს მიიჩნია, რომ მამაკაცისა და ქალის ურთიერთობა ნორმიდან გადახრას წარმოადგენს, თუ მათი თანაცხოვრება იძულებითი ხასიათისაა. სწორედ ამ თანაცხოვრების შედეგია ჩხუბისა და ლანძღვა-გინების ნიაღვარი, რადგან დაქორწინებული ქალი და მამაკაცი ერთმანეთს ანომალურ პიროვნებებად მიიჩნევენ.

თეთრკანიანები ამბობენ, „ზანგები ყარანო“, ამავდროულად, განაში (აფრიკაში) იყენებენ გამოთქმას: „თეთრი ადამიანის ილიასა-

ვით ყარსო“. დადგენილია, რომ ინგლისურში არსებობს მორალური ნორმებიდან გადახვევის აღმნიშვნელი 40 000 ზედსართავი სახელი. ასევე ცნობილია, რომ ძველ ინგლისურში არსებობდა საგანგებო სკაბრეზული ენა, რომელიც მხოლოდ ქალებს ან მხოლოდ კაცებს ესმოდათ. გერმანულში, სხვა ენებთან შედარებით, სალანძღავი სიტყვების ყველაზე დიდი ხვედრითი წონა პროფესიის აღმნიშვნელ ცნებებზე მოდის. ამასთან ნიშანდობლივია, რომ მიზანში ყოველთვის ავტორიტეტული პროფესიებია ამოღებული. ესენი არიან: მასწავლებლები, პოლიციელები, ეკლესიის მსახურნი, ექიმები. რუსული „მატი“ განსხვავდება სხვა სლავური ენების სკაბრეზისაგან. აქ გინებისა და ბილწისიტყვაობის მთავარი ობიექტი „დედაა“. ადრე ჩეჩნები მამის მისამართით იგინებოდნენ, რაც კონტექსტში მამის არასრულფასოვნებასა და მისდამი უპატივცემულობას ნიშნავდა. რუსული ენის გავლენით, ჩეჩნეთში „დედის გინება“ შევიდა. ახლა თანამედროვე ჩეჩნებიც თურმე „მატით“ იგინებიან.

ქართულში ლანძღვა-გინებამ და ბილწისიტყვაობამ სრულიად უზენო ფორმა მიიღო. აქ ეს მოვლენა რომელიმე ფენის დამახასიათებელი თვისება არ არის. იგინება ყველა, ახალგაზრდა თუ მოხუცი, იგინებიან და ბილწისიტყვაობენ ქუჩაში, პარლამენტში, ოჯახში. გენიტალიური და ფეკალური ცნებების პარალელურად, ქართველმა ახალგაზრდობამ საკუთარი დედის შემაგინებელი ლექსიკაც უაღრესად „გაამდიდრა“.

უნდა აღინიშნოს, რომ მალედიქტოლოგიური ტერმინოლოგია წერილობითი სახით მხოლოდ გამოჩაკლის შემთხვევებში არსებობდა; მისი გავრცელება, უკანასკნელ წლებში, დასავლეთის მიზეზით არის განპირობებული. ამ სემანტიკურ ფენას უხვად იყენებენ მწერლები და პოეტები, ხოლო თეატრისა და კინოს რეჟისორები ამ ტერმინოლოგიით ცდილობენ სპექტაკლებსა და ფილმებს მეტი „სულიერება“ შესძინონ და ამით მიიზიდონ მაყურებელი.

სამწუხაროდ, ამჟამად საქმე გვაქვს საზოგადოებაში მალედიქტოლოგიური ტერმინოლოგიის ისეთ ინტენსიურ გამოყენებასთან, როდესაც ენის ფუნქცია გასცდა ზნეობრივ საზღვრებს და ყოფით ცხოვრებაში საზოგადოებისათვის ტაბუდადებულმა საკომუნიკაციო ლექსიკამ, ენის ფატიკური ანუ ადამიანებს შორის კონტაქტის დამამყარებელი ფუნქციის ნაცვლად, კონფლიქტის მაპროვოცირებელი სიტყვათშემოქმედებითი ფუნქცია შეიძინა. ტაბუდადებული აქტების

კვლევას მივყავართ კითხვამდე: შეიძლება თუ არა მალედიქტოლოგიის სფერო მოიაზრებოდეს ზოგადად კულტურის ფასეულობათა კონტექსტში?

ამ კითხვაზე პასუხი დადებითი უნდა იყოს, რადგან კულტურის ცნება მოიცავს ადამიანთა მატერიალური და სულიერი ფასეულობების ერთობლიობას, ხოლო ენა ნებისმიერი კულტურული მემკვიდრეობის შექმნისა და შეფასების ზეაღმატებულ საშუალებას წარმოადგენს. ზოგადად, ენობრივი ფენომენების ახსნა სხვადასხვა თვალსაზრისით შეიძლება. მალედიქტოლოგიურ კვლევას კი პირდაპირ მივყავართ სეპირ-უორფის ცნობილ ჰიპოთეზამდე, რომლის თანახმადაც ენის გავლენა მთლიანად აისახება სხვადასხვა ხალხის მიერ სამყაროს შემეცნებაზე და განსხვავებულ კულტურებში განსხვავებული პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების, ხელოვნების დარგების, ლიტერატურის, ადათ-წესების, მეცნიერული კონცეფციებისა და ლოგიკური ცნებების შექმნაზე. ეს კი ნიშნავს, რომ განსხვავებულ ენობრივ ნორმებს აზროვნების განსხვავებული ფორმების ჩამოყალიბებამდე მივყავართ (უორფი, 1960, 174-175). ამ განსხვავებების დადგენაში სწორედ კულტურებს შორის არსებული სხვაობების აღმოჩენა და შესწავლა გვხმარება. მალედიქტოლოგიური ტერმინოლოგიის შემთხვევაში ჩვენ წინაშეა „დიალოგი“, რომლის დროსაც ადამიანებს შორის ურთიერთობა წმინდა პირობითი და თავის რეალიზაციაში თვითკმარი ფორმაა, რომელსაც არ გააჩნია ინფორმაციის გადმოცემის ფუნქცია. მალედიქტოლოგიური სამეტყველო აქტი, რომელიც აუცილებელად გულისხმობს პარტნიორის რეაქციას, არ წარმოადგენს აზროვნებითი მოღვაწეობის შედეგს. იგი არ ფუნქციონირებს როგორც აზრის გადმოცემის საშუალება და მის მიზანს მხოლოდ პარტნიორში ქცევის ნორმების დარღვევა შეადგენს. ენა, ამ შემთხვევაში, მხოლოდ სოციალურ ფუნქციას ასრულებს, როდესაც მისი საშუალებით ხდება არა კონტაქტის დამყარება, არამედ კონტაქტის გაწყვეტა, რადგან მალედიქტოლოგიური ტერმინოლოგიის ჩართვა ადამიანურ ურთიერთობებში ყოველთვის პარტნიორის უარყოფით რეაქციებს იწვევს. ცნობილია, რომ ლანძღვა-გინებისა და ბილწისტიყვაობის ფსიქოლოგიური მექანიზმი მაშინ ამოქმედდება ხოლომე, როდესაც ადამიანი ეიფორიულ მდგომარეობაში იმყოფება, ყვირის, დაგროვილ ბოლმას ანთხევს, ძალადობას მიმართავს და ა.შ. ეს სიმპტომები საერთოა ნებისმიერი ენის მატარებლისათვის. ამ დროს ენა იმ უფუნქციო უტო-

პიად იქცევა, რომელსაც შეუძლია „პარტნიორს“ დიდი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტრავმაც კი მიიყენოს. გამოდის, რომ ენა, რომლის გარკვეულ სფეროებში უნდა მეფობდეს დისციპლინა, შემოქმედებითი ფანტაზია და მორალური სიმკაცრე, შეიძლება იმავდროულად იყოს მორალურად უდისციპლინო, შემოქმედებითად უმეცარი, და, რაც მთავარია, ინტენსიურად და კომუნიკაციურად აბსურდული. მაგრამ მალედიქტოლოგიის სფეროს შესწავლა მხოლოდ ენათმეცნიერული დაკვირვების საგანს არ წარმოადგენს. ეს ჩახლართული, ერთი შეხედვით, ენობრივი მოვლენა, დაკავშირებულია ადამიანის ფსიქიკის იმ ბნელ ლაბირინთთან, რომელსაც ქვეცნობიერი ჰქვია, ხოლო ლანძღვა-გინება და ბილწისტიყვაობა ის სამეტყველო კომპლექსია, რომელიც ქვეცნობიერში იმალება. ფროიდი ის მეცნიერი იყო, რომელიც ფსიქოანალიზის მეთოდით აკვირდებოდა პაციენტების „მითიურ შემოქმედებას“, რის წყალობითაც მისთვის ნელ-ნელა გამოიკვეთებოდა სხვა ენა, რომლის საიდუმლოც მას უნდა ამოეხსნა (ფროიდი, 1990, 53-82). აღსანიშნავია, რომ ფსიქოანალიზური კვლევის მთელი პროცესი სამეტყველო აქტების ანუ „დიალოგისა“ და „მონოლოგის“ საშუალებით ხორციელდება. მრავალრიცხოვანი სამეტყველო აქტების გამოკვლევის შედეგად, ფროიდი მიდის იმ დასკვნამდე, რომ თუკი ადამიანთა ფსიქიკაში არსებობს რაიმე საერთო და გამაერთიანებელი, ეს არის **კონფლიქტის** ცნება. შემდგომ ამისა, ფსიქოანალიზი გადადის **სიმბოლოების** თეორიაზე. ფროიდმა მოახდინა სიმბოლოების ღრმა ანალიზი, რითაც ნათელი მოჰფინა იმ გზებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ენის სიმბოლოების რეალიზაცია. აღმოჩნდა, რომ ენობრივ სიმბოლოებს ადამიანი ითვისებს იმ ზომით, რა ზომითაც იგი შეიმეცნებს „სამყაროს სურათს“ და აირეკლავს მას საკუთარ აზროვნებაში. საბოლოო ჯამში, ენის ძირითადი სიმბოლოები და მათი სინტაქსი მჭიდროდ უკავშირდება იმ გამოცდილებას, რომელსაც ადამიანი სამყაროს შემეცნების გზით მიიღებს. ეს ენობრივი სიმბოლოები, რომლებიც მრავალრიცხოვანი ნიშნების ერთობლიობად გარდაიხსნება, ისეთივე მრავალრიცხოვანია, როგორც მსოფლიოში არსებული ენები. ფროიდის მიერ აღმოჩენილი ქვეცნობიერის სიმბოლოზმს ახასიათებს სრულიად ახალი თვისება. ესაა: ქვეცნობიერის სიმბოლოზმის უნივერსალურობა. იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სიმბოლოების „ლექსიკონი“ საერთოა ყველა ხალხისათვის, მათი ენებისაგან დამოუკიდებლად; ამასთან, ამ სიმბოლოებსა და მათ აღსანიშნებს

შორის არსებობს მიმართება, რომელიც ხასიათდება ერთადერთი აღსანიშნითა და მრავალი აღმნიშვნელით, რომელთა „გადაწეული“ საზრისის გადმოცემაც მხოლოდ ამ უკანასკნელთა საფარქვეშ ხდება. საინტერესოა, რომ ის „სინტაქსი“, რომელიც აკავშირებს ქვეცნობიერ სიმბოლოებს, არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება და მხოლოდ ერთ განზომილებას ცნობს; ესაა: მიზანდასახულობა სიტუაციაში. ამრიგად, მალედიქტოლოგიური ტერმინოლოგიის კვლევის დროს ჩვენ წინაშეა იმდენად თავისებური „ენა“, რომ იგი აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს იმისაგან, რასაც ჩვეულებრივ ენას ვუწოდებთ: სწორედ ამგვარი გამიჯვნის მეშვეობით გახდება შესაძლებელი, ამ „ენისათვის“ შესაბამისი ადგილის მიჩენა სხვა ენობრივ მოვლენათა რიგში. როგორც ჩანს, მალედიქტოლოგიაში ქვეცნობიერის სიმბოლიკა ქვეენობრივი და ზეენობრივი ფენომენების სახით გამოვლინდება.

მალედიქტოლოგიურ ენობრივ აქტებს შეიძლება **ქვეენობრივი** ვუწოდოთ იმის გამო, რომ მათი სათავე დასაბამს იღებს ფსიქიკის უფრო ღრმა სტრუქტურებში, ვიდრე ის სფერო, რომელშიც აღზრდისა და განათლების წყალობით ეყრება საფუძველი ენის მექანიზმს.

მალედიქტოლოგიური სიმბოლიკა **ზეენობრივია** იმის გამო, რომ სამეტყველო მოტივაცია და ინტენცია გასცდება ენის ფენომენს და სრულიად მოულოდნელ ფორმებს იღებს. მისთვის დამახასიათებელი დაფარული ინტენცია ასევე დაფარულად კარნახობს ადამიანს იმ საშუალებებს, რომლითაც იგი შინაგანი კონფლიქტებისაგან თავისუფლდება. მალედიქტოლოგიური კვლევის პროცესში სწორედ ქვეცნობიერი განსაზღვრავს, როგორ ქმნის ინდივიდი საკუთარ პიროვნებას, რას ვერ ამჩნევს, რას უარყოფს და რას ამკვიდრებს მასში, როგორც მისი აზროვნებისა და ენობრივი ქმედების საფუძველს. ფსიქოლოგების აზრით, მალედიქტოლოგიური ტერმინოლოგია საუკეთესო საშუალებაა ყოფითი სტრესების მოსახსნელად. ლინგვისტური ფაქტორი აძლიერებს მამაკაცური ჰორმონის — ტესტოსტერონის ფუნქციონირებას და ადამიანში ქვეცნობიერად იწვევს თვითდამკვიდრების განცდას.

დაბოლმილი და გაბრაზებული ადამიანი იმ ორთქლის ქვაბს ემსგავსება, რომელიც ამ ორთქლის გამოშვებას საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ მოკლე გზა გადის კუჭის წყლულამდე ან გულის ინფარქტამდე, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ის, რაც ხსნად ევლინება შემეგინებელს, ვნებს შეგინებულს და არცთუ იშვიათია შემთხვევები,

როდესაც შეგინებულ და შეურაცხყოფილ ადამიანებს თვითმკვლელობით დაუმთავრებიათ სიცოცხლე. ამასთან დაკავშირებით რ. ამანი შემდეგ რეცეპტს გვთავაზობს: ბილწსიტყვაობისა და ლანძღვა-გინების ობიექტად შეიძლება მხოლოდ ისეთი მოვლენები იქცეს, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელია; მაგ. არასწორი საქციელი, უგემოვნო ჩაცმულობა ან ვარცხნილობა; შესაბამისად, არ შეიძლება ფიზიკურ ნაკლზე მითითება მალედიქტოლოგიური ტერმინოლოგიით, რის დროსაც მეტად დიდია კონფლიქტის პროვოცირების ან „პარტნიორის“ მორალურად განადგურების ალბათობა.

მალედიქტოლოგიური კვლევების საშუალებით, შესაძლებელია გამოვლინდეს ის სოციო-ფსიქოლოგიური ასპექტები, რომელიც საფუძვლად უდევს კონფლიქტების ენობრივ სისტემას. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ლანძღვა-გინებისა და ბილწსიტყვაობის მაგალითებს ხშირად ვხვდებით ბოჰემურ წრეებში, სახელმწიფო ინსტიტუციებსა (მაგ. პარლამენტში) და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს შორის. პირველ შემთხვევაში ეს განპირობებულია თავისუფალი მორალითა და ბოჰემური ცხოვრების წესით; სახელმწიფო ინსტიტუციებში ბილწსიტყვაობენ უმთავრესად ის მოხელეები, რომლებიც ამბიციების დაკმაყოფილებას ან საკუთარი სექსუალური გადახრის დაფარვას ხელქვეითების შეურაცხყოფით ცდილობენ, ხოლო ახალგაზრდობა ივინება და ბილწსიტყვაობს იმის გამო, რომ მას ჯერ კიდევ მყიფე ინტელექტი და არაფორმირებული სექსუალური სისტემა აქვს.

მალედიქტოლოგიური ტერმინოლოგიის რეალიზაციის მიზეზს წარმოადგენს ადამიანის ფსიქოლოგიური დისკომფორტი თუ სოციალური უკმარისობა, რომელიც მასში ენასთან ურთიერთობის კრიზისს იწვევს. საქმე ისაა, რომ ბილწსიტყვაობის ენობრივი გამოვლინება დაცლილია ყოველგვარი ეროტიკული მოტივაციისაგან და ამ ტერმინოლოგიის საზრისი არ არის დაკავშირებული ფიზიოლოგიურ პროცესებთან, რადგან ნებისმიერი მალედიქტოლოგიური გამონათქვამი დროისა და სიტუაციის თანმთხვევას მოითხოვს. მალედიქტოლოგიური ენა იმ წარმოსახვის რეალიზაციის შედეგია, რომლის განუვითარებლობა და სიჭარბე გავლენას ახდენს მთელი საზოგადოების, განსაკუთრებით კი, იმ თაობის ცნობიერებაზე, რომლის აზროვნებაც ეს-ესაა იწყებს ფორმირებას და ენაში ამ დროისათვის არსებული მალედიქტოლოგიური სტერეოტიპებით გამოთქვამს საკუთარ აზრებს.

როლან ბარტი, რომელიც ენობრივ მოღვაწეობას საკანონმდებ-

ლო კოდექსს ადარებს, რომლის კოდსაც თავად ენა წარმოადგენს. ჩვენ, ადამიანებს კი სხვა აღარაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ვეთაღლითოთ, ვეწმავოთ ენას, ე. ი. გავასულელოთ იგი, რადგან საზღვრებს მიღმა გასასვლელი არ არსებობს, იქ ჩაკეტილი სივრცეა. და, რაკი ენა ძალადობს ჩვენზე და გვაიძულებს, ვილაპარაკოთ ჩვენი ნების გარეშე, ამგვარი მხსნელი მზაკვრობა უფლებას გვაძლევს, გავიგონოთ არამოძალადე ენის ხმაც, რომელიც მთელი თავისი ბრწყინვალეობით განასხეულებს სიტყვის პერმანენტული რეგოლუციის იდეას. ამ ენას ლიტერატურა ჰქვია და, სწორედ, იგი წარმოადგენს განათლებულობის, მაღალი გრძნობებისა და კეთილშობილური, ადამიანური ურთიერთობების არსებობის საფუძველს.

ლიტერატურა:

ჟურნალი „Der Tagesspiegel/Feuilleton, Sonntag, 28. August, 1983.
"Dumme oder boshafte Kuh?"

ბენჯამენ ლ. უოროფი 1960 — Бенджамен Л. Уороф "Отношение норм поведения" и мышления к языку" Новое в лингвистике, вып. I, М. 1960.

ფროიდი, 1990 — З. Фрейд "Бессознательное, избранное, М, 1990.

NANA GOGOLASHVILI

Maledictological Paradigms

Summary

Maledictology is the newest branch of linguistics which examines swearing and cursing structures of languages.

In his maledictological studies the German scholar R. Aman raised the issue of integrating the given verbal behaviour within the system of ethnocultural values. He also focused on the role tabooed words and expressions can play in man's social life.

It should be mentioned that maledictological sphere is closely connected with the theory of conflicts and also with "the shadowy labyrinth of man's psyche" known as the subconscious. maledictological studies show that psychologically and socially most tabooed concepts become the topics of foul

language. These concepts have neither informative nor phatic functions, on the contrary, they are samples of provocative word creativity.

მატარნი ბაბარაჰი

სლენგი, როგორც იუმორისტული მოვლენა თანამედროვე ახალგაზრდობის მეტყველებაში

ენის განვითარების ისტორიისათვის 10-20 წელი არაფერს ნიშნავს, მაგრამ ხშირად დროის ეს მცირე მონაკვეთიც გვაძლევს შესაძლებლობას დავაფიქსიროთ საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარე მასშტაბური ცვლილებები. ევროპული ენების 70-90-იანი წლების მდგომარეობა ამ მოვლენის შესანიშნავ მტკიცებას წარმოადგენს. ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ცვლილება არის უზარმაზარი რაოდენობის ახალი, მათ შორის, ნასესხები სიტყვების გამოჩენა, მათი წარმოება, ასევე ბევრი სიტყვისა და მათი მნიშვნელობის გაუჩინარება-გაქრობა, რაც ნათლად აისახა ლექსიკონებსა თუ სხვა ლინგვისტურ ლიტერატურაში.

ამჟამად, რომ ამ პროცესის გამომწვევი მიზეზები არა შინაგანი, არამედ გარეგანი — სოციალური ცვლილებები და პერტრუბაციები, ინგლისურ თუ სხვა ენებზე მოლაპარაკე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებია. XX საუკუნე ძალზე საინტერესო იყო ლინგვისტებისათვის. არსებითად, სამეტყველო ენაში განხორციელდა მთელი რიგი სოციოლინგვისტური ექსპერიმენტები. თავიდან ეს გარკვეულწილად მუსიკის, კერძოდ, როკ-მუსიკის მომდევნო ეტაპის შედეგია: წარმოიშვა და განვითარდა პოვა მუსიკის ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულმა ჟანრებმა, როგორებიცაა: პოპ-მუსიკა, რეპი, მეტალი, გრანჟი, ტრეში, სოული და ა.შ. თინეიჯერთა მეტყველებაში შემოიჭრა ისეთი სიტყვები, რომლებიც აშკარად მიგვანიშნებენ მოსაუბრეთა მიერ ენის მიზნობრივ შეცვლაზე, მის „დამხობაზე“. ენაში დაიწყო ე.წ. დიგლოსია, ორენოვნება, რაც გამოიხატებოდა ერთ ენაში ამავე ენის ორი ფორმის თანაარსებობაში მის სხვადასხვა სფეროში. ინგლისში, საყოველთაოდ მიღებული ინგლისური ენის გვერდით აღმოცენდა სრულიად ახალი ინგლისური ენა, რომელსაც ცნობილმა ინ-

გლისელმა მწერალმა ჯონ ორუელმა „newspeak“ უწოდა და გახდა ყველაზე ჩვეული დასახელება ლინგვოპოლიტიკური მონსტრისა. დიგლოსია ადრეც არსებობდა, სხვა ენებშიც, მაგ: ძველ რუსულში ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდა სალაპარაკო რუსული ენა და სალიტერატურო-საეკლესიო სლავური. მოგვიანებით, XVII საუკუნეში კი რუსულ ენას მოუწია თანაარსებობა ფრანგულთან. დიგლოსია, საერთოდ, რელიგიური საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი, სადაც „მაღალი“ რელიგიური ენა ემსახურებოდა მხოლოდ რელიგიურ-რიტუალურ და მსგავს საზოგადოებასა თუ ერთობას. სხვა სიტუაციაში გამოიყენებოდა „დაბალი“ სალაპარაკო-სასაუბრო ენა. ინგლისური და რუსული საზოგადოების სინამდვილეში გამოიყენებოდა ენის სხვა მრავალი ფორმა, მაგ უბრალო ენა, სლენგი, პროფესიონალიზმი, ჟარგონიზმი, ვულგარიზმი, სოციოლექტი და ა.შ. ეს ფორმები ერთმანეთთან თითქმის არ ურთიერთმოქმედებდნენ, რადგანაც სხვადასხვა საზოგადოების საკომუნიკაციო საშუალებას მიეკუთვნებოდა.

ამ ეტაპზე ჩვენთვის მეტად საინტერესოა, გავარკვიოთ სლენგის, კერძოდ ახალგაზრდული სლენგის არსებობა და მისი ფუნქციონირება-გამოყენება განსაზღვრულ სფეროებში. აღსანიშნავია, რომ სლენგი ენის დამოუკიდებელი მოვლენაა და ის თანამედროვე ენათმეცნიერებაში, აუცილებლად უნდა განიხილებოდეს, როგორც ცალკე კატეგორია.

XX საუკუნის რუსული ენა, მისი ფუნქცია და „მომხმარებლის“ მიერ გამოყენება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვინ იყო სახელმწიფოს სათავეში. ა.მ. სელიშევი ამბობს: „სტალინისა და ბრეჟნევის დროინდელი ე.წ. „ენის ახალი ერთეულები“ მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. იცვლებოდა ეპოქები, იცვლებოდა დისკურსები, დიგლოსია კი შენარჩუნდა, რადგანაც უკვე აშკარად შეიმჩნეოდა ენის ახალი ერთეულების ექსპანსია. გაიზარდა მათი მოხმარების სფეროც“. გორბაჩოვის „პერესტროიკამ“ შეცვალა არა თავად რუსული ენა, არამედ შეცვალა მისი გამოყენების, მოხმარების პირობები. ენის სხვადასხვა ფორმას შორის არსებული ზღვარი გაქრა. ეს ნათლად ჩანს თავად მ.ს. გორბაჩოვისა და ბ.ნ. ელცინის გამოსვლებშიც, სადაც ერთმანეთს ერწყმოდა სალიტერატურო ენის ელემენტები, უბრალო ენა, სლენგებიც კი და მათთან ერთად ხმარებიდან გამოუსული სიტყვები თუ ტერმინები. იმავეს ამბობენ დებუტატების მეტყ-

ველებს, ტელევიზიისა და გაზეთის, საერთოდ, თანამედროვე პუბლიცისტური ენის შესახებ. გრამატიკული ენა მზა შაბლონებით გაჯერებულმა „ენის ახალმა ერთეულებმა“ შეცვალა, რამაც სიტყვების ფეთქებადსაშიში ნარევი შექმნა. შედეგი პარადოქსალურია: შეცდომების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა, მაგრამ საერთო ჯამში საუბარი საინტერესო და უკეთესი გახდა.

ენის ახალი ერთეულებით მეტყველება მისაღები გახდა მთელ მსოფლიოში. ეს MTV-ის, Eurosport-ისა და სხვა სატელევიზიო არხების წყალობით მოხდა, რომლებიც ინტერნეტთან (syberspeak) ერთად ინფორმაციის გადაცემის ყველაზე სწრაფი და მისაწვდომი საშუალებაა დღევანდელ სამყაროში. გარდა ამისა, თითქმის ყველას შეუძლია სახალხოდ გამოსვლა, ზოგიერთები ვალდებულნიც კი არიან. დღესდღეობით პოლიტიკური პირები, მათი გამოსვლები, ფრაზები, მათი გაშარყება ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ყველა გამომსვლელს მეტყველების თავისებური, ყველასაგან გამორჩეული სტილი და ტერმინოლოგია აქვს და საკმარისია, რომელიმე იუმორისტულ გადაცემაში თუნდაც ერთი ფრაზა ითქვას, მაყურებელი უმაღლეს ხედება, თუ რომელი სახელმწიფო მოხელისა თუ მინისტრის პაროდიაა ეკრანზე. საჯარო გამოსვლა პიროვნების იდენტიფიკაციას უსვამს ხაზს.

ასე რომ, მეტყველებაში სოციალური სხვაობა გაცილებით მცირეა და ასევე „საყოველთაო უმეცრების“ შესახებ არსებული თეზისიც, რბილად რომ ვთქვათ, არ არის მართებული. უბრალოდ, ის უმეცრება, რომელიც საყოველთაოდ არსებობდა, საჯარო მეტყველების ნაწილად იქცა“.

მიუხედავად იმისა, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლების მხრიდან ხშირია ახალგაზრდობის მისამართით გამოთქმული პრეტენზიები, დარიგებები თუ მითითებები ენის „წაბლიწვისგან“ გადარჩენის მიზნით, უფროსი თაობის წარმომადგენლებისგანაც ხშირად ვისმენთ ენის ახალ ფორმებს. ახალგაზრდების საუბრისას შეგხვდებით თანამედროვე ენის ისეთ თავისებურებებს, როგორებიცაა სლენგი, პროფესიონალიზმი, ჟარგონიზმი, ვულგარიზმი, სოციოლექტი. მათი მეტყველება ყველანაირი გემოვნების ადამიანებისათვის არის განუკუთვნილი. ენა უფრო კრიმინალური გახდა, ისევე, როგორც საერთოდ საზოგადოება.

იმისათვის, რომ 70-90-იანი წლების ახალგაზრდული სლენგი შევისწავლოთ, მიმოვიხილავთ ბოლო ათწლეულში გამოქვეყნებულ ლექსიკონებსა და ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ არსებულ პრაქტიკულ მასალას, რომლებიც მოიცავენ უზარმაზარი რაოდენობის სლენგს.

ინგლისური ენიდან სიტყვების მოდინებამ ქართულსა და რუსულ, ასევე სხვა ევროპულ ენებში მკვეთრად იმატა, რისი სიმრავლეც განსაკუთრებით ახალ სფეროებში იგრძნობა, სადაც ჯერ არ არის ჩამოყალიბებული საკუთარი ტერმინოლოგიისა და დასახელების სისტემა. ყველაზე მკაფიოდ ეს პროცესი ეკონომიკაში, კომპიუტერულ და გამოთვლით ტექნიკაშია დაფიქსირებული. თუ ენაში არ არსებობს ამა თუ იმ მოვლენის ან საგნის დასახელება, როგორც წესი, ახალი სიტყვა ენის ლექსიკური მარაგიდან უნდა შეიქმნას ან იგი ენამ უნდა ისესხოს. რა თქმა უნდა, მეორე ხერხი გაცილებით იოლია და ყველაზე ხშირად ენაში ახალი სიტყვის შემოტანის ამ საშუალებას მიმართავენ. მაგ: სიტყვა „პრინტერი“ უფრო ახლობელი და მისაღებია ჩვენთვის, ვიდრე „საბეჭდი მოწყობილობა“. „ინფოსის“ წარმოთქმა უფრო ადვილია, ვიდრე „ანგარიშფაქტურისა“. მსგავსი სიტყვების შემოღება, ჩვენი აზრით, ენისთვის არ წარმოადგენს საშიშროებას. მსგავსად, სიტყვა მოდელმა გააძევა მანეკენი, სალონმა — საპარიკმახერო, ვიზაჟისტმა — პარიკმახერი, დედლაინმა — ბოლო ვადა, იმიჯმა — სახე, პრეზენტაციამ — წარდგენა, და ა.შ. განცხადება: „გვესაჭიროება სელიზმენეჯერი“ ზოგიერთებისთვის გამოცანაა, საქმეში ჩახედულები კი ხვდებიან, რომ საუბარია გამყიდველზე, ასევე სიტყვა ბრენდ-მენეჯერი.

მსგავსი ნასესხები სიტყვები მრავლადაა ყველა ენაში, მაგრამ ენის მატარებლები ამას თავად ვერ ხვდებიან. ენა მეტად სტაბილური სისტემაა და საკმაოდ ბევრი „უცხო სხეულის გადახარშვა“, შეთავსება და გათავისება შეუძლია. საერთოდ, როგორც წესი, საზოგადოების შეგნებაში ენის ესა თუ ის მდგომარეობა ექვემდებარება კრიტიკას, შეფასებას და თითქმის ყოველთვის — უარყოფით შეფასებას. მსგავსი კრიტიკა გამოწვეულია ენაში ძალზე სწრაფად მიმდინარე ცვლილებებით, რაც ჩნდება ე.წ. თაობათა ბრძოლის ფონზე. შემოვიდნენ ბროკერები, დილერები, მაკლერები, კილერები, ჯოკერები, ტრაილერები, მათ მოყვნენ ბიტნიკები, ჰიპები, როკერები, ნოსტალგისტები, შემდეგ მოვიდა X-თაობა და დაიწყო 60-70-იანელების კბე-

ნა. სლენგს, როგორც ვიცით, მეტად კრიტიკული, ირონიული დამოკიდებულება აქვს ყველაფერთან, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო მანქანასთან. აქ იგრძნობა მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიური მომენტი — სლენგი თავისი წარმოშობის დროიდან უპირისპირდება არა მხოლოდ უფროს თაობას, არამედ, უპირველეს ყოვლისა — ოფიციალურ სისტემას.

სლენგს აქვს მომავალი — მისი წარსული! მას აქვს განვითარების კანონი, რომელიც ჩამოაყალიბებს ძველი დროის მოაზროვნეებმა: „თქვენ გგონიათ, დრო მიდის? შეშლილებო! ეს თქვენ ჩაუარეთ მას!“

ახალგაზრდული სლენგი მეტად საინტერესო ლინგვისტური ფენომენია, რომლის ყოფა და საერთოდ, არსებობა შეზღუდულია არა მხოლოდ განსაზღვრული ასაკობრივი ჩარჩოებით, როგორც ეს თავად მისი ნომინაციითაც ჩანს, არამედ სოციალურით, დროისა და სივრცის ჩარჩოებით. როგორც ყველა სოციალური დიალექტი, ის არის ლექსიკონი, რომელიც საერთოფროვნული ენით იკვებება, არსებობს მის ფონეტიკურ და გრამატიკულ ნიადაგზე.

სლენგის წარმოების ყველაზე პროდუქტიულ საშუალებად ლინგვისტები სხვა ენებიდან სიტყვების სესხებას მიიჩნევენ, მაგრამ ეს ინგლისურის გარდა ყველა ენას ეხება, რადგანაც ამ მხრივ, ინგლისური ენა უმრეტ წყაროს წარმოადგენს. მაგ. ინგლისურმა სიტყვამ **chat** — ჭორაობა, ქართულ სლენგში ფართო მოხმარება პოვა, რაც შემდეგ მაგალითებში დაფიქსირდა: „ვიჩეთავე“, „ჩეთაობა“, „ჩეტში ვარ“. მსაგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება სიტყვებისაგან **country, girl, street, ring, speech** და ა.შ. ხდება მთელი ფრაზების გადმოქართულებაც: წავლეთსგოვდეთ — **Let's go**, ხშირია სიტყვათა კალამბურული წყობა: „ჩაიკოვსკის უსმენ?“, რაც ნიშნავს: ჩაის დალევ?

საინტერესოა, რომ როდესაც სლენგს ყოველდღიურ მეტყველებაში ვაწყდებით, ვნახავთ, რომ ეს ჟარგონი კი არა არის, არამედ ჟარგონიზირებული მეტყველება: სლენგს + ნეიტრალური ან ფამილარული ლექსიკა.

სლენგები ძალზე ფამილარულია პრესის ენისათვის. ყველა სტატია, რომელიც ახალგაზრდებს, მათ კუმირებს, ინტერესებს, დღესასწაულებსა თუ „ტუსოვკებს“ ეხება, მოიცავს სლენგის მეტ-ნაკლებ კონცენტრაციას. ენის ამ მოვლენის შესწავლისთვის გაზეთები ფასდაუდებელი წყაროა, რადგანაც ისინი ოპერატიულად ირეკლავენ და ასახავენ ენის დღევანდელ მდგომარეობას. გავრცელებული სლენგური

ლექსიკა მათში ძალზე სწრაფად და მარტივად ხვდება და ჩვენც საშუალება გვძლევა ობიექტურად შევაფასოთ ისინი. სლენგი გამოიყენება პროზასა და პოეზიაშიც, რა თქმა უნდა, მცირე დოზით, მაგრამ საკმაოდ ეფექტური გამოყენება პოვა მან თანამედროვე რეპერთა ლექსიკაში.

სხვადასხვა ენის სისტემის ფუნქციური სტილების შესწავლა და შედარება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჟარგონი, სლენგი ან სოციოლექტი არ არის ენის სხეულზე გამოსული პარაზიტული გამონაზარდი, რომელიც „აშრობს, აბინძურებს და ვულგარულს ხდის“ იმ ხალხის მეტყველებას, რომელიც მას იყენებს. ლინგვისტური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა: ეს არის ლაბორატორია, სადაც ენისთვის დამახასიათებელი ყველა პროცესი იყრის თავს და მათზე თვალყურის დევნება ხელმისაწვდომია. ის ენას ვერასოდეს „გამოაშრობს, დაანაგვიანებს“, რადგანაც ყველა სოციალური დიალექტი, ტერიტორიული დიალექტისაგან განსხვავებით, არასოდეს არ არის კომუნიკაციის პირველი და ერთადერთი საშუალება, ახალგაზრდული სლენგი ერთ-ერთი ფუნქციონირებადი სტილია იმათთვის, ვინც მას იყენებს. სანამ ახალგაზრდული სლენგი ახალგაზრდების მიერ ერთმანეთში, არაოფიციალურ გარემოში გამოიყენება, არანაირი დაბინძურება არ შეიძლება ხდებოდეს. სლენგის ენაში მთავარ როლს ასრულებენ სპეციალური სიტყვები და სიტყვათშეთანხმება-მარკერები. ეს სიტყვები უნივერსალური შეტყობინებებია, რომლებმაც შეცვალეს გრძელი წინადადებები, რომელთა წარმოთქმა გარკვეულ სიზარმაცესთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, ისინი თავისთავში მოიცავენ დაფარულ კოდირებულ აზრს, ინფორმაციას, რის ხმამაღლა თქმაც არ არის სასურველი.

რით განსხვავდება ახალგაზრდული სლენგი სხვა სლენგებისაგან? პირველ ყოვლისა, ეს სიტყვები ერთი ასაკობრივი კატეგორიის ადამიანების სამეტყველო საშუალებაა. ახალგაზრდული სლენგის ლექსიკონი მოიცავს გაცილებით მეტ ახალ სიტყვას, ვიდრე ნებისმიერი სხვა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ახალგაზრდულ მეტყველებაში გამოიყენება ბევრი პოპულარული სიტყვა და რაც უფრო პოპულარულია ის, მით უფრო მეტი სინონიმი აქვს ენაში, თან ძირითადად — სლენგური მნიშვნელობის მქონე. ერთი მოდური მოვლენა მეორეს ცვლის, ძველი სიტყვები დავიწყებას მიეცემა, სხვები მოდიან ენაში. ეს პროცესი მიზანმიმართულად მიმდინარეობს. იცვლება მო-

და, საზოგადოებრივი ტენდენცია, ბევრი სიტყვა უბრალოდ ბეზრდება ხალხს. ის სლენგები, რომელთა წარმოქმნაც არ ბეზრდებათ, დროთა განმავლობაში ენის ლექსიკაში მკვიდრდება, მაგრამ არა როგორც სლენგი, არამედ როგორც ჩვეულებრივი სიტყვები. ასეთ დროს ეს სიტყვები უკვე კარგავენ თავიანთ ემოციურ-ექსპრესიულ ელფერს, რაშიც დიდ როლს ჟურნალ-გაზეთები თამაშობენ. ისინი ძალზე ხშირად იყენებენ სლენგებს ჩვეულებრივი სიტყვების სინონიმებად, რადგან ერთდებიან ტავტოლოგიას, თან ქმნიან უფრო იუმორისტულ, ახალგაზრდულ ატმოსფეროს. ისევე, როგორც სხვა ყარგონული სიტყვები, სპეციალური ლექსიკა ხშირად აღწევს და შემდეგ მკვიდრდება სალიტერატურო ენაში.

საინტერესოა, რომ ახალგაზრდული სლენგს ყველა სხვა სლენგისაგან ადვილად გამოვარჩევთ მისთვის დამახასიათებელი შემდეგი კრიტერიუმებით:

1. რეალია, რომელიც გამოხატულია სიტყვით, მხოლოდ ახალგაზრდული სლენგისთვის არის დამახასიათებელი;
2. სლენგის მატარებლების მიერ სიტყვა მიღებულია, როგორც „თავისი“ ანუ სპეციფიკურია მხოლოდ ახალგაზრდობისათვის;
3. სიტყვა არ არის ცნობილი „მაკონტროლებელი“ ინფორმატორებისათვის, რომლებიც სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები არიან და არ მიაკუთვნებენ თავიანთ თავს ამ ასაკის კატეგორიას;
4. სიტყვას აქვს გამოყენების საკმაო სიხშირე მოცემულ სფეროში ადამიანთა სხვა სოციალურ ჯგუფებთან შედარებით.
5. სიტყვამ ამ გარემოში მიიღო განსაკუთრებული სემანტიკური ან საკომუნიკაციო ელფერი.

სლენგი მრავალფუნქციურია; პირველ ყოვლისა, მას აქვს ირონიული, სატირული ელფერი — სიტყვაწარმოების საშუალების შესაბამისად, სიტყვა უკვე განკუთვნილია მხოლოდ სლენგისათვის.

საინტერესოა, რატომ აქართულებენ ან არუსულებენ ჩვეულებრივ ინგლისურ სიტყვებს და აძლევენ მათ სლენგის იერს? ამას სლენგის მატარებელი შეგნებულად აკეთებს, ფლობს რა ინგლისურ ენას, არაადეკვატურ კონტექსტში ჩასვამს გადმოქართულებულ ანგლიციზმს. ამას გარკვეული სტილისტური თუ ემოციური ელფერის გასაძლიერებლად მიმართავს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ სლენგი მეტად იუმორისტული, სახალისო გამოგონებაა

და ადამიანთა გაზარეულებასა და გაქირდვას ემსახურება.

ჯონ ორუელი რომ არ წაგვეკითხა, ვერ მივხვდებოდით, რომ ენის ახალი ერთეულებით (**newspeak**) ვსაუბრობდით. ვფიქრობდით, რომ ეს იყო დიადი კლასიკოსების ენა და სლენგში ნორმალური, ადამიანური ენის ნაცვლად, შევიგარძნობდით ჩვენივე საუბრის არანორმალურობას. აი კიდევ ერთი ფაქტორი, რითაც ჩვენი თაობა განსხვავდება უფროსებისაგან: თუნდაც იმით, რომ ჩვენ სლენგებით ვსაუბრობთ!

წინამდებარე სტატიაში მიმოვიხილეთ ახალგაზრდული სლენგის რაობა, მნიშვნელობა და გამოყენება თანამედროვე ლინგვისტიკაში. სამომავლოდ, ჩვენი კვლევისთვის საინტერესო იქნებოდა შეგვესწავლა, თუ როგორ განვითარდება ან საერთოდ განვითარდება თუ არა სლენგი, რამდენად გავრცელდება ის ენაში და როგორი თანაცხოვრება ექნება ენის სხვა ერთეულებთან.

ლიტერატურა

- ბორისოვა, 1982** — Е.Г. Борисова - Лукашапец: Лексические заимствования и их нормативная оценка, 1982
- დიქსონი, 1999** — Paul Dickson - The Authoritative Topic-By-Topic Dictionary of American Lingoes from all Walks of Life, 1999;
- ზემსკაია, 1992** — Земская Е.А. Словообразование как деятельность. 1992
- ორუელი, 1949** — George Orwell — "Nineteen Eighty-four", 1949
- პირსი, 1991** — Richard A. Spears - Dictionary of American Slang and Colloquial Expressions, 1991
- პოპოვი, 1996** — Попов Р.Н. Новые слова и словосочетания в языке современной прессы, 1996
- ულუხანოვი, 1992** — Улуханов И.С. Смысл и значение в словообразовании, 1992.

EKATERINE BAKARIDZE

Slang as a Humorous Phenomenon in the Present-day Teen Language

Summary

The paper deals with the formation, meaning and usage of teen slang in the present-day English, Georgian and Russian languages.

The functions of jargon, slang and socioleets in the language of the youth, as well as the process of creating slang by teenagers are discussed. In the paper slang is viewed as a humorous unit of speech, as one of the popular means of criticizing famous people, Special emphasis is placed upon the changes caused by the introduction of new linguistic elements into the English Georgian and Russian teen languages and entirely in the three languages the last two decades.

თაზარ ლომაიაძე

ქართული სოციოლექსების შესწავლისათვის

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ დიალექტოლოგიას სერიოზული და ნაყოფიერი ტრადიცია აქვს, ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ძირითადად ტერიტორიულ დიალექტებს. რაც შეეხება სოციოლექსების კვლევას, ამ მხრივ საქართველოში მხოლოდ ერთეული ნაშრომები არსებობს. არ არის გამოცემული, რომ ამ ფაქტს გარკვეული კანონზომიერებაც ჰქონდეს, რადგან საბჭოთა პერიოდში სოციალური დიალექტების საკითხი თითქმის არ იდგა სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგში მათი საზოგადოებრივი მარგინალიზაციის გამო.

საკუთრივ სოციალური დიალექტების რაობაზე საბჭოთა საენათმეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილდა XX ს-ის 20-30 წლებიდან, რასაც გარკვეული ბიძგი მისცა ნ. მარის თეორიამ ენის კლასობრიობის შესახებ. „იდეტური მოძღვრება“ ენის შესახებ, ორგანულად არის დაკავშირებული მატერიალური კულტურის ისტორიასთან. მაშასადამე, მეურნეობასა და ეკონომიკასთან. ასეთივე კავშირი აქვს მას საზოგადოებრივ ფორმათა ისტორიასთან, მაშასადამე სოციოლოგიასთან (მარი, 1934).

„სოციალური დიალექტები, რომლებიც წარმოიქმნა საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაციის შედეგად, სრულიად არ არიან თანაბარუფლებიანი და მათი ურთიერთობა არ იფარგლება მექანიკური თანაარსებობით (ჟირმენსკი, 1926).

პოსტსაბჭოურ ეპოქაში მომხდარმა სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა უფრო თვალსაჩინო გახადა სოციალური დიალექტები და გაზარდა მათი ხვედრითი წილი საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სფეროში. ამიტომაც, მათი პრობლემა თავისთავად ფასეული გახდა სამეცნიერო თვალსაზრისითაც; ამას ემატება ისიც, რომ ცენტრის არტახებისაგან გათავისუფლებულმა მწერლებმა მეტი ადგილი დაუთმეს სუბსტანდარტულ ენობრივ რეალიებს თავიანთ ნაწარმოებებში.

ენა ის თვალსაწიერია, რომლითაც სამყაროს შეცნობა იწყება. ყველა პრობლემის ძირფესვი, რომელსაც ლინგვისტი ხვდება ენის განსაზღვრისას, არის თვით ენის ძნელი და გაორებული ბუნება. ერთი მისი შინაგანი, იმანენტური რაობა, შეპირობებული ფორმობრივი და სემანტიკური სისტემებითა და სტრუქტურებით, მეორე — ენის დანიშნულებითი გამოყენებითი რაობა (არგელი, 1987, 85).

ამიტომაც, სოციოლინგვისტები იძულებულნი არიან მოძებნონ ვარიაციები და ახალი განმარტებები, რადგან უარს ამბობენ იმ განსაზღვრებაზე, რომ ენა არის მონოლითური, ჰომოგენური ობიექტი. ისინი ენას განსაზღვრავენ, როგორც ჰეტეროგენულ დინამიურ სისტემას.

ლ. ბლუმფილდი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ენობრივ მოვლენათა გავრცელება დამოკიდებულია სოციალურ ფაქტორებზე, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურთიერთობის ინტენსივობა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფის საზოგადოებრივი პრესტიჟი (ბლუმფილდი, 1968).

ენა არის საზოგადოებრივი მოქცევის ფორმა. ამიტომაც იგი შესწავლილი უნდა იქნეს სოციოლოგიური თვალსაზრისით, რაც გულისხმობს არა მხოლოდ იმის განსაზღვრას, თუ როგორი სახითაა წარმოდგენილი მეტყველება სხვადასხვა სოციალურ ფენაში (სოციალურ კონტექსტში), არამედ იმის გარკვევასაც, თუ როგორ ვლინდება კერძო პიროვნების მეტყველებაში საზოგადოებრივი ურთიერთობანი, როგორ ახდენენ ზეგავლენას სოციალური ფაქტორები ენის განვითარებასა და მის ფუნქციონირებაზე. ამიტომ კვლევის ობიექტებია სოციალური დიალექტი და იდიოლექტი, ანუ ცენტრალური ადგილი უჭირავს პრობლემას ენისა და ამ ენის მფლობელი პიროვნების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ე. ი. ენის შესწავლის პროცესში აქტიურად აღმოჩნდა ჩართული პიროვნებაც (მფლობელი ენისა). შესწავლის საგანი გახდა მისი დამოკიდებულება ენისადმი, საზოგადოებრივი მოქცევა მისივე მეტყველების საშუალებით.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და სოციალურმა პროცესებმა დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე. მოვლენათა საზოგადოებრივი შეფასება უშუალოდ აისახება ენაში, მაგრამ იმავდროულად ენაში მექანიკურად კი არ აირეკლება ესა თუ ის ფაქტი ყოფიერებისა, არამედ ხდება მისი გაცნობიერება გარკვეული საზოგადოებრივი მსოფლხედვის საფუძველზე.

პოლიტიკური წყობის რევოლუციური გადახალისება უშუალო ზეგავლენს ახდენს სოციალურ დიალექტებზე.

სოციალური დიალექტი განიმარტება როგორც ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენისათვის ნიშანდობლივი სუბვარიანტი მეტყველებისა, შეპირობებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, რწმენითი ფაქტორებით, ანუ: ამა თუ იმ სოციალური ფენის მსოფლგაგებითა და სულისკვეთებით (მაკდევიდი, 1975).

ენით უტყუარად იგრძნობა და წარმოჩნდება საზოგადოებაში არსებული სოციალური პროცესები (ლაბოვი, 1975).

რასაკვირველია, სოციალური ფაქტორები უშუალო ზეგავლენას ვერ მოახდენენ ენაზე. ისინი ზემოქმედებენ ადამიანის ცნობიერებაზე, ხოლო ცნობიერება ენაზე, ამიტომაც აღნიშნავდა ჯ. ფიშერი, რომ ხიდი ენასა და სოციალურ სტრუქტურას შორის შეიძლება დაიძვნოს ფსიქოლოგიაში (ფიშერი, 1975).

სოციალურ დიალექტებში შემოდის 1) მეტყველების ასაკობრივი ფაქტორით შეპირობებული დიფერენციაცია. ახალგაზრდობა ნებსით თუ უნებლიეთ ცდილობს დაუპირისპირდეს უფროს და თავის მომდევნო თაობას არა მხოლოდ ქცევით, არამედ მეტყველებითაც (ჯორბენაძე, 1989, 42); 2) პროფესიული დიალექტები. პროფესიის მიხედვით საზოგადოების ამგვარი განაწილება საფუძველს უქმნის სპეციფიკური პროფესიული ნიშნების გამომუშავებას, დაწყებულს სულიერი წყობით და დამთავრებულს საზოგადოებაში მოქცევით, რაც მეტყველებაშიც იჩენს თავს. უძველესი პროფესიული დიფერენციაცია სქესის მიხედვით ხდებოდა. მამაკაცსა და ქალს თავთავისი მოვალეობა ეკისრებოდა საზოგადოებაში. მამაკაცისა და ქალის მეტყველების დიალექტური დიფერენცირება აქედან უნდა იღებდეს სათავეს (შორი, 1926), შემდეგ კი, სადაც შემორჩა, სოციალური დიალექტების იერი მიიღო; 3) ყარაგონი და არგო, რომლებიც ასევე ძირითადად ლექსიკითა და ფსიქოლოგიით სხვაობენ.

სოციალური დიალექტები ფართოდ აისახება მხატვრულ ლიტერატურაში. ზოგადი ტიპის განმარტებით ლექსიკონებში ამგვარი სიტყვები და გამოთქმები ან საერთოდ არ შეაქვთ, ან შეაქვთ ძალიან დაგვიანებით, რის გამოც მთარგმნელებს დიდი სიძნელეები ექნებათ, რაც ართულებს ტექსტის ზოგიერთი ადგილის სწორად გაგებას.

ნ. საყვარელიძე აღნიშნავს „სოციალური ვარიანტულობის ელემენტები მეტწილად მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟთა სამეტყვე-

ლო პორტრეტებში მოიპოვება (საყვარელიძე, 2001, 183). თუმცა ამ ელემენტებმა შესაძლოა დაბრკოლება შეუქმნან მთარგმნელს ერთი ენიდან მეორეში მათი გადატანისას.

სოციალური ვარიანტულობის ტრანსპოზიციისას მთავარია თარგმანში აისახოს ის სამეტყველო რეფლექსები, რომლებშიც ჩანს ადამიანთა პირადი ურთიერთობების ხასიათი, მათი სოციალური როლები ურთიერთდამოკიდებულებაში, ფსიქოლოგიური განწყობა, ასაკობრივი სხვაობა და სხვა.

კომპიუტერიზაციის გლობალურმა პროცესმა, რომელიც თანამედროვე ცივილიზებული ერის აუცილებელ ატრიბუტად იქცა, დღის წესრიგში დააყენა მხატვრული ნაწარმოებების სპეციალური კორპუსის შექმნა, რათა მოხდეს მათი ელექტრონული დამუშავება. კორპუსის სოციოლინგვისტური ანალიზი კი მოგვცემს მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას. ამისათვის კი აუცილებელია სოციოლექტიზმების სიტყვარის შედგენა და მათი ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ანალიზი საკომუნიკაციო აქტის მონაწილეთა სოციალური, ფსიქოლოგიურ და კოგნიტიური მახასიათებლის იდენტიფიკაცია.

ლიტერატურა

არგეილი, 1967 — M. Argyle, The Psychology of Interpersonal Behaviour, Harmondsworth. Penguin, 1967.

ბლუმფილდი, 1968 — Л. Блумфилд, Язык, Москва, 1968.

მარი, 1934 — Н. Марр, Яфетическая теория, общий курс учения об языке, избранные работы, Москва-Ленинград, 1934.

ჯირმუნსკი, 1936 — В. Жирмунский, Национальный язык и социальные диалекты, Ленинград, 1936.

საყვარელიძე, 2001 — ნ. საყვარელიძე, თარგმანის თეორიის საკითხები (ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები), თბ., 2001.

ფიშერი, 1975 — Д. Фишер, Синтаксис и социальная структура, Труд и понапе, Москва, 1975.

შორი, 1926 — Р. Шор, Язык и общество, Москва, 1926.

ჯორბენაძე, 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1989.

Towards the Study of Georgian Sociolects

Summary

The fact that sociolects have not been sufficiently studied in Georgia is quite explicable. However, the sociopolitical changes that took place in the post-Soviet epoch caused social differentiation of the language and increased the role of sociolects in various fields of society life. Hence the issue of sociolects was brought into the focus of scholarly studies. The global process of computerization has made it vital to build a special corpus of literary works for their further computational analysis. The sociolinguistic analysis of the corpus in question will enable us to make important conclusions.

ჰეთვან ბენეაზვილი

ქართველურ ენათა ღიჟარენციაციის საკითხის
ისტორიისათვის

1894 წლის 20 ნოემბერს გაზეთი „ივერია“ (№ 247) იუწყებოდა, რომ ვენაში გამოქვეყნდა რ. ფონ ერკერტის წიგნი „Die Sprachen des kaukasischen Stammes“ (ნაშრომი დათარიღებულია 1895 წლით, ქ.გ.) ფ. მიულერის წინასიტყვაობით. როგორც ცნობილია, ერკერტსა და მ. ჯანაშვილს პირადი მიმოწერა ჰქონდათ (დაახლოებით 50-ზე მეტი წერილი ეხება ქართული კულტურის სხვადასხვა საკითხს), რამაც დიდად შეუწყო ხელი ამ წიგნის შექმნას. გაზეთი „ივერია“ წერდა: „ავტორი თავის ნაშრომს მიუძღვნის რუსეთის სახელმწიფო კარის მინისტრს გრაფ ილარიონ ივანეს ძე ვარანცოვ-დაშკოვს და დიდ მადლობას სწირავს თავის უმთავრეს თანამშრომელს მოსე ჯანაშვილს, ამ, მისის სიტყვით, კეთილშობილ და გულმოდგინე ქართველს“.

ნაშრომში წარმოდგენილია მასალა სხვადასხვა კავკასიურ ენაზე. მათ შორისაა „ენები და კილოკავნი ქართული : ინგლისური, ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური... ქართული ფრაზების წინარე ჩართულია ა) განხილვა ქართული ენისა და გრამტიკისა, ბ) ფონეტიკა ქართული ენისა და მისთა კილოკავთა გ) და ხე ქართლოსიანთა ენისა: რომლიდგანაც უმთავრეს ღეროდ წამოვიდა აწინდელი ქართული ენა და მისი ტოტები: სვანური, მეგრულ-ლაზური და მთიელ ქართველთა კილო-კავნი: ხევსურ-თუშური და ინგილოური. ამ განყოფილების სათაურს აღნიშნულია ასრე: „მოსე ჯანაშვილის მიერ გამოცემულ მასალიდგან“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია მ. ჯანაშვილის ერთ-ერთი ნაშრომი „Материали к фонетике грузинского языка“, რომელიც რუსულ ენაზეა შესრულებული. ავტორს ხელნაწერი 1895 წელს აქვს დათარიღებული. ეს არის ერთგვარი ცდა ქართველური ენებისა და დი-

ალექტების მიხედვით ფონემათა შედარებითი შესწავლისა. მკვლევარს უხელმძღვანელია თავის მიერ შედგენილი შედარებითი ლექსიკონით, რომლის მასალად გამოყენებული ჰქონდა სვანურის, მეგრულის, ლაზურისა და ქართულის კილოების მცოდნეთა მონაცემები, ამავე პირებისაგან ჩაწერილი ტექსტები და IX საუკუნის შემდგომი პერიოდის წერილობითი ძეგლები.

ნაშრომისათვის მ. ჯანაშვილს დაურთავს ე. წ. „Предварительная заметка“, სადაც მოცემულია ისეთივე „ხე ქართლოსიანთა ენისა“, როგორც წარმოდგენილი იყო ერკერტის წიგნში. მკვლევრისათვის „ქართველური ენა“ ქართული ენის აღმნიშვნელია, რომელსაც თავისი განვითარების გზაზე გამოეყო სვანური, მეგრულ-ლაზური და მთიელთა მეტყველება. სვანური და მეგრულ-ლაზური არ არის მიჩნეული ენებად. ავტორისთვის ამოსავალია ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისი — ქართული ენა რელიგიის, პოლიტიკისა და ლიტერატურის ენა იყო ძველთაგანვე, რომლის გამოყენების არეალი ლაზეთიდან კასპიის ზღვას სწვდებოდა.

შ. ძიძიგური წერდა: „ვინ იცის, ეგებ ლინგვისტური თვალსაზრისითაც მეგრულ-სვანურის ენებად მონათვლა მაშინ (მ. ჯანაშვილის მოღვაწეობის დროს ქ. გ.) მცდარი არ იყო, რამდენადაც იმდროინდელ მეცნიერებაში ენისა და დიალექტის გამიჯვნის კრიტერიუმები ზუსტად დადგენილად არ ითვლებოდა (ჯანაშვილი, 1956, 36).“

ჩვენი აზრით, მ. ჯანაშვილისათვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო ზღვრის დადება ენასა და დიალექტს შორის. სვანური, მეგრულ-ლაზური და მთიელთა მეტყველება ერთი ტერმინით არ არის აღნიშნული, რადგან ავტორისათვის მათ შორის არსებული განსხვავება ხელშესახებია — სვანური და მეგრულ-ლაზური უფრო მსხვილი ერთეულებია, ამიტომ „нарчіе“-ს უწოდებს, მთიელთა მეტყველებას „говор“-ი დაარქვა. ასეთი სახელდება მიუთითებს, რომ მეცნიერი მათ ლინგვისტურად ერთ სიბრტყეზე ვერ მოიაზრებდა (თუმცა ორივე ტერმინი დიალექტის ფარგლებს არ სცილდება).

სვანურისა და მეგრულ-ლაზურის ქართული ენის დიალექტებად წარმოდგენა მ. ჯანაშვილის პოზიცია უნდა იყოს რუსეთის ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკის პირობებში, რომელიც არღვევდა, აქუცმაცებდა დაპყრობილ ხალხთა ეროვნულ ცნობიერებას. მკვლევარი სხვა ნაშრომებშიც შტოებად, დიალექტებად, კილოებად მოიხსენიებს ქართველურ ენებს, მაგრამ ზოგან წერს: „პატივცემული ცაგარელი

ბეჯითად შეუდგა ქართული ენის და მის შტოების შესწავლასა და გამოკვლევას. ცაგარელმა 1876 წლიდან 1879 წლამდე ადგილობრივ სამეგრელოში შეისწავლა **მეგრული ენა** და შეპკრიბა ვრცელი მასალა, როგორც ამ **ენის** შესახებ, ისე ლაზურისა და სვანურისა“... (მეცნიერთა აზრი ქართული ენის შესახებ „ივერია“ № 232, 1888)...

მ. ჯანაშვილის აზრით, ძველ ქართულ ენაში ჩნდებოდა სიტყვა-წარმოების, ბრუნებისა და უღლების ბევრი სახე. დროთა განმავლობაში ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული ფორმები მკვიდრდებოდა. „Къ укреплению и утвержению провинциости говора, конечно, также способствовали съ одной стороны замкнутость и молосообщительности некоторых провинций съ центромъ царства Картвелов и съдругой — дѣленіе этого царства на самостоятельные княжества (съ XIXв)“. ქართველური განშტოების წარმოქმნა ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდთან არის დაკავშირებული, ე. ი. მ. ჯანაშვილს ეს პროცესი უფრო გვიანდელ მოვლენად მიაჩნია, ვიდრე თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშია ნაგარაუდები.

მკვლევრის აზრით, ძველი ქართული ენის ისეთი ლექსემები, რომლებიც ახალ ქართულში აღარ არსებობს, შემონახულია ძველ წერილობით ძეგლებში, მეგრულ-ლაზურში ან მთიელთა მეტყველებაში. იგი წერს: „в древнее время и таковыя слова, как видно изъ письменныхъ памятниковъ входили в составъ живой рѣчи всего картвельскаго племени“. ამის მაგალითად მიაჩნია კვირის დღეების არქაული სახელწოდებები.


ძველი ქართული ენის ამსახველ ფაქტად ითვლება სვანურსა და მთიელთა მეტყველებაში არსებული სახელობითის უნიშნო ფორმები. „В грузинскомъ слово тоті (лапа) именная форма (именит. пад.) а въ сванскомъ и ингилойскомъ родительный падежь, именительный же: въ сванскомъ туэт, в ингилойскомъ тот.“

სახელებთან სახელობითის მარკერის გაჩენა ქართულსა და მეგრულში გვიანდელ წარმონაქმნად არის მიჩნეული. მ. ჯანაშვილის აზრით, მეგრულისა და ქართულის სახელობითის ფორმები სვანურსა და მთიელთა მეტყველებაში ნათესაობითია. „Въ грузинскомъ

хэмі (хумі) именная форма, а в сванскомъ родит. пад.; именительная же хвім“. მოხმობილი მაგალითების მიხედვით (მამიდა, დედა, маминацолі, დედაцолі) მკვლევარი ვარაუდობს, რომ ქართულში ძველადვე „ი“ ნათესაობითის ბრუნვის ნიშანი იყო. წინააღმდეგ

შემთხვევაში იქნებოდა маміда, დედა, ... მ. ჯანაშვილის აზრით, სახელობითის ი ნიშანი რომ ნათესაობითისგანაა მიღებული, კარგად ჩანს „მამი“, „დედა“, „ჯამი“ ფუძეებიდან, რომლებიც ასევე წოდებითი ბრუნვისა და ალერსობითი სახელების ფორმებია.

მ. ჯანაშვილი ამ მაგალითების ფონზე აკეთებს შემდეგ დასკვნას: „Поэтому если картвельский языкъ представить в видѣ дерева, то стволъ его от начала до макушки изобразить древне и ново Картвельскій (грузинскій) языкъ, самая нижняя вѣтвь на этомъ стволѣ сванское нарѣчіе, средняя вѣтвь мингрельско-лазское наречіе, вѣтвь у макушки — говоры горцев (хевсурь, пшавов, ингилойцевъ и тушинь)“. იგი შესაბამისად ასეთ სქემას ღებულობს.



მართალია, მ. ჯანაშვილი აღნიშნავს, რომ ქართველური ენის ფონეტიკის შესწავლის შედეგად წარმოგვიდგინა ქართველური განშტოებები, მაგრამ მოხმობილი მაგალითები ფონეტიკური ხასიათისა არ არის. მისი მსჯელობა არ ემყარება ბგერათმეცნიერების ფაქტებს. მკვლევარი წარმოგვიდგენს ლექსიკურ-მორფოლოგიურ მასალას. ასე, მაგალითად, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად მიჩნეულია „ი“, რომლისგანაც წარმოიქმნა სახელობითის მარკერი.

ქართულში ნათესაობითის ბრუნვის ნიშნად -ის, -ს, -სი (ძველ ქართულში -ის, -ს, -სა) ალომორფები გვაქვს. იშ, -იში, -ში, -ში — მეგრულსა და ლაზურში, სვანურში — -იშ, შ, -აშ, -ეშ, -მიშ, -შა, -ში, -ემ დასტურდება. „პრეპოზიციურ მართულ მსახლვრელთან (აგრეთვე ნათესაობითში დასმული უბრალო დამატებასთან) ნათესაობითი ბრუნვის მორფემა წარმოდგენილია /-ი/, /- / (ლაზ. /-ა/), ან /-ე/ ალომორფებით. /-ი/ სუფიქსი /-იშ/-ს ცვლის (ე. ი. იმ სახელებთან არის წარმოდგენილი, რომელთაც დამოუკიდებლად ბრუნებისას /-იშ/ ალომორფი აქვთ), /- / (ლაზ. /-ა/) — /- შ/-ს, ხოლო /-ე/ — /-ეშ/-ს“. (ონიანი, 1989, 185).

ქართული ენის ზოგიერთი დიალექტის ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთი თვისება ჰგავს სვანურისას, კერძოდ, პრეპოზიციურ მართულ მსაზღვრელთან ნათესაობითის -ის ნიშნის ნაცვლად ზოგჯერ ი არის წარმოდგენილი (მაგალითად, ხელმწიფი შვილი, ჭერმი ტოტი... (ქართლური, კახური...)). ამგვარად, -ი -ის/-იშ-ის ალომორფია ქართველური ენების ზოგიერთ დიალექტში მხოლოდ განსაზღვრულ პოზიციებში. სამეცნიერო ლიტერატურაში ნათესაობითის ის/ს (ასევე სახელობითის ი/) მორფემის არსებობა ივარაუდება ქართველური ფუძე ენის დონეზე. გარდა ამისა, მამიდა, დედა ტიპის სიტყვებში ფონეტიკურ მოვლენასთან — ბგერის დაკარგვასთან გვაქვს საქმე. ასევე, მამი, დედი, ძამი მიმართვის ფორმები მამილო, დედილო, ძამი-კო კნინობით-ალერსობითი სახელების შემოკლებული ვარიანტებია. ამგვარად, „მამი“, „დედი“... ნათესაობითის პირველადი, სრული სახე არ არის.

სახელობითის უნიშნო ფორმები (ტრადიციული ტერმინოლოგიით წრფელობითი) მართლაც დასტურდება ძველ წერილობით ძეგლებში, თუმცა აქვეა წარმოდგენილი სახელობითი ნიშნის მქონე ლექსემებიც. ხშირად ეს ბრუნვები ერთსა და იმავე ტექსტში ფუნქციითაც ენაცვლებიან ერთმანეთს. ი. იმნაიშვილის აზრით, „ძველი ქართული ამ ორი ბრუნვის ურთიერთობის იმ მდგომარეობას ასახავს, როცა სახელობითი კარგა ხანია ჩამოყალიბებულია, წრფელობითი კი თანდათან გადის ხმარებიდან (იმნაიშვილი, 1957, 637). სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ბრუნვათა დიაქრონიული ურთიერთ-მიმართების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

ქართველურ ენათა დიფერენციაციის შესახებ არაერთი მოსაზრება გამოითქვა (მარი 1910; დეეტერსი 1930; ჩიქობავა 1948; შმიდტი 1962; ლომთათიძე 1993; ქურდიანი 1996... (მ. ჯანაშვილის მიერ წარმოდგენილი ე. წ. „ქართლოსიანთა ხე“ ქართული ენათმეცნიერების ისტორიაში პირველი მცდელობაა ამ ენათა (მ. ჯანაშვილის მიხედვით დიალექტების) დაყოფის პროცესის აღწერისა. აღსანიშნავია ისიც, რომ მისი და გ. დეეტერსისეული სქემის აგების პრინციპი არსებითად ერთნაირია.

ლიტერატურა

იმნაიშვილი, 1957 — ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

კვაჭაძე, 1993 — ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბ., 1993.

მაჭავარიანი, 2002 — გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2002.

ონიანი, 1998 — ა. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998.

ონიანი, 1989 — ა. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989.

სარჯველაძე, 1984 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

სარჯველაძე, 1997 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980.

შანიძე, 1981 — ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1981.

შანიძე, 1976 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ჯანაშვილი, 1956 — მ. ჯანაშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1956.

ერკერტი, 1985 —R. von Erckert, Die Sprache des Kaukasisch Stammes, wien, 1895.

KETEVAN GENEBAŠVILI

Towards the History of the Differentiation of the Kartvelian Languages

Summary

The differentiation of the Kartvelian languages is a issue widely discussed in scholarly literature (N. Marr, G. Deeters, A. Chikobava, K. Schmidt, K. Lomtadze, M. Kurdiani...). In the history of Georgian linguistics M. Janashvili was the first scholar to have presented the genealogical tree of the Kartvelian languages. The diagram appeared in R. von Erckert's work

"Die Sprachen des Kaukasischen Stammes" (Vienna, 1895).

M. Janashvili's approach towards the issue is depicted in one of his manuscripts "Материалы к фонетике грузинского языка" (1895). It is noteworthy, that M. Janashvili's and G. Deeters' diagram _ building principles are essentially the same.

გაბა ხმსტავაზშილი

ქართული დამწერლობის პროტოტიპისა და ანბანის პრონოლოგიის საკითხი თეოდო შორდანიას ბრამატიკაში

ა) ქართული დამწერლობის სათავადაობა

ვიდრე უშუალოდ საკითხის არსს შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ იმ თეორიებზე, რომლებიც ზოგადად გამოთქმულა ქართული დამწერლობის წარმოშობის ისტორიასთან დაკავშირებით.

ქართული დამწერლობის ისტორიის მკვლევარნი ჩვენი ანბანის მოხაზულობისა და რიგის არქეტიპს ძირითადად ბერძნული (გამყრელიძე, 1989; დანელია, სარჯველაძე, 1997, ურტუაძე, 1964; ბაქრაძე, 1889-92; სარჯველაძე, 1997) და არამეული (ჯავახიშვილი, 1949) დამწერლობების წიაღში ეძებენ.

დამწერლობა კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ფასეული გამოვლინებაა, ამიტომ იმის გარკვევას, თუ რა დროიდან არსებობს იგი ჩვენში და საიდან მომდინარეობს, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ქართულ დამწერლობაზე საუბრისას შეუძლებელია, გვერდი ავუაროთ ძვ. წ. აღ.-ის XIV-XIII საუკუნეების მითოსურ თქმულებას არგონავტებზე, რომელშიც აღნიშნული საკითხის შესახებ ყველაზე არქაული ცნობებია დაცული.

ანტიკური ბერძნული წყაროები გვაუწყებენ, რომ კოლხეთის მეფეს აიეტ ჰელიოსის ძეს ღმერთთან მიახლოების ილუმალი საშუალება — საკუთარი დამწერლობა ჰქონია.

როგორც ცნობილია, დამწერლობა იმდროინდელ სამყაროში ღვთაებრივ მოვლენად იყო მიჩნეული. ეგვიპტეში მას ჰყავდა საკუთარი ღმერთი — თოთი, რომელსაც ღმერთ რაეს სიტყვების ჩასაწერად ეგვიპტური იეროგლიფები შეექმნა თურმე. ალბათ, ამიტომ ბერძნები იეროგლიფებს „ღვთიურ ამონაკვეთს“ უწოდებენ (ურტუაძე, 1964).

პოემა „არგონავტიკა“, დამწერლობის თვალთახედვით, ყურადღებას იქცევს სამი მოვლენით — „კოლხური კვირბებით“, „აიეტის სამისნო სამფეხითა“ და „ოქროს საწმისით“.

აპოლონიოს როდოსელის ცნობით, „კოლხებს შემონახული აქვთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომელზედაც მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვის და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“ (ჰელიძე, 2000, 5). ბერძნულად **კვირბი** (კირიბი) ნიშნავს მაგარ საწერ მასალას (დაფას, ფირფიტას, ბოძს), რომელზეც საზღვაო და სახმელეთო მინიშნებების გარდა, საკანონმდებლო, საკრალური, საღვთისმსახურო ტექსტებიც იწერებოდა. ბერძნულ და სხვა ინდოევროპულ ენებზე „კვირბის“ ახსნა არ მოხერხდა. მას ქართულ, კერძოდ, კოლხურ მოვლენად მიიჩნევდა სტრაბონი. იგი წერდა, რომ „კორიბანტები, რომელთაც დამწერლობის — კვირბების შექმნა მიეწერებათ, კოლხთაგანი არიან“ (იქვე). ისტორიკოსმა ვლ. სიჭინავამ კვირბი დააკავშირა მეგრულ სიტყვასთან „კირიბი“, რაც კრავს, ბატკანს ნიშნავს (ჰელიძე, 2000, გვ. 7; ჭარაია, 1997).

სიტყვები — „კოლხებს შემონახული აქვთ მამათაგან ნაწერი კვირბები...“ — ეკუთვნის აიეტის შვილიშვილს, ქალკიოპეს ვაჟს, არგოსს, იმავე აიეტის თანამედროვეს. გამოდის, რომ აიეტის წინაპრებზე საუბარი, ე. ი. კოლხებს დამწერლობა აიეტის ეპოქამდეც ჰქონიათ.

„წარწერიანი სამისნო სამფეხი“ ყოფილა აიეტის საკუთრება, რომელიც მედეამ სამეფო გვირგვინთან და მოსასხამთან ერთად სახლიდან გაიტაცა. იგი წარმოადგენდა ეპიგრაფიკულ ძეგლს — ზედწერილს.

რალა არის „ოქროს საწმისი“?

IV-III საუკუნეების ბერძენი სწავლულის, პალეფატეს სიტყვებით, „კოლხეთში დაცული ტყავი ნამდვილად ოქროს საწმისი კი არ იყო, ... არამედ — ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმისის საშუალებით“ (ურუშაძე, 1964, 150).

ამასვე გვაუწყებს ახ.წ. აღ-ის II საუკუნის ისტორიკოს-ფილოსოფოსი ხარაქს პერგამელიც, რომლის ცნობა დაუცავს ევსტათი თესალონიკელს (ახ. წ. აღ-ის XII ს.). მისი თქმით, ხარაქსი აღნიშნავდა, რომ ოქროს საწმისი იყო ეტრატზე აღნუსხული ხერხი ოქროს მოპოვებისა, რომლისთვისაც „არგოს“ ლაშქრობა მოეწყო.

„თესალონიკელზე სამი საუკუნით ადრე „მსოფლიო ქრონიკის“ ავტორს იოანე ანტიოქელს თავის თხზულებაში პირდაპირ გადმოუტანია პალეფატეს ნათქვამი — ოქროს საწმისი წიგნი იყო ტყავზე ნაწერიო. ამასვე იმეორებს ლექსიკოგრაფი სვიდა (X ს.)“ (ჰელიძე, 2000, 8).

მაშასადამე, აღნიშნული ცნობების მიხედვით, კოლხებს აიეტამდეც ჰქონიათ დამწერლობა, თუმცა ეს ე. წ. „კვირბები“, „წარწერიანი სამისნო სამფეხი“ და წიგნად ნაგულისხმები „ოქროს საწმისი“ ჩვენამდე მოღწეულ დამწერლობამდე მაინც ვერ მიგვიყვანს, რადგან ისინი იყო „... ლოკალური მიზნით შემუშავებული და მეტად შეზღუდული რაოდენობის პირთათვის გასაგები პიქტოგრაფიული დამწერლობა კოდი. ამ „დამწერლობას“ არავითარ შემთხვევაში არ ჰქონდა ქართული სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა“ (ფოცხიშვილი, 1955, 74).

მეორე ჰიპოთეზა ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ ეკუთვნის ლეონტი მროველს: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა, გინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განაგრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (ქართული მწერლობა, 1987, 58). ამ მოსაზრებას ბევრი მომხრე (სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბაგრატიონი, ანტონ ბაგრატიონი, თეიმურაზ ბაგრატიონი...) ჰყავდა, თუმცა მალე ცნობის სისწორეში ეჭვი შეიტანეს (ივ. ჯავახიშვილმა, პ. ინგოროყვამ, რ. პატარიძემ, ზ. სარჯველაძემ...).

დღეს გავრცელებული ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, ფარნავაზს არ შეუქმნია ქართული დამწერლობა (იგი მანამდეც არსებობდა), მხოლოდ „ქართული სახელმწიფოს შექმნასთან ერთად ქართული დამწერლობა ერთიან სახელმწიფო დამწერლობად გამოცხადდა“ (პატარიძე, 1980, 513).

განსხვავებული მოსაზრება აქვს ლ. ჭილაშვილს, რომელიც აღნიშნავს, რომ ფარნავაზის მეფობისას იწყება ცეცხლის კულტურის განსაკუთრებული გავრცელება, მანვე დააფუძნა აპტრა მაზდას კულტი და თვით კი ღმერთის რანგში მოგვევლინა. „მწიგნობრობა“, პირველ რიგში, „უნდა გავიგოთ როგორც „წიგნის“ რელიგიური შინაარსის სჯულის კანონთა კრებულის დოკუმენტური გაფორმება. „ბიბლია“ წიგნია, ისევე როგორც „ყურანი“, „წიგნის ხალხი“ კი —

გარკვეული სჯულის წიგნის მიმდევარი. „მწიგნობრობა“ პირველ რიგში უნდა გავიგოთ, როგორც სჯულის კანონის წიგნის შექმნა. მასა-სადამე, მწიგნობრობის შემოღებაში პირველ რიგში საეკლესიო წიგნების თარგმან იგულისხმება“ (ჭილაშვილი, 2001, მწიგნობარი, 118).

ზ. სარჯველაძის აზრით კი, „ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ ცნობა ალბათ გულისხმობს სახელმწიფო საჭიროებისთვის საკანცელარიო მიზნებისათვის ბერძნულის ან არამეულის გამოყენებას“ (სარჯველაძე, 1984, 76). ამას ადასტურებს ბერძნული და არამეული ძეგლები, აგრეთვე, — არმაზის ბილინგვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ალ. ფოცხიშვილი უფრო მართებულად მიიჩნევს, დაგვეშვა, რომ ქართული მწიგნობრობა შემოღებულ იქნა ბერძნულის ბაზაზე. ფარნავაზის მეფობის დროიდან ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შედეგად განმტკიცდა ქართული ენა და „... თუ მანამდე ყოველგვარი მიმოწერა, არა მხოლოდ საერთაშორისო მნიშვნელობისა, არამედ შინახელისუფლების დონეზეც, უცხო (უნდა ვიფიქროთ, ბერძნულ) ენაზე წარმოებდა, ამ დღიდან ბერძნული ენა შეცვალა ქართულმა. სამეფო კარის ენად დაამტკიცეს ქართული, ოღონდ ბერძნულ ანბანზე დაყრდნობით“ (ფოცხიშვილი, 1995, 78), ხოლო მოგვიანებით, ქრისტიანული რელიგიის შემოღების შემდეგ კანონიკური ლიტერატურის თარგმნის საჭიროებამ მოითხოვა საკუთარი ანბანის შექმნა, რომელიც უფრო მიესადაგებოდა ენის თავისებურებებს და ამიტომაც ასომთავრული ანბანი შეიქმნა.

ჩვენი დამწერლობის ისტორიაში ასომთავრული ანბანის ყველაზე ადრეული ნიმუში (პალესტინაში, ბეთლემში იატაკზე აღმოჩენილი მოზაიკური წარწერა) V საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. ამიტომ დამწერლობის ისტორიაზე საუბარს ამ პერიოდიდან ვიწყებდით, რადგან სხვა უფრო ადრინდელი დოკუმენტური მასალა არ მოგვეპოვებოდა. საბედნიეროდ, ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც ნეკრესის ტერიტორიაზე (ყვარლის რიონში) ასომთავრულით შესრულებული შვიდი წარწერა აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ყველა დაზიანებულია.

ამ წარწერათაგან ერთი ამოკაწრულია ქვევრის პირზე, სველ თიხაზე, ვიდრე მას გამოწვავდნენ, ექვსი შესრულებულია საფლავის ქვებზე, რომლებიც მეორადი მოხმარების მიზნით სამშენებლო მასალად გამოუყენებიათ და სასახლე-დარბაზისა და საწინახელის კედლებში ჩაუშენებიათ, მათგან ორი 1986 წელს აღმოჩნდა, ხოლო

1987 წელს — კიდევ ოთხი, რომელთაგან სამი ფიქალ ქვაზეა ამოკვეთილი, ერთი კი, ასევე, ფიქალ ქვაზე ამოკაწრული.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1999 წელს ნაპოვნი სტელის ფორმის ფიქალზე ამოკვეთილი წარწერა. ეს არის საფლავის ქვა, რომელიც, როგორც ჩანს, ნიაღვარს თავისი ადგილიდან მოუშორებია და საურმე გზის პირას გადმოუტანია. მას, ნეკრესის სხვა წარწერებისგან განსხვავებით, ორი სიახლე ახასიათებს. „ის ხანმეტურია და მასში გვხვდება ძველი ქართული წყაროებისთვის უცნობი სოციალური ტერმინი „აზატი“ (ჭილაშვილი, 2001, მწიგნობარი, 116), რაც თავისუფალს აღნიშნავდა. ლ. ჭილაშვილის თქმით, „აზატები მძიმედ შეჭურვილი ცხენოსანი მეომრები იყვნენ. არის ვარაუდი, რომ მასთან არის დაკავშირებული ქართული სოციალური ტერმინი აზნაური — მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლის სახელი... აზატის ინსტიტუტის არსებობა საქართველოში შეიძლება ახ.წ. პირველი საუკუნიდან ვივარაუდოთ. ადრეულ ძეგლებში ის არ გვხვდება (იქვე).

ზ. ჭუმბურიძე ამ მოსაზრებას არ იზიარებს. მისი თქმით, **აზატი** საკუთარი, ანუ პიროვნული სახელი უნდა იყოს, რადგან „... სოციალური ტერმინი ანუ საზოგადო სახელი რომ ყოფილიყო, ის სხვა ფორმით იქნებოდა წარმოდგენილი (აზატისა და არა აზატისი)“ (ჭუმბურიძე, 2001, 127).

ნეკრესის წარწერები, ქვევრის პირას ამოკვეთილი წარწერების გარდა, საფლავის ქვებს წარმოადგენს, რომლებიც შემდეგ სამშენებლო მასალად გამოუყენებიათ. მათგან ოთხი შეიცავს საკუთარ სახელებს: აბაზა, თობულ, ლევაკი, აზატ (აზატის შესახებ, როგორც აღვნიშნეთ, ლ. ჭილაშვილსა და ზ. ჭუმბურიძეს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ, ჩვენ საკუთარ სახელად მივიჩნევთ).

აღნიშნული წარწერები, ლ. ჭილაშვილის აზრით, ერთი ხელით არ უნდა იყოს შესრულებული. გრაფემების გამოყვანის სტილიც განსხვავებულია, ამიტომ ისინი სხვადასხვა ქრონოლოგიურ ჭრილშია საგულგველი.

ნეკრესის წარწერათა (ქვევრის პირზე აღმოჩენილი წარწერის გარდა) დათარიღების შესახებ ლ. ჭილაშვილი ამბობს, რომ ისინი „წინარექრისტიანული შემოქმედების ნაყოფია. არქეოლოგიურად... თარიღდება ახ. წ. I-II საუკუნეებით... ამგვარ დათარიღებას ეთანხმება წარწერაში დადასტურებული სოციალური ტერმინი „აზატი“ და ტექსტის ხანმეტურობა“ (ჭილაშვილი, 2001, მწიგნობარი, 117).

ზ. ჭუმბურიძე აღნიშნულ წარწერათა დათარიღებისთვის ლ. ჭილაშვილის მიერ მოტანილ არგუმენტებს (პალეოგრაფიული თავისებურებები: თავშეკრულობა, მარცხნივ გაზიდული ხაზისა და ქარაგმის არსებობა, კუთხოვანება, ხანმეტობა, განკვეთილობისა და სასვენი ნიშნების უქონლობა...) საფუძვლიანად მიიჩნევს, თუმცა დასძენს, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეპიგრაფიკული ძეგლებიდან დღემდე ცნობილ ხანმეტ ფორმებს (დადასტურებულთ ბოლნისის, მცხეთის, უკანგორისა და ურბნისის წარწერებში) მიემატა ნეკრესის წარწერები, აღმოჩენილი იბერიის ცენტრალური ნაწილიდან საკმაოდ დაშორებულ გეოგრაფიულ პუნქტში, ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე. ეს კი „იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ ხანმეტობა მხოლოდ ერთი დიალექტის ან დიალექტური წრის დამახასიათებელი მოვლენა არ ყოფილა. მაგრამ ეს ნიშანი წინარექრისტიანული თუ ქრისტიანული ხანის ქართულს VIII საუკუნემდე ახასიათებდა და ამიტომ ის არ გამოდგება აღრეული პერიოდის ძეგლების ზედმიწევნით დასახასიათებლად“ (ჭუმბურიძე, 2001, 126). ავტორი იმავს იმეორებს სხვა პალეოგრაფიულ ნიშნებზეც.

ჩვენი აზრით, ზ. ჭუმბურიძე სრულიად სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას სხვა ფაქტორზე. იგი აღნიშნავს: „ნეკრესის წარწერებში არსად ჩანს ქრისტიანული ხანის ძეგლთათვის დამახასიათებელი ნიშნები — ჯვარი ან ქანწილი, მიმართვის ფორმები: „ქრისტე“, „უფალო“, „ღმერთო“ ან ლოცვა-ვედრების დაბოლოებანი: „ამენ“, „იყავნ“ და სხვ... არცერთ მათგანში პიროვნულ სახელთა შორის არ ურევია ქრისტიანული სახელები, ყველა წარმათულია (აბაზა, თობულ, ლევაკი, აზატ)“ (იქვე). ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული წარწერები ნამდვილად წინარექრისტიანული ხანისაა.

ამ მოსაზრებას ამყარებს კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი; მსგავსად ქრისტიანული ცხოვრების დაკანონებული წესებისა, რომლებიც ითვალისწინებს ტექსტის დაწყებას ვედრებით („უფალო“, „ღმერთო“, „იესო ქრისტე“), დამთავრებას კი — დასტურით („ამინ“, „იყავნ“, „იყოს“), მაზღეანური რელიგიის აღმსარებლობაც წარწერის გარკვეული კრიტერიუმებით შესრულებას მოითხოვდა.

ნეკრესის წარწერათა შორის, ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს ქვევრის პირზე შესრულებული წარწერა, რომელშიც ასოები ორ რიგადაა განლაგებული:

|| რიგი: ა ~ ე უღ ს ~ჟ კი

|| რიგი: ძუჟუღ

(ჭილაშვილი, 1990, 105).

იშიფრება ასე: მ ~ ბ ესე ჭური მე... დავრგე.

როგორც ვხედავთ, წარწერა იწყება დაქარაგმებული ასოებით, რაც ორი სიტყვის შემოკლება უნდა იყოს. როგორც ლ. ჭილაშვილი აღნიშნავს, თუ გავითვალისწინებთ ნეკრესის ცეცხლთაყვანისმცემლობის კულტის აღმსარებლობას, „წარწერის აღრესატად შეიძლება ვაღიაროთ მითრა, აპურამაზდას პოპულარული იაზატი (უახლოესი დამხმარე), რომელიც ასევე გავლენიანი ჩანს საქართველოში და კერძოდ, ნეკრესში. ქარაგმის პირველი ასო (მ) უნდა აღნიშნავდეს მითრას, ასევე, მზეს. მითრას და მზის ღვთაებრივი იგივეობა კარგადაა ცნობილი... რაც შეეხება მეორე ნაწილს (ბ), ის უნდა აღნიშნავდეს ძველ სპარსულ ბაგა-ს (ღმერთი), მიმართვაში „უფალო“, მაშასადამე, დაქარაგმებული „მ ~ ბ“ უნდა წავიკითხოთ: „მითრა ბაგა“, ქართულად: „მზეო უფალო“. წარწერა უნდა გაიშიფროს: „მითრა ბაგა (მზეო უფალო) ეს ჭური მე (სახელი) დავრგე...“ დაკარგულ ნაწილში იქნებოდა, რა მიზნით დაირგო ჭური. ეს უდავოდ მიძღვნილი ხასიათისაა, რომელიც სადღესასწაულო რიტუალთან დაკავშირებით, შესაძლოა, ქვევრში ზედაშის ღვინო ინახებოდა“ (ჭილაშვილი, 2001, ქართველოლოგი, 34).

აღნიშნული წარწერა იმ კრიტერიუმების დაცვითაა შესრულებული, რომლებიც, ლ. ჭილაშვილის დაკვირვებით, მაზღეანური რელიგიის აღმსარებლობას შეესაბამება და ჯერ კიდევ ირანის აქემენიანის მეფეების დროს დგინდება. თვითონ წარწერა მარნის ფუნქციონირების დროისაა და VI საუკუნით თარიღდება, რადგანაც სასახლედარბაზი, სადაც ეს ქვევრი აღმოჩნდა, V-VI საუკუნეების მიჯნაზე მწყობრიდან გამოსულა და VI საუკუნიდან იგი მარნად გადაუკეთებიათ.

ნეკრესის წარწერების ლ. ჭილაშვილისეულ დათარიღებას ზ. ჭუმბურიძე არ იზიარებს. მისი აზრით, „... საფლავის ქვები მათი წარწერებითურთ შეუძლებელია III საუკუნეზე გვიანდელი იყოს... ენობრივი, პალეოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული მონაცემები სავსებით შეესაბამება ამგვარ დათარიღებას“ (ჭუმბურიძე, 2001, 128).

ნეკრესის წარწერები რა დროისაც უნდა იყოს, იქნება I-II თუ III საუკუნეებისა, ერთი ცხადია, ქართული დამწერლობის ისტორია რამდენიმე საუკუნით წინ იწევს. მეორე და უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ აქამდე გავრცელებული შეხედულება, თითქოს ასომთა-

ვრული ანბანი ქრისტიანობის შემოსვლა-დამკვიდრებას უკავშირდებოდა, ნეკრესის წარწერათა აღმოჩენის შემდეგ მცდარი გამოდის. ასომთავრული სწორედ რომ ქრისტიანობამდელი ხანისაა. ლ. ჭილა-შვილის აზრით, „ქართული ანბანის შემოღება და დამწერლობის განვითარება დაკავშირებული შეიძლება იყოს მაზდენური რელიგიის ტექსტების — ლოცვების, ჰიმნების და სხვათა (და არა ქრისტიანული რელიგიის კანონიკური ლიტერატურის — ე. ბ.) სათარგმნელად და ქართველ მაზდენთა საკუთარ ეროვნულ ენაზე აღნიშნული ტექსტებით უზრუნველსაყოფად, რიტუალის სრულყოფილად წარმართვისთვის“ (ჭილაშვილი, 2001, მწიგნობარი, 118).

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ აბათილებს სომხების, კერძოდ, მესრობ მაშტოცის მიერ ქართველთათვის ანბანის შექმნის შესახებ არსებულ მოსაზრებას. საქმე ისაა, რომ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ რელიგიური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის საქმეს ქართველები მომზადებულები შეხვდნენ, რადგან მათ უკვე (ჯერ კიდევ წინარექრისტიანულ ხანაში) ჰქონდათ ეროვნული ანბანიც და მწიგნობრობაც, მაშინ როცა სომხები (ასევე, ალბანელებიც) ქრისტიანობის გავრცელების მერე იწყებენ საკუთარი ანბანის შექმნას.

აღნიშნულიდან გამომდინარე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული დამწერლობა (კერძოდ, ასომთავრული ანბანი) წინარე-ქრისტიანულ ხანაში იღებს სათავეს. ამის დამადასტურებელ დოკუმენტურ მასალას კი ნეკრესის არქეოლოგიური გათხრების შედეგები იძლევა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ანბანის შესაძლებელ პროტოტიპად ძირითადად ბერძნული და არამეული დამწერლობები სახელდება, თუმცა, განსხვავებული თვალსაზრისებიც არსებობს. მაგალითად, კლაპროთი თვლიდა, რომ ქართული ანბანი (მხედრული) ჰინდური დევანაგარი დამწერლობის საფუძველზე შეიქმნა.

პ. იუნკერის აზრით, იგი ახ. წ. აღ.-ის IV საუკუნის ფალაურტიდან მომდინარე ავესტა ანბანს ეფუძნება. ამავე შეხედულებას იზიარებს ვ. ტეილორი და ს. კაკაბაძე (პატარიძე, 1980).

მ. ბროსე და ილ. ოქრომჭედლიშვილი მხარს უჭერენ ქართული (მხედრული) ანბანის ზენდურიდან (ფეჰლეურიდან) მომდინარეობის თეორიას. რაც შეეხება ასომთავრულ დამწერლობას, მ. ბროსეს აზ-

რით, ანბანის ამ სახეობის გრაფემები ინდური დამწერლობიდან უნდა მომდინარეობდეს (ბროსე, 1895, 26).

ქართული ანბანის შექმნის ბერძნულ-სომხური თეორია კ. კეკელიძის ეკუთვნის (კეკელიძე, 1929), თუმცა მის თვალსაზრისს საფუძველი გამოაცალა ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევამ „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“. მკვლევარმა ჩამოაყალიბა „სემური“ თეორია, რომელიც მხარს უჭერს ქართული ანბანის ფინიკურ-არამეულიდან წარმომავლობას. ივ. ჯავახიშვილს ემხრობოდნენ გ. წერეთელი და გ. დეეტერსი.

ქართული დამწერლობის არამეულ წარმომავლობაზე პირველად ფრ. მიულერმა მიუთითა. ამავე აზრს ემხრობა ს. გორგაძეც.

ჩვენს ანბანს ფინიკურიდან მომდინარედ თვლის რ. პატარიძე (პატარიძე, 1980).

„ბერძნული“ თეორიის ფუძემდებლად ვ. გარდტჰაუზენი ითვლება, ხოლო ჩვენში ეს მოსაზრება ფონეტიკური პრინციპის საფუძველზე დ. ბაქრაძემ წამოაყენა. მას ემხრობიან: დ. კარიჭაშვილი, აკ. შანიძე, პ. ინგოროყვა, თ. გამყრელიძე და სხვები.

ბ) ჰართული ანბანი თეოდორანის ბრამატიკაში

მკვლევარმა აღნიშნული საკითხი განიხილა „ქართულ გრამატიკაში“, რომელიც 1889 წელს გამოიცა.

ნაშრომის პირველ ნაწილში — „საზოგადო განხილვა ასოთა, მარცვალთა, სიტყვათა და წინადადებათა“ — მოცემულია სქემა ქართული ანბანისა, რომელიც 39 გრაფემას მოიცავს.

თ. ყორდანი ქართული ანბანის ორ სახეს გამოყოფს: 1) **ხუცური**, რომელიც მოიცავს ასომთავრულსა და ნუსხურს და 2) **მხედრული** (ავტორს ესეც ორად დაუყვია: „სტამბური ანუ რგვალი ხელი და მხედრული ნუსხა ანუ წვრილი ხელი“ (ყორდანი, 1889, 6).

როგორც ვხედავთ, ხუცურში ასომთავრული და ნუსხურია გაერთიანებული.

საინტერესოა ავტორის მოსაზრება ანბანის განვითარების ქრონოლოგიის შესახებ; მას მხედრული ანბანი ხუცურისაზე უძველესად მიაჩნია (მხედრული დამწერლობის არქაულობის შესახებ საუბრობენ ნ. მარი და პ. იუნკერი). ამ თვალსაზრისის თანახმად, დამწერლობის ეს სახეობა ქრონოლოგიურად ასომთავრულზე უწინარესია და წარ-

მართული ეპოქიდან მომდინარეობს (მარი, 1925), თუმცა, ჯერ ხუცურს ასახელებს, შემდეგ — მხედრულს. მკვლევრის აზრით, მხედრული ანბანი შემოღებულია ჩვ. წ. აღ.-მდე III საუკუნეში ფარნავაზისგან „ზენდურის ანბანების მიმსგავსებით (ჟორდანიას, 1889, გვ. 6). იგი ახლაც წააგავს ზენდურისასო. ასოების უმეტესი ნაწილი (ოცამდეო, — აკონკრეტებს ავტორი, — ე. ბ.) თითქმის შეუცვლელად დარჩენილია ქართულისაში. „სხვა ხალხთა ანბანებს კი ქართული მხედრული ანბანი სრულიად არ ემსგავსება“ (იქვე).

მაშასადამე, თ. ჟორდანიას ქართული ანბანი ფარნავაზის მეფობისას შექმნილად და ზენდური ანბანებისგან მომდინარედ მიაჩნია, სხვა ანბანებთან მსგავსებას კი სრულიად გამოორიციხავს.

ამ მოსაზრებას მ. ბროსეც (აგრეთვე, თ. ბატონიშვილი, ი. გვარამაძე, ნ. მარი, ილ. ოქრომჭედლიშვილი) იზიარებს. იგი წერს, რომ ფარნავაზის მეფობისას შეადგინეს მხედრული ქართული ანბანი, რომელიც „... შეთხზულია მიმსგავსებით ზენდურ ასოებისა, რომელთაც ჩრდილოეთ სპარსეთში ხმარობდნენ. თვით სახელწოდება ახალ შეთხზულ ალფაბეტისა სრულიად უდრის ფეხლეურს, ე. ი. საგმირო ენას, რომლიდგანაც იგი წარმომდინარეობს და რომელსაც ძლიერ დაახლოებული მნიშვნელობა აქვს მხედრულთან“ (ბროსე, 1895, 26).

ხუცური ანბანი, თ. ჟორდანიას თქმით, V საუკუნის დასაწყისში არჩილ მეფის დროს გაჩნდა. მას ხუცები საღმრთო და საეკლესიო მწერლობაში გამოიყენებდნენ, ხოლო საერისკაცო საგნებზე წერდნენ მხედარნი „ძველის ასოებით“ და აქედან მიიღო სახელწოდება „მხედრული“ (ჟორდანიას, 1889, 7).

რომელ ანბანს ეკუთვნოდა „ძველი ასოები“, რომელთაც საერისკაცო საგნებზე წერისას მხედარნი იყენებდნენ? ხუცური ანბანისა (ე. ი. ასომთავრულის და ნუსხურის) არ იქნებოდა, ვინაიდან, ავტორის თქმით, მხედრული ხუცურზე არქაულია და ეს ე. წ. „ძველი ასოები“ მხედრულის კუთვნილება უნდა იყოს.

მაშასადამე, საერო მწერლობისთვის მხედრული გამოიყენებოდა ახალი ანბანის შემოღების შემდეგაცო (ანუ V საუკუნის მერეც), ე. ი. ანბანის ორივე სახეობა (ხუცური და მხედრული) ამ დროიდან პარალელურად არსებობდა, მანამდე კი მხოლოდ მხედრული იყო.

ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი: გაუგებარია, თუკი მხედრული ანბანი მიიჩნია ხუცურისაზე ძველ სახედ, ქრონოლოგიაზე საუბრისას რატომ ასახელებს ჯერ ხუცურს, შემდეგ — მხედრულს.

ახალი ანბანის ნიმუშად, გრამატიკოსის აზრით, ასურული და ებრაული ასოების „ოთხკუთხიანი“ გამოხატულება აუღიათ. მათ (ანბანის შემქმნელებმა) მხოლოდ გარეგნულად დაამსგავსეს ასურულ-ებრაულის ოთხკუთხიან ანბანებს, თვით ძირეული გამოხატულება ძველი მხედრულისა დარჩა, რომელიც ძალიან ჰგავს ხუცურსო (ჟორდანიას, 1889, 7).

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: ავტორი თვლის, რომ 1) ჯერ იყო მრგვალი ასოები — წარმართული მხედრული ანბანი; 2) შემდეგ — ხუცური, კერძოდ, ასომთავრული (ასევე, მრგვალი მოხაზულობის გრაფემებით) და 3) ამის მერე ახალი სარწმუნოების შემოღებამ ასურულ-ებრაულის მიმსგავსებით განსხვავებული ფორმის (კუთხოვანი) ასოები შემოიტანა.

ისმის კითხვა: რატომ მაინცდამაინც ასურულ-ებრაული? თ. ჟორდანიას განმარტავს, რომ ჩვენმა მწიგნობრებმა ამ ენებზე გაიცინეს საღმრთო წერილი და ეს გრაფემები (ასურული და ებრაული) საღმრთო გამოხატულებად მიაჩნდათ.

საინტერესოა თვითონ ანბანის სქემა. ავტორს შედარებული აქვს სამი ანბანი: ჯერ მხედრული, მის ქვეშ მოცემულია შესაბამისი ასომთავრული გრაფემები, ხოლო შემდეგ — ხუცური (ჟორდანიას, 1889, 8).

გრამატიკოსი 39 გრაფემას ასახელებს. სქემაში ანბანის პირველი ასოა /ა/, ხოლო უკანასკნელი — /ქ/.

/ჰ/ (მხედრული), რიგით 23-ე, ასომთავრულში წარმოდგენილია /ჰ/, ხოლო ხუცურში — /ჰ/ გრაფემებით. ავტორი აღნიშნავს, /ჰ/ გამოითქმის როგორც „ვი“, მაგრამ უფრო მსუბუქად, იძლევა საშუალებას „ვი“ და „ჰი“ მარცვალთა შორის (ჟორდანიას, 1889, 20). ეს ბგერა ძველ ქართულში გამოიხატებოდა ერთი გრაფემით, ასომთავრულში — /K/, ნუსხურში — /ჰ/ და გადმოსცემდა /ჰი/ და /ჰი/ ბგერებს (შანიძე, 1976, 12; სარჯველაძე, 1997, 9-10).

ცალკე /ჰ/ ბგერის (რიგითი 22-ე) გამოსახატავად მხედრული ანბანისთვის თ. ჟორდანიას სქემაში მოტანილია /ჰ/, ასომთავრულში — /T/, ხუცურში /ჰ/ გრაფემები. აკ. შანიძისა და ზ. სარჯველაძის მიერ წარმოდგენილი ძველი ქართული ანბანის სქემებში ამგვარი ასომთავრული და ხუცური გრაფემები საერთოდ არ გვხვდება. /ჰ/ და /ჰი/ (ანუ /ჰ/) გადმოცემულია ერთი ნიშნით: ასომთავრულში — /K/, ხოლო ნუსხურში — /ჰ/ (იქვე).

ყურადღებას იქცევს ორი ასო: /ფ/ და /ქ/. პირველი (ფ) რიგით 24-ეა, ხოლო /ქ/ ანბანის ამ სქემაში ბოლო გრაფემაა, მაშინ როცა ყველა გრამატიკაში უკანასკნელ ადგილზე წარმოდგენილია /ჟ/ (აღსანიშნავია, რომ როცა ასოთა რიცხვით მნიშვნელობაზე საუბრობს, ანბანის უკანასკნელ გრაფემად /ჟ/-ს ასახელებს, აქ უკვე /ქ/ გრაფემაზე არაფერია ნათქვამი).

საინტერესოა ამ ორი ბგერის (ფ, ქ) ამსახველ გრაფემათა მსგავსება. შდრ.:

რიგით 24-ე	რიგით 39-ე
ფ — მხედრული	ქ — მხედრული
f — ასომთავრული	ϕ — ასომთავრული
ϕ — ხუცური	ϕ — ხუცური

როგორც ვხედავთ, ისინი თითქმის იდენტურია.

მცირედენი ცვლილებებით აქვს გადმოცემული ხუცური /ზ/ - /ხ/. ზ. სარჯველაძესთან იგი მუცელშეკრულია — /ხ/.

ასომთავრულში განსხვავებულია შემდეგი ასოები: /ა/, /ბ/, /გ/, /დ/, /ე/, /ე I/, /ჟ/, /ს/, /ქ/, /ყ/, /შ/, /ც/, /ძ/, /წ/, /ჭ/, /ჯ/.

თ. ჟორდანიას ამბობს, რომ ხუცურისა და მხედრულის ასოები (/ე/, /ე I/, /ზ/, /თ/, /მ/, /ნ/, /ო/, /ს/, /ჟ/, /ფ/, /ყ/, /ძ/) ერთმანეთს ძალიან ჰგავსო (ჟორდანიას, 1889, გვ. 9). ამათგან აღნიშნული სქემის მიხედვით მსგავსებას მხოლოდ /თ/, /მ/, /ნ/, /ს/, /ყ/ და რამდენადმე /ძ/ გრაფემათა შორის ვხედავთ. დანარჩენ ასოებში მსგავსება (თანაც ძალიან (!)) არ შეინიშნება.

რამდენადმე მსგავსიოა /ბ/, /გ/, /დ/, /ი/, /კ/, /ქ/, /ქ I/, /ჩ/, /ჯ/ (იქვე). ამათგან ჩვენ მხოლოდ /ჩ/ და /ჯ/ ასოებს ვამსგავსებთ. ესენი შეიძლება ბოდა ე. წ. „ძალიან მსგავსთა“ შორის (ანუ I რიგში) დასახელებულიყო, ყოველ შემთხვევაში, /ძ/-სთან შედარებით მეტ მსგავსებას იჩენენ.

თ. ჟორდანიამ ყურადღება გაამახვილა ისეთ გრაფემებზე, როგორებიცაა: /ე I/, / I / სუ/, /ჟ/, /ქ/, /ქ I/, აგრეთვე, /ქ/ და /ქ I/. ავტორის თქმით, უკანასკნელი ორი (ქ, გ) შემოღებულია XVII-XVIII საუკუნეების იმ უცხოურ ენათაგან შემოტანილ სიტყვათა დასაწერად, რომლებსაც ურევია ეს ბგერა (ქ). ხოლო /ქ I/ გრაფემა შემოღებულია ანტონ I კათალიკოსის მიერ XVIII საუკუნეში. ისინი, მართალია, თანამედროვე მწერალთაგან განდევნილია, როგორც „მეტი ასოები“, მაგრამ მათ (ქ, გ) ახლაც ესარჩლებიან (მაგ., ვახტანგ და გრიგოლ

ორბელიანები), ხოლო განმდევნელი აღნიშნულ ბგერათა განდევნის საკმაო საბუთს ვერ ასახელებენო. ამ ასოთა განხილვა ავტორს საჭიროდ მიაჩნია, რადგან გრამატიკამ უნდა აჩვენოს მათი მნიშვნელობა და ძველ მწერლობაში გამოყენების შემთხვევები. ამის გარდა, /ქ/ და /ქ I/ ასოთა განხილვა აუცილებელია იმისათვისაც, რათა ვიცოდეთ, შეიწყნარებს თუ არა მათ შემდეგი თაობა, — აღნიშნავს ავტორი.

ანბანის რიცხვითი მნიშვნელობა თ. ჟორდანიას გრამატიკაში წარმოდგენილია შემდეგნაირად: პირველი ცხრა ასო ერთეულებს აღნიშნავს, მეორე ცხრა — ათეულებს, მესამე — ასეულებს, მეოთხე კი — ათასეულებს.

უკანასკნელი ასო ანბანში აღნიშნავს 10 000 (ფრჩხილებში რიცხობრივად მითითებულია 10 000, ხოლო სიტყვიერად „ასი-ათასი“ წერია. ჩანს, ავტორს შეცდომა მოსვლია, ვინაიდან ქვევით „ათი ათასი“ უწერია; ჟორდანიას, 1889, 20).

საინტერესოა თვითონ რიცხვთა დასახელება:

20 000 — ორი ბევრეული, ანუ ორი ბევრი, 1 000 000 — ასი ბევრი, ანუ უშქარი (ერთი მილიონი). 10 000 000 — ათი უშქარი, ანუ უშტი. შშ — ბევრის ბევრი, ასი უშქარი, ანუ ათი უშტი. (°) — არის „სამრავლებო ნიშანი“, რომელიც ასოებს შორის იწერება რიცხვის გამოსახატავად. მაგ., იბ'ჩ = 12000, რ'ჩ = 100 000, მაგრამ იგი ზოგჯერ საჭირო არ არის. მაგ., ცლვ = 2036, იბ = 12 (ჟორდანიას, 1889, 20).

უშტი, სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, უდრის ათჯერ უშქარს, ხოლო უშქარი კი არის ათჯერ ბევრის-ბევრი (ორბელიანი, 1993).

საინტერესოა, აგრეთვე, თ. ჟორდანიას მინიშნება იმის შესახებ, რომ ქართველები ფულის ანგარიშშიც ასოებს გამოიყენებდნენ. ფულს ანგარიშობდნენ ფლურობით (ფლური-დრაჰკანი, ესე არს ოთხის გრამის წონა ოქრო. გრამა — 6 კერატი ერთი გრამაა. ესე არს 6 კერატის წონა, რომელ არს 24 ქრთილის მარცვლის წონა. ქრთილი — შემოდგომის ნათესი; ორბელიანი, 1993) და თუმნობით. ყოველი ასო იმდენი ფლურის ტოლია, რამდენი რიცხვითი მნიშვნელობისაცაა იგი: ა = 1 ფლური, ი = 10 ფლური...

ავტორი აღნიშნავს, რომ ფლური = 1/10 (ერთ მეათედს) „კაპეიკისას“. ამიტომ ყოველი ასოს 10-ზე გაყოფით გამოვა „კაპეიკობით“

ანგარიში. მაგ., $n=10$ ფლური = $\frac{10}{10} = 1$ ერთი კაპეიკი; $n=\frac{50}{10}=5$ კაპ.,
 $n=\frac{1\ 000}{10} = 10$ კაპ., ანუ მანეთი (მინალთუნი) და ა. შ.

„ფლურზე“ უფრო მსხვილი ფული იყო „ფული“.

„თუმნობით“ ანგარიშისას, ავტორის თქმით, თავზე დაუსვამდნენ სპეციალურ ნიშანს, რომელსაც „პატივი“ ერქვა. გამოისახებოდა ასე: \wedge . მაგ., δ = ერთი თუმანი, κ = 22 თუმანი (220 მან.) (ჟორდანია, 1889, 21).

ასოები დროის ანგარიშში, ანუ წელთაღრიცხვაშიც გამოიყენებოდა, — ამბობს ავტორი.

დასკვნა:

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. ქართული დამწერლობის პროტოტიპისა და ანბანის ქრონოლოგიის საკითხის შესახებ არსებულ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, საიდან და როდის იღებს სათავეს ქართული ანბანი.

2. არსებულ შეხედულებათა შორის ყველაზე მართებულად მიჩნეულ ბერძნულ თეორიას ნეკრესის არქეოლოგიური გათხრების შემდეგ საფუძველი შეერყა, ვინაიდან ამ მოსაზრების თანახმად, ქართული ანბანი, კერძოდ, ასომთავრული, ჩვენში ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების დროიდან კანონიკური ლიტერატურის თარგმნის საჭიროების გამო ბერძნულის ბაზაზე შეიქმნა. ნეკრესის შვიდი ქართული წარწერა, შესრულებული ასომთავრულით, წინარექრისტიანული ხანის ნიმუშია. ამას ადასტურებს წარწერათა შესრულების არაქრისტიანული კრიტერიუმები (ჯვრისა და ქანწილის, ასევე, მიმართვის ფორმების: „ქრისტე“, „უფალო“, „ღმერთო“ ან ლოცვავედრების დაბოლოებების — „ამენ“, „იყავნ“, „იყოს“ — უქონლობა), პალეოგრაფიული ნიშნები (თავშეკრულობა, მარცხნივ გაზიდული ხაზისა და ქარაგმის არსებობა, კუთხოვანება, ხანმეტობა, განკვეთილობისა და სასვენი ნიშნების არარსებობა) და მათში მოხსენიებული წარმართული სახელები (აბაზა, თობულ, ლევაკი, აზატ).

ამდენად, ქართული ანბანის წარმოშობის საკითხი ისევ კითხვის

ნიშნის ქვეშ რჩება.

3. თ. ჟორდანია პირველია, ვინც გრამატიკაში ანბანის წარმომავლობას ეხება.

4. ავტორი მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომელიც ქართულ ანბანს ზენდურიდან მომდინარედ მიიჩნევს, ხოლო მისი შექმნის დროდ ფარნავაზის მეფობის ხანას ასახელებს.

5. ანბანის ქრონოლოგიის საკითხში ავტორის ასეთი პოზიცია უკავია: I საფეხური, მისი აზრით, არის მხედრული; II — ხუცური (ახ. წ. აღ.-ის V საუკუნიდან), წარმოდგენილი ოთხკუთხიანი ასოებით, ასურულ-ებრაულ გრაფიკათა მსგავსად. ხუცურის ერთ-ერთ სახედ ასომთავრული მიაჩნია.

6. გრამატიკაში ნაჩვენებია ანბანის სქემა, სადაც სამივე სახეობის (მხედრული, ასომთავრული, ხუცური) 39 გრაფიკა შედარებული ერთმანეთს.

7. აღნიშნულ სქემაში ანბანის უკანასკნელ ასოდ წარმოდგენილია / ϕ /, ნაცვლად / θ / გრაფიკისა. თუმცა, რიცხვით მნიშვნელობაზე საუბრისას / θ / ანბანის ბოლო ასოდაა მიჩნეული, ხოლო ამ სქემაში / ϕ / საერთოდ არაა ნაჩვენები.

8. ყურადღება გამახვილებულია ϵ , σ , α , ψ , ζ , η ასოებზე. წარმოდგენილია მათი გამოყენების შემთხვევები. რაც შეეხება XVII-XVIII საუკუნეებში შემოღებულ გრაფიკებს (ϕ , ρ), ავტორს მიაჩნია, რომ გრამატიკაში მათი მნიშვნელობა და მწერლობაში გამოყენების შემთხვევები ნაჩვენები უნდა იყოს, რათა გაირკვეს, შეიწყნარებს თუ არა მათ მომავალი თაობა.

9. თ. ჟორდანია საუბრობს ანბანის ფულის ანგარიშისა და წელთაღრიცხვის მიზნით სარგებლობაზეც. უნდა აღინიშნოს, რომ ფულის ანგარიშისას ასოთა გამოყენებაზე საუბარი არცერთ წინარე გრამატიკოსთან არ გვქონია.

10. ამდენად, თ. ჟორდანიას „ქართულ გრამატიკაში“ ანბანის ქრონოლოგიისა და პროტოტიპის საკითხი თავისებურად და საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი.

ლიტერატურა

ბაქრაძე, 1889-92 — დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან მე-10 საუკუნის დასასრულამდე), ნაწ. 1, ტფ., 1889-92.

ბროსე, 1895 — მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1895.

გამყრელიძე, 1989 — თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989.

დანელია, სარჯველაძე, 1997 — კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.

კეკელიძე, 1929 — კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, ჟურნ. „მნათობი“, №5-6, ტფ., 1929.

ოქრომჭედლიშვილი, 1881 — ილ. ოქრომჭედლიშვილი, „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“, „ივერია“, №10, 1881.

პატარიძე, 1980 — რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980.

ჟორდანია, 1889 — თ. ჟორდანია, ქართული გრამატიკა, თბ., 1889.

სარჯველაძე, 1984 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

სარჯველაძე, 1997 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.

ორბელიანი, 1993 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, II, თბ., 1993.

უთურგაიძე, 1999 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999.

ურუშაძე, 1964 — აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.

ფოცხიშვილი, 1995 — ალ. ფოცხიშვილი, ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ., 1995.

ქართული მწერლობა, 1987 — ქართული მწერლობა, 1987.

შანიძე, 1976 — აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ძიძიგური, 1969 — შ. ძიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1969.

ჭარაია, 1997 — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

ჭელიძე, 2000 — გ. ჭელიძე, ქართული წიგნი 300 წლის წინ, თბ., 2000.

ჭილაშვილი, 1990 — ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის არქეოლოგიის

დასაწყისი, დავით აღმაშენებელი, სტატიების კრებული, თბ., 1990.

ჭილაშვილი, 2001 — ლ. ჭილაშვილი, წარწერა ქვევრის პირზე ნეკრესიდან, ქართველოლოგი, თბ., 2001, №8.

ჭილაშვილი, 2001 — ლ. ჭილაშვილი, წინარექრისტიანული ხანის ქართული წარწერა ნეკრესიდან, „მწიგნობარი“, თბ., 2001, №1.

ჭუმბურიძე, 2001 — ზ. ჭუმბურიძე, ნეკრესის წარწერების გამო, „მწიგნობარი“, თბ., 2001.

ჯავახიშვილი, 1949 — ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, მეორე გამოცემა („ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“, წიგნი III, ნაკვეთი პირველი). თბ., 1949.

მარი, 1925 — Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного языка, Л., 1925.

EKA BESTAVASHVILI

On the Prototype of the Georgian Script and the Question of Alphabet Chronology in Tedo Zhordania's Grammar

Summary

The origin of the Georgian alphabet remains to be a controversial problem in scholarly literature. The finding of the pre-Christian inscription in Georgian Capital Script during the Nekresi archeological excavations has questioned the Greek theory of the Georgian alphabet origin. According to T. Zhordania the Georgian script is of Zand origin. His approach towards the alphabet chronology also differs from the well-established view. In his grammar, T. Zhordania focuses on the letters € , , , Ⴣ , Ⴤ , Ⴥ and their usage. He also discusses the usage of the Georgian alphabet for the purpose of money calculation and time depiction.

თავარ მახარობლიჲ

პირიანობა და ვალენტობა

თანამედროვე ქართულ ენათმეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ ზმნის პირიანობა არის მორფოლოგიური კატეგორია და იგულისხმება მხოლოდ ზმნაში რეფერენცირებული პირები, „უხატავს“ ერთპირიანი ფორმა, „მიხატავს“ — ორპირიანი. ამავე თეორიის მიხედვით, ორივე ზმნა არის სამვალენტოანი და ვალენტობა კი სინტაქსური მოვლენაა.

ნებისმიერი ლინგვისტური თეორიული სიახლე მისაღებია, როცა ის აბსოლუტური სიზუსტით ჯდება ენის მორფოლოგიურ პარადიგმატიკასა და სინტაქსურ სისტემაში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პირიანობისა და ვალენტობის საკითხი სერიოზულ დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენი აზრით, პირიანობა როგორც მორფოლოგიური კატეგორია ზედმიწევნით კორექტული ანალიზით არის მოცემული ტრადიციულ გრამატიკაში. არ შეიძლება ნულოვანი მარკირების მქონე ან საერთოდ არამარკირებული პირები (Od. III) არ ჩაითვალოს პირიანობის შემადგენელ ელემენტებად, რადგან უღლების პარადიგმები პირიანობის სწორედ ასეთი გაგების პრინციპებითაა აგებული ქართულ ენაში.

პირიანობის შემოთავაზებულ ახლებურ გააზრებას მრავალი წინააღმდეგობა ახლავს:

1. ამ თეორიის მიხედვით, „უშენებს“ ერთპირიანი ზმნა, „მიშენებს“ — ორპირიანი. აქ მხოლოდ ირიბი ობიექტური პირი შეიცვალა. მწკრივში პირის ცვლილებამ (ამ შემთხვევაში ობიექტური პირის მიხედვით უღლებამ) არ უნდა გამოიწვიოს პირიანობის ცვლა. ე. ი. პარადიგმატიკა ამ თეორიას არ ადასტურებს.

2. ამ თეორიის მიხედვით, უპიროა ზმნები (II პირი) წერ, ხატავ, გაიგე, დახატე და ა. შ.

3. ამ თეორიის მიხედვით ირღვევა ზმნის დერევაციულ კატეგორიათა სისტემა (გვარი, ქცევა, გარდამავლობა). „მიხატავს“ გარდაუ-

ვალი ზმნაა, რადგანაც პირდაპირი პირი OdIII არ არის მარკირებული. ამ ლოგიკით გარდამავლობა პირების მიხედვით იქნება. „ხატავს“ გარდაუვალა და „მიხატავს“ გარდამავალი. ეს კი თავისთავად ცხადია, არალოგიკურია.

4. თუ ვალენტობა სინტაქსური კატეგორიაა, მაშინ ვალენტობის ცვლამ არ უნდა გამოიწვიოს მორფოლოგიური ცვლილებანი. ფორმა „უშენებს“ ერთპირიანი და ორვალენტიანია, „უშენებს“ ერთპირიანი და სამვალენტიანია. ფაქტობრივ გაგზარდეთ ვალენტობა და მივიღეთ ქცევის სხვა მორფოლოგიური ფორმა. სინტაქსური კატეგორიების ამგვარი ზემოქმედება მორფოლოგიურ კატეგორიებზე გამორიცხებულია.

5. დასაზუსტებელია ტერმინოლოგია. თუ ვალენტობას მივიჩნევთ სინტაქსურ კატეგორიად, მაშინ უნდა ვისაუბროთ პრედიკატის ვალენტობაზე და არა ზმნის ვალენტობაზე. ე. ი. გვექნება ზმნის პირიანობა და შესაბამისად სინტაქსში პრედიკატის ვალენტობა.

6. მიუღებელია ცალკე აღებული ზმნის ფორმის სინტაქსური ანალიზი ვალენტობის თვალსაზრისით. ისევე როგორც „კაცი“ არ არის არც ქვემდებარე, არც დამატება და არც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი და საერთოდ, ის ცალკე აღებული წინადადების გარეშე ვერ იქნება ვერანაირი სინტაქსური ერთეული, ამდენად, ცალკე პირიანი ზმნა ნულოვანი ვალენტობისაა (და არა ნულვალენტიანი „წვიმს“ როგორც ეს გააზრებულია. ეს სხვადასხვა ტერმინებია.) საერთოდ ნათელი ჰქმნატივობაა ის, რომ წინადადების გარეშე სინტაქსი არ არსებობს.

7. თუ პირიანობას მხოლოდ რეფერენცირებული პირებით განსაზღვრავთ, დავიცვათ იგივე პრინციპი სინტაქსშიც. მაშინ ვალენტობა განისაზღვრება კონკრეტულ წინადადებაში გამოსახული ანუ რეალიზებული აქტანტების რაოდენობით. ძალიან ხშირად გასაგები მიზეზების გამო პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები წინადადებაში გამოტოვებულია და იგულისხმება, „უშენებს სახლს მეზობელს“ — ასეთ შემთხვევაში უშენებს უნდა გავიაზროთ ორვალენტიან პრედიკატად და არა სამვალენტიან ზმნად, რადგანაც ვალენტობის გამომხატველი მესამე აქტანტი წინადადებაში არ არის ანუ პირიანობას ვერ მოაკლდება არამარკირებული აქტანტები, ხოლო სინტაქსურ ვალენტობას უფრო შეიძლება მოაკლდეს.

8. ამ თეორიით აუხსნელი რჩება ინვერსიული ზმნების საკითხი. ორპირიანი და ორვალენტიანია ზმნები „მძინება“, „მძინავს.“ ეს კი

მთელ რიგ გაუგებრობებს წარმოქმნის.

როგორ გავიაზროთ პირიანობისა და ვალენტობის საკითხი? პლუსით აღნიშნოთ კატეგორიის რეფერენცირება და მინუსით არარეფერენცირება. თეორიულად არსებობს 4 მონაცემი:

- A პირიანობა +, - (რეფერენცირება და არარეფერენცირება)
- B ვალენტობა +, - (რეფერენცირება და არარეფერენცირება)
- a პირიანობა + (რეფერენცირება)
- b ვალენტობა + (რეფერენცირება)

ABad მორფოსინტაქსური შესაბამისობა იძლევა 4 თეორიულ ვარიანტს:

- A — B
- A — b
- a — B
- a — b


ჩვენთვის მისაღებია A — B ან A — b და არა a — B (თ. გამყრელიძისაგან და რ. ასათიანისაგან განსხვავებით).

A — B დასაშვებია. ამ შემთხვევაში პირიანობის ტრადიციულ გაგებას სინტაქსურად გადმოგვცემს ვალენტობა. ეს აბსოლუტურად ლოგიკურია და ერთმანეთს დაემთხვევა ზმნის მორფოლოგიური ვალენტობა და პრედიკატის სინტაქსური ვალენტობა. A — b დასაშვებია, რადგანაც შეიძლება სიტყვა კონკრეტულ წინადადებაში გამოტოვებული იქნას. ასეთ შემთხვევაში ზმნის პირიანობა არ დამთხვევა პრედიკატის ვალენტობას. A=b ან A>b ჩვენთვის უფრო მისაღებია A—B ვარიანტი (ე. ი. არარეფერენცირებული აქტანტების ჩათვლით ენის იერარქიის ორივე დონეზე). ასეთ შემთხვევაში ხშირად A<B.

ინდოევროპული ენათმეცნიერების მიბაძვით ხშირად ინფინიტიური ფორმა განიხილება როგორც ამოსავალი. მართალია, არსებობს ლოგიკურ-სემანტიკურად გარდამავალი ზმნები, მაგალითად: „წერა“, „კეთება“ და ა. შ. თუმცა „გწერ“ და „იწერება“ სულაც არაა ერთი სემანტურად. ამდენად, ამოსავალი ვერ იქნება „წერა“ ინფინიტივი. ადრესატის უგულებელყოფა კონკრეტული ფორმის სემანტიკისათვის სრულიად მიუღებელია. „გუხატავ“ და „გხატავ“ სხვადასხვა მორფო-სემანტიკური ღირებულების ფორმებია. დამოუკიდებელი სემანტიკა არ არსებობს ფორმისათვის. ისევე როგორც არ

არსებობს სინტაქსი მორფო-სინტაქსის გარეშე.

ინდოევროპული ენების დონეზე და საერთოდ, ტიპოლოგიური კლავისათვის (აგრეთვე პოლიპერსონალური ენების შესწავლის თვალსაზრისითაც) საკმაოდ ღირებულია ვალენტობისა და ადგილიანობის ცნებები.





თუ მივიღებთ ზემოხსენებულ დებულებას A-B, მაშინ პოლიპერსონალურ ენებში K=L=M იქნება. კონკრეტული ფორმისათვის მონოპერსონალურ ენებში K=L ან K<L, L=M, L<M.

მორფოლოგიური პირიანობის გააზრებით, არის ორი ვარიანტი K=L, K<L, რაც ქართული ენის სტრუქტურისათვის და მისი მორფო-სინტაქსისათვის მიუღებელი პოზიციაა.

ტრანზიტული ზმნები K ფიქსირებულია Ka პოლიპერსონალურ ენებში და არაფიქსირებული — მონოპერსონალურ ენებში Kb. L უფრო ფართო სპექტრია და მეტად ღირებულია ტიპოლოგიისათვის პოლიპერსონალური ენების KM განსხვავებულია მონოპერსონალური სტრუქტურებისაგან.

თ. გამყრელიძის სტატიაში „ზმნის პირიანობა და ვალენტობა“ ვალენტობა სინტაქსურ კატეგორიად მოიხსენიება, მაგრამ პრაქტიკულად გაიაზრება მორფოლოგიურ კატეგორიად. როგორც თავად აღნიშნავს, აქ ტერმინია გადაწეული და, ფაქტობრივად, ეს არის პირიანობის ტრადიციული გაგება. იგი საუბრობს ზმნის (და არა პრედიკატის) ვალენტობაზე. სქემატურად რომ წარმოვიდგინოთ თ. გამყრელიძის მიხედვით სიტუაცია ასე გამოიყურება:

პერსონალიზმი



თ. გამყრელიძის სტატიის სიახლე, ფაქტობრივად, მორფოლოგიაში შემოთავაზებული და სრულიად მიუღებელია. ამავე ტექსტში არის სხვა ტიპის უზუსტობაც, კერძოდ, **O ind.** დესტინაცია და არა დესიგნატი.

რ. ასათიანი ქართული ზმნის ანალიზისათვის ვალენტობის გარდა გვთავაზობს ცნებას (ეს ტერმინი პირველად ხოლოდოვიჩმა გამოიყენა). რ. ასათიანის „ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები“ უაღრესად საინტერესო წიგნია, სადაც თითქმის გადაჭრილია ერგატიულობის პრობლემა. მაგრამ აქაც არაა გამოიყენებული ენის დონეები ჭეროვნად. ლოგიკურ-სემანტიკური არ ნიშნავს სემანტიკურს. ვეთანხმებით თ. გამყრელიძეს, რომელიც თვლის, რომ ეს არის უნივერსალური. თუ ინფინიტური ფორმებით განვიხილავთ სემანტიკურ დონეს, მაშინ გამოვა, რომ „იხატება“ და „ვხატავ“ ერთი სემანტიკური ველის სიტყვებია („ხატვა“), რაც ცხადია, არაა სწორი. სიტყვას ერთდროულად გააჩნია რამდენიმე დონე: ფონოლოგიური, მორფოლოგიური და ლექსიკურ-სემანტიკური, მაგრამ არა სინტაქსური. რადგანაც სინტაქსი არ არსებობს წინადადების გარეშე. რაც შეეხება ლოგიკურ-სემანტიკურს, ეს არ არის ენის იერარქიის სემანტიკური დონე. **N** ფორმას გააჩნია კონკრეტული მორფო-სემანტიკა, აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ადრესატიც **O ind.**

ამდენად, ქართულ ენაში ვალენტობის ცნების გააზრება ინდოევროპული მოდელის მიხედვით შეცდომა იქნებოდა.

ტიპოლოგიური კვლევისათვის ღირებული იქნება, რომ ვალენტობა მიჩნეული იყოს არა სინტაქსურ, არამედ სემანტიკურ კატეგორიად. მაშინ ვალენტობის მორფო-სემანტიკა შესაბამისად განსხვავებულად აისახება მონოპერსონალურ და პოლიპერსონალურ ენებში.

თუ ვალენტობას გავიაზრებთ სემანტიკურ კატეგორიად (როგორც ადგილიანობა მიჩნეული), შესაბამისად, შეგვეძლება უნივერსალური ერთეულების გამოყოფაც. კერძოდ, აბსოლუტური ლინგვისტური უნივერსალია იქნება შემდეგი — ყველა ენაში არსებობს განსხვავებული ვალენტობის ზმნები და ამ სხვაობათა რეალიზება კი კერძოდ გრამატიკის პრობლემებია.

ლიტერატურა

ასათიანი, 1994 — რ. ასათიანი, ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები, მეცნიერება, თბზ., 1994.

გამყრელიძე, 1979 — თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“, თბილისი, 1979.

ენუქიძე, 1974 — ლ. ენუქიძე, ვალენტობისა და პირიანობის მიმართულება ქართულში, თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, IV, 1979.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, III, თსუ, თბილისი, 1980.

კანცელცონი, 1972 — С. Д. Кацнельзон, Типология языка и речевое мышление, Л., Наука, 1972.

სერებრენიკოვი, 1972 — Б. А. Серебренников, О лингвистических универсалиях, ВЯ, №2, 1972.

ტენიერი, 1988 — Л. Теньер, Основы структурного синтаксиса, 1988.

ხოლოდოვიჩი, 1960 — А. А. Холодович, Опыт подклассов слов, ВЯ №1, 1960.

კომრი, 1981 — В. Comrie, Language Universals and Linguistic Typology, Oxford., 1981.

TAMAR MAKHAROBLIDZE

On the Category of Person and the Problem of Valency
Summary

The paper maintains that in Georgian the concept of valency should not be viewed from the standpoint of Indo-European model. Regarding valency as a semantic category rather than a syntactic one, is more acceptable for typological studies. The morpho-semantics of valency is differently reflected in monoperosonal and polypersonal languages. Assuming that valency is a semantic category, makes it possible to single out some universals; one of the absolute ones being the existence of verbs with various degrees of valency in every language. However, the grammatical realization of valency varies from language to language.

გიორგი გომოლაშვილი, ვახტანგ იმანიშვილი

უქონლობის სახელების მართლწერასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

„უქონლობის სახელები აღნიშნავენ უქონლობას ძირეულის ფუძით აღნიშნული საგნისა. უქონლობის სახელთა წარმოება ქართულში ორი ტიპისაა: **უ-ურ** და **უ-ო** ... ქრონოლოგიურად უფრო ძველია **უ-ურ**, მაგრამ ამ წარმოების მაგალითებიდან მხოლოდ ნაშთია მოღწეული. სამაგიეროდ დღესაც მკვიდრია **უ-ო**, რომელიც ამჟამად ერთადერთი მაწარმოებელია უქონლობის სახელებისა ახალ სიტყვათა ფუძეებისაგან...

უ-ო ჩვეულებრივი მაწარმოებელია სახელებისა არსებითთაგან: უ-გულ-ო..., უ-ქუდ-ო და მისთ.

ზოგ შემთხვევაში მსგავსი წარმოების სახელები მხლებელთაგანც გვხვდება: უ-თუ-ო, უ-ებრ-ო“ (შანიძე, 1973, 126).

მოდით დავაკვირდეთ ამ ტიპის სახელთა მართლწერას „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა“ და „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“. ქვემოთ მოხმობილი ყველა მაგალითი სწორედ ამ გამოცემებიდანაა ამოღებული.

უ-ო კონფიქსის დართვის შედეგად კუმშვადი სიტყვა იკუმშება, ხოლო კვეცადი — იკვეცება.

იკუმშება:

(ე):	უბეჭდო	(ა):	უძგლო	(ო):	უფოთლო
	უმეზობლო		უიღბლო		
	უნადგლო		უსამართლო		
	უღრუბლო		უნიშნო		
	უსარგებლო		უსაგნო		

იკვეცება:

(ე):	უმთვარო	(ა):	უდაგო
	უმოწყალო		უვადო
	უმეფო		უენო

უსინათლო	უმიწო
ულონო	უფორმო
თუმცა გვზვდება უკვეცელი ფორმებიც:	
(ე): უზნეო	(ა): უბინაო
უმზეო	უსუფთაო
უმწეო	უარარაო
უტყეო	
უმხნეო	
ურძეო (ურძეობა)	
უძეო	

უნდა აღინიშნოს, რომ გაცილებით მეტია ისეთი შემთხვევები, როცა **ე** იკვეცება: უსიცხო, უზღუდო, უმოსახლო, უსავანო, უსიცოცხლო, უსაუზმო, უსაფრთხო და მისთანანი.

რაც შეეხება **ა**-ფუძიან სიტყვებს, აქ **ა**-ს მოკვეცა ჩვეულებრივია (უფუფლებო, უფუნებო, უყურადღებო, უდედო, უმამო, უიდეო, უსიტყვო, უშეცდომო, უზომო, უხმო, უჭკუო...) და მხოლოდ ზემომოყვანილი სამი სიტყვა არ მისდევს საერთო წესს.

თვალის ერთი გადავლებითაც შესაძინევია, რომ ფუძის ბოლოკიდური **ე** შენარჩუნებულია ერთმარცვლიან სიტყვებში. **ე** ორ- და მეტმარცვლიან სიტყვებში, ჩვეულებრივ, იკვეცება, თუმცა აქაც გვზვდება ორი გამონაკლისი უმესაჭეო და უმეთვალყურეო. თუმცა საყურადღებოა, პრამ ამ შემთხვევაში ორმაგი წარმოებაა.

ენაში პარალელური ფორმების შესახებ აღნიშნავენ:

„ენაში ამჟამად დიდი სიჭრელეა. სწორი ფორმების გვერდით ბევრია უმართებულო ფორმებიც და მათ გარდა კიდევ ე. წ. ვარიანტული, პარალელური ფორმებიც, როგორცაა მაგ., **კალათი** და **კალათა**, **შვინდი** და **შინდი** ... და მისთ. ვარიანტული ფორმები ენის ლექსიკის სიმდიდრეს არ წარმოადგენენ. ისინი, თუ შეიძლება ითქვას, ორთოგრაფიული ლიბერალიზმის შედეგია. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ერთ-ერთი ხელშემწყობი მიზეზი ენის ნორმების დარღვევისა ამ ვარიანტული ფორმების არსებობაცაა, ვინაიდან მათი ფაკულტატური ან ნებისმიერი გამოყენება შეიძლება გახდეს მიზეზი ენის ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობის გრძნობის შესუსტებისა.

ენის ნორმების დაცვა პირველ რიგში მოითხოვს წერის ნორმების, ორთოგრაფიის ზუსტად დაცვას. წერის კულტურა კი იმიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობისა, რომ ყოველი ახალი თაობა წიგნის

მეშვეობით ეუფლება სალიტერატურო ენას“ (კობახიძე, 1998, 69).

ჩვენს შემთხვევაში რა ნორმების საფუძველზეა საპირისპირო ჯგუფები ჩამოყალიბებული? რა წესის მიხედვით უნდა ჩავრიცხოთ ესა თუ ის სიტყვა ამა თუ იმ ჯგუფში (**ე**-მოკვეცილ და **ე**-მოუკვეცილ ფუძეებს შორის)? როგორც ზემოთ აღინიშნა, **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვებთან ვითარება გარკვეულია. მრავალ ათეულ მაგალითს, რომლებშიც ფუძის ბოლოკიდური **ა**, წესისამებრ, მოკვეცილია, მხოლოდ და მხოლოდ სამი მაგალითი უპირისპირდება, რომელთაგან ერთი მეტად იშვიათია (უარარაო).

ხომ არ შეგვიძლია ყოველი ცალკეული სიტყვის მართლწერა დავიმახსოვროთ? ალბათ, უნდა არსებობდეს რაღაც წესი, რომელსაც ყველა დაემორჩილება. ეს წესი სარწმუნო არგუმენტებს უნდა ეფუძნებოდეს, სპეციალისტთა მიერ აღიარებული უნდა იყოს და, ამდენად, ყველასათვის მისაღები. ნათქვამი მხოლოდ ჩვენს შემთხვევას არ ეხება. ზოგადად რომ ვთქვა, სხვა საჭოჭმანო თუ, ერთი შეხედვით, უდავო შემთხვევებშიც არის ხოლმე პრესაში ერთი და იმავე ავტორის მიერ დაწერილ წერილში ამა თუ იმ სიტყვის განსხვავებული დაწერილობა. უფრო მეტიც, ეს ხანდახან ერთსა და იმავე ნაშრომშია, ერთმანეთის უშუალო მეზობლობაში, გვერდიგვერდ. აი, რამდენიმე ასეთი ნიმუში 2994 წლის პრესიდან (ერთი და იმავე სტატიიდან!): „**აჯანმა** და ჟარმა თავიანთი ნიშნობის შესახებ განაცხადეს“ || „**აჯანიმ** მისგან ვაჟი გააჩინა“ („კვირის პალიტრა“, № 1, გვ. 20); „**მაკიაველიმ** მედიის პარტიის კანდიდატი დაამარცხა“ || „**მაკიაველმა** უპასუხა“ („ხვალინდელი დღე“, № 50, გვ. 11); „პრობლემების მოგვარება **არისტიდიმ** ვერ შეძლო“ || „**არისტიდს** გადადგომისაკენ მოუწოდა“ (24 საათი“, № 49, გვ. A5); „**აღმოსავლეთ** საქართველო“ || „**დასავლეთი** საქართველო“ („ახალი ვერსია“, № 9, გვ. 12); „რა **სჭირს** „დინამოს“? || „რა **ჭირს** „დინამოს“? („მთავარი გაზეთი /სპორტი“, № 9, გვ. 2). უკანასკნელ მაგალითში მოყვანილ წინადადებებს შორის მხოლოდ ავტორის სახელი და გვარი წერია!

თუ წავუყრუეთ, ეს ჩვენს ენას სიკეთეს არ მოუტანს.

ახლა უშუალოდ ჩვენს საკითხს დავუბრუნდეთ.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ქართული თუ უცხოური წარმოშობის დაახლოებით 250 **ო**-ფუძიანი სიტყვაა დაფიქსირებული. მათგან მხოლოდ 15-ოდეს აქვს **უ-ო** კონფიქსით ნაწარმოები ახალი ფორმები, რომელთაგან ერთ ნაწილს ფუძის ბოლოკი-

დური **ო** შენარჩუნებული აქვს **ო** სუფიქსის წინ და, ამდენად, წარმოქმნილი სიტყვის ბოლოს ორი **ო** იყრის თავს:

- უალოო,
- უბოლოო,
- უდროო,
- უბალტოო,
- უსაზრდოო,
- უსარჩოო,
- უსასოო,

სხვებს კი ფუძისეული **ო** ეკვეცებათ და სიტყვის ბოლოში ერთი **ო** რჩება:

- უთავბოლო,
- უპურღვინო,
- ულვინო,
- უსამშობლო,
- უსიტბო,
- უსათუო.

ასეა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“; „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ პირველ ჯგუფს **უტაროო** და **უშტოო** ემატება, მეორეს კი — **უსაყელო**. გვაქვს კიდევ ერთი სიტყვა: უშნო, მაგრამ, ა. შანიძის აზრით, ეს სიტყვა მომდინარეობს **უჟენ** ძირისაგან, ამდენად, მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, იგი აქ ჩამოთვლილი სიტყვების ჯგუფში ვერ შევა, თუმცა ცთუნება დიდია, პირიქით იყოს: **შნო** ხომ დღეს არსებობს დამოუკიდებლად: შნო — უშნო, სადაც მაწარმოებლად იქნებ შესაძლებელი იყოს **უ** პრეფიქსის წარმოდგენა შდრ. სათუო — უსათუო, და ანალოგიური წარმოება სხვა ტიპის სიტყვებისაგან: მსგავსი — უმსგავსი, მცდარი — უმცდარი, სრული — უსრული...

განმარტებით ლექსიკონში (ორთოგრაფიულშიც) ერთმანეთის მეზობლად გვხვდება **უმეთვალყურეო** და **უმემკვიდრო**. ორივე იდენტური აგებულების სიტყვებიდანაა ნაწარმოები: მეთვალყურე, მემკვიდრე. მათგან ერთი ინარჩუნებს ფუძის ბოლოკიდურ **ე**-ს, მეორე — არა. რის საფუძველზეა განსხვავება უქონლობის სიტყვებში? ხელმოსაკიდი საფუძველი თითქოს არ ჩანს, მაშ რატომ გვაქვს განსხვავებული წარმოება? ძნელი ასახსნელია. ასევე გაკვირვებას იწვევს დაპირისპირება, ერთი მხრივ, **ბოლო** — **უბოლოო** და, მეორე მხრივ,

თავ-ბოლო — **უთავბოლო** წყვილებს შორის: **ბოლო**-ს ერთგან მოკვეცილი აქვს **ო**, მეორეგან — არა (ერთ შემთხვევაში ორი **ო** იყრის თავს, მეორეგან კი მხოლოდ ერთია დარჩენილი). რატომ უნდა იყოს დაწერილობა სხვადასხვა? ვითომ იმიტომ, რომ, რაკი **უბოლოო** მოკლე სიტყვაა, აქ შენარჩუნდა **ო**, ხოლო ერთი მარცვლით უფრო გრძელ სიტყვაში ამისი საჭიროება არ იყო? სიტყვის სიგრძე-სიმოკლე შეიძლება ერთ-ერთი მიზეზი იყოს, მაგრამ არა — გადამწყვეტი. შდრ. **სასიძო**, **სამეფო**, ერთი მხრივ, სადაც **ე** მოკვეცილია, და **საბიბლიოთეკათმცოდნეო**, (**სააღმოსავლეთმცოდნეო**) აღმოსავლეთმცოდნეობისა, **სამხარეთმცოდნეო**, **სათავმჯდომარეო**, მეორე მხრივ, რომლებშიც ფუძის ბოლოკიდური **ე** თავის ადგილზეა. შემდგენლები **უსამშობლო**-ს კი გვთავაზობენ, მაგრამ სხვა ვარიანტიც ხომ გვაქვს, გავიხსენოთ გალაკტიონის სტრიქონები: „უსამშობლოოდ, დე, ის ღვინო გადმექცეს შხამად“.

განმარტებით ლექსიკონში დაფიქსირებულია **უსასოც** და **უსასოოც**, თუმცა, როგორც ჩანს, შემდგენლები უპირატესობას **უსასოოს** ანიჭებენ. ზემოთ ნაჩვენები მაგალითებიდან აშკარაა, რომ **ო**-ფუძიანი სიტყვებიდან უქონლობის გამომხატველი **უ-ო** კონფიქსით ნაწარმოები სიტყვების მართლწერის წესი მყარი არ არის.

დაახლოებით ანალოგიური ვითარება ჩანს **სა-ო** კონფიქსებით ნაწარმოებ სიტყვებთანაც:

იკუმშება:

- | | | | |
|------|--------------|------|-----------|
| (ე): | სამონასტრო | (ა): | საუფლო |
| | საგამგებლო | | საავდრო |
| | საგამომცემლო | | სარძლო |
| | სასოფლო | | საქმრო |
| | | | სადელოფლო |

იკვეცება:

- | | | | |
|------|-----------|------|-------------|
| (ე): | სამეფო | (ა): | სააბაზანო |
| | სამდინარო | | საძმო |
| | სამოსახლო | | საშემოდგომო |
| | საოკეანო | | საწესდებო |
| | სასიძო | | საშვებულებო |

თუმცა აქაც გვხვდება შეუკვეციელი ფუძეები:

საადრეო, სამეურვეო, საგარეო, საზნეო, სათავმჯდომარეო, საიუბილეო, საკეთილდღეო, სამეთვალყურეო, სამეურვეო, სამეურნეო,

საკოლმეურნეო, სამოკავშირეო, სამორიგეო, სამოდვაწეო, სამხარეთმცოდნეო, სამხარეო, საპირმოთნეო, სარელეო, სარძეო, სატყეო, საყოველღეო, საცალკეო, საძეო...

ბევრია ა-ს უკვეცელობის შემთხვევა:

საშობაო, საციგაო, საბინაო, საშინაო, საზედაო, საცეკვაო, საზღვაო, საგზაო, სააშკარაო, საკვირაო, სამუშაო, საქირაო...

რა შემთხვევაში იკვეცება ან რჩება ა თუ ე ხმოვნები ფუძეში? ჩანს, მკვიდრი წესი არაა, თორემ არ გვექნებოდა პარალელურად დასაშვები ფორმები ორთოგრაფიულ ლექსიკონში:

სამონადირეო [|| სამონადირო]

სამემკვიდრო [|| სამემკვიდრეო]

სამტერმოყვარეო [|| სამტერმოყვარო]. შდრ. საკაცთმოყვარო.

სამოხელეო [|| სამოხელო]

საძიძაო [|| საძიძო]

საშობაო [|| საშობო]

სანისიო [|| სანისიაო]

სხვა საკითხია, რომ თვითონ სიტყვათმწარმოებელ აფიქსებშიც გვაქვს სხვაობა: სატილო [|| სატიალე], სასიკვილო [|| სასიკვილიე], სანაყოფო [|| სანაყოფე], საულვაშე [|| საულვაშო], საქულბაქე [|| საქულბაქო], უმსგავსი || უმსგავსო, [უღლეო||] უღლეური...

როგორც ზემოთ ითქვა, განმარტებით ლექსიკონში დაახლოებით 250 ო-ფუძიანი სიტყვაა დაფიქსირებული. როგორ უნდა ვაწარმოოთ მათგან უქონლობის სახელები? ცხადია, რაღაც წესი უნდა დავადგინოთ, რომელსაც ამ სიტყვების მართლწერა დაექვემდებარება; შესაძლოა ზოგიერთს ამ სიტყვათაგან არც ეწარმოებოდეს უქონლობის გამომხატველი სახელები, მაგრამ ბევრისთვის სავსებით ბუნებრივია ამ ტიპის სახელები, მათ გვერდს ვერ ავუვლით. ნუთუ მხოლოდ ზემოდასახელებული თხუთმეტიოდე ფუძით უნდა შემოვიფარგლოთ? როგორ უნდა დავწეროთ: უკაკაოო თუ უკაკაო, უმარაოო თუ უმარაო, უხაოო თუ უხაო, უწებოო თუ უწებო, უერბოო თუ უერბო, უსურდოო თუ უსურდო, უეზოო თუ უეზო, უთოქალთოო თუ უთოქალთო, ულობიოო თუ ულობიო, ურადიოო თუ ურადიო, უიმპრესარიოო თუ უიმპრესარიო, უსამაჩაბლოო თუ უსამაჩაბლო, უსაქართველოო თუ უსაქართველო, უვიოლინოო თუ უვიოლინო, უსტაფილოო თუ უსტაფილო, უსუნამოო თუ უსუნამო, უფორტეპიანოო თუ უფორტეპიანო, უფულუროო თუ უფულურო, უსაშვილოსნოო თუ

უსაშვილოსნო, უთამბაქოო თუ უთამბაქო, უალოო თუ უალო, უაწმყოო თუ უაწმყო, უსათამაშოო თუ უსათამაშო, უპირმშოო თუ უპირმშო, უსაელჩოო თუ უსაელჩო, უხაჭოო თუ უხაჭო, უსაბჭოო თუ უსაბჭო, უხარაჩოო თუ უხარაჩო...?

შედარებისათვის ვნახოთ, **სა-ო** კონიქსით ნაწარმოებ ო-ფუძიან სიტყვებთან რა ვითარება გვაქვს: აქაც იგივე ვითარებაა. ზოგი სიტყვის ბოლოში ორი **ო** არის შენარჩუნებული:

საუცხოო

საკალოო

საბოლოო

არასაბოლოო

საიმდროო

საამდროო

სათვითოო || სათითოო

სამართოო

ზოგ სიტყვაში მართოდენ **ო** შემორჩა:

სავიოლინო

საფორტეპიანო

საკარმიდამო

საამო

სავიოლო

სავიოლენჩელო (**Violoncello**) („უცხო სიტყვათა ლექსიკონში“

ვიოლენჩელ-ი იკითხება, რაც არაა სწორი).

ლექსიკონებში დაფიქსირებული მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, **ო**-მოკვეცილი ნიმუშები ოდნავ მცირეა. საფიქრებელია, რომ უფრო ძველი ორი **ო**-ს შემცველი ფორმებია, რომლებშიც გამარტივების შედეგად ერთი **ო** დაიკარგა, ამას ხელი, ალბათ, იმანაც შეუწყო, რომ ერთსა და იმავე ხმოვანზეა ლაპარაკი (მიუხედავად იმისა, რომ **ო** ხმოვანი, როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ, არ იკვეცება).

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ **სა-ე** და **მე-ე** კონფიქსებით ნაწარმოებ სიტყვებში **ო** ყოველთვის შენარჩუნებულია:

ა) საერბოე, საბოჭკოე, საკალოე, საპალტოე, სათამბაქოე, საეზოე, საახოვე, სააბანოე.

ბ) მეალილოე, მეაბანოე, მეუდაბნოე, მეკუბოე, მემადაროე, მეუროე, მეთამბაქოე, მეეზოე, მემიმინოე.

საწყენია, რომ ორასზე მეტი **ო**-ფუძიანი სიტყვიდან ლექსიკო-

ნებში მხოლოდ თხუთმეტამდე სიტყვა მოხვდა ჩვენთვის საინტერესო ფორმების ჩვენების თვალსაზრისით. მით უმეტეს, როცა ასეთი არამყარი ვითარებაა, მკითხველს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაიხედოს ლექსიკონში და საჭოჭმანო ფორმისაგან აირჩიოს უფრო მართებული. მაგრამ ეს არ არის სირთულიდან თავის დაღწევის გზა. უნდა გადაწყდეს, კარგად გაირკვეს, ვარიანტთაგან რომელს მიეცეს უპირატესობა და რატომ. ხომ არ იქნება უმჯობესი, თუ გასარკვევ სიტყვებში ორ **ლ**-ს შევინარჩუნებთ? თუ არსებობს საპირისპირო მოსაზრება, რა არგუმენტებს ემყარება ის? მოკლედ, ამ საკითხის საგანგებოდ განხილვა და ერთიანი წესის მიღება გარდაუვალია. შეიძლება ხელოვნურობის ელფერიც დაჰკრავდეს პირველ ხანებში ასეთ გადაწყვეტილებას, მაგრამ ენობრივ მოვლენათა ნორმირების დროს არაერთი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

GIORGI GOGOLASHVILI, VAKHTANG IMNAISHVILI

Some Issues Connected with the Spelling of Nouns Denoting Non-possession in Georgian

Summary

As is known, in Georgian nouns denoting non-possession are formed with the help of the affixes *_ u-o*, *u-ur*. Generally, adding of these affixes causes reduction of stem vowels. However, there are some instances when the ultimate vowel of a stem is not reduced (*umzeo*, *ubinao*). There is no homogeneity in the nouns ending in *o* either (Cf. *u-dro-o*, *u-saso-o buṭ* – *samšobl-o*, *u-tavbol-o*).

The orthographic and monolingual dictionaries present heterogeneous information on the issue. The authors maintain that homogeneous rules should depict the classes of nouns with homogeneous phonetic structures.

ანა მუხარაშვილი

მიმღეობათა მა–ელ ცირკუმფიქსიანი წარმოება „ვისრამიანსა“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“

„ვისრამიანსა“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მრავლად გვხვდება **მა–ელ** ცირკუმფიქსიანი მიმღეობები.

აკაკი შანიძის თანახმად, საზოგადოდ, მიმღეობა წარმოგვიდგენს მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტის მოქმედებას ან პირდაპირ ობიექტურ პირზე (კონვერსიული პასივის სუბიექტზე) მიმართულ მოქმედებას უღლების კატეგორიისაგან განყენებულად.

მა–ელ აწარმოებს მიმღეობას მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზმნებიდან. ამოსავალია ზმნის აწმყოს ფუძე. დროის მიხედვით **მა–ელ**–ით ნაწარმოები მიმღეობები აწმყო დროისაა.

აკაკი შანიძე **მა**- პრეფიქსის ხმარების სამ შემთხვევას აღნიშნავს: „ა) თუ ფუძე ხმოვანით იწყება, მ პრეფიქსის ნაცვლად **მა** არის: მა-ამებელი, და-მა-არსებელი, შე-მა-ერთებელი, ა-მა-ობრებელი, მა-უწყებელი და მისთ.

ბ) თუ ფუძე **მანით** იწყება, **მა** უნდა, იმიტომ რომ მართო **მ** პრეფიქსის დართვისას ორი მ მოიყრიდა თავს და ძნელი გამოსათქმელი იქნებოდა: და-მა-მშვიდებელი, და-მა-მტკიცებელი, და-მა-მცირებელი და მისთ... გამონაკლისია: მ-მართველი.

გ) **მა** გვხვდება „მა-სწავლებელ“-ში და „მა-ტარებელ“-ში, აგრეთვე ზოგ სხვა მიმღეობის ფორმაში: გა-მა-ყრუებელი, გა-მა-ნადგურებელი, და-მა-ბრკოლებელი“... (შანიძე, 1973, 571).

ივანე და ვახტანგ იმნაიშვილები ცალკე გამოყოფენ **მ–ელ** და **მა–ელ** აფიქსიან მიმღეობებს. მათი აზრით, თავიდან აქ მხოლოდ ერთი სახეობა უნდა გვქონოდა. სახელდობრ **მ–ელ**, ხოლო **მა–ელ** მერე უნდა იყოს გაჩენილი ფონეტიკურ ნიადაგზე: გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში ერთად თავმოყრილი ძნელად გამოსათქმელი ბგერების დასაცოლებლად გაჩნდა **ა**: ავნებს → მვნებელი → მავნებელი

(იმნაიშვილები, 1996, 747).

ივანე და ვახტანგ იმნაიშვილების აზრით, **მა—ელ** წარმოება ძველ ქართულში გვაქვს: ა) ისეთ ზმნათა მიმღებებში, რომელთაც პირიან ფორმებში საარვისო ქცევის ნიშნად აქვთ **ა**, ხოლო თემის ნიშნად უფრო ხშირად **-ებ** სუფიქსი. ამათგან პირველი ნიშნის ქონება აუცილებელია. მაგალითად: აღ-ა-დგინ-ებ-ს აღ-მა-დგინ-ებ-ელი, ა-გნ-ენ-ს მა-გნ-ებ-ელ-ი... ებ თემის ნიშნის ნაცვლად ზოგჯერ შეიძლება ობ გვქონდეს, მაგრამ **ა** კი აუცილებელია... ბ) როცა ზმნის ძირი რომელიმე ხმოვნით იწყება, მიმღებობის მაწარმოებელ **მ** პრეფიქსს **ა**-ც ემატება: იძულ — მა-იძულ-ებ-ელი, ორძინ — აღ-მა-ორძინ-ებ-ელ-ი... გ) **მ**-ს **ა** ემატება აგრეთვე ნასახელარ ზმნათა მიმღებებში. მაგალითად: არსი დამაარსებელი, ახალი განმაახლებელი“... (იმნაიშვილები, 1996, 747-749).

ამ ფორმებში **ა** პრეფიქსისეული კი არა, ფუძისეულია. ამის შესახებ ეკატერინე ოსიძე წერს: „რადგან **მა—ელ** წარმოებაში **ა** ფუძის მაწარმოებელი პრეფიქსია, შეიძლება ეს წარმოება არც გამოიყოს და **მ—ელ** წარმოებას შეუერთდეს“ (ოსიძე, 1956, 10). მივმართოთ მაგალითებს:

მაჰინებელი ნიშნავს მარცხვენალს: „რასა ვინ ეძებთ, რას აქმნევთ ბედია მაჰინებელი“, (1) ვეფხ. 64: S 1668, K 1668; „ესე დარბაზი შაჰინშას მოაბადისია და მისისა სტუმრისათვის ბედნიერმცა, მაგრა არ ეგეთისა მომაჰინებელისათვის, ვითარი შენ ხარ“ (1) ვისრ. 70:238,80;

დამაჰინებელი ნიშნავს ჩამქრობს: „და შენგან კიდე არვინ მივის ცეცხლთა ცხელთა დამაჰინებლად“ (1) ვეფხ. 33:S 804/K 804 d;

ბამაჰინებელი ნიშნავს ბელზებელისეულს, ეშმაკისეულს: „და მუჭრნი მოასხნეს, სენითა მთქვეს ბამაჰინებელითა“ (1) ვეფხ.; 1 : S 349/K 349 d;

მაბულგანებელი ნიშნავს ვინც ავლიანებს: „არ ეწყინაო“, უამბობს, არს მისად მაგულვანებლად“, (1) ვეფხ. 9:S 280/K 280b;

ბამათინებელი: „და ვინ არის ჩემად სინათლედ და ბნელთა ბამათინებლად“ (1) ვეფხ. 60:S 1520/K 1520 d;

ბამახარებელი: „და ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა ბამახარებლად“ (1) ვეფხ. 64:S 1666/K 1666 d; „თავისა სახლისა და სიყრმისა ვერ ბამახარებელი, ზოგერ თავსა ნაცარსა ისხმიდის“ (1) ვისრ. 14:49, 32;

მაღებელი: „ახლოს შემყრელთა დამწველად, მათად ცეცხლისა მაღებლად“, (1) ვეფხ. 45:S 1085/K 1085 c;

მაჰებელი: „ავთანდილის მაჰებელითა ათასიმცა ენა უნდა“ (1) ვეფხ. 42:S 1048/K 1048 a;

მაჰარებელი: „რამინის მოსვლამდინ მალხენელად იგი წიგნი ჰქონდა და ჭირის მაჰარებლად აღინა ჰყვა“ (2) ვისრ. 61:222,8;

მაშენებელი: „ციხისა კარი დაკლიტული ნახა და ციხისა მაშენებელი მგზავრქმნილი“ (1) ვისრ. 11:44, 330;

მარბებელი: „ჩემებრ საბრალო ტყვე არავინ ვიცი და არცა დამბადებელისებრი მარბებელი, რომელ მისგან ჯსნასა მოველი“ (4) ვისრ. 31:121,10;

მატკინებელი: „გულისა მატკინებელმან რამინ ეგრე უბასუხა?“ (1) ვისრ. 58:121,8;

ბამაბელითებელი ნიშნავს გამცულებელს, გამბეზავებელს, გამაუბედურებელს: „... და მოყვრისა სურვილმან ამა ყველათა ბამაბელითებელი ესრე გამაბედითა, რომელ საწუთრო დამანავლა...“ (1) ვისრ. 59:216,6;

მასახელოვნებელი: „მოვიდა შენი მიწით საგონებელი ლამაზი ჯელმწიფე, ტახტისა დამაშვენებელი, აბჯრისა მასახელოვნებელი“ (1) ვისრ. 62:224,10;

დამაღუხტირებელი ნიშნავს დამაუშნობელს: „... არ აღამისობითგან გვარიანი და უზადო ვარ, კეკლუცთა დამაღუხტირებელი და ჯელმწიფეთა დედოფალი?“ (1) ვისრ. 76:247, 21;

მანანებელი: „თავისა მანანებელსა ზედა ჯელმწიფობა გაქვს და პატრონი ხარ“; (1) ვისრ. 62:226,35;

მაშენებელი: ... თუ ორასი კაცი სახლისა მაშენებელი იყოს, ერთი ამოჯრებელი ცუდ იქმს მათსა ნაშენებსა“ (1) ვისრ. 32:124, 28;

მაშენებელი: „მე თვით სახელად გულ მქვიან სახელისაებრ ვარდისფერი ვარდისებრ საყვარელი ვარ და ვარდისა მასშენებელი“ (1) ვისრ. 42:172,29;

ამაოჯრებელი: „... ერთი ამაოჯრებელი ცუდ იქმს მათსა ნაშენებსა“ (1) ვისრ. 32:124, 28.

მა—ელ წარმოება გვაქვს **-ობ** თემისნიშნიან ფორმებთანაც, მაგალითად:

მახარობელი: „შერმადინ მახარობელი წავა მისლვასა მათისა“

The Formation of Participles with the Circumfix ma_el in "Visramiani" and Sh. Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin"

Summary

In "Visramiani" and "The Knight in the Panther's Skin" the participles with the circumfix ma_el are quite frequent. Ivane and Vakhtang Imnaishvili regard the participle forming affixes m_el and ma_el as independent units. E. Osidze considers a of the affix ma_el to be the stem-forming prefix, hence she does not separate m_el formation from that of ma_el formation.

(3) ვეფხ. 30: S 679/K 679 b;

მანათობელი: „ვისი ხარ, ვინ ხარ, სით მოხვალ მანათობელი ბნელისა?“ (1) ვეფხ. 48: S 1230/K 1230 b;

ღამამხობელი: „თუ საწუთრომან ღამამხოს, ყოველთა ღამამხობელმან“, (1) ვეფხ. 33: S 802/K 802 a;

შემამხობელი: „და მოდით და ნახეთ ყოველმან, შემსხმელმან, შემამხობელმან!“ (1) ვეფხ. 2: S 43/K 44d;

ღამაღნობელი: „იგია ჩემი დამწველი და ჩემი ღამაღნობელი; — (1) ვეფხ. 48: S 1263/K 1263 c.

მა-ელ წარმოება გვაქვს **-ევ** თემისნიშნის ფორთმებთანაც, მაგალითად:

მავშვიველი: „მათთა ცოლთა მე წავასხამ, მავშვიველი არად მინა“, (1) ვეფხ. 47: S 1123/K 1123 b;

შემარქველი: „მისთა მსმენელთა გულისა შემარქველი, შემარქველი“ (1) ვეფხ. 45: S 1084/K 1084 c.

თამარ მამარდაშვილი აღნიშნავს, რომ „ახალ ქართულში ხშირია შემთხვევები, როცა ზმნის ა- პრეფიქსიან ფორმათაგან ნაწარმოები მიმღობა უზმნისწინოდ **მა-** პრეფიქსს გვიჩვენებს, ზმნისწინიან ფორმაში კი **მა-** და **მ-** პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს: ა- გრილებს — მა-გრილებელი, მაგრამ გა-მა-გრილებელი, გა-მ- გრილებელი...“ (მამარდაშვილი, 2002, 102).

ლიტერატურა

იმნაიშვილები, 1996 — ივ. და ვ. იმნაიშვილები, ზმნა ძველ ქართულში, ნაწილი II, მაინის ფრანკფურტი, 1996.

მამარდაშვილი, 2002 — თ. მამარდაშვილი, სასუბიექტო მიმღობის პარალელურ მ-ელ//მა-ელ და მ-//მ-ელ აფიქსიან ფორმათა შესახებ ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XIV, 2002.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.

თავარ გაგრძელები

მყოფალი ღროის მიმღობათა წარმოება ახალ ქართულში

მიმღობა არის ნაზმნარი სახელი, რომელიც საწარმოებლად აღებული ზმნის სუბიექტს ან პირდაპირ ობიექტს უღრის, ირიბი ობიექტის გამოხატვა ქართულში მას არ შეუძლია. ზოგ შემთხვევაში იგი შეიძლება აღნიშნავდეს იარაღს, რითაც მოქმედება წარმოებს ან მითითებას ახდენდეს მოქმედების ადგილზე. მყოფალი ღროის მიმღობები (ისევე, როგორც ნამყო ღროისა) ამოსავალი მოქმედებითი გვარის ზმნის პირდაპირ ობიექტს უტოლდება, ე.ი. საობიექტოა. მიმღობის ეს ფორმები აღნიშნავს ობიექტს, რომელიც უშუალოდ მოქმედების საგანს წარმოადგენს. ამგვარ მიმღობათა მაწარმოებლად გვევლინება **სა-** და **სა-ელ** აფიქსები, რომელთა დართვაც ერთსა და იმავე ფუძეზე პარალელურ ფორმათა არსებობას განაპირობებს.

მაგ.:

გა-სა-ყოფ-ი — **გა-სა-ყოფ-ელ-ი** **გა-სა-პობ-ი** — **გა-სა-პობ-ელ-ი**
მო-სა-თიბ-ი — **მო-სა-თიბ-ელ-ი** **გა-სა-ყიდ-ი** — **გა-სა-ყიდ-ელ-ი**
სა-თარგმნ-ი — **სა-თარგმნ-ელ-ი** **გადა-სა-კიდ-ი** — **გადა-სა-კიდებ-ელ-ი**
მო-სა-ხვეჭ-ი — **მო-სა-ხვეჭ-ელ-ი...**

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ფორმობრივი პარალელიზმი, ჩვეულებრივ, სემანტიკურ სხვაობას არ იძლევა. მაგ.:

შესავსებელი, შესავსები — რაც უნდა შეავსონ ან შეივსოს (ქეგლ, ტ. VIII, 1121);

გასაცინი, გასაცინებელი — რაზეც უნდა გაიცინონ, სასაცილო (ქეგლ, ტ. II, 1114);

გადასაკიდი, გადასაკიდებელი — რასაც გადაჰკიდებენ ან გადაიკიდებენ, (იქვე, 289);

გასაკვირი, გასაკვირველი — რაც გააკვირვებს ვისმე, გაკვირვების გამომწვევი, გასაოცარი, განსაცვიფრებელი (გვ. 1090);

მოსახვეჭი, მოსახვეჭელი — რაც უნდა მოიხვეჭონ, რისი მოხვეჭაც შეიძლება (ტ. V, 896)

სათარგმნი, სათარგმნელი — რაც უნდა თარგმნონ, გადასათარგმნი (ტ. VI, 604);

სახილავი, სახილველი — რაც უნდა იხილონ, სანახავი (იქვე, გვ. 967);

ენაში ფიქსირდება ისეთი ფორმებიც მყოფალი ღროის მიმღობებისა, რომელთათვისაც დამახასიათებელია მხოლოდ ერთი სახის წარმოება — ან ოდენპრეფიქსული, ან პრეფიქსულ-სუფიქსური.

მაგ.: **სა- მაწარმოებლიანია:**

მისატანი — 1. რაც უნდა მიიტანონ, მისაზიდი, წასაღები.

2. მიტანის ფასი (ქეგლ, ტ. V, 427);

მოსაგლეჯი — რაც უნდა მოგლიჯონ, მოსაწყვეტი (იქვე, 765);

მოსაცემი — რაც უნდა მომცენ მე ან მოგცენ ჩვენ, რაც უნდა მოგცენ შენ ან თქვენ (იქვე, 893).

არ გვაქვს ამ ფორმათა პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები პარალელები: *მისატანელი, *მოსაგლეჯელი, *მოსაცემელი...

სა-ელ მაწარმოებლიანია:

მისანიჭებელი — რაც უნდა მიანიჭონ (იქვე, 426);

გადასამუშავებელი — რაც უნდა გადამუშავდეს. გ. ნელეული (ტ. II, 294);

დასამოწმებელი — რაც უნდა დაამოწმონ, დასადასტურებელი, (ტ. III, 677).

შესაბამისად, არ დასტურდება ამ ფორმათა ოდენ პრეფიქსით ნაწარმოები პარალელები: *მისანიჭი, *გადასამუშავები, *დასამოწმები...

მყოფალი ღროის მიმღობათა ფორმებით შეიძლება გამოხატული იყოს არა მარტო მოქმედების საგანი, არამედ იარაღი, რითაც მოქმედება წარმოებს, ზოგ შემთხვევაში კი შეიძლება მითითება ხდებოდეს მოქმედების ადგილზეც:

სარწყავი — 1. რასაც უნდა რწყავდნენ, რაც ირწყვება. ს. მიწები;
 2. რის საშუალებითაც რწყავენ, რაც ირწყვება (ქეგლ, ტ. VI, 794);

სალეწი — 1. რაც უნდა ლეწონ. ს. პური;
 2. რითაც უნდა ლეწონ, ს. მანქანა (იქვე, 675);

საწერი — 1. რაც უნდა წერონ, დასაწერი;
 2. რითაც ან რაზეც უნდა წერონ, წერისათვის გან-

კუთვნილი, ს. მაგადა, ს. ქალაღი (იქვე, 923);

სათხრელი — 1. რაც უნდა თხარონ; გასათხრელი, ამოსათხრელი;
2. რითაც უნდა თხარონ, მიწის ს. მანქანა (იქვე, 620);

საბმელი — 1. რითაც ან რაზედაც აბამენ — დასაბმელი, მისაბმელი, ს. ბაწარი.

2. სადაც აბამენ, დასაბმელი ადგილი

ახალ ტერმინებში ხშირად **სა-** პრეფიქსიანი „იარაღის მყოფადის“ ნაცვლად **მ-** პრეფიქსიანი აწმყო დროის მიმღობა გვხვდება: „ჩვეულებრივ აწმყოს მიმღობას (მ- თავსართიანს) იყენებენ იქ, სადაც ხალხური მეტყველება „იარაღის მყოფადს“ გამოიყენებდა: **ამომ-მ-რთველი** (выключатель), **მ-რიცხველი** (счетчик), ფუძის მაწარმობელი (აფიქსი)... შდრ.: **სა-კერავი** მანქანა... **სა-ხნისი**, **სა-დგისი**, **სა-სმისი** (იარაღების ეს სახელები წარმომობით მიმღობაა მყოფადი დროისა) (ჩიქობავა, 1998, შენიშვნა 1, 87).

ე.ი. ერთ შემთხვევაში **სა-** პრეფიქსიანი მიმღობით გამოხატულია იარაღი, რითაც მოქმედება წარმობს — უბრალო დამატება მოქმედებითი ბრუნვის ფორმით, მეორე შემთხვევაში იგივე საგანი სუბიექტად არის წარმოდგენილი და ამიტომ მიმღობა **მ-** პრეფიქსითაა გაფორმებული.

ქართულის „იარაღის მყოფადის“ მიმღობა (**სა-** პრეფიქსიანი) რუსულში სასუბიექტო მიმღობის ფორმით გადმოიცემა: **საბეჭდი** მანქანა — пишущая машина, **სათესი** მანქანა — сеющая машина ... შესაძლოა, **მ-**იანი ფორმების ხმარება რუსულის გავლენით აიხსნას.

იარაღისა და მოქმედების ადგილის აღმნიშვნელი მიმღობები ძირითადად უზმნისწინოა, რის გამოც ისინი ხშირად სუბსტანტივდება. ზმნისწინის დართვის შემთხვევაში მყოფადი დროის მიმღობას ვიღებთ. შდრ. **სათხრელი** — **გასათხრელი**, **საკლავი** — **დასაკლავი**, **საკერავი** — **შესაკერავი**...

როდესაც **სა-** პრეფიქსიანი მყოფადი დროის მიმღობა (მსგავსად სა-ელ მაწარმობლიანისა) მოქმედების ადგილზე მიუთითებს, ასეთი ფორმები ჩვეულებრივ გასუბსტანტივებულია: **სა-ფლავი**, **სა-წოლი**, **სა-კურთხეველი**, **სა-სუფეველი**... გარსებითებულ მიმღობებს კი, როგორც წესი, დროის გავება არ აქვთ.

დრო არ არის ასევე გამოხატული სტატიკური ზმნებიდან სა-ელ-ით ნაწარმობებ მიმღობებშიც: **სა-ძულველი**, **სა-წადელი**, **სა-**

სურველი, **სა-ყვარელი** და მისთ. საგულისხმოა, რომ სა-ელ-ით ნაწარმობები მიმღობა მხოლოდ ორპირიან ინვერსიულ სტატიკურ ზმნებს ახასიათებს. ერთპირიან ზმნებს კი, სტატიკურსა თუ დინამიკურს, **სა-ელ-**ით ნაწარმობები მიმღობა არა აქვთ.

საყურადღებოა მიმღობის გასუბსტანტივებული ფორმა „**საქმე**“. როგორც მიუთითებენ, იგი წარმომობით მყოფადის მიმღობაა და ნიშნავს გასაკეთებელს, საქმნარს. ამჟამად ეს ფორმა არსებით სახელადაა ქცეული. „**საქმე**“-ს უპირისპირდება **უქმე** (**//უქმი**). ესაა შემოკლებული გამოთქმა „უქმე დღე“ (შდრ. საქმის დღე). „**საქმე**“ არის მიმღობის წარმობისა და მასდარის ფუნქციის მქონე და ეს ფაქტი მასდარისა და მიმღობის ერთნაირ აგებულებასა და დიფერენციაციის მეორეულობას ცხადყოფს (ჩიქობავა, 1953, 35-45).

მიმღობურ ფორმათა სემანტიკური განსხვავებულობის ფუნქცია ზოგჯერ შესაძლოა ზმნისწინმაც იკისროს და, შესაბამისად, მისი დართვა-დაურთველობა ზოგჯერ მნიშვნელობათა სადიფერენციაციოლადც გამოიყენება.

მაგ.: **დასახატავი** — რაც უნდა დახატონ ან დაიხატოს (ქეგლ, ტ. III, 713)

შდრ. **სახატავი** — 1. რაც უნდა ხატონ
2. რაზედაც, რაშიც უნდა ხატონ. ს. რვეული
3. რითაც უნდა ხატონ. ს. ფანქარი (ტ. VI, 947).

არ ვამბობთ: დასახატავი რვეული ან დასახატავი ფანქარი.

ან: **შესაკერ[ავი]** — რაც უნდა შეკერონ, ან შეიკეროს (ტ. VII, 1124);

საკერავი — 1. რაც უნდა კერონ.

2. რითაც უნდა კერონ, ს. მანქანა, ს. ძაფი (ტ. VI, 611).

არ იხმარება: შესაკერავი მანქანა.

ასევე: **ამოსაყვანი** — 1. ვინც, რაც უნდა ამოიყვანონ;

2. რითაც უნდა ამოიყვანონ, ლაქების ა. წამალი (ტ. 1, 393)

მაგრამ პირველი მნიშვნელობით ვერ გამოვიყენებთ უზმნისწინო ფორმას. არ ითქმის: ჭიდან საყვანი კაცი.

მნიშვნელობათა სხვაობა შეიძლება გამოწვეული იყოს ერთ ძირზე სხვადასხვა ზმნისწინის დართვით. მაგ.:

გადასარჩენი — ვინც, რაც უნდა გადაარჩინონ ან გადაარჩეს (ქეგლ, ტ. II, 291);

დასარჩენი — ვინც, რაც უნდა დარჩეს (ტ. III, 410);
მოსარჩენი — 1. ვინც ან რაც უნდა მოარჩინონ, ან მოარჩეს, განსაკუთრნავი
2. რისგანაც უნდა მოარჩეს, რაც უნდა მოუტრჩეთ
3. რამაც უნდა მოარჩინოს, რითაც უნდა მოარჩნენ (ტ. V, 883);
შდრ. **სარჩენი** — ვინც უნდა არჩინონ, კმაყოფაზე მყოფი, შესა-
ნახავი, საპატრონო (ტ. VI, 790) და სხვ.

როგორც ვხედავთ, დასახელებულ ფორმებს ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობები აქვს, რაც მათ უფროდ შესაბამისი ზმნური ფუძეებიდან გადმოყვება და რასაც ზმნისწინთა სემანტიკური განსხვავებულობა განაპირობებს, თუმცა ზოგ შემთხვევაში განსხვავებულ ზმნისწინიანი მიმღებები ძირითადად ერთი და იმავე სემანტიკის გამოხატველია:

გასაცვლელი, გადასაცვლელი, შესაცვლელი, გამოსაცვლელი — არის ის, რაც უნდა გაიცეს მაგიერის მიღების ხარჯზე.

ასევე: **სათარგმნი, გადასათარგმნი, გადმოსათარგმნი** — რაც უნდა ითარგმნოს.

საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს მყოფადი დროის მიმღებობა-
თაგან ზოგიერთი ფორმა. ყურადღებას შევაჩერებთ ერთ შემთხვევაზე. ლექსიკური თვალსაზრისით ურთიერთბადალი ფორმებია **ყიდ-ვა** და **ს-ყიდ-ვა**, რომლებიც აღნიშნავს ფულით რისამე შეძენას. განსხვავება მათ შორის ძირითადად სტილისტურია. შესაბამისი მიმღებობები კი უკვე ლექსიკურად განირჩევა ერთმანეთისგან:

საყიდელი — 1. რაც უნდა იყიდონ
2. რითაც უნდა იყიდონ, ს. ფული (ქველ. ტ. V, 880);

სასყიდელი — 1. რაც უნდა იყიდონ, ყიდვისათვის განკუთვნილი
2. გასამრჯელო, საფასური, ფასი (იქვე, 816).

თუმცა, **სასყიდელი** პირველი ფორმის მნიშვნელობითაც დადასტურდა — რაც უნდა იყიდონ. მაგ.: „რაც რამ გასაყიდელი აქვს ამ სოფლებს, ფოთში ყიდის, **სასყიდელია** და, კიდევ აქ ყიდულობს“ (ნინოშვილი, 1984, 87).

ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში ამგვარი სემანტიკური დამთხვევა **სა-ყიდ-ელ-ი** და **სა-ს-ყიდ-ელ-ი** ფორმებისა აღარ შეინიშნება, ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით ეს ფორმები უკვე გაემიჯნენ ერთმანეთს, თუმცა განსხვავებული პრინციპითაა ნაწარმოები ამავე ფუძეებისგან ნამყო დროის საობიექტო მიმღებობები: **შე-ს-**

ყიდ-ულ-ი და **ნა-ყიდ-ი** (შდრ.: **გა-ყიდ-ულ-ი**).

შესყიდული — 1. რაც შეისყიდეს, ფასის გადახდით შეძენილი
2. იგივეა, რაც მოსყიდული (ქველ. ტ. VII, 1162);

ნაყიდი — რაც იყიდეს, ყიდვით შეძენილი (ტ. V, 1404);

თითქოს ეს ორი ფორმა სემანტიკურად სავსებით ფარავს ერთმანეთს, მაგრამ გარკვეული ნიუანსური სხვაობა ამ შემთხვევაში მაინც დასტურდება. მაგ.: ვამბობთ — **ნაყიდი** წიგნი, სახლი..., მაგრამ **შესყიდული** შეიძლება იყოს მამული და მისთ.

ბ. ჯორბენაძე ასეთი სახის სხვაობას შემდეგნაირად ხსნის: „**ნა-ყიდი** ისაა, რასაც არცთუ დიდი ოდენობის თანხით შეიძენენ, **შესყიდული** კი ის, რაც საკმაოდ დიდი ოდენობის თანხის გაღებით იქნა შეძენილი. გარდა ამისა, შესყიდული გარკვეულად ვარაუდობს იმას, რომ შეძენილი საგანი აღრე სხვისი კუთვნილება იყო, ნაყიდი ამ თვალსაზრისით ნეიტრალურია... ეს ნიუანსი განარჩევს პირველ ფორმებსაც: **ი-ყიდ-ი-ს** და **შე-ი-ს-ყიდ-ი-ს** (ჯორბენაძე, 1985, 184).

ამრიგად, ახალ ქართულში, შეიძლება ითქვას, თანაბარწილადაა წარმოდგენილი მყოფადი დროის მიმღებობათა წარმოების ორივე სახე — ოდენბრეფიქსული და პრეფიქსულ-სუფიქსური. გამოვლენილ პარალელურ ფორმებს შორის ლექსიკური სხვაობა ძირითადად არ ივარაუდება.

ლიტერატურა:

ნინოშვილი, 1984 — ე. ნინოშვილი, თხზულებანი, თბ., 1984

1. ქველ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I (1950) — ტ. VIII (1964).

ჩიქობავა, 1953 — არნ. ჩიქობავა, მასდარისა და მიმღებობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში, იკე, ტ. V, თბ., 1953.

ჩიქობავა, 1998 — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998.

ჯორბენაძე, 1985 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

TAMAR MAMARDASHVILI

Formation of the Future Participle in Modern Georgian

Summary

The Future participle equals the direct object of the initial verb, hence it is of objective type. These forms denote the direct object of the performed action.

In some instances they indicate the place, or instrument of action. Some of these forms can be substantivized. The Future participle is formed with the affixes *sa* and *sa _ el*. When added to the same stem, they produce parallelism. However, the formal parallelism shows no semantic differences. Some forms of the Future participle have only one type of formation _ either prefixal or affixal.

თალიკო ბერიძე

ფუძვალგაორკეცვითი კომპოზიტები საშუალო მართულში

ფუძის გამეორება ანუ გაორკეცვა ერთ-ერთი საშუალებაა კომპოზიტის შესადგენად, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია ქართულში, როგორც სახელებში, ისე ზმნებში.

ცნობილია გაორკეცვის შემდეგი სახეები:

მარტივი გაორკეცვა; გაორკეცვა თანხმოვნის დისიმილაციით; გაორკეცვა თანხმოვნის ჩავარდნით; გაორკეცვა ხმოვნის შენაცვლებით; გაორკეცვა დასაწყისი მარცვლის შენაცვლებით (შანიძე, 1953, 150).

არსებობს ფუძეგაორკეცვითი კომპოზიტების განსხვავებული კლასიფიკაცია:

მარტივი გაორკეცვა;

ბრუნვის ფორმიანი და კავშირიანი გაორკეცვა; გაორკეცვა ხმოვნის შენაცვლებით; გაორკეცვა თავკიდური თანხმოვნის ან მარცვლის შენაცვლებით; გაორკეცვა თანხმოვნის დართვით;

გაორკეცვა პირველი ფუძის თავკიდური თანხმოვნის დაკარგვით; გაორკეცვა მეორე ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნის დაკარგვით; ტეხილი გაორკეცვა (სანიკიძე, 1968.: 144-172).

ზემოთ დამოწმებულ ორ კლასიფიკაციას შორის არის რამდენიმე საერთო ჯგუფი: 1) მარტივი გაორკეცვა; 2) გაორკეცვა ხმოვნის შენაცვლებით; 3) თავკიდური თანხმოვნის ან მარცვლის შენაცვლებით; 4) თანხმოვნის დაკარგვით.

საერთო ჯგუფების მიუხედავად ლ. სანიკიძესთან გამოყოფილია: 1) თავკიდური და ბოლოკიდური თანხმოვნების დაკარგვის შედეგად მიღებული გაორკეცვის შემთხვევები; 2) გაორკეცვა თანხმოვნის დართვით; 3) ტეხილი გაორკეცვა.

საშუალო ქართულის ძეგლებში მოპოვებული მასალა იძლევა გაორკეცვის შემდეგი სახეების გამოყოფის საშუალებას:

მარტივი გაორკეცვა; ბრუნვის ფორმიანი გაორკეცვა; გაორკე-

ცემა თავიკიდური თანხმონის ან მარცვლის შენაცვლებით; გაორკეცება თანხმონის დართვით; გაორკეცება თანხმონის დაკარგვით;

გაორკეცება ხმონის შენაცვლებით; „და“ კავშირიანი გაორკეცება;

მარტივი გაორკეცება, გაორკეცება თავიკიდური მარცვლის ან თანხმონის, ასევე ხმონის შენაცვლებით, როგორც გაორკეცების ძირითადი სახეები გამოყოფილია თითქმის ყველა მკვლევართან (შანიძე, 1976, 122; თოფურია, 1958, 283-4; გიგინეიშვილი, 1970, 149-50; კიზირია, 1981, 76-78). ამ ტიპის კომპოზიტებს გამოვყოფთ ჩვენც.

სხვა მკვლევრებისაგან განსხვავებით ვ. თოფურიასთან და ლ. სანიკიძესთან გამოყოფილია ბრუნვისფორმიანი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები. საშუალო ქართულის მასალაზე დაყრდნობით ბრუნვისფორმიანი კომპოზიტებს ჩვენც გამოვყოფთ.

ა) მარტივი გაორკეცება

გაორკეცება აძლიერებს სიტყვის მნიშვნელობას დიდ-დიდი (ძალიან დიდი), ადრე-ადრე. ფუძეგაორკეცებული კომპოზიტებისათვის ამოსავალი ყოველთვის სიმრავლე-ინტენსივობის გამოხატვა ჩანს (ლომთათიძე, 1940, 115).

საშუალო ქართულში უხვად გვაქვს მარტივი გაორკეცების მაგალითები. ა. კიზირია ამ ტიპის გაორკეცებას უწოდებს უკავშირო გაორკეცებას, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი კომპონენტები უცვლელად შემოუნახავს (რაკრაკი, ბაჯბაჯი და ა.შ.) (კიზირია, 1981, 77).

ძველ ქართულში ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი არც თუ ისე ბევრი იყო. აკ. შანიძე „ძველი ქართული ენის“ სახელმძღვანელოში იმოწმებს გაორკეცებულ რთულ სახელთა ნიმუშებს, რომლებიც ცოტაა (შანიძე, 1976, 122). იმას, რომ ძველ ქართულში იშვიათია ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, ადასტურებს ზ. სარჯველაძეც (სარჯველაძე 1997, 188).

საშუალო ქართულში მოპოვებული მასალა გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, რომ ეს პერიოდი ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტთა იშვიათი ნაირგვარობით გამოირჩევა. ამით იგი საგრძნობლად განსხვავდება თანამედროვე და მით უფრო ძველი ქართულისაგან.

გაორკეცებულია არსებითი სახელი: იქიდამ მილი სხვა ვლეთ სულ **ადმართ-ადმართი** (საბა, 210); იგ ცხრა **დას-დასი** გუნდობდა,

უკანა ანუ წინობა (თეიმ., 15);

ქვემოძოყვანილ მაგალითებში ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი ადგილის ზმნიშედადაა გამოყენებული:

სხვა ეგზომ დიხოცა, მინდვრათ ჰყრია, **გორა-გორად** (არჩ., 163); დიაცი ვინმე შემოტიროდა **გზა-გზა** (ამირ., 78); შემოდგომამ ეგრე უთხრა: სიტყუი ერთობ **შარა-შარა** (თეიმ., 107); ამავე რიგისაა ფორმები: ნაპირ-ნაპირ და ხარისხ-ხარისხ. ჩვენ პატარასა კატარლით **ნაპირ-ნაპირ** მივდიოდით (საბა, 150);

ზნეობა რამ დამესწავლა ხარისხ-ხარისხ ამვლელო (არჩ., 14);

უკავშიროდ შეერთებულია ზოგჯერ ისეთი გაორკეცებული ნაწილები, რომლებიც მოკლებული არიან დამოუკიდებელ მნიშვნელობას. ვ. თოფურია ასეთ კომპოზიტებს უაზრო მარცვალთა გაორკეცებით (განმეორებით) მიღებულ კომპოზიტებს უწოდებს (თოფურია, 1958, 283).

საშუალო ქართულშიც გვხვდება ასეთი კომპოზიტები:

მდაბლად მოწყალა, ჰვრეტად **ნარნარი** (თეიმ., 22); შენმან სხივმან და **ციმციმან** ჰირსა დამაბა მწარესა (თეიმ., 19); ფრინველთაგან შემდგურება, **ჭიკჭიკი** და ამო ხმობა (თეიმ., 37);

გაორკეცებულია ზედსართავი სახელი.

გაორკეცებულია უმეტესად ვითარებითი ზედსართავი სახელები:

სამნი ქუეჭანანი დიდ-დიდნი მოკიდებულნი იყვნეს მათ სახელთა თანა (ამირ., 361); ბერებს **დიდ-დიდი** სახელო, სულ უმცროსთ აგერ ოქონა (არჩ., 47); აჭარა ნახავს სოფელსა, ცეცხლი სწვავს **ახალ-ახლები** (გტ., 22);

მიმართებითი ზედსართავი სახელის გაორკეცებითაა მიღებული შემდეგი კომპოზიტები: ელოდეს **პირად-პირადსა** სატანჯველსა თუ გვემასა (არჩ., 121);

გაორკეცებულია რიცხვითი სახელი:

და როდისაც **ერთ-ერთი** მოკუდება, კიდევ მაშინც გაიყრებიან (ქ.ს.ძ., I, 209);

რომელიც გინდა იქონე, **ერთ-ერთს** მოკიდე ხელი! (გურამ., 32);

უკანასკნელ შემთხვევაში კომპოზიტის პირველი კომპონენტი მიცემითი ბრუნვის ნიშანს დაირთავს.

თვითოსა ბანსა ზედა **ათ-ათი** კაცი მოკლული იღვა და თვითოსა უბანსა ზედა მკვდრისა გორი იდვის (ვისრ., 359); და მათ ექუსთა აქუს **ხუთას-ხუთასი** დრაჰკანი (ამირ., 220); არ დამჯერდეს **ცოტ-**

ცოტას, ვაძლევ, ვინც დამემონება (არჩ., 45);

ასეთი ფორმები უხვადაა როგორც ძველ და საშუალო, ასევე თანამედროვე ქართულში.

გაორკეცებულია ნაცვალსახელი, ძირითადად კუთვნილებითი და განსაზღვრებითი:

ყველამან წიგნები გაგზავნეს და **თავის-თავისი** ლაშქარი უხმეს (ვისრ., 25);

უბოძა ტურფა მრავალი **მათ-მათი** შესადარები (ვტ., 472);

მოაბად მას დღესა ეგზომი გაუგზავნა, **თვითო-თვითო** ვინ ახსენოს (ვისრ., 53).

ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტად ზმნისართიც გვხვდება:

ფერხს შეუყოფს, **ნელ-ნელა** შევა შიგ, რაც სიცოცხლე ძევს შესჯამს (საბა. 47); უცხო მდიდარი მის სადგომს **მალ-მალე** არ ნახოცია (არჩ., 9);

ხვაშიადად **ქვეშ-ქვეშ** მზრახნი შევიდიან, გავიდიან (არჩ., 161);

არც **შორ-შორ** და არც სულა ახლო ერთმანეთს მიწყობა (არჩ., 6); სამი დღე **ცალკე-ცალკე** განისვენეს (ამირ., 790);

უფრო ხშირია ფორმები, სადაც ამ კომპოზიტის პირველ კომპონენტს მოკვეცილი აქვს ბოლო მარცვალი:

მინდა და სწავლის სიმოკლით **ცალ-ცალკე** ვერ გამიყვია (გურამ., 31).

ბ) ბრუნვისფორმიანი გაორკეცება

სახელიანი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტის კომპონენტები ხშირად ერთი და იგივე სახელებია, მაგრამ სხვადასხვა ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი.

გამოიყოფა ისეთი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა პირველი კომპონენტი ნათესაობით ბრუნვაში დგას:

შენთვის იწვის და ენთების, **პირისპირ** გიზის მზერადო (თეიმ., 6);

ტირილითა ეხვეწების ცრემლსა ღვრიდა **მეტის-მეტსა** (თეიმ., 471);

ვითარებითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი ქვემო მოყვანილი კომპოზიტის პირველი კომპონენტი:

შალვა დარჩა **მართოდ-მართო**, მხლებელნი მტერმა გაუწყვიტა (თამარ., 106); **ფერად-ფერადი** ჩემი ხმა ვერც სასმენელმან იტია

(თეიმ., 111);

გ) გაორკეცება თავკიდური თანხმოვნის ან მარცვლის შენაცვლებით

გამოიყოფა რიგი სახელებისა, სადაც ფუძე მარტივად კი არ მეორდება, არამედ ხდება დასაწყისი თანხმოვნის შენაცვლება:

კ/ხ:

ქალთ დანაშევნებს პირთ **კალვა-ხალვა** და უმეტესად ფარვა და კრძალვა (გურამ., 192);

ბ/ჩ:

ბალა-ჩალაში დავსძვრები, ვითა ღაღა მეო (გურამ., 90);

ც/მ:

მას აბუზღუნებდნენ **ცუდ-მუდი** კაცი შმაგი და რეტია (ტფილ., 30);

წ/მ:

ყველა ვინმე გაგამტყუნებს — რა იუბენ **წარა-მარა** (თეიმ., 107);

დ) გაორკეცება თანხმოვნის დართვით

ფუძეგაორკეცებული კომპოზიტის მეორე სიტყვაში დასაწყისი თანხმოვანია გაჩენილი:

რა ირწმუნა მარტოობა, **ახლო-მანლო** გაუჩერდა (თამარ., 12);

მეფე ვახტანგც მიბრძანდა აშტრახნის **არე-მარესა** (გურამ., 100);

აშიყ-მაშიყნი რა ჟამად ერთმანეთს შეეყრებოდეს (თეიმ., 9);

აშიყმაშიყი სატრფოებს (ქალსა და ვაჟს ერთად) ნიშნავს.

„ჩინი-მაჩინი“ კომპოზიტის მეორე სიტყვაში გაჩენილა მარცვალი:

ჩინი-მაჩინი, ერანი და ერაყი (ვისრ., 128);

აკ. შანიძე ამ ფორმას განიხილავს დასაწყისი მარცვლის შენაცვლებით მიღებულ ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებთან ერთად. იგი წერს: „თუ ფუძეში „ა“ არის, ის არ შეიცვლება“, — მარტივად დაერთვის წინ „მ“ არე-მარე (შანიძე, 1953, 153).

ე) გაორკეცება თანხმოვნის დაკარგვით

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა კომპოზიტის მეორე სიტყვაში დაკარგულია ხმოვანი:

ფეშქაშ-ღურ ქართლის მოძღვნა არს: **სალამ-ალამი** მშვიდობა (გურამ., 61);

„პატ-პატა“ კომპოზიტიდან თანხმონის ამოვარდნითაა მიღებული საკუთარი სახელი „პაატა“ (შანიძე, 1953, 151);
უწინ პატ-პატა სწავლებით ამ დიდროს დააქადილებს (არჩ., 10);

ვ) გაორკეცება ხმონის შენაცვლებით
ხვდება ხმონის შენაცვლებით ფუძით გაორკეცების ნიმუშებიც:
ო — ო:

თამამად გამოარჩივეს არ სიტყვა **მიროტ-მოროტნი** (გურამ., 126);

ო — უ:

ბიჭ-ბუჭებიც კარგზედ ისხდნენ ცერ-ნაცვეთი კოჭაობით (არჩ., 39);

ამავე რიგისაა ხილი-ხულიც:

ხილი-ხული და ხიჩატელი მას ტევრსა შინა მრავალი იშობოდა (საბა, 10);

კეთილ ნუჯრობით, ცუდ **რიჯრაჯობით** (შავთ., 44);

უ/ე:

არასგან არსი შექმნეს, **ურთი-ერთზედ** კიდებულმან (არჩ., 22);

აქვე უნდა განვიხილოთ ფხაკა-ფხუკი ტიპის კომპოზიტები:

გულსა შურის ფრჩხილითა უდსავით **ფხაკა-ფხუკს** დააწყებინებ (საბა, 97);

მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, **მტლაშა-მტლუში** (ვტ., 12);

ბავშვებმა მათის ტიკტიკით დამატკბეს, გამაცინესა, ურმისა **ჭრი-ჭინ-ჭრაჭუნმა** მე კიდევ ჩამაძინესა (თამარ., 37).

როგორც ვხედავთ, საშუალ ქართულში ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებში გვხვდება ა-უ; ი-ა; ი-ო; უ//ე ხმონის მონაცვლეობის შემთხვევები. გვაქვს ორმაგი მონაცვლეობის მაგალითიც: ჭრიჭინ-ჭრაჭუნი.

ზ) „და“ კავშირიანი გაორკეცება

გაორკეცების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს კავშირიანი შეერთება:

არვის ასმია მიჯნურისა ეგზომი ჭირი და **სხვადასხვა** მიზეზი (ვისრ., 57);

დასწვიმს მარცხის მწვანეთა **ხანდანან** ზედი-ზედარე (თეიმურ.,

105);

თუმცა ეგ შენი შვილი ერთს წელს სიგლახაკეს იწყებს და **კარ-დაკარ** მავალი და მათხოვარი შეიქმნება (საბა, 144);

შემოგფრინავ და შემოგმზერ, **პირდაპირ** ჩამოგეჩიტი (თეიმ., 11);

ფრინვით სერნობდნენ **ხე-და-ხე**, ვის ვისთან სთქმოდეს (არჩ., 16).

ამრიგად, საშუალ ქართულში საკმაოდ მრავლადაა ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები.

საშუალი ქართულისათვის ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტთაგან სპეციფიკური ჩანს ფორმები **ცუდ-მუდი, მიროტ-მოროტი, ხილი-ხული, ბალა-ჩალა, კალვა-ხალვა, ჭრიჭინ-ჭრაჭუნი** და ა.შ. ჩანს, ისინი ცოცხალი მეტყველებიდანაა შესული სამწერლობო ენაში.

ლიტერატურა

თოფურია, 1958 — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვა-წარმოებიდან VI. კომპოზიტი ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I, თბ., 1958

თოფურია, გიგინეიშვილი, 1970 — ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, კრებული I, თბ., 1970.

კიზირია, 1981 — ა.კიზირია, კომპოზიტები ახალ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. V თბ., 1981.

ლომთათიძე, 1940 — ქ. ლომთათიძე, რედუბლიკაციის ფუნქციისათვის აფხაზურში, ენიმკის მოამბე V—VI. თბ., 1940.

სარჯველაძე, 1997 — ზ.სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.

სანიკიძე, 1968 — ლ. სანიკიძე, ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები ქართულში, მაცნე №3 თბ., 1968.

შანიძე, 1953 — ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.

წყაროები

არჩილი, 1936 — არჩილი, თხზულებათ სრული კრებული, თბ., 1936.

გურამიშვილი, 1955 — დ. გურამიშვილი დავითიანი, თბ., 1955.

თეიმურაზ I, 1934 — თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1934.

ორბელიანი, 1965 — ს.ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. . IV, თბ., 1965.

რუსთაველი 1976 — შ. რუსთაველი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1976.

TALIKO BERIDZE

Stemreduplicated Composites in Medieval Georgian

Summary

Stemreduplicated composites are quite frequent in Medieval Georgian. Simple reduplication reduplicates a) nouns (*neba-neba*); b) adjectives (*did-didi*; *zvir-zviri*); g) numerals (*at-ati*, *oc-oci*); d) pronouns (*mat-mati*); e) adverbs (*ncl-ncla*, *xšir-xširad*).

Some of the composites are built by vowel or syllable substitution: (*bala-čala*, *čara-mara*; *axlo-maxlo*, *salam-alam* etc.).

Among the reduplicated composites the forms *cud – mudi*, *miroṭ – boroti*, *xili – xuli*, *bala – čala*, *čričin – čračuni* seem to be specific for Medieval Georgian.

რუსულან ზამელაზვილი-ზამალაზვილი

პირის კატეგორიის ფუნქციონირება ქართულში და მასტრალინგვისტური ფაქტორები

ადამიანურ ურთიერთობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ენობრივი კომუნიკაცია, რომელშიც აირეკლება მთელი სამყარო და ადამიანის დამოკიდებულება ნებისმიერ საგანთან, მოვლენასთან, საზოგადოებასთან.

ენაში აზრის, ემოციის გამოხატვის პოტენციურად არსებული უამრავი საშუალების რეალიზაცია მთელი მრავალფეროვნებით ხდება მეტყველებაში.

„ენა... ის ინვარიანტია — აბსტრაქტული მოდელი, რომელიც პარადიგმატულ ჭრილში ძვეს და აერთიანებს ყველა ვარიანტს. ვარიანტი კი სინტაგმატურ ჭრილს განეკუთვნება. იგი ერთია, განუმეორებელი, რადგან სამეტყველო (ზეპირი და წერიტი) აქტის ცალკეულ გამოვლინებას წარმოადგენს“ (გოქსაძე, 1998, 19).

თანამედროვე ენათმეცნიერება ამ ბოლო დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სწორედ ცოცხალი მეტყველების შესწავლას კონკრეტულ სიტუაციაში ანუ ენის ფუნქციონირებას. ამას მოწმობს ლინგვისტიკის ახალი დარგების ჩამოყალიბება: სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა, პრაგმალინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, დისკურსის (კონვერსაციის) ანალიზი, პარალინგვისტიკა და სხვ.

მაინც რა განაპირობებს ადამიანის მიერ უამრავი ენობრივი საშუალებიდან იმის შერჩევას, რაც მოცემულ სიტუაციაში ყველაზე მოხერხებული და შესაფერისია? ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი შეიძლება იყოს თავაზიანობის პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს მეტყველების ადეკვატურ სტილს, ტონალობასა და რეგისტრს.

კომუნიკაციაში გამოყენებულ ლექსიკურ ერთეულთა გრამატიკული ფორმა ხშირად განსხვავებულ სემანტიკურ-სტილისტურ დატვირთვას იძენს. ეს შეიძლება შეეხოს გრამატიკულ კატეგორიებსაც

(პირსა და რიცხვს, კილოს, გვარს და სხვ.).

განვიხილოთ პერსონალობის სემანტიკური გადააზრების შესაძლებლობები, გამოწვეული თავაზიანობის პრინციპით.

პირს მიიჩნევენ ზმნის გრამატიკულ კატეგორიად, რომელიც გამოხატავს მოქმედებისა (პროცესის) და სუბიექტის (ხანაც ობიექტის) დამოკიდებულებას მოუბარ პირთან (იხ. ახმანოვა, 1966, გვ. 220; როზენტალი, ტელენკოვა, 1982, 121). პირის კატეგორია აქვს პირის ნაცვალსახელების ლექსიკურ-გრამატიკულ ქვეკლასსაც, მაგრამ აქ პირი წარმოადგენს ლექსემათა ნაკრებს და არა — გრამატიკულ ფორმათა წყებას (ლელ, 1990, 271). ამიტომ პირს უწოდებენ „სუპერკატეგორიას“ (რევიზინა, 1973). ე. ბენვენისტი პირთან აერთიანებს რიცხვის კატეგორიასაც (ბენვენისტი, 1974), ხოლო რ. იაკობსონი პირს აკუთვნებს კატეგორია-შტიფტერებს, რადგან მისი მეშვეობით მყარდება კავშირი გამონათქვამსა და სამეტყველო აქტს (კომუნიკანტებს) შორის (იაკობსონი, 1972).

მოუბარი პირი (მე) წარმოადგენს კომუნიკაციის ცენტრს და ამოსავალია ლინგვისტური დეიქსისისათვის. „მოუბარი ადამიანი უბნობის მომენტში უაღრესად მნიშვნელოვანი კატეგორიაა ზმნის სტრუქტურაში — ის გამოსავალია პირთა გაგებისათვის: მოუბარი, რომელიც ითვლება პირველ პირად, განსაზღვრავს მეორეს, ორივე ესენი ერთად კი არკვევენ მესამეს. ყოველგვარი საუბარი, თხრობა, მსჯელობა ისე მიმდინარეობს, რომ უეჭველად მოუბრად იგულისხმება ვინმე. ყოველი წიგნი... ისეა დაწერილი, რომ ყოველ ფრაზაში მოუბრის თვალსაზრისია გატარებული“ (შანიძე, 1973, 168). ამის გამო მიიჩნევენ ენას სოლიდისტურ სისტემად, რადგან გარე სამყაროს შეფასება ხდება მოსაუბრის პოზიციიდან ამოსვლით (იხ. ჯორბენაძე, 1997, 101). სწორედ მოუბარი პირია ამოსავალი პირის, დროის, კილოს, გვარის, ქცევის, აქტისა და სხვა გრამატიკული კატეგორიების გამოსაყოფად.

მეტყველების აქტში მონაწილეობის მიხედვით პირის გრამატიკულ-სემანტიკური ველი შეიძლება დაგვით ორ **მიკროველად**: 1. საუბარში მონაწილე პირები (კომუნიკანტები) და 2. მეტყველების აქტის გარეშე მყოფი პირი (III). პირველ მიკროველში უნდა გამოიყოს ორი **ზონა**: მოუბარი პირისა (I) და მსმენელისა (II). ველის ცენტრში მოთავსებულია **ბირთვული** (ძირითადი) ნაწილი, რომელიც გულისხმობს პირის პირდაპირ, პირველადს მნიშვნელობებს:

„მე“ (I პირი) წარმოადგენს მოუბარს (მეტყველების ან გამონათქვამის სუბიექტს, ავტორს, მეტყველების აქტის წყაროს, აღრესანტს);

„ჩვენ“ გულისხმობს ორ ან მეტ პირს, რომელთა შორის აუცილებლად ურთვია მოუბარი პირი (ე.ი. ინკლუზიური — მე და შენ/თქვენ ან ექსკლუზიური — მე და ის/ისინი).

„შენ“ — მეორე პირს მიმართავს მოუბარი კომუნიკაციის დროს (ტერმინები: თანამოსაუბრე, მსმენელი, მეტყველების ან გამონათქვამის აღრესატი, კომუნიკაციის მონაწილე).

„თქვენ“ გულისხმობს მრავალ თანამოსაუბრეს ან მსმენელს (შენ+შენ+შენ), შესაძლებელია — არაკომუნიკანტსაც (შენ+შენ...+ის/ისინი).

ჭეშმარიტი პირია სწორედ I და II, ხოლო III შეიძლება იყოს ადამიანიც, ცხოველიც, საგანიც, მოვლენაც. ის არც მოუბარია და არც მიმართვის აღრესატი, არამედ მის შესახებ საუბრობენ კომუნიკანტები.

განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება პირის გრამატიკულ-სემანტიკური ველის **პერიფერიული** ნაწილი, რომელშიც იგულისხმება მისი არაპირდაპირი (გადატანითი, მეორეული, კონტექსტური) მნიშვნელობები. პირის კატეგორიის გამოხატულების პლანის მიმართება სემანტიკურ ვარიანტებთან შეიძლება დაკონკრეტდეს არა მარტო ლინგვისტური (ლექსიკური, სინტაქსური, სტილისტიკური...), არამედ ექსტრალინგვისტური (სიტუაციური, სოციალური, სპეციალიზებული) კონტექსტით (იხ. ვასილიევი, 1990, 149).

ენათმეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სემანტიკა გამოხატავს სამ მიმართებას: საგნისადმი (დენოტატიური), ცნებისადმი (სიგნიფიკატიური), სამეტყველო აქტის პირობებისა და მონაწილეებისადმი (პრაგმატული მნიშვნელობა), სხვა ენობრივი ნიშნებისადმი (სტრუქტურული მნიშვნელობა) (იხ. შმელიოვი, 1973, 18). ეს შეხედულება მართებულია პირის კატეგორიისთვისაც. მართლაც, სემანტიკის გადააზრებისთვის განმსაზღვრელია მიმართება მეტყველების აქტის პირობებისა და მისი მონაწილეებისადმი (პრაგმატული ასპექტი). თავის მხრივ, ამას ემატება კომუნიკანტთა ურთიერთმიმართება (სოციოლინგვისტური ასპექტი).

გამოყოფთ პირის სემანტიკური ტრანსპოზიციის (ტრანსსემანტიზაციის) რამდენიმე სახეობას:

1. **ნაწილობრივს** ანუ **არასრულს**, როცა პირველადი მნიშვნელობა ფართოვდება, თუმცა ზმნის ფორმით (ან ნაცვალსახელით) გამოხატული კონკრეტული გრამატიკული პირი არაა გამოორიცხული.

მაგ., „ვაზროვნებ — მაშასადამე, ვარსებობ“.

„რაც რომ ავი საქმე გქენი, ყველა თავზე დამიბრუნდა“ (ანდ.).

„ჩვენ თავს არავის დავატყვევებინებთ... გვაროვნობით ვართ ასეთი“ (დ. კლდ.).

2. პირის სემანტიკის **განზოგადებას**, რომლის დროსაც იგულისხმება აბსოლუტურად ყველა პირი:

„ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგაძახებს“ (ანდ.).

„ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“ (ანდ.).

„თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუტე, ისე გაფთვლავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“ (ი. ჭავჭავაძე).

„ნამეტან უსამუალობაში ვართ ჩავარდნილი და გასაკვირველია, რომ კიდევ ხალისიანათ ვართ (დ. კლდ.).

„ხანდახან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს უბედურებას ვერა ვხედავთ“ (ი. ჭავჭავაძე).

„ბავშვების აღზრდა მშობლების აღზრდით უნდა დავიწყოთ“ (შ. ამონაშვილი).

„ცელქები შეიძლება დავსაჯოთ, მაგრამ საჭიროა წავახალისოთ“ (შ. ამონაშვილი).

3. პირის **განუსაზღვრელობას**, როცა რეალური მოქმედი პირი უცნობია ან მოუბარი განგებ არ ასახელებს მას.

მაგ., „ამბობენ, — თამარ დედოფალს ის აკვანი იქ ჩაუდგამს“ (ი. ჭავჭავაძე).

„აქლემს უთხრეს: კისერი მრუდე გაქვსო და სხვა რაღა მაქვს სწორიო“ (ანდ.).

„იტყვიან: მალის მთის ძირსა, უღრანს, უდაბურს ტყეშია, ლუხუმი იწვა დაჭრილი, ნატყვიარი სჭირს მკერდშია“ (ვაჟა).

„ჩვენ ოჯახში მახსოვს რამდენიმე შემთხვევა, რომ კაცი დავსაჯლოთ“ (აკაკი).

განსხვავებით ქართულისაგან, გერმანულში განუსაზღვრელობის გამოსახატავად გამოიყენება სპეციალური ნაცვალსახელი **man** (man sagt - ამბობენ, man spricht - ლაპარაკობენ);

4. ა) პირის **სრულ** ტრანსსემანტიზაციას, როცა ზმნის ფორმით გამოხატული პირის ნაცვალად იგულისხმება სხვა (ძირითადად ხდება |

პირის ჩანაცვლება მეორით ან მესამით, მეორისა — პირველით).

მაგ., რას იხამ, ვერ ეტყვი კაცს პირში ასეთ რამეს (საუბრიდან).

უბედურო ჩემო თავო, მიდი, გაბედე, ნუ ხარ ასეთი გლაზაკი! (საუბრიდან).

„ — შენ რავა მაშვლობ მერე? შენს საწინააღმდეგო საქმეში უწყობ ხელს? “

— აბა, რა უნდა ქნა, მეტი გზა რომ არ გექნება, ჩემო საყვარელო ძმაო?!“ (დ. კლდ.).

„თუ სოფელში გაზრდილხარ, წარმოუდგენელია, რომ გორის თხემზე გულადმა გაწოლილს ერთხელ მაინც არ გედევნებინოს თვალი ღრუბლებისათვის, ერთხელ მაინც არ აღმოგეჩინოს იებით მოფენილი წყაროსპირი, წვიმაში ბუერას ქოლგით არ გეტყაბუნოს“ (ც. გოგოჭური).

შენ გუბნებთან, ახლავე დამიბრუნე ფული! (საუბრიდან).

ბ) **რიცხვის** ტრანსსემანტიზაციას.

მაგ., „მაგათ დააკლდათ ყველაფერი, მაგათზე ნაკლებები ყუდილვართ, რომ შემოვსულვართ ამ ოჯახში?“ (დ. კლდ.).

„ფიქრობ, რომ ამ მეთოდით კვლევა საინტერესო შედეგებს მოგვცემს“ (სამეცნ. ნაშრომიდან).

„მოგახსენებ, დიდებულო ხელმწიფე!.. თუ აქამდისინ ვერა ვბედავდით ექვენთან გხლებდით, ამის მიზეზი იყო, რომ გვეშინოდა ექვენის შეწუხებისა და განრისხებისა!“ (ალ. ყაზბ.).

5. ცალკე უნდა დავასახელოთ პირის **ნეიტრალიზაცია** (იმპერსონალიზაცია), როცა პირის მნიშვნელობა საერთოდ დაკარგულია, ხოლო ზმნა III პირის ფორმითაა გადმოცემული (ბასილაია, 1958; კვაჭაძე, 1996).

მაგ., გათენდა. დაღამდა. გაზაფხულდა. გაწვიმდა. თოვს. ცხელა. ყინავს. ბნელა. გარიჟრაჟდა. აკანკალებს...

„გაზაფხულდა, გაზაფხულდა, შეიმოსა მუხა მწვანედ, გაზაფხულდა, გაზაფხული აციმციმებს ცისფერ თვალებს“ (ლ. ასათ.).

იმპერსონალურ ზმნებთან გერმანულში გვხვდება უპირო ნაცვალსახელი es, ინგლისურში — it (es regnet - it rains, es schneit - it snows, es ist kalt) (იხ. ჰელბიგი, ბუშა, 1980).

მაშასადამე, ქართულში პირის სემანტიკური სახეცვლილებებია:

1. მნიშვნელობის გაფართოება, 2. განზოგადება, 3. განუსაზღვრელობა, 4. (პირისა და რიცხვის) სრული გადააზრება (ტრანსსემან-

ტიზაცია) და 5. იმპერსონალიზაცია (პირის გაგების ნეიტრალიზება).

ლინგვისტურ ლიტერატურაში გამოყოფილია პირის კატეგორიის შემდეგი სემანტიკურ-სტილისტური სახეობები: კვალიფიციური პირი (denoted person) — ე.წ. ავტორისეული მრავლობითი, განუსაზღვრელი და ზოგადი (ანუ განზოგადებული) (ახმანოვა, 1966). ენციკლოპედიურ ლინგვისტურ ლექსიკონში კი დასახელებულია უპირობა („светает“), განუსაზღვრელობა („Его не любят“) და განზოგადებულობა („Слезами горю не можешь“) (ლელ, 1990, 271—272). ასევე დახასიათებულია მრავლობითი რიცხვის 5 სემანტიკური ტიპი, რომელთა შორის ერთ-ერთია თავაზიანობის, განდიდების მრავლობითი („Мы“ — სამეფო დოკუმენტებში, რუსული თავაზიანი „Вы“ — თქვენ, გერმ. Sie) (იქვე, 1990, 584).

პირის სემანტიკური ცვლილების პროცესის გამოსახვა შეიძლება გრაფიკულად: ცვლის ვექტორის მიმართულება იქნება ორგვარი: 1. ვერტიკალური (ზევიდან ქვევით და პირიქით) და 2. ჰორიზონტალური (მარჯვნიდან მარცხნივ და პირიქით), ე.ი. ტრანსსემანტიზაცია ეხება როგორც პირს (I შემთხვევა), ასევე რიცხვსაც (II შემთხვევა).

განვიხილოთ სემანტიკური გადააზრების რამდენიმე შესაძლებლობა:

მხოლოდობითი რიცხვის ფორმის ჩანაცვლება მრავლობითი რიცხვით, ძირითადად განპირობებული თავაზიანობის ხაზგასმის (სამეტყველო ეტიკეტის დაცვის) სურვილით. ეს მოვლენა შენიშნული აქვს არ. მარტიროსოვს და მოჰყავს თავაზიანობის ჩვენ ნაცვალსახელის გამოყენების საინტერესო მაგალითი ისტორიული დოკუმენტიდან (ნასყიდობის წიგნიდან), ხოლო ფორმის გამოყენების მიზეზად თვლის ადრესატისადმი პატივისცემის გამოხატვის სურვილს: „ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოვართვით ჩვენ, ვეშაპიძემ იესემა თქვენ ამილახორს ბატონს გივს“ (მარტიროსოვი, 1964, 66).

პირის სემანტიკურ-სტილურ ნიუანსებზე მსჯელობას ვხვდებით სამეცნიერო სტილის განხილვისას გ. კვარაცხელიას ნაშრომში, რომელშიც გამოყოფილია I პირის მრავლობითი რიცხვის ხუთი სემანტიკური ვარიანტი, მათ შორის ავტორისეული ჩვენ, რომლის გამოყენების მიზეზად მიჩნეულია თხრობის ობიექტურობის ჩვენება (უსუბიექტობა) და ეტიკეტი (მოკრძალებულობა, თავმდაბლობა). ამავე მიზეზით გამოიყენება I პირის მრ. რიცხვის ფორმა ბრძანებით კილოში II პირის ნაცვლად, მაგ., შევადგინოთ=შეადგინეთ (იხ. კვარაც-

ხელია, 1990, 68-70).

სასაუბრო მეტყველებაში (ბავშვებთან, ხანდაზმულებთან, ავადმყოფებთან) I პირის მრ. რიცხვი ენაცვლება II პირს, „როცა მეტყველი მოსაუბრისადმი თანაგრძობას გამოხატავს, მასთან საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენს: რა გვაწუხებს? რა გვინდა? რა გვტკივა? რატომ დავდივართ თავშიშველი?“ (კვარაცხელია, 1990, 70), ასეთ ფორმებს უწოდებენ „საექიმო ჩვენს“ („докторское Мы“).

II პირის მრ. რიცხვის ფორმის გამოყენება თავაზიანობის ფორმად კარგადაა შესწავლილი ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში (იხ. კიკვიძე, 1995; მისივე, 1999; აფრიდონიძე, 2003). მრ. რიცხვის ფორმა მხოლოდობითში ნაგულისხმევი დენოტატის აღსანიშნად (pluralis maiestatis) გამოხატავს პატივისცემას, მოკრძალებას ადრესატისადმი. ეს საშუალება ითვლება „ამჟამად ცივილიზებული საზოგადოების სამეტყველო ეტიკეტის მიუცილებელ კომპონენტად“ (აფრიდონიძე, 2003, 36).

პირისა და რიცხვის ტრანსსემანტიზაცია უშუალოდაა დაკავშირებული ენის სოციალურ ბუნებასთან და ამიტომაც მისი არსის წვდომისათვის გადამწყვეტია სოციოლინგვისტური ასპექტი, როგორც ერთ-ერთი ექსტრალინგვისტური ფაქტორი.

განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება I და II პირის (კომუნიკანტთა) ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობა მეტყველებაში. ეს მოვლენა შენიშნული იყო სპეციალურ ლიტერატურაში (კიზირია, 1987, 55-56).

I პ. მრ. რიცხვის ფორმის გამოყენების მაგალითები მხ. რ. II პირის მნიშვნელობით: „არ წამოხვალ? სოფელ-ქვეყნის არ გრცხვენია? თავს ნუ მევიჭრი“ (ნ. ლორთქ.);

I პირის მხ. რ. = II პირის მხ. რ. „ბატონო, ხმალი გადამიტყდა და დამიმოკლდაო, უბასუხა მეომარმა.

— ფეხს წინ წავდგამდი და დაგიგრძელდებოდაო, უბრძანა მეფემ და ომში შეერია“ (ზღაპრიდან).

„სხვაგან რომ დაყალობ, იქაც მივიდოდ, ვნახავდი და საკითხავი აღარ გექნებოდა“, — უთხრა მოწყენით დარიკომ ქმარს“ (დ. კლდ.) (იხ. კიზირია, 1987, 55-56).

ლ. კვანტალიანი ამ მოვლენას ქართული ზეპირმეტყველების დამახასიათებლად თვლის და დამატებით მოჰყავს რამდენიმე მაგალითი: „თუ არ გიშვებდა, გამოვიპარებოდი, მოვკლავდი და ისე გამო-

ვიქცეოდი“ (დ. შენგ.).

„ბაბუაშენმა გარეული ტახი დაიჭირა ყურით და შენ კი ერთი შინაური წუწკი ღორიც ვერ მოგიშორებია? ავიღებდი ჯოხს და დაგ-კრავდი თავშიო!“ (აკაკი).

ძალზე იშვიათია I პირის ფორმის გამოყენება III პირის მნიშვნელობით. მაგ.: „ვიქნებოდი თავისთვის მოსვენებით!.. რა მიარბენინებდა ჯარში?“ (აკაკი)

მეცნიერის აზრით, მსგავს კონსტრუქციებში შეკვეცილია პირობითი დამოკიდებული წინადადება (მე რომ ის გყოფილიყავ ან მე რომ თქვენს ადგილას ვიყო) და მოცემულია მხოლოდ დარჩენილი ნაწილი, რომელშიც ზმნა ხოლმეობითის ფორმითაა გამოყენებული (იხ. კვანტალიანი, 1990, 20-21).

ყოველდღიურ საუბარშიც ჩვეულებრივია მსგავსი ჩანაცვლება. მაგ., რას ყოფს ცხვირს სხვის საქმეში? დავიდუმებდი ენას და არ ავტეხავდი ვაი-უშველებელს! (საუბრის ჩანაწერიდან).

გრამატიკული ტაბუს იშვიათ მაგალითად უნდა ჩაითვალოს II პირის ნაცვლად III პირის გამოყენება. ხევისურეთში მშობიარე ქალს მოსული არაპირდაპირ (III პირში) ესაუბრებოდა, თითქოს სხვაზე ყოფილიყო ლაპარაკი და ქალიც ასე პასუხობდა:

„ — პურ ხო არ უნდ?

— მინდავ!

— ვაჟა როგორ ხყავავ?

— კარგა ასავ“ (იხ. ჯორჯანელი, 1977, 73).

წინათ მეფეებს, თავადებს ზოგჯერ უშუალოდ არ მიმართავდნენ და III პირით მოიხსენიებდნენ. მაგ., — რას მიბრძანებს მეფე ბატონი? — რას ინებებს დიდი ხელმწიფე?

საინტერესოა, რომ მსგავსი მოვლენა (II პირთან III პირის ჩანაცვლებისა) დასტურდება რუსულსა და გერმანულშიც (გერმანულში თავაზიანობის Sie წარმოშობით მესამე პირია).

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, ქართულ მეტყველებაში I პირს ენაცვლება II ან II პირს — პირველი, იშვიათად III პირს ცვლის I (ან პირიქით), ხოლო ყველაზე გავრცელებულია მრავლობითი რიცხვის გამოყენება მეორეული მნიშვნელობით (სამეფო ან ავტორისეული ჩვენ, თავაზიანობის თქვენ).

ამ ურთიერთჩანაცვლებისა და ტრანსსემანტიზაციის მიზეზი კი სოციოლინგვისტურ და პრაგმალინგვისტურ სფეროშია, რადგან ადა-

მიანური ურთიერთობების მრავალფეროვანი სპექტრი მეტყველებაში აირეკლება და განსაზღვრავს მის სპეციფიკას.

სამეტყველო ეტიკეტში სწორედ თავაზიანობა უნდა ჩაითვალოს უნივერსალურ ექსტრალინგვისტურ ფენომენად, რომელიც განაპირობებს კომუნიკაციაში ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებების შერჩევასა და გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორიების (მათ შორის, პირისა და რიცხვის) გადააზრებას. დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მეტყველების აქტის ფორმას (ზეპირი თუ წერილობითი), კომუნიკაციის უშუალობას, საუბრის თემატიკასა და სიტუაციას.

ლიტერატურა

აფრიდონიძე, 2003 — შ. აფრიდონიძე, მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში: სადოქტ. დისერტაცია, თბ., 2003.

ბასილაია, 1958 — ნ. ბასილაია, ერთშემადგენლიანი წინადადების საკითხისათვის ახალ ქართულში: სოხუმის პედ. ინსტიტუტის შრომები, X-XI, სოხუმი, 1958.

გოქსაძე, 1998 — ლ. გოქსაძე, ცოტა რამ ზეპირი და წერილი მეტყველების თაობაზე: ჟურნ. „ბურჯი ეროვნებისა“, 1998, №1.

კვანტალიანი, 1990 — ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები თბ., 1990.

კვარაცხელია, 1990 — გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990.

კვაჭაძე, 1966 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966.

კიკვიძე, 1995 — ზ. კიკვიძე, მრავლობითი რიცხვის ფორმათა სტილისტური დანიშნულებისათვის ქართულში: სადისერტ. მაცნე, თბ., 1995.

კიკვიძე, 1999 — ზ. კიკვიძე, თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები (სოციოლინგვისტური ასპექტები), თბ., 1999.

მარტიროსოვი, 1964 — არ. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, II გამოცემა, თბ., 1973.

ჯორბენაძე, 1997 — ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ.,

1997.

ახმანოვა, 1966 — Ахманова О. С., Словарь лингвистических терминов, М., 1966.

ბენვენისტი, 1974 — Бенвенист Э., Общая лингвистика, пер. с франц., М., 1974.

ვასილიევი, 1990 — Васильев Л.М., Современная лингвистическая семантика, М., 1990.

ლელ, 1990 — Лингвистический энциклопедический словарь (гл. ред. В.Н. Ярцева), М., 1990.

რევზინა, 1973 — Ревзина О.Г., Общая теория грамматических категорий, в кн.: Структурно-типологические исследования в области грамматики славянских языков, М., 1973.

როზენტალი, ტელენკოვა, 1985 — Розенталь Д.Э., Теленкова М.А., Словарь-справочник лингвистических терминов, М., 1985.

შმელიოვი, 1973 — Шмелев Д.Н., Проблемы семантического анализа лексики, М., 1973.

იაკობსონი, 1972 — Якобсон Р.О., Шифтеры, глагольные категории и русский глагол, в кн.: Принципы типологического анализа языков различного строя, М., 1972.

ჰელბიგი, ბუშა, 1980 — G.Helbig, J.Buscha, Deutsche Grammatik. Ein Handbuch für den Ausländerunterricht, Leipzig, 1980.

RUSUDAN SHAMELASHVILI-ZEKALASHVILI

The Functioning of the Category of Person in Georgian and Extralinguistic Factors

Summary

The paper focuses on the category of person common to Georgian verbs and pronouns. The paper presents:

- 1) Semantico-grammatical field of the category in question
- 2) Types of trans-semantization of the given category: partial (incomplete) vs complete; generalization, indefiniteness, neutralization (or impersonalization) of person and number.

Semantico-stylistic variants of the category of person are explained on the basis of linguistic as well as extralinguistic factors. Among the sociolinguistic and pragmalinguistic features the phenomenon of politeness is considered to be one of the basic.

რუსულან ზამელაზვილი-ზაქალაზვილი

თავაზიანობის გამოხატვა მეტყველებაში და მისი შესწავლის ასპექტები

ადამიანი სოციუმის წევრია და იცავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებს, რიტუალებს, ქცევის ნორმებს, ითვალისწინებს სხვა ადამიანების სურვილებს, შეხედულებებს. ცხადია, საზოგადოების წევრმა უნდა დაიცვას საუკუნეების მანძილზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ქცევის წესები, რომლებიც არეგულირებენ ადამიანთა შორის ურთიერთობებს. ის ცდილობს, ჰარმონიული და უკონფლიქტო ურთიერთობა დაამყაროს სხვებთან. სწორედ ამაში ეხმარება მას თავაზიანობა, რომელიც დადებითს ზეგავლენას ახდენს კომუნიკაციის პროცესზე და გამოხატულია ენობრივად ან არაენობრივად. ენობრივი საშუალებებით გამოხატულ თავაზიანობას მიიჩნევენ ზოგადად პრაგმატული ქცევის ნაწილად, რომელიც ყალიბდება მოუბრისა და მსმენელის ურთიერთობით. თავაზიანობის პრინციპით რეალიზებული ენობრივი ქმედებებით მსმენელს ექმნება პოზიტიური „განწყობა მთქმელის ენობრივი მოქმედებისა და მიზნისადმი და მან შეიძლება გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს მსმენელზე, განაპირობოს მისი დადებითი... რეაქცია გამონათქვამზე“ (სესიაშვილი, 1989, 21).

ამ ბოლო დროს მეცნიერების ბევრი დარგი დაინტერესდა თავაზიანობის ფენომენით (სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, კულტუროლოგია, ლინგვისტიკის უახლესი მიმართულებები).

თავაზიანობის ცნება ფართო მნიშვნელობით ძალზე ტევადია და გულისხმობს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს, რომელშიც ის ამყდევნებს დამოკიდებულებას სხვა პირისადმი. თავაზიანობის თეორია სწავლობს, თუ როგორ ექცევიან ადამიანები ერთმანეთს სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში, უწევენ თუ არა ანგარიშს სხვის ინტერესებს, უფრთხილდებიან თუ არა ამ ურთიერთობებს, სტკენენ თუ არა გულს ერთმანეთს უნებურად წამოსროლილი სიტყვებით,

ინარჩუნებენ თუ არა საკუთარ ღირსებას, გამოხატავენ თუ არა სხვისადმი პატივისცემას, მოკრძალებას, თავმდაბლობას და ა.შ.

სიტყვა „თავაზიანობა“ არაბულია (თ ვაზუ — ნიშნავს ყურადღებას, სტუმართმოყვარეობას). მისი სინონიმებია: ზრდილობა (ზრდილი — მიმღეობა ზრდის ზმნისა, დაკავშირებულია აღზრდასთან). ზრდილობიანი შეიძლება იყოს ადამიანი, ქცევა, სიტყვა-პასუხი. ზრდილობა, ქველ-ის მიხედვით „ამა თუ იმ საზოგადოებაში მიღებული ყოფა-ქცევის წესების შესაბამისი, ... მორიდებისა და პატივისცემის გამო-მხატველი ქცევაა“ (ქველ, IV, 178).

თავაზიანობის სინონიმია ეტიკეტი. „ფრანგ. *étiquette* — 1. მეფის კარზე, დიპლომატიურ წრეებში და ა.შ. თავის დაჭერის, ურთიერთობის წესების კრებული; 2. თავის დაჭერისა და თავაზიანობის ფორმები, რაც მიღებულია რომელიმე საზოგადოებაში“ (ქსე, IV, 1979, 241).

თავაზიანობის თეორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია **სამეტყველო ეტიკეტი** ანუ თავაზიანობის გამოხატვა ვერბალური საშუალებებით (იხ. ფორმანოვსკაია, 1987; მისივე, 1989). სიტყვას ზემოქმედების უდიდესი ძალა აქვს და ადამიანები დიდ ყურადღებას აქცევენ სხვის ნათქვამს — რას ამბობენ და როგორ ამბობენ. ქართველისთვის ნათელია, რომ „გველსა ზვრელით ამოიყვანს ენა, ტკბილად მოუბარი“. თუკი ადამიანი გულწრფელია, სიტყვა მისთვის უძლიერესი იარაღია. სულხან-საბა ორბელიანის იგავის მიხედვით, „ენით დაკოდელი“ გული ცულით გატეხილ თავზე უარესია და არ ხორცდება, ხოლო ამქვეყნად ენაზე ტკბილი ან მასზე მწარე არაფერია. მართლაც, სიტყვაში დამალულმა ღვარძლმა და ბოდმამ შეიძლება შხამზე სწრაფად იმოქმედოს, ხოლო ლამაზად, ტაქტიანად და სიყვარულით ნათქვამმა — სიცოცხლის ხალისი დაუბრუნოს ვინმეს.

ადამიანი არასოდესაა გულგრილი იმისადმი, თუ როგორ მიმართავენ, ესაუბრებიან, ესაღმებინან, თანაუგრძნობენ, სთხოვენ, ულოცავენ, მადლობას უხდიან, ემშვიდობებიან. ყოველდღიურ ჩვეულებრივ დიალოგებზე დაკვირვება მოწმობს, რამდენად მრავალფეროვანია ეს სფერო და მდიდარია ნიუანსების სპექტრი არავერბალურ კომუნიკაციაშიც. შეიძლება ითქვას, რომ თავაზიანობის გამოხატვის საშუალებები მსჭვალავს ადამიანურ ურთიერთობათა მთელ პალიტრას, რადგან მოიცავს ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს.

რაც შეეხება მეტყველებას, თავაზიანობის გამოხატვის საშუალებ-

ბების მიხედვით შეიძლება გამოიყოს სამი დონე: მიკრო-, საშუალო და მაკროდონე (ამ დაჯგუფებისათვის ვეყრდნობით ნაშრომებს: ჰენე, რებოკი, 1982, 20; ლანგე, 1984, 34-35). ეს დონეები ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი დაყოფა-დაცალკეება და დამოუკიდებელი ანალიზი წარმოუდგენელია. სხვათა შორის, ენათმეცნიერთა ინტერესი მანამდე მხოლოდ ცალკეულ ენობრივ მოვლენებს ეხებოდა და საკითხი განიხილებოდა მეტყველების აქტისაგან მოწყვეტით, ექსტრალინგვისტური ფაქტორების გაუთვალისწინებლად.

დავახასიათოთ თითოეული დონე:

1. **მიკროდონე** (სიტყვის დონე) მოიცავს თავაზიანობის გამომხატველ ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებებს — ენის მთელ მორფოლოგიურ სისტემასა და ლექსიკურ მარაგს: სახელებს (არსებითსა და ზედსართავს, სახელურ მიმართავს, პირის ნაცვალსახელებს), ზმნებს, ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილებს (მოდალურ ზმნიზედებს, ნაწილაკებს და ა.შ.)

ეფემიზმი (ბერძნ. eu — კარგად, phemi — ვლაპარაკობ) უფრო კეთილზომიანი, ნაკლებად საწყენი ან გულსატკეპნი, გაკეთილშობილებული სიტყვაა, რომელიც შეიძლება ჩაენაცვლოს სახელებს, ზმნებსა და ზმნიზედებს. „აქ უკვე ეთიკის საკითხი დგას, მაქსიმალური დაცვა მსმენელისა უსიამოვნო ემოციებისაგან. ეფემიზმების სიჭარბე მაღალგანვითარებული საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი“ (ჯორბენაძე, 1997, 73-74).

ეფემიზმები გამოიყენება კომუნიკაციაში: მასმედიის ენაში, დიპლომატიასა და პოლიტიკაში, სასამართლო პროცედურაზე, ყოველდღიურ საუბარში, მხატვრულ ტექსტებში. მათი გამოყენების ძირითადი ექსტრალინგვისტური ფაქტორია თავაზიანობის (მოკრძალების, პატივისცემის) ხაზგასმა. მაგ., მოკვდა — ფეხები გაფშიაკა — გარდაიცვალა; ბოზი — უწესო (მსუბუქი) ყოფა-ქცევის ქალი; დასაფლავეს — დაკრძალეს; ბებერი — მოხუცი, ხანდაზმული, ხნიერი, ასაკოვანი; ვაჭარი, გამყიდველი — ბიზნესმენი, მცირე მეწარმე; პარიკმახერი, დალაქი — სტილისტი; მსუქანი — ტანსრული; დაბალი — ტანმორჩილი; მახინჯი — არასასიამოვნო გარეგნობისა, ავადმყოფი — შეუძლოდ მყოფი, გინება — სიტყვიერი შეურაცხყოფა, მკვლელი — ბოროტმოქმედი, ცემა — ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება; დაპატიმრებული — ინტერნირებული; ციხე — ვირის აბანო (ამის შესახებ

იხ. ჯორჯანელი, 1977).

გრამატიკულ ეფემიზმებად მიიჩნევენ პირის ნაცვალსახელთა მრ. რიცხვის ფორმებს (თავაზიანობის თქვენ, ავტორისეული ჩვენ) (კიკვიძე, 1999). გარდა ნაცვალსახელებისა, თავაზიანობას გამოხატავს ზმნის II პირის მრ. რიცხვის ფორმაც (ე.წ. იმპერატიული მიმართვები). ქართულ ენაში ღრმადაა შესწავლილი ყველა სახის მიმართვის რიტმიკულ-ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მხარეები, სოციოლინგვისტური ასპექტები (აფრიდონიძე, 2003).

შენ/თქვენ ოპოზიციის გარდა ქართულში მოიპოვება ე.წ. პირში მონაცვლე ზმნები, რომლებიც სწორედ თავაზიანობის გამოხატვას ემსახურებიან. მაგ., ხარ — ბრძანდებით, მოდიხარ — მობრძანდებით, მიდიხარ — მიბრძანდებით, დაჯექი — დაბრძანდით, თქვი — ბრძანეთ, ჭამე — მიირთვიეთ, მოგცემ — მოგართმევთ, აიღე — ინებეთ, ვარ — გახლავართ, მოვედი — გეახელით და სხვ.

„ენობრივი ეთიკით შეპირობებული ფორმები უძველესი პერიოდისა იქნეს თავს ქართულში. თავდაპირველად ეს ფეოდალური იერარქიის პრინციპს ექვემდებარებოდა. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ასე განმარტავს: „**თქმა** ითქმის სწორს კაცს ეტყოდეს, ხოლო **მოგხენება** უაღრესისადმი და **ბრძანება** უმცროსისადმი რამეთუ სამ-სახე არიან თქმანი“. „თქმის“ სამგვაროვნობა სწორედ ენობრივი ეთიკის გამოხატულებაა: ერთი და იგივე შინაარსი სხვადასხვა ფორმით გამოითქმის იმის მიხედვით, თუ ვის მიემართება“ (ჯორბენაძე, 1997, 76). ე.წ. „სწორ-უფროსულ-უმცროსული“ საუბარი არეკლილია „ვეფხისტყაოსანშიც“ (შდრ. უბრძანა, ჰკადრეს, მოახსენა, უთხრა, ეტყვის, ეუბნების). სწორედ ამ ლექსიკური ერთეულების არსებობა იძლევა საშუალებას, რომ ქართულში თავაზიანობის ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორია გამოყვით.

მიკროსიბრტყე მოიცავს ასევე ზმნის გრამატიკულ კატეგორიათა სპეციფიკურ გამოყენებას თავაზიანობის ხაზგასასმელად და ტრანსსემანტიზაციას (მაგ., პირის, რიცხვის, დროის, კილოს, გვარის კატეგორიათა ფუნქციურ-სტილისტური დანიშნულება). მაგ., **მინდოდა** წარსული დროის ფორმაა, მაგრამ ფრაზაში: თქვენთვის მინდოდა მეთქვა — იგივეა, რაც მინდა ვითხრათ. მაშასადამე, სამეტყველო ეტიკეტის დონეზე ლექსიკურმა ერთეულმა ან გრამატიკულმა ფორმამ შეიძლება შეიცვალოს მნიშვნელობა. მაგ., უბრძანა → ბრძანა = თქვა, ახლავს (ის მას) → გახლავართ = ვარ; გეახელით (მე თქვენ) → გეახ-

ელით = ვჭამე. მითხარით! — წართქმითი ბრძანებითია. ხომ ვერ მეტყოდით? — ზმნის ხოლმეობით-შედევობითი მწკრივის უარყოფითი ფორმა (არაპირდაპირი ნათქვამი). ანდა: მომეცით! შდრ. ხომ ვერ მომცემდით? დაწერეთ! — ეგებ დაწეროთ!

ვნებითი გვარის ჩანაცვლებაც ზოგჯერ თავაზიანობის გამო ხდება. შდრ. ეს უნდა დაიწეროს! — ეს უნდა დაწერო! გამოკვლევებით დადასტურდა ჩვენი მოსაზრება (= დავადასტურეთ).

აღნიშვნის ღირსია ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების, მოდალური სიტყვების დიდი როლი გამონათქვამის კატეგორიულობის შესარბილებლად. შდრ. მომაწოდეთ! — ეგებ როგორმე მომაწოდოთ! ამავე ფუნქციას ასრულებს: ალბათ, კინალამ, მაინც, თითქმის, ვინძლო, ხომ... ვინ იცის, შესაძლოა, ვგონებ, მგონი, სიამოვნებით, საბედნიეროდ, სასიკეთოდ, სასიხარულოდ, რა თქმა უნდა, ცხადია და ა.შ. ზემოთ აღნიშნული საშუალებები შეისწავლება მორფოლოგიაში, ლექსიკოლოგიაში, ფუნქციურ სტილისტიკაში, სოციოლინგვისტიკაში, პრაგმალინგვისტიკაში.

საშუალო დონეში განიხილება გამონათქვამი, როგორც „სამეტყველო აქტის ენობრივი მოქმედების რეალიზაციის პროდუქტი“ (სესიაშვილი, 1989, 20). ის ორიენტირებულია ადრესატსა და კონკრეტულ სიტუაციაზე. მოუბარი პირი ყოველთვის ითვალისწინებს თანამოსაუბრეს და ადრესატის ფაქტორი განაპირობებს თვით გამონათქვამის ფორმულირებას (არუთიუნოვა, 1981).

ადამიანური ყოფა უამრავ სიტუაციასთანაა დაკავშირებული და თავაზიანობა გამოიხატება პირველი დონის (ლექსიკურ-გრამატიკული) საშუალებებით, მაგრამ უკვე გამონათქვამში სიტუაციის მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ: მისალმება, გამომშვიდობება, ბოდიში, მადლობა, მილოცვა, დალოცვა, ქათინაური, მოკითხვა, თანაგრძნობა და ა.შ. ამ სიტუაციურ დიალოგებში ყველაზე ხშირია ვერბალური სტერეოტიპების, კლიშეების, მყარი ფორმულების გამოყენება და მათ ზოგჯერ რიტუალური ხასიათიც აქვთ.

მაგ., ქართულში ამბობენ: ბოდიში! ბოდიშს ვიხდი! მაპატიეთ! უკაცრავად! მომიტევეთ! გთხოვთ მაპატიოთ! პატიებას გთხოვთ!.. მადლობა! დიდი (უღრმესი) მადლობა! გმადლობთ! მადლობას მოგახსენებთ! მადლობას გიხდით! დიდი მადლობა უნდა გამოვხატო! მადლობა ღმერთს! ღმერთმა დაგლოცოთ! თუ ღმერთი გწამთ!.. სტუმრის მიღებისას: სტუმარი ღვთისაა! იხარე, ჭერო, მოკვდი, მტერო!

კერიას ნახშირი! ამას ვის ვხედავ!

თავაზიანობის ფორმულებით მდიდარია სამეტყველო ეტიკეტი, რომელიც ხშირად ასრულებს კონტაქტის დამამყარებელ ფუნქციას, ანუ მიმდინარეობს ფატიკური კომუნიკაცია, რაც „ემსახურება არა ფაქტობრივი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას, არამედ თბილი, მეგობრული ატმოსფეროს შექმნას და უხერხული პაუზების თავიდან აცილებას“ (დემეტრაძე, 1996, 3; თავაზიანობის ფენომენზე იხ. გოჭსაძე, დემეტრაძე, 1996).

თავაზიანობის იმპლიციტური გამოხატვისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ირიბ სამეტყველო აქტებს. მაგ., თავაზიანი თხოვნის გამოსახატავად ბრძანების ნაცვლად იყენებენ კითხვით წინადადებას (შდრ. წიგნი მათხოვე! წიგნს ხომ ვერ მათხოვებდით? ხომ არ იცით, სადაა აქ სალარო?). ასეთ კითხვით წინადადებებზე ვერ გავცემთ დადებით პასუხს, არამედ საჭიროა შესაბამისი ქმედება. ადამიანი ამ საშუალებებით არბილებს გამონათქვამის კატეგორიულობას, თავიდან იცილებს უხერხულობასა და დაბრკოლებას.

გერმანელი ენათმეცნიერი ჰელგა კოტჰოფი საუბრობს ერთი ტიპის ემფატიკურ სიგნალებზე (ე.წ. მსმენელის სიგნალებზე), როგორცაა საუბრის დროს ჩართული წამოძახილები: „საინტერესოა!“, „რასა ბრძანებთ?“, „მართლა?“, „რა კარგია!“ ამით ადამიანი ცდილობს ასიამოვნოს თანამოუბარს, განუმტკიცოს მას „თვითხატება“ („სახე“). „ყველა კულტურა იცნობს ბრძანების გარდაქმნას თხოვნად, კრიტიკის შელამაზებასა და სურვილების შენიღბვას“ (კოტჰოფი, 2003, 292).

წინადადებას, გამონათქვამსა და სამეტყველო აქტებს სწავლობს სინტაქსი, სტილისტიკა, სამეტყველო აქტების თეორია.

ცხადია, სპონტანური მეტყველება არასოდეს იფარგლება ცალკეული გამონათქვამით, არამედ მათი კომბინაციით მიიღება რთული სამეტყველო ოდენობა — დიალოგი (საუბარი), რომლის წარმართვა დიდ ხელოვნებას მოითხოვს. ადამიანი, ჩვეულებრივ, მარტო არ ლაპარაკობს (თუ არ ჩავთვლით მონოლოგებს თეატრალურ პიესებში), არამედ ესაუბრება ვინმეს, ამიტომ ითვალისწინებს სამეტყველო სიტუაციას, ადრესატის სოციალურ სტატუსს, მასთან დამოკიდებულებას და ა.შ. ყოველივე ეს კი ემორჩილება თავაზიანობის პრინციპს.

ყველაზე მაღალ სიბრტყედ ითვლება **მაკროდონე**, რომელიც სწავლობს სამეტყველო ქმედებებს, საუბრის ფაზებს (დასაწყისს, და-

სასრულს, მოსაუბრეთა რეპლიკების ცვლას...). ესაა ზეპირმეტყველების უაღრესად საინტერესო ფორმა და წარმოადგენს ინტონაციურ-რიტმიკული, ლექსიკურ-გრამატიკული და არავერბალური საშუალებების ერთობლიობას.

ამ ბოლო დროს ენათმეცნიერები იწერენ ცოცხალ, ბუნებრივ საუბრებს და სწავლობენ მათს სპეციფიკას.

მაკროდონე განიხილება ტექსტის ლინგვისტიკაში, საუბრის (კონვერსაციის, დისკურსის) ანალიზში და მჭიდროდაა დაკავშირებული ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე ორიენტირებულ დარგებთან (სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, პრაგმალინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა, პარალინგვისტიკა).

თანამედროვე ენათმეცნიერება სწორედ ამ დარგების ინტეგრირებისკენაა მიმართული და ცდილობს, საკითხები ყველა ასპექტის ურთიერთკავშირში შეისწავლოს.

თავაზიანობის ველის აღნიშნული დონეები მოიცავს მეტყველების ყველა ერთეულს (სიტყვა → გამონათქვამი → სამეტყველო აქტი → საუბარი), მაგრამ ფართო მნიშვნელობით განიხილვისას გულისხმობს ექსტრალინგვისტურ (სოციოლინგვისტურ, პრაგმალინგვისტურ, ეთნოლინგვისტურ, კულტუროლოგიურ) ფაქტორებსაც.

მართლაც, ადამიანურ ურთიერთობაში დიდი როლი აკისრია თავაზიანობის ფენომენს, რომელიც განპირობებულია როგორც ცალკეული ადამიანის ინდივიდუალური თვისებებით (ხასიათი, განათლება, ტემპერამენტი, შეხედულებები), ისე სოციალური როლითა და სტატუსით, ეროვნულ-კულტურული სპეციფიკით. ადამიანის ქცევის (მათ შორის სამეტყველო ქცევის) ახსნა ხშირად შეიძლება თავაზიანობის პრინციპებით. ქართულში გავრცელებული ანდაზის თანახმად, „ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად — ზრდილობა“.

წერითი და ზეპირი მეტყველების განხილვა ადასტურებს თავაზიანობის ფაქტორის უდიდეს მნიშვნელობას სამეტყველო ეტიკეტში.

ლიტერატურა

აფრიდონიძე, 2003 — შ. აფრიდონიძე, მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში: სადოქტ. დისერტაცია, თბ., 2003.

გოქსაძე, დემეტრაძე, 1996 — ლ. გოქსაძე, ირ. დემეტრაძე, ქართულ-ინგლისური ყოფითი თავისებურებანი (I). თავაზიანობის ნორმები, თბ., 1996.

დემეტრაძე, 1996 — ირ. დემეტრაძე, ფატიკური კომუნიკაცია და ბრიტანულ-ქართული ყოფითი განსხვავებანი (თანამედროვე ქართული და ინგლისური ენების მასალაზე): საკანდ. დისერტაცია, თბ., 1996.

კიკვიძე, 1999 — ზ. კიკვიძე, თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები (სოციოლინგვისტური ასპექტი), თბ., 1999.

ომიაძე, 1998 — თ. ომიაძე, პარალინგვისტიკა და მეტყველების თანმხლებ საშუალებათა აღწერა ენაში: საკანდ. დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1998.

სესიაშვილი, 1989 — თ. სესიაშვილი, თავაზიანობის პრინციპი და მისი რეალიზაცია გერმანულსა და ქართულში: ჟურნ. „უცხოური ენები სკოლაში“, 1989, №4.

ქეგელ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიქობავას საერთო რედ.), ტ. IV, თბ., 1955.

ქსე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (მთ. რედ. ირ. აბაშიძე), ტ. IV, თბ., 1979.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, II გამოცემა, თბ., 1973.

ჯორბენაძე, 1997 — ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997.

ჯორჯანელი, 1977 — კ. ჯორჯანელი, ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ, თბ., 1977.

არუთიუნოვა, 1981 — Арутюнова Н. Д., Фактор адресата: Известия АН СССР, Серия лит-ры и языка, т.40, №4, 1981.

ფორმანოვსკაია, 1987 — Формановская Н.И., Русский речевой этикет: лингвистический и методический аспекты, 2-е изд., М., 1987.

ფორმანოვსკაია, 1989 — Формановская Н.И., Речевой этикет и культура общения, М., 1989.

ჰაფერლანდი, პაული, 1996 — H. Haferland, I. Paul, Eine Theorie der Höflichkeit, in: Obst, März, 1996.

ჰენე, რებოკი, 1982 — H. Henne, H. Rehbock, Einführung in die Gesprächsanalyse, 2. Aufl., Berlin, 1982.

კოტხოფი, 2003 — H. Kotthoff, Höflichkeit im Vergleich der Kulturen, in: Muttersprache, 2003, N4.

ლანგე, 1984 — W. Lange, Aspekte der Höflichkeit. Überlegungen am Beispiel der Entschuldigungen im Deutschen: Europäische Hochschulschriften, Reihe 1, Bd. 791. H

ინფო კიკნაძე

ბანსხვაგვარი მორფონოლოგიური ცვლილებებისათვის სახელსა და ზმნისართში*

(დღე და დრო)

RUSUDAN SHAMELASHVILI-ZEKALASHVILI

Expression of Politeness in Speech and Some Aspects of its Study

Summary

The paper deals with some linguistic aspects of politeness. In speech three layers of the field of politeness can be singled out:

1) microlayer (including grammatical and lexical euphemisms, forms of address, personal pronouns, modal words and particles).

2) medial layer (comprising indirect speech acts, and elements of phatic communication: greetings, leave-takings, apologies, thanking and requesting formulas, blessings etc.)

3) macrolayer (conversation and its chunks, turn-taking). The paper stresses the deep inherent connection between the three layers and emphasizes the importance of speech etiquette in man's daily life.

დღე და **დრო** სემანტიკურად დაკავშირებული სიტყვებია. ქართულ ენაში ეს სიტყვები არსებითი სახელებიცაა და ზმნისართებიც. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი თითოეულისათვის რამდენიმე მნიშვნელობას გვაწვდის (ქეგლ, ტ. III, 1953).

არსებით სახელებს დრო და **დღე** აქვთ საერთოცა და განმასხვავებელი ნიშნებიც: ა) ორივე სახელი ფუძემდებელია; ბრუნვის ყველა ფორმა აქვთ. ბ) **დღე** — კონკრეტული არსებითი სახელი ფუძეკვეცილია მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში, უკვეცილია ორსავე მრავლობითში. **დრო** — აბსტრაქტული სახელი ფუძეუკვეცილია; იწარმოებს ნარ-თანთან მრავლობითს, იშვიათად -ებ სუფიქსიანსაც (მაგ. რა დროები გამოვიარეთ!), ასეთ შემთხვევაში მიუთითებს თვისობრივად განსხვავებულ დროის მონაკვეთზე.

ზმნისართები დღე და **დრო**, სახელისაგან განსხვავებით, არ იბრუნვიან, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ აკლიათ სახელობითი, მოთხრობითი და წოდებითი (შანიძე, 1980, 590), ე. ი. ირიბი ბრუნვის ფორმათა წარმოება შეუძლიათ. ამ ზმნისართებს არა აქვთ მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოების უნარი; ფუძეს არ იკვეცენ (მაგ. დროის შემდეგ, დღის შემდეგ და მისთ.).

ა. შანიძის მოსაზრება, რომ „დღის სწორს“ გამოთქმაში **დღის** მიღებულია **დღეს** ზმნიზედიდან (დღეს-ის > დღის) გაზიარებულია მკვლევართა მიერ და ახსნადია (უთურგაიძე, 1986, 130) — იდენტური თანხმობების არსებობა (-ს — -ს) CVC პოზიციაში არაბუნე-

* წაკითხულია მოხსენებად XXIV რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიაზე ქ. ქუთაისში, 2004, იბეჭდება შემოკლებით.

ბრივია ქართული ენისათვის; **CVC** სტრუქტურის ძირს გარკვეული შეზღუდვები ედება; იგი არ შეიძლება შედგებოდეს ერთი და იმავე რიგის ორი ხშული თანხმოვნისაგან: *გეკ-, *გექ-, *ქეკ- და სხვ. ტიპის ძირები გამორიცხულია“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 304₂); თუმცა **-ს**-ს დაკარგვის შემდეგ შეიძლებოდა **დღე-ის** ფორმაში პროცესი განვითარებულიყო ხმოვანთა შორის მარკირების მიმართების გათვალისწინებით (უთურგაიძე, 1976, 24-32); შდრ. მაგ.: **დღე-ის** და **დღ-ის**.

სპეციალურ ლიტერატურაში ნათქვამია ისიც, რომ სახელი და ზმნისართი **დღე** ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მხოლოდ ფუძით, ე. ი. კვეცა-უკვეცელობით, არამედ ბრუნების სისტემითაც: „სახელი და ზმნისართი განასხვავა არა მარტო ბრუნების სისტემამ (**სრული და ნაკლული სისტემების ფუნქციონირებამ** — ხაზგასმა ჩვენია), არამედ კვეცა-უკვეცელობის ფაქტორებმაც“ (ჯორბენაძე, 1985, 25), თვალსაჩინოებისათვის ამავე ნაშრომში წარმოდგენილია **დღე** სახელისა და ზმნისართის ბრუნების **სრული და ნაკლული სისტემების** ფუნქციონირების ნიმუშიც. ვფიქრობთ, ზემოთქმულს მცირე კორექტირება სჭირდება: ენაში ერთიანი ბრუნების სისტემის არსებობის დროს არ შეიძლება სრული და ნაკლული სისტემების ფუნქციონირებაზე საუბარი, მით უფრო, როცა საკითხი ეხება ზმნისართს, **არაბრუნებად** გრამატიკულ კატეგორიას.

ცნობილია, რომ ბრუნების შემთხვევაში ზმნისართი კარგავს თავის პირველად ფუნქციას, **სახელად** მოიქცევა. ნიმუშად მოვიხმობთ ძველი ქართული ენის ლექსიკონში (აბულაძე, 1973) განსამარტავ ერთეულად გამოტანილ სახელს **დღესი** (= „დღევანდელი დღე“) შესადარებლად მოვიხმობთ ს.-საბას (ს.-საბა ორბელიანი, 1949): **ასე** (ზ. სართ.) „ესრეთ“ და **ასეთი** (სახელი) „ესრეთი“ და სხვ. საყურადღებოა, რომ საბა განასხვავებს ფორმებს: აქეთ < აქეით „ჩვენ კერძო“ (ზ. სართ.) და აქეთი „ჩვენ კერძოთაკენი“ (სახელი)

დღე — გაუფორმებელი ფუძე, ჩვენთვის ზმნისართია (შდრ. დღე) მას არა აქვს ბრუნების პარადიგმა ისევე, როგორც პირველად ზმნისართებს. ამის დასტურად მოვიხმობთ ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ გამოთქმებს „დღე ყოველ“ და „ღამე ყოველ“, ახალი ქართულით „ყოველდღე“ (შდრ. ყოველი დღე) და „ყოველღამე“ (შდრ. ყოველი ღამე); აქვე დავძენთ, რომ ქართული ენის ლექსიკონებში (მაგ., ჩუბინაშვილი, 1984; ჭინჭარაული, 1969; ქართული ენის

ინვერსიული ლექსიკონი, 1967 და სხვ.) მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ **ე** და **ა** ხმოვანფუძიანი ზმნისართები: ზე, ასე., ახლა, აქა... არ იკვეცენ ფუძეს მაშინაც, თუ სიტყვათშეხამებაში იყენებენ -ის, -ით მარკერებს (შდრ. ასე- თ და ასე-თ-ი: აქა- თ და აქა-თ-ი და მისთ.).

რაც შეეხება მარკერებს: მ. გუხმანი წერდა: „Реализатором грамматической категории является набор словоформ, а не показателей - маркеров (М. Гухман, 1968, стр. 168); ერთი და იგივე მარკერი (ჩვენს შემთხვევაში **-ის** და **-ით**) ხან ბრუნვის ნიშანია, ხან წარმოქმნის ელემენტი; ეს უკანასკნელი ახალი მნიშვნელობის სიტყვებს წარმოქმნიან და ამდენად, ახალი გრამატიკული კატეგორიის შემოქმედნი არიან. ეს მარკერები თვით არიან სხვადასხვა თვისების მატარებელი. ეს მათი **არსია** და ამ უნარის გამოვლენა ხდება სიტყვათა ურთიერთშეხამების დროს.

ძველი ქართული წერილობითი ძეგლები ადასტურებენ **დღე** ფუძის უკვეცელ ფორმებს: **დღეს-ი** „დღევანდელი დღე“, **დღეს-დღე** „დღევანდელ დღეს“, **დღესის დღემდე** „აქამომდე“, **დღესისა დღესა**, საბასთან არის: დღესისამდე (< დღე-ს-ის-ადმდე) და ა. შ.

მოყვანილ ნიმუშებში ყველგან გამოიკვეთება ზმნიზედური ფორმა **დღეს**; ცხადია **-ს** მარკერი ვერ გამოიწვევდა ფუძის კვეცას, ამისათვის საჭირო იქნებოდა **CV** ტიპის მარკერი, რაც განხორციელდა კიდევ სიტყვაში დღისი „დღისით“, „დღე“. ა. შანიძის ვარაუდით ფორმა მიღებულია ბოლოკიდური **თ-ს** დაკარგვით: დღის-ით > დღის-ი (შანიძე, 1980, 591);

ზევით ითქვა, რომ **დღე** ზმნიზედა უკვეცელია **-ს** დერივანტის დაკარგვის შემთხვევაშიც.

ა. შანიძეს თავის გრამატიკაში მოჰყავს ასეთი ნიმუში „ვეფხისტყაოსნიდან“: „დღესითგან ცუდ ჩემი ღზინი ყოველი“. ს.-საბასთან დადასტურებულია თანდებულისანი ვითარებითი **დღესისამდე** (განმარტება არ ახლავს — ი.კ.); ფორმა იძლევა საშუალებას აღვადგინოთ სახელი ***დღესი-ი** < დღესის-ი **დღეს-ი** ფორმის ფორმის გვერდით. ვაჟა-ფშაველას ლექსიკონში (1969, გვ. 19) ამგვარი ფორმებია დამოწმებული: **დღესად** „დღესთვის“, **დღეიდგე** „დღეიდან“, „დღეიდან“, „დღის შემდეგ“ და „დღესნამდე“: „როგორც დღესნამდე მადლს ვთესავთ, დღეიდგეც ასე ვიქნებით“.

ლექსიკონებში მოძიებული მასალა ცხადყოფს, რომ ამ სიტყვა-

ფორმებისათვის ამოსავალია **დღეს**. შემდგომ საფეხურზე **-ს** დერი-ვანტის დაკარგვამ **-ის**, **-ით** ფორმანტთა წინ არ გამოიწვია ცვლილება ფუძეში იმის გამო, რომ **დღე** ზმნიზედური ფუძე არ დაემორჩილა კვეცას ისევე, როგორც ეს სხვა პირველად ზმნისართთა შემთხვევაში ხდება. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სხვაობა **დღე** სახელსა და ზმნისართს შორის თავდაპირველი უნდა ყოფილიყო, დამთხვევა კი მეორეული, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყოს სინტაქსურ-სემანტიკურ ურთიერთობებს (უთურგაიძე, 1976, 93).

დრო ფუძე **დღე**-საგან განსხვავებით არ გამოირჩევა ფორმათა წარმოების ნაირგვარობით. ქველ-ი **დრო** სიტყვასთან გვაწვდის ფორმებს: **დროისა**, **დროსი** (ნათესაობითი ბრუნვისათვის). ჩვენთვის საყურადღებო მასალიდან გამოვყოფდით წყვილებს: დროის კაცი; თბილისის დროით; დროით წავიდნენ; „მოზრდანი დროისით“ (შ. მღვიმელი) და გრამატიკულ ტერმინებს — დროის გარემოება, დროის ზმნისართი.

ს.-საბა ლექსიკონში სახელისათვის აფიქსირებს **დრომ** ფორმას, დ. ჩუბინაშვილი კი — **დრო** და **დროთი**.

დრო ერთმარცვლიანი უკვეცელი ფუძეა და ენა განსხვავებას სახელსა და ზმნისართს შორის ამყარებს ბოლო მორფემით. ზმნისართისათვის **-ის** და **-ით** ვარიანტია ნიშანდობლივი. სახელისათვის დამახასიათებელი **-თ-ი** დაბოლოება მოქმედებითი ბრუნვისა აღარ გამოიყენება ზმნისართებთან სალიტერატურო ქართულში. ბუნებრივია „**დროით** წავიდნენ“ (ზ. სართ) და არა „**დროთი** წავიდნენ“, თუმცა, ზოგ დიალექტში, მაგ., ქართლურში, **დროთი** ფორმა ზმნისართად გვხვდება ბრძანებითში: დროთი მოდი („დროზე მოდის“), ასევე: **დროით** შესიტყვებაში შეიძლება სახელის ფუნქციითაც იყოს და ზმნისართისაც: **დროით** საზღვარს უდრ. **დროით** წავიდა; მაგრამ სიტყვათშორისი ურთიერთობისას სალიტერატურო ენა ზმნისართისთვის ირჩევს **-ის** და **-ით** მაწარმოებლებს. ამავე დროს, ზმნისართი, როგორც პარადიგმის წევრი, სახელისაგან გამოირჩევა ფუძის უკვეცელობითაც: **დროის** შემდეგ, **დღეის** შემდეგ (შდრ. **დღის** შემდეგ).

მიღებული დასკვნა ვრცელდება ო, ე, ა ხმოვანფუძიან ყველა პირველად ზმნისართზე. ფორმულა: უკვეცელი ფუძე + **-ის**, **-ით** საყველთაოა.

ლიტერატურა

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

გუზმანი, 1968 — М. М. Гухман, Исследования по общей теории грамматики, М., 1968.

ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, 1969 — ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა, თბ., 1969.

ინვერსიული ლექსიკონი, 1967 — ინვერსიული ლექსიკონი, შედგენილი ბ. ფოჩხუას ხელმძღვანელობით, თბ., 1967.

ს.-საბა, 1949 — სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1949.

უთურგაიძე, 1976 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.

უთურგაიძე, 1986 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

ქველ, 1953 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, ტომის რედაქტორი ვ. თოფურია, თბ., 1953.

შანიძე, 1980 — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980.

ჩუბინაშვილი, 1984 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ა. შანიძის წინასიტყვაობით, თბ., 1984.

ჭორბენაძე, 1985 — ბ. ჭორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

INESA KIKNADZE

On Different Morphological Changes in Nouns and Adverbs(on the example of *dye* and *dro*)

Summary

In Georgian the words *dye* (day) and *dro* (time) can be both a noun and an adverb. However, in collocations it becomes difficult to differentiate their grammatical status. As is known, the Georgian language maintains the difference between the categories by means of stems and markers. The rule for initial adverbs with vocalic stems a, e and o is as follows, the irreducible stem + the marker **is** = it.

წმწმ ბელლიაზილი

**დიალექტიზმები საშუალო ქართულის სამართლის
ქმლთა ენაში**

ძველი ქართული სალიტერატურო ენა მტკიცედ ჩამოყალიბებულ ნორმათა სისტემაზეა დაფუძნებული, თუმცა ასევე ნათლად ჩანს ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები, რომელთა ოდენობა XII საუკუნიდან თანდათან მატულობს. ირღვევა დოგმატური ტრაფარეტები და გზას იკაფავს დიალექტიზმები. ისინი წერილობით ძეგლთა ენაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ, ამიტომ, მიუხედავად მათ შესწავლასთან დაკავშირებული ბევრი სიძნელისა, აუცილებელია მათი აღრიცხვა თუ ქრონოლოგიის დადგენა. ამ თვალსაზრისით ანგარიშგასაწევია საშუალო ქართულის სამართლის ძეგლთა ენა, რადგან იგი უმეტესად ცოცხალ მეტყველებას ეფუძნება და მკვეთრად ასახავს თავისებურებებს. მათი შემდგენელი რამდენადაც ცდილობენ ნორმების დაცვას, ამავდროულად „შეუზღუდავნიც არიან“ სალიტერატურო ენის ნორმებით. ზოგიერთ ძეგლში, რომლებიც ძირითადად თავიანთი ეპოქის შესაბამისი სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით არის შედგენილი (სამეფო კარის ან ეკლესია-მონასტრების მიერ გაცემული), ძნელია დიალექტიზმების პოვნა, თუმცა გარკვეული მათგანი (სხვადასხვა კუთხეში დაწერილი საბუთები — მაგ: სახნავ-სათესი, ვენახისა და სხვა ადგილების ბოძების სიგელები, დავის გადაწყვეტილებები...) „დიალექტური ტექსტების შთაბეჭდილებას ტოვებს“ და ძალზე საინტერესო მონაცემებს გვაწვდის. რა თქმა უნდა, ყურადსაღებია ისიც, დედანთან გვაქვს საქმე თუ პირთან, რა დროისაა დედანი თუ პირი, სად არის დაწერილი საბუთი ან ვინ არის დამწერი და სხვა (სარჯველაძე, 1984, 125-126).

X საუკუნიდან წერილობით ძეგლებში ჩნდება „იგი“ ნაცვალსახელის ვარიანტი „ისი“, რომელიც დიალექტური მეტყველების მკაფიო ნიმუშია. ახალმა ქართულმა იგი არ განავითარა და ამჟამად მხოლოდ კილოებს ახასიათებს (ზემოიძიერულს, რაჭულს) (ძიძიგური,

1971, 54): „**ისი** რატი...“ Ad-18(XVIII.); „გობოძეთ ჯორჯელში **ისი** გომურამ(ვ)ილი მარტია თავის მამულითა“ III. 740,8 (XVIII.); „დავიხსენ **ისი** ქუაბი, ლენინგრ. H-71 (XV.); „**ისი**ც საყდარს უნდა რომე მიაართონ“. ტII, 221,4 (XVIII.); „ჯამსა **ისიცა** უწირვედეს“. Sd-143 (XV.). შეგვხვდა თანხმომავანჩამომორებული ვარიანტიც: „**ი** გომნი, ნადარბაზვეი იაჯნეს“. II. 119,20 (XV.).

დიალექტიზმის ნიმუშებია: „ეს **ამდონი** წიგნები...“ III. 689,4 (XVIII. დასაწყისი); „და მომივიდა **ამრიგი** საქმე“. Sd-535. (XVIII.); „და **ყოვლისფრით** და **ყოვლისფრით** თანწვიდებულნი და დამამტკიცებელნი იყვნენ“. Sd-2141 (XVIII.).

სასიტორიო დოკუმენტების ენაში რიცხვითი სახელის დიალექტურ ფორმებს წარმოადგენს: **ოთხთავე**, **სამთავე**... „მწე ჩვენთაცა დარბაზით ათქს **ოთხთავე**“. II. 90,4 (XIV.); „და ჩუენ **სამთავემათა** და თუ რომელმანმე... მოინდომოს“... Sd-2141 (XVIII.).

„**კე**“ თანდებული-მორფემოიდი **-კენ** თანდებულის დიალექტური ნაირსახეობაა, რომელიც არსებობს ხევსურულში, ფშაურში, თუშურში, მთიულურში, გუდამაყურულში, ლეჩხუმურში. შეინიშნება შუა საუკუნეების სალიტერატურო ძეგლებშიც (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, 256): „ამას წინათ, **სადვინეთავე**, იმის კერძს შორის, ადრე მკერვალთ-უხუცესი და ტყისმცველი დასხდებთან“. II. 80,13 (XIV ს.).

-ზე, **-ზედა**-ს მნიშვნელობით დასტურდება „**ზედან**“, რომელიც სწორედ დიალექტებიდანაა შესული სამწერლობო ენაში. „საშუალ ქართულში თუ ერთი მხრით, **ზედა** თანდებული გამარტივდა და **ზე**-მდის დავიდა, მეორე მხრით, მას ბოლოში დაერთო **ნ** ელემენტი (ნა) და მივიღეთ **ზედან**“ (მარტიროსოვი, 1946, 213): „...ზის ვეზირობასა **ზედან**“ II. 96,11 (XIV ს.); „ყოჩხულულის აბრეშუმი ამას **ზედან** არა აცხ...“ II.208,13 (XVI ს.); „მუნ იყოს **მასზედან** ტირილი“ III.694,20 (XVIII ს. დასაწყისი).

საკმაოდ ხშირია აღმოსავლეთის კილოებისათვის ნიშანდობლივი „**დამე**“ — გარდამავალი სახეობა დაღმე (დაღმა) ფორმისა: დაღმა// დაღმე(დამა//დამე)-(დამ (ჩიქობავა, 1937,59-63): „ვიც ან **სამცხიდამე** და **იმერეთიდამე** მგზავრი ჩამოვიდეს და გორს მოვიდეს...“ II. 225,1 (XVIII.); „იქვე **თრიალეთიდამე**... ჩამოიაროს, II. 225,31 (XVIII.); „...იმის **კუთხიდამე** ის სენაკის კუთხიდან არის იქიმდი...“ Qd-8939 (XVIII.)...“

გამოვლინდება „**-დამ**“ ვარიანტიც: „...და ყოველს წელიწადში გა-

გიჩინეთ **საგარეჯოდამ** პური კოდი ოცი...“ III.697,14 (XVIII. დასაწყისი); „თავთავის **ბატონებიდამ** მორიგე კაცი მოვიდოდეს“... Qd-8723 (XVIII.); „ქ. **სურამიდამ**...“ Qd-8723 (XVIII.); „ქ. **გორიდამ**...“ Qd-8723 (XVIII.); „**საფრანგეთიდამ** მოსულიყო ნათესავი შენი საქართველოში დამდგარიყო“ Sd-2913 (XVIII.); „და მაჩაბელაშვილი ჩვენი **წილიდამ** მიხდომილი არის...“ Qd-10.128 (XVIII.); „რაცა **ხელიდამ** გამოგივიდეს...“ Ad-48 (XVIII.); „**აქედამ** იწყების“ Qd-9085 (XVIII.). „**დამ**“ იშვიათად გვხვდება ქართლურში, ხშირად იხმარება კახურში, გვაქვს მთიულურსა და აღმოსავლურ დიალექტებშიც (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956,18).

ძველ ქართულ ენასთან შედარებით ნაკლები ოდენობით, მაგრამ მაინც დასტურდება ვითარებითი ბრუნვის დიალექტური ფორმა „**-მდინ**“: „ხერთვისს ზეით, სულ ჯავახეთი გაღმართი არის წარადგომამდის **ვეთამდინ**“. H-2854 (XIII.); „**სანამდინ** ცოცხალი იყოს“ შდ-106 (XVIII.); „ჩოკაშვილის ყმის **ღობემდინ**“ III.1040,24 (XVIII.); „ჰქონდეს ტრაპეზსა **მიუკუნისამდინ**...“ II. 25,31 (XIII.); „და ყმისა სითარხნისა სიგლები ვიდრე **ჩემადინ** ყოველივე ჩუენ მოგვართვი...“ Sd-2913(XVIII.).

შეგვხვდა საშუალი ქართულისათვის ნიშანდობლივი **-მდე** თანდებულის დიალექტური ნაირსახეობის „**-მდისინ**“ **-ნ** ბოლოკიდურდაკარგული ნიმუში და **-მდის** თანდებული-მორფემოიდის ფონეტიკური ნაირსახეობა „**-მდი**“: „**სანამდისი** თქუენსა ჳელთ იყოს...“ Ad-47 (XVIII.); „**შარამდი** ჩვენი ყოფილიყოს“ Qd-2106 (XVIII.); „სადამდი თქუენვე არ შეიწყალოთ“ III. 220,3 (XV.);

არც თუ ისე იშვიათია -თვის თანდებულის დიალექტური ვარიანტი „**-თვინ**“: „თქვენთვის ღთის **გულისათვინ** და დედისთქვენის **სულისათვინ**“. Sd-535 (XVIII.); „წაერთმივნა და მანგლისისა **ღთსმშობელისთვინ** შეეწირა მერმე“. Sd-575 (XVIII.); „**საყდრისათვინ** რომ წიგნები დაგაწერინეთ“. III. 695,21 (XVIII. დასაწყისი); „ყოვლის სამართლიანის სამძღ(ვ)რითა **თქვენთვის** გვიბოძებია“. III. 740,11 (XVIII. დასაწყისი).

საანალიზო ძეგლთა ენაში სიჭრელეა ზმნიზედათა დიალექტური ნაირსახეობებით: „თუთ **აქან** ნაზარდი იყავ“. Hd-1586 (XIII.); „**ასრე** გაგარიგეთ“. II. 216,24 (XVII); „**ასრე** გაგითავდეს“. III. 183,23 (XV.); „...**ასრე** წაველ...“ Sd-1025 (XVI.); „**ასრე** უპასუხებდა რაცა“. Sd-1025 (XVII.); „**ასრე** და ამა პირსა ზედა...“ Qd-10130 (XVIII.);

„ნასყიდსა **ასრე** და ამა პირსა ზედა...“ Sd-800 (XVIII.); „**ასრე** რომე რაც მათ მამული არის...“ Qd-605 (XVII.); „და **ასრე** ამათ დავანებეთ“. Qd-21,53 (XVIII.); „**ასრე** რომე ღიდნი ჯარნი მენახნეს და...“ Ad-18 (XIII.); „...ავდრებდე... **ასრე** და ამა პირსა ზედა რომე“. Hd-1370 (XV.); „სიგელი **ასრე** გაგითავდეს და ვერავინ შეეცვალოს“. Hd-1370 (XV.); „**ესრეთ** დღისითგან“. Hd-1368 (XV.); „**ესრა** თქვენის სისხლის სანუქბო არის...“ Sd-535 (XVIII.); „**ისრე** გადასწყუიტონ“. II. 204,19 (XVII.); „**ისრე** განაკანონოს“. II. 21,27 (XVII ს.); „ისიც **ისრევე** მოუშლელად იყუნენ“. II. 217,33 (XVII ს.); „**აგრე** შევაჩ(უ)ენოთ“. III. 183,21 (XV ს.); „და მისთვის ვერ გარდაიწერა **ეგრეთვე**“. Sd-2859 (XIII ს.); „და **ეგრე** გარდავეც ყველაი“. Sd-2859 (XIII ს.).

„**აწ**“ არქაული ზმნიზედის მნიშვნელობით გვხვდება **აწე**. იგი ნიშნავს **აწ** და იხმარება აჭარულში“ (ღლონტი, 1974,49): „**აწე** ვიწყუოთ შეკაზმვა მეფისა...“ II. 95,13 (XIV ს.); „**აწე** მსახურთ-უხუცესი მეჭურჭლეთ-უხუცესისა გვერდით ზის...“ II. 96,11 (XIV ს.); „**აწვე** საქმით სრულქმნილ არს ყოვლითურთ ჩემ მიერ“. III. 150,20 (XIII ს.); „**აწე** ამას იქით...“ Sd-597 (XVII ს.); „სამლოცველოდ სხვას კაცს უფალი არა ქონდეს **აწე** უთვალავს...“ Hd-1564 (XVII ს.); „**აწე** გქონდეს და გიბედნიეროს“ Qd-10147 (XVIII ს.).

ხელახლა, კვლავ, ისევ ზმნიზედათა მნიშვნელობას გამოხატავს დიალექტური „**კიდევ**“: „და მერმე **კიდევ** მიბოძე“. III. 184,17 (XV ს.).

მტკიცებითი ნაწილაკ-მორფემოიდის მნიშვნელობითაა გამოყენებული **ქვე**. ეს იგივეა, რაც გურულ-იმერული **ქე**. რაჭული **ქვე**. მეგრული **ქო**, სვანური **ჩუ** (ღლონტი, 1975, 182): „სადვინეთ წინ **ქვე** დასმენ (მეფესა) მალლა-სკამითა, ტაბლას წინ დაუდგმენ“. II. 80,11 (XIV ს.); „აქ, უნდა რომ **ქვე** დასხნეს“. II. 84,14 (XIV ს.); „ველთა ზედა იბრუნებს, **ქვე** ვერ დაიბიჯებს“. II.92,19 (XIV ს.).

ცოცხალი მეტყველებიდან მომდინარეა **-ყე** ნაწილაკიანი ფორმები, რომლებიც XII საუკუნიდან ჩნდება წერილობით ძეგლებში და დიალექტური გრამატიკული მოვლენის ნათელ ასახვას წარმოადგენს (სარჯველაძე, 1984, 117): „თვთ აღრითვან მამაობასა **ეწერაყე** საეზისკობოსოდ“. II. 16,21 (XII ს.); „სიგელსა შიგან **უწერაყე**“. II. 72,34 (XIII ს.); „და რასაცა ნადირობაი **გამოაჩნდესყე**...“ II. 72,28 (XIII ს.); „მისი ნადირობაი არა **ჭქონდესყე**...“ II. 72,28 (XIII ს.).

-ყე მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვით გადმოცემული ობიექტის გამომხატველია, ან, როგორც არნ. ჩიქობავა უწოდებს, ლოგიკური სუბიექტისა, რომელიც გრამატიკულად ობიექტია (ჩიქობავა, 1923, 60).

საანალიზო ძეგლთა ენაში ყურადღებას იქცევს ზმნისწინთა აღმოსავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი ხმოვანშეცვლილი სახეობები. **მო-, შე-** გვხვდება **მა-, შა-**ს სახით. ვ. თოფურის აზრით, ასეთი გადაქცევა „ყოველგვარი ასიმილაციის გარეშე დგას“ (თოფურია, 1925, 131). ზოგიერთი მკვლევარი კი მიიჩნევს, რომ **მა-** უძველესია. **მო-** ზმნისწინის **მა-**დ გარდასახვაში წილი მიუძღვის **მ** სონანტს (მარტიროსოვი, 1953, 82). სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია აგრეთვე, რომ იგრძნობა მიდრეკილება პირველ ობიექტურ პირთან **მა-** იყოს ჩვეულებრივ (კაჭარავა, 1973, 81): „ჩემი შვილი და მამული თქვენის ჯელად **მამიგდია**...“ Sd-535 (XVIII.); „ესე, რაცა **შემაშიწირავს** და მომიჯსენებია“. Ad-1839. „**მამავალთა** შენთა მოგეცით ნაქურდვეი...“ Hd-14858 (XV ს.); „სხვის იასაული ვერ **შავიდეს**“. II. 233,27 (XVIII.); „და მოძალობას ნუ **მაინდომებენ**...“ II. 233,23 (XVIII.);

საშუალი ქართულის სამართლის ძეგლთა ენაში ნაირგვაროვნებას ქმნის ზმნის ამა თუ იმ მწკრივის წარმოებასთან დაკავშირებული ნიმუშებიც.

აწმყოს ფუძის საწარმოებლად „**ავ**“, „**ამ**“ ზოგჯერ შეცვლილია „**ევ**“, „**ემ**“ სუფიქსით. ასეთი ნიმუშები, როგორც ზურაბ სარჯველაძე მიუთითებს, ბატონდება „აღმოსავლურ დიალექტთა ერთ ჯგუფში“ (სარჯველაძე, 1984, 112). ეს მოვლენა შედეგია **-ავჩევჩ** თემის ნიშანთა ურთიერთმონაცვლეობის მოშლისა: პარადიგმა გასწორდა **ე** ხმოვნიანი ვარიანტის გაბატონების შემდეგ (სარჯველაძე, 1984, 140): „ანუ მუხრანს **ჭვნევედ**“. Hd-1332 (XVI ს.); „**ჭნახევიდით** გულსმოდგინებით“. II. 17,26 (XII ს.); „ჯამსა ისიცა **უწირევედეს**“. Sd-143 (XV ს.); „საბოსტნესა და ბაღის ალაგს ვერ **ფიცევედეს** და სახლზე ფიცი მოინდომეს...“ Qd-8939 (XVIII.); „და სხუა რიგათ გლენს ძალს არ **უზემდე**“. II. 230,8 (XVIII.).

მეორე სერიის მწკრივებში ვნებითებთან გამოვლინდება ინფიქსიანი წარმოება. ისინი ახლაც გვხვდება აღმოსავლურ კილოებსა და სალიტერატურო ქართულშიც, მაგრამ სუსტად. უინფიქსო წარმოება უფრო უპირატესობით სარგებლობს: „და შენნი ძმანი დიდსა უგე-

მუ(რ)ობასა შინა იყვენით, ამისთუის, რომელ რომელნიღა მამული გქონდეს“. III. 155, 12 (XIII ს.); „ოდეს მუხრანს ვიყვენით, წმიდისა შიო ს ხატსა შეგუამთხვენ“. II. 17,13 (XIII ს.); „ოდეს ჩუენ ვიყუნეთ სხვსა შფოთისაგან“. II. 113,1 (XIV ს.); „მლოცველნი ვიყვენით“. III. 184, 23 (XV ს.); „ასე რომ ჩვენ ერთმანეთისაგან გავიყარენით“. Sd-106 (XVIII ს.); „თქვენ ასე გაინარჩენით...“ Qd-6983 (XVIII ს.).

უწყვეტლისა და წყვეტილის მესამე პირის მრავლობით რიცხვში ხშირად წარმოდგენილია -ენ დაბოლოება, რაც თავისთავად მიუთითებს, რომ დიალექტურ მოვლენასთან გვაქვს საქმე: „ჰყონდიდელს ქვემოთ ნოხთა ზედა ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდენ“. II. 95,33 (XIV ს.); „უნდა უკრავდენ საგოდებელისადა...“ S-105 (XVIII ს.); „გვანლდენ თან მრავალი თავადნი“. Hd-1564 (XVIII ს.); „ძმები მამულზედ ცილობდენ...“ Qd-2106 (XVIII ს.); „ჩუენთა სასეფოთა ადგილთა შინა დადგენ“. II. 23,15 (XIII ს.).

ზოგიერთ შემთხვევაში ნამყო ძირითადის მწკრივის ნიშანი ე გართულებულია და გვაქვს დიალექტური სახეობა ეგ ან ეგო, რაც ახასიათებს კახურს, ქართლურს, იმერულს, მესხურ-ჯავახურს: „ეს ამდონი წიგნები ამისთვს დავაწყევ აქა, რომ...“ III. 689,4 (XVIII ს. დასაწყისი); „და შევაპყევ პატიოსნის ხატითა“. III. 681,1 (XVIII ს. დასაწყისი); „და მიტროპოლიტობის კურთხევა მოიღვეით“. II. 753,32 (XVIII ს.); „ყური მოგ(ი)ღღვეით“. III. 740,5 (XVIII ს.); „ბეგარა დავსღვეით აღაპისა“. Qd-9085 (XVIII ს.); „არც ჩვენ ავიღვეით საური“. 232,21 (XVIII ს.).

ვედ ფუძის დიალექტური სახეობაა ველ: „ძმისთვის დამიგიდია, როდესცა მიველით“. შდ-1025 (XVI ს.); „ასრე წაველ“. Sd-1025 (XVI ს.); „მოველ თქვენს კათოლიკე ეკლესიასა“. III. 741,31 (XVIII ს.); ერთ შემთხვევაში ფუძის ბოლო თანხმოვანი დაკარგულია: „და მოგაჰსენეთ მას ჯამსა, ოდეს მცხეთას მოვე და მაკურთხეთ“. III. 183,10 (XV ს.).

თემატურ სუფიქსთა თავისებურება სამართლის ძეგლთა ენაში ვლინდება ნიშანთა მონაცვლეობაში, რაც გაერთფეროვნების ტენდენციით აიხსნება: „მოლარეთ-უხუცესი მოართომს“. II. 80,5 (XIV ს.); „მჭლოდ შეკრულსა ქუდსა დაარქვამს“. II. 80,10 (XIV ს.); „ხვალ სით ჰკლევენ?“ II.80,19 (XIV ს.); „თანამოქმედობითა წმიდისა და ყოვლად სანატრელისა მამისა ჩუენისა შიოსითა“. II. 28,34 (XIII ს.).

ივშიათად „ვა“ კომპლექსი შეცვლილია ო-დ: „მართალი არა

თქოს“. II. 233,33 (XVIII ს.).

ხშირად მეორე სერიაში ჩართულია „ვ“: „რომელ არ-სირცხვლისა თანამდებად იხილვენთ ვმრთისა და ანგელოზთა მისთავან“. II. 17,24 (XIII ს.); „და მივანდვენ შვილნი და დედოფალნიცა, შუამდგომლობითა ღმრთისაჲთა“. II. 19,24 (XIII ს.); „ღმერთმან ყოველი გავებული და მის მიერ ქმნილი დაამტკიცოს და შეუნდგენს“. II.30,2 (XIII ს.); „და მოიწივენით წინაშე ჩვენსა“. III. 661,5 (XVIII ს.); „მივიწივენით სამეუფოსა ქალაქად კონსტანტინეპოლედ...“ III. 749,11 (XVIII ს.).

დიალექტებში -ავ/-ამ თემისნიშნისა ზმნების აწმყოსა და მყოფადის მესამე პირის მრავლობით რიცხვში ხმოვნის შემცველი პირის ნიშნის გამო ფუძე შეკუმშულია: „უსამართლობას ნუ უზმენ“. II. 233,24 (XVII ს.); „ტაბლას წინ დაუდგემნ...“ II.80,11 (XIV ს.); „საღვინეთ წინ ქვე დასმენ...“ II. 80,11 (XIV ს.); „და ტურათის უბანსა რომელ მეზურენი დაუსხმან... ამისი პური ეკლესიას მიეცემოდის“. II. 16,14 (XII ს.); „ძალსა დაგვისახვენ და გვაუწყებენ“. III.721,19 (ს.); „აღთვალვენ მათცა და დასხდებიან მასვე ადგილსა“. II 80,15 (XII ს.).

ვფიქრობთ, ზოგჯერ ზედმეტადაა გაჩენილი თემის ნიშანი: „ვერცა მანდატური არგანს დაიჭირავს“. II. 94,24 (XIV ს.); „და მუქიფი ითვალავს სხვათა ვეზირთა ოროლითა ჯამითა“. II. 94,1 (XIV ს.). ზოგჯერ კი არის ცდა ერთროულად ორი თემის ნიშნის გამოყენებისა: „საყდრისა დიდისა ემბაზისა ბიჭუნტისა მცირისა და კნინისა შევწირაობ“. II.177,40 (XVI ს.).

ამდენად, განხილული მასალა ის ობიექტური რეალობაა, რომელიც საშუალო ქართულის საერო საკანონმდებლო და საეკლესიო სამართლის ძეგლთა ენაში გამოვლენილ დიალექტურ ფორმათა ანალიზს მნიშვნელობას ანიჭებს არა მხოლოდ ისტორიული დიალექტოლოგიის, არამედ, საერთოდ, ენის ისტორიის სურათის სრულყოფილად წარმოდგენისათვის. „ერთ რომელიმე პატარა საბუთში შეიძლება იმდენი საინტერესო ფორმა აღმოგვაჩნდეს, რამდენის მოპოვებასაც რამდენიმე ხელნაწერის წაკითხვა დასჭირდებოდა,“ (სარჯველაძე, 1984, 127).

ლიტერატურა

მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956 — არ. მარტიროსოვი და

გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.

მარტიროსოვი, 1953 — არ. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი თავდაპირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, 1953.

მარტიროსოვი, 1946 — არ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, იკე, ტ. I, 1946.

სარჯველაძე, 1984 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

ღლონტი, 1974 — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I ა-მ, თბ., 1974.

ღლონტი, 1975 — ალ. ღლონტი. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II, ნ-ჰ, თბ., 1975.

ძიძიგური, 1954 — შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988 — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემათა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

ქ.ს.ძ., 1965, 1970 — ქართული სამართლის ძეგლები /პროფ. ი. დოლიძის რედაქციით/ ტ. II. 1965; ტ. III — 1970.

NUNU GELDIASHVILI

Dialectal Forms in the Language of Medieval Georgian Legal Documents

Summary

The linguistic analysis of the 12th-18th century Georgian legal documents of secular, legislative and ecclesiastical types has shown that study of dialectal forms encountered in the texts in question are relevant for two reasons: 1) For solving a number of issues of historical dialectology; 2) For building a complete picture of the history of the Georgian language.

ნიკო ზიკაშვილი

ბავშვის მეტყველების ზოგიერთი საკითხი

ტრადიციული გრამატიკა, მრავალი წლის მანძილზე ეყრდნობოდა „სწორი“ (კლასიკური) წერილობითი ტექსტების მასალებს. თავად ლინგვისტიკაც წარმოშობის დროიდანვე იცავდა ძველი, წმინდა წიგნების სანიმუშო ტექსტებს ახალი დროების წახდენისაგან. დესკრიპტიული ლინგვისტიკა ტექსტებს ყოფს „სწორ“ და „არასწორ“ ტექსტებად, ამასთანავე უარყოფს „არასწორ“ ტექსტებს, ვინაიდან ისინი ენის სურათს ამახინჯებენ. საერთოდ ლინგვისტიკა, როგორც ნორმატიული მეცნიერება, სამეტყველო ქცევის შეფასებისას, ათვლის წერტილად მიიჩნევს **ნორმას**, ხოლო ყველა დანარჩენი მოვლენა ამ ნორმასთან დაპირისპირებით განიხილებოდა როგორც მისგან ერთგვარი გადახრა.

ფსიქოლინგვისტიკა შეისწავლის სამეტყველო ქცევის მთელ კომპლექსს და მნიშვნელობას არ ანიჭებს მის ნორმატიულობას. მართალია, მისთვის ნორმა საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ როგორც სამეტყველო ქცევის კერძო გამოვლენა. ფსიქოლინგვისტიკა აყალიბებს სამეტყველო ქცევის უფრო ზოგად მოდელს. აქედანაა ფსიქოლინგვისტიკის დაყინებული ინტერესი როგორც ნორმის, ასევე მისგან სხვადასხვა სახის გადახრების მიმართ. ამაზევე მეტყველებს ლ. შჩერბას თეზისი „უარყოფილი ენობრივი მასალის“ შესწავლის აუცილებლობაზე. თუმცა, სწორედ უარყოფილი ენობრივი მასალა რჩებოდა ლინგვისტიკის ინტერესებს მიღმა, ვინაიდან მათ ნორმიდან გადახრად მიიჩნევდნენ. მაინც რა არის ეს უარყოფილი ენობრივი მასალა? ეს გახლავთ: 1. ბავშვის მეტყველება; 2. მეტყველების დროს, მოზრდილ, ნორმალურ ადამიანთა ენობრივი შეცდომები (ლინგვისტიკა იკვლევდა პრაქტიკული სტილისტიკის თვალსაზრისიდან გამომდინარე მხოლოდ ყველაზე მეტად ტიპურებს); 3. უცხოური ენის შესწავლის პროცესი, როდესაც გარდაუვალია მეტყველებაში დაშვებული შეცდომების საკმაოდ დიდი რაოდენობა; 4. უჩვეულო

სიტუაციაში მყოფ ადამიანთა მეტყველება (ეს შეიძლება იყოს სტრესული მდგომარეობა, ძლიერი ემოციური აღელვება, გაბრაზება, სიხარული და. ა.შ.); ასევე გაძლიერებული ნერვული დაძაბულობა (მაგალითად, ავიადისპეტჩერების მეტყველება); 5. მეტყველების სხვადასხვა სახის პათოლოგიის შემთხვევები. ფსიქოლინგვისტური კვლევის ეს მოდელები პრინციპულად ისწრაფვიან, რომ ადამიანთა სამეტყველო ქცევის ანალიზის დროს, მოიცვან ყველა შესაძლო ფორმა, დამოუკიდებლად ამ ფორმათა ურთიერთობისა ნორმის მიმართ.

ენობრივი მასალის უარყოფილი ტიპებიდან, სამეტყველო ქცევაში ყველაზე კარგადაა ცნობილი **ბავშვის მეტყველება**.

სამეტყველო ქცევის თეორიისათვის ბავშვის ამეტყველების პროცესის კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს. უძველეს პრობლემას წარმოადგენს იმ მექანიზმის გარკვევა, რომელიც საფუძვლად უდევს ბავშვის ამეტყველებას. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის გონებრივი მონაცემები თითქოს რამდენადმე შეზღუდულია, იგი სულ რაღაც

3-4 წელიწადში მთლიანად ითვისებს მშობლიური ენის ურთულეს სტრუქტურას. მეტიც, მშობლიური ენის გამოყენების ყოველ კონკრეტულ შემთხვევას იგი უპრობლემოდ უკავშირებს გარკვეულ გრამატიკულ კანონზომიერებებს და მალე ენობრივი კოლექტივის სრულფასოვანი წევრი ხდება: მას უკვე შეუძლია წარმოქმნას და გაიგოს მშობლიური ენის ახალ წინადადებათა უსასრულო რაოდენობა.

როგორც კი ბავშვი პირველად დააკავშირებს ორ სიტყვას, უკვე შესაძლებელი ხდება მისი ენის აქტიური გრამატიკის შესწავლა. ბავშვის ენა იმთავითვე სტრუქტურული ხასიათისაა, მისწრაფვის რეგულარულობისაკენ და მასში მალე იერარქიული მიმართებებიც ჩნდება. ენობრივი სტრუქტურები, რომელთაც ბავშვი თანდათან ეუფლება, ცხადია, ყოველთვის შეესაბამება მოზრდილის ენობივ სტრუქტურებს.

ორსიტყვიანი წინადადებების წარმოქმნა ჩვეულებრივ 18 თვის ასაკში ხდება. ამის თაობაზე სხვადასხვა ენის მონაცემები, ისევე როგორც სხვადასხვა მკვლევართა თვალსაზრისები გასაოცარი სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს.

ორსიტყვიანი წინადადებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სიტყვათა დაკავშირების დროს ბავშვი მათ ორ კლასად ყოფს: ერთია ე.წ. *საყრდენი სიტყვები*, ანუ ოპერატორები, ხოლო მეორე — იმ მრავალრიცხოვანი სიტყვების სიმრავლე, რომლებიც თავდაპირველად ერთსიტყვიან წინადადებებში გამოიყენება.

ქართველი ბავშვისათვის მაგალითად, საყრდენი სიტყვა შეიძლება იყოს *მინდა*, რომელსაც ორსიტყვიან წინადადებებში იგი სხვა სიტყვებს უკავშირებს, ვთქვათ: *დედა მინდა*, *რძე მინდა* და სხვ. საყრდენ სიტყვათა რაოდენობა იზრდება ნელა, თვეში მხოლოდ რამდენიმე ახალი საყრდენი სიტყვა ჩნდება.

მეორე კლასში შემავალი ყველა სიტყვა, საყრდენი სიტყვებთან შეერთების გარდა, შეიძლება ერთსიტყვიან წინადადებებშიც შეგვხვდეს, მაშინ როდესაც ზოგი საყრდენი სიტყვა გვხვდება მხოლოდ ორსიტყვიან წინადადებებში. ცხადია, რომ ეს ორკლასიანი სისტემა არ შეესაბამება უფროსების სიტყვათა კლასების სისტემას — ბავშვი თვითონ ქმნის მარტივ მიმართებებს იმ მწირი ლექსიკის ფარგლებში, რაც მან უკვე აითვისა.

გრამატიკული სტრუქტურის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია უფრო გრძელი წინადადებების შექმნა, რომლებშიც შემადგენლებს შორის გარკვეული მიმართებები იქნება წარმოადგენილი.

როდესაც ბავშვი იწყებს გამონათქვამების გართულებას, იგი გარკვეულ ჯგუფებად წარმოიდგენს წინადადების ნაწილებს და სახელურ ან ზმნურ ჯგუფს თანდათანობით განაგრცობს (აღვა... კატა). მეტყველებაში გაჩენილი პაუზები იმის მაჩვენებელია, რომ ბავშვი უკვე ახდენს წინადადების ანალიზს: პაუზა ჩნდება სწორედ იქ, სადაც მოზრდილის მეტყველებაში სახელად და ზმნურ შემადგენელს შორის საზღვარი გაივლის, სხვა ადგილებში პაუზები არ გვხვდება.

ამგვარად, ბავშვის წინადადებები არის არა სიტყვათა უბრალო მიმდევრობები, არამედ იერარქიულ დამოკიდებულებაში მყოფი ერთეულების გაერთიანება.

გასაოცარია ბავშვის უნარი მოახდინოს განზოგადება, აღმოაჩინოს და დაადგინოს კანონზომიერებები მოზრდილის მეტყველებაში. მოდელის დადგენისთანავე ბავშვი მას მრავალ შემთხვევაში გამოიყენებს: მშობლიურ ენაში იგი „სიმწყობრის“ აღმოჩენას ცდილობს.

ბავშვს აქვს მოწესრიგებულობის, ნორმატიულობის გრძნობა. მას შეუძლია განსაზღვროს მოცემული გამონათქვამის სისწორე გარკვეული ენობრივი სტრუქტურების მიხედვით. ლინგვისტები ამ უნარს *გრამატიკის გრძნობას* უწოდებენ. ეს გრძნობა დროთა განმავლობაში ვითარდება და ბავშვი თანდათან უფრო რწმუნდება თავის ლინგვისტურ კომპეტენციაში. ნიშანდობლივია, რომ, სპონტანური საუბრის დროს, ბავშვი ჩერდება და შეცდომების გასწორებას იწყებს. იგი

სხვის მეტყველებაშიც პოულობს შეცდომებს და სხვა ბავშვებს ან მშობლებსაც კი უსწორებს ნათქვამს.

ენის ათვისების პროცესში ბავშვის წინაშე ურთულესი ამოცანა დგას. ეს ეხება განსაკუთრებით სიღრმისეული ენობრივი სტრუქტურებისა და გამონათქვამთა მნიშვნელობის აღმოჩენას. მრავალმა ფსიქოლოგიურმა ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ, როგორც წესი, მშობლები არ უსწორებენ ბავშვებს გრამატიკულ შეცდომებს, მათი ყურადღება გადმოცემულ შინაარსზეა მიპყრობილი. მაშასადამე, ენის ათვისება არ დაიყვანება სტიმულებისა და რეაქციების კავშირების ათვისებაზე, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი წარმოგვიდგენს. ბავშვი ითვისებს ენის შინაგანი წესების რთულ სისტემას, რომელსაც მას საგანგებოდ არავინ ასწავლის, აღსაქმელად მას ეძლევა მხოლოდ კონკრეტული წინადადებები კონკრეტულ სიტუაციაში. ამ მონაცემების მიხედვით ენობრივი სისტემის აღმოჩენის ამოცანა იმდენად რთულია, რომ, ზოგი მკვლევრის აზრით, ბავშვის ტვინი შეუძლებელია არ იყოს გარკვეულად შემზადებული, „აწყობილი“ ასეთი სტრუქტურის გადასამუშავებლად. მრავალმა ფსიქოლოგმა თეორიულად დაუშვა რთული, გენეტიკურად დაპროგრამებული ლინგვისტური მექანიზმების არსებობა ადამიანის ტვინში. ბავშვს აქვს გარკვეული თანდაყოლილი უნარი დაამუშაოს ინფორმაცია და შექმნას შიდა სტრუქტურები; ამის წყალობით ის აგებს მშობლიური ენის გრამატიკას. ითვლება, რომ ამგვარი განსაკუთრებული სტრუქტურები, რომლებიც ასრულებენ სწორედ ლინგვისტურ ფუნქციას, არ არსებობენ სხვა ცოცხალ არსებათა ტვინში. ცხადია, ეს დებულებები მხოლოდ ჰიპოთეზურ ხასიათს ატარებს.

მეცნიერულად სუსტია ის ტრადიციული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ბავშვი ენას სწავლობს გამეორების გზით: ბავშვის უმარტივესი ორსიტყვიანი წინადადებებიც კი არ არის მოზრდილთა მეტყველების იმიტაცია. გამეორებებით ვერ ავხსნით, როგორ წარმოქმნის ბავშვი ახალ გამონათქვამებს, რომლებიც არასოდეს გაუგონია.

ზედაპირული დონის ის წესები, რომლებიც უნდა შეიმუშაოს ბავშვმა სიღრმისეული სტრუქტურების წარმოდგენისათვის (რებრეზენტაციისათვის), ძალზე რთულია. ფსიქოლინგვისტების ამოცანაა ისეთი თეორიის შექმნა, რომელშიც აისახება ენობრივი ინფორმაციის გადამუშავების ეს მნიშვნელოვანი „წესები“. ადამიანის ფსიქოლოგი-

ური ბუნება, როგორც ჩანს, მოიცავს თანდაყოლილ გონებრივ სტრუქტურებს, რომლებიც ნაწილობრივ გენეტიკურად არის განსაზღვრული, ნაწილობრივ კი განპირობებულია ადამიანის კულტურული გარემოს მრავალფეროვნებით, სტიმულისა და რეაქციის როლი აქ მინიმალურია.

ლიტერატურა

ბაიე, 1932 — Пиаже Ж., Речь и мышление ребенка, “Государственное Учебно-Педагогическое Издательство”, Москва-Ленинград 1932.

რეიხლინი, 1998 — Reuchlin M., Psychologie, (Presse Universitaire De France), Paris 1998.

სახარნი, 1989 — Сахарный Л. В. Введение в психолингвистику, Издательство Ленинградского Университета, Ленинград 1989.

NINO CHIPASHVILI

Some Aspects of Child Language Summary

For the psycholinguistic theory of verbal behavior, the child language acquisition is of particular importance. The paper focuses on the basic mechanisms of child language acquisition.

ენის ზიკაზვილი

სასკოლო ასაკის ბავშვის მიერ უცხოური ენის შესწავლის
ზოგიერთი საკითხები

ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში „ტრადიციული“ ლინგვისტიკის სფეროში შეინიშნება ფსიქოლინგვისტიკური პრობლემისადმი ინტერესის საგრძნობი ზრდა. ფსიქოლინგვისტიკამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლინგვისტურ დისციპლინათა შორის.

ფსიქოლოგებისა და ლინგვისტების ინტერესთა მეტ-ნაკლები სიახლოვე XIX საუკუნის ბოლოს გამოიკვეთა. 1953 წელს ფსიქოლოგების, ლინგვისტებისა და ანთროპოლოგების საერთო კონფერენციაზე იქმნება ტერმინი **ფსიქოლინგვისტიკა** და, ფაქტობრივად, იგი დამოუკიდებელ ენათმეცნიერებად მკვიდრდება.

ფსიქოლინგვისტიკის ძირითადი ამოცანაა ენის შესწავლა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რაც იმ მენტალური პროცესების კვლევას გულისხმობს, რომლებიც თან ახლავს ენის გამოყენებას. ეს პროცესები ძირითადად სამი სახისაა:

1. მეტყველებისა თუ წერილობითი აღქმის პროცესები;
2. ენობრივი გამონათქვამების წარმოქმნის პროცესი (დაწყებული იდეითა და წინადადებით დამთავრებული);
3. ენის ათვისების პროცესი.

ყველა სახის ფსიქოლინგვისტური კვლევა ფაქტობრივად მიმართულია იქითკენ, რომ პასუხი გაეცეს შემდეგ ორ ძირითად კითხვას:

1. ენის რა ცოდნაა საკმარისი იმისათვის, რომ ენა გამოვიყენოთ?
2. რა კოგნიტიური პროცესებია ჩართული ენის გამოყენებაში?

კოგნიტიურ პროცესებში იგულისხმება აღქმა, მეხსიერება და აზროვნება. ადამიანისათვის დამახასიათებელი ისეთი აქტივობაც კი, როგორც არის საუბარი თუ მოსმენა, რომელიც თითქმის ჩვეული და მარტივია, აღნიშნული კოგნიტიური პროცესების თანხლებით მიმდინარეობს.

ფსიქოლინგვისტიკა მრავალ ასპექტს მოიცავს. იგი გამოიყენება სხვადასხვა სამეცნიერო დარღვევების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დროს აფაზიოლოგიაში. ფსიქოლინგვისტური კვლევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის მეტყველების შესწავლაში. ფსიქოლინგვისტიკა საფუძვლად უდევს უცხო ენების სწავლების მეთოდოლოგიას. ჩვენი კვლევის მიზანსაც სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს.

როდესაც საქმე ეხება ბავშვის მიერ უცხოური ენის შესწავლას, აუცილებლად იბადება კითხვა ასაკთან დაკავშირებით, თუ რა პერიოდია მიჩნეული ყველაზე უფრო ოპტიმალურად უცხო ენის შესწავლისათვის.

დასმული საკითხის გადასაჭრელად, პირველ რიგში უნდა გაირკვეს, როგორია ბავშვის მიერ მშობლიური ენის შესწავლის წინაპირობა. როგორც ცნობილია, ბავშვი პირველ (მშობლიურ) ენას ყოველგვარი სიძნელების გარეშე ეუფლება, თუ, რა თქმა უნდა, ნორმალურია პირობები, რომელშიც ის ვითარდება. სწორედ აქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანს გააჩნია ენის დაუფლების სპეციფიკური უნარი.

გფიქრობთ საინტერესოა, გავარკვიოთ, თუ რა დამოკიდებულებაა ენობრივი უნარი მეორე ენის შესწავლის პროცესთან. ამისათვის კი საჭიროა პასუხი გაეცეს იმ კითხვას, თუ რა როლს ასრულებს თანდაყოლილი მონაცემები მეორე ენის შესწავლაში. ამ მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ ენათა შესწავლის დროს, გენეტიკურად, არ შეიძლება წინასწარ განსაზღვრა არც ენათა რაოდენობისა, და არც მათი შესწავლის თანმიმდევრული რიგისა. ერთადერთი, რაც წინასწარ არის განსაზღვრული, არის ის, რომ ადამიანს შეუძლია დაეუფლოს ზოგადად ენას, როგორც კომუნიკაციის სპეციფიკურ საშუალებას. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ასაკთან ერთად უცხოური ენის შესწავლის უნარი თანდათან ქვეითდება. ფსიქოლინგვისტურ ლიტერატურაში ამ ფაქტს უკავშირებენ ნერვული ქსოვილის ქერქის პლასტიკურობას, რომელიც ჭარბია ადრეულ ასაკში, მოწიფულობის ასაკში კი, ნელ-ნელა მცირდება. ქერქის პლასტიკურობის დაკარგვა, რომელიც იწვევს ენობრივი უნარის დაქვეითებას მოწიფულ ასაკში, ასევე დამამტკიცებელია აფაზიით დაავადებულთა შემთხვევაშიც, კერძოდ, აფაზიით ტრამვირებულ 10 წლამდე ასაკის ბავშვებში, გამოჯანმრთელების შემდგომ სრულად ხდება ენის აღდგენა, თუმცა

ნიშნადობლივია ის ფაქტი, რომ მეტყველების აღდგენის დროს, ისინი გადაიან ყველა იმ საფეხურს, რომელსაც ბავშვი ენის პირველად დაუფლებიასა გადიოდა. შემდგომი ასაკის დროს, მეტყველების აღდგენის პერსპექტივა მით უფრო დაბალია, რაც ღიღია აფაზიით დაავადებულის ასაკი. დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ 10—12 წლამდე ბავშვთა ენობრივი უნარი ძალიან ძლიერია, შემდგომში კი შედარებით მცირდება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მტკიცება იმის შესახებ, თითქოსდა ასაკთან ერთად უცხოური ენის შესწავლის უნარი კლებულობს, უნივერსალური არ არის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზოგიერთ შემთხვევაში, სხვადასხვა გარემოებათა მიხედვით, უცხოური ენის შესწავლის უნარი, მოწიფულ ასაკშიაც სრულებით შესაძლებელია შენარჩუნდეს. ნორმალური ბავშვები ადვილად სწავლობენ უცხოურ ენას, თუმცა ენის დაუფლების ნიჭი ყველას ერთნაირი არა აქვს. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ იდენტურ პირობებში მყოფი ბავშვები სხვადასხვა ვადაში და განსხვავებულად ეუფლებიან ენას. (ზოგიერთები თავიდანვე სრული სიზუსტით გამოთქვამენ ბგერებს, ზოგი კი პირიქით, საკმაოდ დიდ პერიოდს საჭიროებს ამის მისაღწევად, ზოგი მშობლიურ ენასთან ანალოგიით, გრამატიკულად არასწორ წინადადებებს აყალიბებს, ზოგი კი — პირიქით, ანალოგიას სრულებითაც არ მიმართავს). აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ თავად პოლიგლოტიების არსებობაც იმის დამადასტურებელია, რომ თითოეულ ადამიანს ენის შესწავლის განსხვავებული უნარი გააჩნია. თუმცა ადამიანთა უნარი უცხოური ენის შესწავლისა, გარკვეულ წილად, იმ გარემომცველ პირობებზეა დამოკიდებული, სადაც ბავშვი იზრდება. სწორედ ამიტომ არის, რომ ორენოვან საზოგადოებაში გაზრდილი ბავშვი ერთდროულად ეუფლება ორ ენას და ენობრივი უნარიც უფრო განვითარებული აქვს, ვიდრე ერთენოვან საზოგადოებაში მცხოვრებ ბავშვს.

სკოლაში სწავლების ერთ-ერთ მიზანს, მრავალ საგანთა შორის, უცხოური ენის შესწავლაც წარმოადგენს. უცხოური ენის შესწავლის პროცესზე ხანგრძლივი დაკვირვება ადასტურებს, რომ რაც უფრო ადრეულ ასაკში იწყებს ბავშვი უცხოური ენის შესწავლას, ეფექტი მით უფრო ღიღია. ადრეულ სასკოლო ასაკს კი ექვსი წელი წარმოადგენს.

ყველასათვის ცნობილ ფაქტს წარმოადგენს ის, რომ სკოლა

დამთავრებულები, უცხოური ენის შესახებ ფლობენ გარკვეულ ცოდნას, მაგრამ მასზე მეტყველება უჭირთ.

სწორედ ამიტომ, სკოლაში უცხოური ენის შესწავლის ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს ენის დაუფლება, როგორც საკომუნიკაციო საშუალებისა. ცხადია, უცხოური ენის სწავლების პროცესში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს უცხოურ ენაზე საუბარს და არა მშობლიურ ენაზე, როგორც ეს ძირითად შემთხვევებში ხდება ხოლმე. მშობლიური ენის როლი სასკოლო საგნების (გარდა უცხოური ენისა) სწავლების დროს წარმოადგენს ენის მთავარ თვისებას (ენა როგორც ურთიერთობის საშუალება). ამავე დროს, ის არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინტერპერსონალურ საშუალება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, მაგრამ როცა შესწავლის საგანი უცხო ენაა და ამავე დროს, სწავლების მიზანი ამ უცხოურ ენაზე კომუნიკაციის დამყარებაა, მდგომარეობა საგრძობლად იცვლება. აქ სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ პედაგოგი, უცხოური ენის სწავლების პროცესის პირველივე მომენტიდან, ურთიერთობას იწყებს თავის მოსწავლეებთან შესასწავლ უცხოურ ენაზე და რამდენიც უნდა ეცადოს სიტყვიერად გაამარტივოს ეს ურთიერთობა, ის მაინც ვერ შეძლებს მის ისეთ სიმარტივემდე დაყვანას, რომ მშობლიურ ენას არ მიმართოს. მათსადაამე, თავიდანვე და შემდგომაც, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ურთიერთობის საშუალებად მაინც მოუწევს მშობლიური ენის გამოყენება. ცოტა მოგვიანებით, როდესაც იგი ამა თუ იმ საშუალებით შეძლებს მოსწავლეებთან უცხო ენაზე დაამყაროს კონტაქტი, მშობლიური ენა შეიძლება ხელისშემშლელიც კი აღმოჩნდეს. ამჟამად არ განვიხილავთ იმ სიტუაციის მექანიზმებს, როდესაც მშობლიური ენა წარმოადგენს დაბრკოლებას უცხოურ ენაზე ურთიერთობის დროს. მხოლოდ იმ ფაქტს დავადასტურებთ, რომ, როცა სწავლების მიზანს წარმოადგენს უცხოურ ენაზე ურთიერთობა, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის საურთიერთო ენას უცხოური ენა უნდა წარმოადგენდეს. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ ნებისმიერი მეორე (მესამე და ა.შ.) შესასწავლი უცხოური ენა და მშობლიური ენა ერთმანეთთან რთულ ურთიერთკავშირში შედიან.

უცხოურ ენაზე მეტყველება მხოლოდ გავიხილისა და დაზეპირებულის ვიწრო ჩარჩოებში ვერ თავსდება. უცხოურ ენაზე ლაპარაკი ნიშნავს შესწავლილ იქნას, ყველა ის ძირითადი ნიუანსი, რომელიც ამ ენაზე ლაპარაკისათვისაა აუცილებელი.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს იმ ფსიქოლინგვისტურ ერთეულთა გამორკვევა, რომლებიც, უცხოური ენის შესწავლის პირველივე ეტაპზე, ბავშვის მიერ აზრის ჩამოყალიბების საფუძველში დევს. ყველასათვის ცნობილია, რომ აზრის ჩამოყალიბება უცხოურ ენაზე, განსაკუთრებით კი პირველ ეტაპზე, საკმაოდ რთულია, ვინაიდან, მოსწავლე მშობლიური ენის სისტემის გავლენის ქვეშ რჩება და უცხო ენის გამოყენების დროს, ხშირად თავის პირველ ენას მიმართავს. მაგალითის სახით შეიძლება შემდეგი სახის წინადადება მოვიყვანოთ: **une jeune fille** შეუხვია **a gauche**.

მართალია, ბავშვი ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე ფლობს განსაზღვრულ „ლინგვისტურ მომზადებას“, რაც ხელს უწყობს უცხოური ენის შესწავლას, მაგრამ უცხოური ენის შესწავლა გარკვეული სახის სირთულეებთან მაინც არის დაკავშირებული. ეს სირთულეები კი ის გახლავთ, რომ უცხოურ ენაზე მუშაობის სპეციფიკა ერთი და იმავე მასალის მრავალჯერ გამეორებას მოითხოვს, რაც ბავშვისათვის ხშირ შემთხვევაში დამლული და მოსაბეზრებელია. სწორედ ამიტომ, უცხოური ენის სწავლების პერიოდში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თამაშს, ვინაიდან გამოირიცხება მრავალჯერ განმეორების უარყოფითი მხარე, მეორდება რა არა ერთი და იგივე დავალება, არამედ თავად სიტუაცია. ბავშვებს კი უსასრულოდ შეუძლიათ ერთი და იგივე თამაში ითამაშონ, თუ, რა თქმა უნდა, ის სათანადოდაა შერჩეული. ერთადერთ სირთულეს აქ მხოლოდ თამაშის სწორი არჩევანი წარმოადგენს. ის მთელ კონტინენტს უნდა აინტერესებდეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თამაშით ბავშვს თვითრეალიზაციის საშუალება ეძლევა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე პატარ-პატარა ზღაპრებითა და საბავშვო მოთხრობების საშუალებით სათანადოდ შერჩეული ლექსიკის შეტანას. მსგავსი ხერხი საშუალებას იძლევა დრამატიზაციის საშუალებით განხორციელდეს უცხო ენის შესწავლა. ხოლო თავად დრამატიზაციის შეტანა, მთლიანად შეესაბამება ბავშვებში შინაგან ტენდენციასთან განვითარებას.

უცხოური ენის შესწავლის დროს დიდ სირთულეს წარმოადგენს აგრეთვე სწორი წარმოთქმა, მითუმეტეს ქართველი ბავშვისათვის, ვინაიდან ჩვენი მშობლიური ენის ფონოლოგიური სისტემა სრულეებით გასხვავდება ნებისმიერი უცხო ენისაგან (მათ შორის ფრანგულისაგანაც). მაგალითის სახით შეიძლება ცხვირისმიერი ბგერები მოვიყვანოთ; **pain** [ˈpɛ̃] — რაც პურს ნიშნავს ქართველი ბავშვი კი ხში-

რად კითხულობს **pein** [ˈpɛn] — რაც სასჯელს ნიშნავს. ასევე **u**-[y]-ს წარმოთქმა ხშირად ერევათ [u]-ში

იმისათვის, რომ პედაგოგმა, უცხოური ენის წარმოთქმის სწავლებაში სასურველ შედეგს მიაღწიოს, სწავლების პირველ ეტაპზე მიზანშეწონილია, მაგნიტოფონის გამოყენება, სადაც იქნება ჩანაწერი ცალკეული უცხოური ბგერების, სიტყვებისა და ფრაზების წარმოთქმით ამ უცხოური ენების მატარებელთა მიერ, და ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს ბგერათა არტიკულაციის მკაფიოობას.

ლიტერატურა

ალხაზიშვილი, 1974 — Алхазышвили, А.А. Психологические основы обучения устной иностранной речи, Тбилиси, 1974.

არტიომოვი, 1969 — Артемов, В.А. Психология обучения иностранным языкам, Москва, 1969.

გვოზდევო, 1966 — Гвоздев, А.Н. Вопросы изучения детской речи, Москва, 1966.

ლეონტიევი, 1970 — Леонтьев А. А., Социальное и естественное в семиотике, „Актуальные проблемы психологии речи и психологии обучения языку“, Москва, 1970.

NINO CHIPASHVILI

Some Problems of L2 Acquisition by Schoolchildren

Summary

The second language acquisition by children is closely connected with the acquisition of their mother tongue. According to the generally accepted view language acquisition abilities decrease with age, however, much depends on the learner's individual qualities. At the school level, the primary goal of L2 teaching should be the development of the learner's communicative competence. Revision and repetition of the same material, that are part of language teaching often tend to be tiring for children. Hence the author suggests using language games in the process of teaching.

ნანა სტამბოლიძე

ზოგიერთი ლინგვისტური ტერმინის განმარტებისათვის

მეტყველებისა თუ წერის დროს ჩვენ ვიყენებთ ჩვენივე ლექსიკურ მარაგში არსებულ სიტყვებსა და სიტყვათშეხამებებს. იმის მიხედვით, თუ რა ვიცით და რა გვინდა ვთქვათ, ჩვენ ვირჩევთ და ვაწყობთ სიტყვებს ერთმანეთის მიყოლებით. ამ სიტყვების სწორი შერჩევა და სხვა სიტყვებთან შეხამება ბევრად დაამოკიდებული ჩვენს სამეტყველო კომპეტენციაზე — იმ სამეტყველო უნარზე, რომელსაც ჩვენ იმპლიციტურად ვფლობთ.

ჩვენი თითქოსდა სიტყვების პრინციპულად თავისუფალი არჩევანი ექვემდებარება ბევრ შიდასამეტყველო ე.წ. სელექციორესტრიქტორებს „Selektionsrestriktionen“ (selektio — ლათ. „არჩევა“ restringere ლათ. „შეზღუდვა“), რომელსაც ჩვენ მეტყველების დროს ვაწყობთ. ეს „არჩევანის შეზღუდვები“ შეიძლება იყოს ლექსიკურ-სემანტიკური და მორფოლოგიურ-სინტაქსური ხასიათის. მაგ. ჩვენ ვამბობთ გერმანულად „Gib ihm Geld“, ინგლისურად „Give him money“ და არ შეგვიძლია ვთქვათ არც „him Geld gib“, ან „him money give“ და არც „fliege ihm Geld“ ან „fly him money“.

ასეთი სელექციო-რესტრიქტორების საპირისპიროდ არსებობს ენაში მეტყველების დროს გამოსაყენებელი ე.წ. პრეფერენციები **Selektionspräferenzen** (die Präferenz — frz. preference, lat. praeferre — უპირატესობა), რომელთაც ჩვენ კოლოკაციებს „Kollokationen“ ვუწოდებთ. **Collocatio** ლათ. სიტყვაა და ნიშნავს „განლაგება“ (**Anordnung**) — იგულისხმება სამეტყველო ნიშნების შინაარსობრივად შეერთება, მისი მორგება სხვა სიტყვებთან, კომბინირება. რატომ შეიძლება მაგალითად, ვთქვათ **dickes Buch** და არა **dickes Haus**? ერთ-ერთ ლექსიკონში „კოლოკაცია“ განმარტებულია, როგორც „ჩვეულებრივი და მოსალოდნელი შეხვედრა ერთი სიტყვისა მეორესთან“. ტერმინის შემოტანა დაკავშირებულია ბრიტანელ მეცნიერ ჯ. ფირთან, რომელიც საერთოდ უარყოფდა სიტყვის იზოლირებულად განხილვას და

წინადადება შემოიტანა, სიტყვა განხილულიყო სინტაგმური კონსტრუქციების გათვალისწინებით. შინაარსობრივად კოლოკაციებს კოზერისთან „ლექსიკური სოლიდარობა“ „**lexikalische Solidaritäten**“, ხოლო პორცივთან „არსებით მნიშვნელობათა ურთიერთობები“ **die wesenhaften Bedeutungsbeziehungen** შეესიტყვება.

ტერმინების ერთ სემანტიკურ ველში გადაჭრის შესაძლებლობებს ვაწყობთ ჰ. ბუსმანის „ენათმეცნიერების ლექსიკონში“, სადაც იგი ტერმინ **„Kompatibilität“**-ს (რაც „შეთავსებულობას, შეთანხმებულობას“ ნიშნავს) ახასიათებს, როგორც **Kollokabilität, Kollokationen, Konvenienz, lexikalische, Solidarität** — ზემოთ უკვე ნახსენები სელექციო-რესტრიქტორების საპირისპიროდ. ამავე სემანტიკურ ველში დადებით-უარყოფითი განზომილებით გადაჭრება ტერმინების **„Kompatibilität — Inkompatibilität“**-ის საკითხი, რაც როგორც აღვნიშნეთ, „შეთავსებულობა-შეთუთავსებულობას“ ნიშნავს.

ჰაუსმანთან კოლოკაცია ორი ნაწილისაგან შედგება: ბაზისი და კოლოკატორი. საბაზისო ნაწილს მტკიცე, ავტონომიური ლეზარტის (შინაარსობრივ დონეზე გამოკვეთილი ლექსიკური ერთეული) სახე აქვს, მაშინ როცა კოლოკაციური ნაწილი მისთვის განკუთვნილ ლეზარტის იერსახეს საბაზისო ნაწილის კონტექსტში იძენს. მაშასადამე, კოლოკატორი არის სიტყვა, რომელიც კოლოკაციაში ცენტრალურ სიტყვასთან მიერთების უნარს ამჟღავნებს. ჰაუსმანთან საბაზისო ელემენტებად სამი ძირითადი მეტყველების ნაწილი გვევლინება: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნა. **Eine bittere K Enttäuschung B; ein eingefleischter K Junggeselle B; die Begierde B stillen K; verbissen K kämpfen B; frisch K gestrichen B; bitter K nötig B.** საბაზისო ნაწილი შედარებით უპრობლემო გვევლინება და მიუთითებს ისეთ ლეზარტზე, რომელიც საჭირო შემთხვევაში ჩვენ თითქმის სრულიად თავისუფლად შეგვიძლია ამოვიღოთ ლექსიკონიდან. რაც შეეხება კოლოკაციურ ნაწილს, აქ აშკარაა, რომ საბაზისო ნაწილის მეშვეობით მინიშნებულ ცალმხრივ დეტერმინაციებთან გვაქვს საქმე. სიტყვა **„Enttäuschung“**, როგორც ნეტაგიური აღქმა, სიტყვა **„bitter“**-თვის ადევნს, რომ ნეგატიურ შეფასებასთან გვაქვს საქმე. ე. ი. **„Enttäuschung“** ირჩევს შეფასების განზომილებას. ანალოგიურია **„bitter Kälte“**, რის მიხედვითაც **„bitter“** ტემპერატურის განზომილებად გვევლინება, მაგრამ გამოთქმა **„bitter nötig“**-თან **„nötig“** ისაზღვრება **„bitter“**-ის მტკიცე განზომილებით და სახელდობრ, აუცილებლობის

გამომხატველი დიმენსიით.

კოლოკაციებთან მიმართებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია დეტერმინაციის საფეხურებზე მსჯელობა. თუ მხედველობის არეში მოვიქცევთ კონსტრუქცია „wunderbare Verhängnis“-ს, დაგვჭირდება დაფიქრება იმის შესახებ, თუ რამდენად შეეფერება სამეტყველო ერთეულ „Verhängnis“-ს, (ბედისწერა, ხვედრი), სიტყვა — კოლოკატორი „wunderbar“, რადგან თანამედროვე გერმანული ენის პოზიციებიდან „wunderbar“ დღეს გაიგება როგორც „საუცხოო, შესანიშნავი“. მაგრამ, თუ დავეყრდნობით 18-ე საუკუნის წყაროებს, ხსენებული სამეტყველო ერთეული „wunderbar“ მართლაც მოიხსენება „merkwürdig“, „sonderbar“-ის მნიშვნელობით. მაშასადამე, „wunderbar“ აქ უნდა გავიგოთ, როგორც „უცნაური, საოცარი“ (უცნაური ბედისწერა). რაც შეეხება სამეტყველო ერთეულებს — **gestrichen, kämpfen, Jungeselle** — აქ განზომილებები სრულიად ღიაა, ხოლო სამეტყველო ერთეული „begierde“ თითქოს ზმნასთან შეერთების წინაპირობას არ უნდა ქმნიდეს, შეიძლება ვიფიქროთ კიდევ, რომ „die begierde stillen“ კოლოკაცია კი არაა, არამედ ძველი მეტაფორული შეერთებაა, — თუ ავიღებთ ზმნა „stillen“-ის ცენტრალურ ლეზარტს, მაგალითად „dem Bady die Brust geben“ — მოთხოვნილების დაკმაყოფილების მნიშვნელობით, მაშინ ჩვენ „stillen“-ის გამოყენება კონსტრუქცია „die begierde stillen“-ში გადატანითი მნიშვნელობით გვესახება. ამას ისიც დაერთვის, რომ აქ ყურადსაღებია სუბსტიტუციის შესაძლებლობების სისტემატურობა, რომელიც კოლოკაციისათვის არაა მიღებული, ხოლო მეტაფორული შეერთებისათვის დასაშვებია. ერთმანეთს შევადაროთ მაგალითად, "das Kind stillen", "den Hunger stillen", "Durst stillen", "die Lust stillen", "Jesus stillen die rauche See" და "alt gestrichen", "sich verbissen ängstigen", "verbissen kochen" და "süße Kalte". რასაკვირველია, თვით კოლოკაციებთანაც არ არის გამორიცხული, რომ კოლოკაციური ნაწილი ნაწილობრივ გააზრებული სისტემური ურთიერთობების წყალობით იღებს თავის დანიშნულებას.

გერმანელი ავტორი ზეელბახი ერთმანეთისაგან მიჯნავს კოლოკაციებსა და ფუნქციურ ზმნის შესიტყვებებს, ე. ი. ისეთ შესიტყვებებს, რომლებსაც ა. თაყაიშვილი, ვ. ვინოგრადოვი და ბევრი სხვა ქართველი და რუსი მკვლევარი ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს მიაკუთვნებს, რომლითაც განსაკუთრებით მდიდარია გერმანული ენა. ბევრი ავტორისათვის გაუგებარია, რატომ არ შეიძლება კონსტრუქ-

ცია ორივეს წარმოადგენდეს, მაშინ, როცა თვით ზეელბახი ვერ ხედავს მათ შორის მკვეთრ ზღვარს და არც ერთმანეთისაგან გამიჯვნის დამაჯერებელ არგუმენტაციას იძლევა. მისი აზრით, კონსტრუქცია „eine Entscheidung fällen“ ფუნქციური ზმნის შესიტყვებაა, ხოლო, „einen Baum fällen“ კოლოკაცია. თუ უფრო ღრმად ჩავწვდებით საკითხს, ასეთი განსხვავება გაურკვეველად მოგვეჩვენება, უეჭველია, რომ „einen Entscheidung sich“ fällen ფუნქციური ზმნის შესიტყვებაა (იგივე ფრაზეოლოგიური შესიტყვება), აქვს ალტერნატიული კონსტრუქციაც „er entscheidet sich“ — ზმნა sich entscheiden-იდან გამომდინარე. ისმის კითხვა, აქვს თუ არა ამ სინტაგმას იმავდროულად კოლოკაციის ნიშნები? ჩვენი ღრმა რწმენით — აქვს. ნომინალური ფრაზა „eine Entscheidung“, რა თქმა უნდა, თავის ჩვეულებრივ ინტერპრეტაციას ინარჩუნებს, მაშინ როცა „fällt“ თავის ლეზარტს გადაწყვეტ მომენტში ნომინალური ფრაზის „eine Entscheidung“-ის მეშვეობით ღებულობს.

ამ ნომინალური ფრაზიდან მიღებული ფორმა კი ყველაფერს ითავისებს, რაც საერთოდ გადაწყვეტილებასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. აქ აშკარად ყოველთვის ნათელი არაა სისტემატურობის საკითხი, რადგან „fällt“-ის ზმნური ფორმა სხვა ზმნებთანაც იცვლება. მაგალითად, **er trifft eine Entscheidung, er verhindert eine Entscheidung, er verschiebt eine Entscheidung**, მაგრამ აქ არ ჩანს ნომინალური ფრაზის შეცვლის აუცილებლობა მსგავსი ნომინალური ფრაზით. მაგალითად, შევადაროთ **er fällt ein Urteik, er fällt einen Plan, er fällt einen Gedanken**. საერთო ჯამში, ჩვენი აზრით, კონსტრუქცია **eine Entscheidung fällen** კოლოკაციის საუცხოო მაგალითია, მაგრამ, როგორ გადაწყდება სინტაგმა **er fällt einen Baum**-ის საკითხი? ამ შემთხვევაში ზმნური ფორმა ცენტრალური სამეტყველო ერთეულია, რომელიც თავისთავად გარემოცვითაა სულჩადგმული. მაგრამ ეს გარემოცვა ისეთივე სპეციფიკური არაა, როგორც წინა მაგალითში, რისი საშუალებითაც ჩვენ სისტემატურობის საკითხს შევხებით. ამ კონსტრუქციის გვერდით ჩვენ გვაქვს ისეთი კონსტრუქციები, როგორცაა **er pflanzt einen Baum, er wässert einen Baum, er pflegt einen Baum** ე. ი. კონსტრუქცია **er fällt einen Baum** კოლოკაციას არ წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, კოლოკაცია ორელემენტთან ერთობლიობას ქმნის, სადაც მინიმალურად ერთ პოზიციასზე ძლიერ შეზღუდული პარადიგმატული პოტენცია მოდის და ერთი პოზიცია მინიმალურად

მხოლოდ გარკვეულ გარემოცვაში იღებს შინაარსობრივ იერსახეს. ეს გარემოცვა კი ქმნის ბაზას კოლოკაციური ნაწილისათვის.

უცხოური ენის დიდაქტიკისათვის კოლოკაციების სწორი შერჩევა მნიშვნელოვან საკმეს წარმოადგენს. მისი არასწორი გამოყენების შემთხვევები ხშირად მშობლიური ენის ფარგლებშიც გვხვდება. კოლოკაციების სწორი მორგება შესასწავლი ენის ეკვივალენტებთან კულტურათშორისი კომუნიკაციის დროს შეცდომების დაშვების თავიდან აცილების გარანტია.

ლიტერატურა

ზეელბახი, 1992 — Seelbach, Dieter (1992). Zur Integrierung von Kollokationen in zwei — und mehrsprachige lexikalische Datenbanken. In: IRAL...xxx(1), 51-82.

კოზერიუ, 1967 — Costeriu, Eugenio (1967), Lexikalische Solidaritäten. In: Poetica 1: 293-303 (1970). Einführung in die strukturelle betrachtung des Wortschatzes. Tübingen Gunter Narr Verlag.

პორციგი, 1973 — Porzig, Walter (1973), Wesenhafte Bedeutungsbeziehungen. In: Wortfeldforschung (Hrsg. L. Schmidt). Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft, 78-103. (Zuerst in: Beitrage zur Geschichte der deutschen Sprache und Literatur 58, Halle 1934).

ფირი, 1957 — Firth, John Rupert (1957), papers in linguistics 1934-1951. London. Oxsford University Press.

ჰაუსმანი, 1985 — Haussman, Franz Josef (1985), Kollokationen in deutschen Wörterbüchen. In: Lexikographie und Grammatik (Hrsg. H. Bergenholtz/J. Mugdan). Tübingen. Max Niemeyer Verlag, 118-129.

1975 — Handbuch lingustik. Zusammengestellt von H. Stammerjohann. München. 1975.

NANA STAMBOLISHVILI

Towards the Definition of Some Linguistic Forms

Summary

The paper discusses the notions of collocability / compatibility in refer-

ence to the concepts preferred vs dispreferred. The paper also focuses on the issue of differentiation between collocations and phaseological expressions. Special attention is paid to difficulties connected with usage of collocations by language learners, as well as native speakers. Stating equivalencies between the collocations of a target language and those of the native tongue is one of the means of avoiding misunderstandings during intercultural communication.

რუსულან ბერსანი

აბსოლუტური სინონიმია მებრულოში

ქართულ ენათმეცნიერებაში აბსოლუტური სინონიმები ჯერ კიდევ ს. ხუნდაძემ გამოყო, მისი აზრით, ამგვარ სინონიმებს შორის „მნიშვნელობით სრულიად არავითარი განსხვავება არ არის“ (ხუნდაძე, 1901, 178). აბსოლუტურ სინონიმთა არსებობა შემდგომში არაერთი მეცნიერის მიერ იქნა გაზიარებული.¹

რას უწოდებენ „აბსოლუტურ სინონიმებს“? მოვიყვანთ რამდენიმე განმარტებას: 1. სემანტიკურად იდენტური ლექსემები, რომლებიც თავისი არსით ნომინატიურია და განეკუთვნება მკაცრად განსაზღვრულ სტილს, აბსოლუტური სინონიმებია (ლაგუტინა, 1967, 121); 2. იმგვარ სინონიმებს, რომლებიც არც მნიშვნელობით, არც კონტექსტუალურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, აბსოლუტურ სინონიმებს, ანუ ლექსიკურ დუბლეტებს ეძახიან. სინონიმურ წყვილთა მნიშვნელობა ასეთ შემთხვევაში სავსებით ემთხვევა ერთმანეთს, მათ ნულოვანი ოპოზიცია ახასიათებთ (ლამბაშიძე, 1986, 37); 3. სრული (აბსოლუტური) სინონიმები ანუ ლექსიკური დუბლეტები ურთიერთშენაცვლებადია ყველა კონტექსტში და ერთმანეთს ემთხვევა მნიშვნელობის მთელი მოცულობით (გამყრელიძე, 2003, 368).

ყველა ამ განმარტებიდან გამომდინარე, ლექსემათა სინონიმურობის ხარისხის (ჩვენს შემთხვევაში მნიშვნელობათა იდენტურობის) დადგენისას გასათვალისწინებელია სამი ასპექტი: სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული. ამასთან, თავისთავად ჩნდება კითხვა: შეიძლება თუ არა ენაში არსებობდეს დუბლეტები (ყველა ზემოჩამოთვლილ ფაქტორთა გათვალისწინებით, სავსებით იდენტური

¹ ალ. ლლონტის დაკვირვებით, ისინი მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არსებობენ ენაში; ბ. ფოჩხუა: „კვაზისინონიმისა და აბსოლუტურ სინონიმის შორის თავსდება სიტყვათა სინონიმური გამოყენების ყველა შემთხვევა“ (ფოჩხუა, 1980, 293); რ. ლამბაშიძე: აბსოლუტური შეიძლება იყოს მხოლოდ ლექსიკურ დუბლეტებში — ტერმინებში არსებული სინონიმური მიმართება, ვინაიდან ისინი იდენტურ ცნებებს აღნიშნავენ.

ლექსიკური ერთეულები) მაშინ, როცა ენა სიჭარბეს ვერ იტანს და ყოველთვის ახდენს ლექსემათა დიფერენცირებას რაღაც ნიშნის მიხედვით?

ჯერ კიდევ არნ. ჩიქობავამ შენიშნა, რომ სავსებით იდენტური სიტყვები ენაში არ არსებობენ, „ან აღსანიშნის სავსის სხვადასხვა მომენტია სინონიმებს რომ განასხვავებს, ანდა თვალსაზრისი, რომელიც მოლაპარაკის დამოკიდებულებას აღსანიშნისადმი ახასიათებს, ანდა გრძობითი იერი, რომელსაც სინონიმური სიტყვა იწვევს, ანდა, კიდევ დიალექტური სხვაობა სინონიმური სიტყვებისა“ (ჩიქობავა, 1952, 188).

„ენა ნიშანთა სისტემა“ და ამ სისტემაში ელემენტები ამყარებენ ერთმანეთთან მიმართებას; ლექსიკური ერთეულის ანალიზიც სხვა ლექსემებთან კავშირში უნდა მოხდეს, ვინაიდან „პარადიგმატულ დაჯგუფებაში შემავალი ლექსემები განსაზღვრულ კონტექსტში იჩენენ თავს და, პირუკუ, ლექსემის სინტაგმატური კავშირები განაპირობებენ გარკვეულ პარადიგმატულ ჯგუფში სხვა ლექსემებთან მის გაერთიანებას“ (გამყრელიძე, 2003, 353).

სემანტიკურ იდენტობაზე, ანუ სინონიმთა აბსოლუტურობაზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ისინი ეკვივალენტური აღმოჩნდებიან ფუნქციონალურ დონეზეც. ფუნქციონალურ მიმართებათა დასადგენად კი აუცილებელია სინტაგმაში აზრობრივი შეკავშირებისა და დერივაციული რიგის გათვალისწინება (ჩიქობავა, 1967, 79).

ამ პრინციპთა გათვალისწინებით, თვით სალიტერატურო ქართულშიც სინონიმთა აბსოლუტურობის საკითხი საეჭვოდ არის მიჩნეული; გ. მაჭავარიანის, ზ. ჭუმბურიძისა და შ. აფრიდონიძის აზრით, აბსოლუტურ სინონიმთა არსებობას გამოორიცხავს ლექსემათა განსხვავებული აქტანტური სტრუქტურა,² ბ. ჯორბენაძის ჩვენებით

² გ. მაჭავარიანის აზრით, სინონიმები „პაპა — ბაბუა“ სინტაგმატური და კომბინატორული ანალიზის დონეზე ეკვივალენტურნი არ არიან; დაშვებულია მამა-პაპა, მამა-ბაბუა, მაგრამ ამავე კომბინაციებში პაპა/ბაბუა ჩანაცვლება შეუძლებელია, მეორე მხრივ, მიღებულია ბაბუა/წვერა, *პაპა/წვერა — დაუშვებელი (მაჭავარიანი, 1968, 127). ამ რიგში დგას ტოლად შერწყმული კომპოზიციებიც, როგორცაა: სინდის-ნამუსი, ღარიბ-ღატაკი, ადათ-წესი, სვე-ბედი, ბედ-იღბალი... დასაშვებია „ჭკუას ვასწავლი“, მაგრამ განუხორციელებელია „გონებას ვასწავლი“ (ჭუმბურიძე, 1987, 152); ტერმინთა ჩანაცვლება შეიძლება გამოდგეს აბსოლუტური სინონიმურობის დასადგენად, მაგრამ იგი არასაკმარისია, რადგან სხვაობა თავს იჩენს სიტყვათა შეკავშირებით.

კი, განსხვავებული დერივაციული რიგი.³

გასათვალისწინებელია სინონიმთა სხვადასხვა დიალექტობრივი წარმომავლობაც,⁴ რასაც სინონიმურობის ხარისხის დამდგენი მეორე ფაქტორი — გამოყენების სიხშირე — ებმის. აღნიშნული, მით უმეტეს, შეიძლება ვაგრცელდეს მეგრულზე, სადაც აბსოლუტურ სინონიმებს (ტრადიციული გაგებით) ქმნიან ლექსემები, რომლებიც სხვადასხვა დიალექტურ არეალში არსებობენ. სხვაობას კარგად გრძნობენ ამა თუ იმ დიალექტზე მეტყველნიც, ვინაიდან ისინი ხშირად უთითებენ სინონიმური წყვილის წევრის ვაგრცელების არეალზე.⁵

ვაგრცელების არეალი განასხვავებთ სინონიმებს: არვანი — ქვინჯე — ოკაკულე („ქვასანაყი“), აგურა/ავგარა — ქართა („საქონლისათვის შემოღობილი ადგილი“), თორსა — ონდვალე — ონტყოლეში — ნდგორი („საფლობი, ტალახი“), კარდილა — ჩუვანი/ჩივანი („ქვაბში“), მარაკა — ქაბარკა — ოთხალე („თხის დასამწყვდევნი ბაკი“), ღანდალა — კიდაჭი („ბაღლინჯო“), ქექე — ლექინი/ლექენი („მსუბუქი“), ლოუ-ლოფორსა — ბუყინა („ენაბლუ“), სკვამი/სქვამი — ზინსახე — ამუნათი („ლამაზი, მზეთუნახავი“), ზოხო/ზოხგ — მელახო/მელახგ („ცალკე“), აფუნი — გაზარხული — გუშულირი („გაზაფხული“), ბაცუ — ცქუმენტური („ზღმარტლი“), ხათეცი/ხაცეცი — მოჭყუდი/უ („პატარძალი“), ბუაკე-ფრიმული („წვერი“) და ა. შ.⁶ ზემოჩამოთვლილ სინონიმებს აქვთ სიტყვაწარმოების განსხვავებული უნარი,

სას (აფრიდონიძე, 1988, 285).

³ ბ. ჯორბენაძის აზრით, ხევწნა-მუდარა, ზიზლი-სიძულვილი, მხეცი-ნადირი... სინონიმებია, მაგრამ არა აბსოლუტური, ვინაიდან მათგან „წარმოები ზმნები სემანტიკურად განირჩევიან ერთმანეთისაგან“, უფრო მეტიც, ზოგჯერ დაპირისპირებულნიც კი არიან (ჯორბენაძე, 1985, 200-218).

⁴ აღ. ლლონტის მინიშნებით, სინონიმთა წარმოშობის დიალექტობრივი მექანიზმი „აბსოლუტურობის“ ცნებას გამოირიცხავს (ღლონტი, 1988, 57).

⁵ 1902 წლის „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულია წერილი, რომლის ავტორი „თ-დი გიორგი ბეს. დგებუაძე“ „მეგრული ენის სახელმძღვანელოსთან“ დაკავშირებით გულისტყვივს გამოთქვამს, რომ „წიგნის შემთხვევით უმეტესი ნაწილი სიტყვებისა გადმოუღიათ სამურზაყანოდან, სადაც სრულიად სხვანაირად ლაპარაკობენ“ (გვ. 1), წერილში მოყვანილია პარალელური ფორმები, რომელთაგან მეორე წევრი, თვით ავტორისავე თქმით, სამურზაყანოში იხმარება: „სიინდი — ლაიტი, ბატი — ლორლონჯი, ინდლუჯი — კოკუბი (კოკუში რ.გ.), უბასუხუ — უგამია (უგუ რ.გ.), უეცრად (უეცარო რ.გ.) — ალამო, წოორას — ბონათს“.

⁶ აფუნი, ხათეცი, ბუაკე, აგვარა აფხაზურიდან ნასესხები და შემდგომ ტრანსფორმირებული ფორმებია, ისინი სამურზაყანოულში გაცილებით მკვიდრია, ვიდრე სხვა კილოკავებში.

დისტრიბუციული სტრუქტურა; ერთმანეთს ენაცვლებიან მოტივირებული და არამოტივირებული ლექსემები. მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს:

1. **არვანი — ქვი'ნჯე — ოკაკულე** „ფილთაქვა, ქვასანაყი“. „ступка деревянная“ (ყიფშიძე, 1914, 175; ელიავა, 1997, 20, 319, 255; ჭარაია, 1997, 107; ქაჯაია, 2002, 139). ეტიმოლოგიურად **ქვინჯე** < **ქუა** „камень“ + **ნ-ჯა** „дерево“ (ყიფშიძე, 1914, 343), ხოლო **ო-კაკ-ულე-ე კაკ-** ძირისაგან დანიშნულების მაწარმოებელი **ო-ე** ცირკუმფიქსით წარმოქმნილი სახელია; **კაკ-აფ-ი** „стук, стучать“, **კაკ-უ-ა** „топочь“ (ყიფშიძე, 1914, 250); აღმნიშვნელი მოტივირებულია, მას საფუძვლად უდევს ხმა, რომელიც მოქმედების შედეგად გამოიკვება; **ოკაკულე** სიტყვასიტყვით: სა-კაკუნ-ო. ამ რიგის პირველი წევრი დასავლურ მეგრულშია ვაგრცელებული, ხოლო მეორე — აღმოსავლურში. პ. ჭარაიას **ოკაკულე-ს** ნაცვლად დამოწმებული აქვს **ოკაკულე ქუა** მნიშვნელობით „ფილთაქვა“ (ჭარაია, 1997, 107), თუმცა, ის სიტყვასიტყვით აღნიშნავს „დასანაყ ქვას“. ასევე ერთნაირად დასაშვებია **არვანიში ქუა** და **ქვი'ნჯეში ქუა**, მაგრამ შეზღუდვები სხვა შემთხვევაში ვლინდება. დასაშვებია: **რკინაში არვანი** „რკინის ფილთაქვა“, განუხორციელებელია: ***რკინაში ქვი'ნჯე** „რკინის ქვიჯა“; დასაშვებია: **ჯაში არვანი**, შეუთავსებელია: ***ჯაში ქვი'ნჯე** „ხის ქვიჯა“. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, შეზღუდვები განპირობებულია „ქვინჯე“ ლექსემის ეტიმოლოგიით.

2. **სქვამი / სკვამი — ზისნახე — ამუნათი** „ლამაზი — მზეთუნახავი“. პირველი ლექსემა წარმოდგენილია ვარიანტებით, რომელიც **სქ-სკ** კომპლექსთა მერყეობით არის მიღებული. მეორე ლექსემაც ვარიანტებით არის წარმოდგენილი: ზისინახე/უ, ზესგნახე, ბზისნახე, ზისნახე, ზისიუნახე, ზისუნახე, მზისნახე (ყიფშიძე, 1914, 237), ზესნახე (ჭარაია, 1997, 67), ბზესგნახე, ბზისინახე, ბზისგნახე (ქაჯაია, 2001, 240). მეგრული **ზისნახე** წარმოდგენს ქართული „მზეთუნახავი/მზისუნახავი“ ლექსემის ტრანფორმირებულ სახეს, დასტურდება მისი თარგმნითი ვარიანტიც: **ბუაშუძირაფუ**, სიტყვასიტყვით „მზისუნახავი“ (ქაჯაია, 2001, 258). **ამუნათი** „прекрасный“ (ყიფშიძე, 1914, 194), „ლამაზი, საუკეთესო, ჭკვიანი, კარგი“ (ელიავა, 1997, 18; ქაჯაია, 2001, 185); „ლამაზის“ მნიშვნელობითა გვაქვს ტექსტში: ქოძირგ, კარც ქიგერე მიდგაში რე ნი უძირაფუ **ამუნათი** სქუა (ყიფშიძე, 1914, 57₂₄), „ნახა, კართან რომ დგას ვილაცის უნახავი სილა-

მაზის შვილი“. აღნიშნული სინონიმური რიგის პირველი და მეორე წევრი ერთმანეთისაგან განსხვავდება სილამაზის ხარისხით, ხოლო მესამე წევრი ხასიათდება დამატებითი სემით, რაც „ჰკუასთან“ არის დაკავშირებული. პირველი ლექსემა ნეიტრალურია სემანტიკური თვალსაზრისით და, ამასთან, სიტყვაწარმოების განსაკუთრებული უნარით გამოირჩევა: **მასქვამა, უსქვამაში** (ხარისხის ფორმები), **უსქვამური/უსქვამელა** „ულამაზო“, **სქვამაია** კნინ. „ლამაზა“, **სისქვამა/ე** „სილამაზე“, **სქვამაშე** ზმნზ. „ლამაზად“, **სქვამება/სქვანა/სქვამაფა** „მკობა, მშვენება“ (ყიფშიძე, 1914, 322; ქაჯაია, 2002, 622).

აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, რომ განხილული ლექსიკური ერთეულები ერთმანეთის მიმართ აბსოლუტური სინონიმებია; სამაგიეროდ, ასეთად შეიძლება განვიხილოთ საერთო ძირისა და სინონიმური აფიქსების მქონე ლექსემები.

ცნობილი ფაქტია, რომ აფიქსაცია ენაში ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოქმნის საშუალებაა, წარმოქმნილი ლექსემა კი განსხვავებულია არა მხოლოდ მორფოლოგიურ-სტრუქტურული თვალსაზრისით, არამედ სემანტიკითაც, რაც, სწორედ, აფიქსური მორფემის შინაარს უკავშირდება. ზოგჯერ კი აფიქსი დესემანტიზირებულია და ამიტომაც აფიქსური მორფემით განსხვავებულ ერთი და იმავე ძირთა შინაარსის პლანში დამთხვევა ხდება. მაშასადამე, გვაქვს საერთო ძირისა და სინონიმური აფიქსების მქონე ლექსემები. მეგრულში ამგვარი ლექსემები მრავლად დასტურდება ზმნურ სინონიმურ რიგებში: 1. მოძრაობა (სიარული): **ბატაფი — ბატინი — ბატუა, ბარჯაფი — ბარჯინი — ბარჯუა, ბაწკაფი — ბაწკინი — ბაწკუა, დვარაფი — დვარინი, გაგაფი — გაგინი, კვაზაფი — კვაზინი, სარლაფი — სარლინი** და ა. შ. 2. ყურება, ცქერა: **ბირზინი — ბირზინუა, ბირსინი — ბირსინუა, დვინინი — დვინინუა, რწკიმინი — რწკიმინუა, დვინთინი — დვინთინუა, ჩვიპინი — ჩვიპინუა** და ა. შ. 3. მეტყველება, ლაპარაკი: **დერლაფი — დერდინი, დღუშინი — დღუშინუა, ღვეფელი — ღვეფელუა, ღინჩინი — ღინჩაფი** და ა. შ. 4. ჯდომა: **პასკვინი — პასკუა, ნჩვარინი — ნჩვარუა, ჩვაპინი — ჩვაპუა** და ა. შ.

ზემოჩამოთვლილი ერთეულები ლექსიკურ დონეზე იდენტურნი არიან, მათ შორის არ არის სემანტიკური სხვაობა, გრამატიკულ დონეზე კი, ცხადია, იგი თავს იჩენს; სხვაობა ვლინდება ფუძეთა შედგენილობაში (მხოლოდ, არა ყოველთვის). როგორც თ. უთურგაიძე ქარ-

თულისათვის მიუთითებს, ეს არის სახელის ფუძის ფუნქციური დონის ვარიანტები ანუ მორფემული ვარიანტები. მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ვარირება „სემანტიკური იდენტობის პირობებში“ ხდება (უთურგაიძე, 1986, 74). ამგვარ სინონიმთა სემანტიკური მოცულობა სავსებით ფარავს ერთმანეთს, ამიტომაც მათ შორის მიმართებას შეიძლება ვუწოდოთ „აბსოლუტური“.

ლიტერატურა

აფრიდონიძე, 1988 — შ. აფრიდონიძე, ე. წ. აბსოლუტური სინონიმის შესახებ: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. 8, „მეცნიერება“, თბ., 1988.

გამყრელიძე, 2003 — თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თსუ-ს გამომც., თბ., 2003.

ელიავა, 1997 — გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, „ინტელექტი“, თბ., 1997.

ლაგუტინა, 1967 — Лагутина А. Б., Абсолютные синонимы в синонимической системе языка: Лексическая синонимия, "Наука", М., 1967.

მაჭავარიანი, 1968 — გ. მაჭავარიანი, სალიტერატურო ენის ნორმების ზოგი საკითხი: „ცისკარი“, № 12, თბ., 1968.

უთურგაიძე, 1986 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, „მეცნიერება“, თბ., 1986.

ფოჩხუა, 1980 — ბ. ფოჩხუა, ქართული სინონიმის ლექსიკოგრაფიული საკითხები: იკე, XXII, „მეცნიერება“, თბ., 1980.

ქაჯაია, 2001; 2002 — თ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი ტ. I, თბ., 2001; ტ. II, თბ., 2002; ტ. III, თბ., 2002; „ნეკერი“.

ღამბაშიძე, 1986 — რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის პრინციპები, „მეცნიერება“, თბ., 1986.

ღლონტი, 1988 — ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, „განათლება“, თბ., 1988.

ყიფშიძე, 1914 — Кипшидзе И. Грамматика Мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1914.

ჩიქობავა, 1952 — ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თსუ-ს გამომც., თბ., 1952.

ჩიქობავა, 1967 — Чикобава А., Реальность синонимов и возможность синонимических словарей: Лексическая синонимия, "Наука", М., 1967.

„ცნობის ფურცელი“, 1902 — მეგრული ენის სახელმძღვანელო (წერილი სამეგრელოდან): თ-დი გიორგი ბეს. დგებულება: გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 10 ნომბერი, № 1980, 1902.

ჭარაია, 1997 — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თსპუ გამოც., თბ., 1997.

ჭუმბურიძე, 1987 — ზ. ჭუმბურიძე, დედა ენა ქართული, „ნაკადული“, თბ., 1987.

ჯორბენაძე, 1985 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები. თსუ-ს გამოც., თბ., 1985.

ხუნდაძე, 1901 — ს. ხუნდაძე, სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901.

RUSUDAN GERSAMIA

The Problem of Absolute Synonymy in Megrelian

Summary

For stating absolute synonyms it is essential to take into consideration linguistic as well as extralinguistic factors. Absolute synonyms must coincide not only in the volume of their semantic contents, but they should also have identical valency, reveal similar derivational patterns, have similar frequency of usage and dialect field of distribution. In Megrelian, the following lexemes with the common root and synonymous affixes can be considered absolute *baṭapi – baṭini – baṭua* (to walk); *rçḳimini – rçḳiminua* (to look), *derḳapi – derḳini* (to speak), *paṣḳvini – paṣḳua* (to sit) etc. The above - enumerated lexical units are the functional variants of noun stems. Their variation is performed in identical semantic conditions, and their semantic contents completely cover each other.

თაგარ ცოფურაშილი

კირილე ალექსანდრიელის XI ჰომილიის აღრეული

ქართული თარგმანი

კირილე ალექსანდრიელის კალამს მრავალი თხზულება ეკუთვნის. მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესოა XI ჰომილია, რომელიც ღმრთისმშობელისადმია მიძღვნილი. 429 წელს დაიწყო დაპირისპირება კონსტანტინოპოლისა და ალექსანდრიის ეკლესიებს შორის, რომელიც 431 წელს ეფესოს მესამე მსოფლიო კრებაზე კონსტანტინოპოლის პატრიარქ ნესტორის განკვეთით დამთავრდა. ამ დაპირისპირების უშუალო საბაბად იქცა ნესტორის მიერ ტერმინ „ღმრთისმშობელის“ უარყოფა, რადგან, მისი აზრით, მარიამმა შვა მხოლოდ ადამიანი და არა ღმერთი. როგორც მოსალოდნელი იყო, ნესტორს კონსტანტინოპოლიშივე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი, თუმცა კონფლიქტმა განსაკუთრებით მასშტაბური ფორმა მაშინ მიიღო, როდესაც მასში ალექსანდრიის პატრიარქი ჩაება (რასელი, 2000, 33-50). XI ჰომილია სწორედ ღმრთისმშობლის დასაცავად და ნესტორის განსაქიქებლად შეიქმნა.

ქართულ ენაზე ამ ჰომილიის ორი თარგმანია შემონახული. ერთი მათგანი ანონიმი მთარგმნელის მიერაა შესრულებული, ხოლო მეორე თეოფილე ხუცესმონაზონის კალამს ეკუთვნის.

პირველი რედაქცია, რომელიც ერთადერთმა ხელნაწერმა შემოგვინახა, იერუსალიმური წარმომავლობისაა (Jer. 151). ამ უკანასკნელს ბლეიკი XI საუკუნით ათარიღებს (ბლეიკი, 1922-1923, 146-149). მისი სათაურია: „თქემული წმიდისა კვირლე ალექსანდრიელ მთავარებისკოპოსისაწ წმიდისა ღმრთისმშობელისათჳს და წმიდათა მამათა, რომელნი ეფესონსა წმიდასა კრებასა შემოკრბეს უშჯულონსა ნისტორისთჳს თევდოსი მცირისა ზნ და დათა მისთა დედუფალთა პოლევრიანსა და არკადიანსა და მარინანსსა“ (67r).

ეს სათაური განსხვავდება როგორც თხზულების ბერძნული

დედნის¹, ისე მეორე რედაქციის სათაურისაგან (Jer 23, 339r-344r), რომლებშიც არსადაა მოხსენიებული თევდოსი მეფისა და მისი დების სახელები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, Jer. 151 XI საუკუნის ხელნაწერია. იგი შედგება 10 ნაწარმოებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ იოანე დამასკელის, ათანასე ალექსანდრიელის, მიქელ სჯველის და სხვათა თხზულებებს. ანდერძებში მოხსენიებულია ექვთიმე ათონელის, იოანე ხახულელისა და სხვათა სახელები. ხელნაწერი თავნაკლულია (ბლეიკი, 1922-23). რაც შეეხება უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო თხზულებას, იგი მოთავსებულია 67r-81v გვერდებზე. ხელნაწერი ფერმკრთალია და ძნელად გასარჩევი, ზოგიერთი ადგილის ამოკითხვა კი საერთოდ შეუძლებელი.

ენობრივი ნორმები:

ხელნაწერში ბევრია **ნ**-ს მცდარად გამოყენების შემთხვევები. ძირითადად სიტყვის ბოლოს, მაგ.: **ზნ** 67r; აქამომდ**ნ** 67v; რა**ნ** მ**ნ** 68v; ხანდახან კი ნაწილაკის წინ: ვიდრ**ნ**ლა 79r. სიტყვის შიგნით **ნ** გვხვდება ერთ შემთხვევაში **ზნცა**, სადაც პირველი მარცვალი დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულადაა აღქმული (**ზნ** ცა).

არის აგრეთვე **ო**-სა და **უ**-ს აღრევის შემთხვევებიც. მაგ.: სარ-**წ**მუნთნი 67v; პურფირიანთა 69v; უქრო**ნ** სა 79v, ისევე, როგორც **უ**-სა და **ჴ**-სი: გარეშეზღვდილ 69r; სიკვდილისათა 78r; სიკვდილისა 72v; განრყვილ 73r; ზღვისა 68r. გვხვდება როგორც უსჯულო**ნ** სა 67v, ისე ასიმილირებული ფორმა უშჯულო**ნ** სა 67r.

საინტერესოა წოდებითი ბრუნვის ფორმები **ო**-ზე დაბოლოებულ არსებით სახელებში, სადაც ფუძესა და წოდებითის **ო** ბრუნვის ნიშანს შორის თანხმომავანთგასაყარი ვ-ინი ჩნდება: ეფესოვო 68v; ჭურო უბიწოვო 70r; ყოვლადუბიწოვო 70r; ხოლო სიტყვაში სამთავროვოთა (ასიისა სამთავროვოთა სიქადულო 69r) გადამწერს ასეთივე წესით ნაწარმოები წოდებითი ბრუნვისათვის დაურთავს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი.

ტექსტმა შემოგინახა ორი ფორმა, სადაც ზმნისწინი გამარტივებული სახითაა მოცემული: აყუავილნა 72v და ადგომისა**ნ** 73r. თაყუანისცემა გუაქვს ერთი ს-თი: მოგუნი თაყუანისცემენ 71v.

ლექსიკის თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ერთეულები:

¹ PG 77, 1029-1040.

დაფუზნებული 72v (=დაფუძნებული), მწინკლეგანი 68r (=მწინკულეგანი). გვაქვს პარალელური უფრო**ნ** და 67r, 69r და უფრო**ნ** სლა 68v, აგრეთვე აქამომდ**ენ** 68v და აქამომდ**ნ** 67r.

თარგმანის ბერძნულ დედანთან შედარებამ გამოავლინა, რომ იგი ყოველთვის არ მიჰყვება ჩვენს ხელთ არსებულ **PG**-ში დაცულ ტექსტს. ქართული თარგმანი უფრო ვრცელია. ამას თუნდაც ის სამი ზედმეტი ბიბლიური ციტატაც ადასტურებს, რომელიც ბერძნულ ორიგინალში არ მოიპოვება (ეს. 6,3 71v; ამბ. 3,3 72r; ფს. 57,7 79v). როგორც ჩანს, ქართველ მთარგმნელს ხელთ ჰქონდა ჰომილიის უფრო ვრცელი ვარიანტი.

საინტერესოა ერთი დეტალიც: ბერძნულ ორიგინალს იქ, სადაც ჩამოთვლილია ერესის სხვადასხვა სახეები (1032 **B**), ერთი სიტყვა აკლია, რომელიც, როგორც ჩანს, გამომცემლებს ვერ ამოუკითხავთ. ქართულ ტექსტში ეს სიტყვა გვაქვს — სტრონგილოდუტელი 69v. აღსანიშნავია, რომ იგი შემოუნახავს ჰომილიის მეორე რედაქციისადაც ოდნავ განსხვავებული ფორმით — სტრონგულოდუტონელი (Jer 23 339v).

ტექსტში დასტურდება ბერძნული ენიდან შემოსული შემდეგი სიტყვები:

θήατρον 1030C — თიატრო**ნ** 67ვ

ρήτορες 1030D — რიტორნი 68რ

μαργαριτών 1032A — მარგალიტთა 69რ

κόμιτας 1036A — კომსთა 74რ

ἰπάτους 1036A — იპატოსნი 74ვ

μαγίστραν 1036A — მაკისტროსნი 74ვ

ცალკეული სიტყვების გადმოთარგმნისას მთარგმნელი ემყარება ბერძნულ ტექსტს და ცდილობს, ზუსტად გადმოგვცეს მისი შინაარსი, ამიტომ თარგმანში ბევრია ბერძნულის კალკი კომპოზიტები:

πολικλοιον 1030C — მრავალმღელვარე 67v

πολυειδές 1030C — მრავალსახე 67v

θεόμορφον 1030D — ღმრთივგამოსახულნი 68რ

μελίρριστα 1030D — თაფლმომდინარე 68რ

φρουήσεως 1030D — ღმრთივგონიერნი 68რ

τρισκυμιαί 1032A — სამნაკეცმან 68რ-v

πιστοφόρις 1032A — სარწმუნოებაშემოსილითა 68v

πρόμαχος 1032C — წინამბრძოლო 70რ

διόλογοισιν 1033A — დიდებისმეტყუელებენ 71r
κακόφροισ 1036C — ბოროტადმადიდებლობასა 75v
ζωοποιόν 1040C — ცხოვლსმოფელსა 81r

როგორც მოსალოდნელი იყო, ტექსტში გვხვდება ჰენდლიადისე-
ბიც, რომლებიც ასევე ტექსტის უფრო სრულყოფილად გადმოცემას
ემსახურებიან:

σφοῖς 1029C — გონიერებისა და სიბრძნისა 68r
ἀντιλήπτορες 1029C — შემწენი და ხელის აღმპყრობნი 68r
ἀτιμάζεται 1034C — შეურაცხ და სირცხველულ 73r
πατομένη 1034C — დათრგუნვილ და განწყუნილ 73r
κακίαν 1040C — უკეთურება და სიბოროტე 80v

გთავაზობთ აღნიშნულ თარგმანს:

1671 თქმული წმიდისა კვრილე ალექსანდრიელ მთავარების-
კობოსისაწ წმიდისა ღმრთისმშობელისათვის და წმიდათა მამათა,
რომელნი ევესოწ სა წმიდასა კრებასა შემოკრბეს უმჯულოწ სა ნის-
ტორისთვის თევდოსი მცირისა ზე და დათა მისთა დედუფალთა პო-
ლებრიაწ სა და არკადიაწ სა და მარინაწ სსა.

ბრწყინვალე არს ჩუენდა სიტყუა ესე და მადლითა აღსავსე და
უფრო და ბრწყინვალე არს კრება ესე წმიდათა ამათ მამათა ,
რომელთა მიმართ და რომელთა მიერ არს ჩუენი ესე დღენდელი
სიტყუა , რამეთუ ვიდრე აქამომდე ფრიადსა მწუხარებასა ქუეშე
ვიყავ მე გმობი/67v/სა მისთვის უსჯულო სა ნისტორისა, რომელმან
აღძრა მრავალმდეღვარე ესე და მრავალსახე ანგელოზებრივი ზეცათა
სახილავი ესე თიატრო , რომლისათვის შემოკრბეს მოძღუარნი ესე
ღმრთისმსახურებისანი, სუეტნი და სამყარონი სარწმუნოებისანი,
გოდოლნი შუერყეველნი მართლმადიდებლობისანი, ბრწყინვალეებანი
სულიერნი, მარადის მნათობნი, ნავთსაყუდელნი უღელგონი, მარადის
მყუდროებითა სავსენი, სარწმუნონი და გონიერნი, განმგენი ბრძენნი
და ჯელოანნი ხურო თმოძღუარნი, რომელთა ზეცისა მოქალაქობა
და ანგელოზებრივი ცხორება ქუეყანასა ზედა მოიგეს. წინაწარ-
მეტყუელთა მოკარ/68/გენი, მოციქულთა მოსაყდრენი და წმიდათა

4 ზე 9 ვეწ აქამომდე ქუეშე 10 მე 11 ესე 16 სარწმუნუნი 18
ზეცისა

ეკლესიათა ზედა მდგომელნი, მწინკლევანისა მის წვალებისა მოშურ-
ნენი და ჩუენისა ამის გონიერებისა და სიბრძნისა შემწენი და
ჯელისამპყრობელნი, რომელთა შუენიერნი და ღმრთივგამოსახულნი
მდღელთმოძღურობისა უპყრიან საყდარნი; რომელნი თავლმომდი-
ნარეთა აღმოაცენებენ წყაროთა საღმრთო სა სიბრძნისა, სულიერნი
და ღმრთივგონიერნი რიტორნი, რომელთა დაუშრომელითა მით
ფერჯითა მათითა ოთხნი კიდენი ქუეყანისანი მოიბრძინეს, რომელნი
ვერცა ყინელმან შეცვალნა სიცონილად და ვერცა სიცხემან და ვერ-
ცა უფსკრულმან ზღუათამან, ვერცა დეღვათა აღძრულთა სამ/68v/
ნაკეცმან აღტეხამან, არამედ სიხარულით სარწმუნოებაშემოსილითა
ფერჯითა ვიდრე აქამომდე მოიწინეს, რამეთუ სურვილისათვის და
უფრო სდა შიშისათვის უფლისა ყოველივე ერთობად დაუტევეს,
ვითარცა ბრძენთა შურისმძიებელთა წმიდისა ღმრთისმშობელისა და
ქალწულისა მარიამისთა, აღიღეს ჯუარი თვისი, მრავლითა
გულისმოდგინებითა აქამომდე მოიწრაფეს. ამისთვისა მინდობითა
წმიდათა ლოცვათა მათთა თა მცირედი რა მე მოკითხვა ქალაქისა
ამისთვის წარმოვქუათ და ესრეთ შესხმად წმიდისა
ღმრთისმშობელისა წარგჰმართო სიტყუა ჩემი.

გიხაროდენ ევესოვო ქალაქო, ვრცელო და შუენიერო, ზღვსა
მსგავსი სიმდიდრითა, რამეთუ ნავთსაყუდელთა 1691 წილ ქუეყა-
ნისათა ნავთსაყუდელნი ანგელოზებრივნი და ზეცისანი შენდა მო-
მართ მოიწინეს. გიხაროდენ, ასიისა სამთავროვოთა სიქადულო,
რომელი მსგავსად მარგალიტთა პატოსანთა წმიდათა ტაძართა მიერ
გარშეზღუდვილ ხარ და აღშენებულ და აწ წმიდათა მათ მამათა
მიერ და მამადმთავართა შენ შორის სლვითა წმიდა იქმნები და
იკურთხევი, რამეთუ ჭეშმარიტად იკურთხევიან ბჰენი და უბანი და
ნავთსაყუდელნი და შესლვითა წმიდათა მამათა თა განწმდებიან
გზანი და ფოლოცნი ტკებნითა წმიდათა მათ ფერჯთა მათთა თა,
რამეთუ სადა მწყემსნი მრავალნი აძობდენ და შეიყვანებდენ
სამწყსოთა, მრავალ იქმნების მათ მიერ სიწმიდისა შესაკრებელი. და
უფრო და ესევეთარნი ანგელოზთა მობაძე და 169v/ სარწმუნოე-
ბისა მოყუარენი და ღმრთისმოყუარენი, რომელნი იოტებენ ყოველსა-
ვე საეშმაკოსა საქმესა და საწარმართოსა კერპთმსახურებისა სიცბილ-

11 ყოველივე 15 რა მე 18 ზღვისა 23 გარეშეზღვილ 28
აძობდენ 33 პურფირიანთა საქმე სა

სა პორფირიანთა და საბელიანოზთა საქმესა, ფრიგელთა და ფოტიუნელთა და სტრონგილოდვტელსა, რა თა შემოკრებულად ვთქუა, რომელთა მიერ ყოველივე წვალება განიქიქების და სირცხვლელულ იქმნების, ხოლო მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა სიქადული თაყუანისიციემების და იდიდების მოუკლებელად.

გიხაროდენ შენცა, სამგზის სანატრელო იოვანე მოციქულო და მახარებელო, ღმრთისმეტყუელო, ქალწულებისა სიქადულო და სიწმიდისა მოძღუარო, კერბთა სიბორგილისა /70/ დამჰსნელო და არტემის ტაძრისა დამამკობელო, ეფესელთა ნავთსაყუდელო ახოანო, წინამბრძოლო, გლახაკთა სიმდიდრეო და ჭირვეულთა შესავდრებელო და შორიელთა და მახლობელთა ნუგეშინისმცემელო და განმსუნებელო. გიხაროდენ, ჭურო უბიწოვო, შეუგინებელო, სიწმიდითა სავსეო, რომელსაწვეგ უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, ჯუარსა ზედა დამოკიდებულმან, მშობელი თვისი წმიდა ღმრთისმშობელი მარიამ, ვითარცა ქალწულსა უბიწოსა და თვისსა საყუარელსა შეგვედრა და ძედ მისდა გიწოდა.

გიხაროდენ შენცა, ყოვლადქებულო ქალწულო ღმრთისმშობელო, დედაო ნათლითა შემოსილო, ჭურო შეუგინებელო, ყოვლადუბიწოვო. გიხაროდენ, მარიამ, დედაო და ქალწულო /70v/ და მქ ევალო. „დედა“ ამისთვის, რამეთუ წიადთა შენთა იტვრთე მზრდელი ყოველთა და შემოქმედი და სძითა ზრდიდი; ხოლო „ქალწულ“, რამეთუ ქალწულებით შევ თანასწორი მამისა და სიტყუა ღმრთისა და ქალწულებსა დაიმარხე; ხოლო „მქ ევალ“, რამეთუ ქრისტემან ღმერთმან გამოუთქუმელად ხატი მონებისა შენგან მიიღო და ხატითა იპოვა, ვითარცა კაცი. რამეთუ შევიდა მეუფე დიდებისა დაკრძალულსა მას ბჭესა სიწმიდისა მის შენისასა, უფრო სდა ყოვლადწმიდასა მას მუცელსა ქალწულებისა შენისასა და კუალად გამოვიდა, ვითარცა მან თავადმან ინება და ბჭე იგი ყოვლადქალწულებისა შენისა და მშულადვე ევო; რამეთუ მუცლად იღე უთესლოდ სიტყუა ღმრთისა, შევ ღმრთივშუენიერად ღმერთი გან ორციელებული. გიხაროდენ, /71/ ღმრთისმშობელო მარიამ, ტაძარო განუხრწნელო, ყოვლადწმიდაო. ვითარცა დალადებს დავით წინაწარმეტყუელი და იტყვს, ვითარმედ: „წმიდა არს ტაძარი შენი და საკვრველ არს სიმართლითა“ (ფს. 64, 5-6). გიხაროდენ, მარიამ,

ლამპარო დაუშრეტელო, რამეთუ შენგან იშვა ქრისტე მზნ იგი სიმართლისა; გიხაროდენ, მარიამ, დაუტევენელისა დამტევენელო, რომელმან მხოლოდშობილი ძნ და სიტყუა ღმრთისა დაიტიე, თავწარსმული იგი დაუჭნობელი ნაყოფი თვნიერ ჩნვისა და თესვისა აღმოაცენე. გიხაროდენ, ღმრთისმშობელო მარიამ, რომლისა მიერ წინაწარმეტყუელნი გალობენ და მწყემსნი დიდებისმეტყუელებენ ანგელოზთა თანა და საშინელსა მას გალობასა იტყვან: „დიდება მალალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვედობა და კაცთა შორის სათნობა“ (ლ. 2, 14). გიხაროდენ, ღმრთისმშობელო მარიამ, რომლისა მიერ მოგუნი /71v/ თაყუანისციემენ ბრწყინვალისა ვარსკულავისა მიერ წინაძლომილნი. გიხაროდენ, ღმრთისმშობელო მარიამ, რომლისა მიერ ანგელოზნი იხარებენ და მთავარანგელოზნი განსცხრებიან და ყოვლადწმიდასა მას გალობასა გალობენ: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქუეყანა დიდებითა მისითა“ (ეს. 6,3).

გიხაროდენ, ღმრთისმშობელო მარიამ, რომლისა მიერ ათორმეტ მნათობი იგი შუენიერება მოციქულთა გამოჩეულ იქმნა. გიხაროდენ, ღმრთისმშობელო მარიამ, რომლისა მიერ იოვანე, ვიდრედა იგი მუცელსა დედისასა იყო, აღიმღერნა და თაყუანისცა სანთელმან წმინდამან ნათელსა მას მიუახლებელსა — უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა (ლ.1,41). გიხაროდენ, ღმრთისმშობელო მარიამ, რომლისაგან გამოვიდა მადლი იგი გამოუთქუმელი და იშვა ღმერთი მი/72/უწოდომელი, რომლისათვის წინაწარმეტყუელი დალადებდა და იტყოდა, ვითარმედ: „ღმერთი სამხრით მოვიდეს და წმიდა იგი მითთ ჩრდილოთ მადნართა თა“ (ამბ. 3,3). და მოციქული იტყვს, ვითარმედ: „გამოჩნდა მადლი იგი ღმრთისა მაცხოვრად ყოველთა კაცთა“ (ტიტ. 2,11). გიხაროდენ, ღმრთისმშობელო მარიამ, რომლისაგან გამოჩნდა ჭეშმარიტი იგი ნათელი — უფალი ჩუენი და ღმერთი იესუ ქრისტე, რომელმან ბრძანა სახარებასა შინა, ვითარმედ: „მე ვარ ნათელი სოფლისა“ (ი. 8,19). გიხაროდენ, ღმრთისმშობელო მარიამ, რომლისაგან გამოუბრწყინდა ნათელი მსხდომარეთა მათ ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისათა, რომლისათვის იტყვს, ვითარმედ: „ერი, რომელი სხდა ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი დიდი იხილეს“ (ეს.9,2). რომელი-მე ნათელი? გარნა

უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ნათელი იგი ჭემმარიტი, „რომელი /72v/ განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად“ (ი.1,9). გიხაროდენ, ღმრთისმშობელი მარიამ, რომლისათვის სახარებასა შინა იქადაგების, ვითარმედ: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისა თა (მ. 21,9), რომლისა მიერ ქალაქთა, სოფელთა და ჭალაკთა ეკლესიანი მორწმუნეთანი დაფუზნებულ არიან და დამტკიცებულ. გიხაროდენ, ღმრთისმშობელი მარიამ, რომლისა მიერ გამობრწყინდა მძლე იგი სიკუდილისა და შემმუსრველი ჯოჯოხეთისა . გიხაროდენ, ღმრთისმშობელი მარიამ, რომლისაგანგეგე გამოვიდა პირველშექმნულისა დამბადებელი და გარდასლვისა მისისა დამწსნელი და ზეცათა სასუფეველისა მომცემელი. გიხაროდენ, ღმრთისმშობელი მარიამ, რომლისა მიერ აყუავილნა და გამობრწყინდა შუენიერება /73/ ადგომისა . გიხაროდენ, ღმრთისმშობელი მარიამ, რომლისა მიერ აღმოსცენდა ნერგი იგი სიმართლისა დიდებული და საშინელი და წმიდამყოფელი. გიხაროდენ, ღმრთისმშობელი მარიამ, რომლისა მიერ იოვანე და იორდანე წმიდა იქმნებიან და ეშმაკი შეურაცხ და სირცხვლეულ. გიხაროდენ, ღმრთისმშობელი მარიამ, რომლისა მიერ ლელვანი ზღუსანი დაყუდნებიან და ჩუენ თანამონათა ამათ და ჩუენ თანამსახურთა სიმშვიდით და სიხარულით იტვრთვენ. გიხაროდენ, ღმრთისმშობელი მარიამ, რამეთუ შენ მიერ ადგილიცა ესე წმიდა , რომელი ოდესმე ავაზაკთა მიერ დათრგუნვილ და განრყუნილ იყო, აჰა ესერა, წმიდა იქმნა და მშვდობად შეიცვალა მოსლვითა წმიდათა მათ მამათა თა, რამეთუ წერილ არს: „ვითარ შუენიერ არიან ფერვნი მახარებელთა მათ მშვდო/73v/ ბისათანი“ (ეს.52,7; რომ.10,15). რომლისა-მე მშვდობისა? რომელ არს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, მახარებელი იგი მშვდობისა , რომელმან თქუა: მშვდობასა ჩემსა დაგიტევებ თქუენ, მშვდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ“ (მ. 14,27), რომელი-იგი გმონისტორ საძაგელმან და არა შეიწყნარა, არამედ წარჰრეგდა, ვითარმედ იესუ ქრისტე ძე და სიტყუა ღმრთისა არა იშვა ქალწულისა მარიამისგანო. და ესრეთ არცა უგნებლად შობასა მას ქალწულისასა აღიარებს, არცა მთავარანგელოზისა ვმასა შეიწყნარებს, რომელმანი იგი ახარა ყოვლადწმიდასა მას და ეტყოდა, ვითარმედ: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა“ (ლ.1,28). რამეთუ სპარსთა და

7 სიკუდილისა 10 ზეცათა 20 ოდესმე 21 განრყუნილ

ჰურიათა ებადვა და მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისა შეურაცხება აზმნო წარსაწყმედელად მრავალთა და სამჭე/74/დურად უმანკოთა და საბრვედ სულთა გმობა იგი თუნი ბოროტი წარმოსთხია, რომელისა მიმართ არღარა მნებავს მრავლისა მეტყუელება , ვინა თვან უწინარეს ამისსა გმობარისა მის მიმართ მრავალი წარმოვთქუ, ოდეს-იგი კაკბისათუ მოვიწსენე და ვთქუ, რომელი-იგი იწ რემია წინაწარმეტყუელმან ქადაგა და თქუა, ვითარმედ: „ვმაყო კაკაბმან და შეიკრიბნა, რომელნი არა შვნა“ (იერ.17,11). ეგრეთვე უშჯულო ესე ხედვიდა კომსთა თანაშემწედ თუსად და მინდობითა მათითა ფრთოან იქმნა და აღდგა ჩუენ ზედა, არამედ ვიდრეღა ენება შეშინება ჩუენი, უფრო სად აღუძრნა და აღუჭურნა. აწ უკუე მოედით და სულთქუმით და ცრემლით ჩუეულებისაებრ ვიტყოდით, ვითარმედ: /74v/ „კეთილ არს სასოება უფლისა , ვიდრე სასოებასა კაცთასა“ (ფს.117,9), რამეთუ ამან დაწყუელმან ოქრო სა საისრენი თუსნი დააცარიელნა და იპატონსი და კომსნი და მაკისტროსნი და ერნი სამეუფონი მვდომად აღვკვდინნა. არამედ ჩუენ საწინაწარმეტყუელო იგი მა აღვიდოთ და ესრეთ ვმავყოთ: „იგინი ეტლებითა და ჰუნებითა, ხოლო ჩუენ სახელსა უფლისა ღმრთისა ჩუენისასა ვხადოდით“.(ფს,19,8). რამეთუ დადაცათუმცა ყოვლისა სოფლისა მიმართ მთავრობათა და ჯელმწიფებათა, გინათუ თუთ ღმრთისმსახურისა ამის ჩუენისა თუთმპყრობელისა მიმართ ჯერ იყო სიტყუად ჩემდა სარწმუნოებისა ჩუენისათუ, არავემცა მრცხუნა, არცა შევიშინე, რამეთუ მაქუს /75/ მე მასწავლელად დავით წინაწარმეტყუელი, რომელიანი იგი მარადის მამცნებს და მეტყუს, ვითარმედ: „გიტყოდე მე წამებათა შენთა წინაშე მეფეთასა და არა მრცხუნა“ (იქვე, 118, 46).

რამეთუ ვის-სადა ესმა ესევითარი ესე შესაძრწუნებელი და საშინელი საქმე წინაწარმეტყუელთა მიერ საღმრთოთა: ქრისტე ღმერთ (...) სიტყუა ჩუენდა ღმრთად ქადაგებული და აწ კაცად მოვლინებული და ღმრთისმშობელი ქალწული კაცისა მშობელად წოდებული. და ნუგინ მეტყუს მე უმადლოთა და შეგინებულთა ჰურიათა განცოფებულსა მას სიტყუასა, რომელი-იგი ქრისტეს მიმართ იკადრეს. რამეთუ აწინდელმან ამან ჰურიამან, რომელმანი-ესე

8 ეგრეთვე 10 ვს ნღა 11 უკუნ 13 ვს ნ 15 აღვკვდინა 18 ჩუენისასა+ჩუენ

გმო სიტყუა ღმრთისა , სამგზის დაწყეულმან ნისტორ, რამეთუ კადნიერება მისცა მათ და ეტყვს, ვითარმედ: ნუ გეშინინ, რამეთუ კაცი ჯუარს /75V/ (...) აცვთო. ნუცალა კუალად საცთურსა ვინ წარმართთასა წინამიყოფს კუამლთა მათ და მსხუერპლთა შეგინებულთა და შესაწირავთა უჯეროთა, რამეთუ ესეცა უმეცრებისა საქმენი იყუნეს; ნუცა მწარესა ვინ სენსა არიოზისსა და საძაგელსა მას გმობასა მანიქევლთასა და კადნიერსა მედგრობასა საბელიოზისსა და პორფიროსსა და ბოროტადმადიდებლობასა ფოტინესსა, რამეთუ ამათ ყოველთა წარჰვდა სიბოროტითა აწინდელი ესე გმობარი და გმო გმობა ესე ბოროტი, რამეთუ შთაიხედნა ზემოვსენებ/76/ულთა მათ მწვალებელთა წვალებისა მწვრესა და იყნოსა სულმყარალობა მათი და ყოველთა გარდაემატა სიბოროტითა და აღესრულა მის ზედა თქუმული იგი ზუავისა მისთჳს მდიდრისა, რომელმან თქუა, ვითარმედ: „დავარღვნე საუნჯენი ჩემნი და უფრო სნი აღვაშენენ“, რომელსაცა მიეგო, ვითარმედ: „უგუნურო, ამას ღამესა მიგიღო შენგან სული შენი, ხოლო რა -ეგე მოამზადე, ვისსა იყოს?“ (ლ. 12,18-20). რამეთუ რაოდენსა იგი აღვდა სიმაღლესა, ვინა თვან საძაგელება იყო და სიბოროტე, ფრიად უღრმესსა შთავდა სიღრმესა და შთავარდა მთხრემლსა გმობისასა. რომელსა ვერ არწმუნა პავლე მოციქულმან, ჭურმან რჩეულმან (საქმ. 9,15), მოძღუარმან ეკლესიათამან, სახარებისა მქადაგებელმან /76V/, ზეცისა სიკუთხეველისა სურნელმან საკუმეველმან, მქადაგებელმან ქუხილისა, უმაღლესმან საყვრმან და სიტკბოებისა აღმომატყინებელმან, ხურომან, ებისტოლეთა მათ საღმრთოთა გამომთქუმელმან, მწერალმან და წარმავლენელმან, რომელი დაბრმდა გზასა ზედა და განათლდა ყოვლითურთ ღმრთისმეცნიერებით და აღიხილნა სიმაღლედ ზეცისა. რომელი გამოჩინებამან უფლისამან პირსა ზედა დააკუეთა და მისა მიმართ სარწმუნოებამან ზეცისა კამარათა აღამაღლა (II კორ.12, 2), რომელმან ყოველი სოფელი ერთსა მოძღურებასა და სწავლასა ზედა დაამტკიცა, რა თა ჰრწმენეს და აღიარონ ერთარსება /77/ და წმიდა სამება , ერთი უფლება , ერთი სარწმუნოება , ერთი ნათლისღება , ერთი მამა , ერთი ძე, ერთი სულიწმიდა , გამოუთქუმელი არსება , განუყოფელი და მიუწდომელი ღმრთეება ;

6 პურფიროსსა 8 ზემოწ სენებულთა 17 მრთხემლსა 18 პავლჳს 23 წარმავლენელმან

ღმერთი ღმრთისაგანი, უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ნათელი ნათლისაგანი, ბრწყინვალეება დიდებისა და ხატი ძლიერებისა მის მამულისა , ქალწულისაგან შობილი უთესლოდ და განუხრწნელად, უფალი იგი დიდებისა სიტყვსა მისებრ მთავარანგელოზისა, რომელმან უღაღადა, ვითარმედ: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა“ (ლ.1, 28) და კუალად, ვითარმედ: „სული წმიდა მოვიდეს შენ ზედა, ძალი მალღისა გფარვიდეს შენ. ამისთჳსცა შობილსა შენგან წმიდა ეწოდოს და ძე ღმრთისა ცხოელისა“ (იქვე, 1,35) და არა ხოლო თუ /77V/ გაბრიელ მთავარანგელოზისა მიერ ოდენ, არამედ ნეტარისა დავითის მიერ გუესმის ეკლესიასა შინა, გალობდეს რა და იტყოდეს, ვითარმედ: „უფალმან მრქუა მე: ძე ჩემი ხარი შენ და მე დღეს მიშობიე შენ“ (ფს. .2,7) ხოლო ჳმამაღალმან ესაია, ძემან ამოს წინაწარმეტყუელისამან წინაწარმეტყუელისაგან წინაწარმეტყუელმან განცხადებულად გვქადაგა და ჳმაცო, ვითარმედ: „აჳა ესერა, ქალწული მიუდგეს, შვეს ძე და უწოდინ სახელი ეგმანუელ, რომელ არს თარგმანებით: „ჩუენ თანა ღმერთი“ (ეს.7,14). არამედ არა გრწამსა წინაწარმეტყუელთა და მოციქულთა და ანგელოზთა და მთავარანგელოზთა . ნუუკუე შენთა მათ ეშმაკთა არავე გრწმენესა, რომელნი [...] /78/ ძალისა მისგან საღმრთო სა და ღაღადებდეს, ვითარმედ: „ეჳა, რა ძეს ჩუენი და შენი, იესუ ნაზარეველო, ძეო ღმრთისა მალღისაო, რამეთუ მოხუედ პირველ ჟამისა ტანჯვად ჩუენდა“ (მ. 8, 29) რამეთუ დაღაცათუ „პირველ ჟამისა“ მაშინ იტყოდეს ეშმაკნი, არამედ ჳეშმარიტებით შენ ზედა აღესრულა. რამეთუ ჳერ იყო სამე ანტისა მოსლვა , არამედ უსწარ და უადრეს მისსა მოხუედ პირველ ჟამისა. არცალა მამისა შენისა ეშმაკისა ისმინე, რომელი იტყოდა, ვითარმედ: „უკუეთუ ძე ხარ ღმრთისა , არქუ ქვათა ამათ, რა თა პურ იქმნენ“ (მ. 4,3) ეჳა, საქმე საშინელი და სავეს საკვრველებითა! ეშმაკნი მამისა მათისა სატანას თანა ქალწულისა მიერ მისგან შობილსა ძედ ღმრთისა აღიარებენ და ესე ძესა კაცებად შთამოიყვანებს, რამეთუ უპირუ/78V/ლი რა მე და ბორგნეული გარდაქცევა მოიპოვა. გარდაქცევასა ეძიებდა ღმრთისმსახურისა მეფისა ჩუენისასა, რომელი-იგი არს მონა და მეგობარი მართლისა სარწმუნოებისა , და მერმე

9 მე 10 მე 16 ნუუკუე 19 მალღისასაო 22 სამე 24 უკუე თუ 26 საშინინელი 29 რა მე 31 მერმე

კეთილადმსახურებასა ქრისტე სმოყუარეთა დედუფალთასა, სარწმუნოებასა შინა განბრწყინებულთა, არამედ განცრუენა სიბოროტნი მისი, რამეთუ ვერ შეუძლო აღსრულებად, დაღაცათუ ნაშრომი იგი და უფრო სად ნატყუენავი გლახაკთა ოქროსა მოყუარეთა ზედა განლია და ჰგონებდა მათ მიერ მოყუარეთა ჭეშმარიტებისათა ქრისტესმოსავთა ძლევასა; არამედ ვერ უძლო, ხოლო თვთ საწყალობელი იგი ყოვლად /179/ ბოროტისა ვერცხლისა მოყუარებისა მიერ დაქცევასა მწარესა შთავარდა და ვიდრელა ნავთსაყუდელსა შინა იყო, დაინთქა, რამეთუ არა ჰქონდა მას სარწმუნოებისა იგი საჭენი. ამისთვსა ქუესკენელთა სიბოროტისათა შთავარდა და უფსკრულთა შინა ჯოჯოხეთისათა დაინთქა და საცინელ და მისათხრობელ ყოვლისა სოფლისა გამოჩნდა. რამეთუ არა მოივსენა დაბნელებულსა მას გონებასა თვსსა განცდად მოძღურება მამათა, არცა მოციქულთა და მახარებელთა და მთავარანგელოზთა ჳმანი, რამეთუ უღმობელობა მწარე და უწყალოება მოიპოვა და უღმრთობა შეიმოსა და განრყუნილი და უშულო მოძღურება სოფლისა შჯულის /179VI/დებად ეუცნა და ინება ყოვლადბოროტითა მით და მედგრითა გონებითა თვსითა დარწმუნებად ღმრთისახურებისა მუშაკთა მართლმადიდებელობასა შინა აღზრდილთა, არამედ ვერ გუბოვნა ჩუენ განუმზადებელ უღმრთო სა მის და მგომობარისა სივერაგისა და ზაკულებისა მისისა მიმართ, რამეთუ ჩუენ არათუ მვედრობისა საჭურველთა ვესავთ (2 კორ.10,4), არცა ოქროსა ფერსა და წარმწყემდელსა ვერცხლისმოყუარებასა, არამედ ძალსა ღმრთისასა, რომელმან-იგი შემუსრნა კბილი მათნი პირსა შინა მათსა და შუანი ლომთანი შეფქვნა. (ფს. 57,7). ამისთვს ჩუენცა წმიდათა წერილთაგან ვპოვთ სიტყვსაგებასა მისსა, /80/ ვინა თვან საჭურველი ჩუენი არა ჳორციელი არს, არცა ქუეყანისა, არამედ სულიერი და ზეცისა, ვინა თვან ნეტარმან პავლე ქადაგა. არამედ ნუვინ ჰგონებთ, ჩუენსა ამას რა ვიტყვთ, ვითამცა გზაროდა დაცემისა შენისათვს, ჳ უღმრთოვო, და გუენებამცა ძმისმკლველობისა ქმნა. ნუ იყოფვინ! ვინა თვან შთაჳვარდი რა გომობისა ამის მთხრემლსა, ჳელი მოგეცით შენ წიგნისა მიერ, დაღაცათუ ურჩ ექმენ სიმდაბლესა ჩუენსა და ესრეთ ზღვევა იგი ურჩებისა დაიმკვდრე. და რამეთუ ესე ესრეთ არს, ჳეშმარიტად მყავს მე მოწამნი სარწმუნო, წმიდა

6 ვიღრნა 7 ჳქონდეს 20 უქროსა 22 მათნი] მისნი 23 შეფქვანა 32 მც

მთავარებისკოპოსი, ყოვლისა სოფლისა მამა და მამადმთავარი კელისტინი, წინა/80VI/მძღუარი დიდისა ქალაქისა ჳრომისა, რომელმან-იგი შენცა გამცნო თვსითა წიგნითა განყენება ბორგენულისა მის გომობისა შენისა და ურჩ ექმენ და იქადე ამაოებითა მით გონებისა შენისა თა, რა თა იქმნე უმახვლეს ყოვლისა სოფლისა და ოთხნი კიდენი სოფლისანი აღაშფოთენ და ყოველნი ესე წმიდანი მრავლითა ჳირითა და ოფლითა შემოჳკრიბენ; რამეთუ დასწერე არათუ სახარება, არამედ ყოველივე უკეთურება და სიბოროტნი. ამისთვს უკუე და უფალმანცა დაგამჳუნენ შენ სრულიად მღდელობისაგან შენისა და მამათა სიბრძნისაგან განგფხურნი(!). პირველად აღგფხურნი(!) სამეფოთა სა ქალაქი/81/საგან და მერმე საყდრისაგან მღდელთმოძღურობისა, რომელსა-იგი უღირსებით დაჯდომილ იყავ. რა თა ესრეთ „გიხილონ შენ მართალთა და შეეშინოს და შენ ზედა იცინოდინ და თქუენ, ვითარმედ: აჳა ესერა, კაცი, რომელმან არა ყო ღმერთი მწე მისდა, არამედ ესვიდა იგი სიმდიდრესა უკეთურებისა თვსისა“ (ფს. 51, 8-9). ხოლო ჩუენ, რომელნი ჳეშმარიტებასა სახარებისასა შეუთქთ და წმიდასა ქალწულსა მარიამს ღმრთისმშობელად აღვიარებთ, ვართმცა სიტყვსაებრ წერილისა, ვითარცა „ზეთისხილნი ნაყოფიერნი სახლსა ღმრთისასა“(იქვე, 51,10), რა თა ვადიდებდეთ მამასა ყოვლისა მპყრობელსა და ძესა მხოლოდშობილსა, წმიდისა ღმრთისმშობელისა და ქალწულისა მარიამისგან შობილსა და სულსა წმიდასა ცხოელსმყოფელსა, /81VI/ ყოველთა ცხორებისა მომცემელსა და ვერჩდეთ მორწმუნეთა მეფეთა და პატივსცემდეთ ქალწულებასა შინა განბრწყინებულთა დედუფალთა, ქორწინებულთა ულოცვიდეთ, რა თა ვიხილნეთ მათგან ნაყოფნი და შვილისშვილნი მათნი, რა თა ეგოს ღმრთისმსახური და ქრისტესმოყუარე და მართლმადიდებელი მეფობა მათი მოქცევასა მრავალთა წელიწადთასა მშვდობისა მომნიჭებელად სოფლისა ქრისტეს იესუს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

ლიტმარატურა

ბლეიკი, 1922-1923 — R. P. Blake, Catalogue des manuscrits

7 უკუე 9 მერმე 28 უ კნ

gŷorgiens de la bibliothique patriarcale greque de Jŷrusalem, Revue de l'Orient Chrŷtien, Paris, t. 23 (1922-1923).

რახელი, 2000 —N. Russell, Cyril of Alexandria, London and New-York, 2000.

TAMAR TSOPURASHVILI

THE EARLY TRANSLATION OF SERMON XI BY CYRIL OF ALEXANDRIA

Summary

Cyril of Alexandria is the author of many works, among which one of the best is Sermon XI dedicated to the Blessed Virgin. Two translations of the Sermon into Georgian have come down to us, one of which coming from the pen of the anonymous translator and the other is in Theophyl **Targmani's** writing.

The first Recension is contained in Jer 151, dating back to the 11th century. The manuscript is faded out and illegible. Some places are almost indecipherable.

In the manuscript, “€” is used incorrectly, especially at the end of the words. There are also the cases of mixing “ო” and “ვ”, as well as “უ” and “ვ”. The names ending in “ო” are found with “ვ” before “ო” in the vocative case. The manuscript contains some simplified forms of preverbs. Several interesting lexical units are found in the text.

The comparison of the translation with the Greek text has revealed that it does not always conform to the available original (PG, 77, 1029 – 1040) and is more voluminous. Apparently, the translator availed himself of another more extensive version of the Sermon.

The words of Greek origin are identified in the text. Besides, while translating certain words the translator rests on the Greek text and tries to render strict sense of the word, therefore, the translation is abundant in Greek composites. The hendiadys is also included in the text.

ლია ჰაროსანიძე

ძველ ქართულ გრამატიკულ ტერმინთა ისტორიისათვის

ძველი ქართული გრამატიკული ტერმინების შესახებ გამოქვეყნებული სტატიებში არაერთხელ აღვინიშნავს, რომ XI-XII საუკუნეების ძველი ქართული გრამატიკული ტერმინოლოგია, ლათინურისა და სომხურის მსგავსად, უშუალოდ ბერძნულიდანაა გადმოღებული. ამ საუკუნეების ქართულ ტერმინოლოგიას გადაუჭარბებლად შეიძლება ვუწოდოთ უნიკალური არამართო ქართული, არამედ, ზოგადად, გრამატიკულ ტერმინთა ისტორიის კვლევისათვის. გრამატიკული აზროვნების ისტორიის შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოების კონფერენციებზე ხშირად მახვილდება ყურადღება ლათინური და სომხური გრამატიკული აზროვნების უშუალოდ ბერძნულიდან გადმოღების შესახებ. ძველი ქართული გრამატიკული ტერმინოლოგია კი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით სათანადოდ არ შეფასებულა.

მოგვიანო ხანის, XVIII-XIX საუკუნეების ქართული გრამატიკული აზროვნებაც, როგორც ეს სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომებშია გამოკვლეული, კვლავ ბერძნულს ან მასზე დაყრდნობით შექმნილი რუსულ თუ უკვე ლათინიზებულ სომხურ აზროვნებას მიემართება.¹

ბერძნულიდან სრულიად განსხვავებული არაბული გრამატიკული მოდელის გამოყენების ფაქტი ქართულ გრამატიკულ აზროვნებაში არსად დასტურდება. ამიტომაც ყოველთვის გვაფიქრებდა აკაკი შანიძის მიერ ტერმინ **ზმნის** შესახებ გამოთქმული თვალსაზრისი, რომელიც პირველად 1942 წლის „გრამატიკის საფუძვლებში“ გამოჩნდა (შანიძე, 1942, გვ. 159). ტერმინ **ზმნის** ეტიმოლოგიას ბატონი აკაკი არ ეხება 1930 წელს გამოცემულ მორფოლოგიაში (შანიძე, 1930).

აი, ეს მოსაზრებაც: „ტერმინი ზმნა შემოსული ჩანს არაბული გრამატიკული ტერმინოლოგიის გავლენით. ის წარმოადგენს თარგმანს არაბ. **ფიქლისას**, რომელიც, ჩვეულებრივ, „ქმნას“, „კეთებას“

¹ ე. წ. ლათინიზებული სომხური გრამატიკის პირველ სახელმძღვანელოდ მიჩნეულია ჯულაეცის გრამატიკა (ისტორია,).

ნიშნავს. გრამატიკაში კი — „ზმნას“. ბერძნულ-ლათინური გავლენა რომ ყოფილიყო, სათანადო გრამატიკული ტერმინი იქნებოდა „სიტყუა“ ან სხვა რამ ასეთი (მდრ. ბერძ. ῥήμα, ლათ. *verbum*, რუს. глагол, სომხ. բայ) (შანიძე, 1953, 166).

არაბული გრამატიკული მოდელის გამოყენება თავისთავად საინტერესო ფაქტი იქნებოდა ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიისათვის, მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ ჩნდება რამდენიმე კითხვა, რომელსაც ამ თვალსაზრისის გაზიარების შემთხვევაში უნდა გაეცეს პასუხი: ტერმინს **ზმნა** პირველად ზურაბ შანშოვანი იყენებს (შანშოვანი, 1737), მანამდე ბერძნული ῥήμα-ს მსგავსად დასტურდება ტერმინები: **თქუმა** — ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართულ თარგმანებში (ამონიოსი, 1983) და **სიტყვა** — იოანე პეტრიწთან (პეტრიწი, 1940).

შანშოვანის გრამატიკა, ილია აბულაძის თვალსაზრისით, მთლიანად ემყარება სომხურ გრამატიკას, რომელიც ბერძნულის მიხედვითაა შექმნილი (აბულაძე, 1976). რატომ გამოიყენა შანშოვანმა არაბული გრამატიკული ტერმინი **ფიცილი**, რატომ დასჭირდა არაბული გრამატიკული მოდელი ამ ერთი ტერმინის თარგმნისას? როგორ განმეორდა ეს ტერმინი ანტონის გრამატიკაში, თუ გავიზიარებთ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ თვალსაზრისს, რომ ანტონ I შანშოვანის გრამატიკას არ იცნობდა (სხვა ტერმინთა დამთხვევის ახსნა, ბუნებრივია, ერთი წყაროთი შეიძლება) და ერთიც: რატომ არ შეცვალა ეს ტერმინი არც ერთმა ქართველმა გრამატიკოსმა რუსულის ან სომხურის გავლენით?

საინტერესოა, როგორ ესმოდათ ტერმინი **ზმნა** წინა დროის ქართველ გრამატიკოსებს: იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ წერს:

„ნიკოლაოსმან: თხზუსასა შინა ლექსათსა პირველ რომლისა უმეტეს საჭიროება აქუს, რათა იქცეოდეს ზმნასა შინა ანუ სახელსა?

იოანე: პირველად ზმნასა შინა და მერმე სახელსა შინა, ვინა თვან ზმნა თავით თუსით სრულ არს ჰაზრსა შინა და უპყრიეს ძალითად სახელნი: ესე იგი უფალი და ძიება და ამისთვის ყოელთა ენათა ზედა წოდებულ არს იგი სიტყუად“ (ბატონიშვილი, 1990, 239).

მამასადამე, იოანე ბატონიშვილმა იცის, რომ ზმნას სიტყუა ჰქვია ყველა ენაში და რაკი ქართული ტერმინის განსხვავებულობაზე არაფერს ამბობს, ესე იგი, მასაც იგივე აზრი აქვს, რაც მოგვიანებით

გამოთქვა კვიცარიძემ: „ზმნა არის ყველა სამეტყველო ნაწილებზედ უსაპატიოესი ნაწილი და მხოლოდ მასთან აქვთ მნიშვნელობა და ნარჩენ სამეტყველო ნაწილებს. ძველ ქართულ ენაში მეტყველებად მარტოკა ზმნა იწოდებოდა. ეს სიტყვა მარტო აღნიშნავდა ენის მოქმედებას, მოძრაობას და სიტყვები: ლაპარაკი, უბნობა, ზრახვა თუმცა მისივე სინონიმები იყვნენ, მარამა = გვიანრეღე შემოღებულნი: „იცი-ნოდნენ, ყმაწვილობდნენ, საყვარლათ და კარგა ზმიდენ“; „ფატმან ხათუნ თვალათ მარჯვე არ ყმაწვილი, მაგრა მზმელი“; „ჭვრეტა ახელებს (ტარიელისა) მჭვრეტელსა ყოფაქცევისა და ზმისა“. შ. რ. აქ სიტყვები: ზმიდენ, მზმელი და სხვ. ნიშნავს ლაპარაკს, მჭვრეტელებს, მასლაათს. ერთი სიტყვით მეტყველება მარტოკა ზმნას ერქვა და არათუ მეტყველება, თვით მოქმედებაც საერთოდ ამ სიტყვის ძირით „ზმ“ აღინიშნოდა. „არა მოვიდეს სასუფეველი ცათა ზმნით“ ლ. ს. 17. მ.20. აქ ნიშნავს გარეგანს რასმე მოქმედებას, ნიშნეულობას. აღრე მოვალ, არ დავდგები, არა დავზამ შინა ხანსა“; „არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა, ვერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა სვიანსა“; „რასაც მიზამთ თქუენ იცით...“; „ქება რათ უნდა მას, ვინცა თქვენთანა ხანდაზმულია“. აქაც ყველგან ზმნა ნაქმრობას ნიშნავს, თუმცა არა მხოლოდ ენისას, არამედ საერთოდ, მოქმედების გვარის დაუსახელებლად.

სიტყვა აზმნობა ნიშნავს გონებითს მოქმედებას რასმე: ვაზმნობ, ე. ი. ვფიქრობ, ვაზრობ ისეთს რასმე, რაც ნამდვილად არ არსებობს. მაგ. აზმნობს ღმერთობას, ვაზმობ ხელმწიფობას: დედამიწის ღერძი არის საზმნო ხაზი პოლუსიდან პოლუსამდე გავლებული და სხვ. ვაზმენ, იაზმნა — აქედან წარმომდინარეობს სიტყვა სიზმარი.

შემდეგ ხანებში **ზმა** მისჩემებია უფრო კერძო, ზედმიწევნილი მნიშვნელობა. ზმა გვიქვია ერთს რასმე სიტყვიერ ნაწარმოებს, რომელსაც ევროპელები ეძახიან კალამბურს თუ პარონომაზიას... ბოლოს და ბოლოს, როცა ქართველები გრამატიკის დათხზვას შედგომიან, სიტყვაში ზმნა ფონეტიკურად ჩაურთავსთ მტბარი ასო ნ და მისთვის დაუმიხებიათ გრამატიკული ცნება — ზმნა, რომელიც დღეს ნიშნავს მხოლოდ საგნის მოქმედებას“ (კვიცარიძე, 1888).

ე. ი. ზმნა დღეს ნიშნავს მხოლოდ საგნის მოქმედებას, ძველად კი მას რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა და მათ შორის მეტყველების, ენის მოქმედების და მოძრაობის აღმნიშვნელი იყო.

ასევე ფიქრობს მოსე ჯანაშვილიც: „მეტყველების უმთავრესი ნა-

წილი არს ზმნა, რომელიც ნიშნავს ფიქრობას, აზროვნებას, მიხედვას, განსჯას; აზმნა — მიხვდა, შეიგნო; ზმნობა — ფიქრობა, მოსაზრება (ჯანაშვილი).

მაშასადამე, ამ გრამატიკოსთა მსჯელობებში არ ჩანს ის მოსაზრება, რომ ქართული ტერმინი **ზმნა** განსხვავდება სხვა ენათა ტერმინისაგან. ქართველ გრამატიკოსებს ქართული ტერმინი ზმნა ბერძნული ტერმინის ἰνῆ-ს მნიშვნელობის ამსახველად მიაჩნდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ზმნა მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელია და რა თქმა უნდა, სრულიად დამაჯერებელია, დღეს ამ ტერმინში სწორედ მოქმედება ვიგულისხმოთ, მაინც თავს უფლებას ვაძლევთ არ დავეთანხმოთ ბატონ აკაკი შანიძეს და გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება: ქართული გრამატიკული ტერმინი **ზმნა** სხვა ქართულ გრამატიკულ ტერმინთა მსგავსად, ბერძნული გრამატიკული ტერმინოლოგიის (და არა არაბულის) გავლენითაა შექმნილი; მაშასადამე, მასში იგულისხმება „თქმა“, „ლაპარაკი“, „განსჯა“ და არა „ქმნა“, „კეთება“.

ლიტერატურა

ისტორია, 1985 — История лингвистических учений, средневековая Европа, Л., 1985.

შანიძე, 1942 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი პირველი, თბ., 1942.

შანიძე, 1930 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, ტფ., 1930.

შანიძე, 1953 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953.

შანშოვანი, 1737 — მოკლე ღრამმატიკა ქართული ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წლისა, გამოცემული ა. ცაგარელისაგან, ს. პეტერბურდი, 1881.

ამონიოსი, 1983 — ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნათელა კეჭალმაძემ და მაია რაფავამ. გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მაია რაფავამ.

პეტრიწი, 1940 — იოანე პეტრიწი, შრომები, ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმონ ყაუხჩიშ-

ვილმა, ტ. I, თბ., 1940.

აბულაძე, 1976 — ილ. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის აღრინდელი ძეგლები, შრომები, ტ. II, 1976.

ბატონიშვილი, 1990 — იოანე ბატონიშვილი, ხუმარ/სწავლა, I, თბ., 1990.

კვიციანიძე, 1888 — ქართული სწორმეტყველება (საშინჯი სახელმძღვანელო) (პირველი წიგნი) შედგენილი პ. კვიციანიძის-მიერ, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, თბ., 1883.

LIA KAROSANIDZE

Towards the History of Old Georgian Grammar Terms

Summary

Resting on the approaches of old Georgian grammarians, the paper argues that, like other Georgian grammar terms, the term *zmna* (the verb) was coined under the influence of Greek terminology (and not by analogy of the Arabic tradition, as it is suggested by Ak. Shanidze). Hence, the term in question means "saying", "speaking" "thinking" and not "doing", "making".

თინათინ ჯაფარიძე

რეკლამის ენის ლინგვისტური ასპექტები

რეკლამა ჩვენი ცხოვრებისა და საზოგადოების განუყოფელი ნაწილი გახდა, რომელიც ყოველ დღის ნაბიჯზე გვხვდება, როგორც ქუჩებში ტრანსფარანტების სახით, ასევე ტრანსპორტის გაჩერებებსა თუ მასმედიაში, პატარა დაწესებულებებსა თუ საზოგადოებრივი თავშეყრის დიდ ადგილებზე; რადიო-ტელევიზიული და აუდიო-ვიზუალური გაზეთები ხომ გადავსებულია რეკლამებით. ალბათ წარმოუდგენლად კი გვეჩვენება ჩვენი ყოფა ამ ფენომენის გარეშე. წარმოება და მსოფლიო ბაზარი ალბათ არ იარსებებდა ამის გარეშე.

რეკლამის კვლევა დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება. იგი თანდათან განვითარდა და დღეს უკვე მთლიანად მოედო მსოფლიოს. თუ იგი ადრე ბაზარსა და ვაჭრობის სფეროებს ემსახურებოდა, დღეს — ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო: ეს იქნება კულტურა, ხელოვნება, სპორტი თუ სხვ. ბოლოს კი თვით რეკლამა გახდა რეკლამის რეკლამა.

რას ნიშნავს სიტყვა „რეკლამა“ და საიდან მოდის ის? თუ მოვძებნით რეკლამის განმარტებას უცხო სიტყვათა ლექსიკონში იქ ამოვიკითხავთ: 1. რეკლამა ფრანგული სიტყვაა *riclame* და იგი განცხადება, პლაკატი, რადიოგადაცემა ან სხვა სახის ღონისძიებაა, რომელიც მომხმარებელთა, მყარებელთა ან სხვა მიზიდვის მიზნით კეთდება; 2. ვისიმე ან რისიმე შესახებ ცნობების გავრცელება ან შექმნა მისთვის სახელის მოხვეჭის, მისი პოპულარიზაციის მიზნით (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1973, 353). ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში რეკლამის ვრცელ განმარტებას ვხვდებით: „რეკლამა ეს არის ინფორმაცია საქონლის სახმარი ღირებულებისა და სხვადასხვა სახის მომსახურების შესახებ. მისი მიზანია ამ საქონლის რეალიზაციის დაჩქარება და მასზე მოთხოვნის გადიდება. ან კიდევ ეს არის ცნობების გავრცელება პიროვნებაზე, ორგანიზაციაზე, ლიტერატურულ ან ხელოვნების ნაწარმოებზე, მათი პოპულარიზაციისათვის.

რეკლამის უმარტივესი ფორმები ჩვენს ერამდე ძვ. საბერძნეთსა და რომში არსებობდა; განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო კაპიტალიზმის ეპოქაში. ნაბეჭდი რეკლამის წარმოშობა დაკავშირებულია უ. კექსტონისა (ინგლისი) და ტ. რენოდოს (საფრანგეთი) სახელებთან. 1611წ. ლონდონში შეიქმნა ა. გორჟისა და უ. კოპის მსოფლიოში პირველი სარეკლამო ბიურო.

რეკლამის თანამედროვე საშუალებას დღესდღეობით ბეჭდვითი სიტყვა, რადიო, ტელევიზია, კინემატოგრაფია, აგრეთვე ვიტრინები, უწყებები, სასაქონლო და საფირმო ნიშნები და სხვ. წარმოადგენს. განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში რეკლამაზე დახარჯული სახსრების მიხედვით პირველ ადგილზე საგაზეთო რეკლამა დგას, დაახლ. 40%, მეორეზე — სატელევიზიო რეკლამა და მესამეზე — რადიორეკლამა.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში რეკლამის განვითარებას იწვევს ბაზრებისა და მაქსიმალური მოცულებისათვის ბრძოლა. იგი მარკეტინგის ერთ-ერთი ფუნქციაა და მას აგრეთვე მოსახლეობის პოლიტიკური და იდეოლოგიური დამუშავებისათვის იყენებენ. რეკლამა საზოგადოების მოთხოვნებს და ცხოვრებისეულ სტანდარტს აყალიბებს, ამის გამო იგი საზოგადოების მყარი ფენების სოციალური იარაღია. რეკლამის მეოხებით ყალიბდება „მასობრივ კულტურის“ სტანდარტები, იქმნება მოდის კულტი. წინასწარჩვენო და სხვა კომპანიების პერიოდში რეკლამა მოსახლეობაზე იდეოლოგიური ზემოქმედების მძლავრ საშუალებას წარმოადგენს.

სარეკლამო საქმეს ეწევიან სპეციალური ფირმები და სააგენტოები, საწარმოებისა და სავაჭრო კომპანიების, მსხვილი დაწესებულებების, გამომცემლობებისა და სხვ. სარეკლამო განყოფილებები. გამოთვლილია, რომ აშშ-ის თითოეულ მცხოვრებზე ყოველდღიურად 1500 სარეკლამო განცხადება მოდის (ქართ. ენციკლოპედია, ტ. 8, 1984, გვ. 347).

რეკლამის ენის ლინგვისტური კვლევა XX ს-ის 20-იანი წლებიდან იწყება. 50-იანი და 60-იანი წლებიდან კი რეკლამის ენა აქტუალური ხდება ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. 1991 წელს ფოლკერ როტფისმა გამოაქვეყნა ლექსიკონი სახელწოდებით „რეკლამის ენის ლექსიკონი“ („*Wörterbuch der Werbesprache*“). მკვლევართა მხრიდან ამ ლექსიკონმა სხვადასხვა შეფასება მიიღო. ზოგიერთი მათგანი აღნიშნავდა, რომ ეს სარეკლამო ენის ლექსიკონი კი არა, ყოველდ-

ლიური სასაუბრო ენის ლექსიკონიაო. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ რეკლამა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა.

ინტერესს იწვევს სარეკლამო ფსიქოლოგია და რეკლამის ზეგავლენის კვლევა, რომელიც რეკლამის ენათმეცნიერულ კვლევის შემდგომ პერიოდში კვლევის ერთ-ერთ ველად გამოიკვეთა.

ენათმეცნიერული თვალსაზრისით რეკლამის კვლევა რამდენიმე ევროპელმა და ამერიკელმა ენათმეცნიერმა სცადა. ნაშრომის გამოქვეყნების შემდგომ კი სულ ახალ-ახალი პერსპექტივები იკვეთებოდა, ვინაიდან თვით რეკლამა კატასტროფული სისწრაფით განიცდის ცვლილებას და ამ ცვლილებასთან ერთად იცვლება ენათმეცნიერთა კვლევებიც და მოსაზრებებიც.

1968 წელს რუთ რომერმა გამოსცა მონოგრაფია „სარეკლამო განცხადებების ენა“ („*Sprache der Anzeigewerbung*“). იგი სარეკლამო განცხადებების ენას სხვადასხვა ჰრილში განიხილავს და ხაზს უსვამს ენას, როგორც საკომუნიკაციო ფორმის ერთ-ერთ საშუალებას.

მანუელა ბაუმგარტი 1992 წელს გამოსცემს ამავე სახელწოდების წიგნს „სარეკლამო განცხადებების ენა“ („*Sprache der Anzeigewerbung*“), მაგრამ იგი რ. რომერისაგან განსხვავებით ტექსტებში სლოგანების კვლევით შემოიფარგლება და ხაზს უსვამს რეკლამის ვიწრო ფორმას. იგი აღნიშნავს, რომ სლოგანი სარეკლამო ენის ძირითადი ელემენტია.

შემდგომ წლებში რეკლამის ენის კვლევის არე ფართოვდება და ენის მეთოდებსა და ანალიზის შესაძლებლობებსაც ეხება, ასევე ენაში ანგლიციზმებსა და პრაგმატულ კომუნიკაციურ-თეორიულ მეთოდებს სწვდება. ზოგიერთი მკვლევარი რეკლამის სურათსა და ენას აერთიანებს, მაგრამ 1993 წ. ვერნერ კროებერ-რილის ნაშრომში კვლავ ენას ენიჭება უპირატესობა სურათთან შედარებით და ლინგვისტიკის ჩარჩოებში ექცევა.

90-იან წლებში ჩნდება ლიტერატურა რეკლამის შესახებ, სადაც ისეთ ენობრივ ასპექტებზეა საუბარი, როგორცაა: უცხო ენისა და დარგობრივი ენების გავლენა, ენობრივი თამაშობები, ინტერტექსტულობა და სხვ. რეკლამის ენის ფრაზეოლოგიური კვლევა კი კვლევათა შორის ერთ-ერთი საინტერესო ხაზად იკვეთება. აქ წინ წამოიწევეს უცხოენოვანი, უმეტესად კი ანგლიციზმებით გადატვირთული ენა, ახალგაზრდული ენა, დარგობრივი ენა, დიალექტები და ა. შ.

რეკლამა ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია და,

შესაბამისად, ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მოიცავს, ეს იქნება პოლიტიკური, სამრეწველო, კულტურული, სპორტული თუ სხვ. თუ რეკლამის მიზანი ის არის, რომ მან პროპაგანდა-აგიტაცია უნდა გაუწიოს ამა თუ იმ სფეროში რაიმე სიახლეს, ბუნებრივია, იგი ამ დარგის შესატყვის მეტყველებას მოითხოვს, რომელიც მიმართული უნდა იყოს იმ ფართო მასებისადმი, ვისთვისაც და რისთვისაც არის ეს რეკლამა გათვლილი.

სარეკლამო კომპანიები თავიანთი შემკვეთების ინტერესებიდან გამომდინარე შემდეგნაირად გეგმავენ რეკლამას:

1. როგორია საერთო საბაზრო პირობები;
2. რა პირობებს უყენებენ მათ შემკვეთები;
3. რა სახის პროდუქციაზეა ლაპარაკი;
4. ვინ არის მიზნობრივი ჯგუფი ანუ ვისთვის არის განკუთვნილი

ეს რეკლამა;

5. როგორ უნდა გამოიყურებოდეს რეკლამის შინაარსი;
6. რა სახის საშუალებები უნდა გამოიყენონ;
7. სად და როდის უნდა განთავსდეს ეს რეკლამა და რა ხანგრძლივობით.

ამ ზემოჩამოთვლილი ნიშნებიდან ჩვენთვის საინტერესო მე-4 ნიშანია: მიზნობრივი ჯგუფი ანუ ვისთვის არის განკუთვნილი ეს რეკლამა. ვინ, სად და როდის უნდა წაიკითხოს ეს რეკლამა. რეკლამის ობიექტის იმიჯი კი ენობრივი სტრატეგიითა და შესაძლო კომუნიკაციებით მიიღწევა. მიზნობრივი ჯგუფი კი შემდეგნაირად შეგვიძლია დავყოთ:

1. სოციო-დემოგრაფიული ნიშანი (ასაკი, სქესი, პროფესია და სხვ.)
2. ფსიქოლოგიური ნიშანი (აზროვნების არე, შეგრძნებები, აქტიური და პასიური ენობრივი კომპეტენცია და ა. შ.)
3. სოციოლოგიური ნიშანი (ჯგუფური ნორმები, ჯგუფის ნიშნები, აზრის მატარებელი და ა. შ.) განსაკუთრებით კი კითხვადობა, რადიო-ტელეხედვა და მსგავსი მედიების უნარ-ჩვევები;
4. მონაცემები მოთხოვნების შესახებ (მოთხოვნის დონე, აღჭურვილობა და რეალური გასაღების შესაძლებლობები).

ზემოჩამოთვლილიდან კი მთავარი პროდუქციის გასაღება და ამ პროდუქციის შესაძლებლობებია. ფასი, ხარისხი, შეფუთვა, კლიენტთა მომსახურების დონე და სხვ. მსგავსი კრიტერიუმები წინ უნდა წა-

მოიწიოს, ამისთვის კი ენა უნდა ამოქმედდეს. მნიშვნელოვანია მიმართვის ფორმები, სიტყვათა შერჩევა და, რაც მთავარია, არგუმენტაცია. სწორედ არგუმენტაციით მიიღწევა მიზნობრივ ჯგუფებთან ეფექტი. რეკლამირების ერთ-ერთი საშუალებაც სწორედ სარეკლამო ენა გახლავთ.

რეკლამა — კომუნიკაციის ინსცენირებული ფორმა — მოდელები

რეკლამის, როგორც საკომუნიკაციო საშუალების და ასევე საკომუნიკაციო მოქმედების და ზემოქმედების მიღწევა ენის ეფექტურად გამოყენებით შეიძლება. რეკლამიდან ენათმეცნიერული კვლევისათვის მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო პროცესები. აქ მართო კომუნიკაციის ასპექტების თეორიული წარმოჩენა საკმარისი არ იქნება. მნიშვნელოვანია მისი განხილვა დიალექტური, დარგობრივი, ახალგაზრდული, ყოველდღიური ასპექტების გათვალისწინებით.

საკვლევი ლიტერატურის ძირითადი საკომუნიკაციო მოდელები კლასურად შანონის საინფორმაციო-თეორიულ მოდელს ეყრდნობიან. ეს მოდელი ითვალისწინებს შემკვეთს — არხს — მიმღებს. არსებობს ვოლფგანგ ბრანდტის „ელემენტ-მოდელი“. საერთო ჯამში ორივე მოდელი კომუნიკაციის პირობებს წამოსწევს წინ, რომელიც შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვყავილით:

1. ვინ არის შემკვეთი ანუ გამგზავნი;
2. კომუნიკაციის რა ნიშნებს მოიცავს (ადგილი, ვადები, მიზანი და სხვ.);
3. რა სახის მედიისთვის არის განკუთვნილი ესა თუ ის რეკლამა (რადიო, ტელევიზია, პრესა, პლაკატი და ა.შ.);
4. ვინ არის მიმღები, ანუ არის ეს რაღაც სოციალური ჯგუფი თუ კონკრეტული პატარა ჯგუფისთვის არის განკუთვნილი.

სოციოლინგვისტიკაში არის ვარიტეტული მოდელი, რომლის არსიც ის გახლავთ, რომ მთლიანი ენა ე. წ. სახეობებად ანუ ვარიანტებად არის დაყოფილი:

1. მედია, რომელშიც ხდება მისი რეალიზაცია (ნათქვამი თუ დაწერილი);

2. ფუნქცია (წარმოდგენა, გამოხატვა) და ასევე გამოყენების სფერო (დარგობრივი, ლიტერატურული, ყოველდღიური თუ სხვა ენა);

3. რეგიონალური კავშირი (დიალექტი);

4. საზოგადოებრივი და სოციოეკონომიკური მოქმედების არეების განსაზღვრა;

5. კავშირი ასაკისა და სქესისადმი (ქალთა ენა, მამაკაცთა ენა, ახალგაზრდული ენა და ა. შ.)

სარეკლამო ენის კვლევისას ისმის კითხვა, რა კუთხით დაიწყოს კვლევა და როგორია მისი დამოკიდებულება ყოველდღიურ ენასთან. რეკლამის ენის ლექსიკური მარაგი და ენის გამოყენების ფორმები გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული და ყოველდღიური ენიდან გამომდინარე მის ეფექტურად გამოყენებას ითვალისწინებს, ანუ არტისტიზმით გაზავებულ ფორმებს მოიცავს და ყველა ხერხს მიმართავს იმის ეფექტისათვის, მათ შორის, იუმორს, ენობრივ თამაშებს, სხვადასხვა ლიტერატურულ და ენობრივ ხერხებს და სხვ. ანუ, თუ ისევ მანუელა ბაუმგარდტს დავვესხებით და მისეულ განმარტებას გამოვიყენებთ: „სარეკლამო ენა არ არის რაღაც განსაკუთრებული ენა, არამედ იგი ინსტრუმენტალიზირებული, მიზანმიმართული ენის გამოყენების განსაკუთრებული ფორმაა და იგი მჭიდრო კავშირშია ყოველდღიურ ენასთან“ (ბაუმგარდტი, 1992, 34).

სინტაქსური თავისებურებანი

რეკლამაში, ჩვეულებრივი სამეტყველო ენისაგან განსხვავებით, სიტყვების დალაგება-დაკავშირება სხვაგვარად გვხვდება. ხშირად ადგილი აქვს ზმნის გამოტოვებას, წინადადებები ინფორმაციას „გვესვრიან“. სარეკლამო სააგენტოები რაღაც გარკვეულ ენის კანონებს ემორჩილებიან, ფრაზებსაც ხშირ შემთხვევაში ჩვეულებრივი ლიტერატურული ენის კანონების მიხედვით არ ადგენენ, მაგრამ ზოგჯერ რეკლამის შინაარსი, რასაც რეკლამის შემდგენელი გამოხატავს, თავისებურ სინტაქსს მოითხოვს და, შესაბამისად, არღვევს ჩვეულებრივი სინტაქსის კანონებს, მაგ. გაერთიანებული ქართული ბანკის რეკლამა შემდეგნაირად გამოიყურება: „VISA-ს საერთაშორისო პლასტიკური ბარათები „გაერთიანებული ქართული ბანკისაგან“. თუ დავაკვირდ-

ბით მოცემულ ნიმუშს, ადვილად მივხვდებით, რომ ამ წინადადებაში სიტყვათა დალაგების კანონები დარღვეულია. ალბათ ჩვეულებრივ სამეტყველო ენაში ამ ტექსტს შემდეგნაირად ჩავეწერდით. „გართიანებული ქართული ბანკი“ თავის მომხმარებლებს VISA-ს საერთაშორისო პლასტიკურ ბარათებს სთავაზობს“. თავიდან უნდა იყოს ქვემდებარე, ბოლოში შემასმენელი და ა. შ. მაგრამ თუ ამ ორ წინადადებას, სხვადასხვა ფორმით დაწერილს, დაუტყვირდებით, მივხვდებით, რომ მეორე წინადადება ჩვენზე ნაკლებ ეფექტს ახდენს და რიგით სასაუბრო ტექსტს მოგვაგონებს, პირველი კი — უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს და ჩვენში მეტ ემოციას იწვევს. ეფექტის დროს და ემოციების გამოწვევით კი რეკლამის მიერ მოწოდებული ინფორმაციის განვრცობის არე ფართოვდება და სწორედ ეს არის რეკლამის მიზანიც, უფრო მეტი ინტერესი გაგვიღვივოს მის მიერ მოწოდებული ინფორმაციისადმი. რეკლამას შეუძლია მოკლე-მოკლე და მარტივი წინადადებებით ან მარტივი ფრაზებით გამოიწვიოს ჩვენი დაინტერესება, მას შეუძლია არ გადაგვტვირტოს ტექსტის კითხვით და სულ რაღაც 3-4 მოკლე წინადადებით სრული ინფორმაცია მოგვაწოდოს ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით. თუ ისევ იმავე რეკლამას მივყავებით, მის ქვეტექსტში შემდეგს ამოვიკითხავთ:

- * დამატებითი უსაფრთხოების მექანიზმები — ბარათზე დატანებული მფლობელის ფოტოსურათი;
- * ბარათის მოქმედების გაზრდილი ვადები;
- * ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მიღება;
- * დაბალი ტარიფები.

ალბათ მიხვდით, ეფექტი მიღწეულია. ბოლო ფრაზა „დაბალი ტარიფები“ — გავლენა ადამიანის ფსიქიკაზე უკვე მოხდა.

ისევე, როგორც მწერალს შეუძლია თავისი მოზღვავებული გრძნობა სხვადასხვა ფორმით გამოხატოს, მაგ.: შეწყვიტოს წინადადება, გამოიყენოს უამრავი შორისდებული, გაიმეოროს ერთი და იგივე სიტყვა ან ფრაზა რამდენიმეჯერ და სხვ., ასევე რეკლამის ავტორსაც თავისი ემოციების გამოსახატავად შეუძლია სხვადასხვა სინტაქსურ საშუალებებს ანუ ფიგურებს მიმართოს. რეკლამის ფიგურალური სიტყვიერი გაფორმება, ანუ ხატოვანი ფრაზებითა და გამონათქვამებით გაფორმება, მის ემოციურ დატვირთვის აძლიერებს და შესაბამისად გარკვეულწილად საცდუნებელი ხდება, ანუ რეკლამირებული საგნის, ნივთის, წამლის, წიგნისა და ა. შ. გასინჯვის, შე-

ძენის, ნახვისა და ა. შ. სურვილს აღვიძრავს, რაც რეკლამის პირველი და ერთ-ერთი მიზანი გახლავთ.

ლიტერატურა

ალბატოვი, 2001 — Алпатов В. М., "История лингвистических учений", 2001.

ბენვენტისტი, 1955 — Бенвенист Э., "Индоевропейское именное словообразование", 1955.

ბოგოროდიცი, 1959 — Богородицкий В. А., "Введение в изучение современных романских и германских языков", 1959.

Лингво-стилистические исследования научной речи" Ак. Наук, 1979.

Проблемы лингвистического анализа, Ак. Наук, 1966.

ბანიკოვი, 2002 — Санников В. З., "Русский язык в зеркале языковой игры", 2002.

როზენტალი, 1976 — Розенталь Д. Э., Теленкова М. А., "Словарь-справочник лингвистических терминов", 1976.

ბაუმგარტი, 1992 — Baumgart, Manuela "Die Sprache der Anzeigewerbung/ Eine linguistische Analyse aktueller Werbeslogans", Heidelberg, 1992.

ბრანდტი, 1973 — Brandt, Wolfgang "Die Sprache der Wirtschaftswerbung/ Ein operationelles Modell zur Analyse und Interpretation von Werbungen im Deutschunterricht. In: germanistische Linguistik, 1-2, 1973.

იანიჩი, 2003 — Janich, Nina "Werbesprache", 2003.

რომერი, 1980 — Rumer, Ruth "Die sprache der Anzeigewerbung", 1980.

TINATIN JACHVADZE

Linguistic Aspects of the Language of Advertisements

Summary

As is known, the linguistic study of advertisements started in the 1920s. Due to the changeability of advertisements linguistic means used in them tend to be versatile. The paper focuses on the following aspects of the language of advertisements: 1) vocabulary; 2) relation with the colloquial language; 3) use

თაზარ მუზაყვი

**ეპიკური ჟანრების ნაწარმოებთა კლასიფიკაციის
სტრუქტურულ-სემანტიკური საფუძვლები**

სტატია წარმოადგენს სხვადასხვა პროზაული ჟანრის ლიტერატურულ ნაწარმოებებში არქეტიპების ასახვის სპეციფიკის კვლევის შედეგებს.

ძირითად პროზაულ ჟანრებს მიეკუთვნება: ესე, ნარკვევი, ნოველა, მოთხრობა, მოკლე მოთხრობა, მოკლე რომანი და რომანი. პროზაული ჟანრის ნაწარმოებთა სტრუქტურულ დაყოფას ახორციელებენ 5 ნიშან-თვისების საფუძველზე: 1. ნაწარმოების უფაბულობა, ერთფაბულიანობა ან მრავალფაბულიანობა; 2. მასალის გადმოცემის დომინანტური ხერხი; 3. დამოუკიდებლად ნაწარმოები (ფორმირებული) თავისუფალი თხრობითი მოტივების არსებობა ან არარსებობა; 4. აბზაცის (როგორც ტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკურ ერთეულებად ავტორისეული დაყოფის ერთეულის) ერთთემიანობა ან მრავალთემიანობა; 5. აბზაცის მონოფუნქციონალურობა ან პოლიფუნქციონალურობა **(1)**.

1 ესე — მცირე ზომის ლიტერატურული, პროზაული ნაწარმოებია, რომელიც წარმოადგენს მსჯელობას ავტორის მიერ არჩეულ ნებისმიერ თემაზე და განეკუთვნება უფაბულო ჟანრს. მასალის გადმოცემის დომინანტური პრონციპია მსჯელობა. თხრობისა და აღწერის ელემენტები ცალკეული აბზაცების მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს. ესე აბზაცების აბსოლუტური უმრავლესობა მონოთემურია, ყველა აბზაცი — მონოფუნქციონალური. ესე უკავია შუალედური მდგომარეობა სამეცნიერო სტატიასა და მხატვრულ ტექსტს შორის. სამეცნიერო სტატიასთან ესე ახლოვებს ავტორის, მასალის ლოგიკური პრინციპის შესაბამისად გადმოცემის მისწრაფება, მხატვრულ ნაწარმოებთან — შეფასების სუბიექტურობა და მასალის შედარებით თავისუფალი განთავსება.

2. ნარკვევი — ნაწარმოები, რომელიც ასახავს რომელიმე მო-

ვლენას, ამბავს მისი აღწერის ფორმით. მხატვრული ნარკვევისათვის დამახასიათებელია ავტორის სუბიექტური შეხედულება ასახვის საგანზე. ნარკვევი — უფაბულო ჟანრია. მასალის გადმოცემის დომინანტური მეთოდია — აღწერა. თხრობისა და მსჯელობის ერთეულები შედიან მხოლოდ ნაწილი აბზაცების შემადგენლობაში. ნარკვევის აბზაცების უმრავლესობა მონოთემურია, ყველა აბზაცი მონოთემური-ნალური.

3. ნოველა — ნაწარმოებია, რომელიც შედგება ერთი გაშლილი თხრობითი ხაზისაგან პიკწარმომქმნელი მონაკვეთებით (ექსპოზიცია, კვანძი, კულმინაცია, კვანძის გახსნა), რომლებიც ცალკეულ აბზაცებს წარმოადგენენ. ყველა აბზაცი თხრობითია. აღწერისა და მსჯელობის ელემენტები და თავისუფალი თხრობითი მოტივები, ცალკეული აბზაცების მხოლოდ ნაწილს შეადგენს. ნოველაში აბზაცების უმრავლესობა მონოთემურია, ყველა აბზაცი — მონოთემური-ნალური.

4. მოკლე მოთხრობა. მოკლე მოთხრობა, დამოუკიდებელი ნოველისტური წყობის დონემდე გაშლილი, რამდენიმე თხრობითი ხაზისაგან შემდგარი აბზაცებით აგებული ნაწარმოებია. მასალის გადმოცემის ძირითადი ხერხი — თხრობაა. აღწერილობითი და მსჯელობის ერთეულები, როგორც წესი, ცალკეული აბზაცების ნაწილს წარმოადგენს. აბზაცების მნიშვნელოვანი ნაწილი მრავალთემიანია. აბზაცების ნაწილი პოლითემურიცაა. მოკლე მოთხრობის შემადგენლობაში შემავალი თხრობითი ხაზები აგებულია ჩვეულებრივი ნოველისტიკით, ე.ი. მოკლე მოთხრობა წარმოადგენს პირველ კომპლექსურ ჟანრს, რომელშიც შერწყმულია რამდენიმე ნოველისტური წყობა. დამოუკიდებლად ფორმირებულ, თავისუფალ თხრობით მოტივთა არსებობა არ წარმოადგენს რელევანტურ ნიშან-თვისებას, არც მოკლე მოთხრობისათვის და არც სხვა, მრავალთემიანი ჟანრისათვის. მოკლე მოთხრობაში რამდენიმე ფაბულური ხაზია, რომელთა გადაკვეთა მრავალთემიანი და პოლითემური აბზაცების მნიშვნელოვანი რაოდენობის არსებობის მიზეზია.

5. მოთხრობა. მინიმალურ მოთხრობად შესაძლებელია ჩაითვალოს ნაწარმოები, რომელიც შედგება ერთი ფაბულური ხაზისაგან პიკწარმომქმნელი მონაკვეთებით, რომლებიც შეადგენენ, უკიდურეს შემთხვევაში, ცალკეულ აბზაცებს და, როგორც მინიმუმ, ერთ აღწერილობით ან მსჯელობის ტმ-ს (ტექსტური მონაკვეთი — სემანტიკურად დაკავშირებულ აბზაცთა ჯგუფები). მოთხრობის აბზაცთა უმ-

რავლესობა მონოთემურია. ყველა აბზაცი პოლითემურიცაა. აღწერილობითი და მსჯელობის შემცველი ერთეულების რაოდენობა მოთხრობისათვის შეზღუდული არ არის. მოთხრობა შესაძლებელია აგებული იყოს როგორც თხრობითი ერთეულებისა და აღწერილობითი და/ან მსჯელობის შემცველი ერთეულების მონაცვლეობა.

6. მოკლე რომანი — ნაწარმოები, რომელსაც უკავია გარდამავალი მდგომარეობა მოთხრობასა და რომანს შორის, შეიცავს რამდენიმე გაშლილ ფაბულურ ხაზს პიკწარმომქმნელი მონაკვეთებით, რომლებიც, უკიდურეს შემთხვევაში, ცალკეულ აბზაცებს წარმოადგენენ. ფაბულური ხაზები იგება ნოველის ან მოთხრობის ტიპით. მოთხრობის მსგავსად, მოკლე რომანი შეიცავს არა მარტივ ცალკეულ აბზაცებსა და აბზაცთა კომპლექსებს, არამედ აღწერილობით და/ან მსჯელობის შემცველ ტმ-ებს. მოკლე რომანში, როგორც მრავალთემიანი ჟანრში, მოიპოვება მრავალთემიანი და პოლითემური აბზაცების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

7. რომანი შედგება რამდენიმე გაშლილი თხრობითი ხაზისა და, აგრეთვე, თავისუფალი თხრობითი მოტივებისაგან. აღწერისა და მსჯელობის ერთეულების რაოდენობა რომანში ცალკეული თავების მოცულობას აღწევს. მსჯელობისა და აღწერის შემცველი თავები, თავისი სტრუქტურით არ განსხვავდება ნარკვევისა და ესესაგან, მათი სტრუქტურისათვის დამახასიათებელი აბზაცის აგების ტიპებით. თხრობითი ხაზები იგება ნოველის ან მოთხრობის ტიპით. პიკწარმომქმნელი მონაკვეთები, უკიდურეს შემთხვევაში, ცალკეულ აბზაცებს წარმოადგენენ. რომანისათვის დამახასიათებელია მრავალთემიანი და პოლითემური აბზაცების სიმრავლე. ამგვარად, რომანი უკიდურესად სინთეტური ჟანრია, რომელიც მოიცავს ნარკვევს, ესეს, ნოველას და მოთხრობას, აგრეთვე, ყველა გარდამავალ ფორმას. მათი შეფარდება ცალკეულ რომანში განსხვავებულია. არსებული ჟანრებიდან, რომანი ყველაზე პანორამულია, იძლევა, ავტორის თვალთახედვით ობიექტის, მისი ურთიერთკავშირების ყველაზე სრულ ასახვას.

ნაწარმოებთა სემანტიკური კლასიფიკაცია წარმოებს უნივერსალური არქეტეპების დადგენის საფუძველზე, რომელთა გახსნისა და კომბინირების სხვადასხვა ხერხები დამახასიათებელია ამა თუ იმ ჟანრისათვის. ამისათვის იღებენ სემანტიკურად დაკავშირებული მითოლოგიების ერთ-ერთ ჯგუფს, ვინაიდან მითი თავად წარმოადგენს ლიტერატურული პრინციპების სტრუქტურულ ორგანიზაციას, სადაც

მითოლოგიური არქეტიპები მხოლოდ სახეს იცვლიან და უნივერსალური არქეტიპების გამოსახატავად და თვით თხრობის კონსტრუირებისათვის, წინა პლანზე გამოდის პირველადი მითოლოგიური პროტოტიპების მულტივი განმეორებადობის იდეა (2). თვით მითს იყენებენ როგორც მეტაფორას.

მოცემულ ნაშრომში კვლევისათვის შერჩეულია ზოდიაქოს ნიშნებთან დაკავშირებული ერთ-ერთი ცენტრალური მითოლოგიური ციკლი. მითების მოცემული, ჩაკეტილი სისტემის შერჩევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ, პირველ რიგში, მითი თავისი არსით პრინციპულად კოსმიურია, ხოლო კოსმიური მოდელი სამყაროს მითოლოგიური მოდელის ბირთვს წარმოადგენს. მითოლოგიის პათოსი ექვემდებარება მაჰარმონიზებელ და მომწესრიგებელ მიზანმიმართულობას და ორიენტირებულია სამყაროსადმი ისეთ ერთიან მიდგომაზე, როდესაც დაუშვებელია ქაოტურობის უმცირესი ელემენტიც კი. ქაოსის გადაქცევა კოსმოსად მითოლოგიის ძირითად საზრისს წარმოადგენს, ამასთან, კოსმოსი იმთავითვე შეიცავს ფასეულ, ეთიკურ ასპექტს. მითების მოცემული ციკლის შერჩევა იმანაც განაპირობა, რომ ჩვენი სამყაროს საზღვრები ჩვენთვის ზოდიაქოთია შემოსაზღვრული. ზოდიაქოს წრე სიმბოლურად წარმოადგენს სივრცეს, რომლითაც შემოიფარგლა ღმერთი სამყაროს შექმნისას.

ზოდიაქოსთან დაკავშირებული ანტიკური ხანისა და ბიბლიური მითების (რომლებიც არა მარტო დასავლეთევროპული, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროს კულტურის საფუძველს წარმოადგენს) შესწავლისას, პოულობენ მითოლოგემებსა და მათ ასახვას ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ვინაიდან მითის შინაარსსა თუ მორფოლოგიაში, არაფერი შეიძლება იყოს, გარდა რეალობის ასახვისა. მითები ინახავენ და გადმოსცემენ პარადიგმებს-ხატებს, მათი მიმსგავსებით ხორციელდება ქმედებათა ერთობლიობა, რომელზედაც პასუხიმგებლობას კისრულობს ადამიანი. ამ ხატების მაგალითით პერიოდულად ხდება კოსმოსისა და საზოგადოების განახლება, ვინაიდან საგანი თუ ქმედება რეალური ხდება მხოლოდ იმ სამყაროში, სადაც ისინი ბაძავენ ან იმეორებენ არქეტიპს (3).

მოცემული ციკლის ცენტრალურ ადგილზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ყველა კულტურულ ტრადიციაში არსებობს პლანეტებთან და ზოდიაქოს ნიშნებთან დაკავშირებული მითები. ამგვარად ადამიანები ცდილობენ გაიაზრონ თავისი ადგილი და როლი იმ ჩაკეტილ

სისტემაში, სადაც მათ უხდებოდათ არსებობა და სადაც, როგორც ყველა ჩაკეტილ სისტემაში, ყველაფერი უნდა ექვემდებარებოდეს ერთიან ჰარმონიასა და აზრს.

ეს, ზოდიაქოსთან დაკავშირებული მითები და თქმულებები, საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ სამყაროს განვითარებას, მისი შექმნიდან მასში ადამიანის გაჩენამდე, რომელიც იმ სისტემის ანალოგიითაა შექმნილი, ასევე ადამიანის მიერ ამ სამყაროში საკუთარი ადგილის ძებნას და თავისი ცხოვრების სამყაროს კანონებთან შესატყვისობაში მოყვანას, რაც ასახულია კიდევ სხვადასხვა მითებში, ხოლო მოგვიანებით — ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

ზოდიაქოს ნიშნები ასევე შეესატყვისება ადამიანის სიცოცხლის სხვადასხვა ეტაპს. ამ შემთხვევაში ადამიანის ცხოვრების გზას 12 ფაზად ყოფენ, რომლებიც ექვსიდან რვა წლამდე გრძელდება. ზოგიერთი ფაზა საკმაოდ სწრაფად სრულდება, მაშინ როდესაც სხვები, შესაძლებელია, პირიქით, ძალზე ხანგრძლივი იყოს. ესენია: (4)

1. ვერძი. ჩვილობა. ადამიანი თავისთავად და მისი სიღრმისეული მისწრაფებები;
2. კურო. მატერიალური ფასეულობები და ბავშვის ზრდის პერიოდთან დაკავშირებული შენაძენი;
3. მარჩბივი (ტყუპები). განსწავლა, ურთიერთობები, მცირე მოგზაურობები.
4. კირჩხიბი. ახალგაზრდა. სიყვარული. საკუთარ კერაზე ოცნება;
5. ლომი. ბავშვები, ქმნილებები, რომლებითაც სიამაყის მოთხოვნილების განცდა ჩნდება. ასევე, შემოქმედება და სხვა ნაყოფიერი საქმიანობა;
6. ქალწული. სამსახურისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების სახლი, აგრეთვე სიწმინდის სახლიც;
7. სასწორი. პრობლემების დარეგულირება. პერიოდი, როდესაც იწყებენ პრაქტიკული რჩევების გაცემას;
8. მორიელი. ადამიანი იწყებს სიკვდილსა და საიქიოზე დაფიქრებას. ეჭვიანობის გამოვლინება. აგრეთვე, სოციალური წყობით დაუკმაყოფილებლობა და მისი გამოსწორების საშუალებათა ძებნა;
9. მშვილდოსანი. სულიერი ცხოვრება, ფილოსოფიითა და რელიგიით დაინტერესება. ჩნდება ცხოვრების საზრისზე დაფიქრების მოთხოვნილება, მიდრეკილება ფილოსოფიურ და რელიგიურ პრობ-

ლემებზე დაფიქრებისაკენ. ჩნდება სურვილი სხვა ქვეყნების, მათი წეს-ჩვეულებების, ცხოვრების დონის გაცნობისა. გარკვეული სოციალური მდგომარეობა;

10. *თხის რქა*. მაქსიმალურად მაღალი სოციალური მდგომარეობის მიღწევა, ასევე სიმარტოვეში ცხოვრება. სიბერე. ადამიანი თავს უფლებას აძლევს იმსჯელოს ყველაფერზე და გააკიცხოს ყველა — თანდათანობით იზოლაციაში გადის;

11. *მერწყული*. მეგობრებისა და სულიერების სახლი. პენსიაზე გასვლა ან გადადგომა. ახალგაზრდა ცვლის ძებნა. მეტი დრო ეთმობა მეგობრებს, მათთან სულიერ პრობლემებზე საუბარს;

12. *თევზები*. მსხვერპლშეწირვის, უარყოფის, გამოცდის, აგრეთვე დაფარული ათვალწუნების, მტრობის, ღალატის სახლი. ფიზიკური დასუსტება, ფიზიკურ სამყაროსთან კავშირის გაწყვეტა. ანდერძის შედგენა, სადაც უარს ამბობენ ყველა შენაძენსა და კეთილდღეობაზე. ხშირად აღმოჩნდება მიტოვებული საავადმყოფოს საწოლზე.

ეს სქემა მიახლოებულ წარმოდგენას იძლევა ადამიანის ცხოვრების ზოგად მიმდინარეობაზე, მაგრამ მისგან მნიშვნელოვანი გადახრა ადამიანში იწვევს საკუთარი თავით, სამყაროთი, სიცოცხლით დაუკმაყოფილებლობის გრძნობას და შინაგან განხეთქილებამდე მივყავართ.

ზოღიაქომ თითქმის ყველა ერი შთააგონა შეექმნა მითები და ლეგენდები, რომლებიც ასახავენ ამ თორმეტი ნიშნიდან თითოეულის დახასიათებას. ევროპული რელიგიისა და მითოლოგიის ისტორია ასევე ასახავს ამ გზას. ეს თორმეტი ოლიმპიელი ღმერთია, ზოღიაქოს სხვადასხვა ნიშნისათვის და, შესაბამისად, ადამიანთა სხვადასხვა ტიპისათვის დამახასიათებელ ნიშნებს რომ ითავსებენ (დადებითსაც და უარყოფითსაც). ბერძნულ მითოლოგიაში ჰერაკლეს 12 გმირობა, წარმოადგენს უარყოფითი ასპექტების გადალახვისა და მათი დადებით ასპექტად გადაქცევის გზას, ადამიანის ცხოვრების (სიცოცხლის) ყოველ ეტაპზე. იუდაისტურ ტრადიციაში საფუძველი ეყრება თანამედროვე წარმოდგენას ადამიანის სრულყოფილებასა და მისი მიღწევის გზებზე (ძველ აღთქმაში, იაკობის 12 შვილი, რომლებიც ისრაელის 12 ტომის მამათავრებს წარმოადგენენ), რაც ადამიანის განვითარების იდეალს უყრის საფუძველს და ასახულია ქრისტიანობაში, ახალი აღთქმის 12 მოციქულის ხატებაშია მოცემული.

ბერძნულ და რომაულ მითოლოგიაში ღმერთების პანთეონი და-

კავშირებული იყო ადამიანის საქმიანობის ძირითად სფეროებთან, რომლებსაც ეს ღმერთები მფარველობდნენ.

ჰერაკლეს თორმეტი გმირობა ხატოვანი ფორმით ასახავს ადამიანის გზას, რომელიც მან უნდა გაიაროს, რათა ღმერთებს დაემსგავსოს (სიკვდილის შემდეგ ჰერაკლე ოლიმპიელი ღმერთების რიგს მიაკუთვნეს).

მეფე ვერისთეოსმა ჰერაკლეს 12 გამოცდა დაუწესა, რომლებსაც შემდგომში ჰერაკლეს 12 გმირობა უწოდეს. ჰერაკლემ თანამიმდევრულად (5):

1. გაგუდა ნემის ლომი;
2. მოკლა ლერნეის ჰიდრა;
3. დაატყვევა ერიმანის ტახი;
4. სირბილში აჯობა არკადიულ (კერინელ) შველს;
5. ისრებით დახოცა სტიმფალიდები;
6. მოათვინიერა კრეტას ხარი, რომელიც პოსეიდონმა მეფე მინოსის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოაგზავნა;
7. მოკლა დიომედე — თრაკიის მეფე, რომელიც თავის ცხენებს ადამიანის ხორციით კვებავდა;
8. დაამარცხა ამორძალები;
9. გაასუფთავა ავგიას თავლა, მდინარეების ალფეასა და პენეას საშუალებით;

10. დაამარცხა და მოკლა გოლიათი ჰერიონი, მოიტაცა მისი ხარების ჯოგი;

11. ჯოჯოხეთიდან გაათავისუფლა თეზევსი;
12. მოიტაცა ოქროს ვაშლები ჰესპერიდების ბალიდან.

ჰერაკლეს ეს 12 გმირობა ზოღიაქოს შემდეგ ნიშნებს შეესატყვისება: 1. ლომი; 2. მორიელი; 3. ვერძი; 4. თხის რქა; 5. მშვილდოსანი; 6. კურო; 7. მარჩბივი; 8. ქალწული; 9. მერწყული; 10. კირჩხიბი; 11. თევზები; 12. სასწორი (6).

„ზოღიაქო“ ძველბერძნულად ნიშნავს „მხეცთა წრეს“. „მხეცი“, მითოლოგიაში წარმოადგენს ადამიანის ქვენა ბუნების სიმბოლოს, რომელიც ადამიანმა უნდა დაამარცხოს და ამაღლდეს მასზე. სწორედ ესაა ასახული ჰერაკლეს 12 გმირობაში. ადამიანის, ისევე როგორც ჰერაკლეს, ამოცანაა ებრძოლოს ყველა უარყოფით (ნეგატიურ) ასპექტს, რომელიც ზოღიაქოს ყველა ნიშნისთვისაა დამახასიათებელი და განავითაროს თავის თავში დადებითი ასპექტები.

თორმეტიდან თითოეულ გმირობაში ჩადებული სიღრმისეული აზრის მონახვა საშუალებას იძლევა ვიპოვოთ მათი ანარეკლი სხვადასხვა ლტერატურულ ნაწარმოებში და დავაჯუფოთ ისინი ამა თუ იმ არქტივის შესაბამისად.

1. ნემის ლომის (ლომი) დამარცხება და მისი ტყავის მიკენაში ჩამოტანა აღნიშნავს ადამიანის წმინდა ფიზიკური ძალის დამორჩილებას, მოთოკვას. ცხოველის ტყავი ბერძნულ და ინდურ მისტერიებში — ადამიანის მდაბალი „მე“-ს სიმბოლოა.

2. ლერნის ჰიდრას დამარცხება შეესაბამება მორიელის ნიშანს, სექსუალური ძალის სიმბოლოს, რომელსაც ყოველთვის ახალი თავი — ახალი ძალა — ეზრდება. შეუძლებელია სექსუალური ძალის უარყოფა, მაგრამ აუცილებელია მისი უმაღლეს სიყვარულად გარდაქმნა.

ჰერაკლე კლავს ცხრათავიან ჰიდრას. იგი განგმირავს მას ანთებული მუგუზლებით და მის ნაღველში ამოავლებს ისრებს, ამგვარად ისრები იძენენ მიზანში ზუსტი მოხვედრის თვისებას. ეს ნიშნავს, რომ ჰერაკლე ამარცხებს უმდაბლეს ცოდნას, და იმისაგან, რაც ამ უმდაბლესი ცოდნის ხარჯზე შეიძინა, იძენს ძალას, დაინახოს უმდაბლესი სულიერების ხედვით.

3. სტიმფალიდები. იმის დამარცხება, რაც ადამიანს უშლის ხელს ცა დაინახოს. მშვილდოსნის თანავარსკვლავედს, რომელიც ამ გმირობას შეესაბამება, გამოხატავენ კენტავრის — ნახევარადამიანისა და ნახევარცხენის — სახით, რაც მიუთითებს ადამიანის როგორც ცხოველურ, ისე ღვთიურ ბუნებაზე. აუცილებელია უმდაბლესი ბუნების გადალახვა, რათა ადამიანი იქცეს შემაკავშირებელ რგოლად ცასა და ღედამიწას შორის, რის სიმბოლოსაც წარმოადგენს მშვილდოსანი.

4. კერინის ირემი (თხის რქა). ყველაფრის მოპოვება, რასაც ადამიანის სულს ანიჭებს ლალი ბუნება. ამასთან ერთად იმის წვდომაც, რომ ბუნების დამორჩილება შეუძლებელია მისი ჰარმონიის დარღვევის გარეშე. მხოლოდ დაჭრილი ირმის დაჭერა შეძლო ჰერაკლემ, რამაც განარისხა ნადირობის ქალღმერთი არტემიდა.

5. ერიმანთიული ტახი (ვერძი). ცხოველურ ძალაზე გამარჯვება, ველურობისა და ბოროტების დამარცხება, რამაც ადამიანი შეიძლება თვითგანდგურებამდე მიიყვანოს. მათი თვითშეწირვისადმი მზადყოფნაში ტრანსფორმაცია.

6. ავგიას თავლა (მერწყული). სულიერი წყლები მოედინებიან,

რათა გაასუფთავონ ადამიანის ქვეცნობიერი.

7. კრეტას ხარი (კურო). მატერიალიზმსა და გრძნობაზე გამარჯვება და მოთმინების, მიზანმიმართულებისა და ძლიერების მოპოვება (შეძენა).

8. დიომედეს ცხენები (მარჩბივი). წარმოადგენს ნგრევისაკენ მიდრეკილ ინტელექტს. გონებით ადამიანი ანგრევს — ის აანალიზებს, აკრიტიკებს, აქუცმაცებს, მაგრამ საბოლოოდ იგივე ძალა, რომელიც ანგრევს გარემოს, ანგრევს მასაც.

9. იპოლიტას ქამარი (ქალწული). ძალაუფლების სიმბოლო, რომელიც ომის ღმერთმა არესმა აჩუქა იპოლიტას. ამორძალეზე გამარჯვების შემდეგ, ჰერაკლე აძლევს მას თევზს, მისი უდიდესი სიმამამცის გამო. თევზის განასახიერებს სულს (მთვარეს), რომელსაც ჰერაკლე დამატებით ძალას ანიჭებს, ამარცხებს რა ქალწულის ნიშნის შეზღუდულობას.

10. ჰერიონის ძროხები (კირჩხიბი). ჰერიონი იმ ადამიანის ხატია, რომელიც სამ პრინციპზე დაფუძნებული — ინტელექტი, გული, ნება — რომლებიც გამოვლინდებიან პერსონალურობის უმდაბლეს დონესა და ინდივიდუალობის უმაღლეს დონეზე. ტრადიციულ სიმბოლიკაში პერსონალურობა წარმოდგენილია მთვარის სახით, ხოლო ინდივიდუალობა — მზისა. ამგვარად, ჰერიონის სამი სხეული შეესაბამება ფიზიკურ, ასტრალურ და მენტალურ პლანებს, რომლებიც შეადგენენ პერსონალობას, რომელიც ინდივიდუალობაში უნდა ტრანსფორმირდეს.

11. ცერბერი (თევზები). თევზების თანავარსკვლავედი წარმოადგენს საყოველთაო ქაოსს, პირველად სივრცეს, საიდანაც იშვა ყველა არსება, ეს გულგრილობის (განუარჩევლობის), არაცნობიერის, ბნელის, აიდის სამყარო, რომელსაც ჰერაკლემ გამოსტაცა თევზის (სული), რათა იგი სინათლეზე, ცნობიერისაკენ გამოეყვანა.

12. ჰესპერიდების ვაშლები (სასწორი). ჰესპერიდების ვაშლების მოსაპოვებლად ჰერაკლეს მოუხდა, დროებით, ატლასის ადგილის დაკავება, რომელსაც მხრებზე ეკავა ღედამიწა, ე.ი. ეგრძნო სამყაროს სიმძიმე და პასუხისმგებლობა მის გამო. ჰესპერიდების ვაშლები (ჰესპეროს, ნიშნავს ცისკარს) ჯილდოა იმათთვის, ვინც შესძლო „მხეცთა წრის“ გავლა, მიადწია წონასწორობას (სასწორი) და დაინახა ახალი ცხოვრების „ცისკარი“. საგულისხმოა, რომ ჰერაკლემ ჰესპერიდების ვაშლები მიართვა ათენა-პალადას, ანუ სიბრძნეს.

ზოდიაქოს თითოეული ნიშნის (ადამიანის ცხოვრების ეტაპის) მნიშვნელობის, სიღრმისეული აზრის, მხოლოდ ასეთი გამოყოფის შემთხვევაშია შესაძლებელი ვისაუბროთ მათ არქეტეპულ მნიშვნელობაზე და მოვძებნოთ მათი ანარეკლი ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

ნაწარმოების ჟანრობრივი თავისებურებების შესაბამისად აღინიშნება ამა თუ იმ არქეტეპის გახსნის სპეციფიკა. თუ ნოველაში, როგორც წესი, საუბარია ერთ-ერთ არქეტეპთან დაკავშირებულ მოვლენებზე, მოთხრობაში, როგორც მომდევნო ერთფაბულიან ნაწარმოებში, გახსნილია ერთი არქეტეპი მასთან დაკავშირებული თემის აღწერისა და/ან განხილვის ფონზე. მოკლე მოთხრობაში, როგორც პირველ მრავალფაბულიან ჟანრში, ასახულია ან რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული არქეტეპი, ან ერთი და იგივე არქეტეპის განსხვავებული განხილვა (განსჯა), სხვადასხვა სიუჟეტურ ხაზებში. მოკლე რომანში, სხვადასხვა არქეტეპების ამსახველი, ურთიერთდაკავშირებული ხაზების გამომხატველი თხრობის ელემენტების გარდა, იზრდება აღწერისა და განსჯის დამოუკიდებლად ფორმირებული ერთეულების რაოდენობა. რომანში, როგორც ყველაზე უფრო პანორამულ ჟანრში, გადმოცემულია გმირის ცხოვრების ძირითადი ეტაპები, რომლებიც შეესაბამება გმირის მიერ განვლილი გზის ან ყველა ეტაპს, ან მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მონაკვეთს. გარდა ძირითადი ფაბულური ხაზებისა რომანის შემადგენლობაში შედის თავისუფალი თხრობითი მოტივების დიდი რაოდენობა. აღწერისა და განსჯის ელემენტების რაოდენობა ცალკეული თავების მოცულობას აღწევს, რაც ხელს უწყობს არქეტეპის ან ურთიერთდაკავშირებული არქეტეპების ჯგუფის უფრო სრულ გაშლას.

ლიტერატურა.

აივანჭოვი, 1997 — აივანჭოვი, „ზოდიაქო, ადამიანისა და სამყაროს წვდომის გასაღები“, მოსკოვი, 1997.

ელიადე, 1997 — ელიადე, „კოსმოსი და ისტორია“, მოსკოვი, „პროგრესი“, 1987

კუნი, 1957 — კუნი, „ძველი საბერძნეთის მითები და ლეგენდები“. მოსკოვი, 1957.

მებუკე, 1986 — თ. მებუკე, „აბზაცის სტრუქტურა ეპიკური პროზის ჟანრებში“. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 1986

მელეტინსკი, 1976 — მელეტინსკი, „მითის პოეტიკა“. მოსკოვი, 1976

ო.მ. აივანჭოვი. Op.cit

TAMAR MEBUKE

Structural and Semantic Bases for the Classification of Epic Genres

Summary

The paper presents the results of the study that have revealed some peculiarities of the reflection of archetypes in various prose genres. At is known, prose genres include : an essay, a novella, a story, a short story, a short novel, a novel. Structural classification of prose genres is carried out on the basis of five criteria :

1. a plotless, simple phot or multi-plot work.
2. Dominant means for conveying the material.
3. Existence of independently formed motifs of free narrative.
4. A simple-plot or multi-plot paragraph.
5. A monofunctional or multi-functional paragraph.

ირმა ბრძოლიძე

მოსაზრებები „სამეტყველო აქტთა თეორიის“ პოპულარობის მიზეზების შესახებ

XX საუკუნის პირველ ნახევარში ენათმეცნიერება საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ამახვილებდა ყურადღებას ენის ორი დიალექტიკურად ურთიერთდაკავშირებული მხარის — ენობრივი სისტემის შესწავლაზე, მაგრამ 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ლინგვისტთა ყურადღების ცენტრმა ამ დიალექტიკური ერთიანობის მეორე მხარის — სამეტყველო მოღვაწეობასა და მის პროდუქტზე — ტექსტზე, დისკურსზე გადაინაცვლა. ორიენტაციის ასეთი შეცვლის კანონზომიერ ხასიათსა და იმის შესახებ, თუ როგორ ცვლის იგი თანამედროვე ლინგვისტიკის იერსახეს, ბევრი დაიწერა, რაც გვათავისუფლებს ამაზე დაწვრილებით საუბრის აუცილებლობისგან. თუმცა აღვნიშნავთ, რომ სამეტყველო მოღვაწეობაზე შექმნილი წარმოდგენები აშკარად არასაკმარისი იყო მეტყველებისა და გაგების რეალური პროცესების ანალიზისათვის. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში კანონზომიერი აღმოჩნდა ლინგვისტთა ინტერესი სამეტყველო მოღვაწეობის ზოგადი თუ კერძო თეორიის აგების ნებისმიერი მცდელობის მიმართ.

მაინც რატომ გახდა ასეთი პოპულარული მაინცდამაინც სამეტყველო აქტთა თეორია (CFS)? იგი ხომ პირველი და ერთადერთი არ არის ენის სხვა მოღვაწეობითი წარმოდგენების რიგში? საკმარისია გავიხსენოთ ვ. ჰუმბოლდტის ღრმა „ლინგვო-ფილოსოფიური კონცეფცია“ და სხვა ჰუმბოლდტისტური „ორიენტაციის კონცეფციები“, ა. გარდინერის „ენისა და მეტყველების თეორია“, მ. ბახტინის „გამონათქვამის თეორია“, სამეტყველო მოღვაწეობის თეორია, „არგუმენტაციის თეორია“ (ნეორიტორიკა), პროცესუალური სემანტიკა, რომელიც წარმოიშვა ადამიანისა და მანქანის ურთიერთობის სისტემის შექმნის კონტექსტში და ა.შ.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ CFS-ის პოპულარობის მიზეზთა შორის

არსებობს როგორც ზოგადი, ასევე სპეციფიკური, მისი შინაარსიდან მიმდინარე მიზეზებიც.

თავიდან შევჩერდეთ CFS-ის ზოგად მახასიათებლებზე, რომლებიც განსაზღვრავენ მის ადგილს სამეტყველო მოღვაწეობის თეორიათა ტიპოლოგიაში.

1) თეორიის მეთოდოლოგიური სტატუსი; 2) მისი კონცეპტუალური წანამძღვრები; 3) ენის კვლევის სფეროს განსაზღვრის მოცულობა; 4) შესწავლის ობიექტის განსაზღვრული ასპექტის გამოკვეთა; 5) დამოკიდებულება მოღვაწეობის სუბიექტისადმი; 6) კვლევის მეთოდი.

1. თავისი მეთოდოლოგიური სტატუსით CFS-ი წარმოადგენს ვიწრო სპეციალურ ლინგვისტურ თეორიას, რომელსაც არ გააჩნია იმის პრეტენზია, რომ წამოაყენოს ზოგადი თეორია ენის ბუნების შესახებ, ჰუმბოლდტიანური ორიენტაციის მქონე მოღვაწეობითი კონცეფციებისაგან განსხვავებით.

2. ისევე, როგორც სამეტყველო მოღვაწეობის ნებისმიერი სხვა თეორიას, CFS-ს გააჩნია თავისი წინამძღვრები. ამ თეორიის შექმნელთათვის იგი, უპირველეს ყოვლისა, წარმოდგებოდა, როგორც იმ წარმოდგენათა გაღრმავება და განვითარება ენობრივი გამონათქვამების არსისა და მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო ფილოსოფიურ ლოგიკაში. ასე, მაგალითად, ჯ. სერლი, აყალიბებს რა ზმნის „პრომისე“ — „დაპირება“ როგორც გამონათქვამის ფუნქციის მაჩვენებლის გამოყენების წესებს, განიხილავს ამას, როგორც იმ შეხედულების მართებულობის დასტურს, რომლის თანახმად ენობრივი გამონათქვამის მნიშვნელობის ცოდნა წარმოადგენს მისი გამოყენების, ხმარების წესების ცოდნას. ეს შეხედულება მნიშვნელობაზე, ისევე, როგორც წარმოდგენა ენის მჭიდრო კავშირზე იმ არა საკუთრივ სამეტყველო მოქმედებებთან, რომლებშიც იგი არის ჩართული, — წარმოადგენს დადასტურებას იმ ღრმა იდეური გავლენისა, რომელიც მოახდინა CFS-ზე გვიანდელი ვიტგენ-შტაინისეულმა შეხედულებებმა.

თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ CFS-თვის დამახასიათებელია ის, რომ იგი არ ემყარება რომელიმე ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ ან ფილოსოფიურ თეორიას.

3. CFS-ის კვლევის ობიექტს წარმოადგენს სამეტყველო აქტი, რომელიც მდგომარეობს მოსაუბრის მიერ წინადადების წარმოქმნაში

მსმენელთა უშუალო ურთიერთობის სიტუაციაში. ამრიგად, CFS-ს ახასიათებს მაქსიმალურად ვიწრო კვლევის ობიექტი სხვა თეორიებთან შედარებით. მართლაც, „დისკურსის ანალიზის“ კონცეფციაში კვლევის გლობალურ ობიექტს წარმოადგენს ტექსტი ანუ სამეტყველო აქტების გაცვლა. სამეტყველო მოღვაწეობის ფსიქოლინგვისტურ თეორიაში კვლევის გლობალურ ობიექტს წარმოადგენს ურთიერთობა (კომუნიკაცია) სოციალური ურთიერთმოქმედების მთლიანი აქტის ფარგლებში. კიდევ უფრო ფართო კვლევის სფეროა წარმოდგენილი ჰუმბოლდტიანური ორიენტაციის კონცეფციებში, რომლებიც შეისწავლიან მთლიანად ენობრივ მოღვაწეობას. კვლევის სფეროს დავიწროებამ, ერთი მხრივ, შეზღუდა CFS-ის შესაძლებლობები, მაგრამ, მეორე მხრივ, საშუალება მისცა მას გაემახვილებინა ყურადღება სამეტყველო აქტის შინაგანი სტრუქტურის დაწვრილებით აღწერაზე. შემთხვევითი არ არის, რომ სამეტყველო მოღვაწეობის ის კონცეფციები, რომელთაც უფრო ფართო დიაპაზონი გააჩნიათ, სამეტყველო მოღვაწეობის მინიმალურ ერთეულებზე მსჯელობისას, იყენებენ ბევრ ისეთ ცნებას, რომელიც CFS-შია დამუშავებული.

4. სამეტყველო აქტის ანალიზისას, პრინციპში, შესაძლებელია, ყურადღება გამახვილდეს მისი კვლევის სხვადასხვა ასპექტზე — სტატიკურზე ან დინამიკურზე. CFS-ის შემქმნელთა ნაშრომებში პრევალირებს სტატიკური მიდგომა სამეტყველო აქტისადმი, რაც იძლევა საყვედურის საფუძველს ურთიერთობის დინამიკური ხასიათის იგნორირების გამო. თუმცა მასში დინამიკური მიდგომის ელემენტებიც გვხვდება. ასე, მაგალითად, ჯ. სერლი აყალიბებს იმ წესების თანმიმდევრობას, რომლებითაც ხელმძღვანელობს მოსაუბრე, როდესაც ირჩევს ზმნას პრომისე — დაპირება თავისი გამონათქვამის ფუნქციის ექსპლიკაციის მიზნით, ახდენს იმ პროცედურების რეკონსტრუირებას, რომელთაც განახორციელებს მსმენელი ისეთი გამონათქვამების გასაგებად, რომელთა აქტუალური აზრიც არ ემთხვევა მათ სიტყვა-სიტყვით აზრს. განვითარების პროცესში CFS თანდათან იხრება დინამიკური მიდგომისაკენ. ამ მხრივ გარკვეული როლი შეასრულა ენისადმი პროცედურული, ანუ პროცესუალური მიდგომის იდეებმა, რომლებიც ჩამოყალიბებულ იქნა ხელოვნური ინტელექტის გამოკვლევებში.

5. CFS-ში სამეტყველო მოღვაწეობის სუბიექტი გაიგება, რო-

გორც აბსტრაქტული ინდივიდი, რომელიც არის რიგი ფსიქოლოგიური (განზრახვა, ცოდნა, ემოციური მდგომარეობა, ნება) და სოციალური (სტატუსი მსმენელის მიმართებაში, ფუნქცია გარკვეული სოციალური ინსტიტუტის ფარგლებში) მახასიათებლების მატარებელი.

ბ. ობიექტის კვლევის ძირითად მეთოდს CFS-ში წარმოადგენს ანალიტიკური მეთოდი. სამეტყველო მოღვაწეობის ფსიქო- და სოციოლინგვისტურ თეორიებისაგან CFS იმით განსხვავდება, რომ იგი ეყრდნობა აზროვნებითი ექსპერიმენტის მონაცემებს, მაშინ, როდესაც ფსიქო- და სოციოლინგვისტური თეორიები ეყრდნობიან სოციოლოგიასა და ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში შემუშავებული მონაცემების შეგროვებასა და გადაამუშავებას.

ზემოთქმულის შეჯამებით მივიღებთ CFS-ის ზოგად დახასიათებას; ეს არის ლოგიკურ-ფილოსოფიური თავისი თავდაპირველი ინტერესებით და ლინგვისტური — თავისი შედეგებით — მოღვაწეობა სამეტყველო ურთიერთობის ელემენტარული ერთეულის — სამეტყველო აქტის აგებულების შესახებ.

დავახასიათოთ რა CFS გარედან, მისი ზოგადტიპოლოგიური თვისებების კუთხით, გადავიდეთ მისი სპეციფიკური თვისებების განხილვაზე.

კომუნიკაციური მოღვაწეობის ვერც ერთი თეორია, მიუხედავად მისი კვლევის ობიექტის მასშტაბებისა, ვერ აუვლის გვერდს კომუნიკაციური სიტუაციის მოდელის ფორმულირებას.

CFS გვთავაზობს კომუნიკაციური სიტუაციის საკუთარ, ორიგინალურ მოდელს. ისეთ კომპონენტებთან ერთად, როგორცაა მოსაუბრე, მსმენელი, გამონათქვამი, გარემოებანი, რომელთა გარეშეც არ არსებობს ურთიერთობის არც ერთი მოდელი (სხვა მოდელებში ამ კომპონენტებს შეიძლება გააჩნდეს სხვა სახელწოდებები), CFS-ში სამეტყველო აქტების მოდელი შეიცავს აგრეთვე სამეტყველო აქტის მიზანს და რეზულტატს.

CFS-ის მთავარი თავისებურება, რომელმაც მიიპყრო ლინგვისტთა ყურადღება, არის სამეტყველო აქტის გაგება, როგორც ადამიანის მიერ გარკვეული მიზნის მიღწევის ხერხი, საშუალება. ერთიანი სამეტყველო აქტი CFS-ში წარმოდგება, როგორც სამი დონის შემცველი წარმონაქმნი. სამეტყველო აქტი მის პროცესში გამოყენებული ენობრივი საშუალებების მიმართ წარმოადგენს ლოკაციურ აქტს.

სამეტყველო აქტი იმ მიზნის მიმართ, რომლის მანიფესტირებაც ხდება, და აგრეთვე მისი განხორციელების პირობების მიმართ წარმოადგენს ილოკაციურ აქტს, და ბოლოს, თავისი შედეგების მიმართ სამეტყველო აქტი გამოდის, როგორც პერლოკაციური აქტი.

რაც შეეხება პერფორმატიულ გამონათქვამთა გამოყოფას, შეიძლება ითქვას, რომ იგი ჯ. ოსტინის მოძღვრების ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს. პერფორმატიკის აღმოჩენით ჯ. ოსტინმა ენის სრულიად ახალ ფუნქციას გაუსვა ხაზი.

ჩვენი აზრით, ყველა ზემოხსენებული მიზეზების გამო „სამეტყველო აქტთა თეორიამ“ მართლაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა თანამედროვე ლინგვისტიკაში.

ლიტერატურა

ოსტინი, 1962 — J. Austin "How to do thing with words". Oxford University Press, 1962.

IRMA GRDZELIDZE

Some Reasons for the Popularity of Speech Act Theory

Summary

The paper discusses some general, as well as, specific reasons that have made J. Austin's Speech Act Theory so popular. Among the general reasons the following can be enumerated: the methodological status of the theory, its conceptual background, methods of research, definition of the volume of the field of research etc.

The paper focuses on two specific reasons:

- 1) originality of the model of communication presented in the theory
- 2) introduction of the notions "performative" and "constative" and the distinction between them.

გვანცა ხანტურია

მეტყველების წარმოქმნისა და გაგების პროცესი ვერბალურ ინტერაქციაში

ბოლო წლებში ინტერაქციის ფენომენის მიმართ მეცნიერთა ინტერესი გაიზარდა, ამიტომ შევეცადეთ წარმოგვედგინა, თუ რას ნიშნავს ინტერაქცია, კერძოდ ვერბალური ინტერაქცია.

ცნებას „ინტერაქცია“, სხვადასხვა მეცნიერები სხვადასხვაგვარად განიხილავენ.

მისი თავდაპირველი მნიშვნელობა არის შემდეგი : ორი ფენომენის ან პიროვნების ურთიერთზეგავლენა. ფსიქოლოგები ინტერაქციას მიიჩნევენ ინდივიდთა ჯგუფურ პროდუქტად, ხოლო ე. გოფმანის აზრით, ეს არის ინდივიდთაგან დამოუკიდებელი სისტემები. ალენ ტრონიონი კი აცხადებს, რომ „ინტერაქცია არის ქცევათა მარტივი თანმიმდევრობა“. უ. ჰერპენი თვლის, რომ „ინტერაქცია არის პარტნიორთა შორის ურთიერთზეგავლენა“.

ვერბალური ინტერაქცია კი ჰ. კაიზერის აზრით, „არის თანამოსაუბრეთა შორის ბუნებრივი ვერბალური ურთიერთობა“.

ა. ტრონიონი განასხვავებს ემპირიული ინტერაქციის ცნებას, „საუბარში გამონათქვამთა თანმიმდევრულ რიგს“, „ქცევათა რიგს“, რომელიც საუბარს განიხილავს, როგორც მთლიანობას და ლოგიკურ ცნებას ; ასევე აღსანიშნავია „მოლაპარაკის მიერ განხორციელებული აქტის აღქმა მსმენელის მიერ და ამ აღქმის, შეცნობის ანტიციპაცია მოლაპარაკის მიერ“, რაც საუბრისეულ წამს ედება.

ა. ოშლენი საუბრის ანალიზის იერარქიულ და ფუნქციონალურ მოდელს ემყარება (რომელიც ეფუძნება იერარქიულ წყობას, ფუნქციონალურ წყობას, რეკურსულ პრინციპს) დინამიურ მოდელს. ეს მოდელი ცდილობს დროისეული მსვლელობის ღერძზე, სადაც აიგება ინტერაქცია, მოახდინოს პროტაგონისტების მიერ თანმიმდევრული შემადგენლების ინტერპრეტაციათა ინტეგრირება.

ფ. ჟაკს სურს აქტიურად აღწეროს და აღადგინოს მნიშვნელო-

ბის სემანტიკურ-პრაგმატული პროცესი რეფერენციისა და ილოკუციური ძალით.

მაშასადამე, ინტერაქცია აღარ იქნება არც მოქმედება ან რეაქცია, რომელიც ერთი არსებიდან მეორეზე გადადის, არც რეტროაქციული ურთიერთზეგავლენა, რასაც პარტნიორები ახორციელებენ თავიანთ ვერბალურ ქმედებებზე, არამედ ეს არის სრული პროცესი, რომელიც მყარდება მათ შორის, რადგან ისინი ურთიერთობენ.

ამგვარად, როგორც ჩანს, მყარდება კომუნიკაციის ნამდვილი პრაგმატიკა, ვითარდება პერსპექტივის გადაადგილება სუბიექტურობიდან „ინტერსუბიექტურობამდე“, ილოკუციიდან „ინტერლოკუციამდე“, დიალოგური პრაგმატიკა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ახორციელებენ გარკვეულ გავლენას ურთიერთობის განსხვავებული პარტნიორები, რომლებსაც მიიჩნევენ „თანაგამომქმედებად“ (ან ინტერაქტანტებად). ისინი თანამშრომლობენ, რათა ერთად უზრუნველყონ ინტერაქციის მართვა ორმხრივი რეგულირების, ინტერსინქრონიზაციისა და პერმანენტული მოლაპარაკებების სახით (მეტნაკლებად მშვიდობიან ან კონფლიქტურ შემთხვევაში). მოკლედ, ეს არის ის, თუ როგორ ქმნიან ისინი ერთად, ნაბიჯ-ნაბიჯ იმ განსხვავებულ ობიექტს, რასაც ეწოდება საუბარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ვერბალური ინტერაქცია საჭიროებს მოლაპარაკე პირსა და მსმენელს შორის პერმანენტულ რეგულირებას, პირველი წარმოქმნის გამონათქვამებს ისე, რომ მსმენელმა მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია; ეს უკანასკნელი კი ინტერპრეტაციას აგებს მისი პარტნიორის მიერ განხილული დემარშის ბაზაზე. მაშასადამე, ნათელია, რომ კომუნიკაცია გულისხმობს მეორე პირის განზრახვათა გაგებასა და შეცნობას.

საუბარი შეიძლება იყოს მიჩნეული, როგორც ინტერაქციის განსაკუთრებული შემთხვევა (მისი ფუნქციონირება არავერბალური ინტერაქციების ფუნქციონირების ანალოგიურია და შეიცავს მრავალ არხს). ეს არის კოდირებული, რიტუალიზებული ურთიერთობა, რომელიც წარმართულია კანონების მიხედვით; ეს წესები მოქმედებენ საუბრის ფუნქციონირების სხვადასხვა დონეზე (საქმე ეხება არსებულ ურთიერთობებს მოცემული ტექსტის განსხვავებულ შემადგენელ ერთეულებს შორის ან ურთიერთობებს, რომელიც ყალიბდება ამ ტექსტის შუამავლობით ურთიერთობის სხვადასხვა პარტნიორებს შორის). ინტერაქციის ყველა დამოუკიდებელი მოდელი შეიძლება იყოს

მხოლოდ მრავალგანზომილებიანი და მრავალფუნქციური.

ინტერაქციის საუბრისეული მიდგომის უპირატესი ინტერესი არის ის, რომ გამოაშკარავოს ლოგიკური ორგანიზაციის მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება თანამოსაუბრეთა მიერ ვერბალურ ინტერაქციაში. ეთნომეთოდოლოგია და საუბრის ანალიზი დიდი ხნის განმავლობაში შეისწავლიდა ზოგიერთ ამ მექანიზმს. საუბრისეული მიდგომა დაკავებულია მხოლოდ ლინგვისტური და საუბრისეული სტრუქტურებითა და ფენომენებით. ისინი მიჩნეულია სოციალურ ქმედებებად. გამონათქვამის სტრუქტურის აღწერა წარმოაჩინეს ვერბალურ ურთიერთობას (ვერბალურ ინტერაქციას), როგორც ყოველდღიურ ურთიერთობებს ლინგვისტურ ქმედებაში.

ამგვარად, საუბრისეული მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება ინტერაქტანტთა მიერ, გაგებულია, როგორც მოქმედებისა და სოციალური რეაგირების საშუალება. თუმცა საკითხი იმის შესახებ, დამოკიდებულია თუ არა ეს ვერბალური ქმედებები ინტერაქტანტთა გონებრივ ოპერაციებზე, არ დაისმის. თუმცა ზოგიერთი ამ მექანიზმის თავიდან გაანალიზების შემდეგ შეიძლება, აღმოაჩინონ მუდმივი მიმართებები კოგნიტიურ დონესთან. საუბრისეული მიდგომა მიემართება თანამოსაუბრეთა გააზრებულ ცოდნას, მათ რწმენასა და კომუნიკაციურ განზრახვას.

საუბრისეული მიდგომის უპირატესი მექანიზმია ის, რომ საუბარი არის ერთი სამეტყველო ქცევიდან მეორეზე გადასვლა. თანამოსაუბრეები მას თანადროულად და ინტერაქციულად ახორციელებენ ან მოლაპარაკე პირი წარმოქმნის ერთ „ჯერს“ (გამონათქვამს), მას იგებს მსმენელი, რასაც იგი გამოხატავს ვერბალური ან არავერბალური რეაქციით — წარმოქმნის რა თავის ჯერზე კიდევ ერთ გამონათქვამს. მასასადამე, მსმენელი ამ დროს ხდება მოლაპარაკე პირი და პირიქით. ამგვარად, ეს წარმოქმნილი გადასვლა (turntaking) იღებს ზოგად და ფაკულტატიურ ხასიათს. იგი ხდება სპეციფიკური ზოგიერთი ჯერის (გამონათქვამის) ეპიზოდებად დაყოფისას, რომელიც ორმხრივად დაკავშირებულია „პირობითი დამოკიდებულების“ პრინციპთან.

მოლაპარაკე პირი წარმოქმნის თავის „ჯერს“, რომელსაც გააჩნია თავისი სინტაქსური სტრუქტურა და ის პროპოზიციონალური შინაარსი, რომლის გადაცემაც სურს მას. ეს ხორციელდება ან პერფორმაციული მოდალურობის მიხედვით, (რომლის გამოხატავს სურს) ან

კიდევ იმით, რომ მოლაპარაკე პირმა იცის, რომ თავისი „ჯერის“ შემდეგ მან შეიძლება, დაკარგოს სიტყვის უფლება და იგი გადავა აქტუალურ მსმენელთან. მოლაპარაკის მიერ გამონათქვამის წარმოქმნისას მსმენელი არ იმყოფება მიმღების მდგომარეობაში, არამედ ის უკვე იწყებს თავისი ჯერის დაგეგმვას და თავისი ჯერისათვის იგი უკვე მომზადებულია. მოლაპარაკე პირს უფლება აქვს, აირჩიოს ის თანამოსაუბრე, რომელსაც მისცემს სიტყვის უფლებას, გამოიყენებს რა ზოგიერთ ვერბალურ ან არავერბალურ ტექნიკას (მექანიზმებს). მსმენელმა კი თავის ჯერზე უნდა შეძლოს ამ მექანიზმების ლინგვისტური საშუალებების იდენტიფიცირება თავისი ლინგვისტური ცოდნის დახმარებით. უნდა გამოიყენოს ისინი, თუკი სურს, რომ მიიღოს სიტყვის უფლება.

მეორე მნიშვნელოვანი საუბრისეული პრინციპი არის ეპიზოდებად დაყოფა, რომელიც ადგილს იკავებს ვერბალური ინტერაქციის ხაზოვან დროისეულ განვითარებაში და მეტყველებისას მოლაპარაკეთა მონაცვლეობაში. საუბრისეული მიდგომა იყოფა გლობალურ (შესავალი, განვითარება, დასასრული) და ლოკალურ ეპიზოდებად. მინიმალურ ეპიზოდს ეწოდება „მომიჯნავე წყვილი“, სადაც ორი ჯერი მოსდევს ერთმეორეს „პირობითი დამოკიდებულების“ პრინციპის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ დაყოფის ეს სახე ექვემდებარება ვერბალურ ქცევას (მაგ : წყვილი „კითხვა-პასუხი“). იგი აჩვენებს, რომ ვერბალური ინტერაქციის ფუნქციონირება საბოლოოდ დამოკიდებულია თანამოსაუბრეთა მიერ ამ შებრკოლების ცოდნაზე ანუ აქ საქმე ეხება საუბრის ლინგვისტურ ცოდნას, რაც ელემენტარულია ინტერაქციის წარმოქმნის, გაგებისა და განვითარებისათვის. თუკი მსმენელი რეაგირებს თანხმობით „პირობითი დამოკიდებულების“ პრინციპით, იგი ავტომატურად ანიშნებს მოლაპარაკეს, რომ მან გაიგო გამონათქვამის პრაგმატული (ილოკუციური) ფუნქცია.

საუბრის ანალიზში ვიწროდ გამოიყენება „ინტერპრეტაციის“ ცნება ინტერაქციულ ასპექტთან. საქმე ეხება იმას, გაიგო თუ არა მსმენელმა ის აზრი, რომელიც ჩააქსოვა მოლაპარაკე პირმა, მაგრამ მოლაპარაკეს შეუძლია ისე დაგეგმოს გამონათქვამი, რომ გაითვალისწინოს თანამოსაუბრის (ამ შემთხვევაში მსმენელის) შესაბამისი ინტერპრეტაციის უნარი. ამის შედეგად იგი მას თავის განზრახვას გააგებინებს და გამოათანინებს იმ დასკვნას, რაც მას სურდა.

გაგება, როგორც სემანტიკური ინტერპრეტაციის პროცესი, გამო-

იყენება საუბრისეულ მიდგომაში უფრო ობიექტთა იდენტიფიკაციის სახით, როცა ეყრდნობიან გაზიარებულ ცოდნას (*savoir partagé*) და ყოველდღიურ ცოდნას (*savoir quotidien*). როცა მოლაპარაკე წარმოქმნის ექსტრალინგვისტურ გამონათქვამებს, მიმართავს ობიექტებს, საგნებს, არსებულ ვითარებას და იგი თანამოსაუბრისაგან ელოდება იმას, რომ ეს უკანასკნელი ამ გამონათქვამების ინტერპრეტაციას მოახდენს, გამოიყენებს რა იმ იდეალებს, რომლებსაც ის იყენებდა მათი წარმოქმნისას.

ამრიგად, სტატიაში განვიხილეთ ის მექანიზმები და კონცეფცია, რომელთა მეშვეობით საუბრისეული მიდგომა აღწერს ვერბალური ინტერაქციების მსვლელობას. ეს კონცეფციები შეიძლება გადმოიცეს წარმოქმნისა და გაგების ტერმინებით, მაშასადამე, უნდა იყოს ინტერაქციული კოგნიტიურ/პროცედურულ მოდელებში, რომლებიც ვერბალურ ინტერაქციაში ბუნებრივ მდგომარეობაში იყენებენ ენას, მეტყველებას.

ლიტერატურა

ბელკონი, 2002 — BaKlon, C. “Conversation et interaction”, in *Sociolinguistique, Sociétés, Langue et Discours*, d. Nathan/VUEF 2002, pp. 201-235

ბრასკი, 2001 — Brassac, C. “L’interaction communicative entre intersubjectivité et interagentivité”, in *Langages*, Larousse/VUEF, décembre 2001, pp. 39-52

გრავი — Grawitz, M. “Méthodes des sciences sociales”, éd. Nathan, pp. 123-126

ჯაკი, 1988 — Jacques, F. “Trois stratégies interactionnelles - conversation, négociation, dialogue”, in “Echanges sur la conversation”, éd. du CNRS, 1988, pp. 50-53

კოჩერი, 1988 — KaKser, H. “Quelques aspects de la compréhension et de la production du langage dans l’interaction verbale : approche cognitive et approche conversationnelle”, in “Echanges sur la conversation”, éd. du CNRS, 1988, pp. 135-143

ტრონიონი, 1988 — Trognon, A. “Comment représenter l’interaction?”, in “Echanges sur la conversation”, éd. du CNRS, 1988, pp. 19-31

The Process of Speech Production and Comprehension in Verbal Interaction

Summary

The paper examines the problem of speech production and comprehension from the standpoint of conversational analysis. As is known, conversational analysis place emphasis on the features of spoken interaction and the social behaviour of participants in talk.

The paper examines the basic mechanism and principles of the theory in question.

ინოლა ავაქიძე

კულტურული შოკი: მისი წარმოქმნა და აცილების ხერხები

(ბრიტანული და ქართული სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტის
მაგალითად).

When in Rome, do as the Romans do.

რა ქვეყანას მიხვდები, იქაური ქული დაიხურეო.

უცხო ქვეყანაში სტუმრობისას, ადრე თუ გვიან, დგება ხოლმე პერიოდი, როდესაც თქვენ განიცდით იმას, რასაც კულტურული ან ყოფითი შოკი (culture shock)¹ ჰქვია. საქმე ისაა, რომ ამ დროს ერთი ერის წარმომადგენელი ხვდება მისთვის სრულიად უცხო კულტურულ და სოციალურ გარემოში, და, შესაძლებელია, იგი გარკვეულ სირთულეებს წააწყდეს უცხო კულტურასთან და მის ადათ-წესებთან შეგუებისას. შედეგად, მას ისეთი გრძნობები ეუფლება, როგორცაა გაკვირვება, პატივისცემა, გაბრაზება, იმედგაცრუება, უცხო კულტურისადმი გაუცხოება და მისი მიუღებლობის შეგრძნებაც კი. აქ უნდა ითქვას, რომ თუ ორი სხვადასხვა ერის წარმომადგენელი ვერ უგებს ერთმანეთს მათ შორის არსებული სხვადასხვა კულტურული ღირებულებების, არსებული სოციალური წყობის და წეს-ჩვეულებების გამო, ეს კულტურული შეჯახების (culture bump) მიზეზი ხდება, რაც თავის მხრივ, ყოფით შოკს იწვევს. შეუძლებელია ზუსტად იმის თქმა, რა შეიძლება განიცადოს თითოეულმა ადამიანმა სხვა ქვეყნის კულ-

¹ ტერმინი „კულტურული შოკი“ XX საუკუნის შუა წლებიდან გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში დაძაბულობის, დაურწმუნებლობისა და შფოთვის იმ შეგრძნების აღსანიშნავად, რომელსაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი განიცდის ახალ და უჩვეულო კულტურულ გარემოში აღმოჩენისას. ეს არის სიტუაცია, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ადამიანისათვის ჩვეული და უცხო კულტურების ფასეულობები, ნორმები, ენა და ყოველდღიური ცხოვრება. მოკური რეაქციის სიძლიერე განისაზღვრება მათ შორის არსებული განსხვავების ხარისხით (Культурология XX век. 1998).

ტურისადმი ადაპტაციის დროს, რადგან უცხო ქვეყანაში ცხოვრების პირველ ხანებში ადამიანს სხვადასხვა ემოცია ეუფლება. პამელა სმი-თის მიხედვით, არსებობს ხუთი „ტიპური“ დონე, რომელთა გავლაც ადამიანს უცხო გარემოში ხშირად უხდება. ეს დონეებია: *თაფლობის დონე (the honeymoon stage)*, *დარდის, მწუხარების დონე (the distress stage)*, *რეინტეგრაციის დონე (the re-integration stage)*, *ავტონომიის დონე (the autonomy stage)* და *დამოუკიდებლობის დონე (the independence stage)*.

ტიპური *თაფლობის დონის* დროს, ყველაფერი ახალი თქვენ გარშემო განსხვავებული და მეტწილად დადებითია. ხალხი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, თქვენ ენთუზიაზმით ხართ განწყობილი იმ სიახლეებისადმი, რომლის მოლოდინშიც ხართ.

დარდის, მწუხარების დონის დროს, სიახლის და აღწევების შეგრძნება თანდათან ქრება და ყოველდღიური ცხოვრების სიძნელეები იჩენს ხოლმე თავს. ადამიანმა, შესაძლოა, თავი იგრძნოს დაბნეულად, მოშლილად, იზოლირებულად და სამშობლოზე დანაღვლებულად. უფრო მეტიც, მას, შესაძლოა ჯანმრთელობის პრობლემებიც შეექმნას, როგორცაა უძილობა, ალერგია ან წარმოიშვას სირთულე ახალი (უცხო) საკვების შეგუებასთან დაკავშირებით. ეს რეაქციები უჩვეულო არ არის და უმეტესად დროთა განმავლობაში ქრება.

რეინტეგრაციის დროს, შეიძლება თავი ჯერ კიდევ დათრგუნულად ან დაუცველად იგრძნოთ; შესაძლოა სხვები დაადანაშაულოთ იმაში, რასაც გრძნობთ და განიცდით და უარყოთ ის ახალი კულტურა, რომელშიც აღმოჩნდით. მალე, შესაძლოა, იმაზე ფიქრიც დაიწყოთ, რომ სამშობლოში *ყველაფერი* ბევრად უკეთესად იყო, ვიდრე იქ, სადაც ახლა ხართ. ეს რეაქციები ნორმალურია, ეს ისაა, რითაც ადამიანები ცდილობენ შეეგუონ დიდ ცვლილებებს თავიანთ ცხოვრებაში.

საბედნიეროდ, *ავტონომიის დონეზე* გასვლისას, როგორც წესი უფრო იმედინად ხართ განწყობილი. უფრო მეტად რწმუნდებით იმაში, რომ შეგიძლიათ ახალ სიტუაციასთან შეგუება, და, შესაძლოა, უფრო ნაკლებად გახდეთ სხვებზე დამოკიდებული. ამის შედეგად, უკვე აღწევთ *დამოუკიდებლობის იმ დონეს*, რომელსაც ახალი კულტურის უნიკალური და საინტერესო ასპექტებისადმი მგრძობიარობა ახასიათებს. ამ სტადიაში უკვე გადალახული გაქვთ შეგუების პროცესი; თქვენ შეგიძლიათ დატკბეთ საკუთარი გამოცდილებით და

აღადგინოთ ცხოვრებისეული ბალანსი. ახლა მთელი წრე გავლილი გაქვთ და თავს ისევ კარგად გრძნობთ (სმიითი, 2004).

უნდა ითქვას, რომ ორი განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებს შორის კულტურული შოკის მიზეზი ერთნაირი ყოფილი ბაზისის ანუ ფონისეული ცოდნის არარსებობა ხდება, რაც ხშირად ენობრივ ფორმებში გამოვლინდება. ამის მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ჩემი ერთ-ერთი ბრიტანელი ინფორმანტის სიტყვები: „მე არ მომწონს, რომ მაძალებენ სუფრასთან დაჯდომას, მით უმეტეს ისეთი სიტყვებით, როგორცაა, „დაჯექი“ (*sit down*), „მოდი“ (*come in*). ეს ჩემს უპატივცემლობად მიმაჩნია და ჩემზე გარკვეული ზეგავლენის განხორციელების მცდელობა მგონია“. საქმე ისაა, რომ ოჯახში შემოსულ ახლობელს ქართველი შემდეგნაირი ფრაზებით უწევს მასპინძლობას: „მოდი“, „დაჯექი“ და სხვა. ქართული ენის ინტერფერენციით ქართველი მასპინძელი უცხოელი სტუმრის მიპატიჟებისას პირდაპირ თარგმნის ინგლისურად ამგვარ ფრაზებს, და, შედეგად, ასე მიმართავს უცხოელს: "*Come in*", "*sit down*". ბრიტანელი კი, რომლისთვისაც ბრძანებით კილოში მიმართვა მიუღებელია, ამას მიიჩნევს არა მიპატიჟებად, არამედ ბრძანებად, რაც მასში პროტესტს იწვევს. ამიტომ, უმჯობესია, ქართველმა მასპინძელმა შემდეგნაირად მიიპატიჟოს უცხოელი სტუმარი სუფრასთან: **Will you sit down, please?** (დაბრძანდით, გეთაყვა); **Come in, please** (მობრძანდით, გეთაყვა), ანუ იცოდეს თუ როგორი ენობრივი ფორმებია მისაღები ამა თუ იმ ყოფით სიტუაციაში.

ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი ადამიანისთვის და მათ შორის, ქართველებისთვისაც, ბრიტანელების მიერ ოფიციალურობის გამოხატვა გულგრილობის ნიშნად მიიჩნევა. სინამდვილეში, თუ ბრიტანელს სურს თავისი მეგობრული დამოკიდებულების გამოხატვა სხვა ადამიანის მიმართ, ის ოფიციალურ მხარეს არ იცავს. ეს ნიშნავს იმას, რომ ის არ მიმართავს ადამიანს წოდებით (**Mr, Mrs, Professor-ბატონო, ქალბატონო, პროფესორო**), შესაძლოა ის შინაურულად ჩაცმული დახვდეს სტუმარს (რაც, ვფიქრობ, ქართველისათვის მიუღებელი და შეურაცხმყოფელიცაა), არ ჩამოართმევს ხელს სტუმარს შეხვედრისას და არ მიმართავს მას საყოველთაოდ ხმარებული თავაზიანი სიტყვით "**please**" (გეთაყვა). ბრიტანელის ამგვარი საქციელი არ ნიშნავს იმას, რომ იგი არამეგობრულად ან უპატივცემლოდ გექცევით, ეს სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ მას მეგობრად მიაჩნის-

ართ და ამ შემთხვევაში მეტად ოფიციალური წესების დაცვა საჭირო აღარ არის. ქცევის ამგვარ ფორმას დადებით თავაზიანობას (**positive politeness**) უწოდებენ, რაც სხვა ადამიანის მიმართ მოლაპარაკის მხრიდან მეგობრულ დამოკიდებულებას გამოხატავს. ხოლო, თუ კი მიმართვა ხდება სათანადო წოდებით ან სიტყვა „please“-ის გამოყენებით, ბრიტანელი ამით ოფიციალურ ურთიერთობას უსვამს ხაზს, რაც, თავის მხრივ, დისტანციას ქმნის ადამიანებს შორის. ეს კი უარყოფითი თავაზიანობის მაგალითია (**negative politeness**).

აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივ, ბრიტანელები უკარება და არასტუმართმოყვარე ხალხად მიაჩნიათ. ერთი შეხედვით ეს თითქოს ასეა. სინამდვილეში კი ბრიტანელები დიდ პატივს სცემენ ადამიანების განმარტოვებას და არ სურთ მისი დარღვევა. ანდრე მორუა იუმორით შენიშნავდა: „ინგლისში სიჩუმის გამო თქვენ არავინ არ დაგადანაშაულებთ. თუ თქვენ სამი წლის განმავლობაში სიტყვას არ დაძრავთ, ისინი დაასკვნიან, რომ კარგი, წყნარი ადამიანი ხართ“ (ინგრემსი, 1989). რაც შეეხება ბრიტანელების სტუმარ-მასპინძლობას, უნდა ითქვას, რომ, თუ სტუმარი მასპინძლისათვის ნაცნობი ადამიანია ან სარეკომენდაციო წერილი აქვს, ბრიტანულ ოჯახში მას გულლიად მიიღებენ და ღირსეულ მასპინძლობასაც გაუწევენ. უილიამ ტრევიორი წერდა: „უცხოელი უცებ ვერ გრძნობს ბრიტანელების სიბზოს, მაგრამ თუ ისინი მას მიიღებენ, ანებივრებენ და მათ მეგობრობას საზღვარი არა აქვს“ (ინგრემსი, 1989).

ქართველმა უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტიც, რომ ბრიტანეთში არ არის მიღებული მოულოდნელი სტუმრობა. ისეთი გამონათქვამები, როგორცაა: „გამომიარე“, „გვინახულე ხოლმე“, ანუ ჩვენთვის ჩვეული ფრაზები, შესაძლოა, ბრიტანელებს შორის საუბარშიც შეგვხდეს: „You might come over any time“ (ნებისმიერ დროს გამოიარე), „Why don't you come and have a cup of coffee some day?“ (ხომ არ შემოივლიდი ჩვენთან ყავის დასალევად?). ამგვარ გამონათქვამებს ფატიკური კომუნიკაციის მაგალითებს უწოდებენ, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ პოზიტიური თავაზიანობის ხასიათი აქვთ და ადამიანებს შორის ახლო ურთიერთობაზე მიგვანიშნებენ ან ეხმარებიან მათ ამ ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. მაგრამ ბრიტანეთში ამდაგვარი ფატიკური „მიპატიყების“ საფუძველზე მოულოდნელი სტუმრობა მიზანშეწონილი არ არის: მასპინძელი შეიძლება დაკავებული აღმოჩნდეს, რაც მეტად უარყოფით ზეგავლენას მოახდენს პოტენციურ

სტუმარზეც და მასპინძელზეც, და, სავსებით შესაძლოა, ურთიერთობაში დაძაბულობისა და კულტურული შეჯახების მიზეზიც გახდეს. ბრიტანეთში სტუმრობის თაობაზე შეთანხმება წინასწარ ხდება, და, საკმაოდ ხშირად, წერილობითი ფორმითაც კი. მიღებული მიპატიყების წერილზე აუცილებელია საპასუხო წერილის გაგზავნა, რომელშიც მასპინძელს შეატყობინებთ, შეძლებთ თუ არა მასთან მისვლას. თქვენი დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიიღებთ მასპინძლის საპასუხო წერილს, რომელიც ადასტურებს მიპატიყებას და აზუსტებს, რომ გელოდებიან, მაგალითად, საღამოს 7.45 საათიდან 8.15 საათამდე. აღსანიშნავია, რომ თქვენი მოულოდნელი სტუმრობა მიპატიყების წერილზე დადებითი პასუხის გაგზავნის გარეშე, უხერხულობაში ჩააგდებს თქვენს მასპინძელს, ისევე როგორც ის ფაქტი, თუ მასთან შეუთანხმებლად ერთ ან, მით უმეტეს, რამდენიმე მეგობარს მიიყვანთ. ბევრი ქართველისათვის ეს მეტად უჩვეულოდ ჟღერს და, სავსებით შესაძლებელია, მისთვის მორიგი კულტურული შეჯახების მიზეზი გახდეს. იმ შემთხვევაში, თუ ბრიტანელს სურს, რომ თქვენ თან ვინმე წამოიყვანოთ, ზეპირ ან წერილობით მიპატიყებაში აუცილებლად აღნიშნავს ამას ასეთი სიტყვებით: "Bring a friend" (მეგობარიც თან წამოიყვანე). საქართველოში კი თვით ანდაზა „სტუმარი ღვთისაა“, ვფიქრობ, უკვე იძლევა პასუხს იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ქართველებს დაპატიყებული ან დაუპატიყებელი სტუმრისადმი. როგორც ვხედავთ, ის, რაც მისაღებია და ბუნებრივად აღიქმება ერთ კულტურაში, შესაძლოა, დაუშვებელი და შეურაცხმყოფელიც კი აღმოჩნდეს სხვა კულტურის წარმომადგენლისთვის, რაც არა მხოლოდ კულტურულ შოკს იწვევს, არამედ თქვენ მიერ ჩადენილი არასწორი საქციელი, შესაძლოა, თქვენი „სახის შელახვის“ (loss of face) მიზეზიც გახდეს. „სახის“ ცნება ეკუთვნის ე. გოფმანს (გოფმანი, 1967) და გულისხმობს პიროვნების პატივისცემის გრძნობას საკუთარი თავისადმი. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში თითოეული სიტყვა თუ საქციელი განპირობებულია „სახის შენარჩუნების“ სურვილის ფაქტორებითა და შესაბამისი ქცევით სხვა ადამიანების მიმართ, რათა თავიდან იქნეს აცილებულ ის სიტუაციები ან სიტყვები, რომელიც „სახის შელახვას“ იწვევს. ბრიტანეთში წვეულებაზე დაგვიანება, დაუპატიყებლად მისვლა ან მასპინძელთან შეუთანხმებლად ამხანაგის მიყვანა, ანუ ის, რაც ზოგ ქართველს ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია, იწვევს მისი „სახის შელახვას“ ბრიტანელის

თვალში, ქართველი კი, გარდა ამისა, კულტურული შოკის მორიგი მსხვერპლი ხდება. ჩვენ, ქართველებმა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ბრიტანელებისთვის დროის ფაქტორი. თუ ბრიტანელი წვეულებაზე 8 საათზე გეპატიჟებათ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცხრის ნახევარზე უნდა მიხვიდეთ: უნდა იცოდეთ, რომ ეს ზუსტად 8 საათს ნიშნავს. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ სტუმრად 4.30 საათის ხართ მიწვეული, იქედან უნდა წამოხვიდეთ არა უგვიანეს 6.15 საათისა, თუ, რა თქმა უნდა, დარჩენა არ გთხოვს. თუმცა, როგორც აცხადებს ჩ. მოსლი, წვეულებიდან წამოსვლის ზუსტი დროის წესი ადრე მოქმედებდა: „დღესდღეობით, ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც მართავს წვეულებას ლონდონში საღამოს 8 საათზე, უნდა იგარაუდოს, რომ ეს წვეულება დამთავრდება არა უადრეს ღამის 12 საათისა“, რის შედეგადაც ჩ. მოსლი განსაზღვრავს სტუმრების წვეულებიდან წასვლის დროს და ახდენს მეტად საინტერესო კლასიფიკაციას მათი სოციალური სტატუსის მიხედვით: "ყველაზე ადრე წვეულებას ტოვებენ ის ადამიანები, რომელთაც კარგად ანაზღაურებადი სამუშაო აქვთ, დაბალი ხელფასის მქონე სტუმრები ოდნავ უფრო დიდხანს რჩებიან; მაგრამ, თუ მათ შორის არიან ისეთები, ვისაც სამსახურებრივი დაწინაურების ამბიციები გააჩნიათ, ისინიც ადრე წავლენ სუფრიდან. ყველაზე ბოლოს წვეულებიდან სასმელის უზომოდ მოყვარულები და სტუდენტები მიდიან" (მოსლი, 1994).

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ხშირად იქმნება ბევრი უხერხული სიტუაცია, რომელიც ბრიტანული და ქართული ყოფითი განსხვავებების გამო ქართველებსა და ბრიტანელებს კულტურული შეჯახებისა და შოკის მსხვერპლად აქცევს. უნდა ითქვას, რომ დასავლეთში ფართოდ გავრცელებული კოქტიელებისა და ა-ლა ფურშეტებისგან განსხვავებით, ქართული ტრადიცია სუფრასთან ჯდომას ითვალისწინებს. ტრადიციის მიმდევარი ქართველებისთვის მოუხერხებელი და მიუღებელია სასმისით ხელში აქეთ-იქით სიარული და სასმლის ნელ-ნელა წრუტვა. ქართული ტრადიციული სუფრის ძირითადი მიზანი სადღეგრძელოების წარმოთქმა და ერთმანეთისთვის გულის გადაშლაა. უცხოელი სტუმრები, რომლებიც არ იცნობენ ქართული სადღეგრძელოების ჯერობას, ხშირად არღვევენ წესებს და უხვევენ თამადის მიერ შემოთავაზებულ თემას, რაც კულტურული შეჯახების მიზეზი ხდება. უცხოეთში მყოფი ქართველები კი ხშირად

არასწორად აფასებენ მასპინძლებს, რომლებიც სადღეგრძელოების წარმოთქმაში საკმაოდ სიტყვაძუნწი არიან. მათი ყველაზე გავრცელებული სადღეგრძელოები შემდეგი სახისაა: **Cheers!** ან **Chin-Chin!** (გაგიმარჯოს!). გარდა ამისა, ზოგი ქართველისთვის ტრადიციული სუფრის ნაცვლად გამართული კოქტიელები და ა-ლა ფურშეტები კულტურული შოკის კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს. უფრო მეტიც, ბრიტანელები აღიარებენ, რომ მე-20 საუკუნის ბოლო დეკადებში არაოფიციალურობის დონემ აიწია, რაც გამოიხატა იმაში, რომ ა-ლა ფურშეტების გამართვა, რაც არ ითვალისწინებს სუფრასთან ჯდომას და თამადის მიერ სადღეგრძელოების წარმოთქმას, ბრიტანული სტუმარ-მასპინძლობისთვის ჩვეულებრივ ფორმად იქცა. გარდა ამისა, შესაძლოა, ბევრი ქართველისთვის კულტურული შეჯახების კიდევ ერთ გამომწვევ მიზეზად ამგვარ თავყრილობაზე თამადის არარსებობის ფაქტი იქცეს. ამის სანაცვლოდ, სუფრაზე მყოფ ნებისმიერ სტუმარს, სურვილისამებრ, ნებისმიერ დროს შეუძლია სიტყვის წარმოთქმა და სადღეგრძელოს დაღევა. უკვე აღვნიშნე, რომ ბრიტანული სადღეგრძელოები, როგორც წესი, გაცილებით ნაკლებ დროში წარმოითქმება, ვიდრე ქართული; ბრიტანელებს მიაჩნიათ, რომ სადღეგრძელო 4 წუთზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს, რათა სტუმარს დაღლილობისა და მოწყენილობის გრძნობა არ დაეუფლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, უნდა ითქვას, რომ, როგორც წესი, უცხოელ სტუმრებს (მათ შორის ბრიტანელებსაც) აოცებთ და აკვირებთ ის ფაქტი, რომ ქართველები ბევრს ლაპარაკობენ სადღეგრძელოს შესმის წინ, ხშირად ფეხზე დგებიან და ეს აუცილებელია სუფრის წვერი ყველა მამაკაცისთვის. უცხოელი სტუმრებისთვის განსაკუთრებით გამაღიზიანებელია, როდესაც სუფრის წვერები აიძულდებიან მათ დალიონ დიდი რაოდენობით ღვინო და უარის შემთხვევაში მასპინძელმა, შესაძლოა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნოს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბრიტანელ ინფორმანტებთან საუბრისას ქართულ სტუმარ-მასპინძლობაზე რესპონდენტების უმეტესობამ დაადასტურა ზემომოყვანილი ფაქტები, ხოლო ერთ-ერთმა სტუმარ-მასპინძლობის ამგვარ გამოხატულებას „აგრესიული სტუმარ-მასპინძლობა“ (**aggressive hospitality**) უწოდა. იგი გულისხმობდა ზუსტად ისეთ შემთხვევებს, როდესაც უცხოელ სტუმარს აიძულებენ სადღეგრძელოების დაღევას და სუფრაზე ჯდომას მაშინაც კი, როდესაც ის დაღლილია და დასვენება სურს. ამ სიტყვების ავტორს ესმის,

რომ ამით ქართველები ცდილობენ თავიანთი პატივისცემისა და სტუმართმოყვარეობის გამოხატვას უცხოელის მიმართ, მაგრამ მისთვის ეს ძალიან უჩვეულო, და, პირველ ხანებში, საკმაოდ ძნელი აღსაქმელიცაა, განსაკუთრებით სადღეგრძელოების ხანგრძლივობა და მათი რაოდენობა. თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ პ. სმიტის კულტურული შოკის დონეების სისტემით, ამ უცხოელს რეინტეგრაციის დონისათვის დამახასიათებელი გრძნობები ეუფლებოდა და მწვავედ განიცდიდა შეუთავსებლობას მოცემულ კულტურასთან. ამავე დროს, მეორე ბრიტანელი ინფორმანტი ჩემთან საუბრის დროს, როგორც ჩანს, უკვე ავტონომიის დონეს გადიოდა და მისთვის ქართული სტუმარ-მასპინძლობა დროის სასიამოვნოდ გატარებას ნიშნავდა. მან უკვე იცოდა, რომ, თუ სუფრაზე კაცს დალევა არ სურს, არსებობს საპატიო მიზეზები, რომლებიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული, მაგ.: „სამწუხაროდ, წამალი უნდა დავლიო (ან დავლიე) და ვერ დავლევ“, „საჭესთან ვარ და ვერ დავლევ“ ან „თავს შეუძლოდ ვგრძნობ და სამწუხაროდ დიდ ხანს ვერ დავრჩები“. ამ სტუმარმა უკვე იცის, რომ ამდაგვარი მიზეზები არ გამოიწვევს მასპინძლის გრძნობების შეურაცხყოფას და ამავე დროს, მის, როგორც სტუმრის „სახესაც“ საფრთხეს არ შეუქმნის. როგორც ვხედავთ, ბრიტანელი სტუმრის მიერ ამგვარი მომიზეზება არაგულწრფელ ხასიათს ატარებს და გამოიყენება მხოლოდ იმიტომ, რომ მიპატიუებულმა შეძლოს თავისი „სახის შენარჩუნება“ მასპინძლის წინაშე ანუ, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს „უვნებელ ტყუილთან“ (“white lie“). (ბრაუნი; ლევინსონი, 1987).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საუბრის წარმართვის „იღბლიანობის პირობებს“ (felicity conditions) შორის ჯ. ოსტინი (ოსტინი, 1965) გამოყოფს „გულწრფელობის პირობას“, მაგრამ აღნიშნავს, რომ არის შემთხვევები, როდესაც თავაზიანობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გულწრფელობა: „არის, რა თქმა უნდა, შემთხვევები, როდესაც მთავარია იყო თავაზიანი და არა გულწრფელი. ასეთ შემთხვევებს განსაზღვრავს საზოგადოებრივი პირობითობა... ყოველთვის არ არის აუცილებელი ვთქვათ სიმართლე და გამოვხატოთ ჩვენი ნამდვილი გრძნობები“. ვფიქრობ, ის შემთხვევები, როდესაც უცხოელი სტუმარი სუფრაზე დიდხანს დარჩენის ან ღვინის დაძალების თავიდან ასაცილებლად ფიქტიურ მიზეზებს იგონებს, რათა არ შეურაცხყოს ქართველი მასპინძლის გრძნობები, ზუსტად შეესაბამება

ოსტინის ზემომოყვანილ გამონათქვამს.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული შოკი არის ის მოვლენა და გაცნაობა, რომლის გადალახვა აუცილებელია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მათთვის უცნობ და უჩვეულო კულტურულ გარემოში აღმოჩნდებიან. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მოვლენა დროებითი ხასიათისაა და ქვეყნის, ერისა და კულტურის უკეთესად გაცნობის შემდეგ (რაც გამოიხატება მიმართვის ფორმებისა და კილოს სწორად შერჩევაში, ფატიკური კომუნიკაციის სწორად წარმართვასა და თავაზიანობის ნორმების ცოდნაში), კულტურული შოკის თავიდან აცილება უფრო ადვილი ხდება. მთავარია, არ დაგვავიწყდეს იმის გათვალისწინება, რომ განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას მათ ეთიკურ ნორმებსა და ტრადიციებს განსაკუთრებული სიფრთხილით და გაგებით უნდა მოვეკიდოთ, რათა ჩვენი თანამოსაუბრენი და სტუმრები არ გავალიზიანოთ, არ შეურაცხყოთ და მაქსიმალურად კარგად წარმოვაჩინოთ ჩვენი ეროვნული და პირადი სახე. გარდა ამისა, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ის ტრადიციები და კულტურა, რომელიც სხვადასხვა ერის წარმომადგენელს აქვს, უნდა მივიღოთ არა როგორც დადებითი ან უარყოფითი, არამედ, როგორც ყველა ერისთვის დამახასიათებელი ესა თუ ის თავისებურება და წეს-ჩვეულება. მოცემულ სტატიაში ვცადე მეჩვენებინა, თუ რამდენად აუცილებელია ადამიანებისათვის ერთმანეთის კულტურისა და წეს-ჩვეულებების გაცნობა და მათი პატივისცემა.

ლიტერატურა

აფაქიძე, 2003 — ი. აფაქიძე, მიპატიუების ფორმები ბრიტანულ და ქართულ ყოფაში „სახის დაკარგვისა“ და „შენარჩუნების“ თვალსაზრისით. ენათმეცნიერების საკითხები, 2, თბ., 2003.

ბრაუნი, ლევინსონი, 1965 — Brown P., Levinson. S. C. Politeness- Some Universals in Language Usage. Cambridge University Press. 1987.

გოფმანი, 1967 — Goffman E. Interaction Ritual: Essays on Face to Face Behavior. Garden City. New York. 1967

გოქსაძე, დემეტრაძე, 1996 — ლ. გოქსაძე, ი. დემეტრაძე,

ქართულ-ინგლისური ყოფითი თავისებურებები.(1) თავაზიანობის ნორმები. თბ., 1996.

დემეტრაძე, 2000 — ი.დემეტრაძე. ყოფითი ღირებულებები. ნორმათა რღვევა როგორც „სახის დაკარგვის“ ფაქტორი. საერთაშორისო ლინგვისტური კონფერენცია. თბ., 2000.

ვალდესი, 1992 —Valdes, J.M. Culture Bound. Bridging the Cultural Gap in Language Teaching. Cambridge University Press, 1992.

ინგრემსი, 1989 — Ingrams, R. England. An Anthology. Fontana. 1989.

კარასიკი, 1989 — В. И. Карасик. Статус Лица в Значении Слова. Вол. 1989.

მარკოვა, 1971 — Markova N.N. Across England to Scotland. Moscow. 1971

მოსლი, 1994 — Mosley, C. Debrett's Guide to Entertaining. The Complete Book of Modern Entertaining. Headline.1994

O'Driscoll, J. Britain. Oxford University Press. 1995

ოვჩინიკოვი, 1980 — В. О. Овчинников. Корни Дуба. М. 1980.

ოსტინი, 1965 — Austin J. L. How To Do Things With Words; N-Y. Oxford University Press, 1965.

სმიტი, 2004 —Smith, P.A. American Colleges & Universities Magazine. Westford. USA. 2004

ჯოლია, 1998 — გ. ჯოლია, ეტიკეტი. უცხოელებთან ურთიერთობის ზოგადი წესები და ეროვნული თავისებურებები. თბ., 1998.

Культурология XX век. Энциклопедия. Т.2. СПб., 1998

უოლკერი — Уолкер.В. Культурный Шок. www.rambler.ru

საილუსტრაციო მასალა

Duduchava.R, Orembovskaya.M, Orembovskaya.T. Reader for Advanced Students. Tb.1971.

ი.გვარჯალაძე. ჯ.მჭედლიშვილი, English Proverbs and Sayings. Tb. 1970

ლინგვისტური ინფორმანტები

1. Rebecca. S. Katz
2. Jody McPhillips
3. Jon Davies
4. David Gentry
5. Baci Gentry
6. Stuart Scharf
7. Kevin Sparrow
8. Lianna Maria Collins-Dolaberidze
9. Svante Cornell
10. Mira Sovakar

INOLA APAKIDZE

Culture Shock: Its Causes And Ways Of Avoiding It

(on the example of British and Georgian hospitality etiquette).

Summary

The paper deals with the causes of culture shock and suggests the possible ways of avoiding it on the example of British and Georgian norms of hospitality. When coming to a new country with a different culture and traditions, a person is likely to become a victim of the feelings and impressions that are known as culture shock. He has to overcome five different stages in order to adjust to a new country and its way of living. His knowledge of the country's etiquette and traditions (namely invitations, reception of guests, behavior at table, etc) will help him a lot in reducing the frequency of culture bumps that, consequently, lead to a culture shock itself. The aim of the given paper is also to help the reader understand that one of the most efficient ways to avoid, or overcome a culture shock is to respect each other's culture and traditions that, in the end, will help the people in adjusting to the country they intend to stay in.

ხათუნა მაზაპარანი

რიტორიკული კითხვითი წინადადების
ფატიკური ფუნქციისათვის

ენის ფუნქციური გაგების კონტექსტში ფატიკური კომუნიკაციის ინტეგრირება პირველად რ. იაკობსონმა მოახდინა, რის გამოც მას კომუნიკაციის თეორიის რეფორმატორი უწოდეს.

რა არის ფატიკური კომუნიკაცია და რა ადგილი უკავია მას ინტერაქციულად გაგებული კომუნიკაციის ზოგად სტრუქტურაში?

ტერმინის „ფატიკური“ ნათლიად პოლონელ ანთროპოლოგს ბრონისლავ მალინოვსკის მიიჩნევენ. წარმოშობით ეს სიტყვა ბერძნულიდან მომდინარეობს (*phatos* სალაპარაკო, *phanai* — ლაპარაკი) და ნიშნავს „ის, რისი თქმაც შეიძლება“, ანუ „თქმა“, „ლაპარაკი“ (ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ლათინური [*fari*] — ლაპარაკი წარმოშობისაა).

ენის ეს ფუნქცია გამოიყენება მაშინ, როდესაც რაიმეს შეტყობინება გვსურს. მისი მეშვეობით მოწმდება თანამოსაუბრეთა შორის კონტაქტის უწყვეტობა. იგი, ამასთანავე, მაზნად ისახავს დაამყაროს, შეინარჩუნოს, გააგრძელოს ან შეწყვიტოს საკომუნიკაციო აქტი. ერთი სიტყვით, ფატიკური ფუნქცია საკომუნიკაციო არხის გადასინჯვას, მის ვარგისიანობასა და საიმედოობაში დარწმუნებას, მსმენელის მზადყოფნასა და ჩართულობას ემსახურება.

ფატიკური კომუნიკაციის კლასიკური მაგალითებია ხშირად ხმარებული და განმეორებადი ფორმულა სატელეფონო თუ სხვა სახის პირად საუბრებში. მათ შორისაა: გაიგე? გესმის? მიხვდი? და სხვ. ენობრივ აქტში ფატიკური ფუნქცია ახასიათებს კითხვით ფორმებს: რას ამბობ? გესმის ჩემი? სად დაიკარგე? ცოცხალი ხარ? რომელმა ქარმა გადმოგადო? რა? როგორ?... და მერე? როგორ მიდის საქმე? ყველაფერი რიგზეა? რაიმე პრობლემა?... ამით რისი თქმა გსურთ? და სხვა მრავალი, რომელთა მრავალფეროვნება და ვარიაციულობა ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებებით არის შეპირობებული.

სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ამგვარი კითხვითი წინადადებები დროთა განმავლობაში ენაში სიტყვის მასალად შევიდა და დღეისათვის ჩართულებად ცნობილი გამონათქვამებია. მათ განიცადეს ტრანსფორმაციის ორი ეტაპი: პირველ ეტაპზე რიტორიკული ხასიათი შეიძინეს, მომდევნოზე ეს ფუნქციაც დაკარგეს და ჩართულებად იქცნენ, რის გამოც ბოლოში კითხვის ნიშანი გაუჩინარდა. ესენია ცნობილი გამოთქმები ან სხვა სახის ფორმულები: რა თქმა უნდა, რასაკვირველია, რა სათქმელია, რა ბრძანებაა, რა გაეწყობა, რა საჭიროა, როგორ გეკადრება, რას ბრძანებთ, რა წყალში ჩავარდე და სხვ. ამგვარი რიტორიკული კითხვები სპონტანურ მეტყველებაში დაუბრკოლებლად გამოიყენება სიტყვის მასალად, მაგრამ, მოგეხსენებათ, ნებისმიერი ენობრივი ნიშანი უპირველეს ყოვლისა არის კოდი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას — შეტყობინებას, ორიენტირებულს კომუნიკაციის რომელიმე ელემენტზე (იხ. ქვემოთ). აღნიშნული ფუნქციით რიტორიკული წინადადებების მოჭარბებამ საფუძველი ჩაუყარა მზა სტერეოტიპულ ფორმებს, ჩართულების სახით.

კომუნიკაციის აგების ენობრივი საშუალებანი იმდენად მრავალფეროვანია, რამდენადაც ამოუწურავია საკომუნიკაციო აქტის მიზნები და იმპულსები. როდესაც გარკვეული მიზნისა და დანიშნულების საკომუნიკაციო აქტს ვახორციელებთ, ყოველთვის ვითვალისწინებთ მის თანმხლებ მომენტებს: ჩვენს პიროვნებას, მსმენელს, შეტყობინების შემადგენლობას (ენობრივი კოდის სიზუსტე), შეტყობინების გამოყენების საშუალებასა და ობიექტს, რომელსაც ის ეხება. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ჩვენი გზავნილი ამ ელემენტთა მოთხოვნილებებს, იცვლება ენობრივი კოდის დატვირთვა, ანუ საქმე გვაქვს ფუნქციათა ცვალებადობასთან. ისმის კითხვა: რა ფუნქცია აქცევს ჩვეულებრივ კითხვით წინადადებას რიტორიკულად?

კომუნიკაცია ზოგადად შეიძლება დაგვით ინფორმაციულ, ფატიკურ და სინთეზურ (სადაც ერთიც არის და მეორეც) სახეობად. ჩვენ მიერ შესწავლილი მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

ინფორმაციულ ნაწილში კითხვითი წინადადებები არ არის. ფატიკურში კი ბლომად მოგვეპოვება, თუმცა ჩვენთვის საინტერესო ამჯერად სინთეზური სახეობაა, რადგან ჩვეულებრივი კითხვითი წინადადების რიტორიკულად ტრანსფორმაციის სურათი აქ უფრო ნათე-

ლია. ასეთი კომუნიკაციური მთლიანობა ვრცელ კონტექსტებს ითხოვს, რადგან ჩართულია ყველა საკონტაქტო ელემენტი.

კომუნიკაციას, რომელიც ინფორმაციის გადაცემაზეა ორიენტირებული, ზეპირი თუ წერილობითი ფორმით მეტ-ნაკლებად ყველა ფუნქციურ სტილში ვხვდებით, იქნება ეს სამეცნიერო, საგაზეთო-პუბლიცისტური, მხატვრული თუ სასაუბრო. ნიშანდობლივია, რომ ამგვარი საკომუნიკაციო აქტი დროში შეზღუდულია. არ შეიძლება, ინფორმაციის გადაცემა გაგრძელდეს გაბმულად ისე, რომ არ მოხდეს კონტაქტის გადამოწმება, ანუ ფატიკური ჩართვები. ეს ეხება როგორც სამეცნიერო, ასევე პუბლიცისტური ხასიათის სტერეოტიპულ, სტანდარტულ ინფორმაციას.

ყოველ სამეცნიერო ნაშრომს საკუთარი მიზანი აქვს: ჩამოაყალიბოს და დაამტკიცოს ავტორის მიერ წამოყენებული ჭეშმარიტება, წარმოაჩინოს ახალი მეცნიერული კონცეფცია, აღმოაჩინოს ახალი მოვლენები და გამოავლინოს განვითარების შინაგანი კანონები (კვარაცხელია, 1990, 16). აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, სამეცნიერო სტილის ინტელექტუალურ-საკომუნიკაციო ფუნქცია არის არა მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემა, არამედ მისი ჭეშმარიტების მტკიცება, მიღებული შედეგების მნიშვნელობის აღნიშვნა და შეფასება. ყოველივე ეს კი ხორციელდება ლოგიკური აზროვნების მეშვეობით, რომლის ძირითადი ფორმებია: ცნება, მსჯელობა და დასკვნა. თითოეული ეტაპი მკვეთრად არის რეგლამენტირებული როგორც ენობრივი საშუალებების გამოყენების, ასევე დროის თვალსაზრისით.

სამეცნიერო სტილში კომუნიკანტის მეტყველებით-ტექსტობრივი კომუნიკაციის თავისებურებებს მკვეთრად განსაზღვრავს სამეცნიერო პროზის ქანრები. კომუნიკაციის სინთეზურობა უფრო მრავალფეროვნად ვლინდება იქ, სადაც ურთიერთობა შედარებით „თავისუფალია“, ანუ ზემოაღნიშნული „შეზღუდვები“ მეტ-ნაკლებად მოხსნილია (ლექცია, ზეპირი გამოსვლები: კონფერენცია, სიმპოზიუმი, კონგრესი, სესია).

იაკობისეული საკომუნიკაციო მოდელი უნივერსალურია ენობრივი ურთიერთობის ნებისმიერი ფორმისათვის. კომუნიკაციის თითოეული ძირითადი ელემენტი (მთქმელი, მსმენელი, კონტაქტი, კოდი, მეტყობინება, ობიექტი) ნებისმიერ დისკურსში თავის დანიშნულებას ასრულებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყოველდღიურ სასაუბრო ენასა და მხატვრულ სტილში ფატიკური რიცხვი გაცილებით მეტია,

ვიდრე სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ სტილებში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს უქანასკნელნი არ საჭიროებენ აღნიშნულ ფუნქციას.

ვერბალური კომუნიკაციის ნებისმიერი სტილური გამოვლინებისას წარმატებული ურთიერთობის მისაღწევად მთქმელი ყოველთვის „გაუშვებს“ მეტყობინებას, რომელიც ამყარებს, ინარჩუნებს და წყვეტს საკომუნიკაციო აქტის მსვლელობას. მას შემდეგ, რაც მთქმელი შეიტყობს, რომ კავშირი დამყარებულია, ეფექტური კომუნიკაციის შესანარჩუნებლად მას სჭირდება მსმენელთან (ან მკითხველთან) კონტაქტის მიმდინარეობის გადამოწმება და, შესაბამისად, დადასტურება. სამეცნიერო და პუბლიცისტურ ტექსტებს ენა მკაცრ მოთხოვნებს უყენებს, რის გამოც ისინი წმინდა ფატიკური ფრაზების ნაკლებობას განიცდიან (განსაკუთრებით სამეცნიერო სტილი), მაგრამ მიუხედავად ზეპირი თუ წერილობითი გამოსვლის კომპოზიციური სტანდარტიზაციისა, აქაც მოიპოვება მექანიზმი, რომელიც საკონტაქტო (და არა მარტო) ფუნქციას ასრულებს, ვინაიდან საქმე გვაქვს მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ ენობრივ აქტთან. და რადგანაც კავშირი მყარდება ადრესატთან (აუდიტორიასთან), ამუშავებას იწყებს ყველა საკომუნიკაციო ელემენტი.

საილუსტრაციო მასალა მოწმობს, რომ საკონტაქტო ანუ ფატიკურ ფუნქციას ვერბალური კომუნიკაციის დროს ხშირად ასრულებს კითხვითი წინადადება, რის გამოც იგი რიტორიკული ხდება. სტრუქტურულად ჩვეულებრივი და რიტორიკული კითხვითი წინადადებები არაფრით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. სხვაობა აქ მხოლოდ ფუნქციაში, ანუ საკომუნიკაციო მიზანდასახულობაშია. მიზანი კი არის შემდეგი: აღძრას მსმენელში პასუხის გაცემის სურვილი (პოზიტიური ან ნეგატიური), თუნდაც ცნობიერების დონეზე, რაც თავისთავად ზრდის კომუნიკაციაში ადრესატის ჩართულობის ხარისხს. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„...საკუთარი სივრცე და საკუთარი დრო უნდა გავიაზროთ არა ჰორიზონტალზე, არამედ ვეგულზე. თუ გახსოვთ, როგორ განვსაზღვრეთ სივრცე და დრო? სივრცე არის... დრო არის...“ (მამარდაშვილი, 1992, 66). „სისულელეა, ველოდო, რომ საქონელი სახელმწიფო მაღაზიებში სწორად და სამართლიანად განაწილდება, თუ მაღაზიის ქურდ დირექტორს ვამხელ და ის საქონელს აღარ მოიპარავს. უკაცრავად, მაგრამ ამ შემთხვევაში არავითარი საქონელი არ

არსებობს, ანუ იმას, რასაც საქონელი ჰქვია, ასე არ უნდა ერქვას, რადგან ნივთი, რომელსაც ვაჭარი მალავს და არ ყიდის, საქონელი არ არის. ხედავთ, რა აბსურდულ სამყაროში ვცხოვრობთ სწორედ იმიტომ, რომ ყველაფრის ზომა ადამიანია?“... (მამარდაშვილი, 1992, 45).

„დღეს, როცა ჩვენმა შვილებმა ისე შეიჯავრეს სკოლა და წიგნი, რომ მათგან გახედვაც აღარ უნდათ, როცა წამლად ერთ ბავშვსაც ვეღარ იპოვი, სკოლაში ხალისით რომ დადიოდეს, ცდილობ გაიგო, მაინც საიდან მოდიოდა ის მაშინდელი ხალისი, რა იყო იმ სიხარულის მიზეზი, ვითომ ამათთან შედარებით ჩვენ უფრო ბეჯითი მოსწავლეები ვიყავით? ვითომ ჩვენ უფრო კარგად ვიცოდით ცოდნის ფასი?“

აბა, კარგად გავიხსენოთ, ჩვენც ხომ ისეთივე ჩვეულებრივი ბავშვები ვიყავით, ჩვენი შვილები რომ არიან, ისეთივე ხალისიანები და უღარდლელები, ყოჩაღები და ზარმაცები, ცელქები და დამჯერენი. ჩვენც ხომ ხშირად ისევე გვეზარებოდა გაკვეთილების სწავლა, როგორც ამათ, მაგრამ ჩვენ ამათსავით როდის გვძულდა სკოლა და მასწავლებელი?!

რა მოხდა, რა შეიცვალა, რა არის ჩვენი შვილების ამგვარი გულაცრუების მიზეზი? მიზეზი ბევრია და იგი უპირველესად ჩვენს დუხჭირ ყოფაშია საძიებელი, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც სკოლაა, მაინც მასწავლებელია“ („ომეგა“, № 9, 2001).

წარმოდგენილი ნიმუშებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ნებისმიერ ფუნქციურ სტილში ძნელად მოიპოვება ისეთი შეტყობინება, რომელიც წმინდა ფატიკური ან წმინდა რეფერენციული ხასიათისა იყოს, ვინაიდან ამგვარი გზავნილები ემსახურება არა ფაქტობრივი ინფორმაციის გაცვლას (თუმცა, შესაძლოა, ესეც იყოს), არამედ ერთდროულად: თბილი, მეგობრული, არაფორმალური ატმოსფეროს შექმნას, უხერხული პაუზების თავიდან აცილებას, მსმენელის (მკითხველის) საკომუნიკაციო აქტში ჩართვას, და იმის გადამოწმებას, რამდენად ვარგისია კონტაქტი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება კომუნიკაცია.

ლიტერატურა

აფრიდონიძე, 1998 — შ. აფრიდონიძე, რიტორიკული კითხვები ქართულში (სტრუქტურა და გამოყენება): ქსკს, წ. 11, თბ. 1998.

გაგულაშვილი, 1990 — ი. გაგულაშვილი, ქართული ფოლკლორის მითოსური სახეები და ძირითადი მოტივები, თბ., 1990.

იაკობსონი, 1985 — Р. Якобсон, "Избранные Работы", Москва, "Прогресс", 1985,

კვარაცხელია, 1990 — გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990.

კრასნინი, 2001 — В. В. Красных, "Основы Психолингвистики и Теории Коммуникации", "Гнозис", Москва, 2001.

მაკაროვი, 2003 — М. Макаров, "Основы Теории Дискурса", Москва, "Гнозис", 2003.

მამარდაშვილი, 1992 — მამარდაშვილი, საუბრები ფილოსოფიაზე, თბ., 1992.

KHATUNA MACHAVARIANI

On the Phatic Function of Rhetorical Questions

Summary

Within the context of the functional approach towards language, phatic communication is essential. It checks the channel, and aims at involving the listener in the process of communication. During verbal interactions interrogative sentences used with this purpose acquire rhetorical features. Their main function is to serve as feedback checking signals.

ლილი ბოჭაძე, ნინო თარხნიშვილი

სადღესასწაულო რიტუალების ამსახველი ენობრივი საშუალებები ინგლისურსა და ქართულში

ენის სწორად გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის საწინააღმდეგობაა. უფრო მეტიც, ეს აუცილებელი პირობაა საზოგადოებასთან ურთიერთობისას. ამიტომაც არის, რომ ვცდილობთ ენა გამოვიყენოთ იმ ფორმით, რომელიც მისაღებია კონკრეტული შემთხვევისათვის. ამ მიზნით გამონათქვამთა უსასრულო სიმრავლიდან ვირჩევთ არსებული სამეტყველო სიტუაციისათვის ყველაზე უფრო შესაფერის გამონათქვამებს. სათქმელი რომ სიტუაციის შესაბამისად გამოვხატოთ, საჭიროა ვიცოდეთ ის ზოგადი ლინგვისტური მოდელები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ესა თუ ის სამეტყველო ქმედება. ამ ლინგვისტური მოდელების ფორმულირება ხდება იქიდან გამომდინარე, თუ რა სახის სოციალურ სიტუაციაში უწევთ ადამიანებს ურთიერთობა, ე.ი. არსებული სოციალური კონტექსტი, ექსტრა-ლინგვისტური სიტუაცია განსაზღვრავს მის ფარგლებში მიმდინარე საუბრის ხასიათს. აქედან გამომდინარე თვითონ საუბარიც გარკვეულწილად სოციალური ხასიათისაა.

დიდი მნიშვნელობა აქვს გარკვეული სამეტყველო წესების მოძიებას, ჩამოყალიბებასა და გათავისებას, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციებში ენის სათანადო გამოყენებას უწყობენ ხელს. ეს წესები პირდაპირ კავშირშია მოლაპარაკე კოლექტივის ფონისეულ ცოდნასთან და გამოხატავს იდეალურ კულტურულ აღქმას. კუმანისა და უაითინგის აზრით, ეს წესები წარმოადგენენ ზოგად წინათგრძობას იმის შესახებ, თუ როგორი პასუხია მოსალოდნელი გარკვეულ შეკითხვაზე, რა შეიძლება მოჰყვეს გარკვეულ განცხადებას გარკვეულ სიტუაციაში. ზოგჯერ ეს წინათგრძობა იმდენად ძლიერია, რომ სანამ ჩვენი მოსაუბრე გვიპასუხებდეს, ვხვდებით თუ რას გვეტყვის იგი, ე.ი. მიუხედავად იმისა მის მიერ წარმოთქმული გამონათქვამი გრძელი იქნება თუ სულ რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი, ჩვენ თითქმის

ერთსა და იმავე ინფორმაციას მივიღებთ მისგან. ეს ძირითადად ეხება ფატიკურ კომუნიკაციას. ამ შემთხვევაში გამონათქვამის ე.წ. სოციალურ მნიშვნელობას უფრო დიდი როლი ენიჭება, ვიდრე ფატიკობრივს. ფატიკური კომუნიკაცია თბილი ატმოსფეროს შესაქმნელად და კარგი ურთიერთობის დასამყარებლად გამოიყენება. იგი არ გულისხმობს რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცვლას. ასეთი საუბარი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ფატიკური საუბრის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მოსაუბრეებმა ერთმანეთის მიმართ თავაზიანობა გამოიჩინონ ან ხანდახან უბრალოდ საზოგადოებრივი მოვალეობა შეასრულონ. ფატიკური კომუნიკაცია გულისხმობს: მისაღებებას, დამშვიდობებებას, მობოდიშებებას, ქათინაურს, მილოცვა-დალოცვას, თანაგრძნობის გამომხატველ გამონათქვამებს და სხვ. ამჯერად მხოლოდ სადღესასწაულო შემთხვევების დროს საჭირო რიტუალურ გამონათქვამებს შევხებით.

როგორც ცნობილია, ადამიანთა კოლექტივში არსებობს სხვადასხვაგვარი სადღესასწაულო რიტუალები: დაბადება, ქორწინება, წარმატება და სხვადასხვა დღესასწაული. ყველა ამ შემთხვევაში ხდება ნათესაებისა თუ მეგობრების მხრიდან თანაგრძნობისა თუ სიხარულის გამოხატვა, რაც უმთავრესად მილოცვის სახით გადმოიცემა. ამ მხრივ გამონაკლისს არც ინგლისური და ქართული ყოფითი კოლექტივები წარმოადგენენ. წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ მილოცვებზე, რომლებიც ინგლისური და ქართული პრესიდანაა ამოკრეფილი.

ინგლისურში მილოცვის ყველაზე გავრცელებული ფორმაა **happy...**, მაგრამ საკმაოდ ხშირია ფორმაც **congratulations** ამ სიტყვის სხვადასხვა ვარიანტებით — **I congratulate you on...** და სხვ. ქართულში კი ყველაზე ხშირად იხმარება სიტყვა **გილოცავ** სხვადასხვა გრამატიკული ფორმით. შეიძლება ითქვას, რომ სიტყვები **happy, congratulations** და **გილოცავ** შემომყვანი სიტყვებია, რასაც შემდეგ გარკვეული დაკონკრეტება და გავრცობა მოსდევს, მაგალითად:

1. "I congratulate you on your birthday and wish you all the best."
2. "Lily, I congratulate you on Alex's fantastic success."

3. „ლაშა! გილოცავთ დაბადების დღეს. იყავი ბედნიერი და ჯანმრთელობა არ მოგკლებოდეს. შენი ძმა.“

(ახალი თაობა, 14 ივნისი 2001)

4 „ჩემს საყვარელ მაიკო და თამთა კალანდაძეებს ვულოცავ ოქროს დაბადების დღეს — 18 წლის შესრულებას. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სურვილების შესრულებას, დიდ სიყვარულს და ულევ სიხარულს.

ლალი, ნინო და ნიკა.“

(კვირის პალიტრა, 18-24 თებერვალი 2002)

მილოცვის მახასიათებლები შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ რასთან დაკავშირებით არის იგი შექმნილი. მაგალითად, მილოცვა, რომელშიც ამა თუ იმ ადამიანს დაბადების დღეს ულოცავენ, საკმაოდ მოკლეა, ხანდახან სულ ერთი სტრიქონისგანაც კი შედგება. ქორწილის იუბილესთან დაკავშირებით შექმნილი მილოცვა კი უფრო გავრცობილია, მაგალითად:

"Dunn David. Congratulations on your 32nd birthday, October 24th. Many happy Returns. From Sarah, Brian and Lee."

("The Daily Telegraph", September 25, 2001)

"BRUCE:SADLER-On 14th March 1941, Frank Edward Bruce to Dorothea Mary Sadler at st. Raphael's, Kingston-upon-Thames. Congratulations on your Diamond Wedding Anniversary. Wish you all the best. With lots of love from David, Ann, Barbara, Sebastian and Felix."

("The Independent", April 8, 2001)

ინგლისურ პრესაში მოძიებული დაბადების დღის მილოცვის სტრუქტურა უმეტესწილად ასეთია: დასაწყისში მოცემულია ადრესატის ვინაობა, რასაც მოსდევს ასაკის აღნიშვნა. თანაგრძნობისა და კეთილი სურვილების გამომხატველი ფრაზების შემდეგ კი მითითებულია მილოცვის ადრესანტის სახელი, მაგალითად:

"Phill Thomas, 40 today. Congratulations and many happy returns. With love, Jack."

("The Daily Telegraph", October 11, 2001)

ინგლისური საქორწილო მილოცვა კი შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება: ჯერ მოცემულია მექორწილეთა გვარები, რასაც მოსდევს მათი ქორწინების თარიღი. შემდგომ სრულადაა მოცემული თუ ვინ ვისზე იწერს ან დაიწერა გვარი, რასაც მოსდევს ინფორმაცია ჯვრისწერის ადგილის შესახებ. შემდეგ კი მოცემულია მილოცვის გავრცობილი ტექსტი და მიმლოცველის ან მიმლოცველთა სახელები, მაგა-

ლითად:

"Kingham:Gibson – On March 21st 1951, John Kingham to Kate Elisabeth Gibson, at all Saints, James Street, London. Congratulations on your 51st Anniversary. Wish you love and happiness for the rest of your lives. With love from all the family."

("The Independent" March 23, 2002)

ქართულენოვანი მილოცვა საკმაოდ მარტივი სტრუქტურით ხასიათდება. იგი ჩვეულებრივ ადრესატის ვინაობით იწყება. მას მოჰყვება მილოცვის ძირითადი ტექსტი, რომელიც კონკრეტულად მილოცვასა და კეთილ სურვილებს მოიცავს. ბოლოს მოცემულია ავტორის სახელი ან ზოგჯერ გვარიც, მაგალითად:

„ნანა ბუხნიკაშვილს! ნანა, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ სიკეთეს, სიხარულს შენ საყვარელ ოჯახთან ერთად და მეგობრებთან ერთად. ღმერთი გვარავდეს. თინიკო ცუცქირიძე“.

(„სიტყვა და საქმე“, 8 სექტემბერი, 2001)

ქართულ პრესაში საქორწილო მილოცვები ნაკლებად გვხვდება, მაგრამ ინგლისურისაგან განსხვავებით აქ არ არის მითითებული ჯვრისწერის ადგილი თუ თარიღი და, როგორც ქართული ენისათვის არის დამახასიათებელი, მექორწილეებისადმი მიმართვაში ჯერ ნახსენებია ქალი და შემდგომ კაცი. ქართულისთვისაა აგრეთვე დამახასიათებელი ისიც, რომ წყვილს ჩვეულებრივ ულოცავენ **გაბედნიერებას** ან ახალი ოჯახის შექმნას, რასაც მოსდევს კეთილი სურვილები და ადრესანტის ვინაობა, მაგალითად:

„თამუნა ჯაყელს და ლევან გოგაძეს ვულოცავთ გაბედნიერებას. ვუსურვებთ ულევ სიხარულსა და ბედნიერებას. ნოდარ მამალაძის ოჯახი.“

(„ახალი თაობა“, 16 ნოემბერი, 2001)

ქართულენოვანი მილოცვა ზოგჯერ შეიძლება იწყებოდეს არა სახელით ან გვარით, არამედ ნებისმიერი სხვა ფრაზით, რომელსაც მილოცვის ავტორი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მაგალითად:

„ჯერ სიბერემდის ჯვარი გწერია!

რუსუდან მჭედლიძეს

ჩვენო რუსუდან! გილოცავთ დაბადების 70 წლისთავს. კვლავ გვენახე ასეთი შრომისუნარიანი, ჯანმრთელი და ბედნიერი შენს დიდ ოჯახთან ერთად მრავალჟამიერ!

შენი კოლეგები და მეგობრები.“

2002)

ინგლისურენოვანი მილოცვები დიდი ემოციურობით არ გამოირჩევა. თუმცა შეგხვდით რამდენიმე საინტერესო მაგალითს, სადაც კეთილი განწყობა და სურვილები პატარა ციტატით ან ლექსით არის გამოხატული, მაგალითად:

"Dinah Gray 20.01.2001. Happy Burthday!

Dinah, Dinah, there's nobody finer! With lots of love on your birthday from Sarah, Aldan & Sam."

(*"The Times"*, March 13, 2001)

მსგავსი გართმული მილოცვები ქართულ პრესაში უფრო ხშირად გვხვდება, მაგალითად:

„ვასო ჯაფარიძეს — „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო,“ ვულოცავთ დაბადების დღეს! იყავი დღევრძელი, ჯანმრთელი და ბედნიერი მრავალჯამიერ!“

(„ახალი თაობა“, 18 აგვისტო, 2001)

თუ ინგლისურენოვან პრესაში ძირითადად დაბადების დღის, ქორწინების, შობა-ახალი წლისა და წმინდა ვალენტინის დღის მილოცვებია მოცემული, ქართულენოვანი მილოცვები მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც უმეტესწილად რელიგიურ დღესასწაულებთან არის დაკავშირებული და ხშირია ბოლოდროინდელ პრესაში, მაგალითად:

„მცხეთობის დიდ დღესასწაულს ვულოცავ ქალბატონ ნონას. მანია სვანიძე.“

(„სიტყვა და საქმე“, 14 ოქტომბერი, 2000)

„მჭედლიძეების ოჯახს ვულოცავ ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულს. ღმერთი გფარავდეთ. რეზო.“

(„კვირის პალიტრა“, 15-21 აპრილი, 2002)

რაც შეეხება ინგლისურ პრესას, გარკვეული დღესასწაულების დროს რამდენიმე გვერდი ან გაზეთის დამატება ეთმობა მილოცვებს (რაც ქართულენოვან პრესაში არ არის), მაგალითად, წმინდა ვალენტინის დღეს. ასეთი შემთხვევების დროს საკმაოდ ხშირია გართმული, ლექსად დაწერილი მილოცვები, მაგალითად:

1. "Roses are Red

Violets are Blue,
I got caught
out and ended
up with you!
Love you always."

2. "You entered my life
and captured my heart.
I know we'd be good
right from the start.
Love Ciglem"

(*"The Sunday Telegraph"*, February 14, 2001)

მილოცვებში კლიშე ფრაზებსაც ვხვდებით. ინგლისურენოვან გაზეთებში განთავსებულ მილოცვებში ხშირია შემდეგი ფრაზები: "Many happy returns", "With lots of love", "with fondest love", თუმცა ზოგჯერ მილოცვა შეიძლება გამოხატული იყოს მხოლოდ ერთი სიტყვით — "congratulations", რასაც წინ უძღვის ადრესატის სახელი და მოსდევს ადრესანტის ვინაობა. შესაბამისად ქართულენოვან მილოცვებში ვხვდებით შემდეგ ფრაზებს: „მრავალს დაესწარი“, „გისურვებთ“, „გფარავდეს ღმერთი“.

უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა კულტურა უდიდეს გავლენას ახდენს გარკვეული საზოგადოების ენაზე, მის თავისებურებებზე, ამ ფონზე მაინც დიდი ადგილი ეთმობა ადამიანის პირად ჩვევებსა და წარმოსახვის უნარს, რომლის საშუალებითაც ამ საზოგადოების წევრები მეტყველებისას ან ენის ნებისმიერი ფორმით გამოყენებისას გამოხატავენ არა მხოლოდ იმ კულტურისა თუ საზოგადოების სახეს, რომელსაც განეკუთვნებიან, არამედ თავიანთ პირადულ მხარესაც. ამას ისიც მოწმობს, რომ ჩვენ მიერ მოძიებული მაგალითები ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მარტო იმის მიხედვით, თუ რომელ ენაზე არის შექმნილი და რომელ კულტურას განეკუთვნება, არამედ იმის მიხედვითაც, თუ ვინ არის მათი ავტორი, მაგალითად:

1. "Happy Mother's Day
MUM!

Lots of love from Darren."

(*"Reading Chronicle"*, February 10, 2001)

2. "Ann
Thank you for you!
I love you lots.
Melvyn"

3. "You are a Ray of Sunshine
a constant delight - I'll love
love you always, both
Day and Night."
("The Sunday Telegraph", February 14, 2001)

4. „დათო და ანა გილოცავთ გაბედნიერებას. მეგობრები.“
(„რეზონანსი“, 14 მარტი, 2001)

5. „თინიკო და კოლა ჭანტურიებს!
გილოცავთ დიდი ხნის ნანატრი ოცნების ახდენას! გილოცავთ ახალ საუკუნეში პირველი გაზაფხულის მეკვლე ციციქნა სიცოცხლის მობრძანებას! ჯანმრთელობა, სიკეთე და სიყვარული ყოფილიყოს პატარა ნიკოლოზის ცხოვრების თანამგზავრი.
დაგბედებოდეთ აკვანთსიმრავლე!
დიდი სიყვარულით თ. კუპრაშვილის ოჯახი.“
(„ახალი თაობა“, 9 ნოემბერი, 2001)

6. „დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ ოზურგეთის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების მედპერსონალს. მრავალ ახალ წელს ბატონებო! ღმერთის წყალობა თქვენს ჭეშმარიტად მალა ადამიანურ საქმიანობაში. ღმერთის წყალობა ოჯახებს თქვენსას. მრავალჟამიერ!

თქვენი მეგობარი და მადლიერი პაციენტი ლია ტრაპაიძე.“
(„კვირის პალიტრა“, 24-30 დეკემბერი, 2001)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემომოყვანილ მაგალითებში აისახება არა მარტო ორი სხვადასხვა კულტურისა და ენის თავისებურებანი, არამედ მილოცვის ავტორების ინდივიდუალური წერის მანერაც. პირველი ორი ინგლისურენოვანი მილოცვა მეტ-ნაკლებად მსგავსია, როგორც წერის სტილით, ისე არაოფიციალური, უშუალო ტონით. აღსანიშნავია მესამე მაგალითი, რომელიც ორიგინალურად არის გართმული და ნაკლებად ჰგავს იმ მილოცვებსაც კი, რომლებიც იმავე გაზეთში, იმავე დღესასწაულთან დაკავშირებით არის მოცემული. რაც შეეხება ქართულენოვან მილოცვებს, განსხვავებულია როგორც მათი წერის მანერა, ისე ტექსტის მოცულობა. პირველი ორი მილოცვის ტონი შინაურულია, მესამე მაგალითი კი გარკვეული ოფიციალურობით ხასიათდება, რასაც არაუშუალო მიმართვაც მოწ-

მობს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

1. ინგლისურში მილოცვის ყველაზე გავრცელებული ფორმებია **happy** და **congratulations**, ქართულში კი სიტყვა **გილოცავ** სხვადასხვა გრამატიკული ფორმით. როგორც ინგლისური, ისე ქართული მილოცვები შეიცავს კლიშე ფრაზებს.
2. ინგლისურ მილოცვებში შეიძლება გამოვარჩიოთ საქორწილო მილოცვა, სადაც, სხვა სახის მილოცვებისაგან განსხვავებით, უშუალოდ მილოცვის ტექსტის წინ მოცემულია ინფორმაცია ჯვრისწერის ადგილისა და თარიღის შესახებ.
3. ინგლისურენოვანი მილოცვები უმეტესწილად ლაკონურია და ემოციურობით არ ხასიათდება. თუმცა ზოგჯერ შედარებით ვრცელ და გართმულ მაგალითებსაც ვხვდებით. ასეთი სახის მილოცვები ხშირია ქართულ პრესაში.
4. ინგლისურ პრესაში ძირითადად დაბადების დღის, ქორწინების, შობა-ახალი წლისა და წმინდა ვალენტინის დღის მილოცვებია მოცემული. აღნიშნული დღესასწაულების დროს რამდენიმე გვერდი ან გაზეთის დამატება მილოცვებს ეთმობა, რაც ქართული პრესისათვის უცხოა. ქართულენოვანი მილოცვები, თავის მხრივ, მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც ძირითადად რელიგიურ დღესასწაულებთან არის დაკავშირებული.
5. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურ და ქართულ პრესაში არსებულ მილოცვებს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა მხოლოდ სხვადასხვა კულტურული ფონი და საზოგადოებრივი ნორმები, არამედ მათი ავტორების ინდივიდუალური ნიშან-თვისებები და წერის განსხვავებული მანერა.

ლიტერატურა

გოფმანი, 1981 — Goffman E., "Forms of Talk", Oxford, 1981

გოქსაძე, დემეტრაძე, 1996 — ლ. გოქსაძე, ი. დემეტრაძე, „ქართულ-ინგლისური ყოფითი თავისებურებები“ (I), თავაზიანობის ნორმები, თბ., 1996.

კლაინი, 1994 — Clyne M., "Inter-Cultural Communication at

Work", Cambridge University Press, 1994.

კრისტალი, დეივი, 1979 — Crystal D., Davy D., "Investigating English Style", Longman, 1979

ლაიონსი, 1995 — Lyons J., "Language and Linguistics", Cambridge University Press, 1995

ჰადსონი, 1993 — Hudson R.A., "Sociolinguistics", Cambridge University Press, 1993

ჰაიმსი, 1964 — Hymes D., "Language in Culture and Society", N-Y, London, 1964

ინტერნეტი

"The Daily Telegraph"

"The Independent"

"The Times"

"The Sunday Telegraph"

"The Reading Chronicle"

„ახალი თაობა“

„კვირის პალიტრა“

„რეზონანსი“

„სიტყვა და საქმე“

LILI GOKSADZE, NINO TARKHNISHVILI

Language Means Reflecting Rituals in English and Georgian

(on the material of the Press)

Summary

1. The most widely spread forms of congratulating in English are **happy** and **congratulations**, whereas in Georgian the form **gilocav** is almost universal. Both English and Georgian congratulations contain clichés.

2. In English congratulations connected with weddings it is typical to give information about the date and place of the wedding ceremony, before the basic text.

3. English congratulations are laconic not very emotional, though sometimes one can come across rather long and rhymed forms. Rhymed forms are frequent in Georgian congratulations.

4. In English Press we can find congratulations on birthdays, weddings,

Christmas and New Year and St. Valentine's Day. In the last two cases several special newspaper pages are devoted to congratulations. Georgian congratulations in their turn are more varied as they are connected with different religious holidays.

5. It is worth mentioning that English and Georgian forms of congratulating differ not only in cultural background but also in personal features of the writers and their different writing manners.

ეპატარინა შორაშოლიანი

ნუმერატივები სომატურ ფრაზეოლოგიებში

ნუმერატივის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლისთვის დიდ მნიშვნელობას იძენს მათი სტრუქტურული თავისებურებების გამოვლენა, რამდენადაც აღნიშნული თავისებურებები გარკვეულ გავლენას ახდენს კომპონენტ-ნუმერატივის სემანტიკურ ღირებულებაზე. ნუმერატივის შემცველი ფრაზეოლოგიზმების ანალიზის შედეგად შესაძლებელი ხდება მათი სტრუქტურული ტიპების, რიგი სემანტიკურ-სტრუქტურული ფრაზეოლოგიური მოდელების ჩამოყალიბება, რომელთა საზღვრებშიც შესამჩნევია ფრაზეოლოგიური ერთეულის საფუძველში მყოფი ენობრივი კონსტრუქციის ზეგავლენა კომპონენტ-ნუმერატივის სემანტიკურ ღირებულებაზე.

ექსტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ჩვენ მიერ გამოყოფილ სხვადასხვა სტრუქტურულ ტიპებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფრაზეოლოგიზმთა სტრუქტურული ტიპი — ნუმერატივი + სომატიზმი, რომელიც დიდი რაოდენობით გვხვდება როგორც ფრანგულ, ასევე ქართულ ენებში. ცნობილია, რომ ენის ლექსიკა, რომელიც განსაზღვრავს ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპონენტურ შემადგენლობას, მჭიდრო კავშირშია ადამიანის გარემომცველ სამყაროსთან. ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სიტყვები — სომატიზმები, რომლებიც იწვევენ ხატოვან ასოციაციებს ადამიანის ინტელექტთან, ფიზიკურ შრომასთან, ყოველდღიურ ცხოვრებასთან, და გრძნობებთან, მიეკუთვნებიან ფრაზეოლოგიის პროცესში მონაწილე ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს, რაზეც მოწმობს სომატური ფრაზეოლოგიისადმი არსებული დიდი ინტერესი მკვლევარ-ფრაზეოლოგთა მხრიდან და ამ საკითხისადმი მიძღვნილი ფრაზეოლოგიური კვლევების რაოდენობაც. თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სომატური და ნუმერატიული კომპონენტის ურთიერთმიმართების საკითხს ფრაზეოლოგიური ერთეულის ფარგლებში აქამდე არ მიუქცევია ფრაზეოლოგთა

ყურადღება. ჩვენი მიზანია სწორედ აღნიშნული ურთიერთმიმართების გამოვლენა, რაც, თავის მხრივ, ემსახურება ნუმერატივის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურული და მათი გზით სემანტიკური თავისებურებების გამოვლენას.

სტრუქტურული ტიპის «ნუმერატივი+სომატიზმი» პროდუქტიულობა ფრაზეოლოგიაში რიცხვითი სახელის არსებით სახელთან შერწყმის სინტაქსური ფუნქციის გარდა, რიცხვითი სიტყვებისა და ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელების ცნობილი კავშირითაც უნდა იყოს განპირობებული. როგორც ცნობილია, რიცხვთა დასახელებების ჩამოყალიბებას წინ უძღოდა რიცხვის ცნების გაჩენა, რომელიც თავის მხრივ საგნობრივი ცნებების განვითარების შედეგი იყო. „რიცხვის ცნების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი იყო რეალური საგნებისა და მათი სიმრავლის არსებობა, და ასევე მათთან პრაქტიკული დამოკიდებულების გაჩენა, რაც გულისხმობს საგნებისა და სიმრავლის კომბინირების უნარს...“ (იანოვსკი, 1936, 114) სწორედ საგანთა და სიმრავლეთა კომბინირებაზე გადის გზა რიცხვითი სახელის ცნების ჩამოყალიბებისკენ. სიმრავლის გაჩენის ეტაპი კი პირდაპირ უკავშირდება ადამიანის სხეულის ნაწილებს, განსაკუთრებით კი ორად გაყოფილი ერთგვარი ერთეულების ნაკრებს, როგორებიცაა: ყურები, თვალები, ხელები, ფეხები და ა.შ. ადამიანის სხეული და განსაკუთრებით ხელისა და ფეხის თითები, როგორც ეტალონური სიმრავლეები, წარმოადგენენ რიცხვის პირველ გაგებას და რიცხვითი სახელების პირველი დასახელებები სწორედ ამ ეტალონის, განსაკუთრებით ხელის სახელწოდების საფუძველზეა შექმნილი. ამიტომაც ნუმერატივების (რიცხვითი სიტყვების) გამოჩენა სომატიზმების (ადამიანის სხეულის ნაწილების სახელების) გვერდით სავსებით კანონზომიერი ჩანს.

ფრაზეოლოგიური ერთეულის ფარგლებში ნუმერატივები გვხვდება ისეთ სომატიზმებთან, როგორებიცაა ფრანგულში: *tête, visage, oeil/yeux, oreille, bouche, nez, épaule, dos, rein, coeur, main, bras, pied, jambe, genou* და სხვ. მაგ: **deux têtes dans un bonnet** სიტყ. ორი თავი ერთ ქულში „ერთნაირი შეხედულების ორი ადამიანი, თანამზრახველები“; **visage fermé à triple tour** სიტყ. სამჯერ (სამმაგად) უშფოთველი სახე „სახის მშვიდი, უშფოთველი გამომეტყველება“; **écouter (entendre) de ses deux oreilles** სიტყ. თავისი ორი ყურით მოსმენა „მთელი გულისყურით მოსმენა“; **applaudir des deux mains** ტაშის

დაკვრა ორი ხელით „რაიმეს მისალმება, სულით და გულით მხარდაჭერა“; **avoir cent bras** სიტყ. ასი ხელის ქონა „აქტიური მოღვაწეობა“; **avoir un pied dans la fosse (la tombe)** სიტყ. ერთი ფეხის საფლავში ქონა „ცალი ფეხით სამარეში ღვომა“ და სხვ. ქართულში: თავი, ცხვირი, ყური, ყბა, წელი, ხელი, ფეხი, თითი, მუხლი და სხვ. მაგ.: **ერთი თვალის გადავლებით** „უცებ, ზერეულად, ერთი გადახედვით“; **ერთ ყურში შეუშვა (შეუშვებს) და მეორიდან გაუშვა, (მეორეში გაუშვებს)** „ნათქვამს, გაგონილს ყურადღებას არ მიაქცევს, მნიშვნელობას არ მისცემს, ანგარიშს არ გაუწევს“; **ერთ პირზე ღვომა** „თანხმობა, ერთად მოქმედება“; **ორივე ყბით ჭამა** „მადიანად ჭამა“; **ორი ხელით მიცემა (რისამე)** „გულუხვად, სიამოვნებით გამეტება რისამე“; **ხუთი თითივით ცოდნა (ისე ცოდნა, როგორც თავისი ხუთი თითი)** „ძალიან კარგად, ზედმიწევნით ცოდნა, რაიმეში დარწმუნებული ყოფნა“; **ერთი ფეხით სამარეში ყოფნა, ღვომა** „სიკვდილის პირას ყოფნა“ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ნუმერატივები სომატიზმის გვერდით გვხვდებიან სხვადასხვა სტრუქტურული ტიპის (სუბსტანტიურ, ადიექტივურ, ადვერბიალურ, ზმნურ და ასევე კომუნიკაციურ) ფრაზეოლოგიზმებში, თუმცა აღნიშნული სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპი უმეტესად ზმნური შესიტყვებებითაა წარმოდგენილი როგორც ფრანგულ, ასევე ქართულ ენებში. ამ ტიპის ზმნური ფრაზეოლოგიზმების უმრავლესობაში ერთმანეთის გვერდით გვხვდება სომატიზმი და ის ნუმერატივი, რომელიც სხეულის ამა თუ იმ ნაწილის რეალურ რაოდენობას აღნიშნავს, მაგ: **s'étendre de ses quatre membres** სიტყ. თავისი ოთხი კიდურით გაშოტვა 'გაშოტვა, გაშხლართვა (მიწაზე, საწოლზე)'; **porter l'eau sur les deux épaules** წყლის ტარება ორივე ბეჭით 'ყველაფრის თავის ჭკუაზე კეთება'; **regarder qqn entre les deux yeux** ვინმეს ყურება ორ თვალს შორის 'პირდაპირ თვალეში ცქერა'; **ne rien faire de se dix doigts** თავისი ათი თითით არაფრის კეთება 'უმოძრაობა, თითის თითზე არ დაკარება' და სხვ. განსაკუთრებით, წყვილი ორგანოს აღმნიშვნელი სომატიზმი და ნუმერატივი — ორი (**deux**), უფრო ხშირად, **deux oreilles** 'ორი ყური', **deux yeux** 'ორი თვალი', **deux mains** 'ორი ხელი', **deux pieds** (ან **deux jambes**) 'ორი ფეხი' ფრანგულში და 'ორი ხელი', 'ორი ყბა' ქართულში. ასეთი ფრაზეოლოგიზმებში ნუმერატიული კომპონენტი სომატიურთან ერთად გამოდის ინტენსიფიკატორის ფუნქციით. მაგ: ფრაზეოლოგიზმებში -

écouter de ses deux oreilles თავისი ორი ყურით მოსმენა 'მთელი გულსყურით მოსმენა', **voir de ses deux yeux** თავისი ორი თვალით დანახვა, 'თავისი თვალით, ძალიან კარგად დანახვა'; **signer (donner son consentement) à deux mains** ხელმოწერა ორივე ხელით, 'სრულიად დათანხმება'; **boiter des deux pieds** ორივე ფეხით კოჭლობა, 'წაქცევა'; **demande à deux genoux** ორ მუხლზე თხოვნა, 'მუხლებში ჩავარდნა რაიმეს სათხოვნელად'; **pincer les deux talons** ორი ქუსლის ჩქმეტა, 'ცხენისთვის დეზის კვრა, აჩქარება'. (ფრანგულში); ორივე ყბით ჭამა 'მადიანად ჭამა'; ორი ხელით მიცემა (რისამე) 'გულუხვად სიამოვნებით გამეტება რისამე'; ორივე ხელით დაბლაუჭება 'რისამე საცხებით დაპატრონება, დაუფლება' (ქართულში), ნუმერატივი **deux** 'ორი' აძლიერებს მოქმედების ხარისხს. ხოლო წყვილი ორგანოს აღმნიშვნელი სომატიზმის გვერდით ნუმერატივის — **un** 'ერთი' გამოყენება პირიქით, ასუსტებს მოქმედების ხარისხს, შდრ.- **écouter d'une oreille** ერთი ყურით მოსმენა, 'უყურადღებოდ, ცალი ყურით მოსმენა', **ne voir que d'un oeil** ერთი თვალით შეხედვა, 'რაიმესთან ზედაპირულად გაცნობა, რაიმეს ცალმხრივად შეხედვა'; **n'y aller que d'une fesse** სიტყ. ერთი დუნდულით წასვლა, 'რაიმეს კეთება ენერჯის გარეშე'; **n'aller que d'une jambe** მხოლოდ ერთი ფეხით წასვლა, 'გაჭირვებით სიარული, ცუდად ფუნქციონირება (საგნებზე)' და სხვ.

ნუმერატივები **cinq** 'ხუთი', **quatre** 'ოთხი' და **dix** 'ათი' გვხვდება სომატიზმებთან — **doigt** 'თითი', **pouce** 'ცერი'. ფრაზეოლოგიზმში **ne pas faire oeuvre (ne rien faire) de ses dix doigts** თავისი ათი თითით არაფრის კეთება 'უმოქმედობა, უსაქმურობა, თითის თითზე არ დაკარება' თითების ზუსტი რიცხვის დასახელება უფრო ძლიერად გამოხატავს უმოძრაობას. ფრაზეოლოგიურ ერთეულებში - **y mettre les quatre doigts et le pouce** ოთხი თითით და ცერით ჩაბლუჯვა, თქვლევა, უხეშად, მოუქნელად, მოუტირებლად მოქცევა'; **se (s'en) lécher les quatre doigts et le pouce** ოთხი თითის და ცერის გალოკვა, 'თითების ჩაკვნიტა' ხელის ნაცვლად გამოყენებული ხუთი თითი, უფრო სწორად კი ოთხი თითი და ცერი მეტაფორულად ხელს აღნიშნავს და მათი გამოყენება უფრო ექსპრესიულს ხდის შესიტყვებას. ხელის თითების მსგავსებას და მათ სიახლოვეს ესმის ხაზი ფრანგულ ფრაზეოლოგიზმში, სადაც ხელის ორი თითი მეტონიმიურად აღნიშნავს ახლო, განუყრელ მეგობრებს : **être comme les deux doigts (être les deux doigts) de la main (de la même main)** ხელის (ერთი და იმავე ხელის) ორი თი-

თავით ყოფნა, 'ძალიან ახლო ურთიერთობაში ყოფნა, განუყრელობა'. ხოლო ქართულ ფრაზეოლოგიზმში -ხუთი თითივით ცოდნა, (ისე ცოდნა, როგორც თავისი ხუთი თითი) 'რაიმეს ძალიან კარგად, ზედმიწევნით ცოდნა, დარწმუნებული ყოფნა' ადამიანის მიერ საკუთარი თავის (ამ შემთხვევაში საკუთარი ხელის თითების) კარგად ცოდნას.

ზოგჯერ კონსტრუქციაში ნუმერატივი+სომატიზმი, ნუმერატივის მიერ გამოხატული რიცხვი აღემატება სხეულის მოცემული ნაწილების რეალურ რიცხვს, რაც ნუმერატივს ჰიპერბოლურ მნიშვნელობას სძენს. მაგ: **avoir les quatre pieds blancs** ოთხი თეთრი ფეხის ქონა, 'ყველაფერი ევატიება'; **avoir cent bras** ასი ხელის ქონა, 'აქტიური მოღვაწეობა'.

აღნიშნული ტიპის ზოგიერთ ფრანგულ ფრაზეოლოგიზმში ადამიანის ახალგაზრდობა ასოცირდება მის ფიზიკურ უნართან, განსაკუთრებით კი კარგ მხედველობასთან და სიარულთან, ამიტომაც ასეთ ფრაზეოლოგიზმებში ერთად იყრის თავს სომატიზმები — **jambe** 'ფეხი', **oeil** 'თვალი' და ნუმერატივები, რომლებიც ადამიანის ასაკს აღნიშნავენ. მაგ: **avoir encore (retrouver) ses jambes de quinze (de vingt) ans** თხუთმეტი (ოცი) წლის ფეხების ქონა, 'ახალგაზრდული ენერჯის ქონა (დაბრუნება), მხნეობის შენარჩუნება, დაბრუნება'; **avoir ses yeux de quinze ans** თხუთმეტი წლის თვალების ქონა, 'კარგი მხედველობის შენარჩუნება'.

აღნიშნული ტიპის სუბსტანტიური ფრაზეოლოგიზმების უმრავლესობაში სხეულის ნაწილების სახელები მეტონიმიურადაა გადააზრებული, ხოლო კომპონენტი-ნუმერატივები გამოიყენება მეტაფორულად. მაგ: **première main** პირველი ხელი, 'პირველი, მთავარი ოსტატი (ტანსაცმლის ატელიეში)', **deuxième main** მეორე ხელი, 'მკერავის დამხმარე(ატელიეში)' და სხვ.

სტრუქტურული ტიპი «ნუმერატივი+სომატიზმი» წარმოდგენილია ასევე ადვერბიალური ფრაზეოლოგიზმებით როგორც ფრანგულ, ასევე ქართულ ენაში. ასეთი ტიპის ფრაზეოლოგიზმთა ერთ ნაწილში აღნიშნული ტიპის კონსტრუქცია მოქმედების სისწრაფეს გამოხატავს. ასეთ კონსტრუქციებში ძირითადად გამოიყენება სომატიზმები: **main** 'ხელი', **oeil** 'თვალი', **gueule** 'პირი' და ნუმერატივი **un** 'ერთი' ან **deux** 'ორი' როგორც უმცირესი ერთეულები. მაგ: **en un (deux) tour (s) de main** ხელის ერთი მოძრაობით, 'ძალიან სწრაფად'; **en un clin d'oeil** თვალის ერთი გადავლებით, 'ძალიან სწრაფად'; **en un tour de**

gueule პირის ერთი მოძრაობით, 'ერთბაშად'. ქართულში — ერთი ხელის მოსმით 'ერთბაშად, სწრაფი მოძრაობით'; ერთი თვალის გადავლებით 'უცებ, ზერელედ, ერთი გადახედვით'; ერთი თვალის დაკვრით 'ერთი შეხედვით, ერთი თვალის მოვლებით' და სხვ.

ზოგიერთ ადვერბიალურ ფრაზეოლოგიურ ერთეულში კი კონსტრუქცია «ნუმერატივი+სომატიზმი» გამოხატავს სივრცით სიახლოვეს ფრანგულში და სივრცით და დროით სიახლოვეს ქართულში. ასეთ ფრაზეოლოგიზმებში ძირითადად გამოიყენება სომატიზმები **doigt** 'თითი' და **cheveu** 'თმა, ბეწვი' და ნუმერატივები **'un'** და **'deux'**, როგორც უმცირესი ერთეულები, ქართულში — სომატიზმი 'ფეხი' და ნუმერატივები — 'ერთი' და 'ორი'. მაგ: **à deux doigts de...** ორ თითზე, 'ძალიან ახლოს, ორ ნაბიჯზე'; **à un cheveu de...** ერთ ბეწვზე, 'ძალიან ახლოდან' და სხვ. (ფრანგულში), ორი ფეხის გადადგმაზე 'ძალიან ახლოს'; ერთი ფეხით წინ 'სულ ცოტათი ადრე' და სხვ. (ქართულში).

ამრიგად, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ჯგუფი სტრუქტურით «ნუმერატივი+სომატიზმი» ფართოდაა წარმოდგენილი როგორც ფრანგულ, ასევე ქართულ ენებში. ფრაზეოლოგიური ერთეულის სტრუქტურის ზეგავლენა კომპონენტის სემანტიკურ ღირებულებაზე გამოიხატება იმაში, რომ არსებობს გარკვეული სემანტიკურ-სტრუქტურული მოდელები, რომლებშიც კომპონენტი-ნუმერატივი წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმის სემანტიკურ ცენტრს და იღებს მაქსიმალურ სემანტიკურ დატვირთვას.

ლიტერატურა

ბოტინა, 1983 — Ботина Л. Г. Из наблюдений над семантикой нумеративных ФЕ в русских говорах. Вопросы семантики фразеологических единиц, Самарканд, 1983.

გევორჯიანი, 1990 — Геворкян А. В. Семантика, структура и происхождение фразеологических единиц с зоонимами. На материале армянского и английского языков. Дисс. на соиск. уч. степ. кандид. филол. наук. Ереван, 1990.

იანოვსკი, 1936 — Яновский С. Я. «О так называемых определениях через абстракцию» Сборник статей по философии

математики. М. Учпедгиз, 1936.

სოკოლოვა, 1984 — Соколова Г. Г. Состав компонентов фразеологических единиц французского языка. Лекция. Лен. 1984.

EKATERINE ZHORZHOLIANI

Numericals in Somatic Phraseological Expressions

Summary

The structural type of a phraseological expression - a numerical + a somatism is frequently encountered both in the French and Georgian languages. The study of the relationship between the numerical and somatic components of phraseological expressions enables us to reveal semantic and structural peculiarities of the expressions in question. The productivity of the given structural type can be explained, on the one hand, by the syntactic function of the combination - a numeral + a noun, and on the other, by the unity - a numeral + a name for a part of the human body. In verbal phraseological expressions a numerical component together with a somatism denoting a pair organ serve as an intensifier, whereas in adverbial phraseological expressions the same construction expresses the speed of action or proximity in time and space.

ნუნუ ჰორჯოლიანი

დარგობრივი უცხოენოვანი ტექსტის ალქმის თავისებურებანი

ლინგვისტიკურ ანალიზსა და დარგობრივად ორიენტირებული უცხო ენის სწავლებაში ამგვარი ანალიზის გამოყენებას შორის მკაცრად განსაზღვრული რგოლის როლს ე.წ. „სქემების თეორია“ (Schemen-theorie) ასრულებს. ტექსტის კოგნიტური ალქმის მოდელის დახმარებით ცდილობენ ახსნან, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტექსტის სქემების ცოდნას (მაგ.: ტექსტის მაკროსტრუქტურული ორგანიზაცია ან ტექსტის სემანტიკის განლაგება) დარგობრივი ტექსტის გაგების და წარმოქმნის პროცესში.

ტექსტის ალქმა უფრო მეტია, ვიდრე ინფორმაციის პასიური მიღება. ტექსტის გაგება აქტიურ პროცესს წარმოადგენს, რომელიც შემსწავლელისაგან ენობრივი და შინაარსობრივი ცოდნის, გაგებისა და კითხვის სტრატეგიების გამოყენებას მოითხოვს. ეს ეხება როგორც მშობლიურ ენაზე ალქმას (Rezeption), ასევე უფრო გართულებულ პირობებში უცხოენოვანი ტექსტების გაგებას, რადგან მშობლიურ ენაზე შექმნილი სტრატეგიები და კითხვის უნარ-ჩვევები ენობრივ სირთულეთა გამო შეუძლებელია უპრობლემოდ გადატანით უცხოენოვან ტექსტებზე.

ფსიქოლინგვისტიკა და კოგნიტური ლინგვისტიკა სწავლობენ, თუ როგორ არის ორგანიზებული ცოდნა და რა როლს თამაშობს იგი გაგების პროცესში. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ცოდნა ორგანიზებულია გარკვეულ სტრუქტურულ ერთეულებში. სხვადასხვა კვლევის მიმართულებები ცოდნის ამ ერთეულებს ტერმინოლოგიურად სხვადასხვანაირად განმარტავენ: მაგ.: „ფრეიმები“-ჩარჩოები და სცენარები „scripts“. პირველი ტერმინი ჯერ კიდევ ი. კანტის „წმინდა გონების კრიტიკაში“ გამოჩნდა. ბარტლეთი მიიჩნევდა, რომ სქემები წარსული გამოცდილების პროდუქტია, ამ გამოცდილებით ხელახლა სარგებლობენ, როდესაც რაიმეს გაგებას ცდილობენ. ბარტლეთის აზრით, გაგების პროცესი გულისხმობს, რომ ახლის გაგება

მხოლოდ წარსულში წარმოქმნილი სქემების საფუძველზეა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე კულტურით განპირობებული ცოდნის რეპრეზენტაციები გავლენას ახდენს ტექსტის დამახსოვრებაზე, რის დამტკიცებაც ბარტლემმა ექსპერიმენტების მეშვეობით შეძლო.

დ. რამელჰარტი (1980 : 33f) სქემებს „კოგნიციის სამშენებლო ბლოკებს“ უწოდებს, რადგან მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ სენსორულ მონაცემთა (ლინგვისტური და არალინგვისტური) ინტერპრეტაციაში, მესხიერებიდან ინფორმაციის გამომსახებაში, ქმედების ორგანიზებაში, მთავარი და დაქვემდებარებული მიზნების განსაზღვრაში.

ამ სქემებს ასევე უწოდებენ წინასწარ შექმნილ ცოდნის სტრუქტურებს (პ. კერელი/ჯ. ისტერპოლდი), წარსული პიროვნული გამოცდილების სტრუქტურულ მთლიანობასა და მკითხველის ფონისეულ (**background**) ცოდნას ან **ideational scaffolding**-ს ე. ი. ცოდნის სტრუქტურების სისტემას, რომელსაც ქსელური აგებულება აქვს.

აღქმის პროცესში ტექსტის მონაცემთა საფუძველზე აქტიურდება რეციპიენტის მიერ დაგროვილი ცოდნა და იგი უკავშირდება ტექსტის მონაცემებს. ამასთან, ისინი წარმოადგენენ როგორც ენობრივ, ასევე შინაარსობრივ ცოდნას აბსტრაქციის სხვადასხვა დონეზე. სქემების თეორია ეფუძნება ურთიერთმიმართებას მონაცემებისა და კონცეპტების მეშვეობით მართული ინფორმაციების დამუშავებას შორის. ეს ნიშნავს, რომ „ქვემოდან ზემოთ პროცესის“ დროს (ტექსტის წარმოქმნა-გაგების ტ. ვან დეიკისა და კინჩის მოდელი) თავდაპირველად დაქვემდებარებული სქემების გააქტიურება ხდება (მაგ. ბგერების, სიტყვის სქემების), რომლებიც, თავის მხრივ, უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ სქემებს ააქტიურებენ სემანტიკურ და ინტერპრეტაციულ დონეზე. ამავე დროს მიმდინარეობს საპირისპირო, ზემოდან ქვემოთ პროცესი, რომლის დროსაც ზოგადი ვარაუდები ტექსტის შესახებ უფრო მაღალდონეებრივი (**higher-level**) სქემების მეშვეობით გამოითქმის, მათი სისწორე კი შემდგომ ტექსტის მონაცემების მეშვეობით გადამოწმდება. ამ ბოლო საფეხურს ანუ სქემების შევსებას ტექსტის მონაცემებით უწოდებენ „instantiation“-ს (ანდერსონი, 1977, 4).

ამდენად, სქემები ხელს უწყობენ ენობრივი ან ავტორის მიერ ინტენდირებული ცარიელი ადგილების შევსებას, ხდება რა არარსებული ელემენტების დამატება საკუთარი ცოდნიდან. ინტერპრეტაცია

დამაკმაყოფილებელია, როცა არ არის წინააღმდეგობა ტექსტის მონაცემებსა (**bottom-up**) და შინაარსთან დაკავშირებულ პროგნოზებს/ჰიპოთეზებს შორის. თუ ეს მაინც ხდება, რეციპიენტი იძულებულია გადასინჯოს თავისი ინტერპრეტაცია, რათა ამ გზით მიუახლოვდეს ტექსტის მონაცემთა და საკუთარ ჰიპოთეზათა თანხვედრას. სქემების გააქტიურება იმასაც განაპირობებს, რომ ტექსტის მნიშვნელობა შესაძლოა განჭვრეტილ იქნეს, რადგან იგი რეციპიენტში გარკვეულ მოლოდინს იწვევს, რომელიც ტექსტის შემდგომი ინფორმაციის მეშვეობით გადამოწმდება. სქემების გააქტიურება ამით ზეგავლენას ახდენს ტექსტის საჭირო მონაცემების შემცირებაზე და ამით კითხვის პროცესი მარტივდება.

პ. კერელი, ჯ. ისტერპოლდი (კერელი, ისტერპოლდი, 1983, 560f) განასხვავებენ „ფორმალურ სქემებს“ და „შინაარსობრივ სქემებს“. შინაარსობრივი სქემები არ წარმოადგენენ მესხიერებიდან გამოსაძახებელ მზა დეფინიციებს, არამედ ისინი უფრო პროტოტიპური კონსტრუქციებია, რომელთაც აქვთ მრავალი ცვლადი (**slots**), ეს უკანასკნელნი კი შინაარსით ინდივიდუალურად სხვადასხვანაირი ფორმით ივსება. რეციპიენტი ფლობს კონკრეტული სიტუაციის შესაფერის გარკვეულ წარმოდგენებს პროტოტიპებზე, და ამდენად, რეციპიენტი პიროვნებებს, ქმედებებსა და სიტუაციებს ასოციაციურად უკავშირებს თავისი სქემების სხვადასხვა ცვლადებს. ამასთან გასათვალისწინებელია ის ცვლადები, რომლებიც ტექსტში ექსპლიციტურად არ არის ნახსენები, მაგრამ ამ მიმართებაში საზრისის (**Sinn**) წარმოქმნიან. თუ საგნებისა და ცნებების რეპრეზენტაცია სქემების მეშვეობით ხდება, მოვლენების რეპრეზენტაციისათვის სცენარები გამოიყენება. ამასთან, სქემა მესხიერებაში არსებობს არა იზოლირებულად, არამედ იგი მსგავსი, ზემდგომი ან დაქვემდებარებული სქემების ქსელშია ინტეგრირებული, რომლებიც ერთმანეთს ააქტიურებენ, ე.ი. დაქვემდებარებული სქემა ზემდგომის გააქტიურებას იწვევს და ა.შ.

ფორმალურ სქემაში იგულისხმება „სხვადასხვა ტიპის ტექსტების ფორმალური, რიტორიკული, ორგანიზაციული სტრუქტურების წინარე ცოდნა (კერელი, ისტერპოლდი, 1983, 560). ფორმალური სქემები ასევე მოიცავენ ცოდნას ტექსტის დისკურსული სტრუქტურის შესახებ. ტექსტის ბევრ სახეობაში ფართოდ ფორმალიზებული ტექსტის სქემები საშუალებას აძლევს რეციპიენტს, დიდი სირთულის

გარეშე შეიცნოს ურთიერთმიმართებები ტექსტის სხვადასხვა ნაწილებს შორის და ამგვარად გაშიფროს ტექსტის მნიშვნელობა. დარგობრივ დისკურსში ტექსტის ტიპური სქემა ასეთია: სიტუაცია-პრობლემა-გადაწყვეტა-შეფასება (Evaluation).

ტექსტის სქემებში გულისხმობენ (ჰუტცი, 1997, 257) ტექსტის სახეობისათვის დამახასიათებელ და კულტურული მიმართების შემცველ ენობრივ ქმედებებს, ე.ი. ტექსტის ფორმალიზებულ (konventionalisiert) აგებულებას.

რეციპიენტი იძენს ცოდნას, როდესაც ცდილობს სამყაროს აღქმისას გარკვეული წესრიგი შეიცნოს. იგივე ეხება უცხო ენის შესწავლას და უცხოენოვანი ტექსტის აღქმას. რეციპიენტი ცდილობს გარკვეული კანონზომიერებანი დაინახოს უცხოენოვან ტექსტებში, რომლებიც გაგებას გააიოლებენ.

ყოველ მკითხველს — შეგნებულად თუ შეუგნებლად აქვს წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ არის ტექსტის გარკვეული სახეობები მათ მშობლიურ ენაზე აგებული და ამის შედეგად ვარაუდობს ამ სახეობის ტექსტისათვის დამახასიათებელ სქემატურ ნიშნებს. ვთქვათ, გარკვეული გამოცდილების საფუძველზე მკითხველმა იცის, თუ რა ინფორმაცია სად უნდა ეძებოს და ტექსტის სახეობის შესახებ შეძენილი კომპეტენცია მკითხველს ტექსტის გარკვეულ შინაარსს ავარაუდებინებს, ეს ხელს უწყობს ტექსტში სწრაფად გარკვევას და ამდენად ინფორმაციის სწრაფ გაშიფვრასა და მთლიან აღქმას.

დარგობრივ ენაზე მკითხველს აქვს ტექსტის სქემები, ანუ ტექსტის დინამიკური სტრუქტურები, რომლებიც გარკვეულ ცვლადებს (slots) (სიტუაცია, პრობლემა, გადაწყვეტა, შეფასება) ავლენენ. ეს ცვლადები, ხშირად ქვეცნობიერად დამაგრებული, ტექსტის შესაბამისად სხვადასხვა შინაარსით ივსება. ამგვარი სქემების არსებობა ტექსტში სწრაფი ორიენტაციის საშუალებას იძლევა, რადგან დისკურსული სტრუქტურების ვარაუდია შესაძლებელი. სქემების წარმოქმნის უნარი განაპირობებს იმას, რომ რეციპიენტი სწრაფად ერკვევა ტექსტში და აღიქვამს შინაარსს. სქემების მეშვეობით მართული გაგება ნიშნავს, რომ ლექსიკურად განპირობებული ცარიელი ადგილები ან ავტორის მიერ ექსპლიციტურად დასახელებული საგნობრივი მიმართებები შესაძლოა სქემების მეშვეობით მარტივად იქნეს შეცნობილი. ამას გარდა, ტექსტის სქემების არსებობა აიოლებს ტექსტის შინაარსის შემდგომ რეკონსტრუქციას.

სხვადასხვა ექსპერიმენტების გზით დადასტურებულია ტექსტის სქემების არსებობა. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია უცხო ენაზე ტექსტის სქემების შესახებ ცოდნის შეძენა, რომლებიც საშუალებას მისცემს ენის შემსწავლელს, უკეთესად გაიგონ ტექსტი ან სიტუაციის შესაბამისად შეძლონ უცხო ენაზე კომუნიკაცია.

ტექსტის ნიმუშები, რომლებიც ენის შემსწავლელს თავის მშობლიურ ენაზე აქვს, შესაძლოა უპრობლემოდ ვერ გადაიტანონ უცხო ენაზე, რადგან ტექსტის სქემები ხშირად კულტურისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს ამჟღავნებენ. ამან შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ უცხოენოვანი ტექსტის წაკითხვისას ან ასეთი ტექსტის წარმოქმნისას როგორც ფორმალურმა ანუ ენობრივმა, ასევე შინაარსობრივმა სქემებმა შექმნან სირთულეები, რადგან ისინი არ ემთხვევა საკუთარ სქემებს. ამის დასტურია ვ. კინჩისა და ე. გრინის ექსპერიმენტი (1978): სტუდენტებს წაუკითხეს გრიმის ზღაპარი და ინდიელთა ლეგენდა. შემდეგ მათ უნდა გადმოეცათ წაკითხული. მათ მიერ გადმოცემული გრიმის ზღაპრის შინაარსი ხარისხობრივად და კოჰერენციის მიხედვით გაცილებით სწორი იყო, ვიდრე ინდიელთა ლეგენდის შინაარსი. სტუდენტებმა ლეგენდის არქიტექტონიკა ნებისმიერად მიიჩნიეს, მათ გაუჭირდათ ვარაუდების გამოთქმა და ტექსტის დაჯამებულად გამოცხადება. ეს განაპირობა უცხო კულტურის სქემების არცოდნამ.

თვით ისეთ ახლომდგომ ენებში, როგორცაა ინგლისური და გერმანული, შეიძლება თავი იჩინოს ენათაშორისმა სხვაობამ ტექსტის სახეობებს შორის, მაგ., ტექსტის სემანტიკის განლაგება ან განსხვავებული არქიტექტონიკა, ამგვარმა განსხვავებებმა კი შესაძლოა საფრთხე შეუქმნან დარგობრივი ტექსტების სიტუაციურ და ტექსტის სახეობის ადეკვატურ წარმოქმნასა და გაგებას.

ტექსტის სქემებს დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მხოლოდ აღქმის პროცესში, არამედ უცხო ენაზე ტექსტის წარმოქმნაში, რადგან ტექსტის სქემები ხელს უწყობენ რეციპიენტის გამოხატვის უნარის გაუმჯობესებას. ფორმალური სქემების მეშვეობით უმჯობესდება გამოხატვის უნარი, რადგან ენის შემსწავლელი ავითარებს ტექსტის საკუთარ ჩარჩოებს (textual frames), რომლებიც მას საშუალებას აძლევს თავისი იდეები ავთენტური და სიტუაციურად შესაბამისი ფორმით ენა-მიზანზე (Zielsprache) გამოხატოს.

ტექსტის სქემების შეცნობაში დიდ როლს ასრულებენ მეტაკო-

მუნიციპალიტეტური გამონათქვამები, რომლებიც ტექსტის შინაარსობრივ-ფუნქციურ სტრუქტურასა და ლოგიკურ-სემანტიკურ მიმართებებს ასახავენ ტექსტის ნაწილებსა და სეგმენტებს შორის.

ნებისმიერ დარგობრივ ენაში არსებობს ისტორიულად წარმოქმნილი ტექსტის სემანტიკური პირობითობანი (**Konventionen**), რომელთა შეცნობა მკითხველს საშუალებას აძლევს, ტექსტები ინტუიციურად ტექსტის რომელიმე სახეობას მიაკუთვნოს ან დაინახოს გარკვეული გადახრები ტექსტის სახეობიდან. ამ უნარს ტექსტის ლინგვისტიკაში სხვადასხვანაირად აღნიშნავენ „ტექსტის სახეობის კომპეტენციები“ (ლუქსი, 1981), „ცოდნა ტექსტის ნიმუშების შესახებ“ (ჰაინემანი, ფივეგერი) ანუ ენობრივი კოლექტივის წევრის უნარი, წარმოქმნას კომუნიკაციური ნორმების შესატყვისი ტექსტი (**Textsortenpreformanz** — გლეზერი, 1990).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე იგულისხმება, რომ, თუ ენის შემსწავლელი ცდილობს გერმანულ ან ანგლო-ამერიკულ სტილურ მახასიათებლებსა და ნორმებზე ორიენტირებული ტექსტის წარმოქმნას, მისთვის ცნობილი უნდა იყოს სიტუაციური ნორმებს დაქვემდებარებული ტექსტის წარმოქმნის ნიმუშები.

ამის მაგალითად გამოდგება ამერიკელი და ფინელი სტუდენტების თხზულებების შედარება. ამერიკული რიტორიკის კურსის მოთხოვნების შესაბამისად სტუდენტმა განსახილველი პრობლემისადმი მკაფიო პოზიცია უნდა გამოხატოს, საკუთარი აზრი მოკლე თეზისის ფორმით გადმოსცეს და ჩამოაყალიბოს მოსაზრებები პრობლემის ცალკეულ ასპექტებზე, რაც უნდა გაფორმდეს აბზაცებად, უნდა დაიცვას თავისი მიდგომა საკითხისადმი და ამასთან ასახოს ოპონენტის ყველა მოსაზრება.

ფინელი სტუდენტების თხზულებები ამერიკელი სტუდენტების თხზულებებთან შედარებით შესაძლოა ნაკლებ მჭევრმეტყველური იყოს, რადგან ფინურ სკოლაში რიტორიკის სწავლებაში უმთავრესი ყურადღება ეთმობა პრობლემის ყოველმხრივ განხილვას, საკუთარი თვალსაზრისის დამაჯერებელ არგუმენტაციას და ნაჩქარევი დასკვნების თავიდან არიდებას. ამგვარი განსხვავებებია იმის მიზეზი, რომ კონტრასტული სტილისტიკისა და მაკროტექსტის კონტრასტული სტრატეგიის პრობლემების განხილვა ნელ-ნელა შევიდა უცხო ენების სწავლების თანამედროვე კურსებში. ეს საკითხი შემდგომ შესწავლასა და კვლევის შედეგების სწავლებაში დანერგვას საჭიროებს.

თუმცა არსებობს უცხოენოვანი ტექსტის ნიმუშების გადატანის საფრთხეც, რასაც ანგლო-საქსური „ეთნოცენტრიზმი“ მოწმობს. ამას ერთვის ისიც, რომ ფორმამ არ უნდა გადააღიოს შინაარსს და ტექსტის არქიტექტონიკის თავისებურების გაცნობიერებამ არ უნდა მიიღოს პრესკრიპტიული ხასიათი. ტექსტის სქემების გადმოცემისას უფრო მეტად არის საჭირო ენის შემსწავლელის აღჭურვა პროცედურული ცოდნის სტრუქტურებით.

ლიტერატურა:

ანდერსონი, 1977 — Anderson R. C. Schema-Directed Processes in Language Comprehension. Cambridge/MA: Erlbaum, 1977 .

ბარტლეთი, 1932 — Bartlett F. C. Remembering: A Study in Experimental and Social Psychology. Cambridge. 1932.

კერელი, ისტერჰოლდი, 1983 — Carrell P./Easterhold J. Schema Theory and ESL Reading Pedagogy. TESOL Quarterly 17.4, 1983

გლეზერი, 1990 — Gläser R. Fachtextsorten im Englischen. Tübingen: Narr, 1990.

ვან დეიკი, კინჩი, 1983 — Van Dijk T./Kintsch W . Strategies of Discourse Comprehension. New-York. London 1983.

კინჩი, გრინი, 1987 — Kintsch W./Green E. The Role of Culture-Specific Schemata in the Comprehension and Recall of Stories. Discourse Processes 1. 1978.

ლუქსი, 1981 — Lux F. Text, Situation, Textsorte. Probleme der Textanalyse, dargestellt am Beispiel der britischen Registerlinguistik. Mit einem Ausblick auf eine adäquate Textsortentheorie. Tübingen: Narr, 1981.

რამელჰარტი, 1977 — Rummelhart D.E. Schemata: The Building Blocks of Cognition. Theoretical Issues in Reading Comprehension. Ed. Rand J. Spiro, B.C. Bruce & W. F. Brewer. Hillsdale/NJ: Erlbaum, 1977.

ჰაინემანი, ფივეგერი, 1991 — Heinemann W./Viehweger D. Textlinguistik.-Eine Einführung. Tübingen: Narr, 1991.

ჰუტცი, 1997 — Hutz M. Kontrastive Fachtextlinguistik für den fachbezogenen Fremdsprachenunterricht. Wissenschaftlicher Verlag Trier: 1997.

Some Peculiarities of Comprehending Texts for Specific Purposes

Summary

The paper deals with some problems connected with learning LSP. Special emphasis is placed on the role of comprehension schemata and various text comprehension mechanisms.

სოფიო ჩხოვაძე

**სამეტყველო ჟანრის საგაზეთო რეცენზიის კომპოზიციური
ელემენტების ზოგადი ანალიზი**

ცალკეული ტექსტის ტიპებისა და სამეტყველო ჟანრების შესწავლა ტექსტის ლინგვისტიკის ახალი და აქტუალური მიმართულებაა. ამგვარი კვლევებისადმი ინტერესი განპირობებულია ლინგვისტიკის შემობრუნებით ფუნქციურ-კომუნიკაციური მიდგომისაკენ, რომლის დროსაც ტექსტი, როგორც ერთიანი სამეტყველო წარმონაქმნი, კომუნიკაციის ძირითად ერთეულად ითვლება.

სამეტყველო ჟანრის საგაზეთო რეცენზიის ანალიზმა გვიჩვენა, რომ იგი შეიცავს შემდეგ კომპოზიციურ ელემენტებს: *სათაური, შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.*

სათაური — არის რეცენზიის ტექსტის აღქმის საწყისი იმპულსი და მის ინტეგრაციას ემსახურება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს სათაურს ტექსტის ფორმირებაში ზოგადად და საგაზეთო რეცენზიაში კერძოდ, მოცემულ სტატიაში არ ვაანალიზებთ რეცენზიების სათაურებს, რადგანაც არსებობს მრავალი ნაშრომი, რომელშიც გამოკვლეულია სათაურის როლი ტექსტის ფორმირებაში (შორისი, 1982; კოლმანსკი, 1981; კვარაცხელია, 1990; გოცირიძე, 1980).

შესავლის ფუნქციაა ტექსტისადმი განწყობის შექმნა კითხვის დაწყებისთანავე. შესავალი რეცენზიის სემანტიკური გაშლის ძირითადი საწყისი ეტაპი და შინაარსის საფუძველია. საგაზეთო რეცენზიის შესავალი შეადგენს ერთ, იშვიათად ორ აბზაცს. საზღვარი შესავალსა და ძირითად ნაწილს შორის უმეტეს შემთხვევაში სპეციალური ტიპოგრაფიული ნიშნების მეშვეობით არ აღინიშნება, მაგრამ ყოველთვის აბზაცის საზღვარზეა.

შესავლიდან ძირითად ნაწილზე გადასვლა აღნიშნულია განსაზღვრული სიგნალებით. ასეთი სიგნალები შეიძლება იყოს გადასვლა

ნაწარმოების საერთო შეფასებიდან შინაარსის გადმოცემაზე, ან ნაწარმოების ზოგადი შეფასებიდან მისი ცალკეული ასპექტის შეფასებაზე. პირველ შემთხვევაში სიგნალის სახით გამოდის ძირითადი ნაწილის მიერ გამოყენებული დასაწყისი. მაგალითად:

The play is about

The story tells...

The story is a musical (a comedy, a story)...

მეორე შემთხვევაში გადასვლა შესავლიდან ძირითად ნაწილზე აღინიშნება თემის შეცვლით.

საგაზეთო რეცენზიის შესავალში შეიძლება იყოს ფაქტიური სახის სხვადასხვა ინფორმაცია: ინფორმაცია სარეცენზიო ნაწარმოებზე (კომედია, ტრაგედია, მიუზიკლი, დეტექტივი, ისტორიული ფილმი და ა.შ.), ინფორმაცია ნაწარმოების ამა თუ იმ მიმდინარეობაზე მიკუთვნების შესახებ, მონაცემები ნაწარმოებისა და მისი შემქმნელების შესახებ, ნაწარმოების შექმნის დრო და წარმოქმნის ადგილი, ისტორიული ხასიათის მონაცემები. შესავალში შეიძლება შეფასებითი ინფორმაცია იყოს მოცემული. ეს ნაწარმოების ზოგადი შეფასებაა. აქ ავტორი ცდილობს მთელ რეცენზიას საერთო შეფასება, შემდგომი დადებითი ან უარყოფითი მიმართულება მისცეს. შესავალი არა მარტო საგაზეთო რეცენზიის ტექსტის ფორმირების საწყისი ეტაპია, არამედ მკითხველის დაინტერესების ფუნქციასაც ასრულებს. უმეტეს შემთხვევაში შესავალი მოიცავს, როგორც ფაქტიურ მონაცემებს სარეცენზიო ნაწარმოებზე, ისე მის შეფასებასაც. ამ ორი ტიპის ინფორმაციის შეფარდების საფუძველზე შეიძლება გამოიყოს საგაზეთო რეცენზიის სამი სახეობა: საინფორმაციო, საინფორმაციო-შეფასებითი, შეფასებითი.

საინფორმაციო შესავალი შეიცავს ფაქტიურ მონაცემებს სარეცენზიო ნაწარმოების შესახებ. ამ ტიპის რეცენზიისათვის გამოიყენება სამეტყველო ფორმა *ცნობა*.

შეფასებით-ინფორმაციული შესავალი შედგება ორი ნაწილისაგან: შეფასებითი და ინფორმაციული. ამ ტიპის შესავლის ინფორმაციული ნაწილი რეალიზდება სამეტყველო ფორმით *ცნობა*, იშვიათად *აღწერა*. ინფორმაციული და შეფასებითი ნაწილების ზღვარი გადის, როგორც დამოუკიდებელ, ისე რთულ თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებებზე. ამგვარი ტიპის რეცენზიებში შეფასებითი ნაწილი

საინფორმაციო ნაწილს შეიძლება წინ უსწრებდეს, მოსდევდეს ან მასზე იყოს შერწყმული.

Ex-sex-worker, ex-addict. ex-passing-for-straight Steven Fales presents his amazing life story in a tour-de-force one-person show at this years New York International Fringe Festival. "Confessions of a Mormon Boy" is Steven's generous offering to all of us who have struggled with what it means to be gay, lesbian, straight, bisexual, human. His classy, inspiring, omni-sexual performance moves from grace to grace and traverses his, and every persons journey from the "depths of unhappiness" to self-acceptance and complete personhood. /Theater Reviews 07/22/04/

მოცემულ მაგალითში შესავალი იწყება საინფორმაციო ნაწილით, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ხასიათის ცნობას დამდგმელ რეჟისორსა და მისი ერთი მსახიობის შოუზე. ყველა ეს ინფორმაცია მოცემულია ერთ წინადადებაში და შეადგენს შესავლის ინფორმაციულ ნაწილს, რომელიც გაფორმებულია სამეტყველო ფორმით *ცნობა*, საინფორმაციო ნაწილს მოსდევს შეფასებითი ნაწილი — სპექტაკლის ზოგადი დახასიათება.

განვიხილოთ რეცენზიის მაგალითი, რომელშიც შეფასებითი ნაწილი წინ უსწრებს საინფორმაციო ნაწილს:

„Betrayal“ the most arresting new play of the season thus far, is intriguing both because of what it reveals and the way its revelations are made. Written by British play Wright Harold Pinter, it opened at the Trafalgar Theater this past weekend. /Theater Review 09/05/04/

მოცემულ მაგალითში შეფასებითი ნაწილი საფუძვლიანი შეფასებაა, რადგან ავტორი ახდენს არა მხოლოდ ნაწარმოების ზოგად შეფასებას, არამედ მის საფუძველსაც გვაცნობს.

საგაზეთო რეცენზიისათვის უფრო ხშირად დამახასიათებელია შეფასებითი შესავალი. ამ ტიპის შესავლების ანალიზმა გვიჩვენა, რომ შესაძლებელია გამოიყოს ორი ტიპი: **თხრობის ნეიტრალური** ფორმისა და **ემოციური - შეფასებითი შესავალი**.

განსხვავება ამ ორ ტიპს შორის ის არის, რომ ემოციური ტიპის რეცენზიის შესავლისათვის დამახასიათებელია ხატოვანი საშუალებებისა და სტილისტური ხერხების გამოყენება, რასაც ვერ ვიტყვით ნეიტრალურ ტიპზე.

მაგალითად, შესავალი თხრობის ნეიტრალური სტილით:

Calendar Girls, a genial comedy, directed by Nigel Cole, with an excellent, tightly constructed script by Tim Firth and Juliette Towhidi accentuates the positive. /Guardian Weekly 04/24-30/03/

მოცემულ შესავალში ავტორი გვაძლევს ფილმის ზოგად შეფასებას და არ განიხილავს მის ცალკეულ ასპექტს. აფასებს რა ფილმს, რეცენზენტი არ იყენებს საშუალებებს ან სტილისტურ ხერხებს, თუმცა ის ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს ფილმს ისეთი შეფასებითი საშუალებებით როგორცაა **excellent, tightly constructed**.

ემოციურ-შეფასებითი შესავლისათვის დამახასიათებელია მკვეთრი, ხატოვანი ფრაზების გამოყენება დასაწყისში, რაც მკითხველის ყურადღების მისაქცევადაა გამიზნული. ამ მიზნით რეცენზიაში ხშირად სხვადასხვა საშუალება გამოიყენება:

1. დიალოგური მეტყველების ელემენტები:

Sorry, this has to be a love letter. /Film Review 07/11/03/

როგორც ცნობილია სიტყვა „sorry“ დიალოგურ მეტყველებაში საწყის პოზიციაში გამოიყენება ბოდიშის მოსახდელად. სტატიის ამ სიტყვით დაწყება მისი უჩვეულო გამოყენებით იქცევს ყურადღებას და მკითხველის დაინტერესებას იწვევს.

2. კითხვები:

კითხვა ყოველთვის უფრო მეტადაა ემოციურად დატვირთული, ვიდრე მტკიცება ან უარყოფა. აქედან გამომდინარე, კითხვის გამოყენება შესავლის დასაწყისად მას ემოციურ ხასიათს აძლევს და მის ემფატიკურობას აძლიერებს:

Trying to answer the question, "Why did bad things happen to thousands of good people on September 11, 2001" is a daunting task. Trying to answer the question based on a deep understanding of the Book of Job is equally daunting. This is exactly what Danny Ashekenas; tries to do in his "9/11-The Book of Job." / Theatre Reviews Limited 05/19/04/.

3. მკითხველისადმი პირდაპირი მიმართვა: Suppose, let's imagine.

Imagine you are in the offices of Warner Brothers in Los Angeles... /Guardian Weekly 07/23-29/04/

4. ძახილის კონსტრუქციები:

Lord, Lord, what a joyful noise they are making over at Shakespear's Globe... /International Herald Tribune 10/08/02/

საგაზეთო რეცენზიის შესავლის ემოციური ხასიათის შესაქმნელად ყველაზე ხშირად გამოიყენება ისეთი სტილისტური ხერხები,

როგორცაა მეტაფორა და კალამბური. რეცენზიაში გამოყენებულ მეტაფორებს აქვთ ძალზე განსხვავებული ხასიათი და ამიტომ ძნელია საგაზეთო რეცენზიის ტიპური რომელიმე სფეროს გამოყოფა.

მეტაფორა შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეცენზიის მხოლოდ პირველ წინადადებაში და არ იყოს ვრცელი (გაშლილი) ხასიათის, მაგალითად:

The butterfly is free and she has turned into the most awesome performer to hit Broadway in years. / Theatre Review 05/15/03/

ემოციური შესავლისთვის ტიპიურ სტილისტურ ხერხს კალამბური წარმოადგენს. ძირითად ის ნაწარმოების სათაურზე ან ცალკეული პერსონაჟის სახელზეა დაფუძნებული, მაგალითად:

There's long day's journey through the first act in this all black "Long Day's Journey into Night". But don't go away discouraged at intermission. The show... more than redeems itself in the second act. /Theater Reviews 05/15/03/

მოცემულ მაგალითში სარეცენზიო ნაწარმოების სათაურზე დაფუძნებული კალამბური გამოყენებულია იმ მიზნით, რომ დადგმის გრძელი, მოსაწყენი პირველი აქტი შეაფასოს. კალამბური სიტყვა „long“ უარყოფით კონოტაციას ეყრდნობა.

ძირითადი ნაწილის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ რეცენზიის ორი ტიპი: რეცენზია გამოკვეთილი საინფორმაციო ნაწილითა და რეცენზია არამკვეთრად გამოკვეთილი საინფორმაციო ნაწილით.

რეცენზიებში გამოკვეთილი საინფორმაციო ნაწილი ყოველთვის მოსდევს შესავალს და შედგება ერთი ან ოთხი აბზაცისგან. ამ ნაწილში ავტორი აუცილებელ მონაცემებს გვაძლევს ნაწარმოების შესახებ, მის ავტორზე, შინაარსზე, მთავარ გმირებზე, ანუ გადმოსცემს ფაქტიურ ინფორმაციას სარეცენზიო ნაწარმოების შესახებ. ეს ნაწილი ხშირად აღწერის სხვადასხვა სახისა და თხრობის შერწყმას წარმოადგენს.

რეცენზიებში, რომლებშიც საინფორმაციო ნაწილი მკვეთრად გამოკვეთილი არაა, ფაქტიური ინფორმაცია სარეცენზიო ნაწარმოების შესახებ რეცენზენტის მიერ ნაწარმოებისა და მისი ცალკეული ასპექტის შეფასებას ერწყმის. ეს სახეობა ძირითადად დამახასიათებელია იმ რეცენზიებისათვის, რომლებშიც ცნობილ ნაწარმოებთა დადგმა და ეკრანიზაციაა გარჩეული.

რეცენზიის **დასკვნას** აქვს შემაჯამებელი ხასიათი. რეცენზიის დასკვნის ძირითადი ნიშანია — სიმოკლე. იგი შედგება ერთი აბზაცისაგან, ზოგჯერ ერთი წინადადებისაგან.

რადგან საგაზეთო რეცენზიის დომინირებული კომუნიკაციური მიზანდასახულობა ნაწარმოების შეფასებაა, ამიტომ რეცენზიის დასკვნას შეფასებითი ხასიათი აქვს. შესავლისაგან განსხვავებით, რომელიც ნაწარმოების შეფასებასთან ერთად სარეცენზიო ნაწარმოებზე ფაქტიურ ინფორმაციას შეიცავს, რეცენზიის დასკვნას იმის გათვალისწინებით, რომ ყველა აუცილებელი მონაცემი უკვე გადმოცემულია, ასეთი მონაცემები არ მოეპოვება.

უმეტეს შემთხვევაში დასკვნა წინა ტექსტთან არაა დაკავშირებული. დასკვნის შემაჯამებელ ხასიათზე მიუთითებს მხოლოდ თემის შეცვლა, კერძოდ, ცალკეული საგნის განხილვიდან მთელ სარეცენზიო ნაწარმოებზე გადასვლა.

მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში დასკვნის დასაწყისში გამოყენებულია სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც დასკვნის შემაჯამებელ ხასიათზე მეტყველებს, მაგალითად: **all in all, to sum up, ultimately** და ა.შ. ისინი დასკვნის დასაწყისში გამოიყენება და ძირითადი ნაწილიდან დასკვნაზე გადასვლის საზღვარზე მიუთითებს. მაგალითად:

All in all, "Reloaded is worthy of our thrill and admiration. /Guardian Weekly 05/13-19/04/

რეცენზიის დასკვნის ანალიზმა გვიჩვენა, რომ შეიძლება დასკვნის რამდენიმე ტიპი გამოვყოთ. პირველ რიგში — მარტივი დასკვნა, რომელიც ჩვეულებრივ შედგება ერთი წინადადებისაგან და რომელიც მთლიანი ნაწარმოების ზოგადი შეფასებაა მოცემული. დასკვნის ასეთი მარტივი ტიპი ჩვეულებრივ აბზაცით არ გამოიყოფა და ბოლო აბზაცის ბოლო წინადადებაა.

The movie version is a great fun. /Guardian Weekly 12/18-24/03/

დასკვნა შეიძლება იყოს ვრცელი. ვრცელი დასკვნის შემთხვევაში ავტორი ცდილობს მის ცალკე აბზაცად გამოყოფას. მასში, გარდა ზოგადი შეფასებისა, შეიძლება სხვადასხვა ასპექტის შეფასება, შეფასების საფუძველი იყოს მოცემული.

Macdonald's movie is thrilling not because of any divine or aesthetic rapture, but because the sheer vastness of the mountain landscape seems to go

beyond neatly, exceeding the limits of the thinkable. It is a very real, scary kind of vertigo to experience in the cinema. /Guardian Weekly 01/18-24/03/

რეცენზიის დასკვნა შეიძლება ემოციურიც იყოს. ამის მისაღწევად ავტორი სხვადასხვა საშუალებას იყენებს.

დასკვნის ემოციური ხასიათი შეიძლება ძახილის წინადადების გამოყენებით, შეიქმნას მაგალითად:

Better yet. go see! To say any more about the performance would be unfair to you. Oh, look down before you leave the performance space. You will leave "Villa" with your heart and soul refilled. No reason to leave empty handed. Remember, you heard it here. /Theater Review 07/09/04/.

რეცენზიისათვის უფრო მეტი დამარწმუნებელი ხასიათის მისანიჭებლად ავტორი ხშირად კერძო შეფასებით გამოთქმებს იყენებს.

But I found it unique, mesmeric and sublime. /Theater Review 05/04/03/

რეცენზიის დასკვნისათვის ასევე დამახასიათებელია შეფასებითი გამოთქმების რჩევის ფორმით გამოყენება, მაგალითად:

Please see this lovely play. Its images of innocence will warm your heart and delight your fancy. /Guardian Weekly 12/18-24/03/

ემოციური ტიპის დასკვნით ნაწილში ემოციური ხასიათის შექმნისათვის სხვადასხვა სტილისტური ხერხი გამოიყენება: მეტაფორა, შედარება, კალამბური. ბევრი მეტაფორა და შედარება ხშირად დაკავშირებულია ტკბილეულობასთან, სასმელთან, მათ გემოსთან და თვისებებთან, მაგალითად:

There is controlled understated quality about everything connected with "Betrayal". It is like an excellent vintage, very dry white wine-something to be sipped slowly and savored. /Theater Review 09/05/04/

ხშირად გზვდებით ამა თუ იმ მოვლენის გრძნობით აღქმაზე დაფუძნებულ მეტაფორას, მაგალითად:

There is so much love in this show that it might even warm the heart of your landlord. /Film Review 06/17/04/

აღნიშნული კომპოზიციური ელემენტები წარმოადგენენ „იდეალური ტიპის“ საგაზეთო რეცენზიის სტრუქტურას, მაგრამ საგაზეთო რეცენზიის კონკრეტულ ტექსტებში ისეთი ელემენტები, როგორცაა შესავალი და დასკვნა, შეიძლება არ იყოს.

ლიტერატურა

გოცირიძე, 1980 — დ. გოცირიძე, სათაურის საკითხისათვის უცხოურ ენათმეცნიერებაში, კრ. ახალგაზრდა მეცნიერ-ფილოლოგთა რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1980.

კვარაცხელია, 1990 — გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა. თბ., 1990.

კოლშანსკი, 1981 — Колшанский Г.В. Компоненты структуры текста. - Сб. научных трудов МГПИИЯ им. М.Тореза, вып. 170. М., 1981, 3-12.

შორსი, 1982 - Шорс Т.А. Заголовочный комплекс газетной литературной рецензии в аспекте интеграции текста. - Сб. научных трудов МГПИИЯ им. М. Тореза, вып. 189, 1982, 225-246.

წყარო

Film Review

Guardian Weekly

International Herald Tribune

Theater Review

SOPIO CHKHOBADZE

General Analysis of the Compositional Parts of the Spoken Discourse Genre "Newspaper Review"

Summary

A newspaper review consists of the following compositional parts: the headline, the introduction, the body, the conclusion. Each of the parts is characterized by specific communicative aims and linguistic means of their realization. The headline is the first impulse for text comprehension. The function of introduction is to create general disposition towards the text. On the basis of topic types three kinds of introduction have been singled out: informational, informational-evaluative and evaluative. The main part of a review aims to provide the reader with detailed information and its grounding. The main fea-

ture of conclusion is its briefness. Structurally it can be simple or expanded, the conclusion can be evaluative.

The paper also examines various stylistic devices used in reviews: metaphors, similes, puns, various types of evaluative expressions.

მაგ ბასილიას

საგაზეთო სათაურების გრამატიკული თავისებურებანი
ბრიტანული პრესის მაგალითზე

საგაზეთო ტექსტები და მათი სათაურები წარმოგვიდგენენ მდიდარ, მრავალფეროვან მასალას ენობრივი ფორმების ლინგვისტური შესწავლისთვის. მასმედიის და განსაკუთრებით კი პრესის ენა ძალზედ მოძრავი და ცვალებადია და ცდილობს დაემსგავსოს ზეპირმეტყველების ენას; შესაბამისად ცვალებადია მისი გამომხატველი ენობრივი ფორმები; ეს ცვლილებები და სიახლეები სათაურში განსაკუთრებული გამორჩეულობით აღინიშნება. სათაური, როგორც საგაზეთო კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, თავისი არაჩვეულებრივი ენობრივი და გრაფიკული გაფორმების გამო, თავიდანვე იპყრობს მკითხველის ყურადღებას და გადამწყვეტ როლს ასრულებს გაზეთის, როგორც ინფორმატორის, ინტერპრეტატორის, პროპაგანდისტისა და გამართობის ფუნქციების განხორციელებაში.

წინამდებარე სტატიის მიზანი არის არა საგაზეთო სათაურების ყველა ამ ფუნქციის მიმოხილვა, არამედ მხოლოდ იმ გრამატიკული თავისებურებების შესწავლა, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება სათაურებში.

გრამატიკული მრავალფეროვნება სათაურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა. მათ ე.წ. საკუთარი გრამატიკა აქვთ. სათაურების აგებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზმნის დროითი ფორმების გამოყენებას, რადგანი ისინი სათაურის ერთ-ერთ სპეციფიკურ მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს. საგულისხმოა, რომ ინგლისურ პრესაში (არა მარტო სათაურებში) ავტორი ამარტივებს გრამატიკულ კონსტრუქციებს, არ იყენებს რთულ დროებს (რამდენიმე კომპონენტისგან შემდგარ დროებს: **Present perfect, Present perfect continuous, Past perfect, Past perfect continuous**-და ა.შ.). ეს ხდება, ერთი მხრივ, დროისა და სივრცის დაზოგვის მიზნით, მეორე მხრივ, ის უიოლებს მკითხველს შინაარსის გაშიფვრას; მაგალითად, **Past**

perfect-ის ნაცვლად გამოიყენება **Past simple**. ინგლისურ პრესაში, განსაკუთრებით სათაურებში, რომლებიც ზემოთ ნახსენები ფაქტორების ზეგავლენის ქვეშ ყველაზე მეტად ექცევიან, ყველაზე ხშირად გამოიყენება მარტივი აწმყო (**Present simple**). მარტივი აწმყო გამოიყენება განგრძობითი და სრული დროების ნაცვლად. ის იხმარება როგორც წარსული, ასევე აწმყო მოვლენების აღსანიშნავად:

- **Blind girl Climbs Everest. (has climbed) *The Observer-online***
- **Students fight for course changes. (are fighting) *The Guardian-online***
- **Girl Power lift Boys. (has lift) *Daily Mirror***

რაც შეეხება აწმყო განგრძობითი დროის გამოყენებას, ის გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როდესაც საუბარია რაღაც ცვლილებებზე. მასთან ერთად, დამხმარე ზმნა **to be** ჩვეულებრივ ამოვარდნილია:

- **Trade figures improving. *The Guardian-online***
- **Britain getting warmer, say scientists. *The Observer-online***

მომავალი დროის გამოსახატავად ანალიზური დროების ნაცვლად იხმარება **to+** ინფინიტივიანი ფრაზები:

- **British troops to lead peace-keeping-force. *The Independent, 2001,12, 10***
- **Justice department to decide on Walker. *The Times***

გარდა ამისა, წინდებული **for** იხმარება მომავალი გეგმების ან მოქმედებების აღსანიშნავად:

- **Troops for Glasgow? (are soldiers going to Glasgow?) *The Observer-online***

ვნებითი და მოქმედებითი გვარის გამოყენებაზე ჩატარებული კვლევებიდან გამოვლინდა, რომ სათაურებში მოქმედებითი გვარი (**active voice**) ჭარბობს. ეს შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ პრესის ენა სულ უფრო მეტად ცდილობს დაუახლოვდეს ზეპირმეტყველების ენას. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მოქმედებითი გვარის გამოყენება საერთოდაც არ ხდებოდაც საგაზეთო სათაურებში. ანდა ითქვას, რომ ვნებითი გვარის გამოყენებას ხშირ შემთხვევაში თავისი განმსაზღვრელი ფაქტორი აქვს: ეს არის ინფორმაციის უკმარისობა, არაზუსტი ინფორმაციის ფლობა ადრესანტის მხრიდან:

- **Boy found safe. *The observer, 1999,03,23.***

დაკარგული ბიჭი, როგორც ამბობენ უგნებელ მდგომარეობაში

იქნა ნაპოვნი. თუმცა ჟურნალისტი დარწმუნებული არ არის, რომ რამდენიმე დღის უგზოუკვლოდ დაკარგვის შემდეგ ბიჭი შესაძლოა აბსოლუტურად უვნებელი იყოს. ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ვნებიანი გვარის გამოყენების დროს დამხმარე ზმნა ხშირ შემთხვევაში ამოვარდნილია და რჩება სტრუქტურა ნამყოს მიმღობით:

- **Aid row: President attacked. (has been attacked) *The Times*, 2000,05 21.**

ეს პასივის ფორმიანი სტრუქტურაა და არა წარსული დროის ფორმიანი, რომელიც ასე გაიჟღერებდა:

- **Aid row: President attacks. (has attacked)**

გრამატიკულ მახასიათებლებად შეიძლება ჩავთვალოთ აგრეთვე შეკუმშული ფორმების გამოყენება: დამხმარე (auxiliary) ზმნების: **be, have**, რომლებიც ერწყმის წინა ელემენტს (უმეტეს შემთხვევაში არსებით სახელს, ნაცვალსახელს) და აგრეთვე უარყოფითი ნაწილაკი **not**- გამოხატული **n't** ფორმით, რომლებიც უერთდება ყველა სახის დამხმარე ზმნას ("**not**" contractions). კოლოკიალური, სასაუბრო ენის მახასიათებლების გამოყენება ბრიტანული პრესის ენაში უჩვეულო არ არის, პირიქით, დასაშვები და მისაღები ფორმაა და წინამდენარე ნაშრომში ეს უკვე არაერთხელ აღინიშნა. ლაგერგენი¹ (**Lagergen**) თვლის, რომ „გაზეთები ითვისებენ სასაუბრო სტილს, ანუ უმეცრე ზეპირმეტყველების ფორმას წერილობით ენაში, რათა უკეთ დაამყარონ კონტაქტი მკითხველთან. ამ მტკიცებულების საფუძველი ლაგერგენისთვის არის ფაულერი (**Fawler**), რომელიც გვთავაზობს მთელ ნუსხას სხვადასხვა მახასიათებლებისა, მათ შორის შეკუმშულ ფორმებსაც, რომლებიც ქმნიან „ზეპირმეტყველების ილუზიას“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოიყენებიან რაღაც გარკვეული ეფექტის მისაღწევად. ეს იმას ნიშნავს, რომ შეკუმშული ფორმების გამოყენება არ არის შემთხვევითი და გაუთვითცნობიერებელი, არამედ ჟურნალისტი განზრახ ირჩევს მათ:

- **Probe the Drug Profits and *Don't* take it out of mothers and children. *The Guardian*, 2000, 03, 10**
- ***Don't* show your legs by order; *it's* your money. *Daily Mirror*, 2001,09,15.**

¹ Margareta Westergren Axelson-“ Contracted forms in newspaper language: Inter and intratextual variation.” Pp. 15

კრისტალისა და დეივის მიხედვით, სათაურები „მისწრაფვიან ინტერესის ნაპერწკალი ალძრან პოტენციურ მკითხველში“ და შეკუმშული ფორმების გამოყენება შესაძლოა იყოს ერთ-ერთი გზა იმისაკენ, რომ ინფორმაცია გახდეს უფრო საინტერესო და ადვილად აღსაქმელი.

სხვა გრამატიკული მახასიათებლებიდან აღსანიშნავია გარდამავალი ზმნების გამოყენება გარდაუვალის სტრუქტურით:

- **British victory surprises-** ამ შემთხვევაში სათაურის აზრი ცოტა არ იყოს ბუნდოვანია. ისმის შეკითხვა, ბრიტანეთის გამარჯვებამ გააკვირვა ვინმე, თუ კიდევ სხვა აზრი შეიძლება იყოს გატარებული ამ წინადადებაში, მაგ: ბრიტანეთის გამარჯვება გასაკვირია?!

ხშირად სათაურებში სიტყვები გამოიყენება როგორც არსებითი სახელების, ასევე ზმნების ფორმებით და ასეთ დროს რთული ხდება წინადადების სტრუქტურის განსაზღვრა:

- **US cuts aid to the Third World. *Daily Telegraph*, 2001, 02,12**
- **Aid Cuts row. *The Sun*, 1999, 07, 15**
- **Cuts aid rebels. *The Guardian*, 2000, 08, 07**

პირველ შემთხვევაში **Cuts** არის ზმნა, **Aids-** არსებითი სახელი. მეორე შემთხვევაში ორივე **Aids** და **Cuts** არსებითი სახელებია. მესამე შემთხვევაში **Aids** ზმნაა, **Cuts** არსებითი სახელი.

ამრიგად, ბრიტანული პრესის საგაზეთო სათაურების გრამატიკულმა ანალიზმა გვიჩვენა დროებისადმი სპეციფიკური მიდგომა, გამოვლინდა, რომ ყველაზე ხშირად გამოიყენება მარტივი აწმყო დრო (**Present Simple**); მოქმედებითი გვარის სიხშირე ვნებითთან შედარებით; შეკუმშული ფორმების გამოყენების თავისებურება, რომლის მიზანია ზეპირმეტყველების ელფერი მიანიჭოს საგაზეთო სათაურებს და მათში მოცემული ინფორმაცია მარტივად აღსაქმელი და საინტერესო გახადოს, ზმნებისა და არსებითი სახელების თავისებური გამოყენება.

ლიტერატურა

დუგლასი, უოფრი, სტიგი — Biber Douglas, Leech Geoffrey, Johanson Stig, Longman grammar of spoken and written English. —London,: University college.

ვესტერგრენი — Westergren M.A.- Contracted forms in newspaper language; Inter and intratextual variation. – Internet source.

კვირკი, 1994 - Quirk, R. A comprehensive grammar of the English language. —London and New York,: Longman, 1994.

სვანი, 1998 - Swan, M. Practical English usage. —Oxford, 1998

ჰარტლი, 1990 – Hartley, J. Understanding news. — London,: Routhledge, 1990.

EKA BASILAYA

Grammatical Peculiarities of British Newspaper Headlines

Summary

The paper discusses some of the most frequently encountered grammatical peculiarities of British newspaper headlines. The grammatical means in question make headlines more expressive and intriguing and attract the reader's attention.

As is known, the headline as a communicative unit has the following functions:

- 1) The function of nominating - the headline gives a name to the text.
- 2) Informative - it informs the reader of the fact that has recently taken place.
- 3) Appellative - being the first phrase of the text, the headline maintains contact between the writer and the reader.
- 4) Emotive - it expresses the writer's attitude towards the message.

The above-enumerated functions are realized by various linguo-stylistic means, grammatical devices being most essential.

ენო ზელიძე

ჯვარცმის სცენის ერთ-ერთი ეთნოცენტრული ინტერპრეტაციის ლინგვისტური ანალიზი

(ძველი ანგლო-საქსური პოემის „ჯვრის ხილვის“ მასალაზე)

როგორც ცნობილია, ენა და კულტურა მჭიდრო ურთიერთკავშირშია, ერთი მხრივ, ადამიანის მსოფლხედვა, გარკვეულწილად, იმ ენაზეა დამოკიდებული, რომელსაც იგი ფლობს და ამავე დროს, თავად ენას ერის კულტურა განსაზღვრავს. როგორც ბ.ჯორბენაძე აღნიშნავს, „იქმნება თავისებური წრე („ჯადოსნური წრე“) — კულტურა — ენა — კულტურა გაშუალებული აზროვნებით. ამ წრეშია მოქცეული ადამიანის ცნობიერება“. (ჯორბენაძე, 1999). სხვადასხვა ერის მიერ სამყაროს აღქმის თვითმყოფადობა ენათა განსხვავებულობას განაპირობებს. კ. ჰერდერის თვალსაზრისით, აზროვნება, პრაქტიკულად, მეტყველების იდენტურია და ამიტომ სხვადასხვა ენასა და ერთან ის განსხვავებულია. „ყოველი ერი მეტყველებს..., ისე როგორც აზროვნებს და აზროვნებს, ისე როგორც მეტყველებს“. (გეჟბიკა, 1982)

ერის კულტურის, ეროვნული აზროვნების თავისებურებები რელიგიაშიც პოვებს ასახვას. ამიტომ რელიგიური ცნებები, თუნდაც ისინი ერთი რელიგიის პრინციპებს ექვემდებარებოდეს სხვადასხვა ხალხთან განსხვავებულ ინტერპრეტაციას იღებს. ქრისტიანული რელიგიური ცნებების ეთნოცენტრული ინტერპრეტაციის საინტერესო ნიმუშია ძველი ანგლო-საქსური პოემა „ჯვრის ხილვა“.

ცნობილია, რომ როდესაც ახალი რელიგია ვრცელდება, ის ხალხის ცნობიერებაში ღრმად გამჭდარ შეხედულებებს უპირისპირდება. საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული მსოფლხედვა ერთბაშად ვერ გაქრება, ამიტომ ახალი რელიგია ძველი წარმოდგენების, მრწამსის გავლენას განიცდის და მათი გარკვეულწილად შერწყმა ხდება.

მსგავსად ბევრი სხვა ქვეყნისა, ინგლისში ქრისტიანობას წარმართულ, გერმანიკული ტომების რელიგიური შეხედულებების ნიადაგზე მოუხნდა დამკვიდრება.

გერმანიკულმა ტომებმა, რომლებიც ბრიტანეთის კუნძულებზე V საუკუნეში დამკვიდრდნენ თან გერმანიკული საგმირო კოდექსი ჩამოიტანეს. ძველი ინგლისური ლიტერატურიდან და ტაციტუსის „გერმანიიდან“ ვიგებთ, რომ გერმანიკული მეომარი — მებრძოლთა ერთობის **comitatus**-ის წევრი იყო. მისთვის ცხოვრება უძლეველ ძალებთან და გარდაუვალობასთან (**wyrd**) ბრძოლას წარმოადგენდა, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელება კი მხოლოდ ბრძოლაში სიმამაცით, **lof**-ის მოპოვებით შეიძლებოდა. **Lof** ადამინთა შორის დიდების, ცოცხალთა ქების დამსახურება იყო. მთავარი მეომრისათვის სიმამაცე იყო. ამ დროს არსებული პატრონმური ურთიერთობების წესების თანახმად, სანამ ბატონი ცოცხალი იყო, მეომარი მისი ერთგული უნდა დარჩენილიყო. თუ ბატონს მოკლავდნენ, მეომარს მისგამო შური უნდა ეძია ან დალუპულიყო. ბატონისადმი ერთგულება უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენდა და უფრო ხშირად სანათესავოს წინაშე პასუხისმგებლობაზე მალდა იდგა.

ქრისტიანობაზე მოქცევა, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მომხდარა. მათი რწმენა, ვინც ახალი რელიგია მიიღო, წარმართობისა და ქრისტიანობის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენდა. წარმართობის დროინდელი სიმამაცე, ბრძოლის წყურვილი და სიამაყე ქრისტიანობის მიერ შემოტანილ იმედს ეთავსებოდა. ასეთი შერწყმის მაგალითი ბენტი გრენჯის (**Banty Grange**) მუზარაღია, რომელზეც წარმართული ტახი და ქრისტიანული ჯვარი ერთად არის გამოსახული.

ქრისტიანობისა და გერმანიკული საგმირო კოდექსის შერწყმის საინტერესო ნიმუშია ძველ ინგლისური რელიგიური პოემა „ჯვრის ხილვა“ („**The Dream of the Rood**“). პოემის ავტორი უცნობია, თუმცა ზოგი მკვლევარი მას IX საუკუნის ანგლო-საქს პოეტს, კიუნგულფს აკუთვნებს. როგორც ჩანს, ნაწარმოებში ორი ლიტერატურული ჟანრია შერწყმული. ერთი მხრივ, პოემა ხილვის სახითაა წარმოდგენილი და ინგლისურ პოეზიაში ამ ჟანრის პირველი ნიმუშია; როგორც ვიცით, ხილვა პოეზიის შუასაუკუნეობრივი ჟანრია, ის ალეგორიული შინაარსისაა. შუა საუკუნეების ხილვებს, თუმცა ისინი მრავალფეროვანი ფორმითა და შინაარსით გვხვდება, საერთო თვისებებიც აქვთ: ისინი პირველ პირშია დაწერილი, ზებუნებრივი, არა-

რეალური შინაარსი აქვთ და დიდაქტიკური ხასიათისაა, ასეა „ჯვრის ხილვაშიც“. მეორე მხრივ, ნაწარმოებს ძველი ინგლისური გამოცანების ჟანრობრივი მახასიათებლებიც აქვს — თხრობა უსულო საგნის — ჯვრის მიერ ხდება, როგორც გამოცანებში, სადაც ხშირად შინაარსს ის საგანი გადმოსცემს, რომელსაც გამოცანა ეხება, აქ ნივთები პერსონიფიცირებულია.

პოემაში მხილველი გვამცნობს, რომ ძილში ჯვარი გამოეცხადა. უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოებში ორი სახის ჯვარია წარმოდგენილი: თავიდან ეს მარტივი ხის ჯვარია, ქრისტეს სიკვდილით დასჯის იარაღი, მოგვიანებით იგი ძვირფასი ქვებით შემკული წარმოგვიდგება პოემაში და ახლა უკვე ღვთის ნების გამარჯვებას განასახიერებს. როგორც ჩანს, პოეტი კარგად იცნობდა ვნების კვირის ლიტურგიას. ჯვრის ორგვარი სახის შექმნა შეიძლება ავხსნათ სისხლით შეღებილი წითელი ჯვრით, რომელიც იმ დროს წითელ პარასკევს გამოიყენებოდა და ძვირფასი ქვებით შემკული ჯვრით, რომელსაც აღდგომის დღეს იყენებდნენ.

შემდეგ ნაწარმოებში ჯვრის პოზიციიდან აღქმული ჯვრის ისტორიაა წარმოდგენილი. ჯვარს სისხლი სდის და მწუხარებით მოუთხრობს საკუთარ ამბავს — როგორ მოჭრეს ღვთის მტრებმა მისთვის ხე ტყეში და დაამაგრეს მთაზე.

I remember a morning a long time ago

That I was felled at the edge of the forest

And severed from my roots. Strong enemies seized me

And fashioned me for their sport, bade me hold up their fellows on high.

როგორ ეცვა ქრისტე ჯვარს, საკუთარი ნებით როგორ განიძარცვა სამოსი და მამაცი მეომრის მსგავსად უშიშრად ავიდა ჯვარზე, რაც მისი მტრების დამარცხებას ნიშნავდა. შემდეგ მკითხველს კვლავ მხილველი მიმართავს, ხსნის ჯვარცმის დიდ მნიშვნელობას და ცოდვების მონანიებისა და ღვთისნიერი ცხოვრებისაკენ მოუწოდებს.

სახარებისა და „ჯვრის ხილვის“ ტექსტების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ პოემაში შეცვლილია ჯვარცმის სცენასთან დაკავშირებული მონაკვეთის პროპოზიციული შინაარსი და სიღრმისეული სტრუქტურა, ფრეიმი. კვლევისას რ.შენკისა და რ.აბელსონის „სცენარების“ თეორია და ზ.ვენდლერის ლექსიკური დეკომპოზიციის სისტემა გამოიყენეთ.

როგორც ცნობილია, სცენარი, ანუ დინამიკური ტიპის ფრეიმი, არის წინასწარ არსებული ცოდნის სტრუქტურა, რომელიც მოვლენათა რიგს მოიცავს. ერთი და იმავე კულტურის წევრებისათვის ზიარი სცენარების არსებობა ინფორმაციის უთქმელად გადაცემის საშუალებას ქმნის. მაგრამ სხვადასხვა კულტურების წევრთათვის განსხვავებულ სცენარებზე დაყრდნობას უშედეგო კომუნიკაცია შეიძლება მოჰყვეს. სცენარები ყოველთვის კულტურულად დეტერმინირებულია. რ.შენკისა და რ.აბელსონის თეორიის თანახმად, სცენარის სტრუქტურა მოიცავს მიზნის მისაღწევად დროში მიმდინარე მოქმედებათა რიგს. სცენარი შეიძლება ეპიზოდებისაგან შედგებოდეს, მასში არის როლები (role) და რეკვიზიტები (prop). ყოველი როლის შემსრულებელი ახორციელებს გარკვეულ მოქმედებას, რომლის საშუალებითაც ის სცენარით განსაზღვრულ მიზანს აღწევს. (შენკი, აბელსონი, 1977).

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქრისტეს ჯვარცმის ფრეიმი მნიშვნელოვნად სახეცვლილია „ჯვრის ხილვაში“ სახარების შესაბამის მონაკვეთებთან შედარებით. ჯვრის აღმართვის ეპიზოდი პოემაში საგრძნობლად შეცვლილია, ის უფრო ბრძოლის სცენარს მოგაგონებთ, სადაც ანიმირებული ჯვარი თითქოს უფლის ერთგული მეომრის როლს ასრულებს და წინააღმდეგობას უწევს „ღვთის მტრებს“, რომლებიც მის მთის წვერზე აღმართვას ცდილობენ. (Strong enemies seized me... and set me down on a hill. It took many men to fasten me there.) მოვლენათა თანმიმდევრობა აქ აბსოლუტურად სხვაა, სახარების ტექსტში იესოს თავად ააქვს ჯვარი გოლგოთაზე. „მტრის“ როლი კი აქ საერთოდ არ არსებობს.

უშუალოდ ჯვარცმის ეპიზოდში როლები გადანაცვლებულია, ქრისტე აქ მოქმედების აგენსია და თავად ასრულებს ყველა მოქმედებას; აქაც, როგორც წინა ეპიზოდში ჯვრისთვის, მისთვის ბრძოლის სცენარის დამახასიათებელი „მებრძოლის“ როლია არჩეული. ახალგაზრდა მეომარი ბრძოლის წინ მამაცად განიძარცვავს სამოსს და თვითონ ადის ჯვარზე. (Then the young warrior, God our saviour valiantly stripped before the battle with courage and resolve, beheld by many, he climbed upon the Cross to redeem mankind.) ანუ აქ პირდაპირ ნათქვამია, რომ ჯვარცმა ბრძოლაა. სახარებაში კი, როგორც ვიცით, ქრისტეს პილატეს ჯარისკაცები აცვამენ ჯვარს.

ეპიზოდშიც, სადაც ქრისტე სულს განუტევებს მსგავსი სურათია.

მოქმედება ქრისტეს მიერ სრულდება. ის თავად ათავისუფლებს თავის სულს (He had set His spirit free) და არა უბრალოდ გარდაიცვლება, როგორც სახარებაში.

ფრეიმის გარდა „ჯვრის ხილვის“ ტექსტი სახარებისაგან ლოგიკური სტრუქტურითა და ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკითაც განსხვავდება.

როგორც ცნობილია, ვენდლერის თეორიის მიხედვით, ზმნები და სხვა პრედიკაციული ელემენტები მათი თანდაყოლილი თვისებების მიხედვით შეიძლება დაიყოს. ის ოთხ ძირითად კლასს გვთავაზობს: მდგომარეობები (states), მიღწევები (achievements), შესრულებები (accomplishments) და ქმედებები (activities). ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი კლასი სამი თვისების მიხედვით შეიძლება განვსაზღვროთ: [-⁺სტატიკური (static)], [-⁺პუნქტუალური (punctual)], [-⁺სასრული (telic)]. მდგომარეობა [+სტატიკური], [-სასრული], [-პუნქტუალური]; ქმედება [-სტატიკური], [-სასრული], [-პუნქტუალური]; შესრულება [-სტატიკური], [+სასრული], [-პუნქტუალური]; მიღწევა [-სტატიკური], [+სასრული], [+პუნქტუალური]. ამ კლასებს შორის განსხვავებები ფორმალურად შემდეგი ლოგიკური სტრუქტურებით შეიძლება ავსახოთ: მდგომარეობა **Predicate'** (პრედიკატი) (x) ან (y); ქმედება **do'** (კეთება) (x, [predicate' (x) ან (x,y)]); მიღწევა **INGR predicate'** (x) ან (x, y); შესრულება **BECOME** (გახდომა) predicate' (x) ან (x, y).

ამ თეორიის ჭრილში ჩვენ მიერ განხილულ პირველ მონაკვეთში ჯვრის აღმართვის სცენის გადმოცემა (ისევე, როგორც მთელ ნაწარმოებში) ჯვრის მიერ პირველ პირში ხდება. ეს ანიმიზმის გამოძახილია, როდესაც უსულო საგნებს ადამიანების დამახასიათებელ ქცევას აწერენ. ჯვარი აშკარად პერსონიფიცირებულია, რაც ჩანს არა მხოლოდ იმაში, რომ თხრობა მისი პირით ხდება, არამედ იმაშიც, რომ მას საკუთარი დამოკიდებულება აქვს მიმდინარე მოვლენების მიმართ, იტანჯება და თითქოს წინააღმდეგობას უწევს „მტრს“. ბიბლიიდან მოყვანილ მონაკვეთში კი ჯვარი უბრალოდ რეკვიზიტია (Prop) ან ინსტრუმენტის (Instrument) როლი აქვს. ოთხივე სახარებაში ვკითხულობთ: They (the soldiers) crucified Him (Jesus). ვენდლერის ლექსიკური დეკომპოზიციის მეთოდით, ზმნა *crucify*-ის (ჯვარცმა) ანალიზი გვიჩვენებს [**do'** (soldiers [**use** (soldiers, cross)])] CAUSE [[**do'** (cross [**kill** (cross, Christ))]] CAUSE [**BECOME** **dead**

(Christ)], საიდანაც აშკარად ჩანს რომ ჯვარი ინსტრუმენტია.

თუ ტექსტის ლინგვისტურ ანალიზს განვაგრძობთ, დავინახავთ, რომ პოემაში ქრისტე ჯვარცმის აგენსია და არა პაციენსი, როგორც სახარების ტექსტში. ის თავად, განზრახ ახორციელებს ყველა მოქმედებას (**hasten to climb, clasped** - აჩქარებით ავიდა, მოეჭიდა). ზმნა *strip*-ის ფორმების შედარება პოემასა და სახარებაში გვიჩვენებს, რომ პირველში ის ქმედების (Activity) ტიპისაა, მეორეში კი — კაუზატური ქმედებაა (Causative activity). რადგან პოემაში *strip* ზმნის ლექსიკური დეკომპოზიცია გვიჩვენებს: **do' (Christ [strip' (Christ)]),** ხოლო სახარებაში კი: **do' (soldiers [strip' (soldiers, Christ)] ^ CAUSE [BECOME stripped (Christ)]).** პირველ შემთხვევაში ქრისტე აგენსია, მეორეში კვლავ — პაციენსი. პილატეს ჯარისკაცები მოქმედ პირებად არ ფიგურირებენ, ქრისტე მთელ ნაწარმოებში თავად არის ჯვარცმის აღმსრულებელი, ის დამოუკიდებლად განიძარცვავს სამოსს და ადის ჯვარზე. არ არის ასახული ბიბლიაში აღწერილი ქრისტეს და შემდეგ სიმონ კვირინელის მიერ ჯვრის ზიდვა, ქრისტეს შეურაცხყოფისა და წამების მონაკვეთები.

მომდევნო ეპიზოდიც ქრისტეს აქტიურ როლს მოწმობს. ის აქაც აგენსია, მიუხედავად იმისა, რომ ეპიზოდი მის სიკვდილს გადმოსცემს, ის საკუთარი ნებით, განზრახ ახორციელებს მოქმედებას, ზმნა ქმედების ტიპისაა (**set His spirit free**): **do' (Christ [set free (Christ, spirit)],** მარკოზის და ლუკას სახარებებში კი ზმნა *die* არის გამოყენებული, რომელიც შესრულების (Accomplishment) ტიპისაა, (**BECOME dead' (Christ)**) და ქრისტე აქ ისევ პაციენსის როლშია. მათესა და იოანეს სახარებებში სხვა, ქმედების ტიპის ზმნებია გამოყენებული (**breathed his last, gave up his spirit**), მაგრამ ქრისტე არც აქაა აგენსი, რადგან მისი მოქმედება ამ შემთხვევაში განზრახ არ ხდება, ის მოქმედების შემსრულებელია (Effector), მაგრამ არა აგენსი.

რაც შეეხება ქრისტეს დაკრძალვის მონაკვეთს, აქ გამოყენებული ლექსიკა აშკარად გერმანიკული საგმირო კოდექსის სულისკვეთებითაა გაყენებული. ლექსიკური ერთეულების დიდი ნაწილი ბრძოლის სემანტიკურ ველს ეკუთვნის (**battle, murder, victory, warrior**). განსხვავებულია ქრისტეს დაკრძალვის ამსახველი მონაკვეთების შინაარსიც. თუ სახარებაში მაცხოვარს სხვის მზა საფლავეში ჩაასვენებენ, „ჯვრის ხილვაში“ მას გერმანიკული ეპოქის მეომრის მსგავსად საგანგებოდ აუგებენ აკლამას და ხანგრძლივი დამკრძალავი ცერე-

მონიით აცილებენ. (იხ. სქემა)

ყველა ეს და სხვა ცვლილება და განსხვავება გერმანიკული ტომების კულტურის გავლენის შედეგი უნდა იყოს. როგორც ჩანს, იმდროინდელ ინგლისში რელიგიური ცნებების აღქმაც ტრადიციული-საგან განსხვავებული იყო.

ძალიან საინტერესოა ნაწარმოებში ჯვრის ცნების ინტერპრეტაცია, ჯვარი ღვთის მსახურია, ბატონის ღალატი კი — იქნება ეს მისი ბრძოლაში მიტოვება, მოკვლა ან მისთვის შურისძიებაზე უარის თქმა — უმძიმეს დანაშაულად მიიჩნეოდა. ჯვარი, ქრისტეს ვასალი, არ არის უბრალოდ პასიური დამკვირვებელი მისი ბატონის სიკვდილისა, რაც თავისთავად საკმარისი ცოდვაა, ის ამ სიკვდილის აგენსიცაა — მკვლელია, მაგრამ ღალატის ამ კულმინაციურ მომენტში ჯვარი ყველაზე მეტად ერთგული და მორჩილია ღვთისა, ის თითქმის გაწვეული მოხალისეა. მას არ სურდა ქრისტეს ჯვარცმა, მაგრამ სურდა ბატონის ნება შეესრულებინა, ამიტომ მტკიცედ უნდა მდგარიყო.

O then I dared not bend or break
against the wish of my Lord, though the surface
Of the earth trembled with fear. I could have felled
all my foes, yet I stood firm.

მთხრობელი ჯვარი საკუთარ თავს მესამე პირში მხოლოდ ორჯერ იხსენიებს ("He climbed upon the Cross to redeem Mankind" და "Christ was on the Cross"), როდესაც პირველ პირში თხრობა მეტად პათეტიკურად გაიყვანა. ჯვარი მხოლოდ საკუთარ გამოცდილებას გვაცნობს, ემფაზა მის ტანჯვაზე გაკეთებული — რადგან ბუნებრივია მან მოგვითხროს ის, რასაც თვითონ განიცდის. თანაც ავტორი ცდილობს ქრისტეს ადამიანური სისუსტეების ასახვას თავი აარიდოს და ჯვარცმის მთელი სიმძიმე და ტკივილი, რომლის გადმოცემაც აუცილებლად მიაჩნია, ჯვარს განაცდევინოს. თუმცა არც ქრისტეს ტანჯვა მთლად უგულებელყოფილი:

"I saw the God of Hosts stretched on the rack".

ჯვრის ტანჯვა იმპლიციტურად ქრისტეს ტანჯვას გულისხმობს. ავტორი უბრალოდ თავს არიდებს ქრისტეს ადამიანური სისუსტეების პირდაპირ აღწერას. ჯვარი და ქრისტე ერთიანდებიან ტანჯვაში. ჯვარი მილურსმულია ქრისტესთან და მასზე ქრისტეს სისხლი დის.

ამგვარად ჯვრის ცნებამ, პოემაში მნიშვნელობის დამატებითი კომპონენტი შეიძინა: პერსონიფიცირდა და იმდროინდელი ანგლო-

საქსური კულტურისთვის დამახასიათებელი ვასალის, თავისი ბატონის მსახურის, მისი ნების შემსრულებლის დატვირთვა მიიღო. თუ აქ ჯვრის ცნების კომპონენტურ ანალიზს გავაკეთებთ, მისთვის ზოგადად დამახასიათებელი "სიკვდილით დასჯის იარაღი", "წმინდა" გარდა მას ორი დამატებითი კომპონენტი ექნება — "სულიერი" და "ვასალი". ჯვარცმის „სცენარში“ მას ინსტრუმენტის როლის ნაცვლად აქტიური მოქმედების შემსრულებლის როლი აქვს.

ჯვარცმის მომენტის აღწერამდე ჯვრის ხისგან გამოკვეთის ამბის მოთხრობა სიცოცხლის ხის აღუზიას წარმოადგენს, რაც წმინდა გერმანიკული თემატიკა არ არის და მსოფლიოს სხვა ხალხებთანაც გვხვდება. გავიხსენოთ თუნდაც „სვეტიცხოველი“ რომელიც, გადმოცემის თანახმად, ქრისტეს ჯვრის მსგავსად სიცოცხლის ხიდან, კვიპაროსიდან იყო შექმნილი. სხვაგანაც ნაწარმოებში ჯვრის აღსანიშნავად სიტყვა **tree**-ა (ხე) გამოყენებული (**Tree of Glory**). მაგრამ ყურადღება ამ თემაზე გამახვილებული არ არის, წამყვანი ნაწარმოებში მაინც გერმანიკული საგმირო კოდექსის გავლენა და ყველა სხვა ზემომქმედი ფაქტორი დაჩრდილულია. ჯვარცმა ძველ ინგლისურ სინამდვილეში ბრძოლად არის გააზრებული, სადაც მეფე-რაინდი — ქრისტე მედგრად იბრძვის ბოროტების დასამარცხებლად და ამ ბრძოლაში იმარჯვებს კიდევ.

მეორე ცნება, რომელიც, ჩემი აზრით, განსაკუთრებით საინტერესოა და ეროვნული თავისებურებების გავლენას განიცდის — ქრისტეს სახის ცნებაა.

თუმცა ებრაელთაში ნათქვამია, რომ "იესო ქრისტე იგივეა გუშინ და დღეს, და უკუნისამდეც" (ებრაელთა 12:8) აშკარაა, რომ დროთა განმავლობაში ქრისტეს ხატის აღქმა იცვლება. თავისებურებები, რომლებიც ამ სახეს ძველმა ინგლისურმა სინამდვილემ შესძინა იკვეთება პოემაში "ჯვრის ხილვა". როგორც ვხედავთ, "**The Dream of the Rood**"-ში ქრისტეს სიკვდილი და დაკრძალვა ტრადიციული ბიბლიური ხედვისაგან განსხვავებულადაა წარმოდგენილი, რაც ნაწარმოებისა და სახარების ტექსტის შედარებამ ცხადყო. ჯვარცმის ტრიუმფის ხაზგასასმელად ავტორი ქრისტეს წარმოაჩენს აქტიურ მებრძოლად, რომელიც გულადად წინ აღუდგება და ამარცხებს ცოდვას. ტექსტის ლინგვისტურმა შესწავლამ გვიჩვენა: სიტყვები, რომლითაც ქრისტეს ჯვარცმასთან დამოკიდებულებაა აღწერილი, მოწმობს, რომ ავტორი შეგნებულად ცდილობდა ქრისტე მამაც

მეომრად წარმოეჩინა, რათა ის გერმანიკული მებრძოლი სულისთვის უფრო ახლო ყოფილიყო:

"Then the young hero (who was God Almighty)

Got ready, resolute and strong in heart...

The warrior embraced me (the Cross)".

ყურადღებას იქცევს ქრისტეს სახელებისას გამოყენებული ლექსიკა. ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ თქვას „ქრისტე“, პოეტი იესოს სახელის პარაფრაზს აკეთებს და მრავალფეროვან ეპითეტებს გვთავაზობს, მას "**the young hero**"-სა და "**the warrior**"-ს („ახალგაზრდა გმირი“, „მეომარი“) უწოდებს. სხვა თარგმანში ის იწოდება "**heroic, young knight**" (გმირი, ახალგაზრდა რაინდი) და "**mankind's brave King**" (კაცობრიობის მამაცი მეფე). ამ მონაკვეთის შემდეგნაირი თარგმანიც არსებობს:

"I saw the Lord of Mankind

Courageously hasten to climb upon me".

ეს სახეები, სიტყვები "მტკიცე" (**resolute**), "გულადი" (**strong in heart**) — ქმნიან ქრისტეს ხატს, რომელიც იესოს ზოგადქრისტიანულ სახეზე მეტად ბევრფულეს მოგვაგონებს. მასაც ხომ "გმირსა" (**hero**) და "მამაც მეომარს" (**valiant warrior**) უწოდებენ, მასაც ახასიათებს "ძალა და ენერჯია" (**strength and vigor**), "გამბედაობა" (**daring**) და "მტკიცე განზრახვა" (**determined resolve**). პოეტი ქრისტეს სახეს მეომრის თვისებებს იმითაც მატებს, რომ მასთან იესო თავად ემზადება ბრძოლისათვის და მოქმედების პასიური ობიექტის როლში არ გამოდის. ის აგენსია და არა პაციენსია. განსაკუთრებით საინტერესოა სიტყვა „**Lord**“, რომელსაც აქ ორმაგი დატვირთვა აქვს, ის „ძველი გერმანიკული ბატონისა“ და „უფლის“, „ღვთის“ მნიშვნელობებს აერთიანებს.

შუა საუკუნეების ექსპერტის პეგი სამუელსის თანახმად, ორიგინალურ ტექსტში რამდენჯერმე გამოყენებულია სიტყვა "**fus**" — რომელსაც შემდეგი კონოტაციები აქვს: **hastening, eager, ready, willing**. ყველაფერი ეს ქრისტეს ჯვარცმისადმი მეომრის შესაფერის დამოკიდებულებას უსვამს ხაზს. ქრისტეს ამგვარი ხატი ძლიერ განსხვავდება ბიბლიაში დახატული სახისაგან — "**Passover lamb that has been sacrificed**" (კორინთელთა I 5:7). ქრისტეს საკუთარ ძალაში დარწმუნებულ მეომრად დახატვით ავტორი ხაზს უსვამს მის ნებაყოფლობით ასვლას ჯვარზე. დამოკიდებულება, რომელსაც ქრისტე ჯვართან

მიახლოებისას ამჟღავნებს, ჰგავს ბეოვულფის გაბედულ სულისკვეთებას. როდესაც ბეოვულფი გრენდელის დედასთან საბრძოლველად ემზადება, ის არ ზრუნავს საკუთარი სიცოცხლის უსაფრთხოებაზე "is unanxious for his life" და ამბობს, "I'm eager to begin".

ეს თავისებურებები გვიჩვენებს თუ როგორ განიცადა იესოს ზოგადქრისტიანულმა სახემ ტრანსფორმაცია და ეროვნული კულტურის თავისებურებებს მოერგო. მამაცი მეომრის სახე ზუსტად ჯდება გერმანიკული საგმირო ლიტერატურის თავისებურებებში და საზოგადოებაში გაბატონებულ შეხედულებებსაც ეთანხმება.

როგორც ვხედავთ, "ჯვრის ხილვის" ავტორი ტოვებს ჯვარცმის ყველა დეტალს, რომელიც იესოს სიკვდილის პასიურ ობიექტად გამოიყვანდა. ის ცდილობს შეამციროს, შეამსუბუქოს ქრისტეს დამამცირებელი, არასაპატიო მდგომარეობა. ნაწარმოებში არ არის ნახსენები, რომ ქრისტეს მასხრად იგდებდნენ, ცემდნენ და აფურთხებდნენ, როგორც ეს მათეს სახარებაშია აღწერილი (მათე 27:27-30). გამოტოვებულია ქრისტეს ტანჯვისა და ფიზიკური სისუსტის ამსახველი მომენტებიც. იტანჯება უფრო ჯვარი, ვიდრე ქრისტე.

ქრისტეს ჯვარცმის ამსახველი მონაკვეთების ოთხივე სახარების შესაბამის მონაკვეთებთან შედარება, მკაფიოდ გამოკვეთს ძველ ანგლო-საქსურ თავისებურებებს, ქრისტეს სახისა და ჯვარცმის სცენის სიღრმისეული სტრუქტურის ტრანსფორმაციას. განსხვავება თვალსაჩინოდ აისახება სქემაზე:

„The Dream of the Rood“	Bible
<p>Strong enemies seized me and fashioned me for their sport, bade me up their felons on high. They shifted me on their shoulders and set me down on a hill. It took many men to fasten me there.</p>	Matthew 27
	<p>32 As they were going out , they met a man from Cyrene named Simon, and the soldiers forced him to carry Jesus’ cross.</p>
	Mark 15
	<p>32 As they were going out, they met a man from Cyrene named Simon, and the soldiers forced him to carry Jesus’ cross.</p>
	Luke 23
	<p>26 The soldiers led Jesus away, and as they were going, they met a man from Cyrene named Simon who was coming into the city from the country. They seized him, and made him carry it behind Jesus.</p>
John 19	
<p>17 He (Jesus) went out, carrying his cross and came to the Place of Scull as it is called.</p>	

„The Dream of the Rood“	Bible
	Matthew 27
<p>I saw the Lord of Mankind courageously hasten to climb upon me. Then the young warrior, God our saviour valiantly stripped before the battle with courage and resolve, beheld by many, he climbed upon the Cross to redeem mankind I quivered when the hero clasped me</p>	<p>28 They (the Pilate’s soldiers) stripped off his clothes and put a scarlet robe on him. 31 When they had finished making fun of him they took the robe off and put his own clothes back on him. Then they led him out to crucify him.35 They crucified him and then divided his clothes among them by throwing dice.</p>
	Mark 15
	<p>17 They (the soldiers) put a purple robe on Jesus, made a crown of thorny brunches and put it on his head. 20 When they had finished making fun of him they took off the purple robe and put his own clothes on him. Then they led him out to crucify him. 24 Then they crucified him.</p>
	Luke 23
	<p>33 When they came to the place called „The Skull“ they crucified Jesus there, and the two criminals, one on his right and the other on his left. 34 Jesus said „Forgive them, Father! They don’t know what they are doing“. They divided his clothes among themselves by throwing dice.</p>
John 19	
	<p>18 There they crucified him; and they also crucified two other men one on each side with Jesus between.</p>

„The Dream of the Rood“	Bible
<p>He had set His spirit free. They insulted both of us together. I was drenched in the blood that streamed from the side of the Man.</p>	Matthew 27
	<p>50 Jesus again gave a loud cry and breathed his last.</p>
	Mark 15
	<p>37 With a loud cry Jesus died.</p>
	Luke 23
	<p>46 Jesus cried out in a loud voice: „Father! In your hands I place my spirit!“ He said this and died.</p>
	John 19
<p>30 Jesus drank the wine and said, „It is finished!“ Then he bowed his head and gave up his spirit. 34 One of the soldiers however, plunged his spear into Jesus’ side and at once blood and water poured out.</p>	

„The Dream of the Rood“	Bible
<p>They laid Him down weary of limb, and watched over Him; they looked at the Lord of Heaven there, as He lay resting for a while, weary after battle. And then began to build a sepulchre; unconcealed from the eyes of His murderers, they carved it out of the gleaming stone. Therein they laid the Lord of Victories. Then before they departed at the end of that sad evening, they lamented in deep sorrow for their glorious Prince...the song of the warriors had soared to Heaven.</p>	Matthew 27
	<p>59 So Joseph took it, wrapped it in a new linen sheet. 60 and placed it in his own tomb, which he had just recently dug out of solid rock. Then he rolled a large stone across the entrance to the tomb and went away. 61 Mary Magdalene and the other Mary were sitting there, facing the tomb.</p>
	Mark 15
	<p>46 Joseph bought a linen sheet, took the body down, wrapped it in the sheet and placed it in a tomb which had been dug out of solid rock. Then he rolled a large stone across the entrance to the tomb.</p>
	Luke 23
	<p>53 Then he took the body down wrapped it in a linen sheet, and placed it in a tomb which had been dug out of solid rock and which had never been used.</p>
John 19	
<p>40The two men (Joseph and Nicodemus) took Jesus' body and wrapped it in linen clothes with</p>	

the spices according to the Jewish custom of preparing a body for burial. 41 there was a garden in the place where Jesus had been put to death and in **there was a new tomb where no one had ever been buried**. 42Since it was the day before the Sabbath and because the tomb was close by they placed Jesus' body there.

ამრიგად პოემა „ჯვრის ხილვა“ ქრისტიანული და ძველი ანგლო-საქსური საგმირო სინამდვილისთვის დამახასიათებელი მსოფლხედვის შერწყმის მაგალითია, რაც ენობრივ დონეზეც ვლინდება. ძველ ინგლისურ კულტურაში ქრისტეს ცნება, მამაცი რაინდის, გმირის დამატებით მნიშვნელობის კომპონენტებს შეიცავს. ის ჯვარცმის აგენსია და არა პაციენსია. ქრისტე მეომარია, რომელმაც კაცობრიობა ცოდვებისაგან იხსნა. შუასაუკუნეების გერმანიკული სულისკვთების გადმოსაცემად ავტორი ლინგვისტურ ხერხებს იყენებს, ხდება ქრისტეს სახელის პარაფრაზირება და მრავალფეროვანი ეპითეტებით შემკობა, ამ მიზნით გამოყენებული ლექსიკური ერთეულები ძირითადად ბრძოლისა და სიმამაცის სემანტიკური ველის შემადგენლებია. (hero, warrior, Lord of victories, battle, song of warriors, strong in heart, bold, courage, resolve, courageously). რაინდის, მებრძოლის მნიშვნელობა ძველ ინგლისურ ცნობიერებაში მჭიდროდ არის დაკავშირებული ქრისტეს სახესთან, რომლის მრავალ სახელთაგან აქ „უფალს“, „რაინდს“, „უფლისწულს“ („Lord“, „Knight“, „Prince“) ამკობინებენ და ეპითეტებად სიმამაცის აღმნიშვნელ მრავალ სიტყვასა და ფრაზას იყენებენ. ქრისტეს, როგორც ადამიანთა კეთილდღეობისთვის შეწირული მსხვერპლის სახე ძველ ინგლისურ სინამდვილეში იშვიათია, ეს ძლევამოსილი მეომარია, რომლის ჯვარცმაც უფრო ბრძოლა იყო, ვიდრე მსხვერპლშეწირვა.

ლიტერატურა

„ბეოვულფი“, 1973 – „Beowulf“ Trans. Michael Alexander, London 1973.

ბიბლია, 1992 – Good News Bible, Today's English Version, NY 1992.

ბილდერმანი, 1992 – H.Biederman „Wordsworth Dictionary of Symbolism“, NY 1992.

ბროკი, 1998 – J.C.Brock „The Dream of the Rood and the Image of Christe in the Early Middle Ages“, Hanover 1998.

ვან ვალინი, ლა პოლა 1997 – R.D.Van Valin Jr., R.J.La Polla „Syntax. Structure, Meaning and Function“, CUP 1997.

ვეუბიკა, 1982 – A.Wierzbicka „Semantics Culture and Cognition“. Oxford University Press 1982.

იაკოვლევი, 1985 – А.Яковлев „Èñòñòàî è ìòñîâá ðèèèàè“, Ì 1985.

ინგერი, 1970 – J.M.Yinger „The Scientific Study of Religion“ London 1970.

კირკპატრიკი, 1991 – D.L.Kirkpatrick „Reference Guide to English Literature“, London 1991.

მაიერსი, 1961 – G.E.Myers „Self, Religion and Metaphysics“, NY 1961.

მიტჩელი, 1966 – B.Mitchel „The Battle of Maldon and Other Old English Poems“, NY 1966.

სამუელსი, 1988 – P.Samuels „The Audience Written into The Script of ‘The Dream of the Rood’“, NY 1988.

სეპირი, 1951 – E.Sapir „Selected Writings in Language, Culture and Personality“, LA 1951.

სვენტონი, 1987 – M.Swanton „English Literature before Chaucer“, NY 1987.

სუეილსი, 1990 – J.M.Swales „Genre Analysis. English in Academic and Research Settings“, Cambridge University Press 1990.

უორფი, 1940 – B.L.Whorf „Science and Linguistics“, Cambridge 1940.

შენკი, აბელსონი 1977 – R.Schank and R.Abelson „Scripts, Plans, Goals and Understanding.“Hillsdale, Erlbaum Associates 1977.

„ჯერის ხილვა“, 1970 – „The Dream of the Rood“ Trans. R.Hamer,

London 1970.

Encyclopedia Americana, International Edition, Vol.18,20. NY 1999.

The New Encyclopedia Britannica. Macropedia, Vol.26 Chicago 1998.

NINO CHELIDZE

Linguistic Analysis of One of the Ethnocentric Interpretations of the Scene of Crucifixion

(on the material of the Anglo-Saxon poem "The Dream of the Rood")

Summary

The paper presents a comparative linguistic analysis of the scene of crucifixion from the Anglo-Saxon poem "The Dream of the Rood" and that of the original biblical text. As is known, "The Dream of the Rood" the earliest, dream-vision poem in the English language reveals a combination of two competing cultures - pagan Anglo-Saxon with its heroic code, and Christianity.

The linguistic analysis of the poem has proved that the combination in question is reflected at various linguistic levels of the poem (cognitive, lexico-semantic, syntactic. Due to certain ethnocentric tendencies the frame structure of the scene of crucifixion in the poem in comparison with the original biblical text is considerably altered; the crucifixion is viewed as a battle done by a warrior-king (Christ) rather than an act of sacrifice. Hence, on the surface level, in the syntactic structures Christ is perceived as the agent of actions not as a patient, The image of Christ is perceived in more heroic terms - he is referred to as a warrior-king, valiant hero, knight etc.

8. ბარსენამ-კაციბაძე

ინგლისური მოდალური ზმნის „could“
გრამატიკულ-სემანტიკური შესატყვისები ქართულში

მოდალობა უნივერსალური ფუნქციონალურ-სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს გამონათქვამის მიმართებას სინამდვილისადმი. სხვადასხვა სტრუქტურის ენებში იგი განსხვავებული ენობრივი საშუალებებით გადმოიცემა. ამ საშუალებათა შესწავლა და ენათა შორის ურთიერთშესაბამისობების დადგენა ტიპოლოგიური კვლევის საგანია (გამყრელიძე და სხვ., 2003, 399 და შემდ.). პრობლემას აქვს პრაქტიკულ-პრაგმატული ასპექტებიც თარგმანისა და სწავლების საკითხებთან დაკავშირებით (საყვარელიძე, 2001, 11, 130 და შემდ.; ფანჯიკიძე, 1995). წინამდებარე სტატია წარმოადგენს ინგლისურსა და ქართულს შორის მოდალობის გრამატიკულ-სემანტიკური შესაბამისობის დადგენის ცდას შესაძლებლობის შინაარსის გამომხატველი მოდალური ზმნისა და მისი შემცველი კონსტრუქციების ქართული თარგმანის მაგალითზე.

თანამედროვე ინგლისურში „შეძლება“, „უნარი“, „ნების დართვა“ გამოხატულია მოდალური ზმნებით **can (could)** და **may (might)**. **Can** მოდალური ზმნის ძირითადი მნიშვნელობა არის მენტალური ან ფიზიკური შესაძლებლობის უნარის გამოხატვა, რომელიც განსხვავებული ენობრივი კონტექსტების თუ სამეტყველო სიტუაციების მიხედვით გამოხატავს განსხვავებულ სემანტიკურ ნიუანსებს: ფიზიკურ შესაძლებლობას, უნარს, წარსულში მოქმედების შესაძლებლობას, დაურწმუნებლობას, მცირე ალბათობას... (ბაიბერი და სხვ., 1989; გოქსაძე და სხვ., 1989, 176).

Could წარმოადგენს **can** მოდალური ზმნის წარსული დროის ფორმას, მაგრამ იგი ხშირად გამოიყენება სხვა დროებშიც რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობით.¹

¹ არის მოსაზრება, რომ აწმყო დროში გამოყენებული **could**, რომელსაც განსხვავებული სემანტიკა აქვს, შეიძლება განხილული იქნეს როგორც ნამყო დროის

ქართულში „შესაძლებლობის“ მოდალურ სემანტიკაში ორ ძირითად ნიუანსს არჩევენ: 1. განუხორციელებელ შესაძლებლობას და 2. შესაძლებლობას, რომლის განხორციელება მხოლოდ გარკვეულ პირობებზეა დამოკიდებული (ოქროპირიძე, 1979, 299).

ინგლისურ-ქართული მასალის შედარებისათვის გამოყენებული იყო ა. კრისტის დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებები და მათი ქართული თარგმანები. სემანტიკური ეკვივალენტების დადგენისას ყურადღება გამახვილებული იყო მხოლოდ ძირითად მომენტებზე.

გრამატიკულად **Could**-ის შემცველი კონსტრუქციები გამოხატულია **could + simple infinitive** და **could + perfect infinitive**-ის ფორმებით. ამჟამად განვიხილავთ მხოლოდ **could + simple infinitive** შემთხვევებს.

მოცემული კონსტრუქცია აღნიშნავს როგორც წარსულ, ისე ახლანდელ და მომავალ დროებს. ძირითადი მნიშვნელობა არის მოქმედების შესაძლებლობის გამოხატვა წარსულში. ქართულში ამ ფორმის შესაბამის კონტექსტებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მწკრივი: II თურმეობითი, აწმყო, წყვეტილი, ნამყო უწყვეტელი, ხოლმეობითი, აწმყო, II კავშირებითი, მყოფადი. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ფართო კონტექსტი, რომელსაც მოდალური სიტყვების გარეშე შეუძლია შესაბამისი მოდალური შინაარსის გადმოცემა.

II თურმეობითი. **could + simple infinitive**-ის მნიშვნელობით ყველაზე ხშირი სწორედ ეს ფორმაა. მას სალიტერატურო ენაში კავშირებითის შინაარსიც აქვს (შანიძე, 1973, 222). გვხვდება „შეძლება“ ზმნის როგორც პირიან, ისე უპირო ფორმებთან ერთად:

"They were followed by a man who **could make noises**" (გვ. 100) — მათ თან ახლდათ კაცი, რომელსაც **შეეძლო** სხვადასხვაგვარი ბგერები **გამოეცა**" (გვ. 101).

"To begin with your Bleibner was reported to have said he had a good friend in Egypt from whom he **could borrow**" (გვ. 74) — „უპირველეს ყოვლისა, იმ თქვენ ახალგაზრდა ბლეიბნერს ეთქვა, რომ მას ერთგული მეგობარი ჰყავდა ეგვიპტეში, ვისგანაც **შეეძლო** ფული **ესესხა**" (გვ. 190).

"She hated Rosemary Barton. If thought **could Kill**, she would have

could-ისაგან დამოუკიდებელი ფორმა, გრამატიკული ომონიმი (გოქსაძე და სხვ., 1989, 147).

Killed her" (გვ. 61) — „და მას სძულდა როზმარი ბარტონი. ფიქრებით მოკვლა რომ **შესაძლებელი ყოფილიყო**, როზმარი დიდხანა ამქვეყნად აღარ იქნებოდა“ (გვ. 61).

"He could image that "dearest girl in the world" might have a very decided reason for wanting the removal of Mrs. Barton to another world" (გვ. 89) — „ძნელი არ იყო კაცს **ევარაუდა**, რომ „ამ ქვეყნად ყველაზე თავდადებულ და საყვარელ არსებას“ დიდი საფუძველი ჰქონდა მისის ბარტონის საიქიოში გასასტუმრებლად“ (გვ. 90).

"Her answering move was inevitable. She was bound both by her breeding and her natural Kindless to do all she **could to put him at his ease, to reassure him**" — „ქალის პასუხს არ დაუგვიანია. ბუნებრივმა გულკეთილობამ და ზრდილობამ უბიძგეს მას **დაემშვიდებინა** და **გაემხნეგებინა** სტივენსი“ (გვ. 46).

ნამყო წყვეტილი. გადმოსცემს განსხვავებულ მნიშვნელობებს. მისი გამოყენება გარკვეულ სემანტიკურ თავისებურებებს ავლენს. წყვეტილი თხრობითი კილოს ფორმაა. could + simple infinitive-ის შესატყვისად იგი, ჩვეულებრივ, გვხვდება უარყოფით კონსტრუქციებში, რომლებშიც გამოყენებულია უარყოფითი ნაწილაკი „ვერ“. რამდენადაც ეს უკანასკნელი მოქმედების შეძლების გამოხატავსთანაა დაკავშირებული (შანიძე, 1973, 610), იგი თვითონ ითავსებს could-ის მოდალურ მნიშვნელობას და ამიტომ ძირითადი ზმნისთვის კავშირებითის ფორმის საჭიროება იხსნება:

"Nothing more value **could be extrached** from Mr. Marales and he admitted frankly that his alcoholic condition was already well advanced by the time the cabaret was on" (გვ. 112) — „ამაზე უფრო ფასეული მისტერ მორალესისაგან **ვერაფერი შეიტყვებს**. მან გულახდილად აღიარა, რომ იმ დროისათვის, როცა ვარიეტეს წარმოდგენა დაიწყო, უკვე საკმაოდ შეზარხოებული იყო“ (გვ. 114).

"Going all out he was to try and make things go — and just as nervous as a cat on wires — but all he **could do** didn't seem to cut any ice" (გვ. 115) — „კანში ძვრებოდა მათ გასართობად, ტომარაში ჩასმული კატასავით აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ ყინულის გადნობა მანც **ვერ მოახერხა**“ (გვ. 116).

"I followed him, but search as we would we **could find** no trace of any living soul having passed that way" (გვ. 71) — „მეც გავეყვი, მაგრამ როგორადაც არ ვეცადეთ, კვალიც კი **ვერ ვიპოვე** იმ სულიერისა, იქ

რომ ჩაიარა“.

რაც შეეხება კითხვით ფორმებს, ქართულ წინადადებაში კითხვითი ნაწილაკების არსებობა შეუთავსებელია ზმნის კავშირებით კილოსთან და ამიტომ ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია თხრობითი კილოს ფორმების გამოყენება (რაც არ გამოორიციხავს უარყოფითი წინადადების სხვაგვარ კონსტრუქციათა არსებობას):

"But had she been so fond of George, that his death **could effect** her so powerfully? (გვ. 141) — „**ნუთუ** იმდენად უყვარდა ჯორჯი, რომ მისმა სიკვდილმა **ასე იმოქმედა** ქალიშვილზე“ (გვ. 143).

წყვეტილის ფორმების გამოყენება ქართულში ბუნებრივი ჩანს ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც მოდალური ზმნა მიემართება საგანთა მთელ კლასს და მოდალობის (ეჭვის, ვარაუდის და ა. შ.) გამოხატვა აუცილებელი არ ჩანს:

"Into this he **could put all his ability, all his ambition**" (გვ. 41) — „აქ **პოვა ასპარეზი** მისმა მიდრეკილებებმა. ძალა ერჩოდა“ (გვ. 42).

"Of course we were only too pleased to **do everything we could** in that line, both for him and for Iris Marle who is a charming girl" (გვ. 123) — „რა თქმა უნდა, ჩვენც დიდად კმაყოფილნი ვართ, რომ **გამოვადექით** მას და აირის მარლოს — ამ მომხიბლავ ახალგაზრდა გოგონას“ (გვ. 124).

ნამყო უწყვეტელი. ამ თხრობითი მოდალობის მწკრივის გამოყენება could + simple infinitive-ის შინაარსის შესაბამისად ქართულში თვით უწყვეტელის სემანტიკასთან ჩანს დაკავშირებული. ნამყო უწყვეტელი გამოხატავს გაგრძელებულ, უწყვეტ, და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჩვეულ მოქმედებასაც, რითაც შესაფერისი სიტუაციების გამოხატვისას ირიბი მოდალობის აღნიშვნის საჭიროება იხსნება:

"Every difficulty **could always be smoothen** out by Miss Lessing capable fingers" (გვ. 24) — „მისის ლესინგის გამოცდილი ხელები ყოველგვარ სირთულეს ადვილად **სძლევდნენ**“ (= ყოველგვარი სირთულე შეიძლებოდა მოხსნილიყო)“.

"There was not really much more air up here on the hill than there had been in the valley, but Iris felt nevertheless as though she **could breathe** more freely" (p. 76) — „გორაკზე მაინცდამაინც უფრო მეტი ჰაერი არ იყო, დაბლობთან შედარებით, მაგრამ აირისს მოეჩვენა, რომ აქ უფრო თავისუფლად **სუნთქავდა**“ (= შეეძლო სუნთქვა)“ (გვ. 76).

ზოგჯერ ნამყო უწყვეტლის, როგორც უსრულასპექტიანი ფორმის, გამოყენება განპირობებულია (შინაარსიდან გამომდინარე) მოქმედებათა თანადროულობის აღნიშვნის საჭიროებით:

"Anthony said: "Than's why I asked you first if you **could trust me**. You'd have to tabe my reasons on trust" (გვ. 80) — „ამიტომ გკითხე თავიდან, **გკეროდა** თუ არა ჩემი, — მიუგო ენტონიმ. შენ უნდა მენდო“ (გვ. 80).

"For a moment he **could hardly believe his ears! It was incredible! Im-possible!**" (გვ. 38) — „გაჟი გაქვავდა, საკუთარ ყურებს არ **უჯერებდა**. შეუძლებელია!“ (გვ. 38).

ხოლმეობითი. could + simple infinitive-ის შესატყვისად ქართულში ხოლმეობითის მწკრივის გამოყენება მოხერხებული ჩანს ინგლისურ წინადადებათა პირობითი შინაარსის გადმოსაცემად, რამდენადაც ხოლმეობითი პირობითის შინაარსსაც ითავსებს (შანიძე, 1973, 222: პაპიძე, 1988).

"I wonder to see **if I could frighten** the doctor. But it would take more than the supernatural to frighten him" (გვ. 76) — „მინდოდა მენახა, **თუ შევძლებდი** დოქტორის **შეშინებას**“ (გვ. 200).

"But it all fitted in so well — it **could all be explained** so naturally if only the girl had written the letters" (გვ. 149) — „ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა და ბუნებრივი ახსნა **მიეცემოდა**, წერილები ამ გოგონას დაწერილი რომ ყოფილიყო“ (გვ. 152).

"If it weren't for Rosemary, I **could make** George ask me to marry him" (p. 34) — „როზმარი რომ არ ყოფილიყო ნამდვილად **მოვანერხებდი**, რომ ჯორჯს ჩემთვის ცოლობა ეთხოვა“ (გვ. 34).

აწმყო. Could ხშირად გამოიყენება აწმყოში და შემდეგ სემანტიკურ მნიშვნელობებს გადმოსცემს — ვარაუდს, ეჭვს, დაურწმუნებლობას, შესაძლებლობას, თხოვნას (კარლინგი, 2003):

"It **could be true**. But even if it is, it's not the real reason" (გვ. 75) — „**შეიძლება მართალიცაა**, მაგრამ ასეც რომ იყოს, მთავარი მიზეზი ეს არ არის“ (გვ. 75).

"She might go to George in hysterics. She might even come to sandra. He **could hear her tearful, bowildered voice**" (გვ. 56) — „როზმარი შეიძლება ჯორჯთან გაიქცეს და ისტერიკა გამართოს. შეუძლია სანდრასაც კი მოუვარდეს. სტივენს **თითქოს** ყურში **ჩაესმის** მისი ცრემლნარევი ხმა“ (გვ.).

Heaven knows we **could do** with some young blood. He seems a decent chap, too" (გვ. 48) — „ღმერთმა უწყის, რა ძალა **აქვს** ახალგაზრდა მჩქეფარე სისხლს. გარეგნულად ის კარგ შთაბეჭდილებას ახდენს“ (გვ. 47).

"It **could be**" (გვ. 118) — „შესაძლოა“ (გვ. 120).

II კავშირებითი. Could გადმოსცემს მომავლის მნიშვნელობასაც. ასეთ შემთხვევაში could + simple infinitive შემდეგ სემანტიკურ მნიშვნელობებს აღნიშნავს: თავაზიან თხოვნას, შესაძლებლობას, ვარაუდს, ვალდებულებას:

"I came to see if I **could be** of any help to you — said Race" (გვ. 141) — „მოვედი, რომ გამეგო, **ხომ არ შემიძლია** რითიმე **გემსახუროთ** — უთხრა რეისმა“ (გვ. 143).

"Victor said gently "Jeu ought to have more confidence in yourself my dear girl. You **could twist** George round your little finger. Rosemary's only a silly little fool" (გვ. 34) — „მეტი თავდაჯერება გმართებთ, ძვირფასო გოგონავ, — თავაზიანად უთხრა ვიქტორმა. **შეგიძლიათ** თითზე **დაიხვიოთ** ჯორჯი. როზმარი მხოლოდ პატარა არსებაა“ (გვ. 34).

"I **could suggest** a reason" (გვ. 160) — „**შემიძლია ვივარაუდო**, თუ რატომ“ (გვ. 163).

"No kemp, there must be some quite simple explanation if only we **could get it**" (p. 118) — „არა, კემპ, ჩვენ აქ ხელიდან გვისხლტება რაღაც მარტივი ახსნა, რომელიც აუცილებლად **უნდა ამოვიცნოთ**“ (გვ. 120).

მყოფადი. Could მომავალი მნიშვნელობით ქართულში მყოფადი მწკრივით ითარგმნება. ასეთ შემთხვევებში არ გვაქვს „შეძლება“ მოდ. ნაწილაკი, რაც განსხვავებულ სემანტიკურ ნიუანსებს ანიჭებს მოდალურ კონსტრუქციას: დარწმუნებულობა, შეუძლებლობა, ვარაუდი, ალბათობა:

"It should hope I was still capable of seeing to his comfort and looking after his health Just as well or better, than a young woman but of an office **could do** — what does she know about house keeping?" (გვ. 66-67) — „ჯერ კიდევ არ დამიკარგავს იმის უნარი, რომ შევძლო მყუდრო გარემო შევუქმნა და ვიზრუნო მის ჯანმრთელობაზე. ყოველ შემთხვევაში, იმ ახალგაზრდა კანტორის მუშაკზე უკეთ **მოვანერხებ** ამას. რა ესმის მას მეურნეობის“ (გვ. 69).

"Now from all accounts of the dear lady, I **could hardly see** Lucilla

Drake as First Murderess" (გვ. 184) — „მაგრამ, ავწონ-დავწონე რა ყველა შესაძლებლობა, მე ვერ ჩავთვლი ლუცილა დრეიკს ნომერ პირველ მკვლელად“ (გვ. 187).

"I shall Keep a little — said Iris So that if ever wanted to, I **could be grand** and walk out and leave you" (გვ. 188) — „ცოტას მაინც დავიტოვებ ჩემთვის, — უბასუხა აირისმა. იმ შემთხვევისათვის, თუ ოდესმე წასვლას მოვისურვებ“ (გვ. 191).

ლიტერატურა

ბაიბერი, 1999 — D. Biber, S. Johansen, G. Leech, S. Conzad, E. Finnegan, Grammar of Spoken and Written English, Longman, 1999.

გამყრელიძე, 2003 — თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.

ლ. გოქსაძე, 1989 — L. Gokhsadze, N. Mamatsachvili, S. Bolkvadze, A Course in Current English Grammar, v. II, Tbilisi, 1989.

კარლინგი, 2003 — M. Carling, Grammar time, v. 5, Longman, 2003.

კვაჭაძე, 1966 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966.

კრისტი, 1991 — A. Christie, The sparkling cyanide, Published by Pan Books LT.D. 1977; მოციმციმე ციანიდი, თარგმნა ნ. აბესაძემ, თბ., 1991.

ოქროპირიძე, 1974 — ნ. ოქროპირიძე, კავშირებითი კილოს მოდალური მნიშვნელობა ქართულში, „საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები“, II, თბ., 1974.

პაპიძე, 1988 — ა. პაპიძე, მყოფადის ხოლმეობითი თანამედროვე ქართულში.

საყვარელიძე, 2001 — ნ. საყვარელიძე, თარგმანის თეორიის საკითხები, თბ., 2001.

ფანჯიკიძე, 1995 — დ. ფანჯიკიძე, თარგმანის ახალი თეორიული და სტილის ეკვივალენტების პრობლემა, თბ., 1995.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

M. BERSENADZE _ KATSITADZE

Grammatical and Semantic Correspondences of the English Modal verb **Could** in Georgian

Summary

The paper examines some of the linguistic means for expressing the meanings of the modal verb **could** in Georgian fiction translations. It is maintained that the main as well as contextual meanings of **could** can be conveyed by means of various chunks (mtskrivis): Resultative 2, Past Imperfect, the Aorist, the Permissive, the Present, Subjunctive 2, the Future.

In reference to the semantics of modality, peculiarities of negative and interrogative forms of Georgian should be taken into consideration.

მატარინა არჩავაძე

ინგლისტური პირობის შემავალი გამოთქმების კომუნიკაციური ინტენციები

(ინგლისური და ქართული ენების მასალაზე)

კომუნიკაციური ლინგვისტიკისა და სემანტიკის შეპირისპირებისას წამოიჭრება საკითხი, თუ რა ადგილი უჭირავს ენობრივ მნიშვნელობას კომუნიკაციის პროცესებსა და მეტყველებაში და როგორია მისი ფუნქციები ამ რთულ პროცესში. ენის კომუნიკაციური პლანი და მისი ფუნქციების კანონზომიერებანი ლინგვისტთა დიდ ინტერესს იწვევს, რადგან ამ პლანის შესწავლა იძლევა საშუალებას გაიხსნას მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები და ნაჩვენებ იქნას, თუ როგორ იგება სამეტყველო ქმედება გამოთქმის მიზანთან დამოკიდებულებაში.

გამონათქვამის ინტერნაციონალური მნიშვნელობისადმი ინტერესი უკავშირდება მთლიანად პრაგმატიკას და მისი ერთ-ერთი ფუნქციონირების ჯონ სერლის სამეტყველო აქტების თეორიის წარმოშობასა და განვითარებას XX საუკუნის 60-იან წლებში. ამ თეორიის ფარგლებში წარმოიშვა არა მხოლოდ ამა თუ იმ ინტენციის (მაგ. პერფორმაციული გამონათქვამის მეშვეობით) პირდაპირი გამოხატვის შესწავლის აუცილებლობა, არამედ მისი ირიბი გამოხატვისაც. 70-იან წლებში გამოჩნდა ჯ. სერლის ნაშრომები, რომლებიც ეძღვნებოდა გამონათქვამის ილოკუციური ძალის სხვადასხვაგვარად წარმოდგენის შესაძლებლობებს და გ. გრაისის შრომები იმპლიკაციის თეორიის შესახებ. (ამ სფეროში ყველა დანარჩენი გამოკვლევა გრაისის იდეებს ეფუძნება).

ლინგვისტიკაში არ არსებობს ერთგვაროვანი შეხედულება ინტენციის განსაზღვრის საშუალებებსა და გზებზე, აგრეთვე იმაზეც კი, თუ რას წარმოადგენს საერთოდ ინტენცია. „ინტენციაში“ ჩვენ ვგულისხმობთ კომუნიკაციის მონაწილის განზრახვას, მათ შორის არა

სამეტყველოსაც (შინაგანი, ასევე მიმიკითა და ქესტებით ურთიერთობა). ცნების „სამეტყველო ინტენციის“ ქვეშ ვგულისხმობთ ისეთ განზრახვას, რომელიც უნდა წარმოაჩინოს კომუნიკაციის მონაწილემ (მოლაპარაკე სუბიექტმა) მეტყველების საშუალებით.

ცნება „ინტერნაციონალური მნიშვნელობა“ გვესმის როგორც მნიშვნელობა, რომელიც ახასიათებს მოცემულ გამონათქვამს, ანუ მისი ლინგვისტური სემანტიკა, აზრობრივი იმპლიკატურების კომუნიკაციური ინტენციების ანალიზისას შეგვიძლია ვისაუბროთ ინტერნაციონალურ მნიშვნელობაზე მხოლოდ აზრობრივი იმპლიკატურების შემთხვევაში, რომელთა სრული ინტერპრეტაციისათვის საკმარისია ცალკე აღებული გამონათქვამის მოცულობა, ვუწოდოთ მათ გამონათქვამის დონის აზრობრივი იმპლიკატურები. ცნებაში „ინტენციონალური აზრი“ ვგულისხმობთ გამოხატულებისა და შინაარსის პლანის საკმაოდ რეგულარულ თანაფარდობას, რომელზეც საუბარი მხოლოდ აზრობრივ იმპლიკატურებთან მიმართებაში შეიძლება და რომელთა სრული ინტერპრეტაციისათვის არ არის საკმარისი ცალკე აღებული ერთი გამონათქვამის მოცულობა, ვუწოდოთ მათ ტექსტის დონის აზრობრივი იმპლიკატურები. ცნებაში „გამონათქვამის ინტენციონალური მნიშვნელობა“ ჩვენ გვესმის მოცემული აზრობრივი იმპლიკატურის მნიშვნელობა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ანუ „ინტენციონალური მნიშვნელობა“ (გამონათქვამის დონის აზრობრივი იმპლიკატურებისათვის) და „ინტენციონალური აზრი“ (ტექსტის დონის აზრობრივი იმპლიკატურებისათვის).

ჩვენი კვლევის საგანს იმპლიკატურობა და გამონათქვამის ინტერნაციონალური მნიშვნელობა წარმოადგენს, კერძოდ კი, იმპლიკატური პირობის შემცველი გამოთქმები და მათი კომუნიკაციური ინტენციების დადგენა (ინგლისური და ქართული ენის მასალაზე).

იმპლიციტური პირობითი მნიშვნელობა ავლენს მეტყველების ქმედით ბუნებას და იმდენად, რამდენადაც, მეტყველების სემანტიკისა და პრაგმატიკის კატეგორიას მიეკუთვნება, კომუნიკაციური ლინგვისტიკის ჩარჩოებში თავსდება.

„იმპლიციტური მნიშვნელობა ექსპლიციტური მნიშვნელობის ბაზაზე არსებობს და ნაწარმოებია მისგან იმპლიკაციის, მოდელირებისა და კომპრესიის საშუალებით“, (ნიკიტინი, 1984, 90)

იმპლიკაცია (ანუ ქვეტექსტი) — არის ტექსტის ორგანიზაციის წესი, რომელიც მკვეთრად ზრდის, აღრმავებს და ცვლის ინფორ-

მაციის სემანტიკურ და ემოციურ-ფსიქოლოგიურ შინაარსს. ტექსტი ისე ორგანიზდება, რომ გაშლილი შინაარსის კონტექსტუალური მნიშვნელობის რეალიზება ხდება ორგვარად: ექსპლიციტურად – მიკროტექსტების ჯაჭვის საზოგადოებრივი კავშირებით და იმპლიციტურად – მთელი ტექსტის ერთეულთა დისტანციური კავშირებით. იმპლიციტურ აზრობრივ საზოგადოებრივ კავშირებში ვლინდება ტექსტის ყველა კომპონენტის მჭიდრო კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რამეთუ სწორედ სხვადასხვაგვარ მოვლენათა შედარებასა და დაპირისპირებას მივყავართ ინფორმაციის ფარული, ქვეტექსტობრივი მნიშვნელობის არსებობის გააზრებასთან. მეორად, ფარულ, იმპლიციტურ მნიშვნელობად ყველა მომდევნო მაგალითში გვევლინება პირობა, მაგრამ აღნიშნულის გარდა, წინადადებები შეიცავენ განსხვავებულ კომუნიკაციურ ინტენციებს.

1. "Smash me against the rock and I'll smash your guitar".

"I will if you...."

ამ ელიპტიკურ გამოთქმაში ჩადებულია **მუქარა-გაფრთხილების** კომუნიკაციური ინტენცია.

2. Grossman: (Quietly) Don't do that.

Nick: Come on, old boy. If I have to pour it down it. (ibid)

მოცემულ ელიპტიკურ წინადადებაში რეალიზებულია **სახუმარო მუქარის** კომუნიკაციური ინტენცია.

3. Nina: I wouldn't have married you, Nick, if I had known....

Nick: you would have married me. Or Somebody like me.

You've needed to look down in me, darling. You've needed to make fun of me. (ibid)

აქ **მწუხარების, სინანულის** კომუნიკაციური ინტენცია გადადის პირობის მნიშვნელობაზე.

4. Woman: I am calling about your sister, Carol Cutrere. She is blowing her car horn at the Red Crown Station.

Belauch; Good; Tell her that if.... (ibid)

აღნიშნულ დიალოგში ელიპტიკური ხასიათის გამოთქმა შეიცავს გაფრთხილების კომუნიკაციურ ინტენციას.

5. Brett, darling, if you'd like us not to see each other for a while, if you are going to be frustrated every time we meet....

(A. Hail. The Final Diagnosis)

მოცემულ გამოთქმაში შედეგი, რომელიც შესაძლოა პირობას მოკ-

ყვეს, არ არის მოცემული, მაგრამ ემფაზის საშუალებით, რაც პირობის ექსპლიციტური მარკერის „if“ განმეორებით ხორციელდება, ზედაპირზე გამოდის **თხოვნა-დათმობის** კომუნიკაციური ინტენცია.

6. Wouldn't you like a cup of hot chocolate before you go?

Mrs. Spencer would be.... (J. Salinger. The Catcher in the Rye)

აქ ელიპტიკური წინადადება თავაზიანი მიმართვის კომუნიკაციურ ინტენციას შეიცავს.

7. Wouldn't it be easier the right way up? (H. Bates. The Wild cherry Tree)

მოცემული მაგალითი შეიცავს **თათბირის, რჩევა-დარიგების**, კეთილგანწყობილების კომუნიკაციურ ინტენციას.

8. A Few years ago he would have been at the blackberris like a whippet at hare. He would have been up at the first crack of light and done till dark. (ibid)

მოცემული მაგალითი ხასიათდება **შედარება-შეპირისპირების** კომუნიკაციური ინტენციით.

ჩვენ მიერ ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში კი კონტექსტი გვეხმარება დამატებითი კომუნიკაციური ინტენციების რეალიზებაში.

9. Rose: Let's see your dress, Sophie. On, it's right nice.

But you should wear tighter things, dear. (Three American Plays)

აღნიშნული მაგალითი შეიცავს კეთილგანწყობილი რჩევის (თათბირის) კომუნიკაციურ ინტენციას. სიტყვა „dear“ მიუთითებს ადრესატის ადრესატისადმი პრაგმატულ დამოკიდებულებას.

10. He almost wished Hooper has seen the fish that would have been a certainty. (P. Benchley. Jaws)

→10. If only Hooper had seen the fish

ამ მაგალითში, ისევე როგორც ლექსიკური ერთეულის „wish“ შემცველ მრავალ გამოთქმაში, რეალიზდება **სინანულის** კომუნიკაციური ინტენცია. მაგ.

11. Carrie: I wish I could tell you what I've missed and what I've wanted Don't enYy me, Con.

(Three American Plays)

→11. If only I could

რაც ასევე შეიცავს სურვილის, სინანულის კომუნიკაციურ ინტენციას.

12. And she felt she knew with certainty, that the man was unmarried.

No woman would ever have let a man out of the house, she was sure, with collar and tie, so painfully dishe welled. (H. Bates. The Wild Cherry Tree)

ამ მაგალითში გადმოცემულია, მსჯელობის, დარწმუნებულობის კომუნიკაციური ინტენცია.

ჩვენთვის ასევე საინტერესოა განვსაზღვროთ, თუ რა კომუნიკაციური ინტენციებს შეიცავს პირობის მნიშვნელობის მქონე იმპლიციტური გამონათქვამი ქართულ ენაში.

1. ნუ სვამ, არ გინდა! დირექტორს მაინც მოერიდე, მოგხსნის სამსახურიდან! (რ. ჭეიშვილი).

მოცემულ მაგალითში ჩადებულია **რჩევის, გაფრთხილების** კომუნიკაციური ინტენცია.

2. სასურველი იქნება სხვა სკოლაში გადააგზავნოთ მისი პირადი საქმე. (ზ. კუხიანიძე. ქალაღის ჩიტები)

აქ **სურვილის** კომუნიკაციური ინტენცია გადადის პირობის მნიშვნელობაზე.

3. მიიღონ, ქალო, მე რა, მეწყინება? ნეტა ჯანმრთელობის მინისტრად დანიშნავდნენ, ცოტა შეღავათს მეც მომცემს. (ნ. დუმბაძე. ნუ გეშინია, დედა!)

მე-3 მაგალითში რეალიზებულია **ნატვრა-სურვილის** კომუნიკაციური ინტენცია, რასაც ხაზს უსვამს ნატვრითი ნაწილაკი – „ნეტა“. ამავე ფუნქციას ასრულებს სიტყვათშეთანხმება – „ახლა ვინატრებდი“ მომდევნო მაგალითში:

4. ბიჭო, ახლა ვინატრებდი ერთ კათხა ლუდს თავისი ცხელი ხინკლით. (გ. რჩეულიშვილი).

5. მოუვლელივით და უყურადღებობით ხე ხმება! (რ. ჭეიშვილი. ნადიმი სოფლად)

პირობის მნიშვნელობასთან ერთად **მტკიცების** კომუნიკაციური ინტენცია წამყვან როლს თამაშობს მოცემულ წინადადებაში.

6. ასე სჯობია, არ იფიქროს ჩვენს ნაფეხურებს დაჰყვებო. (გ. ფანჯიკიძე. აგვისტოს ცხელი დღე).

მე-6 მაგალითში პირობასთან ერთად გადმოცემულია **ვარაუდის** კომუნიკაციური ინტენცია.

7. ჰო, ერთ თვეში ჩამოდი და იმ დღესვე გაგატანთ „კუტკა-ლიას“. (ზ. კუხიანიძე. ქალაღის ჩიტები).

აქ რეალიზდება **დაპირების** კომუნიკაციური ინტენცია.

8. გამოდი რა, შოთაც აქ არის! (რ. ჭეიშვილი. მეოთხე პალატა)

მოცემული მაგალითი შეიცავს **თხოვნის, მიპატიების, კეთილგანწყობილების** კომუნიკაციურ ინტენციას.

9. ბაბუა ქელეშის სახლიდან სასიმიინდეზე დავეშვები, ვერავინ დამინახავს (გ. ფანჯიკიძე. ხარჯიხვი).

ამ შემთხვევაში კი რეალიზდება **მსჯელობის** კომუნიკაციური ინტენცია.

10. შენს ადგილზე არ ვიცი რას ვიზამდი, ანუ რას მოვიმოქმედებდი! (რ. ჭეიშვილი. მეოთხე პალატა).

პირობასთან ერთად წინადადება შეიცავს **დაურწმუნებლობის, ეჭვისა** და ამავე დროს **წაქეზების** კომუნიკაციურ ინტენციას.

მაგალითების ანალიზის შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ ტექსტში დასაშვებია რამდენიმე კომუნიკაციური ინტენციის თანადროული არსებობა, რომელთაგან ერთ-ერთს ძირითადი მნიშვნელობა მიენიჭება და წამყვან ადგილს დაიკავებს; გამოთქმის ძირითადი კომუნიკაციური ინტენციების რეალიზება კი მოხდება დამატებითი ინტენციების საშუალებით, ხოლო დამატებითმა ინტენციამ, თავის მხრივ, შეიძლება მოახდინოს პირობის მნიშვნელობის ელფერის აქტუალიზაცია. ტექსტში პირობითი მარკერის ერთ-ერთ დამატებით მიზანს კი შემდეგი წარმოადგენს – „აიძულო ადრესატი მხედველობაში მიიღოს პირობა ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრისას“. (კოლმანსკი, 1984, 100), ისევე როგორც, თხოვნის შინაარსით ადრესატის დაინტერესება წარმოადგენს წარმატებული კომუნიკაციის საწინდარს.

ლიტერატურა

გაკი, 1972 — Гак В. Г. Высказывание и ситуация в. сн. Проблемы структурной лингвистики, 1972, Москва 1973.

იული, 1988 — G. Yule, Pragmatics; Oxford University Press, 1977.

კუხარენკო, 1979 — Кухаренко В. А. Интерпретация текста, Ленинград, 1979.

სლიუსარევა, 1986 — Слюсарева, Н. Проблемы функциональной морфологии современного английского языка Москва. 1986.

EKATERINE ARCHVADZE

Communicative Intentions of Implicit Conditional Clauses

(on the material of the English and Georgian Languages)

Summary

The paper deals with the problem of defining the concept of "intention". Several types of intentional meaning for different levels of usage have been singled out. As is known, for the purpose of achieving successful communication any kind of expression or text may express various communicative intentions. The paper focuses on the description of communicate intentions in clauses expressing an implicit meaning in the English and Georgian languages.

ივოლდა ჰარაშვა

**სიტყვისა და ფრაზეოლოგიის უინაფორმა
გარემანულსა და ქართულში**

სემანტიკური პრობლემის კვლევა ენობრივი სტრუქტურის ნებისმიერ დონეზე ფონემიდან მოყოლებული, ტექსტისა თუ დისკურსის ჩათვლით, ყველა სახის ენობრივ ერთეულს მოიცავს.

სემასიოლოგიური და ონომასიოლოგიური ძვრები დიაქრონიის გათვალისწინებით სინქრონულ ჭრილში სიტყვის პოლისემიურობაში გამოიხატება, პოლსემიურობა კი მეტაფორული მნიშვნელობის საფუძველია. ფრაზეოლოგიური ფონდი სწორედ პოლისემიური სისტემის შემადგენელ ნაწილად გვევლინება, როგორც სიტყვისაგან განსხვავებული სტრუქტურის მქონე მიკროპარადიგმა. ძირითად ნაწილს ამ პარადიგმისა წარმოადგენს ერთი სიტყვის ირგვლივ გაერთიანებული ფრაზეოლოგიური ბუდეები, სადაც ბუდის თითოეული შესიტყვება გამაერთიანებელი (დერძული) სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ერთ-ერთი სემის მიკროკონტექსტად მოიაზრება.

საინტერესოა, რომ მოტივაცია სიტყვისა ცოცხალი უინაფორმით და მოტივაცია ფე-ისა, რომელიც ამავე სიტყვის საფუძველზე შეიქმნა, წარმოადგენს ნათელ მაგალითს ამ სიტყვის მოწყვეტისა თავისივე ონომასიოლოგიური ძირისაგან გარკვეული ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენით და რთულ აზრობრივი სტრუქტურას იძენს, რომელიც ფრაზეოლოგიურ რიგებში კონკრეტდება.

გ. ა. ზვეგინცევის ცოცხალი უინაფორმის არსის ნათელსაყოფად მოჰყავს სიტყვა „Schneider“ (მკერავი), რომელსაც რუსულში საფუძველად დაედო ზმნა „презать“ (презатель) (ზვიგენცევი, 1957, 192). მაგრამ საინტერესოა, რომ ენობრივი ნიშნის ონთოგენეზი, მისი აზრობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება და ამ სტრუქტურის შემადგენელი კომპონენტთა ან (სემათა) დაფიქსირება შემდეგ კომპარატივებშია დაფიქსირებული.

essen wie ein Schneider

fressen wie ein Schneider
laufen wie ein Schneider
leicht wie ein Schneider sein

ქართულში სიტყვა „მკერავი“, რომელსაც „კერვის“ ნიშანი დაედო საფუძვლად, მონოსემურია და ფრაზეოლოგიურ რიგებს არ წარმოქმნის.

მოტივაციის არსებობა და მისი თავისებურება ენათა შეპირისპირებისას ხდება ნათელი. მოტივირებულ სიტყვას (ანუ სიტყვას ცოცხალი შინაფორმით) ერთ ენაში, სხვა მონათესავე თუ არამონათესავე ენებში ხშირად არამოტივირებული სიტყვა შეესიტყვება, ანუ სიტყვა წაშლილი შინაფორმით. შეიძლება ერთი და იგივე სიტყვა ორივე ენაში მოტივირებული იყოს, მგრამ საფუძვლად სხვადასხვა ნიშანი დაედოს — გერმ. „Schneider“ (ჭრა), ქართ. „მკერავი“ (კერვა).

ამგვარი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ ჩვენ რამდენიმე მაგალითით შემოვიფარგლებით.

Schneeglöckchen — თეთრყვავილა

Fledermaus — ღამურა

Flugzeug — თვითმფრინავი

თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ ენობრივ ერთეულს, ნიშნის თვალსაზრისით, არაერთგვაროვანი საფუძველი გააჩნია:

გერმანულში

ქართულში

პატარა თოვლის ზარი — თეთრი ყვავილი

მოფარფატე თავი — ღამის მოყვარული

ფრენის დანადგარი — თვითმფრინავი

იღენტური ბგერითი ნიშანი ხშირად ონომატოპეურ სიტყვებში შეიმჩნევა, სადაც სემასიოლოგიური და ონომასიოლოგიური დონეები მაქსიმალურად უახლოვდებიან ერთმანეთს. ამიტომ ს. ულმანი (ულმანი, 1930, 73) ამგვარ ფონეტიკურად მოტივირებულ სიტყვებს ენობრივი უნივერსალის საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევს. ფრაზეოლოგიის დონეზე სხვა სურათი წარმოგვიდგება: ტიპურ ონომატოპეურ სიტყვას „გუგული“ (რუსულში „кукушка“, გერმანულში „Kuckuck“) უმეტეს ენებში ერთნაირი ბგერითი ნიშანი ედება საფუძვლად, მყარ შესიტყვებაში კი ენათა მკაფიო დივერგენციასთან გვაქვს საქმე. გერმანულ ფე-ში ნევატიური სქემა ექსპლიციტდება და სიტყვა „Kuckuck“ (გუგული) „ემმაკის“ სინონიმად მოიაზრება:

hol dich der Kuckuck! — ემმაკმა დალაზეროს!

da ist der Kuckuck los! — ემმაკმა იცის იქ რა ხდება!

weiss der Kuckuck! — ემმაკმა იცის!

zum Kuckuck! — ემმაკმა წაგიღოს!

ქართული ენის მყარ შესიტყვებებში კი, საპირისპიროდ, პოზიტიური სემის აქტუალიზაცია ხდება, ის „სიმშვიდისა და მშვიდობის“ გამომხატველია:

გუგულივით უწყინარი

გუგულივით ცხოვრება

გუგულივით მშვიდი

გუგულივით ხასიათი აქვს.

ნიშნისა და შინაფორმის ურთიერთმიმართება სიტყვის „პირველქმნადობის“ შესწავლის ქვაკუთხედია და ნიშნის კონვენციურ ბუნებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სწორედ ამ საკითხს ეთმობა მრავალი ენათმეცნიერული ნაშრომი.

სახელთა სახეობანი როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ ჭრილში ორმაგი ბუნებით ხასიათდებიან: პირველადი (ნეიტრალური) და მეორადი (მეტაფორულ).

ონომასიოლოგიური ანალიზი, რომელიც მიზანმიმართულია სიტყვის რეპრეზენტაციულ და მაიდენტიფიცირებულ ფუნქციასზე, გულისხმობს იმ კონცეპტუალური მნიშვნელობის დეტალიზაციას, რომელიც სიტყვის პირდაპირ ნომინაციას აყალიბებს (უმფიცევა, 1974, 16).

ამიტომ, თუმცა ენობრივი ნიშანი საგნის კონვენციური აღმნიშვნელია და აღმნიშვნელი წინასწარ არ განსაზღვრავს აღსანიშნ ანუ მათ შორის აუცილებელი ბუნებრივი კავშირი არ არსებობს, მაგრამ სახელი „დასახელება“ ჩასახვისთანავე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. ამიტომ ერთი მხრივ მოტივირებულია, ხოლო არამოტივირებული არის მისი ბგერითი ჟღერადობა, რომლის კავშირი სიტყვის მნიშვნელობასთან კონვენციურია. ვ. მ. სოლნცევის სიტყვებით: „ადამიანი, რომელსაც აუხსნეს, რომ ბგერა A აღნიშნავს საგან B-ს, შეიძლება ჩაითვალოს გარკვეული საზოგადოების პირობითი შეთანხმების თანამონაწილედ“ (სოლნცევი, 1976, 106).

ტერმინი „შინაფორმა“ ვ. ჰუმბოლდტის მიერ ლინგვისტურ ლიტერატურაში დამკვიდრებულია მთლიანად ენის მიმართ, მაგრამ ამ ცნებით ის ოპერირებს ცალკეულ სიტყვის დონეზეც.

ვ. ჰუმბოლდტის განმარტების უდიდესი დმსახურებაა ენის არა

მართო როგორც რეზულტატის (ერგონის) აღიარება, არამედ როგორც ქმედებისა (ენერგიისა). ამასთანავე ენის ფორმად ის მიიჩნევა მუდმივობას და ერთსახოვნებას სულის ქმედებაში, რომელიც ორგანულ ბგერას აზრის გამოხატულებად აქცევს. ამავე დროს ეს არის ის გზა, რომელსაც (ენა და მასთან ერთად ხალხი) აზრის გამოხატვისაკენ იკავავს (ჰუმბოლდტი, 1985, 370).

სიტყვის შინაფორმის შესწავლის სფეროში დიდი ღვაწლი მიუძღვის რუს ენათმეცნიერს ა. ა. პოტენიას. „შინაფორმა“ მისი გაგებით ეს არის ხერხი იმისა, რომ ახალ დასახელებაში გამოიხატოს ძველი დასახელება, რომლის უმარტივესი მაგალითია ზემოთ მოყვანილი „Schneider“ ნაწარმოები ზმნისაგან „schneiden“. სიტყვის სამსახოვნების თვალსაჩინოებისათვის მას მოჰყავს შტაინალის ცნობილი მაგალითი: ქალის მარმარილოს ქანდაკება სასწორითა და ხმლით, სადაც თვით ქანდაკება — გარეგნული ფორმაა, ქალი სასწორითა და ხმლით — მისი შინაფორმა, ხოლო სამართლის სიმბოლო — შინაარსი.

ი. ი. ჩერნიშევა მიიჩნევს, რომ შესიტყვების დონეზე, როგორც წესი, ცოცხალ შინაფორმასთან (ცოცხალ მოტივაციასთან) გვაქვს საქმე. ამაშია მყარი შესიტყვების ძირეული არსი. ფეხის არსებობა, რომელთაც წაშლილი შინაფორმა აქვთ, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მათში დასაბამით ასახული სიტუაცია გადააზრებულია და დიაქრონულ წიაღსვლას მოითხოვს.

თუ სიტყვის დონეზე ცოცხალ შინაფორმად აღიარებულია სიტყვაში წინარე ფორმის სინქრონული რეპრეზენტაცია, მაშინ ფრაზეოლოგიზმის დონეზე ცოცხალ შინაფორმას განაპირობებს სინტაქსური წინარე ფორმის არსებობა.

ღერძულსიტყვიანი ფეხი გამოირჩევიან ცოცხალი შინაფორმით, ანუ მკაფიო მოტივაციით, რადგანაც თითოეული ამგვარი ფრაზეოლოგიური მიკროტექსტი ახდენს ღერძული სიტყვის ერთ-ერთი სემის აქტუალიზაციას და აგრეთვე საწყისი სინტაქსური მოდელის ნაწილობრივ გადააზრებას. შეზღუდულ დისტრიბუციულ სტრუქტურად გარდაქმნისას, სიტყვა აზრობრივ ტარნსფორმაციას განიცდის „პოლისემიურობიდან“ „მონოსემიურობამდე“ და, როგორც წესი, სუბსტიტუციას არ ექვემდებარება. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, რომელიც გერმანულ-ქართულ კონვერგენციის (დამთხვევის) საუკეთესო ნიმუშია.

გერმანულში

vor aller Augen
j-m wurde schwarz
j-n etwas mit den Augen verschlingen
in j-s Augen steigen

j-m die Augen öffnen
beide Augen zudrücken
ein Dorm im Auge

ins Auge fallen
Auge in Auge

ქართულში

ყველას თვალწინ (საჯაროდ)
თვალთ დაუბნელდა
თვალეებით ჩაყლაპვა (შეჭმა)
ვინმეს თვალში გაზრდა (მის თვალში გაიზარდა, ამაღლდა)
თვალეები აუხილა
თვალეების დახუჭვა რამეზე
ეკალი თვალში (ანუ ეკალივით ესოს თვალში)
თვალში მოხვედრა (თვალში ხვდება)
თვალი თვალში (გაუყარა)

სამწუხაროდ, ერთი ნაშრომი ვერ ამოწურავს იმ მრავალმხრივ პრობლემებს, რომლებიც, ერთი მხრივ, დაკავშირებულია სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურასთან, ხოლო, მეორე მხრივ, მათ ტიპოლოგიურ შესწავლასთან, ანუ მონათესავე და არამონათესავე ენების მსგავსება — განსხვავების ძიებასთან.

კონვერგენცია სომატურ მიკროსისტემაში აიხსნება უმთავრესად იდენტური სტრუქტურის არსებობით და სომატიზმის აგების მსგავსი მექანიზმით და მრავალი სხვა პროცესებით, რომლებიც ადამიანის, როგორც უნივერსუმის, მსგავსი აზროვნების სტრუქტურის არსებობის რეზულტატია.

ლიტერატურა

ზვიგენცევი, 1957 — В. А. Звегинцев, Семасиология. Изд. Московского унта, 1957.
სოლნცევი, 1976 — В. М. Солнцев, К вопросу о предмете и задачах типологии. Тезисы дискуссии "Типология как раздел языкознания". М. изд. "Наука", 1976.
ულმანი, 1930 — С. Ульман, Семантическое универсалии. В. сб.: Новое в лингвистике, вып. 5, М., 1970.
უმფიცევა, 1974 — А. А. Умфицева, Типы словесных знаков, изд. "Наука", М. 1974..
ჰუმბოლდტი, 1985 — Вильгем Фон Гумбольдт, Язык и

IZOLDA KARDAVA

Inner Forms of Words and Phraseological Units in German and Georgian

Summary

On the one hand, the paper discusses the semantic structure and inner forms of words and phraseological units, and on the other, it focuses on the typological study of the problem, by examining similarities and differences of the peculiarities in question across typologically contrastive languages like German and Georgian.

The motivation of a word by its live inner form, and motivation of a phraseological unit which is built around the word in question is a clear example of the separation of the word from its onomaseological basis; under the influence of specific extralinguistic factors, the word acquires a complex sense structure which is made concrete in phraseological units.

ნატო სურგულაძე

რთული დროის ფორმები და ნამყოს მიმღეობის უმთავრესების წესები საშუალოფრანგულში

საშუალოფრანგულში (XIV-XVსს), ისევე, როგორც ძველფრანგულში, არსებობდა მარტივი და რთული დროის ფორმები, მაგრამ ძველფრანგულისაგან განსხვავებით, საშუალოფრანგულში ზმნათა ზე-რთული (surcomposé) დროის ფორმაც ჩნდება. კერძოდ, le passif surcomposé, რომელიც ნაწარმოები იყო დამხმარე ზმნების avoir-ის ან estre-ს (être) passif composé-თი და საუღლებელი ანუ ძირითადი ზმნის ნამყოს მიმღეობით (participe passif). ამის ნიმუშები მოცემულია XIII ს-ის ტექსტის ერთ ნაწყვეტში:

"je sui cil qui mon droit atent
Des granz anuiz que tu as faiz,
Que nous avons euz retraiz..."

(Roman de Renart; იდ. Martin,
t. I-br. VI et t. III, variantes, p.206)

XV ს-ის ფრანგულ ენაში ეს ზე-რთული დრო უფრო ფართოდ გამოიყენებოდა; მისი გავრცელება დაიწყო ქალაქიდან მომორებულ რეგიონებში შექმნილ ტექსტებში: 1365 წლით დათარიღებული ხელნაწერი „Psautier lorrain“ გვაწვდის ქალაქ მეტცის დიალექტური ნიმუშებით შექმნილ ნიმუშს:

"... par queil inspiration et enseignement li sains prophetes, opostres, et euuengelistes ont eut perleit en saintes escriptures..."

(იდ. Apfelstedt, Prologue, p.3)

1398-1408 წლების პროვინციულ ხელნაწერ ტექსტებშიც მოცემულია passif surcomposé-ს ნიმუშები: "Le Misture du Vieil Testament",

რომელიც შედგენილია XV ს-ის I ნახევარში, გვთავაზობს:

"Pere, j'ay a l'Ange parli,
Lequel ne m'a pas escondit
Quant vostre cas luy ay eu dit..."

(SATF, T. IV. 4153-4155)

მსგავსი ნიმუშებია ნაპოვნი "Le Mïnagier de Paris, traitï de morale et d'ïconomie domestique" | ნაწილში:

"je l'ay eu fait" (p. 33, ïd. J. Pichon, Paris, 1877. Prose-composï vers 1393).

"Les cent nouvelles nouvelles (CNN)"-ში:

"Et quand je l'ay aeu trouvï,
il ne s'est onques daignï lever,
quelque chose que luy aye fait"

(p. 196, ïd. crit. franklin P. Sweester, Gïnnive, Droz et Paris, 1966. Prose, ïcrit entre 1456 et 1467, problemement 1462. Scripta de l'Ile-de-France).

შესწავლილი მაგალითების საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს ორი ფაქტორი: ერთი მხრივ, ეს ზერთული დრო — **passï surcomposï** მოცემულია მუდამ დაქვემდებარებულ წინადადებაში, რომელსაც მოსდევს ან წინ უსწრებს რთული ნამყო წყვეტილი — **passï composï**. მეორე მხრივ, ის ხშირადაა გამოყენებული პირდაპირ თქმაში, მხ. რიცხვის I პირში.

როგორც უკვე აღინიშნა, რთული დროები, ძველსა და საშუალო-ფრანგულში, იწარმოებოდა დამხმარე ზმნების **avoir**-ისა ან **estre**-ს (**ktre**) **prïsent**-ისა ან **passï composï**-ს მეშვეობით და ძირითადი ზმნის ნამყოს მიღების (**participe rassï**) დართვით. საინტერესოა, რომ საშუალო-ფრანგული პერიოდის ტექსტებში ჩნდება **avoit**-ით ნაწარმოები ზმნების ნამყოს მიმღების შეთანხმება პირდაპირ დამატებასთან, თუმც საერთო დადგენილი წესი მიმღების შეთანხმებისა პირდაპირ

დამატებასთან მაინც არ იყო დაზუსტებული. მიმღების შეთანხმების ნიმუშები წარმოდგენილია XIV-XV ს.ს-ის ტექსტებში. როცა ნამყოს მიმღობას პირდაპირი დამატება წინ უსწრებდა:

"Pour l'amour **que** il orient **veue**
que li roys m'avoit moustrïe,..."

(Mïmoires de Jean Sire de Joinville, publ. Francique Michel, Paris, Didot 1858. Prose. Ms offert en 1309 a Louis le Hutin. Language de l'Ile-de-France, § 665, p. 210).

"... son pere ou sa mere les li ont donnez de leur livree".

(Les XV joies de mariage, publ. Jean Rychner, Gïnnive, Droz et Paris, Minard, TLF, 1957. prose. Texte composï vers 1400; oeuvre provinciale. Scripta de l'Ouest, "probablement poitevine", p.6).

საკმაოდ ხშირად, ზოგიერთ ხელნაწერში ჩანს, რომ მიმღობის შეთანხმება ხდებოდა, როცა ნამყოს მიმღობას პირდაპირი დამატება წინ კი არ უსწრებდა, არამედ მოსდევდა:

"Tu as accusees les jounesses et les anvoisees joieusetez, mais tu as excusï et soustenu les transons et les conspirations dïtastables..."

(Alain Chartier, Le quadriloque invectif, p. 42; p.65).

არის შემთხვევები, როცა ნამყოს მიმღობა არ უთანხმდება მის წინ მდგომ პირდაპირ დამატებას:

"... et les remercia ... de la belle recueilloitï que il li avoient fait"

(Froissard, I, p.25).

დაბოლოს, როგორც ამას ფერდინანდ ბრუნო აღნიშნავს (ბრუნო, "Histoire de la Franzaise", T. I. pp. 495-6), ნამყოს მიმღობის შეთანხმების შემთხვევები საშუალო-ფრანგულში არ არის უფრო ხშირი, ვიდრე ძველფრანგულში. ე. ი. ეს გრამატიკული წესი ჯერ კიდევ დაზუსტებული არ იყო საშუალო-ფრანგულში.

რაც შეეხება დამხმარე ზმნა **ktre**-ით ნაწარმოები ზმნების ნამყოს

მიმღობის შეთანხმებას ქვემდებარესთან, ეს უფრო მოწესრიგებული იყო. თუმცა იყო შემთხვევები, რომ **participe passif**-ს შეთანხმება არ ხდებოდა, როცა ქვემდებარე მიმღობის შემდეგ იდგა.

"La fud demandï ceste duchiï"
(commynes, I, p. 76)

ნამყოს მიმღობის ადგილი საშუალოფრანგულის რთულ დროებში უკვე დადგენილია. მაგალითად, ნამყოს მიმღობა (**participe passif**) რთულ დროში დამხმარე ზმნის შემდეგ იწერებოდა, Bïrinus-ში, B. Lewinsky-იმ (ლევინსკი, 1949) აჩვენა 415 შემთხვევა, როცა **avoir**-ით შედგენილი ნამყოს მიმღობა მოსდევდა დამხმარე ზმნას და მხოლოდ ორი შემთხვევა, როცა ნამყოს მიმღობა წინ უსწრებდა დამხმარე ზმნას (**t, I, §§89-140**), ხოლო დამხმარე ზმნა **ktre**-ით შედგენილი ნამყოს მიმღობა მუდამ მოსდევდა მას, მისი ანტიპოზიტიური შემთხვევები არ გვხვდება; თუმცა იშვიათი არ იყო შემთხვევები, როცა ნამყოს მიმღობა გამოყოფილია დამხმარე ზმნიდან პირდაპირი ან ირიბი დამატებით:

"Quant vous avrez **femme prise**
(Bïrinus, I, § 19)

"je leur ay **ma foy plevie**
(ibid, II, § 501)

"je suis **de mal heure nez**
(ibid, II, p. 94)

მაშასადამე, საშუალოფრანგულში ჩნდება ზმნის ახალი რთული ფორმა — **Passif surcomposif** და რთულ დროებში **participe passif**-ს შეთანხმება ქვემდებარესთან და დამატებასთან შედარებით მოწესრიგებულია; ნამყოს მიმღობის შეთანხმება დაკანონებულია **estre**-თი ნაუღლებ ზმნებთან და ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დაზუსტებული **avoir**-ით ნაუღლებ ზმნებთან.

ლიტერატურა

გურიჩევა, 1965 — Гурычева М., Катагощина Н. Романские языки, М., Наука, 1965.

სკრემინა, 1972 — Скремина Л. Histoire de la langue française Москва, В. III., 1972.

Christiane Marchello-Nizia Histoire de la Langue française aux XIV^e et XV^e siècles. Paris, DUNOD, 1992.

NATO SURGULADZE

Agreement of Complex Tense Forms with Past Participle in Medieval French Summary

Unlike Old French, in Medieval French (14-15thc) a new complex tense form **Passé surcomposé** formed by means of the Past Perfect of the auxiliary verb and Past participle of the conjugated verb came into being. It was encountered in subordinate clauses and was often used in direct speech of the 1st person singular. It is noteworthy that in the texts of the time, the agreement of the past participle with the subject or direct object was not clearly revealed. However, the agreement of the subject and the past participle of the verb conjugated with **estre** (**être**) was already canonized. On the whole, in comparison with Old French the grammar rules in Medieval French seem to have been more normalized.

ეპიტაფიკა მონანი

სიტყვის კონტექსტუალური მნიშვნელობა კომუნიკაციისას

სიტყვის მნიშვნელობის გამოხატვას მეტყველებაში ემსახურება კომუნიკაციური კონტექსტი, რომელიც იქმნება მთელი რიგი მასზე დაქვემდებარებული კონტექსტებით (ლინგვისტური, პარალინგვისტური, სიტუაციური, კულტურული და ფსიქოლოგიური).

„კომუნიკაციური კონტექსტი არის საშუალებათა ორგანიზაცია, კონტექსტების და მათი საყრდენების ორგანიზაცია, ვერბალური და არა ვერბალური ინფორმაციის, აზრის (შეტყობინებების) გადასაცემად და აღსაქმელად. აზრი განსხვავდება მნიშვნელობისაგან აქტუალური, შემოქმედებითი და კერძო ხასიათით“ (კანცელსონი, 1950, 25-27).

კომუნიკაციურ კონტექსტში სიტყვამ ან წინადადებამ შეიძლება მნიშვნელობა შეიცვალოს. მაგალითად: „მე მტკივა თავი“. ამ წინადადებას გააჩნია პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობები. თუკი ეს წინადადება აღმოჩნდება კომუნიკაციურ კონტექსტში, მას შეიძლება სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია მოვუძებნოთ. მაგალითად „მე არ წავალ სამუშაოდ“, „ცუდ ხასიათზე ვარ“, „თავი დამანებეთ“ და ა. შ.

ჩვენი მიზანია, ვნახოთ, თუ როგორ იძენს სიტყვა, როგორც ენობრივი ერთეული ახალ მნიშვნელობას, ახალ აზრს სხვადასხვა კონტექსტში, კომუნიკაციაში. საერთოდ სიტყვის ცალკეული მნიშვნელობა ენაში და სიტყვის კონტექსტუალური მნიშვნელობა მეტყველებაში განპირობებულია სემების მოწესრიგებული სიმრავლით (წყობით).

„სემა წარმოადგენს ელემენტარულ და განზოგადებულ ერთეულს შინაარსისა, რომელიც შეესაბამება გამოხატვის პლანის ერთეულებს, რადგანაც სემას პოტენციურად გააჩნია საკუთარი ნომინაცია. თუმცა იმ სიტყვაში, რომლის მნიშვნელობიდანაც ის გამოი-

ყოფა, ცალკე არ არის გამოხატული. სემა განისაზღვრება როგორც ლექსიკური მნიშვნელობის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ასახავს იმ ენის ნომინირებული ობიექტების შეცნობილ ნიშნებს, რომელშიც მას აქვს ვერბალური გამოხატულება“ (არნოლდი, 1970, 14-15).

ჯერ ვნახოთ, რას წარმოადგენს სიტყვა ენაში მნიშვნელობის მხრივ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნებისმიერი სიტყვის მნიშვნელობა ანუ სემანტიკა ენაში წარმოადგენს ცალკეული ნიშნების, კომპონენტების — სემების ანუ მცირე მნიშვნელობების კოპლექსს. სემა მოვლენის კონკრეტულ ნიშნებს აღნიშნავს. მაგალითად სიტყვა „სკამი“ შედგება ცალკეული მნიშვნელობებისაგან, როგორებიცაა:

- ფუნქცია — სკამი, ჩვეულებრივ გამოიყენება დასაჯდომად;
- მასალა — სკამი შეიძლება დამზადებულ იყოს ხისგან, ქვისგან, რკინისგან, შეიძლება ეს იყოს თუნდაც ხის ჯორკო, მაგრამ შეასრულოს სკამის ფუნქცია;
- ფორმა — სკამი შეიძლება იყოს ოთხკუთხა, სამკუთხა, მრგვალი და ა. შ.
- ფერი — სკამი შეიძლება იყოს თეთრი, შავი, ყავისფერი და ა. შ.

ნივთი — ის არის საგანი, ანუ უსულო. მას არა აქვს გრძობა, შეგრძნების უნარი, შესაბამისად მას არა აქვს არც აზრი და არც ემოცია.

სიტყვის ეს ცალკეული ნიშნები ანუ სემები ერთმანეთის მიმართ გარკვეული სტრუქტურული კანონზომიერებით ლაგდება. ამ სტრუქტურას აქვს ველის სახე, რომელთა ელემენტები ერთმანეთის მიმართ საფეხურებობრივად ანუ გრადუალურად არიან დაკავშირებული და ახასიათებთ სემანტიკური ერთიანობა. ველის ცენტრში არის ე.წ. ბირთვული ანუ ცენტრალური სემა, რომელიც მოვლენის არსზე მიუთითებს. იგი აღწერს მის მუდმივ, არსებით თვისებებს. სიტყვა „სკამის“ ცენტრალური ანუ ბირთვული სემა არის მისი ფუნქცია, რომ ის დასაჯდომი ნივთია.

ველში არის სხვა სემებიც — პერიფერიული, რომლებიც გამოხატავენ სიტყვის არამუდმივ, არააუცილებელ ნიშნებს. „სკამის“ ერთ-ერთი პერიფერიული სემა არის მისი უსულო ხასიათი, რომელსაც არ გააჩნია ცოცხალი არსებისთვის დამახასიათებელი თვისებები, მაგალითად, აზროვნების უნარი.

პერიფერიული სემები მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით შეიძ-

ლება იყოს ახლო და განაპირა.

ახლო პერიფერიას მოიცავს სემები, რომლებიც მოკლებულნი არიან ბირთვულობის ერთ-ერთ ნიშანს, არიან ძალიან მკვეთრი და გააჩნიათ ძლიერი ალბათობა.

შორეული პერიფერია მოიცავს სუსტი ალბათობის სემებს, ექსკლუზიურ, ნეგატიურ და დაფარულ სემებს. მაგალითად, სიტყვა „სკამის“ შემთხვევაში ერთ-ერთი ახლო პერიფერიული სემაა მისი „სიმაგრე“.

მეტყველებაში, კომუნიკაციაში, გარკვეულ კონტექსტში სიტყვამ შეიძლება შეიძინოს ახალი აზრი, მნიშვნელობა. ბუნებრივია, იბადება კითხვა, როგორ ხდება ეს, თუკი ენაში სიტყვის მნიშვნელობა სტაბილურია? რაში მდგომარეობს ამ ცვალებადობის მექანიზმი და გამომწვევი პირობები? კომუნიკაციის პროცესში შეიძლება მოხდეს სიტყვის სემანტიკურ სისტემაში სემების გადანაცვლება — ბირთვიდან პერიფერიისაკენ და პირიქით — პერიფერიიდან ბირთვისაკენ. ან შეიძლება სემებმა გადანაცვლონ სხვადასხვა შრეებში — ერთიდან მეორეში.

დავუბრუნდეთ ისევ სიტყვას „სკამი“. რაღაც კონტექსტში, სიტუაციაში ერთმა ადამიანმა მეორის მიმართ შეიძლება თქვას ან მიმართოს: „ნამდვილი სკამია!“ „სკამი ხომ არ ხარ!“ რა აზრს იძენს ამ შემთხვევაში ეს სიტყვა? იგი იძენს უჭკუოს, უგრძობელის მნიშვნელობას. ეს იმიტომ მოხდა, რომ პერიფერიულმა სემამ დაიკავა ბირთვული ადგილი. ეს არის მნიშვნელობის ცვლის მექანიზმი. იმას კი, თუ რატომ ამოქმედდება ეს მექანიზმი, განაპირობებს კონტექსტი. ამ შემთხვევაში კონტექსტში სიტყვა „სკამი“ გამოვიყენეთ ადამიანის, სულიერი არსების მიმართ, რომელსაც გააჩნია გრძნობა. თუკი ერთ ადამიანს მეორე უგრძობელ და ინდიფერენტულ არსებად წარმოუდგება და მასზე იტყვის, რომ ნამდვილი სკამია, მაშინ ეს სიტყვა ახალ აზრს იძენს.

მაგალითად მოვიყვანოთ მეორე სიტყვა „თოჯინა“. ამ სიტყვის სემებია:

- ფუნქცია — სათამაშო. ეს არის მისი ცენტრალური ბირთვული სემა;
- მასალა — თოჯინა შეიძლება იყოს ნაჭრის, პლასტიკის, რეზინის, ხის ან ფაიფურის;
- თვისება — თოჯინა შეიძლება იყოს ლამაზი, როგორც

წესი, მაგრამ შეიძლება იყოს უშნოც;

- ნივთი — არის უსულო საგანი. არა აქვს ნება, არა აქვს აზრი და მოკლებულია გრძნობას და ემოციას.

ამ სიტყვის მნიშვნელობის ცვლა კომუნიკაციაში ისევ კონტექსტზეა დამოკიდებული. სხვადასხვა ტიპის კონტექსტი განაპირობებს იმას, თუ რომელი პერიფერიული სემა გადაინაცვლებს პერიფერიიდან ცენტრისაკენ. ერთ კონტექსტში (აღტაცების, მოწონების კონტექსტში) ბირთვისაკენ გადმოინაცვლებს პერიფერიული „სილამაზის“ სემა და გამოთქმა „ნამდვილი თოჯინა ხარ!“ გაიგება როგორც „რა ლამაზი ხარ!“. მეორე ემოციურ კონტექსტში ბირთვისკენ გადმოინაცვლებს პერიფერიული სემა „არ აქვს საკუთარი ნება, ჭკუა“ და გამოთქმა „მართლაც რომ თოჯინა ხარ!“ გაიგება როგორც „უჭკუო ხარ, სხვის ნებაზე დადიხარ!“

როგორც ვხედავთ, მნიშვნელობის ცვლის მექანიზმს აქ ისევ კონტექსტი განსაზღვრავს.

სიტყვის ჩართვა კომუნიკაციაში განსაზღვრავს მისი სემანტიკის რეალიზაციას. გარკვეული სიტყვა გარკვეულ კონტექსტში, სხვადასხვა კომუნიკაციურ სიტუაციაში მნიშვნელობას იცვლის ან საერთოდ ახალ აზრს იძენს. ენაში იმდენად დიდია სიტუაციური კონტექსტის როლი, რომ, შეიძლება ითქვას, სიტყვამ იმდენი მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს, რამდენი ტიპის კონტექსტში გამოვიყენებთ მას ჩვენი დაკვირვებით და რამდენ სემასაც შეიცავს იგი.

ცნობილია, რომ მნიშვნელობას ანუ სემანტიკას, რომელიც არის სემების კომპლექსი, აქვს სემური შედგენილობა, რომელიც ჩვენს თვალში ქმნის გარკვეულ ველს. კონტექსტში ანუ ვერბალურ კომუნიკაციაში ხდება სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ცვლა, ველში სემების გადანაცვლება-გადმოინაცვლება, მაგრამ ზოგჯერ და არა ყოველთვის. როცა გადანაცვლება არ ხდება, მნიშვნელობაც არ იცვლება.

სწორედ სემების გადანაცვლება სიტყვის სემანტიკურ სისტემაში იწვევს სიტყვის მნიშვნელობის არსებით ცვლას. ამ მექანიზმს განაპირობებს ისევ კომუნიკაციური სიტუაცია. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სხვადასხვა ტიპის კონტექსტი უდევს საფუძვლად განსხვავებულ სემათა გადანაცვლების პროცესს.

ლიტმარატურა

არნოლდი, 1970 — Арнолд И.В. Компоненты лексического значения, Москва, 1970.

კანცელსონი, 1980 — Кацнельсон С.Д. Содержание слова, значение и обозначение, Москва, 1980.

ლაიონსი, 1977 — Lyons John, Semantics, 2 vol., Cambridge, “Cambridge University Press”, 1977.

ლებანიძე, 2004 — გ. ლებანიძე, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბილისი, „ენა და კულტურა“, 2004.

ლევინსონი, 1985 — Levinson Stephen, Pragmatics, Cambridge, “University press”, 1985.

პალმეი, 1981 — Palmer F.R., Semantics, Cambridge, “University Press”, 1981.

EKATERINE ONIANI

Contextual Meanings of Words in Communication

Summary

The paper aims to show how words as linguistic signs acquire new meanings in communication. As is known, the meaning of words may be affected by their context. In context of various types, the potential meanings of a word are differently realized. The contextual meaning of a word presupposes the existence of a specific and regular seme pattern at language level. In communication a number of potential meanings are narrowed down to one.

კატერინე თოფურია

სიმატრია და ასიმატრია სამეტყველო აქტის ფორმისა და შინაარსის ურთიმართიმართობაში

ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პრობლემას, რომელსაც სამეტყველო აქტების თეორია წააწყდა, წარმოადგენს ირიბი სამეტყველო აქტების პრობლემა. ირიბი სამეტყველო აქტის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ილოკუციური მიზანი მათში იმპლიციტურადაა მოცემული და აღრესატის მიერ მისი კომუნიკაციური კომპეტენციის წყალობით გამოიყვანება.

ასე იყო ილოკუციური მიზანი, რომელიც ამ შემთხვევაში ლატენტური სახითაა წარმოდგენილი, სხვადასხვა მნიშვნელობით წარმოგვიდგება. ასე მაგალითად, საზოგადოებაში მიღებული თავაზიანობის პრინციპი მოითხოვს ზემოქმედების ნაკლებ კატეგორიულობას, რასაც შესანიშნავად ესადაგება ირიბი ფორმა. ამის ნათელი დადასტურებაა მოდელიზებული შეკითხვა იმის შესახებ, შეუძლია თუ არა აღრესატს, რაიმე არცთუ ისე რთული მოქმედება შეასრულოს - „შეგიძლიათ ჩაი დამისხათ?“ ასეთივე ირიბი მნიშვნელობა აქვს ფრაზას „მე მსურს მარტო დავრჩე“, რაც, ფაქტიურად, გამოხატავს თხოვნას, ბრძანებას (სიტუაციის მიხედვით) აღრესატის მიმართ, რათა შესაბამისი ქმედება განახორციელოს.

კითხვითობასთან დაკავშირებულ ირიბ სამეტყველო აქტებს სპეციალურად განიხილავს გერმანელი მეცნიერი პ. კონრადი. მისი გამოკვლევის მიზანია შეისწავლოს კითხვითი წინადადებების არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება. ავტორი მოითხოვს გრამატიკის შემადგენლობაში სპეციალური დისციპლინის გამოყოფას, რომლის ამოცანაც იქნება იმის გამოკვლევა, თუ როგორ შეიძლება ესა თუ ის სამეტყველო აქტი გამოხატული იქნას სხვა სამეტყველო აქტით (კონრადი, 1985, 352) სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ძირითადი პრობლემა, რომელსაც ჩვენ აქ ვხვდებით, მდგომარეობს წინადადების პირდაპირი მნიშვნელობისა და იმ მნიშვნელობას შორის დამოკიდებულების

განსაზღვრავს, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში იგულისხმება და რომელსაც ხშირად „პრაგმატულ მნიშვნელობას“ ან „გამონათქვამის კომუნიკაციურ არსსაც“ უწოდებენ.

როგორ წამოიშობა წინადადების არაპირდაპირი მნიშვნელობა და რა ფაქტორები ან პირობებია ასეთ შემთხვევაში განსაზღვრელი? რა შინაარსობრივი კავშირები მყარდება არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევების გასაგებად და აღსაწერად?

— წარმოადგენს თუ არა ამგვარი ფენომენების აღწერა წმინდა ლინგვისტურ ამოცანას, თუ ამისათვის აუცილებელია რაღაც დამატებითი ინფორმაცია? თუ კი, მაშინ როგორია ეს ინფორმაცია და რა დამოკიდებულებაა შინაარსის ლინგვისტურ მონაცემებთან?

— რა როლს თამაშობენ ასეთ შემთხვევაში სემანტიკური დასკვნის მექანიზმები (Sferenzmechanismen), რომელთაც, როგორც ცნობილია, გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნიათ ადამიანის მთელ ინტელექტუალურ მოღვაწეობაში?

— რამდენად დასაბუთებულია ე.წ. „ირიბი სამეტყველო აქტების“ სამეტყველო აქტებად კვალიფიკაცია?

— წარმოადგენს თუ არა წინადადების „ირიბი მნიშვნელობა“ იმავე სახის მოვლენას, რასაც „მნიშვნელობა“ ჩვეულებრივი გაგებით, თუ ეს პრინციპულად განსხვავებული მოვლენაა? (კონრადი, 1985, 350-351).

აღნიშნულ კითხვებზე პასუხი ფაქტურად ქმნის თეორიულ ბაზას ლინგვისტური სტრუქტურის უფრო ფართო კონტექსტში (ქცევის თეორია) განხილვისა და შესაძლებლობას იძლევა გაიმიჯნოს არაერთგვაროვანი მოვლენები.

პირდაპირი სამეტყველო აქტებს გააჩნიათ წარმატებულობის განსაკუთრებული პირობები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს განხორციელებულად, თუ წინადადება გამოიყენება, როგორც სამეტყველო აქტი, მისი ძირითადი ფუნქციის შესაბამისად. ამ შემთხვევაში ხდება წინადადების მნიშვნელობისა და შესაბამისი წარმატებულობის სიტუაციური პირობების შეთავსება.

მაგალითად, კითხვით წინადადებასთან მიმართებაში მივიჩნევთ, რომ მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს კითხვის გამოხატვა, ანუ, სამეტყველო აქტების თეორიის ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, „ეროთეტული“ აქტის განხორციელება. ეს მნიშვნელობა მისი სტანდარტული მნიშვნელობაა, რომელიც მას ენობრივმა სისტემამ მია-

კუთვნა. კითხვითი წინადადება მაშინ გამოიყენება თავისი ძირითადი მნიშვნელობით, როდესაც გამოიყენება კითხვით სიტუაციაში. იმ შემთხვევაში, როდესაც კითხვითი წინადადების გამოყენებისას წარმატებულობის პირობები კითხვითი სიტუაციისათვის არ არის ბოლომდე შესრულებული, ან მათი მოქმედება ბლოკირებულია სხვა სამეტყველო აქტის წარმატებულობის პირობების არსებობით, წარმოიშობა წინადადების არაინტეროგატიული ინტერპრეტაცია, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს წინადადების გამოყენებას არა მისი ძირითადი ფუნქციის შესაბამისად. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ კითხვითი წინადადების სემანტიკისა და სიტუაციის „დაშორების“ ხარისხი განსხვავებულია და სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით ცნება „ირიბი სამეტყველო აქტი“ არაერთგვაროვანადაა გაგებული. განსხვავების საფუძველია იმის აღიარება ან უარყოფა, თუ რამდენად შესაძლებელია პირდაპირი მნიშვნელობის შენარჩუნება, თუ მას მთლიანად ჩაენაცვლება ახალი მნიშვნელობა. პირდაპირი მნიშვნელობა შენარჩუნებულია და, ამასთანავე, წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას ლოგიკური დასკვნითი ოპერაციისათვის. პირდაპირი მნიშვნელობა წინადადების არაპირდაპირი გამოყენების შემთხვევაში აუცილებლად რჩება, ხოლო წინადადების ირიბ სამეტყველო აქტად გააზრება სხვა დონეზე ხდება. ირიბი სამეტყველო მნიშვნელობები განიხილება, როგორც დასკვნის ოპერაციიდან გამომდინარე შედეგი. ეს უკანასკნელი კი ხორციელდება პრინციპულად განსხვავებულ მონაცემთა კომპლექსის ბაზაზე, როგორც ლინგვისტური, ასევე ექსტრალინგვისტური ხასიათის მონაცემთა ბაზაზე. აუცილებელია, აგრეთვე, იმის ხაზგასმა, რომ ირიბი სამეტყველო აქტის მნიშვნელობა პრინციპულად განსხვავებულია. აღნიშნულ კონტექსტში „მნიშვნელობა“ განიხილება, როგორც დაქვემდებარებული მონაცემთა მთელი კომპლექსისგან, რომელთაგან ის შესაბამისი ოპერაციების შედეგად გამოიყვანება და არა, როგორც წინადადების თავისთავადი მნიშვნელობა. ზემოთქმული, ბუნებრივია, არ გამოორიცხავს იმას, რომ აღნიშნული ირიბი მნიშვნელობების გააზრება სტერეოტიპულ სიტუაციებში, ლოგიკური კავშირების ავტომატიზაციის გზით, შესაძლებელია გახდეს საფუძველი ახალი, პირდაპირი მნიშვნელობების წარმოშობისა, რასაც გარკვეულ სიტუაციებში ნაწილობრივ ან სრულ იდიომატიზაციამდე მივყავართ. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეტაპზე მეცნიერები ხშირად მოვლენების

განვთარებას უსწრებენ და ნაჩქარევ კვალიფიკაციას იძლევიან. ამის შედეგად ძალიან ბევრი „მეორადი“ ენობრივი სტრუქტურა სასწრაფოდ იქნა კვალიფიცირებული, როგორც „პირდაპირი“, იმის გარკვევის გარეშე, თუ რა უდევს საფუძვლად აღნიშნული ირიბი მნიშვნელობების არეალის გაფართოებას.

კითხვითი წინადადებების ირიბი მნიშვნელობით გააზრების გადამწყვეტ ფაქტორად მიგვაჩნია ქცევის ტიპური სქემის არსებობა, რომლებიც ერთნაირად ბუნებრივი და თვალსაჩინოა, როგორც მსმენელისთვის, ასევე მოსაუბრისთვის გარკვეულ წინასწარ მოცემულ მიზანთა იერარქიის პირობებში.

სიტუაციას, რომელშიც წარმოითქმება იგივე კითხვითი წინადადება, ჩვეულებრივ მოსდევს გარკვეული თხოვნა, რომელიც უშუალოდ ერთ-ერთ მოსალოდნელ პასუხთან დაკავშირებულია. ეს კავშირი, როგორც წესი, ნათელია დიალოგის ორივე მონაწილისათვის, ვისაც ქცევის საერთო სტრატეგია გააჩნია (მათ შორის სამეტყველო) და მნიშვნელოვან როლს თამაშობს პრაქტიკული დასკვნის გამოტანის პროცესში, რომელსაც მიყვავართ კითხვითი წინადადების არაპირდაპირი გააზრების შესაძლებლობასთან.

სამეტყველო აქტის არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება ორიენტირებულია ადამიანური ქცევის ზოგად თეორიაზე და მიზნად ისახავს უფრო ნათლად გამოკვეთოს ასპექტები, რომლებიც პრინციპულად მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად, თუ რა სახის მოვლენასთან გვაქვს საქმე. უნდა აღინიშნოს, რომ „ირიბი ინტერპრეტაცია“ დაკავშირებულია „პირდაპირთან“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამეტყველო აქტის ძირითადი მნიშვნელობა მისი ირიბი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევაშიც შენარჩუნებულია. აქედან გამომდინარე, ირიბი სამეტყველო აქტები წარმოადგენს პოტენციურ, წარმოსახვით, გამოტოვებულ და არა რეალურ სამეტყველო აქტებს. ლოკუციური აქტი არ არის გამოხატული, მაგრამ მსმენელი, მიუხედავად ამისა, მაინც იწევს ერთი ნაბიჯით წინ. უმეტეს შემთხვევაში ხდება თავისებური გადაჯღუფება. სწორედ ამ პირობის გაუთვალისწინებლობა წარმოშობს გაურკვეველი ორაზროვნების საფუძველს, როდესაც სამეტყველო აქტის სტატუსი ერთმნიშვნელოვნად არ განისაზღვრება.

ირიბ სამეტყველო აქტებთან ერთად ლინგვისტური თეორია განიხილავს აგრეთვე ე.წ. ჰიბრიდულ სამეტყველო აქტებს. ამ უკანასკნელის თავისებურება მდგომარეობს ბინარულ პროპორციულ

სტრუქტურაში, რომელიც პარალელურად შეიცავს ორი სხვადასხვა სამეტყველო აქტის ილოკუციურ მახვენებელს. ასეთი სამეტყველო აქტების მაგალითად შემდეგ კონსტრუქციას ასახელებენ **Gebst bitte das Buch?**“.

აღნიშნულ კითხვით წინადადებაში **“bitte“** წარმოადგენს თხოვნის ილოკუციურ მახვენებელს, რომელიც არ გამომდინარეობს წინადადების შინაარსიდან და დამატებითი მონაცემებიდან კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებით. სახეზე გვაქვს ჰიბრიდული ენობრივი სტრუქტურა, რომელიც შეიცავს თანაბრად კითხვასაც და თხოვნასაც. ასეთ სტრუქტურებს, რომლებშიც ერთი პროპოზიციის ფარგლებში ერთდროულად რეალიზებულია ორი სხვადასხვა სამეტყველო აქტი, ეწოდება ჰიბრიდული სამეტყველო აქტი. ამ უკანასკნელთა წარმოშობის მიზეზი ორი ავტონომიური სამეტყველო სიტუაციის მჭიდრო ურთიერთკავშირია, რომლის დროსაც ხდება ჰარბი ინფორმაციული ელემენტების აბრევირება. გარკვეულწილად ჰიბრიდული სამეტყველო აქტის კომპონენტების ურთიერთმიმართებას სინტაგმატური შეგვიძლია ვუწოდოთ, ვინაიდან რთული „მეგააქტის“ შემადგენლობაში ხდება განსხვავებული სამეტყველო აქტის კომბინირება.

ამრიგად, ირიბი და კომბინირებული ანუ ჰიბრიდული სამეტყველო აქტიც დაკავშირებულია პირველად სამეტყველო აქტებთან და გარკვეულ მიმართებაშია შესაბამის ლინგვისტურ სტრუქტურასთან. ლინგვისტური სტრუქტურისა და ილოკუციური ძალის ურთიერთობა არაერთგვაროვანია და ზოგიერთ შემთხვევაში ასიმეტრიულობას ამჟღავნებს. იმის მიხედვით, თუ როგორ მიმართებაშია ენობრივი სისტემის ცალკეული სტრუქტურა, რომელთაც შესაბამისი სამეტყველო ფუნქცია და სიტუაციური პარამეტრებით განპირობებული ილოკაციური ძალა გააჩნიათ, გვხვდება პირდაპირი ანუ ფიქსირებული, ირიბი ანუ მეორადი და ჰიბრიდული ანუ სინტაგმატური მიმართებები. ლინგვისტური სტრუქტურის სემანტიკისა და ფუნქციების მიმართება სამივე შემთხვევაში განსხვავებულია და კომუნიკაციური სიტუაციის სპეციფიკითაა განპირობებული.

ლიტერატურა

კონრადი, 1985 — Конрад Р, Вопросительные предложения как косвенные речевые акты в кн. Новое в зарубежной лингвистике, т.17, Москва, 1985.

კოჰენი, 1990 — Cohen P., Morgan Y., Intentions in Communications, Cambridge MIT Press, 1990

პარსონსი, 1997 — Parsons T., Social systems and the Evolution of Action Theory. New York, 1977

ფილიპსი, 1998 — Philis S. U., "Some sources of Cultural Variability in the Regulation of Talk", Language in Society, London, 1998

EKATERINE TOPURIA

Symmetry and Asymmetry between the Form and Content of Speech Acts

Summary

The indirect meaning of speech acts which is revealed in communication is the key question of the Speech Act Theory. Indirect as well as combined i. e. hybrid speech acts are always connected with the initial speech acts and corresponding linguistic structures.

The relationship between a linguistic structure and an illocutionary force is heterogeneous and tends to be asymmetric.

The following types of relationship can be singled out: direct or fixed, indirect or secondary and hybrid or syntagmatic. In each case the relationship between the semantics and functions of a linguistic structure is specific and contextually conditioned.

ირინე ჩახანიძე

ენობრივ სიტუაციათა ადეკვატური მოდელის დადგენისათვის

ჯერ კიდევ თავისი ჩამოყალიბების ადრეულ საფეხურზევე სოციოლინგვისტიკამ თვალსაჩინოდ აქცია თავისი მიზნები, რომლებიც კონკრეტული, საზოგადოებრივად ღირებული პრობლემების გადაჭრისაკენ იყო მიმართული; „სწორედ სოციოლინგვისტიკის განვითარება მიესადაგა წარმოდგენას ენათმეცნიერების, როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო დისციპლინის შესახებ“ (იახნოვი, 1976, 220). ამგვარი შეფასებები ძირითადად განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ სხვა საკითხებთან ერთად სათავე დაედო ისეთი მაკროსოციოლინგვისტური პრობლემების კვლევას, როგორებიცაა ენობრივი სიტუაცია, ენობრივი პოლიტიკა, ე.წ. ენის დაგეგმვა და ა.შ. მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში ხსენებული პრობლემატიკა უფრო ენის სოციოლოგიის კომპეტენციის ფარგლებში მოიაზრებოდა, საკუთრივ სოციოლინგვისტიკას კი მეტყველების ეთნოგრაფიის ამარა ტოვებდნენ. ჩვენი აზრით, ამ „დარგობრივი დავის“ აღმოფხვრის ერთ-ერთი თვალსაჩინო შემთხვევა გახლდათ რ. ფაზოლდის ორტომეული, რომელთა სათაურები შემდგომ კომენტარებსაც კი არ საჭიროებენ: „ენის სოციოლინგვისტიკა“ (ფაზოლდი, 1990) და „საზოგადოების სოციოლინგვისტიკა“ (ფაზოლდი, 1984). სწორედ პირველ მათგანში შეიტანა ავტორმა ის საკითხები, რომელთაც თავის დროზე ენის სოციოლოგიას მიაკუთვნებდნენ. ფაქტობრივად, ეს მაკროსოციოლინგვისტური პრობლემატიკაა, რასაც, რა თქმა უნდა, ენობრივი სიტუაციის საკითხიც მიეკუთვნება. „ენის არსებობის ფორმათა ფუნქციურად განაწილებული ფორმები ქმნიან სისტემას, რომელიც მიესადაგება ენობრივი კომუნიკაციის კონტინუუმს საზოგადოებაში. ამ სისტემას ეწოდება ენობრივი სიტუაცია. ენობრივი სიტუაციის ცნება უფრო მეტად მოსახმარია მრავალეროვან საზოგადოებებთან მიმართებაში, სადაც ერთადერთი ენის

არსებობის ფორმათა ნაცვლად სოციალურ-ფუნქციურ გადანაწილებას ექვემდებარება სხვადასხვა ენა, რომელთაც შეიძლება განსხვავებული ფუნქციური „რანგები“ ჰქონდეთ“ (ნიკოლსკი, 1974, 62). მიუხედავად ზემოთქმულისა, ენობრივი სიტუაციის აღსაწერი ადეკვატური უნივერსალური მოდელის შექმნა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, თუმცა ზოგიერთი მოდელი კი ყოფილა ამ პრეტენზიით წარმოდგენილი.

თანამედროვე საზღვარგარეთულ სოციოლინგვისტიკაში ძირითადად გავრცელებულია ენობრივი სიტუაციების აღწერა-განხილვა-კლასიფიცირების ორი წესი; ესენია: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიდგომები.

პირველი მათგანი გულისხმობს სამ საფეხურს: 1) მონაცემთა წყაროები (მოსახლეობის აღწერები და მისთ.); ეს საფეხური ფაქტობრივად ლინგვისტური დემოგრაფიის შემთხვევას წარმოადგენს; 2) ჯ. გრინბერგისა და ს. ლიბერსონის მეთოდი, რომელიც ენობრივ განსხვავებათა გასაზომად გამოიყენება. ეს უკანასკნელი მრავალენოვან საზოგადოებაში არსებული საკომუნიკაციო განსხვავებების ალბათური მოდელების ჩამოსაყალიბებლად შექმნილი და მართლაც სრულიად რაოდენობრივ ხასიათს ატარებს (გრინბერგი, 1956; ლიბერსონი, 1964). 3) აღნიშნული საფეხურების გავლის შედეგად მიღებული მონაცემების ინტეგრირება ხარისხობრივ მეთოდებთან.

როგორც ვხედავთ, რაოდენობრივი მიდგომის მიმდევრები ჩამოთვლილი საფეხურების ერთობლიობას მხოლოდ გარკვეული, მოსაზრებელი სამუშაოების ეტაპად მიიჩნევენ, რაც მათი პოზიციის ობიექტურობაზე მეტყველებს.

რაც შეეხება ხარისხობრივ მიდგომას, ამ დროს მიღებულია ერთგვარი ფორმულების შედგენა, რომლებიც, როგორც წესი, უნივერსალიზაციის პრეტენზიითაა წარმოდგენილი. ტიპოლოგიური მოდელების შემქმნელები ცდილობდნენ, გაეთვალისწინებინათ ერთა ისტორიული განვითარება, ენათა იურიდიული სტატუსები, სატიტულო ერის მდგომარეობა ქვეყანაში, ენათა განვითარებისა და ნათესაობის საკითხები, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის რაოდენობა. არსებობს რამდენიმე ასეთი მოდელი, რომელთა ავტორები არიან ჰ. კლოსი, (1966), უ. სტიუარტი (1962; 1968), ჩ. ფერგიუსონი (1966) და სხვები. ფერგიუსონის ეროვნული სოციოლინგვისტური პროფილის ფორმულის ვარგისიანობა ჩვენ თავის დროზე

განვიხილოთ კონკრეტული ენობრივი სიტუაციის მაგალითზე (ჩაჩანიძე, 2004). მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ფორმულეობრივი მიდგომა მაინც ვერ ამაღლდა ჭეშმარიტ ხარისხობრივ საფეხურამდე; იგი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელშიც ძირითადად მაინც ფორმალიზმი ჭარბობს. სწორედ ზემოაღნიშნული უნდა განაპირობებდეს უკვე მრავალჯერ შენიშნულ ხარვეზებსა და, რაც მთავარია, უნივერსალიზმის იდეის წარუმატებლობას.

ჩვენი აზრით, უნდა მოხერხდეს ორივე ხსენებული მიდგომის შეჯერება, რომლის დროსაც უნდა გავითვალისწინოთ ყველა რელევანტური ასპექტი, რათა ენობრივი სიტუაციების აღმწერი ზოგადი ფორმულა (თუკი მაინცდამაინც ასეთი რამ წარმოადგენს აუცილებლობას), განთავისუფლდეს „პროკრუსტეს სარეცლის არტახებისგან“; ასეთ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მივიღოთ ენათა როგორც მაკრო-, ასევე მიკროსოციოლინგვისტური თავისებურებანი, ამასთანავე, უფრო ფართო კონტექსტით, კერძოდ, შესაბამისი ეთნოლინგვისტური სიტუაცია.

ლიტერატურა

გრინბერგი, 1956 — Greenberg, J. The measurement of linguistic diversity. *Language*, 32, 1956.

იანხოვი, 1976 — Яхнов Х. Развитие и проблемы социолингвистики в ФРГ. В кн.: Социально-лингвистические исследования. Москва, 1976.

კლოსი, 1966 — Kloss, H. Types of multilingual communities: A discussion of ten variables. *Sociological Inquiry*, 36, 1966.

ლიბერსონი, 1964 — Lieberson, S. An extension of Greenberg's linguistic diversity measures. *Language*, 40, 1964.

ნიკოლსკი, 1974 — Никольский Л. Б. О предмете социолингвистики // Вопросы языкознания, No 1, 1974.

სტიუარტი 1962 — Stewart, W. An outline of linguistic typology for describing multilingualism. *Study of the Role of Second Languages in Asia, Africa and Latin America*, ed. by F. Rice. Washington, 1962.

სტიუარტი 1968 — Stewart, W. A sociolinguistic typology for describing national multilingualism. *Readings in the Sociology of Language*, ed. by J. Fishman. The Hague, 1968.

ფაზოლდი, 1984 — Fasold, R. *The Sociolinguistics of Society*. Oxford, 1984.

ფაზოლდი, 1984 — Fasold, R. *The Sociolinguistics of Language*. Oxford, 1990.

ფერგიუსონი, 1966 — Ferguson, C. National sociolinguistic profile formulas. *Sociolinguistics*, ed. by W. Bright. The Hague, 1966.

ჩაჩანიძე, 2004 — ი. ჩაჩანიძე, საზოგადოებაში ენათა ფუნქციონირების ფორმათა სოციოლინგვისტური მოდელის პრობლემისათვის // ქუთაისი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, ტ. IV (38), 2004.

IRINA CHACHANIDZE

Towards the Formation of an Adequate Model of Language Situation

Summary

The present-day sociolinguistics distinguishes two approaches towards the classification of models of language situation: quantitative and qualitative. The former includes three stages: 1) data sources (censuses etc.); 2) the Greenberg-Lieberson method for measuring linguistic diversity; 3) application of quantitative methods.

As for the qualitative approach, it has mainly focused on certain universal formulas (e. g.: those by H. Kloss, W. Stewart, Ch. Ferguson, etc.). However, despite numerous attempts, the qualitative approach tends to be formal.

The paper argues, that the two approaches should be combined, taking into account all the relevant aspects.

The combination will make it possible to embrace macro as well as microsociolinguistic features of a language situation, together with a wider context i. e. the corresponding ethnolinguistic setting.

მარი ჩიქოვანი


არასასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამის პოზიციური ტიპები

„არასასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამის“ კლასიფიკაცია შეიძლება მისი პოზიციური სტრუქტურის გათვალისწინებით. ე.ი. პერსონაჟისა და ავტორის სამეტყველო პლანთა დიაპაზონისა და მათი თანაფარდობის გათვალისწინებით. ასეთი კლასიფიკაცია ეყრდნობა იმ დებულებებს, რომ არასასაკუთრივ-პირდაპირ ნათქვამში ორი სამეტყველო ნაკადის, ორი პერსპექტივის შერწყმისას თითოეული კომპონენტი გარკვეულ საზღვრებში ინარჩუნებს დამოუკიდებლობას და როგორც ასეთი უპირისპირდება მეორეს, რომელიც ასევე ცდილობს მაქსიმალურად დამოუკიდებელი ჟღერადობის შენარჩუნებას. ა. ანდრიევსკაიას თვალსაზრისით, ავტორისეული და პერსონაჟისეული პლანების თანაფარდობის კვლევა საკმაოდ რთულია. იგი არ ექვემდებარება რაიმე ერთნიშნა განზომილებით გრადაციას. მაგრამ, მკვლევარი ცდილობს გამოიყოს ამ განსხვავებათა საყრდენი პუნქტები, რაც შემდეგნაირად არის ფორმულირებული: 1. როცა ავტორი გამოდის კონტამინირებული კონსტრუქციის მხოლოდ ფორმალურ გრამატიკულ სიგნალიზატორად, მისი ელემენტი გამონათქვამში თვისობრივად ნეიტრალურია, სემანტიკურად მას ნულოვანი ხასიათი აქვს. 2. ავტორის ელემენტის თვისობრივად გამოკვეთილი ხასიათი, რომელიც თავის თავში ატარებს ამა თუ იმ სუბიექტურად შეფერილ ავტორის რეაქციას პერსონაჟის გადაცემით მეტყველებაზე. ამ დროს მეტყველებითი ინტერფერენცია იღებს გარკვეულ აზრობრივ მიმართებას, ასახავს ავტორის დამოკიდებულებას პერსონაჟისადმი.

აქ ლოგიკური იქნებოდა იმის შენიშვნა, რომ ავტორის მეტყველებითი პლანი ექსპლიციტურად ტექსტის ზედაპირზე ყოველთვის ერთგვარად არ არის წარმოდგენილი. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ა. ანდრიევსკაიას აზრს, როცა იგი უშვებს შესაძლებლობას ავტორის ელემენტის თვისობრივად ნეიტრალური, სემანტიკურად ნულოვანი ხასიათის შესახებ. რადგან ავტორის პოზიცია ექსპლიციტურად ან

იმპლიციტურად ყოველთვის არსებობს. უფრო ლოგიკურია ნ. საყვარელიძის კლასიფიკაცია, სადაც მოცემულია ავტორის რეაქციების გამოხატვის დონეების დიფერენცირება. ზოგ შემთხვევაში ეს რეაქცია და შესაბამისად მისი გამოხატვა ტექსტში მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, ზოგჯერ კი მაქსიმუმამდე. მათ შორის რა თქმა უნდა, გამოძვინდებდა შუალედური ფორმები, ვფიქრობთ, შეიძლება გამოიყოს არასასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამის ტიპი, რომელიც თანაბრადაა წარმოდგენილი ორივე მეტყველებითი პლანი. აქედან გამომდინარე, გამოიყოფა არასასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამის სამი სახე. კლასიფიკაციის საწყის წერტილად ვიღებთ მთხრობელის სამეტყველო პლანს, როგორც წამყვან ფაქტორს ეპიკური თხრობის პროცესში და აღვნიშნავთ ნიშნით **A**. კლასიფიკაცია ითვალისწინებს ავტორის სამეტყველო პლანში პერსონაჟის სამეტყველო პლანის შეჭრას და მისი თანაფარდობით ზრდის პროცესს. პერსონაჟის სამეტყველო პლანი სიმბოლურად აღინიშნება ნიშნით **Π**, შესაბამისად **A₀**-ით აღინიშნება მინიმალურად გამოხატული მთხრობელის ელემენტი, **Π₀**-ით მინიმალურად გამოხატული პერსონაჟის ელემენტი. ასეთ კლასიფიკაციას ჩვენ ვუწოდებთ „კვანტიტატურ კლასიფიკაციას“, რომელიც სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

არასასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამი



როგორც სქემიდან ჩანს, „კვანტიტატური კლასიფიკაცია“ მოიცავს არასასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამის სამ სახეს:

1. **AΠ₀** ტიპი — ამ სახესხვაობაში დომინირებს ავტორის ელემენტის სამეტყველო პლანი. პერსონაჟის სამეტყველო პლანი მინიმალურად არის წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს „მინიმალურობა“ აღიქმება სტრუქტურის მხოლოდ ზედაპირზე. ტექსტში არ ფიქსირდება აშკარა მეტყველება, მაგრამ, სიღრმეში მოქმედებს „კონტამინაცია“ („სიღრმისეული კონტამინაცია“). არასასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამის ამ ტიპში კონტამინაციის გვერდით მოქმედებს „შენიღბულობის“, „ფარულობის“ ნიშანი.

He got up and looked out into the street. The sunset had smitten into scarlet gold the upper windows of the houses opposite. The panes glowed like plates of heated metal. The sky above was like a faded rose. He thought of his friends young fiery- coloured life, and wondered how it was all going to end.

(O. Wilde)

აქ მხოლოდ ბოლო წინადადებაში იგრძნობა პერსონაჟის ხმის აშკარა ჟღერა, მაგრამ, შინაგან კავშირს, რომელიც არსებობს ამ წინადადებასა და წინა წინადადებას შორის, მათ ემოციურ მთლიანობას მივყავართ იმ აზრამდე, რომ პერსონაჟის ხმა მჭიდროდ გადაეჯაჭვება ავტორის ხმას მთელი ფრაგმენტის მასშტაბით. გარე სამყაროს კონკრეტული ფრაგმენტის აღქმა მოცემულია ლორდ ჰენრის ფსიქიკის პრიზმაში გავლით, რომელიც მარკირებულია მისი ხედვის ინდივიდუალობით, აზროვნებისა და მეტყველების თავისებურებით. ეს ეხება ფრაზას „The sky was like a faded rose“. გარეგნულად ტექსტი უკიდურესად მოწესრიგებულია და ემორჩილება ეპიკური თხრობისათვის დამახასიათებელ ყველა დონის მოთხოვნას.

2. **AΠ** ტიპი. ამ ტიპის გამონათქვამში ავტორისა და პერსონაჟის სამეტყველო პლანი თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი. „სიღრმისეული კონტამინაცია“ ამოტივტივდება ტექსტის ზედაპირზე. ფარულობის, შენიღბულობის ნიშანი უფერულდება — პერსონაჟის მეტყველება (შინაგანი ან გარეგანი) ფაქტია და აშკარად აღიქმება, მაგრამ თითოეული ფრაზა მაინც „პოლიფონიურია“. ისმის ავტორის ხმაც — თითოეული მათგანი ტექსტში აფიქსირებს ავტორის პერსპექტივასაც.

(1) But when they seated he seemed to grow strangely abstracted. (2) He was an odd creature. (3) She chattered on however gaily enough and wondered why he had asked her to walk with him in the park. (4) Perhaps he was going to confide in her his passion for the flat-footed nurse in Hong Kong. (5) Suddenly he turned to her, interrupting her in the middle of a sentence, that she could not but see that he had not been listening, and his face was chalk white.

(W. Somerset Maugham)

პირველ წინადადებაში ორპლანიანობით ხასიათდება მხოლოდ სიტყვათშეთანხმება he seemed to grow strangely abstracted. მეორე და მესამე წინადადებებიც აღიქმება როგორც „ორხმიანობა“. მათში ფიქსირებული დასკვნა (2 წინადადება) და ვარაუდი (3 წინადადება) ერ-

თი და იმავე დროს მიეკუთვნება როგორც პერსონაჟის, ასევე მთხრობელის პლანს. ამ პუნქტში მათი თვალსაზრისი თანხვედება. მეოთხე წინადადებაში ისევე, როგორც პირველში ჩამონტაჟებულია აღქმის ფრაგმენტი — **his face was chalk white.**

3. **AoΠ** (პერსონალური) ტიპი. არასასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამის ამ ტიპში ავტორისეული ელემენტი მყდავდება მხოლოდ გრამატიკის დონეზე (ზმნა ნაცვალსახელის ტრანსპოზიციული ფორმები). თხრობის ეპიკური მთლიანობა, დაკავშირებულობა და ტემპი შენარჩუნებულია მინიმალური ოდენობით. სემენტში ტრანსფორმირებულია პერსონაჟის აშკარა მეტყველება ან მის სუბიექტურ პრიზმაში გავლილი სინამდვილის საგნების, მოვლენებისა და ფაქტების აღწერა.

(1) **He was no smoker but lit a cigarette and smoked it gingerly as he walked along.** (2) **What did she do with herself evening after evening in that little hole?** (3) **How mysterious women were!** (4) **One lived alongside and knew nothing of them.** (5) **What could she have seen in that fellow Bosinney to send her mad?** (6) **For there was madness after all in what she had done—crazy moonstruck madness, in which all sense of values had been lost and her life and his life ruined!**

(John Galsworthy)

ავტორისეული პლანი აქ წარმოადგენს „პერსონაჟის შინაგანი მეტყველებას“ ინტროდუქციას. იგი დაფიქსირებულია პირველ წინადადებაში, რომელშიც აღწერილია მოტორული ხასიათის მოქმედება. მეორე და ყველა მომდევნო წინადადებაში პერსონაჟის ხმა ჟღერს. ავტორისეულ მეტყველებაში მისი დეკოდირება იგრძნობა მხოლოდ პრონომინალურ დონეზე და ზმნის დროისა და კილოს ფორმების ცვლილებაში.

არასასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამის ეს ტიპი ფართოდ გამოიყენება XX საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურაში. მხატვრული ტექსტის მთელი მასშტაბით მთხრობელის თხრობითი პლანი მნიშვნელოვნად სუსტდება. ამ ნაწარმოებებში მთხრობელის ხმა აღწევს მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ფიქსირდება პერსონაჟის გარე სამყაროს განსაზღვრული დეტალი. გარე სამყაროს კონკრეტული დეტალების აღწერის აუცილებლობა ჩნდება იმ შემთხვევაშიც, როცა პერსონაჟის ცნობიერება შეჩერდება სინამდვილის რომელიმე დეტალზე. ე.ი. მა-

შინ, როცა ხდება მათი „ობიექტიზაცია“. პერსონაჟის ცნობიერება ქმნის მათ „ხატს“ ე.ი. „ხედავს“ მათ ახლებურად. ეს ფაქტი ანუ რეალური „ხედვა“ არის სტიმული, ბიძგი ასოციაციური აზროვნების განვითარებისათვის — წარმოიშობა მთელი კომპლექსი შინაგანი და რეალური „ხილვებისა“. ვაცნობიერების პროცესების ასეთი ჩვენება ქმნის ადამიანის ცნობიერების ნაკადის უწყვეტობის ეფექტს. მისთვის არ არსებობს იზოლირებული საგნები, ისინი ცნობიერებისათვის ყოველთვის აღმოჩნდებიან განსაზღვრულ ასოციაციურ ურთიერთკავშირში, ეხმარებიან კიდევ რაღაცის ვაცნობიერებას ან თვითონ ცნობიერდებიან ახალ ასპექტში.

როგორც უკვე აღინიშნა, არასასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამი პერსონაჟის პლანის გადაძალვით ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ფსიქოლოგიურ პროზაში. მაგრამ არასასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამის მოცემული სახესხვაობა გამოიყენებოდა აღრეც. განსხვავება შეინიშნება მხოლოდ გამოყენების მაჩვენებლებში. სტილისტური დატვირთვა კი ერთნაირია.

ელემენტარულ კომპოზიციური შემადგენლობის (სუბიექტურ თხრობითი პარტიტურის დიაპაზონი) გათვალისწინებით გამონათქვამის „პოზიციური“ ტიპების გამოყოფა ჩვენი შეხედულებით მოიცავს გამონათქვამის „ზედაპირს“ და მიანიშნებს „სიღრმისეული კონტამინაციის“ სხვადასხვა ხარისხის გამოვლენაზე. ტექსტის სიღრმეში კი დიფერენცირება შეუძლებელია, რადგან კონტამინაციას მივყავართ სუბიექტურ-მეტყველებითი პლანების სინთეზისაკენ და იქმნება თვისებრივად ახალი მთლიანობა, რომელშიც წარმოუდგენელია შემადგენელი ელემენტების რაოდენობის დათვლა და ზუსტი განსაზღვრა.

ლიტერატურა:

ანდრიევსკაია, 1970 — Аидриевская А.А — Несобственно - прямая реч в худ. прозе ЛуиЫАрагона - Киев: гос. университет им. Т.Г. Шевченко, 1970.

დოლინინი, 1980 — Долинин К.А. - О внутренних признаках Несобственно - прямой речи. Иностраные языки в школе, 1980, No 1.

ვინოგრადოვი, 1971 — Виноградов В.В - О теории художественной речи. Масква, Высшая школа. 1971.

ლაიონსი, 1974 — Lyons J. Semantics vol.2, Cambridge University

Press 1974.

ლებანიძე, 2004 — ლებანიძე გ. კომუნიკაციური ლინგვისტიკა. „თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენის და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“. „ენა და კულტურა“, თბილისი, 2004

ლიჩი, 1981 — Leech G.V., Short M.H. - Style in Fiction, A linguistic introduction to English fictional prose (English language series; no 13), Longman Group Limited, 1981.

სერგია, 1989 — სერგია ვ. ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი, 1989.

Beaugrande R. Dressler W. - Introduction to Text Linguistics, Longman Group Limited, English translation, Robert de Beaugrande, 1981.

Traugott E.C. Pratt M.L. - Linguistics. For students of Literature. Marcourt Brace Jovanovich, INC. 1980.

ჰამფრი, 1955 — Humprey R. - Stream of Consciousness in the Modern novel. Berkley and Los angeles. Univ. of California Press, 1955

MARI CHIKOVANI

Positional Types of the Represented Speech

Summary

The structure of the represented speech is based on a universal model which embraces deep as well as surface levels. The deep structure of the represented speech has the following dimensions: psychological-narrational, informational-compositional and positional.

The paper examines the variability of the represented speech according to its positional structure i. e. from the standpoints of the author - character relationship and the subjective mode of narrative. The typology in question is based on the idea that when merging the perspective of the character and that of the author - narrator tend to retain independence and to some extent are opposed to each other. Contrary to some scholars who single out only polar types of the represented speech, the paper presents the mixed type of the represented speech, which combines the two modes of narrative. The qualitative classification presented in the paper differentiates between auctorial, auctorial-personal and personal types of represented speech. The qualitative classification covers the surface level of the text and presupposes

deep level contamination of various degrees. The contamination in question leads to the synthesis of the subjective-narrative modes and results in a qualitatively new entity.

იანუა მირაზანაშვილი

კონოტაციის ორი სახე და ორი სტილისტიკა

ინტერესი სტილისტიკის და მისი პრობლემეტიკის მიმართ არ ცხრება და არ ცხრება ალბათ იმიტომ, რომ სტილისტიკა შეისწავლის ენისა და მეტყველების სტილს, ამ სტილის წარმოქმნის მექანიზმებს, ენისა და მეტყველების სფერო კი დაუშრეტელი ინტერესის, დაუღალავი ძიებებისა და ახალ-ახალი მიგნებების სფეროა.

მიუხედავად ბევრი კვლევა-ძიებისა ჯერ კიდევ არ არის გაცემული ერთმნიშვნელოვანი პასუხი კითხვაზე — მაინც რა არის სტილისტიკა, ფილოლოგიის რომელი კონკრეტული სფერო? მხოლოდ მეტყველების თავისებურებების შემსწავლელი დისციპლინაა, ე.ი. მხოლოდ ლინგვისტური პრაგმატიკის სფერო, თუ არსებობს ლინგვისტური, სისტემური, ანუ საკუთრივ ენობრივი სტილისტიკა.

სტილისტიკა, შარლ ბალის სიტყვით რომ ვთქვათ, არის მეცნიერება კონოტაციების შესახებ (ბალი, 1955). კონოტაცია არის დამატებითი მნიშვნელობა, რომელიც საგნობრივ ლოგიკურ მნიშვნელობას, ანუ ძირითად ინფორმაციას ემატება. დღეს კონოტაციის ცნებას კომუნიკაციური ლინგვისტიკა, კერძოდ, პრაგმატიკა განიხილავს თავის ძირითად, წამყვან ცნებად ისეთებთან ერთად როგორცაა: კონტექსტი, პრესუპოზიცია, იმპლიკაცია (ლიჩი, 1983; ლებანიძე, 1998).

ლინგვისტური პრაგმატიკა ითვალისწინებს კომუნიკაციის პროცესის ორივე მონაწილის /სუბიექტის/ პრესუპოზიციულ /ფონურ/ ცოდნას. ახასიათებს, აანალიზებს კონკრეტულ სიტუაციაში კომუნიკანტების ფონური ცოდნის შედეგად გამონათქვამში წარმოშობილ კონოტაციას, ახალ მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება კონტექსტში გაჩნდეს, იმპლიკაციას, ანუ რასაც გამონათქვამი ამ კონკრეტულ კონტექსტში გულისხმობს, იმ ემოციურ დატვირთვას, რომელსაც ეს გამონათქვამი იძენს ისევე ამ და სხვა კონტექსტუალური ელემენტების წყალობით. განიხილავს და სწავლობს მხოლოდ და მხოლოდ

კონტექსტუალურ/ დინამიურ/ ცვლად/ კაზუალურ სტილისტურ კონოტაციას.

ლინგვისტური პრაგმატიკა შეისწავლის იმ მიმართებებს, რომლებიც არსებობს გამონათქვამსა და იმ საგნებს შორის, რომელთა შესახებაც მოცემული გამონათქვამები წარმოიქმნა, გამონათქვამებსა და იმ პირთა შორის, ვინც მათ იყენებს და იმ სიტუაციათა მიმართ, სადაც ეს გამონათქვამები გამოიყენება. ლინგვისტურ პრაგმატიკაში ძირითადია არა ის მნიშვნელობა, რომელიც სიტყვას აქვს ენის სისტემაში, არამედ ის მნიშვნელობა, რომელსაც ის იძენს მოცემულ კონტექსტში. განიხილება დინამიური მნიშვნელობა, რომელიც წარმოიქმნება კონკრეტულ კონტექსტში და არა ენის სისტემაში ჩამოყალიბებული მიმართებებით, მეტყველების და არა მარტო ენის კანონების მიხედვით.

მაგრამ არსებობს არა მხოლოდ კონტექსტუალური, მათ შორის, სტილისტური კონოტაცია, არამედ სხვა სახის სტილისტური კონოტაცია: უცვლელი/ სტაბილური/ უზუალური/ მდგრადი, საკუთრივ ენის კუთვნილი, ენის სისტემაში არსებული როგორც ენის მონემური ერთეულის ძირითად, დენოტატიურ მნიშვნელობაზე დამატებული ინფორმაცია, რომელიც საყოველთაო და ხმარებაში სავალდებულოა, მისი მნიშვნელობა მდგრადია. ის არ იცვლება კონტექსტის მიხედვით, აქვს თავისი განსაზღვრული ადგილი ენობრივ დისტინქციათა, ანუ ენობრივ ღირებულებათა სისტემაში, განსხვავებით იმ მნიშვნელობისაგან, რომლის წყარო კონტექსტია და არა მარტო უზუსტი (ნათაძე, 1989).

მაგ. მოხუცი, ხნიერი, დროული, ბებერი, ბებრუკა, ბებრუცუნა, ბებრუხუნა, მხცოვანი. დენოტაციური მნიშვნელობით ეს სიტყვები სინონიმებად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ყველა სიტყვას ერთი და იგივე აღსანიშნი აქვს, მათ შორის განსხვავება მხოლოდ სიტყვებში ჩადებულ ემოციურ ინფორმაციაშია. აღნიშნულ სიტყვათა რიგიდან ამა თუ იმ ერთეულის შერჩევა მეტყველებაში განპირობებულია არა იმდენად მოხუცი ადამიანის თვისებებით, რამდენადაც მეტყველის დამოკიდებულებით მისდამი. ამ სიტყვებში კონოტაცია უზუალურია, თვითონ ენობრივ ერთეულებშია ჩადებული. ეს სიტყვები კონტექსტის გარეშეც დამატებითი ინფორმაციის მატარებელია, გამოხატავს მეტყველის განწყობილებას, ემოციას და გვიქმნის ესთეტურ ეფექტს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მართალია სიტყვას შეუძლია კონტექსტუალური/ოკაზიური სტილისტური კონოტაცია შეიძინოს, მაგრამ კონტექსტუალური მნიშვნელობა უმეტესად დამოკიდებულია უზუალურ მნიშვნელობაზე, ვინაიდან ჩვენ სწორედ უზუსტური ცოდნა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სიტყვა სხვა კონტექსტუალური მნიშვნელობით გამოვიყენოთ. როდესაც მეტყველი იყენებს ენობრივ ელემენტებს და ამბობს მაგალითად, „რა ჭკვიანია“, ხოლო კონტექსტი ამ სიტყვის საწინააღმდეგო გაგებას კარნახობს ინდივიდს, რომ ადამიანი აშკარად „სულელია“, ანუ სიტყვა იცვლის მნიშვნელობას, კომუნიკანტს აქვს ცოდნა სიტყვის მნიშვნელობის ცვლილების პოტენციისა, სწორედ ამიტომ მიმართავს იმ ერთ კონკრეტულ სიტყვას („რა ჭკვიანია“ და არა — „რა ძლიერია“) იცის რა, რომ მისი არჩევანი უშუალოდ გამოხატავს გადმოსაცემ აზრს, და რომ ის ელემენტი იმოქმედებს მეორე კომუნიკანტზე, ანუ ის ელემენტი ეფექტური აღმოჩნდება იმისათვის, რომ აღრესატიმა ადეკვატურად შესძლოს ინფორმაციის, ავტორისეული ინტენციის დეკოდირება. ანალოგიური მექანიზმი მოქმედებს საკუთრივ ენობრივ ღირებულებებში. მაგალითად, ენობრივმა ელემენტმა „გაბრძანებამ“ შეიძლება ახალი პრაგმატიკული მნიშვნელობა მიიღოს, ირონიის, დაცინვის გამომხატველად იქცეს [„როგორც იქნა, იკადრა გაბრძანება!“ (ვ. ბარნოვი)]; მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „გაბრძანება“ არ არის სტაბილური ენაში.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები თვანლათლივ მიუთითებს, რომ არსებობს ისეთი მოვლენა, როგორც არის სტილისტური კონოტაცია, რომელიც იქმნება არა კონტექსტში და არის არა მარტო ცალკეული სუბიექტის თუ ჯგუფების კუთვნილება, არამედ — მთელი ენობრივი კოლექტივის და არსებობს ენაში უზუალურად, ანუ ეკუთვნის ენის სისტემას / ენის პარადიგმულ ჭრილს. ის არის სემანტიკის ემოციურ-სტილისტური ნაწილი, ანუ შეიცავს ინფორმაციას, არა ფაქტებისა და მოვლენების შესახებ, არამედ ემოციური დამოკიდებულებების შესახებ. ვინაიდან უზუალური სტილისტური კონოტაცია საკუთრივ ენობრივ სისტემაში არსებული მოვლენაა, შესაბამისად მას სისტემური მიდგომა სჭირდება და არა — პრაგმატიკული.

ამდენად, რადგან უზუალური/უცვლელი/მდგრადი სტილისტური კონოტაცია არსებობს, უნდა არსებობდეს ენათმეცნიერების ის

შტო, რომელიც ამ სისტემურ მოვლენას შეისწავლის, ანუ სტილისტიკა, როგორც სისტემური ენათმეცნიერების შტო. თუ კი არსებობს საკუთრივ ენობრივი / სისტემური / სტილისტური ღირებულებები, მათ შესწავლას შესაბამისი მიდგომაც ესაჭიროება, კერძოდ, სისტემური / იმანენტური მიდგომა, ანუ სისტემური სტილისტიკის მიერ უნდა შეისწავლებოდეს. სტილისტურ-უზუალური კონოტაციების მქონე სიტყვებისა თუ გამონათქვამის, ანუ სტილისტური რესურსების არსებობა ენაში პრინციპულად მნიშვნელოვანია ლინგვისტური/სისტემური სტილისტიკის არსებობისათვის.

სისტემური სტილისტიკა შეისწავლის სტილისტური ღირებულებების მქონე ენობრივი ელემენტების არსებობის მექანიზმებს ჩვენს ცნობიერებაში, მათ ურთიერთმიმართებას ენობრივ სისტემაში, სტილისტური ღირებულებების მქონე ენის ელემენტების უზუალურ მნიშვნელობებს, ენის რესურსების სტილისტურ პოტენციალსა და მათი ორგანიზაციის ხერხებს. ლინგვისტური სტილისტიკის საგანი არის ყველა დონის / მონემურ ერთეულების (ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური) შესწავლა. ლინგვისტური სტილისტიკა განიხილავს ენობრივ ერთეულთა ექსპრესიულ თვისებებს, უზუალურ, მდგრად მახასიებებლებს, ხოლო მათ ფუნქციონირებასა და ურთიერთმოქმედებას უნდა განიხილავდეს ის სტილისტიკა, რომელიც პრაგმატიკის სფეროს წარმოადგენს.

დღეს ენათმეცნიერებაში ძირითადი აქცენტი კეთდება კომუნიკაციაზე და იმაზე, თუ როგორ მოძრაობს, ფუნქციონირებს ენა კომუნიკაციაში. მიაჩნიათ, რომ სტილისტიკა მთლიანად მეყველების თავისებურებების შემსწავლელი დისციპლინაა, ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ლინგვისტური პრაგმატიკის სფერო. მაგრამ რადგან სტილისტური ღირებულებები წარმოიქმნება არა მარტო კომუნიკაციის პროცესში/მეტყველებაში, ანუ ენის სინტაგმატურ ჭრილში, არამედ ენის სისტემაში, ანუ პარადიგმატულ ჭრილშიც ამდენად სისტემური „იმანენტური“ ლინგვისტიკის შესწავლის საგანიც უნდა იყოს.

სისტემური/ლინგვისტური სტილისტიკის, როგორც სტილისტიკის ერთ-ერთი შტოს გამოყოფისას ვეყრდნობით სოსიურის ენათმეტყველების დიქოტომიას.

ენა, მეტყველების გამიჯვნის საკითხი დღეს კვლავ ისევ საკამათოდ რჩება და არსებობს არაერთგვაროვანი მოსაზრებები ამასთან

დაკავშირებით. ზოგი ლინგვისტი უარყოფს ან არ ეთანხმება სოსიურისეულ დიქტომიას, მაგრამ როგორც ლიტერატურის შესწავლამ დაგვანახა, ბევრი მათგანის მოსაზრება ძირითადად ეფუძნება ან გამომდინარეობს აღნიშნული დიქტომიიდან.

სოსიური სამეტყველო პროცესს (ენასა და მეტყველებას ერთად) **languaje** უწოდებს. სოსიურის კონცეფციის საფუძველია სამი ლინგვისტური ცნება: სამეტყველო ქმედება (**languje**), ენა (**langue**) და მეტყველება (**parole**). სამეტყველო ქმედება ფართო ცნებაა, ზოგადი ფენომენია და თავის თავში შეიცავს დანარჩენ ორ კონკრეტულ ცნებას — ენასა (**langue**) და მეტყველებას (**parole**). სოსიური სამეტყველო ქმედებას საგანგებოდ არ განსაზღვრავს, არ იძლევა მის ინტერპრეტაციას. მისთვის სამეტყველო ქმედება არის „მეტყველების წრებრუნვა“ მთლიანად, ანუ ენისა და მეტყველების ერთობლიობა. ამასთან დაკავშირებით სოსიური წერს: „სამეტყველო ქმედებას აქვს ორი მხარე: ინდივიდუალური და სოციალური, ამასთანავე ერთის გაგება შეუძლებელია მეორის გარეშე... ენა — ესაა საგანძური, რომელიც სამეტყველო პრაქტიკის წყალობით დაილექება ყველაში, ვინც ეკუთვნის ერთ საზოგადოებრივ კოლექტივს, ესაა გრამატიკული სისტემა, პოტენციურად არსებული ყოველ ტვინში, ვინაიდან ენა სრულად არ არსებობს არც ერთ მათგანში, ის არსებობს სრული სახით მხოლოდ მასაში. ენა სისტემაა ნიშანთა, რომლებიც გამოსახვენ წარმოდგენებს (იდებებს). ესაა ნიშანთა სისტემა, რომელშიც ერთადერთ არსებითს წარმოადგენს აზრისა და აკუსტიკური სახის შეერთება“ (სოსიური, 2002). თუ ენა არსებობს ინდივიდთა მთელ კოლექტივში, მასაში, ამის საპირისპიროდ, მეტყველება ნებისა და გონების ინდივიდუალური აქტია, რომელშიც უნდა გაიჩნდეს: 1) კომბინაციები, რომელთა საშუალებითაც მოლაპარაკე სუბიექტი სარგებლობს ენობრივი კოდექსით თავისი საკუთარი აზრის გამოსახატავად; 2) ფსიქოფიზიკური მექანიზმი, რომელიც მას ამ კომბინაციათა ობიექტივიზაციის უფლებას აძლევს.

სოსიური თვლიდა, რომ სამეტყველო ქმედების შესწავლა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილის საკვლევ ობიექტს წარმოადგენს ენა, ანუ ისეთი რამ რომელიც მისი აზრით სოციალური და ინდივიდისაგან დამოუკიდებელია, ხოლო მეორე ნაწილის საკვლევ ობიექტს წარმოადგენს სამეტყველო ქმედების ინდივიდუალური მხარე, ე.ი. მეტყველება. ეს ორი ნაწილი ერთმანეთთან მჭიდროდაა

დაკავშირებული, ერთმანეთის არსებობას გულისხმობს და ცალკეულ გამოვლინებაში ერთდროულად თანაარსებობს. ენა აუცილებელია, რომ მეტყველება გასაგები და ამავე დროს ეფექტური იყოს. თავის მხრივ, მეტყველებაც აუცილებელია — იმისათვის, რომ ენა ჩამოყალიბდეს.

იაკობსონი თითქოს ეწინააღმდეგება სოსიურის დიქტომიას, მთელ ენას, ენობრივ მოღვაწეობას, რასაც სოსიური სამეტყველო ქმედებას უწოდებდა, გლობალურად განიხილავს (იაკობსონი, 1985), მაგრამ არსებითად მისი კონცეფცია სოსიურისეულ დიქტომიას არ ეწინააღმდეგება. იაკობსონი აყალიბებს მოსაზრებას სელექციისა და კომბინირების შესახებ. მაგრამ, საინტერესოა, თუ საიდან ხდება სელექცია; ეს ხდება ენის სისტემიდან, რომელსაც იაკობსონი კოდს უწოდებს. კოდში კი ისევ სოსიურისეული ენის სისტემა, ენა იგულისხმება, ხოლო კომბინირება/ დალაგება — ეს იგივე კომუნიკაციის პროცესია — მეტყველება.

ნ. ჩომსკის მიერ შემუშავებული დიქტომია **competence** /კომპეტენცია, ცოდნა/ და **performance** /განხორციელება/ (ჩომსკი, 2000) საფუძველში სოსიურის დიქტომიას ემსგავსება, თუმცა ამის იქით მისი კვლევის მიმართულება სრულიად სხვაგვარია.

ჯონ ლაიონსი განიხილავს სოსიურისა და ჩომსკის კონცეფციების მსგავსება — განსხვავებას და ამის საფუძველზე აყალიბებს საკუთარ შეხედულებას ტრიქტომიაზე „სისტემა — პროცესი — შედეგი“ (**system-process-product trichotomy**) (ლაიონსი, 1981), რაც პრინციპში ტერმინოლოგიური ცვლილებაა და არ წარმოადგენს ახალ არსებით ან კონცეფტუალურ სიახლეს.

დღეს, თანამედროვე ტექნიკამ შესაძლებელი გახადა ენობრივი თეორიების, კონცეფციების ფიზიოლოგიური დადასტურება და აღმოჩნდა, რომ მთელ სამეტყველო ქმედებას — სოსიურის სიტყვით რომ ვთქვათ, „**languje**“ განაგებს ადამიანის ტვინის ორივე ჰემისფერო, მაგრამ თურმე თითოეულ ჰემისფეროს აქვს / ჰყავს თავისი ობიექტი [ინტერნტი]. მარცხენა ჰემისფეროში განლაგებულია - სიტყვები (ენობრივი ელემენტები /ერთეულები, ფლექსიები, სინტაქსი, სიტყვები და მათი წყობა), ანუ ლინგვისტიკის პოზიციიდან სოსიურზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ენის სისტემა, ხოლო მარჯვენა ჰემისფერო განაგებს მათი გამოყენების, აზრისა და ემოციების გადმოცემის, ჟესტ-მიმიკის მექანიზმს, ანუ მარჯვენა

ჰემისფერო განაგებს ვერბალურ თუ არავერბალურ კომუნიკაციას.

ადამიანის ლაპარაკის პროცესში ჩართულია ერთდროულად ტვინის ორივე ჰემისფერო, მარცხენა ჰემისფერო უზრუნველყოფს იმ ენობრივი რესურსებით, რასაც ადამიანი მეტყველების პროცესში იყენებს, ხოლო მარჯვენა ჰემისფერო აძლევს მას იმის საშუალებას, რომ მარცხენა ჰემისფეროს რესურსებიდან სათანადო, მისთვის სასურველი არჩევანი გააკეთოს, იმისათვის რომ გადმოსცეს აზრები, ემოცია, დამყარდეს წარმატებული კომუნიკაცია, ანუ ურთიერთგაგებინება. აღნიშნული ენობრივი რესურსები ერთი ენის მატარებელთათვის არის სისტემური ხასიათის/ ზიარი (სხვა შემთხვევაში ურთიერთგაგებინება ვერ შედგებოდა)

ჩვენთვის აქედან გამომდინარეობს ერთი დასკვნა: უზუალური სტილისტური რესურსები, ზოგადად ენის სისტემა არის მარცხენა ჰემისფეროში, ხოლო ამ რესურსების გამოყენების მექანიზმები, პროცესები, რომელიც გვიქმნის სტილისტურ ემოციურ შთაბეჭდილებას, არის მარჯვენა ჰემისფეროში.

ფაქტობრივად დამტკიცდა, რომ ეს ორი მოვლენა სხვადასხვა ჰემისფეროში მდებარეობს და სხვადასხვა ბუნებისაა. ამდენად მათ შესწავლას სხვადასხვა მიდგომა ესაჭიროება. სისტემური ლინგვისტიკის მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული მარცხენა ჰემისფეროში არსებული რესურსების შესწავლისას, ხოლო მარჯვენა ჰემისფეროში მიმდინარე პროცესებს, მოვლენებს ესაჭიროება კომუნიკაციური ლინგვისტიკის, პრაგმატული მიდგომა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ არსებობს ორი სტილისტიკა, სტილისტიკის ორი განშტოება: ლინგვისტური / სისტემური / იმანენტური / საკუთრივ ენობრივი სტილისტიკა და „მეტყველების“ სტილისტიკა, თუ სოსიურის ტერმინს გამოვიყენებთ; ხოლო დღევანდელი კომუნიკაციური ლინგვისტიკის ტერმინოლოგიით — „კომუნიკაციური“ სტილისტიკა, „პრაგმატული“ სტილისტიკა. ამდენად, პრაგმატიკა სრულად ვერ ფარავს სტილისტის შემსწავლელ დისციპლინას — სტილისტიკას, შესაბამისად მას სჭირდება ისეთი დისციპლინის არსებობა, როგორცაა ლინგვისტური / სისტემური სტილისტიკა.

ლიტერატურა

ბალი, 1955 — Балли, Ш. “Общая Лингвистика и Вопросы Французского Языка”. Москва. Наука. 1955

ვერდონკი, 2003 — Verdonk, Peter “Stylistics” Oxford University Press, Oxford. 2003

იაკობსონი, 1985 — Якобсон, Р. “Избранные Работы”. (редакция доктора филологических наук Звегинцева В.А.) Москва “Прогресс” 1985.

ლაიონსი, 1981 — John Lyons “Linguistics Semantics”, Cambridge University Press, 1981

ლებანიძე, 1998 — გ. ლებანიძე, „ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა“. გამომცემლობა „ენა და კულტურა“ თბილისი. 1998.

ლიჩი, 1983 — Leech, G. “Principles of Pragmatics”, London: Longman. 1983.

ნათაძე, 1989 — Натадзе, М. “Проблемы Теории Стилистики”. Издательство Тбилисского Университета. Тбилиси, 1989.

სოსიური, 2002 — ფერდინანდ დე სოსიური „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“. გამომცემლობა დიოგენე. თბილისი. 2002.

შაოზონგი, — Shaozhong, L. “What is pragmatics”
<http://www.gxnu.edu.cn/Personal/szliu/shaozhong.html>

ჩომსკი, 2000 — Chomsky, N. “New Horizons in the Study of Language and Mind”. (Massachusetts Institute of Technology) Cambridge University Press. 2000

www.doctorhugo.org/brain/html

www.funderstanding.com/right_left_brain.cfm

www.bothbrain.com

IAMZE MIRAZANASHVILI

Two types of Connotations and Two Stylistics

Summary

As is known, stylistics is the science about connotation. In modern linguistics connotation is considered to be central to pragmatics. Therefore, stylistics is assumed to be a part of pragmatics, which is questioned in present paper.

There are two types of connotation (the same can be said about stylistics). On the one hand, there is a contextual/ occasional/ changing/ dynamic/ casual connotation, which is studied by pragmatics; on the other hand, there exists an inherent/ static/ usual/ stable connotation, which remains outside pragmatics. An Inherent / usual connotation is a stable, valuable linguistic unit of a language system and is one of the resources used in communication.

Contextual/casual and inherent/ usual stylistic connotations are distinct phenomena. Thus, they should be studied by different approaches. Consequently, the angles of approach and objectives between the two types of stylistics - pragmatic and linguistic - are different and clearly separable.

The recent physiological discovery states that a whole communicative act is controlled by the human brain, which consists of two hemispheres, each having its own scope. The left hemisphere contains words and resources used in the process of communication. From the linguistic point of view words and resources imply language system (all linguistic elements or units and their arrangement, syntax and inflexion.) Since inherent/usual connotations are part of language system too, they are placed in the left hemisphere.

But all contextual connotations, stylistic ones among them, are placed in the right hemisphere, for it controls the selection, combination, application and realization of linguistic units as well as the mechanisms of transmission of thoughts, emotions and gestures in order to achieve successful communication. Thus, contextual and usual connotations are placed in different hemispheres because of their difference in nature.

იაზე მირაზანაშვილი

სინონიმების განმასხვავებელი ელემენტი – უშუალო სტილისტური კონოტაცია

„სტილი — ეს არის ერთი სათანადო სიტყვა სათანადო ადგილას“ — ამბობდა სვიფტი. ჰემინგუეიც აღნიშნავს, რომ, არსებობს ერთადერთი სიტყვა, რომელიც შეიძლება იხმარო კონკრეტულ შემთხვევაში. ჩეტმანს სტილი ინდივიდუალური არჩევანის პროდუქტად მიაჩნია: **"Style is a product of individual choices and patterns of choices (emphasis added) among linguistic possibilities"** (ჩეტმანი, 1967).

ვერდონკიც ფიქრობს, რომ სტილი გულისხმობს არჩევანს. იგი მიუთითებს, რომ განსხვავებული არჩევანი განსხვავებულ სტილს ქმნის და, ამდენად, განსხვავებულ ეფექტს ახდენს: **"Style crucially involves choice: it rests on the fundamental assumption that different choices will produce different styles and thereby different effects"** (ვერდონკი, 2003).

საყურადღებოა ტერნერის აზრი: „Our knowledge of our language is immensely complex, we carry with us not only a knowledge of vast, intricately patterned codes, but also an experience of its varying in surrounding circumstances. This guides us in making choices from approximately similar items in the code to fit particular occasions“ (ტერნერი, 1977). ტერნერის აზრით, ენის ცოდნა უსაზღვროდ რთულია, კომპლექსურია. ჩვენ არა მხოლოდ ვიცით უამრავი ენობრივი კოდი, არამედ, ვიცით, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს კოდი სხვადასხვა სიტუაციაში. ამ უამრავი კოდიდან ვარჩევთ ერთ სათანადო ელემენტს კონკრეტული შემთხვევისა და გათვალისწინებით.

როდესაც ტერნერი მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ იქმნება გამონათქვამის შინაარსი — რომ ამისათვის ხდება გარკვეული ელემენტების ამორჩევა და მათი სათანადო წესის მიხედვით დალაგება — იგულისხმება, რომ ეს ამორჩევა ხდება ენის სისტემიდან. როდესაც ელემენტის ამორჩევა და დალაგება ხდება სტილისტური ეფექტის შე-

საქმენლად, ესეც ხდება ენობრივი ელემენტებისა და სტრუქტურების შესაბამისად.

როდესაც ვახერხებთ ჩვენი ცოდნის მთელი პოტენციური მარაგიდან სწორედ ერთი საჭირო სიტყვის ამორჩევას, ეს იმას ნიშნავს, რომ გაუცნობიერებლად ვითვალისწინებთ ენაში არსებულ ყველა დისტინქციას, ვუპირისპირებთ ამ ერთს ყველა დანარჩენს. არსებობს რაღაც ოპოზიციათა სისტემა, სადაც თითოეული ნიშანი უპირისპირდება მსგავსს და ქმნის დისტინქციების ჯამს, რომელიც ჩადებულია თითოეულ ადამიანში ლექსიკონის მსგავსად, საიდანაც ადამიანი სარგებლობს იმისათვის, რომ სწორად გამოხატოს საკუთარი აზრი თუ მოსაზრება. შერჩეული სიტყვის გამოყენებაში კი გამოიხატება ადამიანის ინდივიდუალური სტილი.

რთულია ენის სისტემიდან შეარჩიო სათანადო სიტყვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ენაში არსებობს ისეთი მოვლენა, როგორცაა სინონიმია. ეს მოვლენა გაცილებით ართულებს შერჩევის პროცესს, მაგრამ ხელის შემწყობ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ ენობრივი ელემენტის — სიტყვის არასრული სინონიმის არსებობა ენაში.

ლაიონსი ფიქრობს, რომ „Synonymy is rarely complete, and hardly ever absolute. Two words or phrases may be descriptively equivalent, and yet differ in term of social and expressive meaning (cf. 'father' vs. 'daddy') Such incompletely synonymous expressions may be referred to as stylistic variants: more precisely, as stylistically non-equivalent variants” (ლაიონსი, 1993). ლაიონსი სიტყვებს *father* და *daddy* სტილისტურად არა-ეკვივალენტურ ვარიანტებად მიიჩნევს, ვინაიდან მათ განსხვავებული გამოხატველობითი მნიშვნელობა აქვთ.

რადგან ენაში სრული სინონიმია არ არსებობს და სინონიმური სიტყვები რაღაცით განსხვავდება და ეს რაღაც არის სტილისტური მნიშვნელობა, ამდენად ენობრივი ელემენტები უზუალურად ატარებენ ერთმანეთისაგან განმასხვავებელ სტილისტურ მნიშვნელობას, ანუ, შეგვიძლია ვთქვათ ატარებენ უზუალურ სტილისტურ კონოტაციას.

საინტერესოდ მსჯელობს ლიჩი სტილისტური სინონიმის შესახებ: “It is not surprising, perhaps, that we rarely find words which have both the same conceptual meaning and the same stylistic meaning. This observation has frequently led people to declare that ‘true synonyms do not exist’. If

we understand synonymy as complete equivalence of communicative effect, it is indeed hard to find an example that will disprove this statement. But there is much convenience in restricting the term ‘synonymy’ to equivalence of conceptual meaning, so that we then contrast conceptual synonyms with respect to their varying stylistic overtones“ (ლიჩი, 1981). შესაძლებელია სიტყვები კონცეპტუალური/ დენოტაციური მნიშვნელობით სინონიმებად ჩაითვალოს, მაგრამ სიტყვები ყოველთვის განსხვავდება სტილისტური ობერტონით, ანუ ეს შეხედულება არ ეწინააღმდეგება უზუალური სტილისტური კონოტაციის არსებობას. ლიჩი არ ახსენებს კონკრეტულად სტილისტურ უზუალურ მნიშვნელობას, მაგრამ მისი შეხედულებები აშკარად მიუთითებს ამ მოვლენაზე. მაგრამ იგი საკუთარ შეხედულებებს ეწინააღმდეგება, როდესაც განიხილავს დენოტაციურ/ კონცეპტუალურ/ და კონოტაციურ მნიშვნელობებს.

ლიჩი ცდილობს გაარკვიოს ის შეუსაბამობა, რაც დენოტაციურ და კონოტაციურ მნიშვნელობებს შორის არის. იგი დენოტაციურ მნიშვნელობას უწოდებს კონცეპტუალურ მნიშვნელობას, რასაც ცენტრალურ ფაქტორად მიიჩნევს ლინგვისტურ კომუნიკაციაში. კონოტაციური მნიშვნელობიდან იგი ცალკე გამოყოფს სტილისტურ, ემოციურ, კოლოკაციურ და რეფლექტურ მნიშვნელობებს, რასაც ასოციაციურ მნიშვნელობაში აჯგუფებს. მას ასოციაციური მნიშვნელობა მიაჩნია ნაკლებად სტაბილურად, რომელიც იცვლება ადამიანის პირადი გამოცდილების მიხედვით. “Conceptual meaning is substantially part of the ‘common system’ of the language shared by members of a speech community, associative meaning is less stable, and varies with the individual’s experience” (ლიჩი, 1992).

ემოციური, აფექტური, სტილისტური, კონოტაციური მნიშვნელობები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. მათი ცალ-ცალკე გამოყოფა, ვფიქრობთ, ზედმეტია და საჭიროა მათი გაერთიანება ერთი მნიშვნელობით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი გაერთიანება სტილისტური კონოტაციური მნიშვნელობით.

ლიჩი ფიქრობს, რომ კონცეპტუალურ მნიშვნელობას რთული ორგანიზაცია აქვს, რომელსაც ადარებს სინტაქსისა და ფონოლოგიის დონეების ორგანიზაციას. განსაკუთრებით გამოყოფს კონტრასტისა და თანმიმდევრობის პრინციპს (Principle of contrastiveness and constituent structure). ხშირად ლინგვისტები ამ ორ პრინციპს სხვა ორი ტერმინით იხსენიებენ ანუ ენას განიხილავენ პარადიგმატულ და სინტაგ-

მატურ დონეზე. ენის კონცეპტუალური მნიშვნელობები ხშირად სწორედ კონტრასტული მახასიათებლებით არის ორგანიზებული, მაგ. სიტყვა „ქალის“ მნიშვნელობა შემდეგნაირად შეიძლება განიმარტოს: + სულიერი (ადამიანი); — მამრობითი; + ზრდასრული, განსხვავებით „ბიჭისაგან“, რომელიც შესაბამისად განისაზღვრება, როგორც + სულიერი (ადამიანი); + მამრობითი; — ზრდასრული. მეორე, ანუ თანმიმდევრობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ ენის დიდი ერთეულები უფრო პატარა ერთეულებისაგან არის შემდგარი. ამ პრინციპით შეიძლება წინადადება გავარჩიოთ სინტაქსურად უკუხვლით მისი უშუალო შემადგენლებიდან წინადადების უმცირეს ელემენტამდე.

კონოტაციურ მნიშვნელობაში ლიზი გულისხმობს რეალური სამყაროს გამოცდილებას, რომელიც წარმოთქმულ ან გამოგონილ გამოხატვამთან ასოცირდება: **“It will be clear that in talking about connotation, I am in fact talking about the ‘real world’ experience one associates with an expression when one uses or hears it. Connotations include not only physical characteristics but also psychological and social properties. Connotations are relatively unstable: that is, they vary considerably, as we have seen, according to culture, historical period, and the experience of the individual. Connotative meaning is indeterminate and open-ended in a sense in which conceptual meaning is not. Connotative meaning is open-ended in the same way as our knowledge and beliefs about the universe are open-ended“** (ლიზი, 1992). ლიზი გამოყოფს სამ ფაქტორს. იგი ამბობს, რომ კონოტაციური მნიშვნელობა კონცეპტუალურთან შედარებით პერიფერიულია, ვინაიდან: 1) კონოტაციური მნიშვნელობა არ არის სპეციფიკური მხოლოდ ენისათვის, არამედ სხვა კომუნიკაციურ სისტემებსაც ახასიათებს (ვიზუალურ ხელოვნებას, მუსიკას); 2) კონოტაციები შედარებით არასტაბილურია. ისინი იცვლება კულტურის, ისტორიული პერიოდის ან ინდივიდის გამოცდილების მიხედვით; 3) კონოტაციური მნიშვნელობა, განსხვავებით კონცეპტუალურისაგან, განუსაზღვრელი და უსასრულოა, რადგანაც დაუსრულებელია ჩვენი ცოდნა სამყაროზე.

თუ ყოველივეს აღნიშნული პარამეტრებით განვიხილავთ, მაშინ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონცეპტუალური მნიშვნელობებიც არ არის სპეციფიკური მხოლოდ ენისათვის., ისინიც იცვლება ისტორიული პერიოდისა და კულტურის მიხედვით და ასეთივე უსასრულოა. ლიზი ინდივიდუალურ და უსასრულო კონოტაციებში გუ-

ლისხმობს ერთეულის მიერ კონტექსტში მიღებულ მნიშვნელობებს, ანუ არა უზუალურ, არამედ ოკაზიონალურ მნიშვნელობებს. ამდენად, იგი ეწინააღმდეგება საკუთარ აზრს. თუ სიტყვები განსხვავდება სტილისტური ობერტონით, სტილისტური/ემოციური/ექსპრესიული მნიშვნელობით, რასაც საკუთრივ ენობრივი ელემენტი ატარებს (ამ მოსაზრებას იგი სინონიმის შესახებ მსჯელობისას აყენებს), მაშინ, თურმე არსებობს არა მხოლოდ კონტექსტუალური, არამედ უზუალური სტილისტური კონოტაციები, რომლებიც დაფიქსირებულია უზუალურად, როგორც საყოველთაო და ხმარებაში სავალდებულო. მისი მნიშვნელობა მდგრადია, ის არ იცვლება კონტექსტის მიხედვით, აქვს თავისი განსაზღვრული ადგილი ენობრივ დისტინქციასთან, ანუ ენობრივ ღირებულებათა სისტემაში, განსხვავებით იმ მნიშვნელობისაგან, რომლის წყარო კონტექსტია და არა მარტო უზუალი, რომელიც დინამიურია, იცვლება კონტექსტის შესაბამისად. მნიშვნელობა იმართება კონკრეტულ კონტექსტში და არა ენის სისტემაში ჩამოყალიბებული მიმართებებით, მეტყველების და არა მარტო ენის კანონების მიხედვით. ასეთი მნიშვნელობა არის არა ენობრივი — უზუალური, არამედ ოკაზიონალური ანუ მეტყველების კუთვნილება.

დევიდ კრისტალი შემდეგნაირად განმარტავს სიტყვის დენოტაციურ და კონოტაციურ მნიშვნელობებს: **“A denotation is the objective relationship between a lexeme and the reality to which it refers. By contrast, connotation refers to the personal aspect of lexical meaning – often; the emotional associations which a lexeme incidentally brings to mind. Connotations are also an important means of conveying personal attitude and point of view. Connotations vary according to the experience of individuals, and are some degree unpredictable. On the other hand, because people do have some common experiences, many lexemes in the language have connotations which would be shared by large groups of speakers“** (კრისტალი, 1995). კრისტალი ეკუთვნის ლინგვისტთა იმ ჯგუფს, რომლებიც ფიქრობენ, რომ კონოტაცია მხოლოდ კონტექსტუალურია. იგი კონოტაციას ასევე სუბიექტურ მოვლენად მიიჩნევს, მაგრამ სუბიექტი მისთვის ხან მოზრდილი ჯგუფი, ხან კი მთელი ენობრივი კოლექტივია.

“When a lexeme is highly charged with connotations, we commonly refer to it as loaded. The language of politics and religion is full of such loaded expressions: capitalist, fascism, bureaucracy, orthodox. The language of science and law, on the other hand, attempts to avoid vocabulary which is highly

connotative” — წერს კრისტალი (კრისტალი, 1995). ნიმუშები, რაც კრისტალს საკუთარი აზრის ნათელსაყოფად მოჰყავს, კონკრეტულ, რეალურ მოვლენებს აღნიშნავს, რომელთა მიმართ სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა დამოკიდებულება აქვს. სიტყვების: „ფაშისტი“, „კაპიტალისტი“, „ბიუროკრატი“, „ორთოდოქსი“ კონოტაციებს ქმნის მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტური დამოკიდებულება ან კონტექსტი. ეს არ არის ცალკეულ-ეროვნული ენობრივი კონოტაციები. („ფაშისტი“ დღეს მიიღო ზოგადსაკაცობრიო თითქმის შემფასებლური კონოტაცია, რომ ფაშისტი ცუდია, ეს არ არის სტილისტური/ ექსპრესიული — ემოციური კონოტაცია.)

საკუთარ მოსაზრებას დევიდ კრისტალი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება, როდესაც ლაპარაკობს ენაში არსებული სინონიმის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ხშირად სიტყვების განსხვავება ერთმანეთისაგან სინონიმურ რიგში შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კონოტაციური მნიშვნელობის საფუძველზე, ვინაიდან დენოტაციური მნიშვნელობა ამის შესაძლებლობას ხშირ შემთხვევაში არ იძლევა, რადგან მხოლოდ კონოტაციური მნიშვნელობები აფართოებს ყოველი შეტყობინების ინფორმაციულ ჩარჩოს: “Connotations can play an important role in explaining the way in which lexemes are used. A group of synonyms cannot by definition be distinguished in terms of their denotation, but they usually display noticeable differences of connotation, as in the case of car, automobile, vehicle“ (კრისტალი, 1995).

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები თვალნათლივ მიუთითებს საკითხის სირთულეზე. ცნობილი ენათმეცნიერებიც კი არათანმიმდევრულ, ბუნდოვან და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს აყალიბებენ სტილისტური კონოტაციის შესახებ. თუ სიტყვებს, მათი მტკიცებით, აქვთ მხოლოდ კონტექსტუალური კონოტაცია, მაშინ როგორ აიხსნება ის ფაქტი, რომ სინონიმური სიტყვების გარჩევა ერთმანეთისაგან შესაძლებელია მხოლოდ იმ სტილისტური ობერტონით, მნიშვნელობით, რომელსაც ეს სიტყვები უზუალურად ატარებენ. ჩვენი აზრით, ენაში არსებობს ორი სახის სტილისტური კონოტაცია: 1. კონტექსტუალური, რომელიც იქმნება კონტექსტში სუბიექტური შთაბეჭდილებებით და 2. უზუალური, რომელიც არის საკუთრივ ენის კუთვნილი, ენის სისტემაში არსებული, როგორც ენის მონემური ერთეულის ძირითად, დენოტაციურ მნიშვნელობაზე დამატებული ინფორმაცია, რომელიც ასევე არის სინონიმების განმანსხვავებელი

ელემენტი.

ლიტერატურა

ვერდოკი, 2003 — Verdonk, Peter “Stylistics”. Oxford University Press, Oxford. 2003

კრისტალი, 1995 — Crystal, D. “The Cambridge Encyclopedia of the English Language”. BCA Cambridge University Press, Cambridge, 1995

ლაიონსი, 1993 — Lyons, John “Language and Linguistics ”. Cambridge University Press. Cambridge. 1993

ლიჩი, 1981 — Geoffrey N. Leech and Michael H. Short: “Style in Fiction: A Linguistic Introduction to English Fictional Prose”. Longman 1981

ლიჩი, 1992 — Leech G. N. “Semantics”. London: Longman. 1992

ტერბერი, 1977 — Turner, G. W. “Stylistics”.(Aylesbury) Penguin Books, 1977

ჩეტმანი, 1967 — Chatman, Seymour. “Stylistics: Quantitative and Qualitative”, 1967, volume 1.

IAMZE MIRAZANASHVILI

Inherent Stylistic Connotation as a Differentiative Feature of Synonyms

Summary

The paper focuses on the inherent stylistic connotation, which is the source of synonym differentiation. Linguists agree that "synonymy is rarely complete and hardly ever absolute". Synonymous words may have a similar denotational / conceptual meaning, but their stylistic loading is always different. The existence of inherent stylistic connotation is questioned by some linguists. The paper argues, that words have an inherent / static / usual / emotive / stylistic connotation, which is super semantic, emotive information added to the denotational meaning of words. An inherent stylistic connotation is stable, It is fixed and has its own place in the language system. Unlike contextual stylistic connotation which is relatively unstable changing, occasional and dynamic an inherent stylistic connotation does not change from context to context.

ნუნუ ჩარკვიანი, მარიამ ბაბუხაძია

ზმნის ერთაქტიანი და მრავალაქტიანი მოქმედების გამოხატვის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულ და ინგლისურ ენებში

თანამედროვე ენათმეცნიერება დიდ ინტერესს იჩენს როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე (სხვადასხვა სისტემის) ენების შეპირისპირებით და ტიპოლოგიური ანალიზით. ორივე შემთხვევაში ასეთი სახით ენების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოვავლინოთ შესასწავლი ენების თავისებურებები. „არამონათესავე ენების კონტრასტული შესწავლა კი ადგენს ფუნქციურ მსგავსება-განსხვავებას ორ ენას შორის და განსაზღვრავს იმ კატეგორიათა ფუნქციების თავისებურებებს, რომლებსაც მატერიალური გამოხატულება მსგავსი არა აქვთ. ორი არამონათესავე ენის კვლევის ობიექტის განსაზღვრისათვის საჭიროა აღმოვაჩინოთ მათ შორის რაღაც საერთო, რომელიც შემდეგში შეპირისპირების საფუძველი გახდება. კონტრასტული შეპირისპირებისას კვლევა წარმოებს ზოგადიდან განსხვავებულისაკენ, ამიტომაც ძირითადი ამოცანა იმ წინაპირობათა ახსნაა, რომელთა საფუძველზეც მოცემული კონტრასტული ანალიზი უნდა გაწარმოთ (მეგრელიშვილი, 1986.)

კონტრასტული ანალიზის პრინციპის გამოყენებით შესაძლებელია წარმატებით გამოვიკვლიოთ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიები ე.ი. მორფოლოგიური, სინტაქსური, ლინგვისტური, კონტექსტური გამოხატვის საშუალებანი, რომლებიც ზოგად სემანტიკურ ინვარიანტად ერთიანდება.

ყოველ ენაში გამოიყოფა ზმნათა ჯგუფები, რომელნიც ასპექტის გამოხატვის მხრივ გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებენ. ზოგი თავისებურება ზმნების ლოგიკური შინაარსით არის გამოწვეული. მაგალითად, ზოგი ზმნით გამოხატული მოქმედება მომენტალური ხასიათისაა და მისი შინაარსი ვერ იგუებს მოქმედების განგრძობითად წარმოდგენას. ზოგი ზმნის შინაარსი, პირიქით, არ გულისხმობს მოქმედების შეწყვეტას, — სხვანაირად რომ ვთქვათ, მოქმედება იწყება

არა მისი დასრულების მიზნით და ა.შ.

ლინგვისტიკა გასულ საუკუნეში ამგვარ ზმნათა ჯგუფებს ცალკე ასპექტებად გამოყოფდნენ ან სრულიად უყურადღებოდ ტოვებდნენ. პირველად სიგურდ აგრელმა გამოიჭნა ასეთი მოვლენები ასპექტისაგან და მოგვცა მოქმედების სახის, როგორც ასპექტისაგან განსხვავებული მოვლენის ფორმულირება. „თანამედროვე ასპექტოლოგიის მიღწევად უნდა ჩაითვალოს, როგორც ამას ლ. მ. სმირნოვი აღნიშნავს — მკაცრი გამოიჭნა ასპექტსა და ზმნის სახეებს შორის.

მოქმედებათა სახეებს ი. მასლოვის მსგავსად ჩვენ ვეძახით ზმნის სემანტიკურ ჯგუფებს, რომელსაც გამოვყოფთ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი მოქმედების დინებას და დროში განაწილების სახეებს. მოქმედების სახეები არ შეიძლება გავაიგივოთ ასპექტთან, რომელიც წმინდა გრამატიკულ აბსტრაქციას წარმოადგენს და საპირისპირო ფორმებს გვიჩვენებს ერთი ლექსიკური მნიშვნელობის ფარგლებში. ამასთანავე, ასეთი საპირისპირო ფორმების წარმოება შეუძლია ენაში არსებულ ზმნათა უმეტესობას.

სხვადასხვა მეცნიერი მოქმედებათა სახეების მნიშვნელობის სხვადასხვა რაოდენობას ასახელებს, მკვლევარები ამ მნიშვნელობათა მრავალგვარ ისეთ ნიუანსს გადმოგვცემენ, რომლებიც უფრო დაწვრილებით ახასიათებენ მოქმედების შესრულების სახეებს. ეს ფაქტი კი ამტკიცებს კორიელ ვან დეკ ჰეიდეს აზრს იმის შესახებ, რომ „მოქმედებათა სახეების რაოდენობა განუსაზღვრელია, რადგანაც ყოველ ზმნურ ფორმას, ზოგადად რომ ვთქვათ მოქმედების თავისი საკუთარი სახე აქვს (ფილინა, 1974, 77).

მოქმედებათა სახეებიდან არის ისეთი ტიპები, რომელთა გამოყოფა ყველა ენაშია შესაძლებელი და გამოხატვის ფორმათა მრავალფეროვნებით ხასიათდება. საინტერესო სურათს იძლევა მრავალაქტიანი და ერთაქტიანი მოქმედების სახეები. მულტიპლიკაციური, მრავალაქტიანი — ასე უწოდებენ მოქმედების ერთ სახეს, რომლის არსსაც თვით სახელწოდება გვიჩვენებს. არარეკომენდებულია ამ სახეს მრავალფაზიანი ვუწოდოთ, რადგან მოქმედება, რომელსაც ეს სახეობა გამოხატავს, შედგება არა რიგი ფაზებისგან, არამედ მხოლოდ ერთ-თდაგვარი რიგი აქტებისგან.

ამ ზმნებში შევა მრავალაქტიანი მოქმედება „ჰამს“ და „მიდის“ ტიპისა და „აკაკუნებს“ ტიპის. ეს მოქმედება ლექსიკურ გამომხატვას პოულობს ზომიერებისა და გარემოებითი სიტყვების საშუალებით.

გარეგნულად თუ შევხედავთ ამ მოქმედებას, თითქოს იგი ზღვრული აქტებისგან შედგება, მაგრამ კარგი დაკვირვების შედეგად ამოვიცნობთ, რომ მთლიანობაში არის განმეორებულ უზღვრადი აქტების რიგი (მაგ. სამსახურში სიარული). ამის საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა ან უზღვრადი მოქმედება, რომელიც შემოსაზღვრულია დროითი ხანგრძლივობით, იღებს გარეგნულს, მაგრამ მაინც ზღვრულ ხასიათს, ხდება ზღვრადი (მაგ. იწვა, იცხოვრა ამდენ წელს და ა.შ.)

მაგალითების სიმრავლე, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაში იძლევა იმის შესაძლებლობას, კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ მოქმედების ეს სახე. უმეტესწილად ზმნის სემანტიკას აქვს უნარი მრავალაქტიანობა გამოხატოს ორივე ენაზე.

-Her mind was ticking like a fine Swiss watch. (პეილი, 1969. 100)

-In stories he had read there were always elaborate mechanisms, clocks, fuses which ticked or hissed (პეილი, 1969.118)

ამ წინადადებებში მოცემული ზმნა „tick“ საუკეთესო მაგალითია მრავალაქტიანობის გამოსახატად მიუხედავად იმისა, რომ იგი სხვადასხვა გრამატიკული დროითაა გადმოცემული (Past Cont. Past Ind.)

-He was humming at (პეილი, 1969. 35)

-He heels were clicking ... (პეილი, 1969. 38)

— დიდი რუსული სამოვარი თუხთუხებს (დუმბაძე, 135)

— ბაბა იორამი წამოდგა და სახლისკენ წაფარფატდა (ჭილაძე, 14)

— უცებ მატარებელმა გაიარა,სახლი შეაზანზარა (ჭილაძე. 251)

მრავალაქტიანი ზმნა თავის ბუნებას კარგად ავლენს ქართულ ენაშიც, აწმყოს მწკრივში იქნება იგი თუ ნამყო უწყვეტელში (სრული თუ უსრული ასპექტი). მოქმედებითი გვარისაა იგი თუ ვნებითის (აზანზარებს-ზანზარებს-აზანზარდა), მრავალაქტიანობის გამოსახატავად ორივე ენა სხვა დამხმარე საშუალებებსაც მიმართავს, სადაც ზმნისხედები გადმოსცემენ მოქმედების ამ სახეს.

- a red hazard light still winked rhythmically. (პეილი, 1969. 236)

— განუწყვეტლივ რეკავს ზარი (დუმბაძე, 477)

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ამტკიცებენ დი ენ ჰოლისკის გავმოკლევას იმასთან დაკავშირებით, რომ ერთი დიდი ნაწილი ქართული საშუალო ზმნებისა ექსპრესიულია. ამ ტიპის ფორმებს ავტორი სამ ნაწილად ყოფს. ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია „ხმაუ-

რის სემანტიკა“ (სისინებ — ტიპი), მეორე ნაწილისათვის „სინათლის სემანტიკა“ (გიზგიზებ — ტიპი), ხოლო მესამისათვის — „ერთ ადგილზე მოძრაობის სემანტიკა“ (კანკალებ — ტიპი). საინტერესოა, რომ ამ ზმნებს ინსოატიური ფორმები „ა“ პრევერბით ეწარმოებათ ქართულ ენაში: აზანზარდა, აკანკალდა, ატიკტიკდა, აგიზგიზდა და ა.შ. მაშინ როდესაც ინგლისურ ენაში მოქმედების დაწყების გამოხატვა მართო ზმნის პირიან ფორმას არ ძალუძს. მას ემატება ზმნის უპირო ფორმა (**Infinitive** ან ინგ-ფორმა). დი ენ ჰოლისკის შეხედულებით ამ ტიპის ზმნები გამოხატავენ სიმბოლურ ყდერადობას. ჰუმბოლდტის ჰიპოთეზა იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობს სრული კავშირი სიტყვის ყდერადობასა და მის მნიშვნელობას შორის, სრულად ვრცელდება ორი სხვადასხვა სისტემის ენებში. სიტყვის ყდერადობა არ არის უშუალოდ ხმაბაძვითობა. იგი არის ის ხარისხობრივი მაჩვენებელი, რაც ახასიათებს გამოხატველ ნიშანსაც და საგანს ერთდროულად. მოქმედების პროცესის დამახასიათებელი ნიშანი, რაც გამოხატულებას პოულობს ინდივიდუალურ ასოსა თუ ასოთშეთანხმებაში, ჩამოყალიბდა და გავლენა მოახდინა ამა თუ იმ სიტყვის ფორმაციაზე. სწორედ ამის შედეგია სიტყვის ფორმაციის მსგავსება სხვადასხვა სისტემის ენებში.

საფარის აზრით, ბგერითი სიმბოლიზმი არ არის უბრალოდ ძალა, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა ენის თავდაპირველ ფორმაციაზე. იგი მულმივი პროცესია, რაც ქმნის ისევე სიტყვებს, რომელიც ბგერით შესაბამისობაშია მათ მიერ გამოხატულ აზრთან. ბგერითი მიბაძვითი სიტყვები (ჩვენს შემთხვევაში ზმნები) უმეტესწილად მიმართულია მათ ბუნებრივ პროტოტიპებთან, როგორც ეს ხელოვნებაში ხდება. (რახრახებს, ჭრიჭინებს, თუხთუხებს, ბუებუეებს — **click, hum, buzz, jingle** და ა.შ.) ზოგჯერ იმდენად დიდია ეს მსგავსება, რომ სხვადასხვა ენის წარმომადგენლებიც ერთნაირად აღიქვამენ ბუნებაში არსებულ მოქმედებას.

(**hiss** — სისინი, **tick** — ტიკტიკი, **buzz** — ბზული, **sizzle** — შიშინი და ა.შ.)

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, ინგლისურ ენაში მრავალაქტიანი მოქმედება უმეტესად მოკლემარცვლიანი ზმნებით გამოიხატება მაგალითად: **tick, click, hiss, hum, tremble, shiver, sob, limp** და ა.შ. ამათ გვერდით ქართულ ენაში ვხვდებით ზმნებს, რომლებიც ფუძის გაორმაგებით გადმოსცემენ იმავე მოქმედებას.

თუკი უფრო დეტალურად განვიხილავთ ქართული ენის მაგალითებს, მრავალაქტიანობის გამომხატველი ზმნები, რომლებიც ფუძის გაორმაგებით მიიღება, გვაძლევენ სხვადასხვა ფორმას. ზოგიერთი ამ ტიპის ზმნა ფუძეს შეუცვლელად იმეორებს, ზოგი ფუძის ბოლოკიდურ თანხმოვანს იცვლის და ზოგიც მხოლოდ ერთი თანხმოვნის გამეორებით ახერხებს ამ მოქმედების გადმოცემას. ა) ხითხითებს, ბ) პარპალებს, გ) გრუხუნებს.

დი ენ ჰოლისკის გამოკვლევამ გვიჩვენა კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა ასეთი ტიპის ზმნებთან. მის მიერ დასახელებულ კლასიფიკაციაში მრავალაქტიანი მოქმედების გამომხატველ ქართულ საშუალო გვარის ზოგიერთ ზმნაში „ა“ ხმოვანს უარყოფითი სემანტიკა შეაქვს. (ყდივის — ყლავის, ჩხივის — ჩხავის). ხდება მნიშვნელობის გაფართოება ვეღარული სპირანტების საშუალებით. (შუის — შხუის, ყრიალებს — ყღრიალებს, დუდუნებს — დუდღუნებს).

ასეთი მოვლენა ნაკლებადაა ინგლისური ენის ზმნის ფორმაში გამოხატული. ეს ენა ინტენსიურობისა და უარყოფის სემანტიკას ამ ზმნაზე სხვა სიტყვების დახმარებით გამოხატავს ან სრულიად სხვა ზმნა გამოიყენება.

„ზმნებს, რომლებიც მომენტობრივ მოქმედებას გადმოსცემენ და თავისი შინაარსით ვეღარ იგუებენ ხანგრძლივი პროცესის გავებას, შეიძლება იჩქითურნი ვუწოდოთ“ აღნიშნავს ქართველი მეცნიერი ზ. ჭუმბურიძე, ასეთებია მაგალითად აძგერა, ესროლა, სტყორცნა, სტკიცა. მოქმედების პროცესის თვალსაზრისით სწორედ ასეთი ზმნები ჩაითვლება ერთაქტიანად. თუკი ამ ზმნებს ასპექტის მიხედვით განვიხილავთ. შინაარსობრივად ისინი, ცხადია ყველა სრული ასპექტისაა, თუმცა გარეგნულად არც ერთი მათგანი არ ატარებს სრული ასპექტის მაწარმოებელ ნიშანს — ზმნისწინს. მეორე მხრივ, საგულისხმოა ისიც, რომ ამ ზმნებს შეიძლება დავურთოთ ზმნისწინები, მაგრამ ზმნისწინის ფუნქცია იქნება მხოლოდ მიმართულების ჩვენება; მაგ: შესტყორცნა, დაჰკრა, გასტყორცნა და ა. შ. ზოგჯერ ზმნისწინი შესაძლოა შინაარსშიც იძლეოდეს ცვლილებებს: დასტაცა — მოსტაცა, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ამ ზმნისწინს არ ევალება სრული ასპექტის გადმოცემა. ხსენებული ზმნები სრული ასპექტის შინაარსის გამოხატვას უზმნისწინოდაც კარგად ახერხებენ. (ჭუმბურიძე, 1986, 34)

ინგლისური და ქართული მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ერ-

თაქტიანობა ზოგჯერ მარტო ზმნის პირიანი ფორმით კი არ გადმოიცემა, არამედ მას ემატება დამატებითი ლექსიკური საშუალებებიც, რომლებიც კიდევ უფრო აძლიერებენ მომენტობრივ მოქმედებას.

— Joe Patron **kicked** the pedals as it might fall apart (ჰეილი, 1969. 464)

- თქვა და გარეთ გავარდა (დუმბაძე, 79)
- მან დაფაზე დახატული ოცეული **ერთი ხელის მოსმით მო-**

შალა. (დუმბაძე, 243)

- there **was an instant chorus** of several voices... (Arthur Hailey, 1969. 106)

- ორკესტრმა დასჰეჯა. (ჰილაძე, 153)
- the TV man visibly **jumped**. (ჰეილი, 1969. 123)
- **ელვის სისწრაფით წამოვხტი.** (დუმბაძე, 47)
- **გველნაკბენივით შეგვართი, გადმოვიხარე.** (დუმბაძე, 112)
- He **flashed** one of his rare **quick smiles.** (ჰეილი, 1969. 106)

ერთაქტიან ზმნებთანაც იგრძნობა ხმაბაძვითობის ფაქტორი მაგ: დასჰეჯა, შეასხა, სტკიცა — **slap, splash, crack, crash** და ა.შ. უმეტესწილად აქაც მოკლე მარცვლებით გადმოიცემა ერთაქტიანობა ინგლისურ ენაში.

ზმნის ერთაქტიანობა და მრავალაქტიანობა თავისი შინაარსით სხვადასხვა სისტემის ენაში ერთნაირად გადმოიცემა, განსხვავდება მხოლოდ მათი გამოხატვის ფორმები. ხმაბაძვითობის მოვლენა ქართულ ენაში უფრო მრავლადაა გადმოცემული, ვიდრე ინგლისურში. ეს ალბათ ქართველის ემოციური ბუნებით აიხსნება.

მოქმედებათა სახეების ეს ტიპები — ერთაქტიანობა და მრავალაქტიანობა, ისე როგორც სხვა დანარჩენი, სხვადასხვა სისტემის ენებში გამოიხატება ლექსიკური სიტყვაწარმოებითაც, სიტყვათცვლადი და სინტაქსური საშუალებებით, ყველაზე ხშირად კი ამ საშუალებათა ერთობლიობით.

ლიტერატურა

ვაშაკიძე, 1990 — დი ენ ჰოლინსკი, ასპექტი და ქართული საშუალო ზმნები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XXIX, 1990.

მეგრელიშვილი, 1986 — მ. მეგრელიშვილი ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში. თბილისი, 1986.

ფილინა, 1974 — **Филина, 1974** — К. Филина, Об акционсартных значениях глаголов настоящего времени в Русских и Англиских языках (сб. Иностранная филология. вып. 4. 1974.

ჭუმბურიძე, 1986 — ზ. ჭუმბურიძე მყოფადი ქართველურ ენებში. თბილისი 1986.

მხატვრული ლიტერატურა

დუმბაძე, 1988 — თხზულებები 4 წიგნად, წიგნი I, 1988.

ჰილაძე, 1972 — მოთხრობები, 1972.

ჰეილი, 1969 — Arthur Hailey Airport, 1969.

NUNU CHARKVIANI, MARIAM BABUKHARDIA

Some Aspects of Expressing Single-act and Multi-act Actions in the English and Georgian Languages

Summary

The means for conveying single-act and multi-act actions differ in English and Georgian.

As a known, multi-act action verbs can show the following semantics: semantics of light, sound semantics, semantics expressing motion in the same place. Sound symbolism plays an important role in the verbs of this type.

The study of the English and Georgian data has shown that Georgian multi-act verbs are mainly formed by syllable reduplication, sometimes the reduplicated syllable is slightly changed. By contrast, English multi-act as well as single-act verbs are short-syllabled.

But single-act verbs have a different vowel.

თავარ ძირძახი

ინტერტექსტუალობა „ახალ რომანში“

საკითხი, რომელიც ამ კონკრეტულ ნაშრომში ჩვენი დაინტერესების საგანს წარმოადგენს, „რეაქციული ლიტერატურიდან“ მიმდინარეობს, ასე უწოდებენ ამ მიმდინარეობას („ახალ რომანს“) თეორეტიკოსები. რეაქციულია იმდენად, რამდენადაც „ახალ რომანში“ ვხვდებით ისეთ საკითხებს, ნორმებს, რომლებიც სცილდება „ტრადიციულ რომანში“ დამკვიდრებულ წესებს და მასში შეიმჩნევა ტრადიციული ლიტერატურისათვის მეტად უცნაური ელემენტები, რაც საბოლოო ჯამში იწვევს რეაქციას არა მარტო თეორეტიკოსებსა და სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენლებში, არამედ თავად მკითხველში. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ეს არის არა სალიტერატურო, არამედ ლინგვისტური კვლევა ახალი ტექსტობრივი ლინგვისტიკის თვალსაზრისით.

საკითხი, რომელიც ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს არის ინტერტექსტუალობა ახალ რომანში. სწორედ მასში შემაგალი ძირითადი ბაზისური საკითხების ამოხსნას განვახორციელებთ ისეთი მასალების გამოყენებით, როგორცაა ალენ-რობ გრიეს რომანები, ხოლო შედარების ობიექტად გამოვიყენებთ როგორც რომ გრიეს, ასევე ამავე მიმდინარეობის ავტორების რომანებს, ანუ ჩვენ არ ვცილდებით, „ახალი რომანი“-ს საზღვრებს და ვეძებთ საერთოსა და კავშირებს არა „ტრადიციულ რომანსა“ და „ახალ რომანს“ შორის, არამედ თავად „ახალ რომანებს“ შორის.

ახლა კონკრეტულად შევხვით იმ საკითხს, რასაც ინტერტექსტუალობა ჰქვია.

ინტერტექსტუალობა არის იმ კავშირებისა და მიმართებებს მთლიანობა, რომელიც არსებობს ტექსტებს შორის, მაგალითად ერთ ლიტერატურულ ტექსტსა და სხვა ტექსტებს შორის, რომელთაგანაც მკითხველი აკეთებს შედარებებს.

ამ კონკრეტული საკითხის შესწავლისას, ჩვენს უმთავრეს ამოცა-

ნას წარმოადგენს არა იმის გარკვევა, თუ რა განსხვავებები არსებობს ტექსტებს შორის, არამედ იმის განსაზღვრა, თუ რა კავშირები და მიმართებები არსებობს მათ შორის. მიუხედავად იმისა, რომ „ახალი რომანი“-ს მიმდევრები ერთი მიმდინარეობის წარმომადგენლები არიან, მაინც არსებობს მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ყველაზე დიდ სირთულეს მაინც ამ ტექსტებს შორის არსებული მიმართებებისა და კავშირების გამოვლენა წარმოადგენს.

„ახალი რომანი“ აღსავსეა მოდერნისტული რომანის თვისებებით, იგი ისტორიისა და დროის მიღმაა და ნარატიული სტრუქტურების დამუშავებას ეძღვნება (განმეორებები, საწყის მდგომარეობასთან დაბრუნება და ა. შ.). „ახალ რომანში“ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფორმალურ საკითხებს და ფსიქოლოგიური რომანისაგან განსხვავებით ღირსებად ეთვლება მთხრობელის ყოვლისმცოდნეობის ეჭვქვეშ დაყენება. თანაც, „ახალმა რომანმა“ დაარღვია სწორხაზოვანი თხრობა და ფარდობითი გახადა პერსონაჟთა და სიტუაციათა ცენტრალურობის ცნება. ანუ, მოდიფიცირდა და ხელმეორედ იქნა მოფიქრებული რომანის ზოგადი არქიტექტონიკა, შესაძლოა, რომ ეს შინაარსის ხარჯზე მოხდა.

საერთოდ ტექსტის მთავარი ამოცანაა გადმოსცეს გარკვეული ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება მკითხველზე მოახდინოს დადებითი ან უარყოფითი რეაქცია, რომლის წაკითხვითაც შეიძლება მკითხველმა მიიღოს დიდი სიამოვნება ან პირიქით დაიტვირთოს უარყოფითი ემოციებით.

მოძრაობა „ახალი რომანი“ აერთიანებს განსაკუთრებით გამორჩეულ ავტორებს, რომელთა შემოქმედება ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავებულია, რომ მათ ერთ ჯგუფში მოქცევა დღეს ხელოვნურადაც კი გვეჩვენება. ამიერიდან რომანისტები მარტონი არიან, ისინი ისე წერენ, რომ წინამორბედ მწერლებთან რაიმე მიმართებას არ ეძებენ. ეს ინდივიდუალიზაცია დიდ, განსაკუთრებით მდიდარ მრავალფეროვნებას ბადებს, რომელიც თავისუფალია შემბოჭველი მითითებებისაგან. სამაგიეროდ აიძულებს მკითხველს, თავად აღმოაჩინოს თითოეული ავტორის თითოეული ტექსტი.

მიუხედავად იმისა, რომ „ახალი რომანი“-ს ბრწყინვალე წარმომადგენლების ნაწარმოები სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ჩვენ შესაძლებელია მოვახდინოთ მათ შორის ინტერტექსტუალობის დადგენა.

დავიწყეთ იქიდან, რომ „ახალი რომანი“ განიცდის სრულ ავტონომიას და ფორმალურ განახლებას. საქმე აღარ ეხება თავდადასავლის წერას, არამედ წერის თავგადასავალს. წერა თავის გამოხატულებას პოულობს იმ მხატვრულ საშუალებათა დემონსტრაციისას, რომელიც ხაზს უსვამს ნარატიულ რეფლექსურობას; აუცილებელი ხდება სხვადასხვა კუთხით წარმოადგინო აღნიშნულის როლი და სიტყვათა თამაში გადაჯაჭვების შესაქმნელად, რომელიც აღარ ცდილობს ამოეფაროს „სიმართლისმგვანებლობას“.

რობ-გრიეს და კლოდ სიმონის რომანებს შორის კავშირი და მიმართება განსაკუთრებით გამოიხატება მათი რომანების ფორმის სიახლეში. ისინი მკითხველის აქტიურ მონაწილეობას მოითხოვენ ნაწარმოებში და აძლევენ მკითხველს საშუალებას, გამოეყონ კლასიკურ იდეოლოგიურ ტექსტებს.

ის ძირითადი მიმართება, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან ახალ რომანებს, გახლავთ საგნის სტატუსი, რომელიც მართლაც მკვეთრად გამოხატავს „ახალი რომანი“-ს ამბიციებს და რობ-გრიეს შემოქმედება ამის თვალსაჩინო მაგალითია. მისი ნაწარმოების „საშლელეების“ (Les Gommages - 1953) შესავალში ჰიპერრეალისტურად დანახული საგანი — პომიდორის მეოთხედი, სიღრმეს მოკლებულ, ბრტყელსაგნად წარმოგვიდგება. ლუსიენ გოლდმანმა სრულიად მართებულად ამოიკითხა მასში მინიშნება მომხმარებელთა საზოგადოებაზე, რომელშიც ადამიანი ნივთად იქცევა. სავაჭრო საქონელი კი ბატონობს. „საშლელეები“ ირონიულად ხელმეორედ აღწერს ოიდიპოსის ისტორიას, ვალასი, რომანის პერსონაჟი იძიებს დანაშაულს, რომელიც უკვე მოხდა ნარატიულ კოდებზე თამაში (აქ პოლიციელების სახით), გარკვეულ მანძილზე აყენებს ინტრიგას, რომელიც ფრაგმენტებად იშლება და დანაწევრებული სურათები ნაწარმოების თემებს არეკლავს. ნაწარმოებში „Voyeur“ („მოთვალთვალე“) კიდევ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა წვრილმან და ობიექტურ აღწერებს, თუნდაც წვრილი თოკის აღწერას, რომელიც აკვიატებულად მეორდება, რათა ბოლოს დანაშაულის იარაღად იქცეს.

რობ-გრიეს რომანები ძალზედ გონისმიერია, ის თავის რომანებში აწარმოებს საგნების, მათი ცალკეული ნაწილების, განმეორებული სცენების, აღწერილი სურათებისა თუ ხატების მონტაჟს, რომლებიც თავისთავად ხლართავენ ქსელს და მკითხველს თავის ნებაზე ატარებენ.

რომელია ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც აკავშირებენ ერთმანეთთან „ახალი რომანი“-ს ტექსტებს და მათ შორის არსებული კავშირებისა და მიმართებების იდენტურობით აქცევენ მათ ერთ მექანიზმად?

პირველი მიმართება გამოიხატება მართვის ობიექტის იდეოლოგიის საკითხში, რომლის თანახმადაც „ახალი რომანი“-ს ავტორები გვევლინებიან ორ ასპექტში. ერთი მხრივ, ავტორი გვევლინება როგორც საკუთარი რომანის კერძო მესაკუთრე და მეორე მხრივ, როგორც საკუთარი რომანის მოქმედი სუბიექტი — ანუ ავტორი „ახალ რომანში“ პერსონაჟადაც კი გვევლინება, რაც იწვევს ტექსტის შენიღბულ ორაზროვნებას. ანუ მკითხველი იმყოფება მეტად ბუნდოვან სიტუაციაში, მას უჭირს იმის გარკვევა თუ რა როლს ასრულებს რომანის ავტორი — მოქმედი პერსონაჟის თუ თავად მწერლის. „ახალი რომანი“-ს იდეოლოგიის მიხედვით, მწერალი არის ის, ვინც დამწერლობით უკავშირდება ენას, მეტყველებას და რომელიც პირადად მონაწილეობს მისსავე რომანში, რაც ნაწილობრივ ათავისუფლებს მას ავტორის სახელის პატივისაგან, ხოლო ნაწარმოებს კი აკლებს ტექსტობრივ შინაარსს.

„ახალი რომანების“ ურთიერთმავსებლობად და მახასიათებლად ასევე გვევლინება ფიქცია. ისინი ნაწილობრივ ფიქციაზე არიან აგებული, რაც საერთო წესის მიხედვით ნიშნავს გამოგონილს, შეთხზულს. ფიქცია — ანუ ტექსტობრივად ჩამოყალიბებული ცნობარი, რომელშიც გადმოცემული ამბავი მკითხველის მხრივ გაგებული უნდა იყოს როგორც „ექსტრალინგვისტური სინამდვილე“, რეალური თუ წარმოსახვითი სამყარო.

მასასადამე, ფიქცია იღებს რომანში ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ მდგომარეობის სახეს და „ახალი რომანი“-ს ავტორები გადმოგვცემენ ისეთ მოვლენებს და ფაქტებს, რომელთაც რეალურად არ ჰქონიათ ადგილი, არამედ წარმოადგენენ მწერლის თუ პერსონაჟის ფანტაზიის ნაყოფს. ასე მაგალითად: რობ-გრიეს რომანში „შეხვედრის სახლი“ მოცემულია ორი პასაჟი, რომელთაგანაც ერთი რეალობას შეესაბამება, მეორე კი პერსონაჟის ფანტაზიის ნაყოფს. 1) როდესაც მოსამსახურე კიმი იპოვის წაწვეტებული იარაღით მოკლულ ედუარდ მანერეს გვამს 2) პასაჟში კი ნაჩვენებია, თუ როგორ შედის კიმი ოთახში და როგორ ეგებება მას ედუარდ მანერე, მასასადამე მეორე ვარიანტი არის პერსონაჟის ფანტაზიის ნაყოფი, ხო-

ლო პირველი კი რეალურად არსებული ფაქტი.

ასევე მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება რომანისეულ და გრამატიკულ დროზე. რაც შეეხება რომანისეულ დროს, ახალ რომანებში ისინი საკმაოდ შეზღუდულად არიან წარმოდგენილი, ხოლო ტრადიციულ რომანში შეიძლება საუბარი იყოს პირის ცხოვრებაზე მისი დაბადებიდან გარდაცვალებამდე. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ტრადიციული რომანის ავტორები ირჩევენ ერთ კონკრეტულ ეპოქას, რომელიც მათი დაინტერესების საგანს წარმოადგენს და აღწერენ მხოლოდ იმ მოვლენებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამ ეპოქაში. ასე მაგალითად: ვიქტორ ჰიუგოს „93 წელი“, სადაც საუბარია მხოლოდ იმ მოვლენებზე, რომლებიც 1993 წელს მიმდინარეობდა.

ახალ რომანში სხვაგვარადაა საქმე. აქ მოვლენები 24 საათის განმავლობაში, ზოგ შემთხვევაში უფრო ნაკლებში მიმდინარეობს. ახალ რომანებში დრო არ განისაზღვრება როგორც სწორხაზოვანი ნაკადი, არამედ იგი ემორჩილება 24 საათიანი ციკლის სპირალურ მარშრუტს. მაგ.: „Les Goomes“-ში მოქმედება იწყება 27 ოქტომბერს დილის 6 საათზე, პროლოგით, რომელშიც წარმოდგება ერთ-ერთი ყავახანის მეპატრონე, მაგრამ უეცრად დრო სპირალურად იცვლის მარშრუტს და რომანში იწყება წინა დღის მოვლენების მიმოხილვა. კერძოდ კი აღწერილია პროფესორ დიუპონის მკვლელობის წინა პერიოდი და მკვლელი გარინატი, რომანის სრული სიუჟეტი მთავრდება 28 ოქტომბერს დილის 6 საათზე, ეპილოგით, სადაც კვლავ ყავახანის მეპატრონე ფიგურირებს, შემდეგ დრო კვლავ სპირალურად იცვლის მარშრუტს და მეორდება დღის მოვლენები, მაგრამ ამჯერად პროფესორ დიუპონის უნებლიე მკვლელობის შემდეგ, მაგრამ არა მკვლელის, არამედ გამოძიებელ ვალასის გარემოცვაში. ახალი რომანის გრამატიკული დროც მეტად საინტერესოაა წარმოდგენილი, შეიძლება ითქვას, რომ ახალი რომანები გრამატიკული დროის თვალსაზრისით მეტად ღარიბია, ახალ რომანებში არ ვხვდებით იმ დროების კომბინაციებს, რაც ტრადიციულ რომანებს ახასიათებთ. მაგალითად: გრიეს რომანი იწყება *Present se l'indicatif*-ით, თხრობითი კილოს აწმყო დროით და ამ დროითვე მთავრდება რომანი.

ახალი რომანების საერთო ნიშანს წარმოადგენს ასევე რეიტერაცია ანუ რეფერენის საკითხი, რაც გულისხმობს პასაჟების და ერთი და იმავე სიტყვების განმეორებას. როდესაც ტექსტში ტრანზიტი ანუ

ერთი აზრიდან მეორეზე გადასვლა აუცილებლობას წარმოადგენს, ავტორი მიმართავს ერთი და იმავე სიტყვის განმეორებას ტექსტის სხვადასხვა ადგილას, მაგრამ ყოველ ჯერზე ამ განმეორებულ პასაჟებში შეიმჩნევა რაღაც განსხვავებული ნიუანსები. ასე მაგალითად: „შეხვედრის სახლში“ მანერეს მკვლელობის ფაქტი რამდენჯერმე მეორდება, მაგრამ მოტივაცია მკვლელობისა ყოველ ჯერზეც სხვადასხვაა. ერთ პასაჟში მკვლელობის მოტივად დასახელებულია პოლიციელის იარაღი, ზოგან წაწვეტილებული ბასრი იარაღი, ზოგან უბედური შემთხვევა, ზოგან კი ლადი ავას ძალი.

რეიტერაციის ნიშნებს ვხვდებით ასევე რობ-გრიეს რომანში „*La jalousie*“ სადაც დახასიათებულია სახლის ექსტერიერი. რომანში სახლის ექსტერიერი სამ ადგილას მეორდება და სამივეში შეიმჩნევა განსხვავებული ნიუანსები. გარდა სიუჟეტების რეიტერაციისა ახალ რომანებს ახასიათებთ სიტყვების რეიტერაციაც. მაგ.: გრიეს რომანში „*Le Voyeur*“ ხშირადაა გამოყენებული სიტყვა „*huit*“ მაგრამ ყოველ ჯერზედ სხვადასხვა მნიშვნელობით „*un signe en forme de huit*“, „*Le signe forme de huit creuse dans la Pierre*“, „*un second dessin en forme de huit couche*“.

„*huit*“-მოცემულია რვიანის მნიშვნელობით, მაგრამ წინადადებაში კონტექსტის მიხედვით იცვლის მნიშვნელობას. იგი ითარგმნება როგორც რვიანის ფორმის ნიშანი, დახრილი ან გადმობრუნებული რვიანის ფორმის ნიშანი, დახრილი ან გადმობრუნებული რვიანის ფორმის ნახატი და სხვა. მაშასადამე, სიტყვებისა თუ პასაჟების განმეორება ტექსტის აზრიანობისათვის მთავარი პირობაა. ერთი ენობრივი ერთეული შეიძლება შემდგომ წინადადებაშიც იყოს განმეორებული არა მარტო ნაცვალსახელით, არამედ საკუთარი სახელით, რაც აუცილებელია იმისათვის, რათა უფრო ზუსტად განვსაზღვროთ განსახილველი პირობა.

საყურადღებოა ასევე ინდექსები ანუ ენობრივი მაჩვენებლები ან უბრალოდ „კავშირები“, რომლებიც ტექსტის ყველაზე თვალსაჩინო დამაკავშირებელ ელემენტებს წარმოადგენენ. ახალ რომანებში ასეთ ინდექსებად გვევლინებიან, უპირველეს ყოვლისა, პირის ნაცვალსახელები, არსებითი სახელები და რაც ყველაზე გავრცელებულია ინიცი-ალები (მაგ.: რობ-გრიეს რომანის „*La jalousie*“-ს თანახმად ქალბატონი **A**, ბატონი **B** და ა.შ.). რაც შეეხება პირის ნაცვალსახელებს, რობ გრიე იყენებს უმეტეს წილად მხოლოდ რიცხვის მესამე პირს, მი-

შელ ბიუტორი კი მრავლობითი რიცხვის მეორე პირს და ა.შ.).

ეს დესკრიფციები ანუ ინდექსები ენის ისეთი ინსტრუმენტებია, რომლის ძირითად ფუნქციასაც წარმოადგენს ექსტრალინგვისტური ობიექტების ჩვენება, რომელთა იდენტიფიკაციაც უნდა მოახდინოს მკითხველმა, ინფორმაციის მიმღებმა. ახალი რომანები უმეტესად განუსაზღვრელი დესკრიფციებით ხასიათდებიან.

მაშასადამე, ერთი და იმავე სიტყვის, ენობრივი ერთეულის ტექსტში რამდენჯერმე განმეორება დამოუკიდებელ ენობრივ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს მოვლენა კი ენათმეცნიერებაში ანაფორის სახელწოდებითაა ცნობილი, ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის მიმღები ვალდებულია მოახდინოს ობიექტის იდენტიფიკაცია, თუ ერთი ობიექტი ახალ რომანში რამდენჯერმე გამოყენებული, მკითხველმა უნდა გააკეთოს დასკვნა ერთსა და იმავე ობიექტზე რომანში საუბარი თუ სხვადასხვაზე, ამისათვის ყველაზე მნიშვნელოვან მეთოდად ახალ რომანში გვევლინება ობიექტის ნომინაცია ანუ ობიექტი შეიძლება ტექსტში შემოყვანილ იქნას როგორც ნაცვალსახელით, საკუთარი სახელით, კუთვნილებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელებით, ინიციალებით და სხვა. ასე, რომ ახალი რომანის მკითხველს ეძლევა საშუალება, მოახდინოს ტექსტში მოცემული ობიექტის დიფერენცია.

რაც შეეხება მსგავსების, ანუ თანავარობის პრობლემას, რომელიც წარმოშობს გაორმაგებულ ეფექტს, წარმოადგენს კიდევ ერთ მიმართებას, რომელიც არსებობს ახალ რომანებს შორის. ავიღოთ მაგალითად ფიქციაზე დამყარებული ტექსტი, რომელიც შეგვიძლია შევადაროთ სხვა ტექსტებს, როგორც ფიქცია, შეიძლება დავუპირისპიროთ „იმავე მსგავს თავგადასავალს“.

აქვე უნდა გამოვყოთ ენის რამდენიმე თეორიული ასპექტი: ა) არსებული იდეოლოგიური ასპექტი, ბ) იდეოლოგიური დაპირისპირება, გ) ტექსტის გაორმაგება, დ) სათაურის სუბვერსია ანუ ნგრევა და ე) ნგრევის ტექნიკა.

რაც შეეხება არსებულ იდეოლოგიურ ასპექტს — მასში გამოიყოფა ორი მიმართება, პირველი არის მსგავსების, ხოლო მეორე განსხვავების მიმართება, ამგვარად ინტერტექსტუალური (ტექსტთაშორისი) და ცხოვრებისეული მიმართების თანახმად შეიძლება დამკვიდრდეს ტექსტთა იერარქია, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება 1) საუკეთესო (*le meilleur*) ანუ ორიგინალური და ავთენტური ანუ ნამდვი-

ლი 2) სადაო (*le discutable*) — ანუ ბანალური, მაგრამ ავთენტური, ორიგინალური მაგრამ ხელოვნური 3) ყველაზე ცუდი (*le pire*) ანუ ბანალური და ხელოვნური.

რაც შეეხება ტექსტის გაორმაგებას, მისი მთავარი ამოცანაა მიმსგავსების პროცედურა, რაც შემდეგში გამოიხატება: მაშასადამე, ის, რაც ორმაგდება, თავისთავად იდენტური ანუ თანავარი ხდება იმისა, რასთანაც ორმაგდება. აქედან გამომდინარე, გამოყოფენ დადებით და უარყოფით მსგავსებას. დადებითა მსგავსება, რომელიც ტექსტში გადმოცემულ მოვლენებს აორმაგებს და ამით აკარგვინებს ტექსტს თავის სპეციფიკურობას. უარყოფითა მსგავსება, რომელსაც თავად ტექსტი მიჰყავს გაორმაგებამდე და მათ იდენტურს ხდის.

რაც შეეხება იდეოლოგიურ დაპირისპირებას, მასში იგულისხმება ტექსტთა მსგავსება და განსხვავება. მსგავსება ანუ იმიტაცია და განსხვავება ანუ დაშორება დროსა და სივრცეში.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ კლასიკური და რომანტიკული იდეოლოგია. კლასიკური იდეოლოგიის თანახმად, ტექსტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ამა თუ იმ ქანრის თუ ფორმის მოდელისაგან, რომანტიკული იდეოლოგია კი წარმოადგენს აბსოლუტურ ორიგინალობას.

„ახალი რომანისათვის“ დამახასიათებელია გაორმაგების პრინციპი, რომლის მიზანია ტექსტებს შორის დახვეწოს მსგავსება. ამ იდეოლოგიას გამომრიცხავი ფაქტორიც გააჩნია, კერძოდ, ტექსტის გაორმაგების გაუქმება. საყურადღებოა ტექსტის სათაურიც, რომელიც ტექსტის მსგავსად ორი ან მეტი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი, რაც ინფორმაციის მიღებაში ბუნდოვანებას იწვევს. საერთო წესის მიხედვით, რომანის სათაური ტექსტის შინაარსის გაგების პირველადი წყაროა, მაგრამ „ახალი რომანი“-ს პირობებში მთელ პრობლემას ის წარმოადგენს, რომ სათაურები ინფორმაციის მიმღებს კი არ აწვდიან მოცემული რომანის მოკლე შინაარსს, არამედ აბნევენ მათ თავიანთი ორაზროვნებით. სწორედ „სათაურის კონვერსიას“-თან გვაქვს საქმე, რაც გულისხმობს ტექსტში მოცემული აზრის დაფარვას, ეს პროცესი კი თავის მხრივ ორმაგ ოპერაციას წარმოადგენს. სახელდობრ, ჯერ ხდება ტექსტში მთავარი აზრის დაფარვა, მეორე მხრივ კი ამ დაფარული აზრის ჩრდილქვეშ მოქცევა. მაშასადამე რომანის სათაური არის რომანში მოცემული აზრის შემოკლებული რეზიუმე. ტექსტისა და სათაურის სინონიმურ შესატყვისობას ორი გან-

საზღვრება აქვს: ტექსტის შემცირება და შეკვეცა შესაძლებელია, ამასთანავე ტექსტი დასკვნადია, ხოლო სათაურს გააჩნია გადაართობის უნარი და იგი პერიფრაზირებადია. აქედან გამომდინარე ტექსტმა უნდა გაამრავალფეროვნოს სათაური, ხოლო ამ უკანასკნელმა კი პირიქით უნდა გააერთიანოს და სისრულეში უნდა მოიყვანოს იგი.

რაც შეეხება ნგრევის ტექნიკას, რომელიც ტექსტის გაბათილების ყველაზე მოსახერხებელ საშუალებას წარმოადგენს და ეყრდნობა ტექსტის განზომილებას, რომელიც თავად სათაურმა ადეკვატურად უნდა გამოხატოს.

როგორც ცნობილია პოეტები ასათურებენ წიგნს, პოემებს, ლექსთა კრებულებს, ეს გახლავთ სათაურის უდავო დაუძღურება, მაგრამ სხვა შემთხვევაში სათაური აღნიშნავს ტექსტის დამოწმებულ განზომილებას, მაშასადამე, სათაურისა და ტექსტის ამგვარი შეუსატყვისობა სრულდება იმით, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ლიტოტიანი და პიპერბოლიანი სათაური (ანუ შესამცირებელი რიტორიკული ფიგურა, ან სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სათაური). მაგალითად ლიტოტიანი სათაური, შემცირებულად და რიტორიკულად არის წარმოდგენილი და ასრულებს დანაპირებს. მაგალითად: რობ-გრიეს რომანში „Les Gommés“ ნახსენებია სათაურის ობიექტი, მაგრამ მოგვითხრობს სულ სხვა ისტორიას, რომელიც სათაურთან შეუთავსებელია. სათაურს შეუძლია აღნიშნოს ტექსტის სიტყვასიტყვითი განზომილების ასპექტი. მაგალითად, რომანში „La jalousie“ სათაური შეიძლება ორგვარად გავიგოთ, როგორც „ეჭვიანობა“ და „დარაბები“, მაგრამ რეალური მნიშვნელობის ამოსაცნობად, მკითხველს ეხმარება მხოლოდ ტექსტის შინაარსი. ასევეა რომანში „Les Gommés“ სათაური სრულებით საწინააღმდეგო როლს ასრულებს ტექსტთან მიმართებაში, ანუ მასში მიმდინარე მოვლენები ნულოვან კავშირში არიან სათაურთან. მაშასადამე, თუ სათაური ეყრდნობა დამოწმებულ განზომილებას (გზა, ქარი, რეზინი), მაშასადამე ქვესათაური ხაზს უსვამს სიტყვასიტყვით ასპექტს (აღწერა, აღდგენა, შეთხზვა) და სხვა.

და ბოლოს „ახალი რომანი“-ს საერთო მახასიათებლად გვევლინება ფოკუსი, რაც გულისხმობს ფოკალიზაციის აქტს — ეს გახლავთ ტექსტში ობიექტის შერჩევა. ფოკუსში მყოფი ობიექტი გამოიყოფა ამ ობიექტებისაგან, რომელიც მის „გარემოცვას“, „პროფესიას“, „პერიფერიას“ ქმნიან. ფოკუსში მყოფ ობიექტებს დავიწყება ნაკლებად

ემუქრებათ. ისინი ხანგრძლივ მესხიერებაში ინახება და უკეთესად არის იქ გამაგრებული, ვიდრე ის ობიექტი, რომელთა აღქმაც მასთან ერთად ხდებოდა, მაგრამ ფოკუსში არ იმყოფებოდნენ.

ასე მაგალითად რობ-გრიეს რომანში „Les Gommés“ მკითხველის ყურადღების ფოკუსირება გადატანილია პომიდორზე, რობ-გრიეს რომანში „La jalousie“ მკითხველი ყურადღება გადატანილია კონკრეტულ საგნებზე, მაგალითად ამ რომანში ფოკალიზაციის ობიექტად გვევლინებიან სხვადასხვა საგნები: დარაბები, სკამი, ჩაიდანის და სხვა, მაგრამ საყურადღებოა ახალ რომანში ფოკუსის შეცვლა. მაგალითად ტექსტის დასაწყისში მკითხველის ყურადღების ფოკუსირება თუ ხდება ერთ ობიექტზე, მაგალითად პომიდორზე, ტექსტის შემდეგ ნაწილში ხდება ფოკუსის შეცვლა, ანუ მკითხველის ყურადღების გადატანა ამ ობიექტის სხვა თვისებებზე, მის შემადგენელ ნაწილებზე.

ასეთია ზოგადად ის ძირითადი საკითხები, რომელიც ხაზს უსვამს „ახალ რომანებს“ შორის არსებულ საერთო მიმართებებსა და კავშირებს.

ინტერტექსტუალობას სწორედ ეს საერთო, განმეორებადი მოვლენები ჰქმნის. შესაძლოა ამ მოვლენათა დაშლა და თითოეული კომპონენტისათვის განსაზღვრული სემიოტიკური ფუნქციის, მახასიათებლის ან პარამეტრის მინიჭება, რაც ინტერტექსტუალობის კვლევას სემიოტიკურ საფუძველს შეუქმნიდა.

Intertextuality in a "New Novel"

Summary

ზაია ალავიძე

The study of intertextuality makes it possible to reveal differences as well as commonalities between texts.

In the paper, intertextuality is investigated on the material of a "new novel". The following common features for the novels of the literary trend in question have been singled out:

1. Status of the subject.
2. Ideology of the governing object.
3. Fiction
4. Grammar tenses vs novel tenses
5. Indices
6. Reduplication of the text
7. Ideological opposition
8. Subversion of the title
9. The technique of distruction
10. Focus.

The above - enumerated recurring features create intertextuality. Each of the features has its own semiotic function, characteristics and parameters. All this form the semiotic basis for intertextuality.

ზოგიერთი მოსაზრება ზრანის იმპლიკაციის თეორიის შესახებ

თანამედროვე ენათმეცნიერების ყველაზე აქტუალური პრობლემატიკა დაკავშირებულია კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარებასა და დამკვიდრებასთან. კომუნიკაციური ლინგვისტიკის ძირითადი სფეროებია თანამედროვე პრაგმატიკა და ტექსტის ლინგვისტიკა. პრაგმატიკა სემიოტიკის ფარგლებში განისაზღვრება როგორც სუბიექტის მიმართება მის მიერ ნახმარ ნიშანთან. მაგრამ დღევანდელ პრაგმატიკაში მეორე სუბიექტი (მსმენელი) არანაკლები მნიშვნელობისაა. უფრო მეტიც, კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის უპირველეს კვლევის საგანს წარმოადგენს არა იმდენად ურთიერთმიმართება, რომელიც არსებობს კომუნიკაციაში მონაწილე სუბიექტებსა და მათ მიერ გამოყენებულ ნიშანს შორის, არამედ თვით ამ სუბიექტთა მიმართება — იმდენად რამდენადაც ეს ურთიერთმიმართება ასახულია მათ შორის მოქცეული ნიშნის სტრუქტურაში.

მეცნიერულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ გამონათქვამს ექპლიციტური შინაარსის გარდა აქვს აგრეთვე ქვეტექსტური (იმპლიციტური) მნიშვნელობა. გრანის მიხედვით, ადამიანები საუბრისას იცავენ კოოპერაციის პრინციპებს, რომელსაც მან სასაუბრო იმპლიკაცია უწოდა.

სასაუბრო იმპლიკაციის ცნება არის პრაგმატიკის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი საკითხი. პირველ რიგში იმპლიკაცია წარმოადგენს ლინგვისტური ფენომენის პრაგმატული ახსნა-განმარტების პარადიგმატულ მაგალითს.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ ის, რომ იმპლიკაცია გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ვგულისხმობდეთ იმაზე მეტს, რაც ფაქტიურად იქნა ნათქვამი.

განვიხილოთ ისეთი ცნობილი მაგალითი, როგორცაა:

რომელი საათია?

მერტევე ქალი უკვე მოვიდა.

ცხადია, სემანტიკური თეორიის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოკლე დიალოგი ასე შეიძლება იქნეს გაგებული:

შეგიძლია დახედო საათს და მითხრა რა დროა?

არა, მე არ ვიცი ზუსტი დრო, მაგრამ შემიძლია მოვაწოდო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც შეგიძლია გამოიანგარიშო დრო — მერტევე ქალი მოვიდა.

როგორც ვხედავთ იმლიკაციის ცნება წარმოადგენს ხიდს, რომელიც იღებს კომუნიკანტებს შორის.

პრაგმატიკის ბევრი სხვა საკითხისაგან განსხვავებით იმპლიკაციას არა აქვს ვრცელი და ფართო ისტორია. იმპლიკაციის თეორია წამოაყენა გრაისმა მის მიერ პარვარდის უნივერსიტეტში 1967 წ. წაკითხული ლექციების კურსში, რომლის ჯერ მხოლოდ ნაწილია დაბეჭდილი (გრაისი 1975, 1978). გრაისის იმპლიკაციის თეორია არის თეორია იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს ხალხი ენას. იგი ავითარებს საუბრის მაქსიმებს ანუ ზოგად პრინციპებს, რომელიც საფუძვლად უდევს ენის ეფექტურ თანამშრომლობით გამოყენებას და გვთავაზობს კოოპერაციის პრინციპებს. ეს პრინციპებია:

1. კოოპერაციის პრინციპი
 - მიაწოდე ინფორმაცია ისე, როგორც გთხოვენ.
2. ხარისხის მაქსიმა
 - შეიტანე საკუთარი წვლილი საუბარში სიმართლის თქმით
 - არ თქვა ის, რაც იცი, რომ მცდარია
 - არ თქვა ის, რასაც არა აქვს ადეკვატური სამხილი
3. რაოდენობის მაქსიმა
 - იყავი იმდენად ინფორმაციული, რამდენადაც ეს საჭიროა საუბრის კონკრეტულ მომენტში.
 - არ არის საჭირო იყო უფრო ინფორმაციული, ვიდრე საჭიროა.
4. მართებულობის მაქსიმა
 - ითანამშრომლე მართებულად
5. მანერის მაქსიმა
 - იყავი ნათელი, ცხადი, გასაგები და მისახვედრი.
 - ნუ იქნები ბუნდოვანი
 - ნუ იქნები ორაზროვანი

- ნუ იქნები სიტყვამრავალი
- იყავი თანმიმდევრული

როგორც ვხედავთ, ეს მაქსიმები გვიჩვენებენ რა არის საჭირო იმისათვის, რომ საუბარი იყოს მაქსიმალურად ნაყოფიერი, რაციონალური და თანამშრომლობითი; ანუ კომუნიკანტები უნდა იყვნენ გულწრფელი, გასაგები და იმდენად ინფორმაციული რამდენადაც ამას მათგან მოითხოვენ.

თუ ამ კუთხით შევხედავთ კომუნიკაციის ბუნებას მაშინვე გავიჩინებთ წინააღმდეგობის გრძობა. ეს მაქსიმები გვიხატავენ ფილოსოფიურ სამოთხეს, მაგრამ ასე ხომ ფაქტიურად არავინ საუბრობს, მაგრამ გრაისის შეხედულება არის სრულიად განსხვავებული. მას უნდოდა ეთქვა, რომ ადამიანები ყოველდღიურ საუბარში, რა თქმა უნდა, არ იცავენ და არ მისდევენ ამ პრინციპებს, მაგრამ როცა ეს პრინციპები ირღვევა ეს ხდება განზრახ და მიზანმიმართულად. მაგ. ფილოსოფიის ლექტორს ეკითხებიან;

„როგორი სტუდენტი იყო ოყრეშიძე?“

„ოყრეშიძე ძალიან კეთილსინდისიერი ადამიანია, არასოდეს აგვიანებდა ლექციაზე და შესანიშნავად ლაპარაკობს ინგლისურად“.

როგორც ვხედავთ, აქ დაირღვა რაოდენობრიობისა და მანერის პრინციპები, რადგან პროფესორის პასუხი არ არის ინფორმაციული და გაურკვეველია.

აქედან ჩანს, რომ როდესაც კოოპერაციის მაქსიმები ირღვევა, იგი იწვევს ურთიერთობის დარღვევას.

თუმცა, მაქსიმების მიმართ ლინგვისტიკის ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ ისინი ემსახურებიან გაგებინების პროცესს, რომელიც აღემატება წინადადებისა თუ გამონათქვამის სემანტიკურ შინაარსს. იმპლიკაცია არ არის სემანტიკური ვარაუდი, უფრო მეტიც, ეს არის ვარაუდი, რომელიც ეფუძნება ორთავეს, შინაარსს იმისას, რაც ითქვა, და ზოგიერთ კონკრეტულ აქსიომას ჩვეულებრივი ვერბალური ურთიერთობის კოოპერაციული ბუნების შესახებ. ვარაუდი შეიძლება წარმოიქმნას მაქსიმებზე დაყრდნობით. როცა მოსაუბრე განზრახ, განგებ არღვევს მაქსიმებს ან, როგორც გრაისი ამბობს, მასხრად იგდებს, დასცინის მათ. მაგ:

X : მოდი ბავშვებს რაიმე ვუყიდოთ.

Y : მაგრამ არა I-C-E-C-R-E-A-M-S.

ამ შემთხვევაში, Y განგებ არღვევს მანერის მაქსიმას (ნუ იქნები

ბუნდოვანი) სიტყვა ნაყინის დამარცვლით. თუმცა ამით იგი ამცნობს X-ს, რომ მას არ უნდა ეს სიტყვა იხმაროს, რათა ბავშვებმა არ აიჩემონ.

შევეცდებით მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითები სხვადასხვა მაქსიმების გამოყენებით, რაც კიდევ უფრო გასაგებს გახდის მათ შორის განსხვავებას. მოდით დავიწყოთ იმპლიკაციის იმ სახეობით, სადაც მოსაუბრე იცავს მაქსიმებს და რომელიც უბრალოდ აძლიერებს კომუნიკაციურ შინაარსს. (სიმბოლო + აღნიშნავს, რომ წინა წინადადება გულისხმობს შემდეგს)

ხარისხის მაქსიმა

ჯონს აქვს ორი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

+ მჯერა რომ აქვს და მაქვს ადეკვატური დამამატკიცებელი საბუთი, რომ მას აქვს.

+ მე არ ვიცი თუ აქვს და მინდა ვიცოდე თუ აქვს.

პირველი წინადადება წარმოადგენს „მორის პარადოქსის“ ახსნას. კერძოდ, იმას რომ მიუღებელია წინადადება.

?? ჯონს აქვს ორი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მაგრამ

მე არ მჯერა.

გრაისისაგან განსხვავებით ს. ლევისონი თვლის რომ ეს არის პრაგმატულად ანომალიური წინადადება რადგან იგი ეწინააღმდეგება ტიპურ ხარისხის იმპლიკაციას, რომლის თანახმადაც უნდა გვჯეროდეს რასაც ვამტკიცებთ. როგორც წესი, თანამშრომლობის პირობებში, როცა ვინმე რაიმეს ამტკიცებს, იგულისხმება, რომ მას სჯერა რასაც ამტკიცებს. შესაბამისად, როცა ვინმე გეკითხება, იგულისხმება რომ მას გულწრფელად სურს უპასუხო და ასევე შეიძლება ვთქვათ, რომ როცა ვინმე რამეს გაირდება, მას გულწრფელად აქვს განსაზღვრული ასე მოიქცეს და შეასრულოს პირობა და ა.შ. ასეთი გამონათქვამების ნებისმიერი სხვა გამოყენება ყალბია და გამოიყენება იმისათვის, რომ განზრახ დაირღვეს ხარისხის მაქსიმა. (თუმცა კომუნიკაციის დროს ადამიანი ზოგჯერ განზრახ ამბობს ტყუილს ანუ თვითონვე ეწინააღმდეგება გრაისის I მაქსიმას, მაგრამ კომუნიკაცია მაინც ღებება).

რაოდენობის მაქსიმა

რაოდენობის მაქსიმა წარმოადგენს სტანდარტული იმპლიკაციის მეტად საინტერესო მაგალითს. ვთქვათ, მე ვამბობ:

კურდღელ ნაიჯელს ჰყავს 14 შვილი

მე შეიძლება ვიგულისხმო, რომ ნაიჯელს ჰყავს მხოლოდ 14 შვილი, რომელიც შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს სიმართლეს თუ მას ჰყავს 20 შვილი. რაოდენობრიობის მაქსიმის შესაბამისად (თქვი იმდენი, რამდენსაც გთხოვენ) მე ასეც უნდა მეთქვა. რადგანაც არ ვთქვი, ე.ი. მე განზრახული მქონდა მეცნობებინა, რომ ნაიჯელს ჰყავს მხოლოდ 14 შვილი. ან კიდევ:

X: რა ქნა ჰენრიმ სასამართლოზე ამას წინათ?

Y: ოჰ, დააჯარიმეს.

თუ მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ ჰენრის ჯარიმასთან ერთად სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, გამოდის, რომ X-მა შეცდომასი შეიყვანა Y და არ მიაწოდა სრული ინფორმაცია რაც მას რაოდენობრიობის მაქსიმის დაცვით მოეთხოვებოდა მოცემულ სიტუაციაში.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ რაოდენობის მაქსიმა მოითხოვს მივაწოდოთ სრული ინფორმაცია. მაქსიმის მიზანია, პრაგმატული დასკვნის დამატებით წარმოადგენილი განცხადება იყოს რაც შეიძლება ძლიერი და ინფორმაციული. აღსანიშნავია, რომ ბევრ შემთხვევაში იმპლიკაცია შეიძლება გადმოიცეს მხოლოდ წინდებულის დამატებითაც კი. მაგ: ნაიჯელს მხოლოდ 14 შვილი ჰყავს, დროშა მხოლოდ თეთრია, ჰენრი მხოლოდ დააჯარიმეს და ა.შ.

მართებულობის მაქსიმა

მართებულობის მაქსიმა წარმოადგენს სტანდარტული იმპლიკაციის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. იგი გულისხმობს ისეთ იმპლიკაციას, რომელიც შეესაბამება ახლანდელ დროს. მაგ:

„მომაწოდეთ მარილი“ — გულისხმობს, რომ თქვენ გინდათ მოგაწოდონ მარილი ახლა.

ან კიდევ გავიხსენოთ ერთხელ უკვე ნახსენები ცნობილი მაგალითი:

X: რომელი საათია?

Y: მერძევე ქალი უკვე მოვიდა.

მართებულია თუ არა Y-ის პასუხი, როცა იგი იძლევა ნაწილობ-

რიგ ინფორმაციას? თუ იგი მართებულია, მაშინ X-ის შეკითხვაზე Y-ს უნდა გაცეცა ინფორმაციული პასუხი. ერთადერთი შესაძლებლობა, Y-ის პასუხი ჩავთვალოთ მართებულად არის ის, რომ დაგეგმვათ, X არის ისეთ პოზიციაში, რომ არ შეუძლია მიაწოდოს სრული ინფორმაცია, მაგრამ ფიქრობს, რომ მერძვეის მოსვლა მისთვის საკმარისი ინფორმაციაა დროის გასაგებად.

გრაისის მიხედვით ამ მაქსიმის დამადასტურებელი მაგალითები ბევრი გვხვდება საუბრისას, მაგრამ ძნელია ისეთი მაგალითის მოძებნა, რომელიც გამოკვეთილად არამართებული იქნება. მაგ:

X: ჩემი აზრით, ქალბატონი ჯენკინსი სულაც არაა მოლაყებ, შენ როგორ ფიქრობ?

Y: ჰმ, მარტისათვის შესანიშნავი ამინდია, არა? ამ შემთხვევაში Y-ის პასუხი ასე შეიძლება იქნას გაგებული: „პეი, ფრთხილად, მისი დისშვილი დგას შენს უკან.“

მანერის მაქსიმა

მანერის მაქსიმის შესახებ რამდენიმე განსხვავებული შეხედულება არსებობს. მაგ. ქვევის მაქსიმის მესამე ქვემაქსიმის (იყავი კონკრეტული) გამოყენებით, მე თავს ვარიდებ მარტივ გამონათქვამებს და ვიყენებ რთულს, არა სურვილისამებრ, არამედ იმიტომ, რომ დეტალები მართებულია ახლანდელ დროსთან მიმართებაში.

მაგ. ნაცვლად იმისა რომ გითხრა: „მიდი კარებთან, მოკიდე კარის სახელურს ხელი, გადაატრიალე და გამოქაჩე შენკენ,“ მე გეუბნები: „გააღე კარები“ და ამ წინადადებაში ყველა დანარჩენი ოპერაცია იგულისხმება.

როგორც ვხედავთ, სამეტყველო აქტის პროცესში მოსაუბრე ინფორმაციის გარკვეულ ნაწილს იმპლიციტურად გადასცემს მსმენელს. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც სამეტყველო აქტის ძირითადი აზრი სწორედ იმპლიციტურ დონეზეა კონცენტრირებული. ინფორმაციის იმპლიციტურად გადაცემის საკითხზე მკვლევრები ორ საპირისპირო აზრს გამოთქვამენ. გრაისის მიმდევრები თვლიან, რომ როგორც დავინახეთ ინფორმაციის იმპლიციტურად გადაცემა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსაუბრეს გარკვეული მიზეზების გამო არ სურს, ან არ ძალუძს სათქმელის ექსპლიციტურად გამოხატვა. თუმცა მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ინფორმაციის იმპლიციტური გზით გადაცემის მიზეზია არა მოსაუბ-

რის სურვილი სათქმელის ქარაგმულად გამოხატვისა, არამედ ენის უუნარობა მკვეთრად და ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცეს ინფორმაცია.

თუმცა, ჩვენ ვეთანხმებით ჯ. სერლის აზრს, რომ ენას ძალუძს ყველაფრის ზუსტად გამოხატვა. დამატებით კი დავძენდით, რომ მოსაუბრე თავისი ნებით ირჩევს ინფორმაციის გადაცემის ხერხს და თუ იგი უპირატესობას სათქმელის გადაცემის იმპლიციტურ ხერხს მიანიჭებს, მაშინ იგი თავისთავად, გულისხმობს, რომ მსმენელი შეძლებს მოსაუბრის თქმულის სწორად გაგებას.

იმპლიციტურად აზრის გამოხატვის ერთ-ერთი ძირითადი სახეა მეტაფორა, მაგრამ ჩვენ აქ არ შევუდგებით მის დაწვრილებით განხილვას, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მეტაფორა ჯ. ვიკოს ტერმინით არის „აზროვნების ფორმა“, რითაც მთქმელი ამბობს უშუალოდ იმას, რასაც გრძნობს; ის ამ სახით აღიქვამს სამყაროს, უფრო კონკრეტულად, იმ მოვლენას, რომელზეც საუბრობს. ნებისმიერი მეტაფორული იმპლიციტური გამონათქვამის დეკოდირების დროს მსმენელს უხდება ერთი მხრივ, გამონათქვამის იმპლიციტური და ალუაზიური შინაარსის გამოვლენა, ხოლო მეორე მხრივ, სიტუაციის ილოკუციური ძალისა და პერლოკუციური ეფექტის დადგენა სიტუაციის გათვალისწინებით. ზოგიერთი მკვლევარი კი იმპლიციტურ შინაარსს პრესუპოზიციის სახეობად თვლის. ჩვენ ვეთანხმებით ფილმორს, რომელიც არასწორად მიიჩნევს პრესუპოზიციისა და იმპლიციტური შინაარსის დონეების გაიგივებას. იგი თვლის, რომ პრესუპოზიციის ზოგად საფუძველს კონტექსტთან ერთად ერის მენტალიტეტი შეადგენს.

და ბოლოს, პრინციპებს, რომლებიც ქმნიან იმპლიკაციას, აქვთ ძალიან ზოგადი ახსნის ძალა: რამდენიმე პრინციპს შეუძლია ახსნას ცალსახად ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვები. მაგ. როგორ შეიძლება, რომ ტავტოლოგიამ „ომი ომია“ მნიშვნელობის მატარებელი შინაარსი მიიღოს, როგორ და რა ფუნქციებს ასრულებს მეტაფორა და როგორ შეიძლება არაპირდაპირი პასუხის გაცემით შედგეს კომუნიკაცია.

ლიტერატურა

გრაისი, 1975 — Grice Paul; Logic and conversation: in: Cole and Morgan “Syntax and Semantics” 3, Speech acts. New York Academic Press, 1975.

ლებანიძე, 2004 — გ. ლებანიძე, „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“ in: ენა და კულტურა, თბილისი, 2004

ლევისონი, 1983 — Levinson Stephen C. — “Pragmatics” Cambridge University Press, Cambridge 1983

სერლი, 1969 — Searle John, Speech acts, CUP, 1969.

ფილმორი, 1981 — Fillmore C. J. “Pragmatics and the descriptions of discourse” in: Cole: Radical Pragmatics N.Y. Academic Press. 1981.

MAYA ALAVIDZE

Some Remarks on the Gricean Theory of Implicature

Summary

The paper discusses the role of the Gricean theory in the development of communicative linguistics. The key notions of the theory - conversational implicature, the relationship between explicit and implicit meanings of an utterance, the cooperative principle and 9 maxims - are examined.

კობა ლომიძე

ანგლიციზმების ორთოგრაფიული, ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სემანტიკური ადაპტაციის ტიპები ქართულ ენაში

ინგლისური ენის გავლენა სხვა ევროპულ ენებზე. ინგლისური ენის მიერ სხვა ენებიდან სიტყვების სესხების პროცესი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა. ამის დასტური შეიძლება ვიპოვოთ ინგლისური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში. დონორ ენად კი ინგლისური ბევრად უფრო გვიან ჩამოყალიბდა. 1900 წლამდე ინგლისური ენის ზეგავლენა სხვა ენებზე ძალიან მოკრძალებული იყო. პირველ ეტაპზე ამის ხელშემწყობი გახდა დიდი ბრიტანეთის ექსპანსია და უზარმარი ტერიტორიების კოლონიზაცია (ფილიპოვიჩი, 1973).

მე-19 საუკუნეში ინგლისურის წვლილი ევროპული ენების ლექსიკაში გაიზარდა. ამ პროცესმა მოიცვა ყველა ძირითადი ევროპული ენა: ა) რომანული: ფრანგული, იტალიური, ესპანური და პორტუგალიური; ბ) გერმანიკული: გერმანული, ჰოლანდიური, დანიური, შვედური და ნორვეგიული; გ) სლავური: რუსული, პოლონური და ხორვატიული.

მე-20 საუკუნეში კომუნიკაციის ახალი საშუალებების წყალობით ინგლისურის კონტაქტი ევროპის სხვა ენებთან უფრო მჭიდრო გახდა. ამის შედეგი იყო ინგლისური სიტყვების ძალიან თავისუფალი და მრავალმხრივი ლინგვისტური სესხება ევროპული ენების მიერ. მეოცე საუკუნის ლინგვისტური კონტაქტების შესასწავლად აუცილებელია კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების გამოკვლევა.

სიტყვების სესხება შეიძლება პირდაპირი ან ირიბი იყოს. პირდაპირ სესხებას ადგილი აქვს მაშინ, როცა დონორ და მიმღებ ენებს აქვთ ისეთი ახლო გეოგრაფიული, კულტურული, სოციოლოგიური, პოლიტიკური და ა.შ. კავშირები, რომ ნასესხები საგნები, იდეები ან ცნებები მოითხოვს მათი სახელების გადასვლას მსესხებელ ენაში. მე-

ორე მხრივ, როცა არ არის პირდაპირი კონტაქტი ორ ქვეყანასა და მათ ენებს შორის, სიტყვების პირდაპირი გადასვლა, რომელიც საჭიროა ნასესხები საგნების, იდეების, ცნებების სახელდებისთვის არ ხორციელდება (ფილიპოვიჩი, 1996, 39). არაპირდაპირი გადასვლა სხვადასხვა საშუალებით (ლიტერატურა, მასმედია და სხვა) ხორციელდება და ამ პროცესს არაპირდაპირი სესხება ჰქვია. გამოსაკვლევ ორ ენას შორის კონტაქტი შესაძლებელია აგრეთვე დამყარდეს მესამე ენის გავლით, რომელსაც შუამავალი ენა ეწოდება.

ანგლიციზმები. ნებისმიერი მიმღები ენის ლექსიკონი მას შემდეგ, რაც მას პირდაპირი ან ირიბი კონტაქტი ჰქონდა დონორ ენასთან, ჩვენს შემთხვევაში ინგლისურთან, ამდიდრებს ადამიანის ცოდნის იმ კონკრეტულ სფეროებს, რომელთაც ენაში შემოსული ანგლიციზმები მიეკუთვნება. ენებში ანგლიციზმების რაოდენობა ადამიანის ცოდნის სხვადასხვა სფეროში განსხვავებულია. ეს დამოკიდებულია სხვადასხვა ერის ადამიანების საქმიანობაზე და ინგლისურ კულტურასთან და ცივილიზაციასთან მათ კონტაქტზე. რაც უფრო ახლო კავშირში არიან ისინი, კონტაქტის სფეროები მით უფრო თავისუფალი და მრავალმხრივია. საშუალო კონტაქტს შედეგად მიმღებ ენაში მოსდევს 1500-დან 2000 ანგლიციზმამდე. ძალიან ძნელია ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს დასახელება, რომელზეც ინგლისურმა ზეგავლენა იქონია. ინგლისური ენის გავლენის შედეგია ის, რომ მიმღები ენა სესხულობს სიტყვებს, ახდენს მათ გარკვეულ ადაპტაციას. მხოლოდ ამ საფეხურების გავლის შემდეგ ვუწოდებთ მათ ანგლიციზმებს. საბოლოოდ კი მათი ინტეგრირება ენა-რეციპიენტის ლექსიკონში ხდება.

შეუძლებელია დავასახელოთ ადამიანის ცოდნის ყველა სფერო, რომლიდანაც ანგლიციზმების სესხება განხორციელდა. ჩამოვთვლით მხოლოდ რამდენიმეს, სადაც მრავლად არის სრულად ადაპტირებული ანგლიციზმები: ა) საკვები და სასმელი; ბ) ცხოველები; გ) სპორტი; დ) ტანსაცმელი; ე) ეკონომიკა, ფული; ვ) ვაჭრობა და ზომის ერთეულები; ზ) ენა და ლიტერატურა; თ) ჟურნალისტიკა, პოლიტიკა და სამართალი; ი) ფილოსოფია და რელიგია; კ) მედიცინა; ლ) მეცნიერება; მ) საზღვაო ტერმინები და ნავიგაცია; ნ) ტექნიკური ტერმინები და ა. შ.

ქვემოთ ცხრილის სახით შევეცადეთ წარმოგვედგინა ანგლიციზ-

მების სხვადასხვა თემატური ჯგუფი მაგალითებით, რომლებიც ქართული ენის ლინგვისტური სისტემის მიხედვით განვითარდა და ადაპტირდა.

ცხრილი 1. ანგლიციზმების თემატური ჯგუფები ქართულ ენაში

თემატიკური სფერო	ანგლიციზმის ნიმუშები
საკვები	ბეკონი, ბიგმტექსი, ჯემი, პუდინგი, სენდვიჩი
სასმელი	ბრენდი, ბურბონი, ვისკი
ცხოველები	ალიგატორი, ანტილოპა, ბულდოგი, კენგურუ, მუსტანგი
სპორტი	ბოულინგი, სეტი, ტაიმი, ფორვარდი
ტანსაცმელი	ბულდოგერი, სვიტერი, შორტები
ეკონომიკა	ბროკერი, ბიუჯეტი, ექსპორტი, იმპორტი, ინფლაცია, ბანკნოტი
საზომი	აკრი, ფუტი, გალონი, უნცია, იარდი
ენა და ლიტერატურა	სლენგი, ალიტერაცია, დაიჯესტი, ესსე
ჟურნალისტიკა	ინტერვიუ, ლიდერი
პოლიტიკა	აპარტიდი, კონფორმიზმი, იმპერიალიზმი, იზოლაციონიზმი, ლიბერალური, ლოიალური
სამართალი	ჟიური, ლიზინგი, ლინჩი, პეტიცია, სააპელაცია
ფილოსოფია	აკულტურისაცია, ბიპევიორიზმი, დარვინიზმი
რელიგია	ადვენტისტი, ანგლიკანური, პანთეიზმი
მუსიკა და ცეკვა	ბენდი, ბლუზი, ბრეიკი, ტვისტი
ტრანსპორტი	ანტიფრიზი, აერობუსი, კონტეინერი, ტრამვაი, ტროლეიბუსი, ვაგონი
საზღვაო ტერმინები	ბარჯა, ბალასტი
კომპიუტერული ტერმინები	ბიტი, ბაიტი, ჩიპი, დისკი, დრაივერი, მოდემი, მონიტორი
ტექნიკური ტერმინები	კაბელი, ლაზერი, ლიფტი, რადარი
მიდიცინა	ანესთეზია, ანტიბიოტიკი, პენიცილინი, ვიტამინი
მეცნიერება	გრაფიტაცია, იზოტოპი
საზოგადოებრივი ცხოვრება	ბარი, ბრიჯი, კლუბი, ჰობი, პოკერი
კინო, რადიო, ტელე-	საკაბელო ტელევიზია, ლავი, ოსკარი, რადიო, ვესტერნი

ენა	
ამინდი	ციკლონი, ტაიფუნი
სხვა	კომფორტი, კავბოი, დენდი, ფლირტი, ფოლკლორი, პარკი, ნელიონი, პიკნიკი

ანგლიციზმების ადაპტაცია. ანგლიციზმების დიდი რაოდენობის ინტეგრაცია მიმდებარებს ენაში, რომლის ლინგვისტური სისტემა ინგლისურისაგან განსხვავდება, მოითხოვს ლინგვისტურ ანალიზს იმის ასახსნელად, როგორ მიმდინარეობს პროცესი. ინგლისური სიტყვა ერთი სისტემიდან მეორეში გადასვლისას პირველ რიგში უნდა ადაპტირდეს, ვიდრე მისი ინტეგრირება მოხდეს. ანგლიციზმების არსებულ ლექსიკონებში მოცემულია ა) ანგლიციზმის წყარო (ანუ რომელი ინგლისური ეტიმონისგან მომდინარეობს ანგლიციზმი); ბ) მისი წარმოთქმა მიმდებარებს ენაში; გ) მისი მორფოლოგიური კატეგორიები (მეტყველების ნაწილი და ა.შ.); დ) მისი მნიშვნელობა. ყოველივე ამის გამოსაკვლევად ანალიზი ხდება ოთხ დონეზე: ა) ორთოგრაფიული დონე, რათა გამოჩნდეს, როგორ ადაპტირდება ინგლისური ეტიმონის მართლწერა მიმდებარებს ენის ორთოგრაფიასთან; ბ) ფონოლოგიური დონე, რათა აიხსნას ანგლიციზმის წარმოთქმა განსაკუთრებით მაშინ, როცა ის განსხვავდება ინგლისური ეტიმონისგან; გ) მორფოლოგიური დონე, იმის საჩვენებლად, რა მორფოლოგიურ ცვლილებებს განიცდის ანგლიციზმი; დ) სემანტიკური დონე, იმის განსასაზღვრად, ინგლისური ეტიმონის რომელი მნიშვნელობა გადმოვიდა შესაბამის ანგლიციზმში.

ანგლიციზმების ორთოგრაფია. ინგლისური ეტიმონის ანგლიციზმად ადაპტაციის პროცესში ორთოგრაფიული დონე ერთ-ერთი ასპექტია. აქ ოთხი შესაძლებელი ვარიანტი იძებნება:

1) ანგლიციზმის ორთოგრაფია ყალიბდება ნიმუშის წარმოთქმის საფუძველზე. მაგალითად: boom — ბუმი; barman — ბარმენი; rugby — რაგბი; image — იმიჯი.

2) ანგლიციზმის ორთოგრაფია ემთხვევა ეტიმონისას ყოველგვარი ცვლილების გარეშე. მაგალითად: bard — ბარდი; gangster — განგსტერი; monitor — მონიტორი.

3) ანგლიციზმის ორთოგრაფია ნაწილობრივ ემთხვევა წარმოთქმას, ნაწილობრივ კი — ორთოგრაფიას. მაგალითად: overtime —

ოვერტაიმი; speedometer — სპიდომეტრი; match point — მატჩ პოინტი.

4) ანგლიციზმის ორთოგრაფია ყალიბდება შუამავალი ენის ზეგავლენით, რომლისგანაც ინგლისური ეტიმონი მიმდებარებს ენაში შემოვიდა. მაგალითად: jury — ჟიური; budget — ბიუჯეტი; partner — პარტნიორი.

ახლად შემოსულ ანგლიციზმებს ახასიათებთ ორთოგრაფიისა და შესაბამისად, წარმოთქმის ვარიაციულობა, მაგალითად, ჩატი — ჩეთი; ტოპ-მოდელი — თოფ-მოდელი. ეს კი ამ ანგლიციზმების ასიმილაციის პირველ საფეხურზე ყოფნას მოწმობს. სრული ასიმილაცია კი მესამე საფეხურია. თუმცა მართლწერის ვარიაციულობა შესაძლოა იყოს დამწერის უწიგნურობის შედეგიც (დიაკოვი, 2003, 36).

ანგლიციზმების ფონოლოგია. ანგლიციზმების წარმოთქმა ყალიბდება ფონოლოგიურ დონეზე, ინგლისური ენისა და მიმდებარებს ენის ფონოლოგიური სისტემების მსგავსება-განსხვავების საფუძველზე.

1) თუ ორივე ენის წარმოთქმის სისტემას აქვს ერთგვარი ელემენტები, მაშინ უმეტეს შემთხვევაში ხდება სრული ჩანაცვლება და ანგლიციზმი წარმოთქმის თავის ეტიმონთან მაქსიმალურად მსგავსი ჯერადობით, თუმცა მაინც მიმდებარებს ენისებურად. ვინაიდან ცვლილება არ ხდება, ამ პროცესს **ნულოვანი ტრანსფონემიზაცია** ეწოდება. მაგალითად: zoom — ზუმი; deadline — დედლაინი; leader — ლიდერი.

2) თუკი ანგლიციზმის ზოგიერთი ელემენტი თავისი აღწერით ინგლისური მოდელისგან განსხვავდება, ანგლიციზმის წარმოთქმა მხოლოდ ნაწილობრივ უთანაბრდება ეტიმონს. ამ პროცესს **ნაწილობრივი ან კომპრომისული ტრანსფონემიზაცია** ჰქვია. მაგალითად: television - ტელევიზია; company — კომპანია; sport — სპორტი.

3) თუკი ინგლისური ეტიმონის წარმოთქმა შედგება ისეთი ელემენტისგან, რომელსაც მიმდებარებს ენის ბგერათა სისტემაში ეკვივალენტი არ აქვს, მაშინ ჩანაცვლება თავისუფალია. ეს პროცესი **თავისუფალი ტრანსფონემიზაციის** სახელს ატარებს. მაგალითად: weekend — უიკენდი; flirt — ფლირტი; forward — ფორვარდი.

ანგლიციზმების მორფოლოგია. მორფოლოგიურ ადაპტაციასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ იმის ანალიზი, მეტყველების

რომელ ნაწილებს მიეკუთვნება ქართულ ენაში შემოსული ინგლისურენოვანი ნასესხებები, აჩვენა, რომ მათი უმრავლესობა (დაახლოებით 90%) არსებითი სახელებია. ამის მიზეზი არის ის, რომ პირველ ყოვლისა, არსებითი სახელი ზოგადად ყველაზე გავრცელებული მეტყველების ნაწილია ორივე ენაში. ამასთანავე მიზეზი არის ისიც, რომ ჩვენ საგნებისა და მოვლენების სახელდება უფრო ხშირად გვჭირდება, ვიდრე მოქმედების ან თვისების. არის ასევე ზმნები და ზედსართავი სახელები (მათი წილი დაახლოებით 3%-ია). სულ რამდენიმე ნიმუშითაა წარმოდგენილი შორისდებულები, ისეთები როგორებიცაა, მაგალითად, **yes** - იეს ან **wow** - ვაუ. გამოვყოფთ ანგლიციზმების მორფოლოგიური ადაპტაციის შემდეგ ვარიანტებს:

1) ციტირებულ ანგლიციზმს შესაძლოა ჰქონდეს იგივე ფორმა, როგორც ინგლისურ ეტიმონს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეტიმონზე მიმღები ენის არანაირი სუფიქსის (მორფემის) დამატება არ ხდება. ამ პროცესს **ნულოვანი ტრანსმორფემიზაცია** ჰქვია. მაგალითად: **bluff** — ბლუფი.

2) როცა ანგლიციზმი ინარჩუნებს ინგლისური ეტიმონის სუფიქსს, ამ პროცესს **კომპრომისული ტრანსმორფემიზაცია** ეწოდება. მაგალითად: **speaker** — სპიკერი.

3) ინგლისური ეტიმონის სუფიქსს შესაძლოა ჩაენაცვლოს მიმღები ენის სუფიქსი იმავე ფუნქციითა და მნიშვნელობით, როგორც ინგლისური სუფიქსია. ამ პროცესს **სრული ტრანსმორფემიზაცია** ეწოდება. მაგალითად: **sarcastic** — სარკასტული.

არის შემთხვევები, როდესაც ანგლიციზმი ეტიმონის სუფიქსს ინარჩუნებს და ამასთანავე მიმღები ენის სუფიქსს იმატებს. მაგალითად: **vegetarian** — ვეგეტარიანელი; **chips** — ჩიპსები; **extravagant** — ექსტრაავანტული.

ზმნებისა და ზედსართავი სახელების ადაპტაცია ექვემდებარება მიმღები ენის სიტყვაწარმოების წესებს. მაგალითად:

ზმნები: **boycott** — ბოიკოტირება; **test** — ტესტირება.

ზედსართავი სახელები: **start** — სასტარტო; **sports** — სპორტული

იმ ენებში, რომლებშიც არსებობს გრამატიკული სქესი, შეინიშნება ანგლიციზმების მამრობითი სქესის არსებით სახელებად ადაპტირების ტენდენცია.

ინგლისური ენა ემსგავსება ქართულს და განსხვავდება ევროპუ-

ლი ენების უმრავლესობისაგან იმით, რომ მას აქვს ნეიტრალური სქესი. ევროპულ ენებში ანგლიციზმებს აქვთ გრამატიკული სქესი.

ანგლიციზმების სემანტიკა. ანგლიციზმები ორ დიდ ჯგუფს ქმნის. პირველში შედის ის სიტყვები, რომელთაც აქვთ მხოლოდ ერთი მნიშვნელობა ინგლისურ ენაში და შესაბამისად, ქართულშიც იმავე მნიშვნელობით მკვიდრდებიან. მეორე ჯგუფი შედგება იმ ანგლიციზმებისგან, რომელთა მნიშვნელობა ადაპტირდა იმ ინგლისურ ეტიმონთანაგან, რომელთაც ერთზე მეტი მნიშვნელობა აქვს. ანგლიციზმის მნიშვნელობები შესაძლოა შემცირდეს ან გაიზარდოს. ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია, როცა ანგლიციზმი ინარჩუნებს ეტიმონის რამდენიმე მნიშვნელობიდან ერთ-ერთს, რომელიც ანგლიციზმების ლექსიკონებში აღნიშნულია მნიშვნელობის ნომრით (გორლახი, 2001). ამ პრიცესს **მნიშვნელობების რიცხობრივად შეზღუდვა** ჰქვია. მაგალითად: **bookmaker** — ბუკმეიკერი (1); **image** — იმიჯი (7); **country** — ქანთრი (10).

აგრეთვე არის შემთხვევები, როცა ანგლიციზმი აფართოებს თავის მნიშვნელობათა რიცხვს მიმღებ ენაში მისი ინტეგრირების შემდეგ. ამ პროცესს **მნიშვნელობების რიცხობრივად გაფართოება** ეწოდება. მაგალითად: **commercial** — კომერციული (არა სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი).

მიმღებ ენაში ძნელია ვიპოვოთ ადამიანის საქმიანობისა თუ ცოდნის სფერო, ანგლიციზმებს თავისი წვლილი რომ არ ჰქონდეთ.

ადაპტაციის სირთულე და მიმდინარეობა პირველ რიგში დამოკიდებულია დონორი და მიმღები ენების ლინგვისტური სისტემების მსგავსება-განსხვავებაზე.

მანფრედ გორლახი, თავის წიგნში „English in Europe“ საუბრობს იმაზე, რომ არავისში ეჭვს არ იწვევს, რომ ინგლისური სიტყვების ამჟამინდელი შემოღინება უპრეცედენტოა ევროპის ისტორიაში. თუმცა იგი მაინც ვერ შეედრება ფრანგულის მასობრივ ზეგავლენას, განსაკუთრებით მეფრანგულ და მეცხრამეტე საუკუნეებში. სავარაუდოა, რომ ანგლიციზმების რაოდენობა განაგრძობს ზრდას, თანაც არა მარტო იმ ქვეყნებში (ძირითადად აღმოსავლეთ ევროპაში), რომლებიც პოლიტიკური და იდეოლოგიური შეზღუდვების წყალობით ამ პროცესს ჩამორჩნენ. სავარაუდოა, რომ ლექსიკის გარდა კიდევ სხვა ლინგვისტური დონეებიც მოექცევა ზეგავლენის ქვეშ. ეს გავლენა უკ-

ვე ამკარად იგრძნობა ფონოლოგიაში (სადაც მარგინალური ფონემები, რომლებიც სასაუბრო ინგლისურიდან ანგლიციზმების დიდი რაოდენობის მეშვეობით შემოვიდა, მისაღები გახდა) და მორფოლოგიაში (სადაც ინლისური ნიმუშის სიტყვათშეხამებები უცხოურობას კარგავენ). კიდევ უფრო ძლიერმოქმედი ცვლილებები მიმდინარეობს დამატებითი წერილობითი სისტემის იმპორტირებაში იმის პარალელურად, რომ ინგლისურენოვანი ნასესხები სიტყვები ხელს უწყობს ლათინური ანბანის ხელმისაწვდომობას იმ საზოგადოებებში, სადაც განსხვავებული ანბანი გამოიყენება (გორლახი, 2002, 11).

ის ფაქტი, რომ ამდენი ანგლიციზმი ინტეგრირდება ქართული ენის ლექსიკონში, წარმოშობს ვარაუდს, რომ თავისი შემადგენლობით ცვლილებას განიცდის არა მარტო ქართული ენის ლექსიკა. ამიტომ საჭიროა იმის კვლევა, აქვთ თუ არა იმპორტირებულ ელემენტებს გარკვეული ზეგავლენა მთლიანობაში ქართული ენის ლინგვისტურ სისტემაზე.

დასავლეთ ევროპის ენებისგან განსხვავებით, ინგლისურის გავლენა ქართული ენის ფონოლოგიასა და მორფოლოგიაზე შესაძლოა არც ისე შესამჩნევი იყოს, თუმცა აქაც გვაქვს გარკვეული შემთხვევები. ის კი ამკარაა, რომ ბევრი ინგლისური სიტყვა ლათინური დამწერლობით შემოდის ქართულში. განსაკუთრებით ეს ეხება კომპიუტერულ ჟარგონს. დღეს ქართული ინტერნეტფორუმები სავსეა ამის მაგალითებით. ამგვარად, ხშირად შევხვდებით: **summary** შეადგინა; მოვაწყო **Think Tank**-ის მაგვარი შეხვედრა; სხვადასხვანაირი **sea food**; **PR**; **HR** და ა.შ.

ხშირად ამის მიზეზი არის ის, რომ რაღაც ცნება უკვე შემოსულია ენაში და გამოიყენება ამ ენაზე მოსაუბრეთა მიერ, მისი ორთოგრაფიული ადაპტაცია კი გვიანდება. შედეგად მიიღება ანგლიციზმი, რომელიც გრაფიკულად ისე გამოისახება, როგორც ეტიმონი. სავარაუდოა, რომ ასეთი ლათინური დამწერლობის ანგლიციზმები ვერ დამკვიდრდება ენაში და სულ ცოტა ხანს იარსებებს, ჟარგონი ხომ ლექსიკის ყველაზე არამდგრადი შრეა. ისიც ფაქტია, რომ ასეთ ანგლიციზმებს იყენებენ ინტერნეტფორუმებსა და ჩატებში. ამ ანგლიციზმების საშუალებით კომუნიკანტები ერთმანეთს უფრო გასაგებად და ზუსტად გადასცემენ შეტყობინებას.

ლათინური შრიფტით იწერება აგრეთვე კომპიუტერული პროგრამების სახელწოდებები. მაგალითად, **Anonym mailer**-ი მცირე მოცუ-

ლობის საფოსტო პროგრამა (ნავიგატორი, 2005); პროგრამა **UDP da TCP** პროტოკოლებს იყენებს. (ნავიგატორი, 2005).

თუმცა კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების გავლენა ენაზე ცალკე განხილვის საგანია, რომელსაც კვლავ დაუბრუნდებით.

ლიტერატურა:

გორლახი, 2001 — Goralach Manfred. A Usage Dictionary of Anglicisms in Selected European Languages. Oxford. OUP, 2001.

გორლახი, 2002 — Goralach Manfred. English in Europe. Oxford UP, 2002.

დიაკონი, 2003 — Дьяков А.И. Причины интенсивного заимствования англицизмов в современном русском языке. *Язык и культура*, Новосибирск, с. 35-43, 2003.

ფილიპოვიჩი, 1973 — Filipović, R. Some Problems in Studying the English Element in the Main European Languages. *English Studies Today*, 5, 25-52, 1973.

ფილიპოვიჩი, 1996 — Filipović, R. English as a Word Donor to Other Languages of Europe. *Hartmann*, 37-46, 1996.

Types of Orthographic, Phonological, Morphological, and Semantic Adaptation of Anglicisms in the Georgian Language

Summary

This paper examines a number of aspects of the phenomenon of anglicisms in present-day Georgian. Now that Georgia is entering the Euro-Atlantic Community our society eagerly accepts new ideas and notions coming from the West, particularly the United States of America. The effect of this is most clearly visible in the language, speech and communicative processes. In the paper process of adaptation of anglicisms is linguistically analysed. The most common thematic fields for the integration of anglicisms into Georgian are discussed. The author deals with some of the most typical examples of the phonological, orthographic, morphological and semantic adaptations of English loanwords and suggests the classification of anglicisms on each of these levels. Reference is also made to theoretical perspectives that regard individual languages as systems in their own right. The influence of English on the Georgian language as a system is emphasized. The paper argues that this influence is not confined only to the lexical level of the language but is becoming increasingly apparent in Georgian phonology and morphology. The usage of Latin script as a supplementary writing system is one more confirmation of this influence.

ივა ზინდაძე

დისკუსიის „საშენი“ ერთეულების სწავლების საკითხისათვის

(გერმანული ენის მასალაზე)

დისკუსიას როგორც ზეპირი მეტყველების ტექსტის ტიპს, ისევე როგორც საერთოდ ნებისმიერ ტექსტს, სამი სემიოტიკური განზომილება აქვს: სინტაქტიკური (ფორმალური), სემანტიკური (შინაარსობრივი) და პრაგმატული (კომუნიკაციურ-სიტუაციური). სამივე განზომილება თავის გამოხატულებას ენობრივ გაფორმებაში პოულობს, რომელსაც ჩვეულებრივ თან სდევს არაფერბალური და პარალინგვისტური ხასიათის ქმედებებიც. დისკუსიის ტექსტურ-ტიპოლოგიური კვლევის ან სწავლების დროს (უპირატესად უცხო ენის შესწავლის კონტექსტში) დიდი მნიშვნელობა ენიჭება თითოეულ ამ განზომილებათა ძირითადი სტრუქტურული ელემენტების გამოვლენა-აღწერას და მათ შემდგომ დიდაქტიზირებას. რასაც, თავის მხრივ, სავარჯიშოთა თუ დავალებათა ტიპოლოგია ეყრდნობა.

ჩვენ შევეცდებით დისკუსიის ძირითადი „საშენი“ ერთეულები გერმანული ენის მასალაზე აღვწეროთ.

1. სინტაქტიკური (ფორმალური) ასპექტი

ფორმალური თვალსაზრისით შესაძლებლად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ სხვადასხვა დონის ერთეულებზე. ესენია:

- წინადადების გრამატიკის დონის ერთეულები (მხედველობაში გვაქვს ის ერთეულები, რომლებიც უზრუნველყოფენ დისკუსიის ტექსტში კორექტულ წინადადებებათა აგებას.) ამის მაგალითად, პირველ რიგში, იმ ზმნათა მართვა გამოდგება, რომლებიც საკვლევ დისკუსიაში ხმარების მაღალი სიხშირით გამოირჩევა (etw. akzeptieren, vom Thema abweichen, zum Thema zurückkommen, etw. bezweifeln)
- დიალოგის გრამატიკის (Dialoggrammatik), უპირატესად

დიალოგის სინტაქსის (Dialogsyntax) დონის ერთეულები. ენობრივი გამოხატულების ამ დონეზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წინადადებათა მოდალურობას, მოდალურ ნაწილაკებს, ელიფსურ გამონათქვამებს და ა.შ.

1. Wann kommst du zurück? 2. Wann kommst du denn zurück?

პირველ შემთხვევაში შეკითხვა მხოლოდ ინფორმაციის „მოპოვებას“ ემსახურება, „როდის დაბრუნდები?“ მეორე შემთხვევაში კი მოდალური ნაწილაკი შეკითხვის წინმსწრებ სიტუაციაზე და მთქმელის პოზიციაზე მიუთითებს. „როდის და დაბრუნდები?“: სავარაუდოა, რომ შეკითხვის ადრესატი ან გვიან დაბრუნებას აპირებს ან გარკვეული მიზეზების გამო გვიან დაბრუნება მოუწევს, რაც მთქმელის უკმაყოფილებას იწვევს.

- ზეფრაზეული გრამატიკის (Teiltextgrammatik) დონის ერთეულები. ამ შემთხვევაში პირველ პლანზე გადმოდის ის საშუალებები, რომლებიც წინადადებათა ბმულობას უზრუნველყოფს. (დექტიკური საშუალებები, კავშირები, ტექსტის სტრუქტურული ერთიანობის შექმნისთვის გამოყენებადი ფორმები: *erstens, zweitens, einerseits* და ა.შ.)

2. სემანტიკური (შინაარსობრივი) ასპექტი

დისკუსიის სემანტიკური ასპექტი ძირითადად განისაზღვრება იმ თემის ლექსიკით, რომლის განხილვაც ხდება. ასე მაგალითად, თუ დისკუსიის თემაა „Familie“, მაშინ უნდა დავადგინოთ (ხოლო ენის შესწავლისას საგანგებოდ ვიმუშაოთ) შესაბამის თემატურ ველში შემავალ ლექსიკურ ერთეულებზე. (*Ehe, sich scheiden lassen, verheiratet, ledig, geschieden, verwitwet, Familieneinkommen* და ა.შ.)

3. პრაგმატული (კომუნიკაციურ-სიტუაციური) ასპექტი

დისკუსიის ტექსტის აღნიშნული განზომილება ძალიან მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ეს ეხება იმ ენობრივ რეპერტუარს, რომელიც პრაგმატული ასპექტების გამოხატვას ემსახურება. ჩვენ

შევჩერდებით მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს მომენტზე:

- საკომუნიკაციო ინტენციების გამოხატვა ერთი წინადადების საშუალებით, მაგალითად თხოვნის გამოხატვისათვის **Konjunktiv II** ფორმების გამოყენებით: **Könnten Sie uns bitte Ihre These noch einmal erklären?**
- საკომუნიკაციო ინტენციების გამოხატვა მიკროტექსტით: **Sie haben doch gesagt, dass die Zahl von Unglücksfällen drastisch gestiegen ist. Könnten Sie uns bitte genauere Daten nennen?**
- პაექრობის ეტიკა და მისი ენობრივი რეალიზაცია
 - ა) თავაზიანობის გამოხატვის საშუალებები
 - მიმართვისას (**Herr, Frau, Herr Dr. ...**), სათანადო რეგისტრის დაცვა (თქვენობითი ფორმა) გამოსარიცხია ირონიულ-დამცინავი მიმართვა, მაგ: **Mein lieber/junger Freund... Wie unser Allwissender gemeint hat, ...**
 - მოწინააღმდეგის თვალსაზრისის მიუღებლობისას აუცილებელია საკუთარი პოზიციის მკაფიოდ და კორექტულად გამოხატვა: **Meines Erachtens trifft diese Behauptung/These/Meinung nicht ganz zu. Ich stehe nicht auf diesem Standpunkt. Diesen Ausführungen kann ich mich nicht anschließen. Dieser Behauptung/These kann ich nicht zustimmen;** და ა.შ.
 - მოწინააღმდეგის თვალსაზრისის კრიტიკის დროს პაექრობამ პიროვნული დაპირისპირების ფორმა არ უნდა მიიღოს, თუმცა მსმენელისთვის ნათელი უნდა იყოს, თუ რომელ მოსაზრებას, იდეას არ ვეთანხმებით: **Meiner Meinung nach ist es falsch, zu behaupten, dass... Es ist kaum richtig anzunehmen, dass... Es ist keinesfalls so, dass... Ich möchte die Richtigkeit Ihrer Ausführungen bezweifeln. XY schreibt/sagt dazu ja folgendes... და ა.შ.**
 - ბ) პაექრობაში ჩართვის სურვილის ენობრივი რეალიზაცია: **Darf ich vielleicht dazu bemerken, dass... Ich hätte dazu mal'ne Frage...**

Erlauben Sie bitte eine Zwischenfrage...

Frau Vorsitzende, ich bitte ums Wort.

გ) სიტყვის გაწყვეტინების ეთიკური ფორმები:

Entschuldigen Sie, dass ich Sie unterbreche, aber...

Wenn Sie erlauben, möchte ich ...

დ) პარალინგვისტური ასპექტები: გასათვალისწინებელია ხმის ტონალობა, პაუზების ხანგრძლივობა და სხვ.

ე) არავერბალური ქმედებები: ინტენსიურმა ექსტიკულაციამ შეიძლება პარტნიორის გაღიზიანება გამოიწვიოს. არ არის მიზანშეწონილი პარტნიორის ირონიული გამომეტყველებით მოსმენა.

ვ) დისკუსიის ენობრივ რეალიზაციაში მონაწილეობს აგრეთვე შიდატექსტური საშუალებები. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის კომპოზიციურ მონაკვეთებს: დასაწყისი, შუა ტექსტი, დასასრული.

დისკუსია, ისევე როგორც სხვა ტიპის ტექსტები, ამ სტრუქტურული ერთეულების გაფორმების თავისებურებებით გამოირჩევა, რაც ხშირ შემთხვევაში საკომუნიკაციო როლებთან არის დაკავშირებული. ასე მაგალითად, დისკუსიის გახსნა, სიტყვის მიცემა, სიტყვის ჩამორთმევა, თემიდან გადახვევის არ დაშვება და სხვ. მოდერატორის/წამყვანის როლს გაენეკუთვნება.

დასაწყისი: დისკუსიის გახსნილად გამოცხადება, სიტყვის მიცემა, პრობლემის გამოკვეთა სხვადასხვაგვარად არის შესაძლებელი:

Die Diskussion ist hiermit eröffnet.

Ich erkläre unsere Diskussionsrunde für eröffnet.

Ich eröffne hiermit die heutige Nachmittagsitzung. Unser heutiges Thema ist/heißt...

Ich eröffne die Aussprache und bitte um Ihre Diskussionsbeiträge zum Vortrag von Herrn/Frau XY.

შუა ტექსტი: ერთი საკითხის განხილვის თანამიმდევრობის დაცვა, ერთი საკითხიდან მეორეზე გადასვლა, რაიმე საკითხის ღიად დატოვება, ღიად დატოვებული საკითხისადმი მოგვიანებით დაბრუნება და სხვ.

Bleiben Sie beim Thema!

Wir bitten die Diskussionsredner nicht vom Thema abzuweichen.

Ich bitte die Diskussionsredner bei der Thematik zu bleiben.

Die Redner werden gebeten, nur zur Sache zu sprechen.

Sie haben Ihre Redezeit von 10 Minuten schon weit überschritten. Kommen Sie bitte bald zum Abschluss, damit wir die im Programm vorgesehenen Punkte einhalten können.

Ich glaube, wir können diesen Punkt einstweilen auslassen und uns auf unserer nächsten Sitzung wieder damit befassen da ა.შ..

დასასრული: შეჯამება, მიღწეული კონსენსუსის ხაზგასმა, დისკუსიის დახურულად გამოცხადება.

Erlauben Sie, dass ich die vorangegangenen Beiträge zusammenfasse.

Ich möchte nochmals das Wesentliche des heutigen Meinungs- und Erfahrungsaustausches zusammenfassen.

Ich möchte Ihre Aufmerksamkeit nun auf den letzten Vortrag lenken,...

Da keine weiteren Wortmeldungen vorliegen, beende ich hiermit die Diskussion und fasse deren Schwerpunkte zusammen da ა.შ.

თანამედროვე სახელმძღვანელოებში დიდი ადგილი უკავია დისკუსიებში მონაწილეობის, არგუმენტირების უნარის გამოუმუშავებას. საკუთარი პოზიციის გამოხატვის, მისი დაცვის, კამათში მონაწილეობის უნარის გამოუმუშავება ენის სწავლების ადრეულ საფეხურზე იწყება. ასე მაგალითად, სახელმძღვანელოში „Tangram 1A“, (სახელმძღვანელო განკუთვნილია მათთვის, ვინც ენის შესწავლას „ნულიდან“ იწყებს) უკვე მეოთხე თემის გავლისას ენის შემსწავლელს უწევთ დისკუსიაში ჩართვა, საკუთარი პოზიციის გამოხატვა.

ეს სავარჯიშო შემდეგნაირადაა აგებული: პირველ მონაკვეთში განმარტებულია ის სიტყვები, რომლებიც ტექსტის გაგებისთვისაა საჭირო (სალარო, დედა, მალაზია, შოკოლადი, ნაყინი და სხვ.). შემდეგ ენის შემსწავლელი კითხულობენ ტექსტს. ტექსტში აღწერილია მალაზიაში, კერძოდ კი სალაროსთან განვითარებულ სიტუაცია, რომლის დროსაც შვილი დედას ტკბილეულის ყიდვას სთხოვს, დედის „მეცხრე უარის“ შემდეგ ბავშვი იწყებს ხმამაღლა ტირილს.

ტექსტს თან ახლავს წაკითხულის გაგების სავარჯიშო (წინადადებები არჩევითი დაბოლოებებით). ამის შემდეგ ენის შემსწავლელმა უნდა უპასუხონ კითხვას „როგორ მოიქცეოდით თქვენ ასეთ სიტუაციაში?“ (Was machen Sie in dieser Situation?) დავალება უნდა შესრულდეს მცირე ჯგუფებში, რაზეც მიანიშნებს მითითება „კამათით სამმა ან ოთხმა!“ (Diskutieren Sie zu dritt oder zu viert). კამათის უზრუნველსაყოფად მოცემულია ის ფრაზები (Flosken, Redewendungen), რომლებიც უნდა გამოიყენონ ენის შემსწავლელმა.

ესენია: მე ვფიქრობ, მე ვუყიდი მას... (Ich glaube, ich kaufe ihr...)

ეს არასწორად მიმაჩნია. მე ვუყიდი... (Das finde ich nicht richtig. Ich kaufe...და ა.შ.)

ამის შემდეგ გრძელდება ტექსტი, საიდანაც შევიტყობთ ამ ამბის დასასრულს. დედა ყიდულობს ტკბილეულს. ტექსტის სწორი გაგება კვლავ გადამოწმებულია შესაბამისი არჩევითი პასუხების მქონე დავალებით (richtig – falsch; სწორია - არასწორია).

ამ სავარჯიშოს მიზანია საკუთარი პოზიციის გამოხატვის, დაფიქსირების სწავლება. სწავლების პროცესში შესაძლებელია სხვადასხვა ასპექტების გამოყოფა. თავდაპირველად განმარტებულია საჭირო ლექსიკა (სემანტიკური ასპექტი). ტექსტის გაგებას აიოლებს ტექსტის წინ მოთავსებული სურათი, გარდა ამისა, შესაბამისი სავარჯიშოს დახმარებით მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა დარწმუნდეს, რომ ყველამ მართებულად გაიგო გამონათქვამთა ფორმალური ურთიერთმიმართება ტექსტში (სინტაქტიკური ასპექტი). მნიშვნელოვანია, რომ შერჩეულია ისეთი სიტუაცია, რომელიც ყველასათვის საკუთარი გამოცდილებიდან (ან მშობლის ან თუნდაც შვილის პოზიციიდან) კარგად ნაცნობია (სიტუაციური ასპექტი). ტექსტი წყდება საკვანძო მომენტში (დაუთმობს თუ არა დედა შვილს). სწორედ ამ „დაძაბულ მომენტში“ ენის შემსწავლელებმა უნდა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები. რაც მოყვანილი ფრაზების დასწავლით და მათი აქტიურად გამოყენებითაა შესაძლებელი. ასეთი ფრაზების უკეთ სასწავლებლად შემოთავაზებულია ჯგუფური მუშაობის ფორმა, როდესაც ერთი და იგივე ენობრივი ფორმა რამდენჯერმე მეორდება, და შესაბამისად უკეთ რჩება მესხიერებაში. მიზანია ამ გამონათქვამების გამოყენების ავტომატიზმამდე მიყვანა. იკვთება ტექსტის „გრამატიკული მიზანიც“: პირის ნაცვალსახელების მიცემითი ბრუნვის (დატივის) ფორმების სწავლება (ich-mir; sie-ihr, er-ihm usw.)

მსგავსი პრინციპითაა აგებული სავარჯიშოთა დიდი უმრავლესობა თანამედროვე სახელმძღვანელოებში. ლექსიკის სწავლება, სიტუაციის წარმოჩენა, რეპროდუქციული სახის სავარჯიშოები (ნასწავლის გასამტკიცებლად), და ბოლოს პროდუქტიული სავარჯიშოები, ხშირად როლების გათამაშების სახით, რომელთა გაიოლებას ემსახურება თანდართული ტიპური ფრაზები. სავარჯიშოს ძირითად მიზანს ათვისებულის „ავტომატიზაცია“ წარმოადგენს. ასე მაგალითად, სა-

ხელმძღვანელოში „EM Hauptkurs“, რომელიც განკუთვნილია გერმანული ენის შემსწავლელთა საშუალო საფეხურისთვის, მოცემულია დავალება-თამაში სათაურით „საპაერო ბუმტით მგზავრობა“. ჯგუფიდან აირჩევიან „მოხალისეები“, რომლებიც შემთხვევით შერჩეულ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების როლს ასრულებენ. ბუმტი იწყებს ვარდნას და აუცილებელია, რომ ერთ-ერთმა მათგანმა „დატოვოს“ ბუმტი. მოხალისეებს ეძლევათ დაახლოებით 10 წუთი, რომ დაარწმუნონ ყიური ანუ ჯგუფის სხვა წევრები, რომ მათი პროფესია სხვების საქმიანობაზე მნიშვნელოვანია და შესაბამისად ისინი უნდა დარჩნენ ბუმტში ანუ გადარჩნენ. კამათის გასაიოლებლად აქაც წინასწარ მოცემულია გარკვეული ლექსიკა (სამუშაოს დამკვეთი, სამუშაოს ამღები, ოსტატი, შევირდი და სხვ.) უშუალოდ თამაშს წინ უძღვის სავარჯიშო, რომლის დროსაც საჭიროა ახლად ნასწავლი სიტყვებისთვის სინონიმების მოძიება ანუ უზრუნველყოფილია ახალი სიტყვების მართებულად გაგება, რასაც მოსდევს ზემოთ აღწერილი თამაში. მოცემულია ასევე ის ფრაზები, რომლის გამოყენება კამათის გაიოლებას ითვალისწინებს.

Aufgrund ... kann man nicht auf mich verzichten.

Finden Sie nicht dass...

Ihre Gründe finde ich nicht überzeugend, weil...

Das kann ja jeder behaupten! Können Sie das beweisen? და ა.შ..

თუ კი ჩვენ მიერ მოყვანილ პირველ სავარჯიშოში ენის შემსწავლელს მოეთხოვებოდა საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, ახლა სავარჯიშოს მიზანს წარმოადგენს საკუთარი პოზიციის არგუმენტებით განმტკიცება და სხვისი პოზიციის კრიტიკა. (გრამატიკული ასპექტია ქვეწყობილი წინადადებების სწორად აგება weil, denn (იმიტომ რომ, რადგან) კავშირების დახმარებით, რომელთა დახმარებით შესაძლებელია „ახსნა“, არგუმენტირება.)

დისკუსიის, როგორც ტექსტის კომპლექსური ტიპის, ერთბაშად სწავლება დიდაქტიკურად გაუმართლებელია. უკეთეს შედეგს იძლევა მისი „საშენ აგურებად“ (Bausteine) დაყოფა და მათი ცალ-ცალკე დამუშავება. სწორედ ამ „საშენი აგურების“ დახმარებით ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ დისკუსიაში მონაწილეობის უნარის (კომპეტენციის) ენობრივად და სიტუაციურად კორექტული ქმედების გამომუშავება. თავდაპირველად ისინი უზრუნველყოფენ საოპერაციო დონეზე არასრული ქმედებების (Teilhandlungen) დაუფლებას, რომელთა ერთობლი-

ბა გადაიზრდება შემდგომ მთლიან ენობრივ ქმედებაში (Gesamthandlung) ანუ სხვა სიტყვებით მხოლოდ მათი კომბინირებით წარმოიქმნება დისკუსიის ტექსტი როგორც ერთიანი ენობრივი ქმედებათა რელიზების საშუალება და ამავე დროს მისი შედეგი.

IVA MINDADZE

On Teaching the Building Elements of Discussion

(on the material of German)

Summary

The discussion is a complex type of text hence from the didactic viewpoint it is unacceptable to teach its elements all at once. The acquisition of the communicative competence in the field of discussion is a gradual process and its building elements should be taught step by step.

სარჩევი

ნ. გოგოლაშვილი — მალედიქტოლოგიური პარადიგმები.....	3
ე. ბაკარაძე — სლენგი, როგორც იუმორისტული მოვლენათანამედროვე ახალგაზრდობის მეტყველებაში.....	12
თ. ლომთაძე — ქართული სოციოლექტების შესწავლისათვის ...	21
ქ. გენებაშვილი — ქართველურ ენათა დიფერენციაციის საკითხის ისტორიისათვის.....	26
ე. ბესტავაშვილი — ქართული დამწერლობის პროტოტიპისა და ანბანის ქრონოლოგიის საკითხი თედო ყორდანისა გრამატიკაში.....	33
თ. მახარობლიძე — პირიანობა და ვალენტობა.....	50
გ. გოგოლაშვილი, ვ. იმნაიშვილი — უქონლობის სახელების მართლწერასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი	57
ა. მეფარიშვილი — მიმღეობათა მა—ელ ცირკუმფიქსიანი წარმოება „ვისრამიანსა“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“	65
თ. მამარდაშვილი — მყოფადი დროის მიმღეობათა წარმოება ახალ ქართულში	70
თ. ბერიძე — ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები საშუალო ქართულში.....	77
რ. შამელაშვილი-ზექალაშვილი — პირის კატეგორიის ფუნქციონირება ქართულში და ექსტრალინგვისტური ფაქტორები.....	85
რ. შამელაშვილი-ზექალაშვილი — თავაზიანობის გამოსატვა მეტყველებაში და მისი შესწავლის ასპექტები.....	96
ი. კიკნაძე — განსხვავებული მორფონოლოგიური ცვლილებებისათვის სახელსა და ზმნისართში.....	105
ნ. გელდიაშვილი — დიალექტიზმები საშუალო ქართულის სამართლის ძეგლთა ენაში.....	111
ნ. ჭიპაშვილი — ბავშვის მეტყველების ზოგიერთი საკითხი ...	119
ნ. ჭიპაშვილი — სასკოლო ასაკის ბავშვის მიერ უცხოური ენის შესწავლის ზოგიერთი საკითხები.....	124

ბ. სტამბოლიშვილი — ზოგიერთი ლინგვისტური ტერ- მინის განმარტებისათვის	130
რ. გერსამია — აბსოლუტური სინონიმია მეგრულში	136
თ. ცოფურაშვილი — კირილე ალექსანდრიელის XI ჰო- მილიის ადრეული ქართული თარგმანი	143
ლ. ქაროსანიძე — ძველ ქართულ გრამატიკულ ტერმინთა ისტორიისათვის	157
თ. ჯაჭვაცე — რეკლამის ენის ლინგვისტური ასპექტები	162
თ. მებუკე — ეპიკური ჟანრების ნაწარმოებთა კლასიფიკაციის სტრუქტურულ-სემანტიკური საფუძვლები	171
ი. გრძელიძე — მოსაზრებები „სამეტყველო აქტთა თეორიის“ პოპულარობის მიზეზების შესახებ	182
გ. ჭანტურია — მეტყველების წარმოქმნისა და გაგების პროცესი ვერბალურ ინტერაქციაში	187
ი. აფაქიძე — კულტურული შოკი: მისი წარმოქმნა და აცილების ხერხები	193
ხ. მაჭავარიანი — რიტორიკული კითხვითი წინადადების ფატიკური ფუნქციისათვის	204
ლ. გოქსაძე, ნ. თარხნიშვილი — სადღესასწაულო რი- ტუალების ამსახველი ენობრივი საშუალებები ინგლი- სურსა და ქართულში	210
ე. ყორყოლიანი — ნუმერატივები სომატურ ფრაზეოლოგიზმებში	220
ბ. კაპანაძე — დარგობრივი უცხოენოვანი ტექსტის აღქმის თავისებურებანი	227
ს. ჩხობაძე — სამეტყველო ჟანრის საგაზეთო რეცენზიის კომპოზიციური ელემენტების ზოგადი ანალიზი	235
ე. ბასილაია — საგაზეთო სათაურების გრამატიკული თავისებურებანი ბრიტანული პრესის მაგალითზე	244
ბ. ჭელიძე — ჯვარცმის სცენის ერთერთი ეთნოცენტრული ინტერპრეტაციის ლინგვისტური ანალიზი	249
მ. ბერსენაძე-კაციტაძე — ინგლისური მოდალური ზმნის „could“ გრამატიკულ-სემანტიკური შესატყვისები ქართულში	266
ე. არჩვაძე — იმპლიციტური პირობის შემცველი გამოთქმების კომუნიკაციური ინტენციები	274

ი. ქარდავა — სიტყვისა და ფრაზეოლოგიზმის შინაფორმა გერმანულსა და ქართულში	281
ბ. სურგულაძე — რთული დროის ფორმები და ნამყოს მიმღებობის შეთანხმების წესები საშუალოფრანგულში	287
ე. ონიანი — სიტყვის კომუნიკაციური მნიშვნელობა მეტყველებაში	292
ე. თოფურია — სიმეტრია და ასიმეტრია სამეტყველო აქტის ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართებაში	297
ი. ჩაჩანიძე — ენობრივ სიტუაციათა ადეკვატური მოდელის დადგენისათვის	303
მ. ჩიქოვანი — არასასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამის პო-ზიციური ტიპები	307
ი. მირაზანაშვილი — კონოტაციის ორი სახე და ორი სტილისტიკა	314
ი. მირაზანაშვილი — სინონიმების განმასხვავებელი ელემენტი — უზუალური სტილისტური კონოტაცია	323
ბ. ჩარკვიანი, მ. ბაბუხაძე — ზმნის ერთაქტიანი და მრავალაქტიანი მოქმედების გამოხატვის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულ და ინგლისურ ენებში	331
თ. ქერქაძე — ინტერტექსტუალობა „ახალ რომანში“	338
მ. ალავიძე — ზოგიერთი მოსაზრება გრაისის იმპლიკაციის თეორიის შესახებ	349
კ. ლომიძე — ანგლიციზმების ორთოგრაფიული, ფონოლო- გიური, მორფოლოგიური და სემანტიკური ადაპტაციის ტიპები ქართულ ენაში	357
ი. მინდაძე — დისკუსიის „საშენი“ ერთეულების სწავლების საკითხისათვის	367

CONTENTS

N. Gogolashvili — Maledictological Paradigms	10
E. Bakaridze — Slang as a Humorous Phenomenon in the Present-day Teen Language.....	20
T. Lomtadze — Towards the Study of Georgian Sociolects.....	25
K. Genebashvili — Towards the History of the Differentiation of the Kartvelian Languages	31
E. Bestavashvili — On the Prototype of the Georgian Script and the Question of Alphabet Chronology in Tedo Zhor-dania's Grammar.....	49
T. Makharoblidze — On the Category of Person and the Problem of Valency.....	56
G. Gogolashvili, V. Imnaishvili — Some Issues Connected with the Spelling of Nouns Denoting Non-possession in Georgian.....	64
A. Meparishvili — The Formation of Participles with the Circumfix ma_el in "Visramiani" and Sh. Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin".....	69
T. Mamardashvili — Formation of the Future Participle in Modern Georgian	76
T. Beridze — Stemreduplicated Composites in Medieval Georgian	84
R. Shamelashvili-Zekalashvili — The Functioning of the Category of Person in Georgian and Extralinguistic Factors	95
R. Shamelashvili-Zekalashvili — Expression of Politeness in Speech and Some Aspects of its Study	104
I. Kiknadze — On Different Morphological Changes in Nouns and Adverbs.....	110
N. Geldiashvili — Dialectal Forms in the Language of Me- dieval Georgian Legal Documents.....	118
N. Chipashvili — Some Aspects of Child Language.....	123
N. Chipashvili — Some Problems of L2 Acquisition by Schoolchildren	129

N. Stambolishvili — Towards the Definition of Some Linguistic Forms	135
R. Gersamia — The Problem of Absolute Synonymy in Megrelian.....	142
T. Tsopurashvili — The Early Translation of Sermon XI by Cyril of Alexandria.....	156
L. Karosanidze — Towards the History of Old Georgian Grammar Terms.....	161
T. Jachvadze — Linguistic Aspects of the Language of Advertisements	170
T. Mebuke — Structural and Semantic Bases for the Classi- fication of Epic Genres	181
I. Grdzeliidze — Some Reasons for the Popularity of Speech Act Theory.....	186
G. Chanturia — The Process of Speech Production and Comprehension in Verbal Interaction.....	192
I. Apakidze — Culture Shock: Its Causes And Ways Of Avoiding It.....	203
K. Machavariani — On the Phatic Function of Rhetorical Questions	209
L. Goksadze, N. Tarkhnishvili — Language Means Re- flecting Rituals in English and Georgian	218
E. Zhorzholiani — Numericals in Somatic Phraseological Expressions	226
N. Kapanadze — Some Peculiarities of Comprehending Texts for Specific Purposes	234
S. Chkhobadze — General Analysis of the Compositional Parts of the Spoken Discourse Genre "Newspaper Review"	242
E. Basilaya — Grammatical Peculiarities of British Newspaper Headlines	248
N. Chelidze — Linguistic Analysis of One of the Ethnocentric Interpretations of the Scene of Crucifixion.....	265
M. Bersenadze-katsitadze — Grammatical and Semantic Correspondences of the English Modal verb Could in Georgian.	273
E. Archvadze — Communicative Intentions of Implicit Conditional Clauses	280
I. Kardava — Inner Forms of Words and Phraseological Units in German and Georgian.....	286
N. Surguladze — Agreement of Complex Tense Forms with	

Past Participle in Medieval French	291
E. Oniani — Comtextual Meanings of Words in Commu- nication	296
E. Topuria — Symmetry and Asymmetry between the Form and Content of Speech Acts.....	302
I. Chachanidze — Towards the Formation of an Adequate Model of Language Situation	306
M. Chikovani — Positional Types of the Represented Speech.....	312
I. Mirazanashvili — Two types of Connotations and Two Stylistics	322
I. Mirazanashvili — Inherent Stylistic Connotation as a Differentiative Feature of Synonyms	330
N. Charkviani, M. Babukhardia — Some Aspects of Expressing Single-act and Multi-act Actions in the English and Georgian Languages	337
T. Kerkadze — Intertextuality in a "New Novel"	348
M. Alavidze — Some Remarks on the Gricean Theory of Implicature	356
K. Lomidze — Types of Orthographic, Phonological, Morphological, and Semantic Adaptation of Anglicisms in the Georgian Language.....	366
I. Mindadze — On Teaching the Building Elements of Discussion	374